

კონსტანტინე ჩიქველია

# თეგზადეუდი კირიდე დორთქიჟანიძე

ბაქარაძელოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო  
სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის შერ  
დამტყიცებულა დამხმარე სახელმძღვანელოდ



## წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს გაგრძელებას 1959 წელს გამოცემული შრომისა „თერგდალეულები და რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციონერი მოღვაწეები“. პირველ წიგნში განხილულია სამოციანი წლების მოწინავე რუსი და ქართველი მწერლების ურთიერთობის საკითხი, ასევე ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, გ. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, დ. ყიფიანის, ნ. ლოლობერიძის, ბ. ლოლობერიძის, ი. ოქრომჭედლიშვილის, ს. აბაშიძის, დ. აბდუშელიშვილისა და დ. ბაქრაძის პეტერბურგში სტუდენტობის დროის ცხოვრებისა და ლიტერატურული მოღვაწეობის საკითხები. მაგრამ, რადგან თერგდალეული კ. ლორთქიფანიძე დღემდე შეუსწავლელია და ამავე დროს მრავალმხრივ საინტერესო მოღვაწეს წარმოადგენს, ამიტომ ასე ვრცლად ვჩერდებით მის ცხოვრებასა და სამწერლო მოღვაწეობაზე.

მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის აღმავლობა თერგდალეულების სახელთან არის დაკავშირებული. რუსეთის რევოლუციურ. ტრადიციებზე აღზრდილმა ახალმა თაობამ, რომელსაც ილია ჭავჭავაძე შეთაურობდა, მალე აღმართა დემოკრატიზმისა და ეროვნული თავისუფლების ბრძოლის დროშა და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გააჩაღა დრომოკმული იდეებისა და ცხოვრებისაგან მოწყვეტილი ლიტერატურის წინააღმდეგ. თერგდალეულებმა სამარცხვინო ბოძზე გააკრეს ბატონყმობის მანკიერი სისტემა და შრომის თავისუფლების იდეას მოუძღვნეს მხატვრული შემოქმედებისა და პუბლიცისტიკის მებრძოლი სტრიქონები.

ამ დიდ ბრძოლაში, ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელთან ერთად, მონაწილეობდა მწერალი და საზოგადო მოღვაწე კირილე ბეჟანიძე ლორთქიფანიძე.

კ. ლორთქიფანიძე ჩერნიშევსკისა და მისი თანამებრძოლების უშუალო ზემოქმედებით აღიზარდა. იგი ქართველ სამოციანელებთან ერთად ეზიარა პეტერბურგში რევოლუციურ მოძღვრებას, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა 1861 წლის სტუდენტთა მღელვარებაში, რისთვისაც რეპრესირებული იყო პეტრე-პავლესა და კრონ-შტადტის ციხეებში. მან ათი წელი (1860—1870) რევოლუციური აზროვნების ცენტრში — პეტერბურგში გაატარა და მებრძოლი იდეებით შეთარაღებულმა დიდი როლი შეასრულა საქართველოში ამ იდეების დანერგვის საქმეში.

კ. ლორთქიფანიძე სხვა თერგდალეულებთან ერთად ნახევარი საუკუნის მანძილზე ეწეოდა მძიმე შრომას ეროვნული კულტურისა და ლიტერატურის აღორძინებისათვის. ამდენად, ყველა მკვლევარი, ვინც კი სამოციანი წლების ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიას შეხებია, იძულებული გამხდარა კ. ლორთქიფანიძე დაესახელებინა ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის გვერდით, როგორც სამოციანი წლების სახელოვანი მოღვაწე. მაგრამ, თუ რით დაიმსახურა მან ეს საპატიო ადგილი, ეს საკითხს მკვლევართა მიერ დღემდე შესწავლილი არ ყოფილა.

რადგან ზოგადი საკითხები ვრცლად გვაქვს განხილული პირველი წიგნის შესავალში, ამდენად კ. ლორთქიფანიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლას უშუალოდ თემასთან დაკავშირებულ ძრობლებზე ვიწყებთ.

წიგნი მთლიანად დაფუძნებულია ახალმიკვლეულ საარქივო მასალებზე, რომლებიც არა მარტო კ. ლორთქიფანიძის მოღვაწეობას არკვევს, არამედ ნათელს ფენს სხვა თერგდალეულების ცხოვრებისა და შემოქმედების ჰაინტერესო საკითხებსაც.

ეს შრომა ნაწილობრივ მაინც გამოასწორებს თერგდალეულების პერიოდის შესწავლაში არსებულ იმ ხარვეზს, რომელიც კ. ლორთქიფანიძის მოღვაწეობისადმი ნაკლები დაინტერესებით იყო გამოწვეული.

ვფიქრობთ, წიგნი დაეხმარება უმაღლესი სკოლების მოსწავლე ახალგაზრდობას და მშობლიური ლიტერატურით დაინტერესებულ მკითხველებს.

პირილე ლორთქიფანიძე

ბიოგრაფია

პირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე სამოციანი წლების მოღვაწეთა თვალაჩინო წარმომადგენელია. იგი არის ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის სახელოვანი თანამებრძოლი. კ. ლორთქიფანიძეს დიდი წვლილი მიუძღვის ქართული მოწინავე აზროვნებისა და ლატერატურის აღორძინების საქმეში.

ლორთქიფანიძეები იმერელი თავადები იყვნენ. ისინი უმეტესად ცხოვრობდნენ ქუთაისის ყოფილ გუბერნიაში, ვანისა და წულუკიძის რაიონებში და ქალაქ ქუთაისში. როგორც ისტორიული დოკუმენტებიდან მტკიცდება, ლორთქიფანიძეები არ ყოფილან მომძლავრებული თავადები. მაშინ, როდესაც იმერეთის სამეფო კარზე დიდი წონა ჰქონდათ წერეთლებს, აბაშიძეებს, წულუკიძეებს, აგიაშვილებსა და სხვებს, ლორთქიფანიძეები სახელმწიფო პოლიტიკურ საქმეებში ნაკლებად ჩანან.

გადმოცემის მიხედვით გვარი ლორთქიფანიძე ლორიქანის ციხის სახელწოდებიდან უნდა იყოს წარმომდგარი. ერთ ცნობაში ამის შესახებ წერია: „ლორიქან არს ციხე მხარესა მცირის აღბაკისასა, რომელ არს საღმასის კერძოდ და მუნებურნი მეციხოვნენი მოვიდნენ დროსა გიორგი მეფისასა 1656 წ. და ამის გამო მიიღეს სახელად ლორიქანის მაგიერ ლორთქიფანიძეობა“<sup>1</sup>.

პირილე ლორთქიფანიძე ვანის რაიონიდანაა. იგი დიბადა 1839 წლის 28 სექტემბერს (ძველი სტილით), ქუთაისის გუბერნიის ქუთაისის მაზრის სოფელ დიხაშხოში.

დიხაშხოს სამების ეკლესიის საქმეებში 1839 წლის 9 ნოემბრის თარიღით ჩაწერილია: „... რომ დიხაშხოს მცხოვრებ თავად ბეჟან გრიგოლის ძე ლორთქიფანიძეს და მის სჯულდირ ცოლს დარეჯან

<sup>1</sup> ივერია, № XI და XII, 1884, გვ. 133.

ვახუშტის ჩიჯავადის ასულს, სარწმუნოებით ქრისტიანს, დაებადა. შვილი კარაღე 28-ს და მოინათლა 30 სექტემბერს<sup>1</sup>.

კირილეს ოჯახი მრავალწევრიანი იყო: მამა ბეჟანი, დედა დარეჯანი; ძმები: გიორგი, სამსონი; დები: ელისაბედი და ეფროსია. ოჯახის წევრთა შესახებ ცნობები მოცემულია სპეციალური კომისიის მიერ შედგენილ მოწმობაში.

„კომისია უმაღლესად დაწესებული ქალაქსა შინა განსარჩევლად სიმართლეთა იმერეთისა და გურიის თავადთა აზნაურთასა, ამით მოწმობს, რომელ თავადი გიორგი ბეჟანის-ძე ლორთქიფანიძე იე (15) წლისა, ძმანი მისნი სამსონ იგ (13), კირილე ზ (7). დანი ელისაბედი ია (11); ეფროსია თ (9) და დედა მათი დარეჯან ზ (38) წლისა, ცნობილნი არიან კომისიის მიერ მქონედ უეჭველისა სიმართლისა კნიაზობისა ღირსებისა ზედა, რომლისათვის საფუძველსა ზედა პროტოკოლთა მისთა, შედგენილია იდ (14) მარტსა და იზ (17) იენისს ჩემზ (1847) წელსა №№ იგ და იდ (13—14), შეტანილ არიან იგინი ლორთქიფანიძეები თავადად საზოგადოსა სიძსა შინა იმერეთისა კნიაზთა, რომელიცა უნდა იქნეს წარდგენილი უმაღლესის მისის იმპერატორობითის დიდებულუბის დამტკიცებისადმი იგ (13) აპრილსა ჩემთ (1849) წელსა“<sup>2</sup>.

კირილეს მამა, ბეჟან ლორთქიფანიძე, იმერეთს პირობაზე საკმაოდ შეძლებული თავადი ყოფილა. ქუთაისის გუბერნიაში მას დიდძალი სახნავ-სათესი, ტყე და საბალახო მიწა ჰქონია. ეს მამულბ ბეჟან ლორთქიფანიძეს ჰქონია: ზენდარში, გორაში, ინაშაურში, გადიღში, ნოლაში, ირითში, ტყემლოვანში, ზენობანში, ტობანიერში, სააბიჯაოში, ციხე-სულარში, გოგოლეისუბანში, ფარცხმაში, ციხეში, ერკეთში, აბაღლებში, გუტურში და საყვავიასტყეში<sup>3</sup>.

მართალია, ეს სიმდიდრე ხუთ მემკვიდრეს (სამ ძმასა და ორ დას) უნდა გაეყო, მაგრამ ასეთი მამულის მეზუთედი ნაწილიც არ იქნებოდა დასაწუნი, მით უმეტეს იმერეთის პირობებში, სადაც მოსახლეობასთან შეფარდებით, მიწის სიმცირე ყველაზე მეტად საგრძნობი იყო.

<sup>1</sup> ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 516. მომდევნო გვერდებზე დასახელებულია მხოლოდ „კ. ლორთქიფანიძის არქივი“, მაგრამ იგულისხმება ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, რადგან კ. ლორთქიფანიძის არქივი მხოლოდ ამ მუზეუმშია დაცული.—კ. მ.

<sup>2</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 517. ამ დოკუმენტის სისწორეს, თავმჯდომარისა და მდივნის გარდა, ადასტურებს 26 მოწმე (საბუთში არაბულა ციფრები ჩვენს მიერ არის ჩაწერილი. — კ. მ.).

<sup>3</sup> საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკის ნ. ნიკოლაძის არქივი № 35/36.

კირილე ლორთქიფანიძემ ბავშვობა სოფელში გაატარა. 1850 წელს იგი მშობლებმა ქუთაისის გიმნაზიაში მიიბარეს. გიმნაზიაში კირილე წარჩინებით სწავლობდა და ხშირად აჯილდოვებდნენ ქების სიგელით. კ. ლორთქიფანიძეს კარგი სწავლისა და ყოფაქცევითათვის ქების სიგელი მიღებული აქვს სხვადასხვა კლასებში. მაგალათად, საბჭოს დადგენილებაში აღნიშნულია: „ქუთაისის გუბერნიის გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით, რომელიც შედგა 1856 წლის 28 იანვარს, მიეცა ესე ფურცელი კარგი ყოფაქცევითათვის ყველა დისციპლინაში გიმნაზიის მე-3 კლასის მოწაფეს კირილე ლორთქიფანიძეს. თებერვალი 1856 წ.“<sup>1</sup>.

ასეთივე ქების სიგელი მიუღია კ. ლორთქიფანიძეს ამავე გიმნაზიის მე-4 კლასში.

ქუთაისის გიმნაზიის მე-6 კლასში სწავლობდნენ: აბდუშელიშვილი ალექსანდრე, ვოლკოვი ნიკოლოზ, ლოდობერიძე დავით, კლდიაშვილი კონდრატე, ლორთქიფანიძე კირილე, ნიჟარაძე სიმონი, ნიკოლაძე დავით და წერეთელი აკაკი.

კლასში ისწავლებოდა შემდეგი საგნები: საღმრთო სჯული, რუსული ენა, მათემატიკა, ქართული ენა, თურქული ენა, ფრანგული ენა, გეოგრაფია, მსოფლიო ისტორია, ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ლათინური ენა და კანონმცოდნეობა.

კირილე ლორთქიფანიძე და აკაკი წერეთელი წარჩინებული მოსწავლეები იყვნენ. მოსწავლეთა წარმატება ჯამდებოდა ყოველთვიურად და თვის ბოლოს იწერებოდა საერთო ნიშანი. კ. ლორთქიფანიძეს ყველა საგანში, ფრანგული ენის გარდა, როგორც საგამოცდო, ისე საერთო ნიშანი ხუთი აქვს. ფრანგულ ენაში უწერია ოთხი, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია, რომ მას საერთო ნიშანი დაწეროდა ხუთი. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა აქვს აკაკი წერეთელსაც. მასაც ყველა საგანში ხუთი უწერია, გარდა გეოგრაფიისა და ფრანგული ენისა. ხოლო საერთო ჯამში მიუღია შეფასება ოთხი. მე-6 კლასიდან მე-7 კლასში ორივენი გადასულან ჭილღოთი<sup>2</sup>.

1859 წელს მე-7 კლასში სწავლობდნენ: ისევ იგივე მოხსავლეები აკაკი წერეთლის გამოკლებით, სასწავლო საგნებიც იგივე იყო, მხოლოდ დამატებული აქვთ მათემატიკური გეოგრაფია.

კ. ლორთქიფანიძეს მე-7 კლასშიც ყველა საგანში ხუთი აქვს, საღმრთო სჯულისა და ლათინური ენის გარდა, მაგრამ ამას ხელი არ

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 512.

<sup>2</sup> საქ. ცსსა, ფონდი № (2) 450, არქივი № 8, 1858.

შეუშლია, რომ საერთო ჯამში ნიშანი ხუთიანი ჰქონოდა. უწყებებს ხელს აწერენ გიმნაზიის დირექტორი პესოჩინსკი და ინსპექტორი<sup>1</sup>.

გარდა ამისა, კ. ლორთქიფანიძე და აკაკი წერეთელი სხვადასხვა წლებში შეტანილი არიან გიმნაზიაში სწავლის ქირის გადამხდელ მოსწავლეთა სიებში.

1850 წელს, როგორც უწყისიდან ჩანს, კ. ლორთქიფანიძეს და აკაკი წერეთელს გადახდილი აქვთ სწავლის ქირა 3 მანეთი; ასევე 1851 წელს.<sup>2</sup>

როგორც მასალებიდან ჩანს, კ. ლორთქიფანიძე წარჩინებული მოსწავლე ყოფილა. მის შემდეგ, მე-6 კლასში ნიშნების მიხედვით მოწინავეა აკაკი წერეთელი. მე-7 კლასის ნიშნები იმ დროს არის შედგენილი, როდესაც აკაკი უკვე გასული იყო გიმნაზიიდან და ამდენად ჯგუფის სიაში მისი გვარი არ გვხვდება<sup>3</sup>.

1860 წელს კ. ლორთქიფანიძემ წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის გიმნაზიის სრული კურსი და მიიღო ასეთი ატესტატი:

### АТТЕСТАТ

Предъявитель сего, окончивший курс учения в Кутапской Губернской Гимназии, Кирпилл Лорткипанидзе, сын Дихашхойского яптеля, князя Бсжана Лорткипанидзе, вероисповедоваипя православного, пьюющий от роду 20 лет, вступил в Кутапскую гимназию в 1850 году, и во время нахождения его в сей гимназии по январь месяц 1860 года, при поведении отличн... (5), обучался всем предметам, указанным в положении Кавказского Учебного Округа, Высочайше утвержденном в 29 день октября 1853 г. Успехи оказал: В закон Божием отлич. (5), в Русском языке — отлич. (5), Математике — отлич. (5), Грузинском языке — отлич. (5), Французском языке — хорош. (4), Географии — отлич. (5), Всеобщей истории — отлич. (5), Естественных науках — отлич. (5), Физике — отлич. (5), Латинском языке — хорош. (4), Математической географии — отлич. (5), и в Чистописании и Рисовании — хорош. (4).

<sup>1</sup> საქ. ცსსა, ფონდი № 426, არქივი № 33, გვ. 21, 23, 29.

<sup>2</sup> ამ დოკუმენტით ისიც მტკიცდება, რომ აკაკი წერეთელი ქუთაისის გიმნაზიაში ჩარიცხულა არა 1852 წელს, როგორც ამას აღნიშნავს თავის თავგადასავალში, არამედ 1850 წელს (ამის შესახებ იხ. ჩვენი შრომა „აკაკი ქუთაისის გიმნაზიის მოწაფე“, ეურნალი „კომუნისტური აღზრდისათვის“, № 6, 1940 წელი).

<sup>3</sup> კირილეს გარდა ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა (1848 წლიდან 1852 წლამდე) მისი ძმა გრიგოლი. 1852 წელს ავადმყოფობის გამო იგი ტოვებს გიმნაზიას და ლებულობს მე-4 კლასში ყოფნის მოწმობას (საქ. ცსსა, ფონდი № 126, არქ. № 33, გვ. 44, 1852 წ.).



Так как он, Кирилл Лорткипанидзе, окончил курс учения пообще с хорошими успехами, то на основании § 45 положений о Кавказском учебном Округе, Высочайше утвержденного в 29 день октября 1853 г., дан ему, Лорткипанидзе, от Педагогического Совета Кутаисской Гимназии сой аттестат за надлежащую подписью и с приложением Казенной печати, предоставляющий ему права и преимуществ, изложенные в ст. 95, тома 3. Св. Зак. Уст. о службе гражд. по опред. от правит. изд. 1857 г., Г. Кутаиси июня 1 дня, 1860 года.

Директор училищ Кутаисской и Эриванской губерний, Статский Советник и Ковалер И. Песочинский.

Инспектор Кутаисской Губернской Гимназии Коллежский Советник (подпись).

Ассессор Алексей Головин (подпись).

Старший учитель Коллежский секретарь (подпись).

Старший учитель Коллежский Советник (подпись).

Педагогический совет Кутаисской Губернской Гимназии сим свидетельствует, что предьявитель сего признается вполне способным к Университетскому учению. Июля 1 дня 1860 года.

Директор училищ, Статский Советник И. Песочинский.<sup>1</sup>

ატესტატს გარდა დირექტორისა ხელს აწერენ მასწავლებლებიც.

1860 წელს კ. ლორთქიფანიძემ ქუთაისის გიმნაზია წარჩინებით დაამთავრა და სხვა ქართველ ახალგაზრდებთან ერთად უმაღლესი განათლების მისაღებად შორეული ქალაქისაკენ — პეტერბურგისაკენ გაემგზავრა.

ფრთხილი და წინდახედული ყმაწვილი ჯერ კიდევ გამგზავრებამდე გებულობს უნივერსიტეტში ჩარიცხვისა და პეტერბურგში ცხოვრების პირობებს.

როგორც ჩანს, კ. ლორთქიფანიძეს ამის თაობაზე მიწერ-მოწერა ჰქონია პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტ დავით ნიკოლაძესთან და ისიც საპასუხო წერილში დაწერილებით აცნობს კირილეს უნივერსიტეტში ჩარიცხვის დებულებას და სხვა საჭირო საკითხებზეც აწვდის ცნობებს. დავით ნიკოლაძე კირილეს სწერს: „ვისაც გიმნაზია გათავებული აქვს და 4 აქვს „ობში ვივოდი“, იმას მიიღებენ უგამოდლოთ, აგრეთვე ყველა სტიპენდიატებს და მასასა-დამე თქვენც. ვისაც გიმნაზია გათავებული აქვს და „ობში ვივოდი“ 4-ზე ნაკლები აქვს, იმას უზამენ შემოკლებულს ეგზამენიას და ისიც აგვისტოში. ვისაც გიმნაზია არ გაუთავებია, იმას უზამენ სრულ ეგზამენიას და მაისის თვეში. მაგრამ წელს კი აგვისტოში იქნება

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 518.

ამ უკანასკნელების ეგზამენია, რადგან ეს დებულება გვიან გამო-  
აცხადეს<sup>1</sup>.

მაშასადამე, კ. ლორთქიფანიძემ იცოდა, რომ მას უნივერსიტეტ-  
ში უგამოცდოდ ჩარიცხავდნენ და ამიტომ იჭრა წელგამართული და  
იმედიაანი მიემგზავრება პეტერბურგისაკენ.

კ. ლორთქიფანიძე ნამდვილი თერგდალელია. თუ ზოგიერთმა  
ქართველმა ახალგაზრდამ შავი ზღვით იმგზავრა პეტერბურგისაკენ  
(მაგალითად, აკაკი წერეთელმა, ნიკო ნიკოლაძემ, დავით აბლუშე-  
ლიშვილმა და სხვებმა), კირილემ თერგის ნაპირები გადალახა, და-  
რილის ხეობის თვალწარმტაცი მშვენიერებით დამტკბარმა რუსე-  
თის თვალუწვდენელი ველები გადასურა და ამ გზით ესტუმრა ჩრდი-  
ლოეთის დიდებულ ქალაქს — პეტერბურგს.

კ. ლორთქიფანიძე ერთადერთი თერგდალელია, რომელმაც ეს  
საინტერესო მოგზაურობა თბილისიდან პეტერბურგამდე მდიდარი  
შთაბეჭდილებების შემცველ წერილებში გამოხატა.

ქუთაისის მუზეუმის არქივში ინახება კ. ლორთქიფანიძის ორი  
წერილი, რომლებიც მას გზიდან ძმისთვის — გრიგოლისათვის გა-  
მოუგზავნია. ერთი დაწერილია ვორონეჟში, მეორე — ქალაქ პავ-  
ლოვსკში. ეს დოკუმენტები მრავალმხრივია საყურადღებო. აქ  
ვრცლად არის აღწერილი მოგზაურობის დროს მიღებული შთა-  
ბეჭდილებები. მხატვრულ სურათებში გადმოცემულია დარიალის  
ხეობის ზღაპრული ბუნება, თერგისა და არაგვის სანაპიროების მო-  
ხიბვლელი პეიზაჟები. ყურადღებას იქცევს რუსეთის ქალაქებისა  
და სოფლების აღწერილობანი. განსაკუთრებით კ. ლორთქიფანიძე  
დიდი ინტერესით გადმოგვცემს ქალაქების: ვორონეჟის, მოსკოვის,  
პეტერბურგისა და პავლოვსკის ქუჩებისა და შენობების გრანდიო-  
ზულ სანახაობებს. როგორც ამ წერილიდან ჩანს, კ. ლორთქიფანიძე  
პეტერბურგში გამგზავრებულა 1860 წლის 30 ივნისს.

შაბათს, 2 ივლისს, კ. ლორთქიფანიძე უკვე ვლადიკავკაზში ჩასუ-  
ლა, 5 ივლისს სტავროპოლშია, 9 ივლისს — ნოვოჩერკასკში, შემ-  
დეგ კი — ვორონეჟში. ამ დროს უკვე გავლილი აქვს 1450 ვერსი.  
წერილში აღნიშნულია: „...უნდა მოგახსენოთ, რომ 1450 ვერსტი  
გავიარე და ხუთასი კიდევ გვრჩება მოსკოვამდის“<sup>2</sup>.

ვორონეჟში კირილე ორ დღეს დარჩა. მიტროფანეს იქაური ხატი  
ინახულა, ბერებისა და მღვდლებისაგან ლოცვა-კურთხევა მი-  
იღო, ოჯახის წევრებისა და ნათესავებისათვის საჩუქრად ქვრები და

1 კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 710.

2 კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 428.

ხატები იყიდა და ორი დღის შესვენების შემდეგ ისევ ჩრდილოეთის გზას გაუდგა, ქალაქი ტულა გაიარა და 18 ივლისს, ორშაბათს, მოსკოვს ჩავიდა. აქედან უკვე განსხვავებული მგზავრობა იწყებოდა. „პოვოსკის“ ნაცვლად სწრაფი მატარებლით დღე-ღამეში უნდა გაველო 600 ვერსი. დალილს იმ დღესვე გზის გაგრძელება არ შეეძლო. ტანისამოსიც ტალახისა და მტერისაგან სრულიად გაფუჭებულიყო. ამის გამო კირილე ორ დღეს დარჩა მოსკოვში. აბაზანა მიიღო, ტანისამოსი გამოიცვალა, დაისვენა, ხოლო 20 ივლისს მატარებლით გაემგზავრა პეტერბურგისაკენ. 21 ივლისს კ. ლორთქიფანიძე უკვე პეტერბურგშია, დიდი ხნის ნატერისა და ოცნების ქალაქში. რამდენი წვალუბა განაცადა გზაში, რომ ეს ახალგაზრდული მისწრაფება სინამდვილედ ექცია. მაგრამ პეტერბურგში კირილეს ქართველი სტუდენტები ბინაზე არ დახვდნენ. ისინი ყოველ ზაფხულს სააგარაკო ადგილებში ატარებდნენ და იმეამადაც, პეტერბურგის ახლოს, პავლოვსკში იმყოფებოდნენ. დალილ-დაქანცული კირილე იძულებული ხდება ისევ გააგრძელოს გზა პავლოვსკისაკენ. მეორე დღეს იგი პავლოვსკშია. 24 ივლისის თარიღით უკვე წერილს აგზავნის პავლოვსკიდან საქართველოში. ასეთ სიძნელეებთან არის დაკავშირებული კ. ლორთქიფანიძის პეტერბურგისაკენ მოგზაურობის ისტორია, რაც იმ დროს, პეტერბურგში მყოფი თითოეული ქართველი სტუდენტის მოგზაურობის ისტორიაც არის.

პირველი წერილის დასაწყისში კირილე ძმას სწერს: „ძმაო გრიგოლ, ამდენ ხანს მე ორი წიგნი მაინც უნდა მომეწერა. ერთო სტავრობოლიდამ, და ერთი ნოვოჩერკასკიდამ, მაგრამ რა ვქნა, დალილობის გამო ვერ მოვწერე და უდროობის გამო, რადგან დილის ხუთი ან ექვსი საათიდან ღამის ათს ან თერთმეტამდის დავალთ“<sup>1</sup>.

კირილე აღწერს საქართველოს ბუნებას, დარიალისა და არაგვის ხეობას. „გადავთავაჯეთ ცაგკასიის ბუნება, ერთ რამეთ ღირს იქ სიარული, მეტადრე დარიალში და მაგ მხარეზე არაგვის ნაპირებზედ ჩინებული ადგილები არის, იმერეთი გამახსენდა. დარიალში თერგის ხმა და ხტომა და სხვა აქაური ბუნება აღტაცებაში მოიყვანს კაცს“<sup>2</sup>.

კირილე გზადგუზა აღწერს ქალაქების ცხოვრებას. „ვგორონევი კარგი ქალაქი ყოფილა. შშვენეირი ქუჩები სწორსწორი და ძლიერ ფართო. ქუთაისში ივანოვმა რომ ქუჩები გააკეთა. სამი ოთხი იმაზედ უფართოესი და ტროტუარი ორ-ორი, სამ-სამი საყენი...“

„გზაზე უღვინობამ და უწყლობამ ძლიერ შეგვაწუხა. კაცკასია რომ

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 428.

<sup>2</sup> იქვე.

გადავლახეთ, მერე კარგი წყალი არ გვინახავს. წყაროს ვინ დაეძებს, რადგან სრულებით არ არის, მდინარეები იყოს კარგი. ოცდაათს ვერსტს გაიარ და ეგებ ერთი მდინარე ნახო. მდინარე არც დაერქმევა, რადგან ვერ შეატყობ მიდის თუ არა. ჩვენში რომ ტბა დადგება, ბაყაყებით გამწვანებული, იმისთანა გახლავან აქ სულ წყლები“<sup>1</sup>.

„პოვოსკა“, რომლითაც კირილე მგზავრობდა, ვერ იფარავდა მგზავრებს სიცხისა და მტერისაგან. განსაკუთრებით ეს იგრძნობოდა რუსეთის შიგა გუბერნიებში.

„სტავროპოლის გუბერნიაში, რადგან კავკასიის სიახლოვეს არის, ძლიერ კარგი სასიარულო იყო, სიცხე არ ყოფილა. მერე ძლიერ სიცხეები იყო, გავიტრუსე ისე, რომ... გადაკერებული ვეგონები კაცს, ქოლგა მაქვს, მაგრამ იმის დაქერამაც დამაგლო... მტვერმა სიცოცხლე გაგვივივრა, ყური, ცხვირი, პირი (ლაფჩინის ყელშიაც შეატანა) სულ ამსებული გვაქვს, ბალანის ან ფეხების რა მოგახსენო ან ტანისამოსის“<sup>2</sup>.

კირილეზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მოსკოვის ქუჩებსა და კრემლის ისტორიულ ძეგლებს.

„მოსკოვს დიდი და მშვენიერი ადგილი უქერია. ივანეს სამრეკვლოზე რომ გადაიხედო თვალი აგემწყვევა შენობების მზერით და საყდრების გუმბათების სახურავით, რომელიც შესდგება ოქროს, თუთბრის თუ თუნუქისაგან. საყდრების სიმშვენიერეს ვერ აღვწერ“<sup>3</sup>.

„პაპშაბათს ვნახეთ კრემლი..., რომელშიდაც არის საყდრები და სასახლე ცარელი, რადგან ხელმწიფე აქ არ არის... სასახლე ვნახეთ სრულიად. საღლესასწაულო დარბაზები და საწოლი ოთახი... ნეტავი იმათ, რა სახლი ჰქონიათ. იმისთანა მოწყობილი სახლი ჩვენ გვქონდეს. ხელმწიფის სასახლის მოწყობილობას ვერ მოგწერ, რადგან არ შემიძლია გამოთქმა“<sup>4</sup>.

✓ ყველაზე მეტი გავლენა კირილეზე პეტერბურგმა მოახდინა. მას დიდად მოეწონა სწორი ქუჩები და მრავალსართულიანი შენობები, განსაკუთრებით — ზამთრის სასახლე.

„გუშინ პეტერბურღში ვიყავი, უნივერსიტეტთან მისვლამდის ბევრი სახლები დავინახეთ, ძლიერ კარგები და კარგი ქუჩები. სასახლე გარეთ მოსკოვისას სჯობს, შიგნითაც სჯობსო. ისაკის სობორო და აღექსანდრეს ძეგლი... საინტერესოა“<sup>5</sup>.

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 428.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე.

ქალაქ პავლოვსკის შესახებ კი კირილე წერს: „აქ პავლოვსკში უწინ არაფერი არ ყოფილა, მაგრამ პავლეს ბევრი ხეები დაურგავს, ქალაქი დაუფუძნებია. ეს ქალაქი ისე მშვენიერია, რომ მეტი არ შეიძლება, სრულად ბაღია და სასიერო, ქუთაისის ფერმას... სჯობს“<sup>1</sup>.

ცხადია, გულუბრყვილო ყმაწვილისათვის, რომელსაც ქუთაისის ფერმისა და მისი ქუჩების მეტი არაფერი პქონდა ნახული, განსაცვიფრებელი იქნებოდა მოსკოვისა და განსაკუთრებით პეტერბურგის მდიდარი არქიტექტურული შენობები და განიერი ქუჩები. ეს წერილები იმითაც არის საინტერესო, რომ გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს იმ ბიძნელების შესახებ, რაც დაკავშირებული იყო პეტერბურგში მგზავრობასთან.

კირილე ჩავიდა თუ არა პეტერბურგში, იმავე დღეს წარადგინა დოკუმენტები უნივერსიტეტში ჩასარიცხად. წერილში კირილე მამას სწერს: „უნივერსიტეტში წარვადგინეთ ჩვენი მოწმობები და ვთხოვეთ, რომ უეგზამენოდ მიგვიღონ. ჩვენ არზაზე დააწერა ხონდოკმა (თანამდებობაა), რომ მოწმობები კარგი არისო და იქაური კანცელარიიდან მოგვეცეს ფურცელი (экзаменационный лист), რომელზედაც დააწერეს სად გვისწავლოა ან ატესტატი თუ გვაქვს... ეს ფურცელი უნდა წარვადგინოთ საეგზამენო კომისიაში სამ აგვისტოს. ამ ფურცელს წარდგენისთანავე მოითხოვენ დოკუმენტებს და განიხილავენ და თუ ცვენს, ეს კარგი არისო, დააწერენ იმ ფურცელზე, უეგზამენოთ მივიღოთ“<sup>2</sup>.

ამავე დროს კირილემ უნივერსიტეტის რექტორს ასეთი განცხადება წარუდგინა: „მსურს ჩემი განათლების საბოლოო დასრულებისათვის მოვისმინო მეცნიერების სრული კურსი ს. პეტერბურგის უნივერსიტეტში ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. უაღრესად ვთხოვთ თქვენს აღმატებულებას, რათა მიმიღონ საკუთარ კმაყოფაზე მყოფ სტუდენტთა რიცხვში გამოცდების გარეშე, რადგან მე მაქვს საჭირო ატესტატი ქუთაისის გუბერნიის გიმნაზიის საბჭოს დამოწმებული...“<sup>3</sup>

ამ თხოვნასთან ერთად კ. ლორთქიფანიძეს უნივერსიტეტში წა-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 428.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ГИАЛО, ф. 14, д. 1590, св. 3433, г. 1860, стр. 3. გარდა ამისა კირილე ლორთქიფანიძის პირად საქმეში: «Дело правления императорского С. Петербургского университета о принятии в числе студентов Кирилла Лорткпанидзе», მოთავსებულია შემდეგი დოკუმენტები: 1. ცნობა კ. ლორთქიფანიძის სტუდენტად ჩარიცხვის შესახებ, 2. ცნობა სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე, 3. ძველი სისტემის მატრიკული № 550, 4. თხოვნა ყოფილი სტუდენტის კ. ლორთქიფანიძის დოკუმენტების დაბრუნების შესახებ, 5. თხოვნა ისევ დოკუმენტების თაობაზე, 6. უნივერსიტეტიდან გარიცხვის მოწმობა.

რუდგენია: მეტრიკული ამონაწერი, მოწმობა თავადობის შესახებ და გიმნაზიის დამთავრების ატესტატი.

უნივერსიტეტის რექტორს კირილეს თხოვნა შეუწყნარებია და 1860 წლის 15 სექტემბერს უგამოცდოდ ჩაურიცხავთ ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. კირილეს პირად საქმეში მოთავსებულ დოკუმენტებში წერია: „უნივერსიტეტის მმართველობის ყურნალის მიხედვით, თავ. კირილე ლორთქიფანიძე მიღებულია სტუდენტად ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე 1860 წლის 15 სექტემბრიდან“<sup>1</sup>.

ამავე წლის 20 სექტემბრიდან კ. ლორთქიფანიძეს დაენიშნა კავკასიის კომიტეტის სტიპენდია. ამავე პირად საქმეში ვკითხულობთ: „უნივერსიტეტის მმართველობის ყურნალის მიხედვით, საკუთარ კმაყოფაზე მყოფი კ. ლორთქიფანიძე 1860 წლის 20 სექტემბრიდან გადარიცხულია კავკასიის კომიტეტის სტიპენდიატად“<sup>2</sup>.

კირილე ლორთქიფანიძე დიდი ინტერესით შეუდგა სწავლას, მაგრამ მას არ აკმაყოფილებდა მხოლოდ პროფესორთა ლექციები. როგორც აქტიური სტუდენტი, იგი დაუქავშირდა რუს და პოლონელ ახალგაზრდობას. თვითონაც ბეჭითად სწავლობდა და სხვებსაც აიძულებდა უსაქმოდ დრო არ დაეკარგათ. სისტემატურად ეხმარებოდა ამხანაგებს. მას, როგორც სპეტაკ ადამიანს, დიდი ავტორიტეტი ჰქონდა ქართველ სტუდენტებს შორის. მისი სიტყვა და საქმე ყოველთვის ერთი იყო. კირილე განსაკუთრებულ მზრუნველობას პეტერბურგში. ახლად ჩამოსული სტუდენტებისადმი იჩენდა.

უნივერსიტეტში მისალუბი გამოცდების ჩასაბარებლად ლათინურ ენაში ნ. ნიკოლაძე კირილეს მოუქმზადებია. ამის შესახებ ნ. ნიკოლაძე წერს: „ეხლა ლათინური ენა უნდა მესწავლა ეგზამენის დასაქერად. ფილიპე გახდა ამ საგანში ჩემს პროფესორად“<sup>3</sup>.

მართალია, იგი რევოლუციონერია. ახალგაზრდობის თანამოაზრე იყო, მაგრამ სახიფათო მომენტში ზოგჯერ სიფრთხილეს იჩენდა. ამით აიხსნება მისი წინააღმდეგობა 1861 წელს სტუდენტთა დემონსტრაციაში ქართველი სტუდენტების მონაწილეობის შესახებ.

როგორც ცნობილია, 1861 წლის 25 სექტემბერს პეტერბურგის ქუჩებში უნივერსიტეტის სტუდენტთა დიდი დემონსტრაცია მოეწყო: დემონსტრაციის წინ, ორი დღით ადრე უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში რექტორი პლეტნევი აფრთხილებდა სტუდენტებს, ზელო

<sup>1</sup> ГИАЛО, ф. 14, д. 1590, с.в. 3433, г. 1860, стр. 2.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 3.

<sup>3</sup> ნ. ნიკოლაძე, ტ. 1, გვ. 50, ფილიპე კ. ლორთქიფანიძის შერქმეული სახელაი. — გ. 8.

აეღოთ მთავრობის წინააღმდეგობაზე, თორემ შესაძლებელი იყო ამას შედეგად უნივერსიტეტის დახურვა მოჰყოლოდა; მაგრამ რექტორის სიტყვა არავის ესმოდა და ორატორები ძალად ტრიბუნებიდან ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მთავრობის ლანძღვასა და საბრძოლო მოწოდებაში. ქართველი სტუდენტების ხელმძღვანელებსაც განზრახული ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ ამ საერთო მოძრაობაში. ამის თაობაზე ნ. ნიკოლაძე წერს: „მეორე დღეს კვირას, სექტემბრის 24-ს, ისიც იყო ვისადილეთ მ. ი. სემიონოვის ქალთან, რომელიც თვეში 7 მ. 25 კ. გვაჰმევედა ნისიად სადილს ქართველ სტუდენტებს და ფრანგ ორიენტალისტს ეაბას, რომ სასადილოში შემოვიდნენ ორივე ღოდობერიძე, ნ. ბ. და ბ. ლ., რომლებიც დიდი ხანია ერთად არ გვენახა. ახლა ისინი ყოველად შეთანხმებული მეგობრების შთაბეჭდილებას სტოვებდნენ... ღოდობერიძეებმა გადმოგვეცეს, რომ ხეალ მთელი სტუდენტობა „დემონსტრაციაზე“ გამოდისო და ჩვენც გამოუკლებლივ უნდა მივიღოთ მონაწილეობაო. დემონსტრაცია კი იმაში უნდა გამოხატულიყო, რომ სტუდენტები თავს მოიყრიდნენ ჭერ უნივერსიტეტში და მერე ნევის პროსპექტით და ვლადიმირის ქუჩით გაემართებოდნენ, რათა პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისათვის წარედგინათ მოთხოვნილება უნივერსიტეტის წინანდელი წესრიგის დაცვისა და მატრიკულის შემოღების წინააღმდეგ პროტესტი განეცხადებიათ“<sup>1</sup>.

ღოდობერიძეების განცხადებას წინააღმდეგობა გაუწია დ. აბდუშელიშვილმა, რომელიც მიზეზად ქართველი ახალგაზრდობის თავისებურ პირობებს ასახელებდა.

როგორც ნ. ნიკოლაძე გადმოგვცემს: „ღოდობერიძეებს არც კი სჯეროდათ, რაც მოისმინეს: ახალგაზრდობა ყოველთვის ემორჩილებოდა მათ და პირველად წააწყდნენ ახლა უჩრბობას. მათ ის უპასუხეს, რომ შეუძლებელია ქართველები ჩამორჩნენ, როდესაც ყველა სათვისტომოები დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებენო. ამაზე კი რიღე ლორთქიფანიძემ შენიშნა, რომ ქართველები სხვებს ვერ მიბაძავენ. რუსეთში, პოლონეთში, მალოროსიაში ბევრია ნასწავლი ხალხიო. ეს ქვეყნები უინტელიგენციო არ დარჩება, მათი ახლანდელი სტუდენტობა სულაც რომ აღიგავოს პირისაგან დედამიწსა. ჩვენში კი საქმე სხვანაირია. ჩვენ ქართველი სტუდენტობის პირველი თაობა ვართ. ჩვენ რომ ახლა დავბრკოლებით, ქართველ შამეზს შემდეგ ვერც კი გააგონებთ შვილები უნივერსიტეტში გამოგზავნონო. ძველებურად საკადეტო კორპუსებში მიბარებენ, მით უმეტეს ეს უფრო ადვილია საქმეა და არც ფულის

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე, ტ. 1, გვ. 100—101.

დახარჯვაა საჭირო. ბევრი კამათის შემდეგ ნიკოლოზ დოლობერიძემ წასვლისას სიტყვა გვესროლა, — განაგრძობს ნ. ნიკოლაძე, — ვინც მშინარა ხართ, სახლში დარჩითო. ეს კი საკმაო იყო იმისთვის, რომ არა თუ დემონსტრაციებზე წავსულიყავით, არამედ თავი კედელზე-დაც შეგვეხეთქა<sup>1</sup>.

მართლაც, დოლობერიძეების მოხერხებულმა სიტყვამ ნაყოფი გამოიღო. მეორე დღეს ქართველი სტუდენტების უმეტესი ნაწილი გამოცხადდა დემონსტრაციაზე და მათ შორის კ. ლორთქიფანიძეც.

კ. ლორთქიფანიძის სიფრთხილე გამოწვეული იყო, როგორც პროფ. მ. ზანდუკელი სამართლიანად აღნიშნავს, არა სიმბდალით, არამედ სამშობლოს დიდი სიყვარულითა და მისდამი პასუხისმგებლობის გრძნობით. იგი განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდა თითოეული სტუდენტის მიმართ, რადგან ყოველ მათგანში კ. ლორთქიფანიძე სამშობლოს თავისუფლებისათვის შებრძოლ ქარისკაცს ხედავდა.

კ. ლორთქიფანიძე 25 სექტემბრიდან 12 ოქტომბრამდე სტუდენტთა ყველა კრებისა და მიტინგის აქტიური მონაწილე იყო. ხოლო 12 ოქტომბერს 280 სტუდენტთან ერთად ისიც დააპატიმრეს ლ. პეტერე-პავლეს ციხეში მოათავსეს. ხოლო იმავე წლის 16 ოქტომბერს სხვა პატიმრების მსგავსად კ. ლორთქიფანიძის ბინაც გაჩხრიკეს.

„1861 წლის დღესა 16 ოქტომბერს უფროსის განკარგულებით მე მეორე განყოფილების მესამე კვარტალის ზედამხედველი ბეკშლოვი მივედი აღნიშნულ რიცხვს ზოხიმას სახლში, რომელიც მდებარეობს შუა მეშჩანსკას ქუჩაზე 19 ნომერში. ბინა, რომელიც დაქირავებული იქვს ოქროს საქმის ხელოსანს როზენბერგს, მისგან ოთახი დაქირავებული იქვს ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებს კირილე ლორთქიფანიძეს და ნიკო ნიკოლაძეს. ვაწარმოე გაჩხრიკა, როგორც ნივთების, ისე ქაღალდებისა, რომელთა შორის საეკვო არაფერი აღმოჩენილა, რაზედაც შედგენილი არის ეს აქტი. რადგან ნიკოლაძე და ლორთქიფანიძე დაპატიმრებულნი არიან, მათ მიერ დაქირავებული ოთახი დალუქული იქნა და მასში მოთავსებული ნივთები შესანახად გადაეცა ზოხიმას სახლის უფროსს მეეზოვეს, გლუხს ანდრია სტუფანეს-ძე ჟრებტოვს, რომელიც პასუხისმგებელია შენახვისათვის. ზედამხედველი ბეკშლოვი. ამ აქტის შედგენას ესწრებოდა სტუდენტი გიორგი მესხი. ხელს აწერს მეეზოვე“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე, ტ. 1, გვ. 101.

<sup>2</sup> ЦГИАЛ, ф. 1405, оп. 59, д. 6637, л. 1861, стр. 20.



პეტრე-პავლეა ციხეში კ. ლორთქიფანიძე ღიღბანს არ დაჩინი-  
ლა. იგი ერთი კვირის შემდეგ სხვებთან ერთად კრონშტადტის სი-  
მაგრეში გადაუყვანათ. აქ პატიმრები შედარებით უკეთეს პირო-  
ბებში იყვნენ. ისე როგორც ნ. ნიკოლაძე, კ. ლორთქიფანიძეც კარ-  
გად ახასიათებდა კრონშტადტის ციხის პირობებს.

19 ოქტომბერს ციხეში კ. ლორთქიფანიძეს სხვებთან ერთად  
სტანდარტული კითხვარი მისცეს. პასუხებოდან ჩანს ახალგაზრდა  
სტუდენტის გამბედაობა და შეუპოვრობა. იგი კითხვებზე პასუხის  
დროს ზოგჯერ თვით პოლიციას სდებს ბრალს უხეში მოქმედებისათ-  
ვის და ცდილობს პასუხისმგებლობა თვით მთავრობის მოხელეებს  
დააქისროს. მოგვაქვს მთლიანად კირილუს ახსნა-განმარტება შიცი-  
მულ კითხვებზე.

„ჩემი სახელი არის კირილე ბეჟანის-ძე ლორთქიფანიძე. მე ვარ  
პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელსაც არ მიმიღია  
მატრიკული ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტის მეორე კურ-  
სისა. ვარ კავკასიის კომიტეტის სტიპენდიტი, შვილი ბეჟან გრი-  
გოლის-ძე ლორთქიფანიძისა. დაბადებული ვარ ქუთაისის გუბერნი-  
აში, იმავე მაზრის სოფელ დინაშხოში. ასაკით 21 წლისა, სარწმუნო-  
ებით მართლმადიდებელი, აღსარებასა და ზიარებაზე ეყოფილვარ.  
პასუხისგებასა და სამართალში არ ეყოფილვარ. ვიცი რუსეთის იმპე-  
რიის კანონები.

1861 წლის 12 ოქტომბერს, დაახლოებით თორმეტს ნახევარზე,  
მე გამოვედი საქმისათვის და ვავემგზავრე უნივერსიტეტისაკენ, რათა  
გამეგო რაიმე ახალი ჩვენი საქმის შესახებ. მაგალითად, მიღებულია  
თუ არა თხოვნა მოცემული ვადის გასვლის შემდეგ. მიიღო სტუდენ-  
ტთა მეტმა ნაწილმა მატრიკული თუ არა და ასე შემდეგ. აგრეთვე  
მინდოდა შეესულაყავი შევიცართან წერილებისათვის. მე ვფიქრობ-  
დი გამეგო რაიმე სტუდენტებისაგან, რომლებსაც შეეძლოთ მაშინ,  
ისე როგორც წინა დღეებში, მდგარიყვნენ უნივერსიტეტის ახლოს.  
როცა მივდიოდი უნივერსიტეტისაკენ სასახლის ხიდან, სანაპიროს  
ქუჩაზე, მეცნიერებათა აკადემიის წინ, მე შევხვდი სტუდენტებს,  
რომლებიც მოდიოდნენ უნივერსიტეტიდან და რომლებმაც ჩემს კი-  
თხვაზე, თუ რა ოციან ახალი, მიპასუხეს, რომ უნივერსიტეტის ახ-  
ლოს არის დიდი ჯგუფი სტუდენტებისა, რომ პოლიციის ჩინოვნიკმა  
უბრძანა მათ დაშლილყვნენ და რომ ისინი იშლებიან. ახლოს მისე-  
ლისას მე დავინახე ჯგუფი სტუდენტებისა და კერძო პირებისა. რომ-  
ლებიც იდგნენ ტროტუარზე დაწყებული უნივერსიტეტის მცირე შე-  
სასვლელიდან დიდ შესასვლელამდე. მე მიუახლოვდი ჯერ ერთს,  
მერე, სხვა ჯგუფს, მაგრამ განსაკუთრებული ვერაფერი გავიგე.

ბოლოს მივედი უნივერსიტეტის დიდ შესასვლელთან. იქ სტუდენტების ჯგუფს შორის იღვა პოლიციელი, რომელიც როგორც მე გავიგე სტუდენტებისაგან (მე არ შემეძლო რაიმე გაძევონა) ურჩევდა სტუდენტებს არ შეკრებილიყვნენ უნივერსიტეტის წინ და თუ მათ სურდათ მოლაპარაკება, მაშინ შეკრებილიყვნენ ქალაქ გარეთ. ჩემი მისვლის ხუფი ან ექვსი წუთის შემდეგ მოვიდა ობერპოლიცმეისტერი და ბრძანა დაიშალენითო. ზოგიერთები მიდიოდნენ, სხვები დარჩნენ ადგილზე, გართული იყვნენ ერთმანეთში ლაპარაკით. მე ვიპყოფებოდი უკანასკნელთა შორის, ობერპოლიცმეისტერი განაარგულებას აძლევს პოლიციელებს შემოგვეტყუან ჩვენ. როცა პოლიციელები შემოგვეტყუენ წასული სტუდენტებიც მობრუნდნენ და შემოგვიერთდნენ ჩვენ და ყველანი ისე ძლიერ ვიქენით მესერზე მიქყულტილი, რომ მე ქუჩაში ტროტუარის კიდეზე დგომის დროს, კინაღამ ფეხი მოვიტეხე. სტუდენტები და სხვა გარეშე პირები, რომლებიც იღვნენ ტროტუარზე ჯგუფად მცირე შესასვლელთან და სანაპიროზე, დაატიმრებულნი იქნენ უანდარმების ბრძანებით... ისინი შემოგვიერთეს ჩვენ და ყველანი შეგვრეკეს უნივერსიტეტის ეზოში. შემდეგ როცა ჩაიწერეს ჩვენი გვარები, წაგვიყვანეს ციხეში. ეზოდან გასვლის დროს, ცენზურის კომიტეტის ჭიშკართან, ჩვენ დავინახეთ სტუდენტები და კერძო პირები, ამხანაგები და ნათესაეები, რომლებიც გვემშვიდობებოდნენ. უანდარმები და ჯარისკაცები, არ ვიცი რატომ, თავს დაესხნენ მათ და თოფის კონდახითა და ცხენის ფლოქვეების ცემით მიიმწყვდიეს უნივერსიტეტის კედელთან. ჩვენ მივდიოდით შორს, ან უკეთ რომ ვთქვათ, ჩვენ მივყავდით და მე უკვე არ შემეძლო დამენახა თუ რა ხდებოდა იქ. ხოლო ტუჩკოვის ნიდთან მისვლამდე დავინახე, რომ ისინიც მოჰყავდათ ჩვენთან უკან. გზაში ციხისაკენ სვლის დროს უკან მყოფ სტუდენტებს სცემდნენ ჯარისკაცები კონდახით, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ისინი მიდიოდნენ ნელა. ამით მე ვამთავრებ პასუხს კითხვებზე, ვთელი რა საკმარისად კომისიისათვის აქ ჩამოთვლილ ფაქტებს, რომელთა მოწამე მე ვიყავი 12 ოქტომბერს. კირილე ლორთქიფანიძე.

საკუთარ ხელით წაშლილია სიტყვა ზუთ ადგილზე და ერთ ადგილზე ჩამატებულია შემდეგი სიტყვა „По той только причине“ კ. ლორთქიფანიძე“<sup>1</sup>.

ამ დოკუმენტიდან აშკარად ჩანს კ. ლორთქიფანიძის მებრძოლი ბუნება. ჩანს; იგი მთელი არსებით დაუკავშირდა თავისუფლებისათვის მებრძოლ ახალგაზრდობას.

<sup>1</sup> ЦГИАЛ, ф. 1405, оп. 59, д. 6629, г. 1861, стр. 195—196.

ყველაზე დიდი ბრალდება სტუდენტებისათვის მატრაქულის მიუღებლობა იყო. ეს ირკვევა დაკითხვის და გამოძიების მასალებიდან. კ. ლორთქიფანიძემ კი თავისი ხელით ჩაწერა პასუხში: „არ მიმიღია მატრიკული ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის მეორე კურსისა“.

ისიც საყურადღებოა, რომ 12 ოქტომბერს იგი შეიჭრა მეამბოხე სტუდენტთა ჯგუფში და არ დაემორჩილა ობერპოლიცემისტრის განკარგულებას სტუდენტთა ჯგუფის დაშლის შესახებ და დარჩა იმავე ადგილზე დაპატიმრებამდე. ყოველივე ეს კ. ლორთქიფანიძემ თავისი ხელით ჩაწერა დაკითხვის აქტში.

ასევე საინტერესოა დამატებით კითხვებზე მისი პასუხი.

„1. იყო თუ არა გათვალისწინებული სტუდენტების მიერ უნივერსიტეტში შეჭრა იმ მიზნით, რომ წაერთმიათ ამხანაგებისათვის მატრიკულები და ეცემათ მათთვის იმ შემთხვევაში, თუ ნებით არ დაეთანხმებოდნენ ასეთის მიცემაზე? მე არ ვიცი და გადაჭრით შემიძლია ვთქვა, რომ ეს არ შეიძლებოდა ყოფილიყო, იმიტომ, რომ არ მგონია რომელიმე სტუდენტთაგანი გაბედავდა ასეთი დანაშაულის ჩადენას. ფაქტია ისიც, რომ ჩვენს შორის ისეთებიც იყვნენ დაპატიმრებულნი, რომლებსაც ჰქონდათ მიღებული მატრიკულები და ეს ამართლებს ჩემს წინასწარ ჩვენებას.“

2. არც მე და არც სხვა დაპატიმრებულთაგანი ძალად არ შეჭრილა უნივერსიტეტის კარებში.

3. პასუხი ამ კითხვის პუნქტზე გაცემული მაქვს ახსნა-განმარტებაში.

4. უნივერსიტეტის ეზოდან გამოყვანის დროს არც მე, არც სხვები არ დასხმიან ჭარისკაცებს და არც უტყემიათ მათთვის. მსგავსი ყვირილი, როგორცაა „Народ за нас!.. ура!“ არ გამიგონია.

5. ზხაზე ციხისაქენ სვლის დროს არ თქმულა არავითარი სიტყვა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო თქმული და თუ სტუდენტები იზდიდნენ ქულებს, ეს იმიტომ, რომ ხვდებოდნენ ნაცნობებს, ამხანაგებს და ნათესავენებს ზხაში.

6. ციხისაქენ სვლის დროს (და არც სხვა დროს) მე არ მქონდა კეტი და არც დამინახავს, რომ ეს ჰქონოდა ვინმე დაპატიმრებულთაგანს. ჩემს ახლო მყოფ ოფიცრებთან ლაპარაკის შესახებ არაფერი ვიცი“<sup>1</sup>.

ორი თვის პატიმრობის შემდეგ, ისე როგორც სხვა პატიმარი სტუდენტები, კ. ლორთქიფანიძეც გაათავისუფლეს, თუმცა მათ თავდების გარეშე აუკრძალეს პეტერბურგში ცხოვრება. განთავისუფ-

<sup>1</sup> ЦГИАЛ, ф. 1405, оп. 59, д. 6629, г. 1861, стр. 195—196.

ლებული სტუდენტების პირობების შესახებ კ. ლორთქიფანიძე თავის ძმას გრიგოლს სწერს: „მეოთხე კურსის სტუდენტები ან უნდა დარჩნენ პეტერბურგში თავდებით, თუ თავდებს ვერ იშოვნიან, მაშინ წავლენ და იქაც თავდები უნდა ეყოლოსო. თუ იქაც არ ეყოლებათ თავდები, გაგზავნიან ვიატკასა და მის ახლომახლო გუბერნიის ვეზდის ქალაქებში. მესამის, მეორის და პირველი კურსის უნდა დარჩეს პეტერბურგში თავდებით, თუ არა შინ წავლენ. გარეშე პირები, რომლებშიაც მწერლები (ლიტერატორები) შედიოდნენ, ისინიც ამნაირად დასაჯეს, მაგრამ შინ გაგზავნა მათთვის მხოლოდ ერთი წლის ვადით იყო. ამნაირად, სტუდენტები ციხეში ნამყოფი გამოირიცხეს უნივერსიტეტიდან. ახლა ამ საშობაოდ უნივერსიტეტი დახურეს და ვინც შიგ იყო დარჩენილი, ისინიც გამოირიცხეს და დანარჩენები პროფესორები... შტატის გარედ დატოვეს“<sup>1</sup>.

კირილე ლორთქიფანიძე სხვა პატიმარ სტუდენტებთან ერთად უნივერსიტეტიდან გარიცხეს და ასეთი მოწმობა მისცეს:

„წარმომდგენი ამისა კირილე ლორთქიფანიძე ჩარიცხული იქნა სტუდენტად სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში 15 სექტემბერს, 1860 წელს. ისმენდა საგნებს ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტისა, ყოფაქცევაში აქვს კარგი<sup>2</sup>. 26 დეკემბერს 1861 წლისა უნივერსიტეტის დახურვის გამო დათხოვნილია უნივერსიტეტის მეორე კურსიდან, რის გამო კურსდამთავრებულის უფლებით ვერ ისარგებლებს და სახელმწიფო სამსახურში მიღებისას კანონის კრებულის (1857 წ. გამოცემა) და სახელმწიფოსაგან განსაზღვრული წესდების § 88-ის საფუძველზე მას აქვს უფლება იქნეს ჩარიცხული მეორე კატეგორიის ჩინოვნიკად. დასამტკიცებლად ამისა მიეცა ეს მოწმობა კირილე ლორთქიფანიძეს სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის დროებითი კომისიისაგან, რომელზედაც არის ხელმოწერა და აზის უნივერსიტეტის მცირე ბეჭედი. 15 მაისი 1863 წელი. დროებითი კომისიის თავმჯდომარე (ხელმოწერილია).“

მდივნის მოვალეობის აღმასრულებელი (ხელმოწერილია)<sup>3</sup>.

უნივერსიტეტიდან გარიცხულსა და პატიმრობიდან განთავისუფლებულ კ. ლორთქიფანიძეს თავდების გარეშე პეტერბურგში ცხოვრების უფლება არ ჰქონდა, მაგრამ იგი მაინც პეტერბურგში დარჩა და ამ ქალაქის მღელვარე ცხოვრების აქტიური მონაწილე შეიქნა. იგი ღრმად დარწმუნდა იმაში, რომ უნივერსიტეტზე არანაკლებ სასარგებლო იყო რევოლუციონერი ახალგაზრდობის წრეები და ჩერ-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 429.

<sup>2</sup> ჯერ ჩაწერილია მელნიტ „Очень хорошо“, შემდეგ ეს გადაშლილია და მიწერილი აქვს „Хорошо“. — კ. შ.

<sup>3</sup> ГИАЛО, ф. 14, д. 1590, связ. 3433.

ნაშეესკის. თანამებრძოლთა რევოლუციური საქმიანობა. ამდენაჲ, კ. ლორთქიფანიძე უნივერსიტეტის დახურვის შემდეგაც პეტერბურგში აგრძელებს ცხოვრებას. იგი ვერ შეაშინა პოლიციის მოსალოდნელმა რეპრესიებმა, ვერც სასტიკმა ეკონომიურმა პირობებმა. ცხადია, უნივერსიტეტიდან გარიცხვის შემდეგ კ. ლორთქიფანიძემ ცხოვრების საარსებო წყარო — სტიპენდია დაკარგა, მაგრამ ბრძოლაზე ხელი მაინც არ აიღო. სტიპენდიის შესახებ კირილე ძმას სწერს: „...ბესარიონ ლოღობერიძემ, დავით ლოღობერიძემ, თუმანიშვილმა, მე და გიორგი წერეთელმა დავკარგეთ სახელმწიფო სტიპენდია, ახლა გვჭირს უფულობა“<sup>1</sup>.

თუმცა მას არც სტიპენდიის დაკარგვამდე ჰქონდა პეტერბურგში ცხოვრების კარგი პირობები. ჯერ კიდევ 1860 წლის 15 დეკემბერს ძმას სწერს:

„მე მშვიდობით ვარ, ზოგს ამბავს შემოგითვისლიდი, საამოც იქნებოდა ვგონებ, მაგრამ თევზმა სთქვა. სალაპარაკო ბევრი მაქვს, მაგრამ პირი წყლით მაქვს სავსეო... ტანისამოსის შეუყერლობით და წიგნების უყიდლობით ვწუხებარ. ჩემს ამხანაგს რომ ფულები არ მოსვლოდა. იქნებ შობას, სადილის ფული არ მქონოდა...“

კირილე გრძნობს, რომ ძმას უჭირს ფულის გაგზავნა და ამიტომ ისიც ძლიერ მორიდებულია, უკიდურეს გაპირვებამდე ითმენს. ისევ ძმას სწერს: „...შემოგითვისლიათ, ფულებს თუ ვიშოვეთ, გამოგიგზავნითო, განა არ ვიცი, რომ თქვენ არ შეგიძლიათ გამოგზავნა?“.

საკვირველია, ნუთუ ისეთი მამული იმდენს არ იძლეოდა, რომ თავმოყვარე ახალგაზრდა კ. ლორთქიფანიძეს პეტერბურგში გაპირვებულად არ ეცხოვრა? თითქმის ყველა კერძო ბარათში ნათესავებისადმი და მეგობრებისადმი ფულის უქონლობაზეა ლაპარაკი. ამ უხერხულობას თვითონვე გრძნობს კირილე და ხშირად მათ წინაშე ბოდიშსაც კი იხდის. იგი ძმას სწერს: „ფულს ვერ გამოგიგზავნითო, რა გაეწყობა, ძლიერ შეგაწუხებთ, არ ვიცი როგორ გადაგიხადოთ... ყველას თავი მოვაძლევ, ვგონებ ლევანას გადავაჭარბე ლიტინით... ორი თვე გავიდა აქაურ სახლის პატრონს არ უთხოვია ფული, ახლა მესამე თვეში რომ გადმოვედი, შვიდჯერ მთხოვა, მეტი დაცდა არ შემიძლიაო“<sup>2</sup>.

ნათესავთაგან კირილეს ყველაზე მეტად ბიძის (დედის ძმის) — ნიკოლოზ ჩიჯავაძის იმედი ჰქონდა, მაგრამ თავმოყვარე და უალრესად მორიდებული ახალგაზრდა ვერ ბედავდა ამის თაობაზე წერილის მიწერას. ჯერ თავისიანებს გადაკრული სიტყვებით სწერდა,

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 429.

<sup>2</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 384.

რომ იქნებ ბიძის ყურამდე მიეღწია ამ ამბავს და თავად მოეფიქრებინა დრამვილისათვის ფულის გაგზავნა.

ამის შესახებ კირილე მოხერხებულად სწერს ძმას: „ჩემს ამბავს დედით ბიძა წერს, რომ დამესიზმრა ფულები გკიროდაო და აგისრულებო. ჩემს აქ მოსვლის შემდეგ ოთხასი მანეთი კი მოუვიდა ბიძისაგან. მამა კიდევ სხვას უგზავნის. ნეტავ ასრე მომსელოდა მისგან. ახლა კი შეიძლებოდა, რომ ცოტა ებოძებია ნიკოლოზას“<sup>1</sup>.

რაკი სიზმრებმა და ქარაგმებმა ვერ იმოქმედა გულცივ ბიძაზე, მაშინ კირილე იძულებული გახდა პირდაპირ თხოვნის ბარათი გაეგზავნა მისთვის, თუმცა, როგორც თვითონ აღნიშნავს ძმისადმი გაგზავნილ წერილში. საკუთარ თავთან დიდი ბრძოლა დასჭირვებია ასეთი გადაწყვეტილებისათვის.

„...ამ წიგნსა ვწერ ბიძაჩემს, იქნება როგორმე შემეწიოს... შენ ვერ წარმოიდგენ რამდენი ძალა უნდა მომეხმარა, რომ თავი დამეთრგუნა და ბიძაჩემისათვის წიგნი მომეწერა. ეს ერთი თვე ნახევარია სულ იმას ვფიქრობ მივწერო თუ არა თქო. დაბოლოს როგორც იქნა დავწერე ეს წიგნი და თუ შეიძლება მომავალ უქმეებზე უთუოდ... მიუტანე. პასუხი რანაირიც უნდა იყოს, მალე შემომითვალე...“

მაგრამ, როგორც კირილეს მომდევნო წერილიდან ჩანს, ბიძას თხოვნა არ შეუსრულებია და პასუხიც არ გაუცია. ამას ადასტურებს კ. ლორთქიფანიძის შემდეგი წერილი, რომელიც საყვედურის კილოთი არის დაწერილი: „თქვენ ჩემი თხოვნა უპასუხოდ დასტოვეთ, მე ეს ასე გავიგე რომ... ჩემი თხოვნა თქვენ მიიღეთ ბავშვის თხოვნად. რომლის დაქმყოფილება საჭროდ არ შერაცხეთ... მე გთხოვდით მხოლოდ ხელის გამართვას და არა ჩუქებას...“<sup>2</sup>

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ თავადი კ. ლორთქიფანიძე ხელგაშლილ ცხოვრებას ეწეოდა პეტერბურგში და ამიტომ სკირდებოდა ფული. მაგრამ ეს არ ითქმის კირილეზე. იგი ყველაზე უბრალოდ ცხოვრობდა და თანაც ყველა სხვასტუდენტზე მეტად მომპირნეობით ხარჯავდა ფულს. დათა მიქელაძისადმი გაგზავნილ წერილში კირილე აღნიშნავს: „მე და კლდიაშვილი რომ ვიდექით ერთად გიორგისა და ბეჟანას წასვლის შემდეგ 15 მანეთი გვეოფნიდა თითოს, მაგრამ ასე ერთი სადილი 8 მანეთიანი (თვეში) დაგვდიოდა ორივეს. პურს ჩვენ ვყიდულობდით 4 გირვანქა შავ პურს დღეში, რადგან ორს სადილზე ვჭამდით და ორს დილა-საღამოს ჩაიზე. ჩაის ერთ სტაჟანს ნაკლადით ვსვამდით და სხვას პრიპუსკით“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 375.

<sup>2</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 604.

<sup>3</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 77.

კ. ლორთქიფანიძის ღარიბულ ცხოვრებაზე მეტყველებს ნ. ნიკოლაძის მოგონებაში კირილეს საცხოვრებელი ბინის აღწერილობა. პირველად პეტერბურგში ჩასული ნიკო ნიკოლაძე ბინად კირილესთან დამდგარა.

„იმავ დილას ბერიშვილთან დავსახლდი... ერთ პატარა ოთახში, რომლის მართხელა ფანჯარა უზარმაზარი სახლის ვიწრო და შშორიან ეზოში გადიოდა. გამიკეთეს ლოგინი ბერიშვილის ლოგინის პირდაპირ. მართო პატარა სტოლი ეტეოდა ამ ორ ლოგინს შუა, ფანჯრის წინ, ორიოდ სკამი და პირისაბანი ტაშტი შეადგენდა დანარჩენ ჩვენ მოწყობილობას...“<sup>1</sup>

რომ კირილე ხელგაშლილად არ ცხოვრობდა, ამას ადასტურებს მისი დახარჯული ფულის ანგარიში. ძმისადმი გაგზავნილ ერთ წერილში კირილე დაწვრილებით ჩამოთვლის ყველა იმ საგანს, რაშიაც დაიხარჯა სახლიდან გამოგზავნილი 100 მანეთი: „მე აქ მინდა შემოგიტვალოთ რაში დავხარჯავ თქვენგან ნაბოძებ ას მანეთს, ან რით ვიცხოვრე მის მოსვლამდის, თუმცა ვიცი, რომ თქვენ არ მყოფთ ვალდებულად ეს ანგარიშები შემოგიტვალოთ, მაგრამ მე მინდა შემოგიტვალოთ:

თქვენგან გამოგზავნილი ასი მანეთიდან დამეხარჯა... 15 მარტამდის... ორს თვეში:

სახლი, საკმელი, ჩაი, შაქარი, პური, სანთელი, სარეცხი, აბანო, ქაღალდი, ლაქი, წიგნის გაგზავნა, წალის შეკერვა, პასპორტის ამოსაწერ-ჩასაწერი, სახლიდან გადასვლაზე და გადმოსვლაზედ, ბარგის გადატანა, შვეიცარს, ფულის მოსვლის უწყების დასამტკიცებელი, სექტემბრის ვალი (14 მან. მმართვედა წალა კალოში და წიგნები ვიყიდე. წალა კალოში ჩვეულებრივ ღირს 12 მანეთად და აქედან მხოლოდ 7 მანეთი გადავიხადე), სულ ამაებში 40 მანეთი და 26 კაპ. თერმს 17 მან. Курс французского языка... 1—60, французская грамматика 3 руб., თავადიშვილობის მოწმობის და ვეფხის ტყაოსნის გამოგზავნა 1—30, დანა—50 კაპ., билет на литературный вечер — 50 კაპ., ბიბლიოთეკაში საკითხავად შესასვლელი — 50 კაპ., ჩვენს ბიბლიოთეკაში—30 კაპ. სულ 62 მან 81 კაპ. ამას გარდა, რაც დარჩა, 36 მან. და 60 კაპ. აქედამ 23 მანეთამდის ერთ თვეს, 15 მარტიდან 15 აპრილამდის, დამეხარჯა იმაებში, რაც ზევით წერია. დანარჩენი 13 მან. და 61 კაპ. დამეხარჯა აპრილის ბოლომდის, ანგარიშს აქ აკლია 59 კაპ. რომლის დაწერა დამეიწყებია გასაველის წიგნში...“<sup>2</sup>

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე, ტ. 1, გვ. 41, ს. ხუნდაძის გამოცემა. ბერიშვილი კ. ლორთქიფანიძის შერქმეული გეარია. — კ. 8.

<sup>2</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 427.

ამავე წერილში ასევე ნაანგარიშეგია დეკემბრისა და იანვრის ხარჯები და ბოლოს, შეჯამების შემდეგ კირილე წერს:

„სულ დამიხარჯავს დეკემბრის პირველ რიცხვიდან 15 მარტამდის: მიუცილებელ ხარჯებზე 74 მან. 46 კაპ. თერძს და მექუდეს 25 მან. წიგნებში 7 მან. 40 კაპ. მოწმობის და ვეფხის ტყაოსნის გასაგზავნი 1 მან. და 30 კაპ. კიდევ—50 კაპ. ლიტერატურული საღამოს ბილეთი 50 კაპ. წიგნების საკითხათ ბიბლიოთეკაში ორი თვის 1 მან.. ჩვენს ბიბლიოთეკაში 60 კაპ. სულ 110 მან. და 76 კაპ. წამალში 2 მან. სულ 112 მან. 76 კაპ.“<sup>1</sup>.

ანგარიში კიდევ გრძელდება და, ბოლოს, დასძენს: „უცაკრავად ვარ ამგვარი ანგარიშისათვის, არ უნდა ვამომეგზავნა, იქნება გეწყინოს, მაგრამ მე ასე მინდოდა, მე კოკნათ მექნებოდა გულში, რაში დაედვა ეს ვალიო...“<sup>2</sup>

დრო გადის და კირილეს ეკონომიური მდგომარეობა ისევ უნუგეშოა: არსებობისათვის სხვადასხვა გზებს ეძებს, მაგრამ შედეგი მაინც არ ჩანს. თავის მდგომარეობით შეწუხებული ძმას სწერს: „ძმარო გრიგოლ, ეს ოთხი წელიწადია სული ჩემი მანდ არის და ხორცი კი სწორედ იმ მდგომარეობაშია, როგორც ღობეში გაკვეხებული ძაღლი, რომელიც ვერც უჩინსაყენ გამოძვრალა და ვერც წინისაყენ... შენის მხრივ წიგნის მოუწერლობის მიზეზი, შენ რომ არ მოგეწერა. მეც ძალიან კარგად ვიცი. შენ გინდა, რომ ცარიელი წიგნი არ მივიღო შენგან და რადგანაც ღონე აღარ გქონდა და არც გაქვს, ამიტომ წიგნს არ იწერები. ჩემის მხრივ წიგნის მოუწერლობის მიზეზი ის არის... არ მინდა, რომ ჩემი წიგნი ფულის მათხოვრად მიიღო. ფულის თხოვნა როგორ შემიძლიან, როცა ისიც, რაც გამოგიგზავნია, ყელში მაქვს გაჩერებული...“<sup>3</sup>

ზოგჯერ კირილე ძმას მამულების დაგირავებას ურჩევდა და ამის საშუალებით ფულის გამოგზავნას თხოვდა, მაგრამ არც ამას მოჰყოლია პრაქტიკული შედეგი.

კირილე თავის მხრივაც ცდილობდა საარსებო წყაროს გამონახვას, განუზრახავს. კერძო ვაკვეთილების აღება, მაგრამ აქაც სიძნელეებს წაწყდომია. იგი გრიგოლს სწერს: „...რასაკვირველია, მარტო შენზედ არ მქონია იმედი, რადგანაც ვიცოდით, რომ ჩვენში ფულის სესხება ძნელია და შემოსავალი ცოტაა, როგორც ზევით ვთქვით მეც ვცდილობდი მეშოვნა როგორმე ფულები, თუ უროკები მინდოდა

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 427.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 605.



მეშოვნა, თუ ეს, თუ ის, მაგრამ ვერაფერი ვერ გავაწყვე. უროკების შოვნას ბევრი ნაცნობობა და ცლა უნდოდა...“<sup>1</sup>

ამასთან ერთად, კირილეს წიგნების თარგმნა დაუწყია, მაგრამ არც ამას გამოუსწორებია მისი ეკონომიური მდგომარეობა.

იმავე წერილში კირილე წერს: „რალაცეებს ვკლავნი იქნება ფული მომცენ მეტი, მაგრამ არაფერი გამეწყო... ბოლოს დავიწყე ერთი ისტორიის თარგმნა და ტყვილა შრომა ხელს არ მომცემდა, რადგან აქ ყოფნა ძვირად მიჯდა, როგორც უფულობისაგან გაქივრებულს...“

როგორც ამ წერილიდან ჩანს, კირილეს გაკვეთილებიც უშოვნია, თარგმანშიაც ცოტაოდენი ფული აუღია, მაგრამ გაქივრებით ნაშოვნი ფული ვალების გაასატუმარებლად ძმისთვის გაუგზავნია.

ბოლოს კირილეს მობეზრდა ასეთი ცხოვრება და გადაწყვიტა: სანამ უნივერსიტეტს გახსნიდნენ, ქუთაისში წამოსულიყო და მასწავლებლის ადგილი ეშოვა. ამ მიზნით იგი პეტერბურგიდან თხოვნას აგზავნის ქუთაისის გიმნაზიის დირექციის სახელზე. ეს ჩანს ძმისადმი გამოგზავნილი ბარათიდან.

„თუმცა აქ ყოფნაში; — სწერს კირილე გრიგოლს, — ბევრს შეიძენს კაცი, მაგრამ მე არ მინდა, რომ ამისათვის შეგაწუხოთ, მე მინდა, რომ მაქ მოვიდე ორი წლის ვადით და სანამ უნივერსიტეტს გახსნიან, ამ ორ წელიწადს მინდა მაქ ვიმსახურო და გადავიხადო ის ვალები, რომელიც დაგედვათ ჩემი მიზეზით. ამის გარდა ცოტა შემოვინახოთ და ორ წელს იქეთ წამოვიდე კურსის დასამთავრებლად. ამისათვის ვაგზავნი დღეს მაქაურ დირექციაში თხოვნას, რომ უმცროსი უჩიტლობის ადგილი მომცენ, ან ქართული ენის, ან გეოგრაფიის, ან მათემატიკის...“<sup>2</sup>

მაგრამ არც ამ განზრახვამ გაუმართლა კ. ლორთქიფანიძეს. მას ქუთაისის გიმნაზიის დირექციამ პასუხიც კი არ აცნობა.

„უთუოდ გახსოვს, — სწერს კირილე გრიგოლს, — რომ 1863 წელს მე თხოვნა გავაგზავნე დირექტორთან, რომ ჩემთვის ქართული ენის მასწავლებლობა მოეცა, მაგრამ მან ხმა არ გამცა. ამ თხოვნიდან ჩანს, რომ მე მაშინ მინდოდა ჩამოვსულიყავ. მას აქეთ რამდენიც წელიწადი გადის, უფრო და უფრო მიძნელებდა უღალალოდ მანდ ჩამოსვლა“<sup>3</sup>.

მთელი წლები განმავლობაში კირილე ცდილობდა, რომ როგორ-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 115.

<sup>2</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 435.

<sup>3</sup> იქვე.

მე უნივერსიტეტის კურსი დაესრულებია და დიპლომი მიეღო. ცხადია, იგი დიპლომს ფორმალურ მნიშვნელობას ანიჭებდა, რადგან მაშინდელი საზოგადოება, სამწუხაროდ, დიპლომით ზომავდა ადამიანის ღირსებას და საზოგადოების თვალაზრისი აიძულებდა კირილეს ანვარიში გაეწია ამ ფორმალური მხარისათვის.

ამის თაობაზე კირილე წერს: „ერთი მიზეზი უდიპლომოდ ჩამოუსვლელობისა ის არის, რომ კაცისათვის ძნელი მოსათმენია, როცა მას სხვაზე უმდაბლესად თვლიან, მაშინ როდესაც ის არ გრძნობს სხვაზე უარესობას... 1863 წელს რთ წამოვსულიყავი, კარგი იყო, მაგრამ ეხლა უდიპლომოდ ჩამოსვლა არ შემიძლიან. ამიტომ რომ ახლა მე იმისთანა თვლით დამიწყებენ ყურებას, როგორც ახლად გიმნაზიის კურს გათავებულს“.<sup>1</sup>

დიპლომის მიუღებლობის მიზეზად, სხვათა შორის, ლუკმა-პურისთვის თავის აფორიაქებულ ცხოვრებას ასახელებს.

„მე რისთვის ვერ მივიღე დიპლომი? იმის გამო ვერ მივიღე, რომ ორიოდე თვე არ მქონია შესვენებული ცხოვრება ეგზამენების წინ, რომ რაც ვიცოდი, ის რიგზე დამეწყო და რაც არ ვიცოდი, დამესწავლა“.<sup>2</sup>

კირილეს პეტერბურგში ყოფნის დროს ყოფილა ისეთი მომენტები, როდესაც იგი კანდიდატის ხარისხისათვის ემზადებოდა და ამ მიზნით აპირებდა გამოცდების ჩაბარებას. კირილე ამის შესახებ გრივოლს სწერს: „ეხლა უნდა მოგწერო, მინდა თუ ღმერთმა ხელი მომიძართა აგვისტოში (თუ ნება მომცეს ეგზამენების დაჭერისა) დაევიტორო კანდიდატობაზე, თუ ნება არ მომცეს, არ ვიცი, რა ვქნა იმის გარდა, რაც მოგწერე, ე. ი. უჩიტლობის ეგზამენის დაჭერა. თუ ნება მომცეს და ვერ დავივიტო, ეს ის იქნება, რომ მე ან იმდენს დროს ვერ დავრჩი, რამდენისაც დარჩენა მსურდა, ანდა გაკვირვებაში თუ ვიქენი, აგვისტომდის რომ ფიქრსა და ოცი კაპეიკის შოვნისათვის დოლიალში დრო თუ წავიდა“.<sup>3</sup>

მართალია, შემდეგ უნივერსიტეტის ზოგიერთი ფაკულტეტი და კურსებიც გახსნეს. მაგრამ კირილესათვის ეს უსარგებლო აღმოჩნდა. ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის მხროლდ პირველი კურსი გახსნეს და კირილეს უნდა დაეცადა მანამდე, სანამ ეს პირველი კურსი მეოთხე კურსამდე მიაღწევდა, რომ მეოთხე კურსზე მოესმინა უკანასკნელი საგნები და სახელმწიფო გამოცდები ჩაებარებია. ამის შესახებ კირილე ძმას სწერს: „როგორც მახსოვს, რამდენიმე-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 384.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

ჯერ მოგწერე. აი ამ სექტემბერში მოვალ, აი აგვისტოში მოვალ. ამას  
ემ რმელით გწერდი, რომ იქნებ უნივერსიტეტის კანონები გამოსცვა-  
ლონ ან ეგზამენების დაქერის ნება მომცენ მეტი, მაგრამ ჩემი იმე-  
დი არ ასრულდა და თქვენთან ცრუ შევიქენი. ეგზამენი უთუოდ უნ-  
და დავიტერო გაისად მისში, თუ მაშინ დაქერის ნება მომცენ და  
თუ არა და სექტემბერში, მანამდე უთუოდ აქ უნდა ვიყო, იმიტომ  
რომ უდიდლომოდ ჩამოსვლა არ მინდა. ნება რომ მოეცათ, 1864-ში  
ან 1865-ში მაინც მანდ ვიქნებოდი. ნება იმისთვის არ მომცეს, რომ  
ჯერ ყველა კურსები არ არის გახსნილი. მეოთხე კურსი გაიხსნება  
წელს სექტემბერში და როცა იმ კურსის ლექციების კითხვას გაათა-  
ვებენ, მაშინ ყველას შეუძლია ეგზამენების დაქერა, მაშასადამე  
მეც<sup>1</sup>.

რადგან კ. ლორთქიფანიძემ პეტერბურგში გამოცდების ჩაბარება  
ვერ მოახერხა, მან გადაწყვიტა გამოცდების ჩასაბარებლად ოდესაში  
წასვლა. და მართლაც 1870 წელს ჩავიდა კიდეცა ოდესაში, მაგრამ  
საქმე იქაც ცუდად დამთავრდა. ოდესის შესახებ ნ. ნიკოლაძისადმი  
მიწერილ ბარათში კირილე წერს: „შენი საქმეები როგორაა. რას  
აბირებ, როდის წამოხვალ. რათ არ მოგწონს ოდესა, ნუ თუ იმ  
საქმეს, რომლისთვისაც ჩამოდი, მანდ ვერ მოიყვან სისრულეში. ამას  
მკითხავდი თქვენს 30 ივნისის დაწერილ წიგნში, შევეცდებო რომ ჯე-  
როვანი პასუხი მოგწერო. რაც მანდედან წაშოვედი არ ყოფილა. რომ  
ჩემი საქმე, ან ჩემი შემდგომის განწყობილება მცოდნოდა ცოტა  
ოდნათ მტკიცედ. უბედურება ის იყო, რომ ყოველდღე ველოდი საქ-  
მის გადაწყვეტას, აი დღეს შევიტყობ ჩემს გარემოებას, აი ხვალ, აი  
ზეგ და ამნაირად გაიარა სამმა თვემ“<sup>2</sup>.

ამ დროის განმავლობაში კირილემ ვერც ოდესაში შეძლო გამოც-  
დების ჩაბარება დიპლომზე და კვლავ პეტერბურგში დაბრუნდა.

პეტერბურგში კ. ლორთქიფანიძის ცხოვრებისა და სწავლის შე-  
სახებ ვრცელი ცნობები მოცემულია 1870 წლის 14 ივლისის თარი-  
ლით პეტერბურგიდან ნ. ნიკოლაძისადმი საზღვარგარეთ გაგზავნილ  
ბარათში. წერილი ვრცელია. იგი მანქანაზე გადაბეჭდილი დაახლო-  
ებით 40 გვერდზე მეტია. ამ წერილში ლაპარაკია ქართულ ჟურნალ-  
გაზეთებზე, ქართველ მწერლებზე და საზოგადო მოღვაწეებზე. თარ-  
გმანებზე, ხელოვნებისა და ლიტერატურის სხვა სადაო საკითხებზე.  
დასასრულს კ. ლორთქიფანიძე ვრცლად აღწერს პეტერბურგში მისი  
ცხოვრების საინტერესო მომენტებს. ამ წერილში აღწერილია კირი-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 467.

<sup>2</sup> იქვე.

ლეს ცხოვრება პეტერბურგში 1861 წლის სტუდენტთა მოძრაობიდან 1870 წლამდე.

...1861 წლის დამლევს ჩვენ გამოგვიციხეს უნივერსიტეტიდან. 1862 წელს მე მიწოდდა ხელახლა შევსულიყავი უნივერსიტეტში, მაგრამ უფულობის გამო ვერ მოვახერხე... ამისათვის მე გავაგზავნე ქუთაისის გიმნაზიის დირექციაში თხოვნა ქართული ენის მასწავლებლობის მოცემასზე. იქიდან პასუხი ვერაფერი მივიღე. ხოლო ჩემს ძმას რომ ეს შეეტყო, ეთქვა ნიკო ლოლობერიძისათვის, რომ კირალემ მოიცადოს პეტერბურგში, როგორც იქნება შევეწვევითო. შეძლებისამებრ ის მეწეოდა, მაგრამ შეწევნა საკმაო არ იყო. ასე მე არ შემეძლო, რომ ან აქ, ან სხვა ქალაქში სადმე სასწავლებელში შევსულიყავი.

1863 წელში შენ კარგად იცი რა მდგომარეობაში ვიყავი. შემძღლო მაშინ სადმე სასწავლებელში შესვლა თუ არა.

1864-შიაც მე იმნაირსავე მდგომარეობაში ვიყავი, როგორც წინა წლებში...

ადვილად გაიგებ, რომ 1865 მე ვერ შევიდოდი სადმე სასწავლებელში. ბოლოს საქმე იმდენზე მივიდა, რომ შემოდგომასზედ რომან მიქელაძესთან უნდა დავმდგარიყავი. იქმე ქიმიის სწავლას შევუდექი, მაგრამ ჩქარა დავინახე, რომ თუ ლაბორატორიაში არა, შინ არ შეიძლებოდა ქიმიის სწავლა, რადგან სამყოფი მოწყობილობა მისდღეში არ ექნება შეუძლებელს კაცს, ასე გასინჯე 25 მანეთამდის მე დავხარჯე შინაურული ლაბორატორიისათვის და 25 მანეთის საღირალიც სიმონოვიჩმა მომცა (მაგრამ 3 ოპიტის გაკეთება რომ შემძლებოდა კარგი იყო, ისე ღარიბი იყო ეს ხიმიური, ხელსაწყობები და ნივთიერებები). ამგვარად, მე მივალწიე 1866 წლის შემოდგომამდის.

...პირველ კურსზე შესვლა მე არ შემეძლო მაშინ, იმის გამო, რომ მე არ ვიცოდი შემეძლებოდა ერთი წელიწადზე მეტი აქ დარჩენა თუ არა. ამგვარად, ანგარიშები მოითხოვდნენ, რომ ეგზამენი დამეჭირა და შინ წავსულიყავი. უეგზამენოთ შინ წასვლა 1866 შეუძლებელი იყო. მე შევუდექი ლექციების სწავლას, რომ 1867 წლის სექტემბერში დამეჭირა ეგზამენი, მაგრამ უფულობისა და ლექციების სისაძაგლის გამო გულდადებით ვერ მოვემზადე. ამის შემდეგ ჩემი მატერიალური მდგომარეობა არ გაკეთებულა, მაგრამ ლექციებს კიდევ ვსწავლობდი, მაგრამ 1868 წლის თებერვლისათვისაც ვერ მოვემზადე. კადევ ვაპირებდი 1868 წლის სექტემბრისათვის, ვერც მაშინ მოვახერხე...

1869 წლის დასაწყისში... მიწოდდა წავსულიყავი ოდესაში, მაგრამ ვალების გასტუმრების შემდეგ ძალიან ცოტა ფული დამრჩა, ისე რომ პეტერბურგში დავრჩი. მე რომ მცოდნოდა ჩემი მატერი-

აღური რესურსები, რაც უნდა ნაკლები ყოფილიყვნენ შემადგენი-  
ნებდნენ ამდენხანს პეტერბურგში დარჩენას, ჩემი საქმე უფრო სხვა-  
ნაირად წავიდოდა. ერთი სიტყვით აქამდის მე არ ვიცოდი და არც ახ-  
ლა ვიცი შემდეგება კიდევ ერთ წელიწადს პეტერბურგში დარჩენა  
თუ არა. თორემ 1866 წელს უთუოდ შევიდოდი ბუნებითი საგნების  
ფაკულტეტზე და აქამდის გათავებული შექნებოდა კურსი... მართა-  
ლია, აქ ყოფნას სულ უსარგებლოდ არ ჩაუვლია ჩემთვის... მე ეს  
მირჩევნია მრავალ ჩვენი ყმაწვილების სწავლას. შენ კარგად იცი,  
რომ მე არ შემშურს ჩვენი ადმინისტრატორების, მსაჯულების და  
ადვოკატების მდგომარეობა. დიპლომი მე მინდოდა მხოლოდ იმი-  
სათვის, რომ მასწავლებლად ყოფნის უფლება მოეცა და მატერია-  
ლური ღონისძიება, რომელსაც მომცემდა მასწავლებლის თანამდებ-  
ობა. მომეხმარა სწავლის შეძენისათვის, რომელიც სასარგებლო იქ-  
ნებოდა საქართველოს სხვადასხვა საქმეებისათვის.

დადგა 1870 წელი. რაღაც ბედად მოულოდნელად ვიზოვე სასეს-  
ხებელი ფული, გადავიხადე ყველა აქაური ვალები და წავედი ოდე-  
საში იმ ფიქრით, რომ იქ ეგზამენი დამეჭირა და მერე ტფილისი-  
საკენ გამოვმგზავრებულიყავი. ოდესაში რომ ჩავედი ერთი ორა-  
კვირის განმავლობაში სწორედ გაშტერებული ვიყავი... იქ ძალიან  
ძვირი ყოფილა ცხოვრება, ისე, რომ პეტერბურგში 20 მანეთად რომ  
იცხოვრებს კაცი იქ 35 ან 30 მანეთად თუ იცხოვრებს, თორემ ნაკ-  
ლებ ვერა... მე უნდა ამომეძუებია კული და დავბრუნებულიყავი პე-  
ტერბურგში, რაიც უკვე აღვასრულე...<sup>1</sup>.

წერილის შემდეგ ნაწილში კ. ლორთქიფანიძე სურვილს გამოთ-  
ქვამს საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე ან სასოფლო-სამეურნეო  
ინსტიტუტში შესვლის შესახებ. მაგრამ მან ვერც ერთი სურვილი  
ვერ შეისრულა და ამდენი წვლების შემდეგ მაინც უდიპლომოდ  
დაბრუნდა საქართველოში. რაკი ერთხელ ჩამოშორდა უნივერსი-  
ტეტს, შემდეგ ველარ შეძლო მის კედლებში კვლავ დაბრუნება. მაგ-  
რამ შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ამით კ. ლორთქიფანიძეს არა-  
ფერი დაუყარავს. თუ ათი წლის განმავლობაში იწრთობოდა და  
ყალიბდებოდა პეტერბურგში როგორც დემოკრატი მწერალი და  
მოქალაქე. უდიპლომობას ხელი არ შეუშლია მისთვის, რომ აქტი-  
ური საზოგადო მოღვაწე გამხდარიყო.

კირილე ლორთქიფანიძის ცხოვრება პეტერბურგში მარტო დიპ-  
ლომზე და საარსებო საშუალებებზე ზრუნვით არ განისაზღვრებო-  
და. მართალია, მაშინ, როდესაც ილია ჭავჭავაძე და სხვა თერგდალე-  
ულები საქართველოში მკაცრ ბრძოლას აწარმოებდნენ ძველი თა-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 467.

ობის წინააღმდეგ, კ. ლორთქიფანიძე პეტერბურგში იმყოფებოდა, მაგრამ იგი უშუალოდ იყო დაკავშირებული საქართველოში იდეურ მოძრაობასთან და, მიუხედავად ტერაქტორიული სიშორისა, აქტიურად იბრძოდა რეაქციული აზროვნებისა და ლიტერატურული ჩამორჩენილობის წინააღმდეგ.

პეტერბურგში მყოფი კირილე კარგად აცნობდა ჩვენი ინტელექტუალური ცხოვრების მაჯისცემას და თავისი სამწერლო მოღვაწეობით ილია ჭავჭავაძის საბრძოლო პოზიციას ამაგრებდა. პეტერბურგში და ჩრდესაც ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ მახვილი აღმართის რევზ ერისთავმა, ბარბარე ჯორჯაძემ, სარდიონ მეხახიშვილმა, გიორგი ბარათაშვილმა, ექვთიმე წერეთელმა და სხვებმა, კირილე ლორთქიფანიძე პეტერბურგიდან მამების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში პირველი ებმება როგორც თერგდალეული.

ამის შემდეგ კირილე ლორთქიფანიძე პეტერბურგიდან სისტემატურად ათავსებდა „ცისკარში“, „საქართველოს მოამბეში“ და „დროებაში“ პოლემიკური ხასიათის სტატიებს, რომლებშიც არსებითად ავითარებდა რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციონერ-დემოკრატების მებრძოლ იდეებს ეკონომიკის, პოლიტიკის, ხელოვნების, ლიტერატურისა და ეროვნული პრობლემების შესახებ. მისი სტატიებიდან აღსანიშნავია: „წიგნი მიწერილი რედაქტორთან“ ექვთიმე წერეთლისა“ („ცისკარი“, 1862 წ., № 4); „ორიოდე სიტყვა „ცისკარზედ“ და ახალი ჟურნალის სარგებლობაზედ“ („ცისკარი“, 1862 წ., № 9); „ბიძია თონიკეს სტატიის გამო“ („საქართველოს მოამბე“, № 4); „ამაო ამათა“ („საქართველოს მოამბე“, № 6).

„საქართველოს მოამბეში“ (№-№-11, 12) აგრეთვე დაიბეჭდა კ. ლორთქიფანიძის მეტად საინტერესო სტატიები „ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები და იქაური ტყვეობა“.

პეტერბურგში ყოფნის დროს კირილემ თარგმნა რუსი რევოლუციონერი პოეტების: დობროლუბოვის, ნეკრასოვის, პლეჩჩევის, ნიკიტინის ლექსები და მოწინავე უცხოელი მწერლების: ბიჩერ სტოუს „ბიძია თომას ქოხი“, ჯემს გრინუელის „უპატრონო და უსახლკარო ყმაწვილის ცხოვრება“, ამასთანავე მან თარგმნა ჰაინრიხ ჰაინეს, რობერტ ნიკოლის, მორიც ჰარტმანის, ვიქტორ ჰიუგოს, ლეოპარდს და სხვათა ლექსები.

აგრეთვე კირილე ლორთქიფანიძემ 1864 წელს პეტერბურგში გაშოსცა ქართული ლექსების პირველი კრებული „ჩონგურის“ სახელწოდებით და 1869 წელს — ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“. მანვე შეადგინა და თარგმნა სხვადასხვა სახის სახელმძღვანელოები;

წერდა ისტორიულ საკითხებზე გამოკვლევებს, აქვეყნებდა პოპულარულ-სამეცნიერო ხასიათის წიგნებს საბუნებისმეტყველო დარგებში.

კირილემ რუსულიდან თარგმნა არითმეტიკის სახელმძღვანელო და ბუნებისმეტყველების პოპულარული წიგნი, სადაც გარჩეულია ასტრონომიის, გეოლოგიის, ბოტანიკის, ზოოლოგიისა და ადამიანის ანატომიის საკითხები. შეადგინა „კითხვა-წერის სწავლების წიგნი“. დაწერა გამოკვლევა „ისტორიის განსახლება და წყაროები“. კირილეს ხელნაწერებში გვხვდება შრომები: «Очерки из политической экономии» (по Миллю) და Библиографический указатель сочинения Н. Г. Чернышевского (1853—1863 гг.), „საზრდო და მისი მნიშვნელობა ხალხისა და საზოგადოების ცხოვრებაში“, „წარკვევები ბუნების ცხოვრებაში“ და სხვა.

კირილე ლორთქიფანიძის ცხოვრებაში ახალი ხანა იწყება 1870 წლიდან. 10 წლის განმავლობაში მოწყვეტილი თავის ქვეყანას, სამშობლოს ხილვას მონატრებული, უკვე იდეურად მომწიფებული მოაზროვნე დაბრუნდა საქართველოში.

გარდა ზემოთ დასახელებული ჟურნალ-გაზეთებისა, კ. ლორთქიფანიძე თანამშრომლობდა „შრომაში“, „ივერიაში“, „კრებულში“ და სხვა ორგანოებში. იგი გარკვეული დროს განმავლობაში რედაქტორობდა „დროებასა“ და „კრებულს“.

საქართველოში ჩამოსული სისტემატურად ბეჭდავდა რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების ლექსების თარგმანებს, იკვლევდა ქართული სალიტერატურო ენის საკითხებს, მუშაობდა ქართული ენის ლექსაქონზე, აქვეყნებდა პედაგოგიური ხასიათის სტატიებს, არკვევდა მატერიალისტური ესთეტიკის საკითხებს, აწარმოებდა პოლემიკას ქართული ენის დაცვისათვის- რუსი ჩინოვნიკების წინააღმდეგ, პრაქტიკულად ხელმძღვანელობდა სტამბების გამართვას, შეადგინა საკუთარი შრიფტი, ხელმძღვანელობდა კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებს, ქუთაისში და თბილისში აწყობდა ლიტერატურულ სადამოებს, დაკავშირებული იყო თეატრების საქმიანობასთან, თანამშრომლობდა მეორე დანში და „შრომის“ გვერდში, ქუთაისში ფაქტიურად ხელმძღვანელობდა გაზეთ „შრომას“. საკუთარ სახსრებს ახმარდა გაზეთებისა და ჟურნალების გამოცემის საქმეს, მას უშუალო კავშირი ჰქონდა პეტერბურგისა და მოსკოვის სამეცნიერო დაწესებულებებთან. 1878 წლიდან 1907 წლამდე კირილეს სისტემატურად ირჩევდნენ ქუთაისის ქალაქის ხმონად, იყო მუდმივი წევრი ქიათურის შავი ქვის საზოგადოებისა და ლირექტორი ქუთაისის ბანკისა.

კირილე, ქართული ლიტერატურისა და კულტურის მეცენატი, დიდ ზნეობრივსა და მატერიალურ დახმარებას უწევდა ქართველ პწერლებს, განსაკუთრებით განუზომელია კირალეს მზრუნველობა აკაკი წერეთლის, გიორგი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძისა და სერგეი მესხისადმი. მთელი სიცოცხლე კირილე ლორთქიფანიძემ საზოგადო საქმეს შესწირა, მას პირადული არაფერი გააჩნდა. იგი ყოველგვარ სასარგებლო საქმეში ღებულობდა მონაწილეობას და ამით ხელს უწყობდა ეროვნული კულტურისა და ლიტერატურის აყვავების საქმეს.

„კირილე იყო ერთგვარი ენციკლოპედისტი, არ იყო რაიმე დარგი, რომ კირილე განზე მდგარიყო და არ მიეღო მხურვალე მონაწილეობა კამათში და საქმიანობაში. იგი მხურვალე მონაწილეობას ღებულობს სათავადაზნაურო საქმეებში, ბანკების, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საქველმოქმედო, გამომცემლობისა, სათეატრო და სხვადასხვა საქმეში. ვინ გაიხსენებს დეტალურად, თუ კირილე სად ღებულობდა მონაწილეობას. შეიძლება ვსთქვათ, ყველგან და ყოველთვის გაისმოდა მისი დამაჯერებელი სიტყვა“<sup>1</sup>

შეიძლება ითქვას, რომ კ. ლორთქიფანიძე დიდი დემოკრატი და შემარცხენე იყო. ამას ადასტურებს როგორც მისი ლიტერატურული მოღვაწეობა, ისე პრაქტიკული საქმიანობა. შემთხვევით არ აიხსენება ის ფაქტი, რომ კ. ლორთქიფანიძე ქართულ ენაზე თარგმნიდა და ბეჭდავდა მხოლოდ რევოლუციონერ მწერლებს.

დემოკრატიული იდეებით შეიარაღებულმა კ. ლორთქიფანიძემ სასტიკი ბრძოლა გააჩაღა ბატონყმობის წინააღმდეგ. მანვე პირველმა გაათავისუფლა თავისი ყმები მიწიანად. ამის შესახებ „სამაჰსოვრო ჩანაწერში“ ნათქვამია:

„პეტერბურგიდან დაბრუნებულმა, სადაც ის სწავლობდა უნივერსიტეტში, მაშინვე გაათავისუფლა გლეხები თავიანთი დროებითი გადასახადებისაგან (ღალისაგან) და დაუტოვა. მათ უსასყიდლოთ საკუთრებაში ჩადეღები. ამასთანავე, მთელი თავისი მამულის შემოსავალი მისცა საკუთარი მონმარებისათვის ძმებს სრულიად. ნუთუ ეს საკვირველება არ არის ჩვენს დროში“<sup>2</sup>.

ამავე დროს, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია კ. ლორთქიფანიძე, როგორც ზნეობრივად სპეტაკი ადამიანი. მას ახასიათებდა მორალური სიფაქიზე უმადლეს ხარისხამდე ამაღლებული და პრინციპულობით დავვირგვინებული. იყო მეტისმეტად ფაქიზი და

<sup>1</sup> აწ განსვენებულ ივ. პურადაშვილის მოგონებიდან, რომელიც მან დაწერა ჩვენი თხოვნით (იხახება ჩვენთან. — კ. მ.).

<sup>2</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 510.



წესრიგიანი. პირადულის უარყოფა და საქვეყნო საქმისათვის სამსახური მისი ზნეობრივი მოთხოვნილება იყო. ყოველთვის სხვისი დამხმარე სხვისი წარმატებას გამო სულიერ კმაყოფილებას განიცდიდა. მას არასოდეს ერთი სტრიქონიც არ დაუბეჭდავს სახელისა და გვარის მოწერით. ყოველთვის ფსევდონიმებით აქვეყნებდა ნაწერებს და ფსევდონიმსაც საიდუმლოდ ინახავდა. თავის სიცოცხლეში სურათი არ გადაუღია.

ნ. ნიკოლაძე თავის მოგონებაში შესანიშნავად ახასიათებს კ. ლორთქიფანიძის უცნაურობას:

„...საკვირველი ქმნილება იყო ეს კაცი. მისთანა ახირებული და თან სასიყვარულო პირი არც მაქნამდი შემხვედრია სადმე, არც მას შემდეგ. ამ კაცის კანში ბედს ორი წინააღმდეგი ზასიათის პირი ჩაუკვეთებია. ერთი მათგანი თავაზიანი, თავდაკავებული, გონიერი, გულგრილი და სხვისთვის თავგამომეტებული ქმნილებაა, ფაქიზიანი, მორიდებული, ფრთხილი, სუფთა და შორს განმკვერეტი. მაგიერათ ვერ წარმოიდგენს კაცი, თუ რამოდენათ ჭიუტი და თავისნებაა, რამოდენათ აჩქარებული და ცეცხლმოღებულა... მაშინ თქვენ წინ წარმოდგება გაქარხლებული, თვალზე გამოკუსული, ათრთოლებული კაცი, რომელსაც როდილა ახსოვს, და რომელიც მზათაა დაღეწოს და შემუსროს ყველაფერი, რაც კი წინ დახვდება...“

წელან ვთქვი, ფაქიზი ზასიათის არის-მეთქი, ავთმყოფობამდეა მისული ეს მისი სიფაქიზე. არ შეუძლია ოთახში დარჩეს მოსვენებით, თუ ჟწესობა რამ დაინახა შიგ, ან მტვერი, ან დანგრეულად დაწყობილი წიგნები, ან უთაებოლად დაყრილი ტანსაცმელი... რაგინდ საჭირო საქმეზე იყოს თქვენთან მოსული, მაშინვე საქმეს თავს დაანებებს და ქადაგებას დაგიწყებსთ: „როგორ იქნება ასე ბინძურათ ცხოვრებაო, ვერ მიაღაგებინებდი განა ამ ოთახსო, ან შენ თვითონ ვერ დააწყობდი რიგზე წიგნებს და ტანსაცმელსო“.<sup>1</sup>

ივ. პურადაშვილიც თავის მოგონებაში კირილეს შესახებ წერს: „მდენად აკურატი (аккуратный) იყო, ყოველივე ნივთი, ყოველი ლდი თავის ადგილზე უნდა ყოფილიყო, მის მაგიდაზე ვერავინ ვერ ახლებდა ხელს, რადგან ყველამ იცოდა მისი ზასიათი — რაიმე რომ თავის ადგილზე არ დახვდებოდა, დაიწყებდა ხატაციის კითხვას და ბოლოს აღარ მისცემდა“.<sup>2</sup>

კირილეს აკურატობასთან დაკავშირებით ივ. პურადაშვილი ერთ ასეთ ანეგდოტურ ამბავს გადმოგვცემს. როდესაც 1902 წლის 22

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 48, ს. ხუნდაძის რედაქციით.

<sup>2</sup> ივ. პურადაშვილი, „ქუთაისის ქართული თეატრი“, ქუთაისის მუზეუმი, ხელნაწერი, გვ. 104—105.

დეკემბერს დღის 3 საათზე ბანკს ყაჩაღები დაესხნენ და ოქროებთან ერთად ფასიან ქალაქებს დაუწყეს ჩხრეკა, კირილეს უთქვამს ყაჩაღებისათვის: „ვეაო, რად ურევ თამასუქებს, მანდ არაფერია, და მერე რამდენი დრო უნდა დავკარგო მაგათი რიგზე დაწყობაზე“<sup>1</sup>.

იმავე პურადაშვილის გადმოცემით, კ. ლორთქიფანიძე დიდი ორაპორი და მოლაპარაკე ყოფილა. ამასთან ერთად მას წესად ჰქონია თანამშრომლებთან და კლიენტებთან ხანგრძლივი ლაპარაკი და ნოტაციების კითხვა.

„უყვარდა ბევრი ლაპარაკი არა თუ მოსამსახურებთან, არამედ კლიენტებთან, განსაკუთრებით ვაჭრებთან. მისი ლაპარაკი ამისთანა შემთხვევის დროს ხმამაღალი და ნერვული იყო. ქუთაისში გადმოვიდა ბაქოდან ვინმე რაგოზინი, კაცი განათლებული, ინტელიგენტი. მან გახსნა ქუთაისში მარშალადის და სხვა ტყბილეულების ქარხანა. ბანკში, საქმეების გამო ხშირად დადიოდა. ერთხელ წააწყდა მის ნერვულ ლაპარაკს კლიენტთან. რაგოზინი მოვიდა ჩემთან და მკითხა: „ОН вдовец?“ მე ვუთხარი: „нет, он холостяк,“ მაშინ მან თავისი დასკვნა გამოიტანა და სთქვა: „тепер понимаю“<sup>2</sup>.

როგორც ნ. ნიკოლაძე აღნიშნავდა, კირილე ჭიუტი ხასიათისა იყო. ამასვე ადასტურებს ივ. პურადაშვილის მოგონებაც. „ზოგიერთ შემთხვევაში ჭიუტიც იყო, — წერს ივ. პურადაშვილი, — ერთ-ჯერ რომ იტყოდა, თავისი უნდა გაეტარებია, იმდენს ილაპარაკებდა, რომ მოწინააღმდეგეს დაღლიდა და ბოლოს და ბოლოს დაითანხმებდა“.

ამის დასამტკიცებლად პურადაშვილს მოაქვს ქუთაისის ბანკის შენობის აგების მაგალითი. კირილე თავს დასტრიალებდა ინჟინრებსა და მშენებლებს და ყოველივეს თავისი სურვილის მიხედვით აკეთებინებდა. ამის შედეგად პურადაშვილის გადმოცემით „ამ მშენებელი შენობას ქონდა ერთი დიდი ნაკლი. კირილე ლორთქიფანიძის მოთხოვნით იატაკი მოფინეს ფიცრით კი არა, არამედ ფერადი აგურით... რომელიც გამოიწერეს მარსელიდან. ბანკის თანამშრომლები და ჩჩევის ზოგიერთი წევრები წინააღმდეგნი იყვნენ, კირილე რომ დაიჯინებდა, იმას აზრს ვერაფერ შეაცვლევინებდა. მისი მოტოვი იყო, რომ ფიცრის იატაკს სუფთად ვერ შევინახავთო და ცეცხლის მხრივ საშიში არისო. გარდა ფანჯრების ჩარჩოებისა, ფიცრის არაფერი იყო“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ივ. პურადაშვილი, „ქუთაისის ქართული თეატრი“, ქუთაისის მუზეუმი, ხელნაწერი, გვ. 104—105.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 49.

<sup>3</sup> იქვე.

კ. ლორთქიფანიძეს არსად საკუთარი კუთხე არ ჰქონია, ყოველთვის ნაჭირავებ ოთახში ცხოვრობდა უბრალოდ. „სამახსოვრო ჩანაწერებში“ ნათქვამია: „თავად ლორთქიფანიძეს არასოდეს არ ყოლია ოჯახი. არც არავითარი ნათესაური კავშირი, რომელიც მის მხრიდან რაიმე ფულად დანმარებას თხოულობდა. მაგრამ არასოდეს არ ზრუნავდა თავის პირად ცხოვრებაზე. მთელ თავის შრომას და დროს ახმარდა სამსახურს. ბუნებრივად ნიჭიერი ადამიანი დაჭილდობული იყო ორატორული ნიჭითაც“<sup>1</sup>.

იმავე „სამახსოვრო ჩანაწერებში“ აღნიშნულია: „რაც შეეხება თავად ლორთქიფანიძეს, ცხოვრების მკაცრ რეჟიმს ის მიუყვანია ასკეტიზმამდე, რომელმაც არასოდეს არ იცის გადახვევა ადამიანის ზნეობიდან“<sup>2</sup>.

დავით მესხი კი თავის მოგონებაში აღნიშნავს: „კერძო ცხოვრებაში კირილე მონაზონს მოაგონებდა კაცს. წმინდა კაციაო, იტყოდნენ მასზე... ქალების საზოგადოებაში ვერსად შეხვდებოდით. იშვიათად თუ შეიგლიდა ნ. ნიკოლაძის ოჯახში...“<sup>3</sup>

გარდა ამისა, აღსანიშნავია კ. ლორთქიფანიძის სხვა უცნაურობაც. როგორც აღრევე აღვნიშნეთ, მას თავის სიცოცხლეში გვარისა და სახელის მოწერით არაფერი არ გამოუქვეყნებია. ყოველთვის ფსევდონიმით ბეჭდავდა და ფსევდონიმსაც საიდუმლოდ ინახავდა. ჭერჭერობით მიკვლეულია კირილეს შემდეგი ფსევდონიმები: თერგდალეული, თომა კარგარეთელი, ცივისელი, უცხო, კილოკავაძე. საფიქრებელია. სხვა ფსევდონიმებსაც ხმარობდა, მაგრამ ამჟამად ჩვენთვის სხვები ჭერ უცნობია. კირილე დაუნდობელი იყო მათ მიმართ, ვინც მის ფსევდონიმს გაამჟღავნებდა და მართლაც, იცოდნენ რა მისი ახარებული ხასიათი რედაქციის წევრებმა, კირილეს საიდუმლოებას მკაცრად ინახავდნენ. იგი ყურნალ-გაზეთების რედაქტორებს იმ პირობით უგზავნიდა თავის მასალას, თუ მხოლოდ ფსევდონიმით დაიბეჭდებოდა. „თუმცა ეს ლექსები ერთობ პროზაულად არის დაწერილი, მაგრამ აზრი, რომელიც აქ არის გატარებული მახედვინებს გთხოვთ, რომ თქვენს ყურნალის მომავალს ნომერში დააბეჭდინოთ, რასაკვირველია უსახელოდ. კ. ლორთქიფანიძე“<sup>4</sup>.

ამხანაგები წინააღმდეგნი იყვნენ კირილეს ფსევდონიმებით ბეჭ-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 510.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> დ. მესხმა მოგონება კ. ლორთქიფანიძეზე ჩვენი თხოვნით დაწერა, ინახება ჩვენთან. — კ. შ.

<sup>4</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 74.

დვისა, მაგრამ მაინც ვერ შეაცვლევიანეს თავისი განზრახვა. როგორც კ. ლორთქიფანიძის ერთი საპასუხო წერილიდან ჩანს, ნ. ნიკოლაძეს ერთგვარი ხერხი გამოუყენებია იმისათვის, რომ კირილეს ფსევდონიმიტ წერისათვის თავი დაენებებია და ნამდვილი გვარის მოწერით ებეჭდა სტატიები. მას კირილესათვის მიუწერია, რომ ის მწერლები, რომლებიც ცულ სტატიებს წერენ, გვარის მოუწერლობით თავიანთ ვინაობას ფარავენო. და ნიკოლაძეს თავისი მაგალითიც დაურთავს, მე როცა ცულ სტატიებსა ვწერ, ნამდვილ გვარს არ ვაწერო. ამ წერილს, როგორც ჩანს, კირილე გაუბრაზებია და იძულებული გამხდარა ასეთი ბრალდებისაგან თავი ემართლებინა.

„...თუ ავტორს იმედი აქვს, რომ იმის ვინაობა არავინ იცის და ვერც ვერავინ შეიტყობს, მაშინ ის ცულ სტატიებს დასწერსო და თუ იცის, რომ სახელ მოუწერლად მისი სტატიის დაბეჭვდა არ შეიძლებაო, ან თუ თავისი ვინაობის დაფარვა არ შეუძლიან, მაშინ ის კარგ სტატიებს დასწერსო. ამ აზრს შენ ამტკიცებ ვითომც კაცის ბუნებაზედ: კაცს უნდა, რომ ყოველივე ცული საქმე თავიდან აიცილოს და სხვას მიაწეროს და კარგი საქმე თვითონ მიითვისოსო. აგრე, როცა მე ხანდახან კარგ სტატიას ვწერ, ჩემ სახელს სიამოვნებით ვაცხადებ და თუ სტატია ჩემის აზრით ცული არის, მაშინ მე ქვევით არაფერს ვაწერ, იმიტომ რომ მრცხვენიაანო. მე მოგწერე, რომ ეს აზრი უსაფუძვლოა მეთქი და შეგბირდი, რომ სახელის გამოუცხადებლობა ცული სტატიების წერას ვერ ფამაბედვიანებს მეთქი, ამით ის მინდოდა მეთქვა, რომ ვლსაც კეთილი მიზანი აქვს, ის ყოველთვის ეცდება, რომ შეძლებს დაგვარად კარგი სტატიები სწერონ მეთქი, გონდ გამოცხადდეს მისი სახელი, გინდ არა მეთქი. აქვე ისიც მოგწერე, რომ შენი აზრი რომ საფუძვლიანი იყოს, მაშინ მე შემეძლო მეთქვა, რომ რედაქციას იმიტომ სურს ავტორების სახელების გამოცხადება, რომ სტატიებს ცულათ სთვლის და ეშინიან, რომ საზოგადოებამ ეს სტატიები რედაქციას არ მიაწეროს მეთქი და თუ შენ ავტორების სახელების გამოცხადება იმიტომ ფსურს; რომ სახელები სტატიების რეკომენდატორები იყვნენ... მაშინ მე გირჩევ, რომ ნურც ერთ სტატიას... ნუ მოაწერ სახელს და მაშინ, თუ რასაკვირველია ხეირიანი იქნენ... თვითონ გაზეთი შეიქმნება სტატიების რეკომენდატორი მეთქი. ეს ჩემი მოპრაქაიშე შენ ისე უხეიროდ გავგივია, რომ შენს მაგიერ მე გავწითლდი“<sup>1</sup>. მართლაც არც კირილეს არგუმენტი იყო უსაფუძვლო. მისი აზრით, მკითხველის ობიექტურ შეფასებას მაშინ გაიგებს ავტორი, როცა მკითხველს არ ეცოდინება მწერლის ვინაობა.

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 570

მიუხედავად ამ დავისა, კირილეს სიკვდილამდე არ შეუცვლია ეს წესი და რედაქტორებიც ცდილობდნენ არ ეწყენინებიათ ამ უცნაური ადამიანისათვის.

ამ მხრივ, როგორც ჩანს, ნ. ნიკოლაძეს შეუცვლადვს და ამის გამო მორიდებულ ბარათს სწერს კირილეს:

„შენა ფსევდონიმის გამომქლავნებამი ვგონებ მე ვარ დამნაშავე და ამიტომ ყური მომიშვერია და ნებას გაძლევ მომწიო. მართალი გითხრა ფსევდონიმის ჩვენში ისეთი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც შენ მწერ. მე შენ გარწმუნებ, რომ კირილე ლორთქიფანიძე რომ მოგეწერა უფრო მეტი წაიკითხავდნენ, რადგან კირილე ლორთქიფანიძეს უფრო ბევრი იცნობს ვიდრე კილოკავაძეს...“<sup>1</sup>

ფეიქრობთ, გვარის გამოუცხადებლობის მთავარი მიზეზი კირილეს თავმდაბლობა იყო. არ უნდოდა მისი სახელის საქვეყნოდ გახმაურება, საქმეზე გული შესტკიოდა, ნანევარ საუკუნეზე მეტი დაუღალავად შრომობდა ერის კულტურისათვის, საქმეს აკეთებდა და, მისი აზრით, სულ ერთი იყო, ამას კირილეს სახელი ერქმეოდა თუ არა. საერთოდ ეს მისი პიროვნების დამახასიათებელი თვისება იყო და გვარის გამოჩენასაც ამიტომ გაურბოდა.

სხვა თავისებურებასთან ერთად კირილეს ერთი აზრებული ჩვეულებაც ჰქონდა: თავის სიცოცხლეში სურათი არ გადაუღია. ამის შესახებ ივ. პურადაშვილი წერს: „სურათი არ გადაუღია და ნებასაც არავის აძლევდა, რომ მისი სურათი გადაეღოთ, თუ შეამჩნევდა რომ მისკენ ფოტო აპარატი იყო მომართული, უცებ ქოლგას გაშლიდა, რომელიც თან დაქონდა წვიმის და მზის წინააღმდეგ. თუმცა ფოტოგრაფმა ცხომელიძემ მოახერხა სურათის გადაღება, როდესაც ბაღში ისვენებდა“<sup>2</sup>.

სურათის თაობაზე ნათესაებებთან გაგზავნილ წერილში კირილე წერს:

„რაც შეეხება ჩემს პორტრეტს, ამაზე დიდი ბოდიში უნდა მოვიხადო, რადგან ჩემი პეტერბურგში ყოფნის დროს პორტრეტის აღება არ მსურს და არც ამიღია, თუ წარმოიდგენ, რომ ჩემთვის ბევრს მოუცია თავისი პორტრეტი და მე შევპირებოვიარ მაგიერის გადახდას და არ ამისრულებია ეს პირობა, იქნება უსინდისოდაც ჩამთვალონ, მაგრამ იმედი მაქვს ავასრულო ეს პირობა“<sup>3</sup>.

და მართლაც, კ. ლორთქიფანიძეს თავის სიცოცხლეში სურათი

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 570.

<sup>2</sup> პურადაშვილის ზემოთ დასახელებული მოგონება.

<sup>3</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 10.

არ გადაუღია და მხოლოდ კრონშტადტის ციხეში გადაღებული სურათია ცნობილი, ისიც პატიმრების ჩვეუფთან.

კირილეს სურათის გადაღების შესახებ გ. ლასხიშვილი თავის მოგონებაში წერს: „ქუთათურმა მეგობრებმა ფეთხოვეს, რამენაირად მოახერხეთ კირილე ლორთქიფანიძის სურათის გადაღება და კარიკატურაში გამოქიმეთო. ცნობილი საზოგადო მოღვაწე კირილე ლორთქიფანიძე ერიდებოდა ფოტოგრაფიული სურათის გადაღებას და მისი მეგობარ-ნაცნობები ბევრს ეცადენ, მაგრამ ამაოდ და კირილეს სურათი ვერ გადააღებინეს. გავგზავნეთ შმერლინგი თავისი აპარატით. კირილეს რალაცნაირად წინასწარ გაეგო ეს ამბავი და ზომები მიეღო. ბანკში, სადაც კირილე მსახურობდა, შმერლინგმა ერთი წუთითაც ვერ ჩივდო ხელში კირილე და ქუჩაში დაუწყო ცდა. გამოვიდა სამსახურიდან კირილე და როგორც კი მოჰკრა თვალი შმერლინგს, გაშალა ქოლგა და ამოეფარა. მაგრამ მხატვარმა მაინც მოახერხა, გვერდიდან მოუარა და ისე, ქოლგით ხელში, შეშინებული სახით გადაიღო კირილე. შემდეგ კვირას კარიკატურა კირილეზე უკვე ამშვენებდა „ცნ. ფურ.“ დამატებას, რომელსაც ქუთათისის ხალხი პირდაპირ იტაცებდა“<sup>1</sup>.

მართლაც, 1902 წლის 16 ივნისს „ცნობის ფურცლის“ სურათებიან დამატებაში მოთავსებულია ბანკის შენობიდან გამოსვლის მომენტში შმერლინგის მიერ შიპარავით გადაღებული კ. ლორთქიფანიძის სურათი და ორი კარიკატურა. პირველ კარიკატურაში წარმოდგენილია კირილე ბანკის გამოსასვლელ კარებთან, გაშლილი ქოლგით, რომლითაც თავს იფარავს ირგვლივ მოშვერილი ფოტოაპარატებისაგან, მეორე კარიკატურაში კირილე ქოლგით ქუდმოგლეჯილი მისდევს ფოტოკორესპონდენტებს, რომლებსაც მიშვერილი აქვთ აპარატები და ამ მომენტში იღებენ კირილეს სურათს. ეს უცნაურობაც კირილეს ბოლომდე შერჩა და მისი ნორმალური ფოტოსურათი არ შემონახულა.

თავისი ცხოვრების უკანასკნელი წლები კ. ლორთქიფანიძემ ბანკის დირექტორის თანამდებობაზე გაატარა, რის გამოც მას ბევრი უსიამოვნება შეხვდა. ქუთათისში მას ოპოზიციონერები გაუჩინდნენ და ეს ყოვლად წმინდანი ადამიანი ისეთ მდგომარეობაში ჩაეპარდა, რომ სასამართლომ ბანკის საქმეების გამო შინა პატიმრობა მიუსაჯა და კირილე იძულებული გახდა, ბანკის ვალების დასაფარავად თავისი და დაძმავთა მამულები გაეყიდა.

<sup>1</sup> გ. ლასხიშვილი, მემუარები, თბილისი, 1934, გვ. 137.

კ. ლორთქიფანიძე საინტერესოა იმითაც, რომ მისი აზროვნება არ იყო გაყინული ერთ ადგილზე. იგი ყოველ ახალ პროგრესულ მოვლენას, ყოველი ახალი პოლიტიკური მიმართულების გამოჩენას აღფრთოვანებული ხვდებოდა და ახალ თაობათა რიგებში იწყებდა მოღვაწეობას.

მართალია, კ. ლორთქიფანიძე სამწერლო ასპარეზზე თერგდალეულებთან ერთად გამოვიდა და მათთან ერთად ეწეოდა მძიმე უღელს, მაგრამ, როდესაც 1866 წელს უფრო რადიკალური ჯგუფი გამოვლინდა „ახალი ახალგაზრდობის“ სახით, კირილე ამ ჯგუფის აქტიური წევრი გახდა. ხოლო ღრმად მოხუცებულმა 1905 წელს ქუთაისში რევოლუციური შინაარსის ლექსების კრებული „სანთური“ გამოსცა<sup>1</sup>.

კ. ლორთქიფანიძე მრავალმხრივი და უნაგარო მოღვაწე იყო. იგი თავის პუბლიცისტურსა და მხატვრულ ნაწერებში იცავდა მშრომელი ხალხის ინტერესებს. პროფ. ს. ხუნდაძე სამართლიანად წერს:

„...ასევე მკაცრად და სასტიკად არის დაგმობილი მონობა და ბატონყმობა თერგდალეულის (კირილე ლორთქიფანიძის) მიერ გადმოკეთებულ წერილებში „ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები და იქაური ტყვეობა“<sup>2</sup>.

კრიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე ხომლედი ასე ახასიათებს კირილეს პიროვნებას:

„კირილე ბეჟანის-ძე ლორთქიფანიძე იყო 60-იანი წლების ერთი დიდი ქართველი ლიბერალი, ასე წოდებული თერგდალეული. შუქურეარსცვლავის ნათელს ფენდა მთელ ქუთაისის არე-მარებს. იგი იყო იმ პრინციპის კაცი, რომელიც იბრძოდა ყმა მიწიანად უნდა განთავისუფლდესო, და მან ეს კიდევ პირწმინდათ შეასრულა. საჩინოს მდიდარი მხარის დიდი მიწა-წყლის პატრონმა თავადიშვილმა მთელი თავისი მამული თავის ნაყმევეებს გადასცა და თვით კი დარჩა სრულიად უმამულოდ და უსახლკაროდ... მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე ასე გაატარა.“

იგი იყო მეტად მაღალი, სპეტაკი ზნეობის და ღრმა დემოკრატიზმის იდეების მატარებელი და მოსარჩლე. ნ. ნიკოლაძე და გ. წერეთელი რომ საზღვარგარეთ წავიდნენ, მაშინდელ საუკეთესო უფროსად „კრებულს“ კირილე უძღვოდა და ხელმძღვანელობდა თბილისში. ქუთაისში გაზეთ „შრომის“ საქმე კირილემ მოაწყო და ითა-

<sup>1</sup> ს ა ნ თ უ რ ი — ნათარგმნი ლექსები თომა კარგარეთელისა, ქუთ. ი. კილაძის და ი. ხელაძის სტამბა, 1905.

<sup>2</sup> პროფ. ს. ხუნდაძე, ილ. ჰავჭავაძის საიუბილეო კრებული, 1937, გვ. 76.

ვა, იგი თვით იყო ფაქტიური რედაქტორი და კორექტორი ამ გაზეთისა... ქართული გიმნაზიის დაარსებას ქუთაისში მან ჩაუყარა მკვიდრი საძირკველი და სხვა... კირილე ქუთაისში ედგა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას მეთაურად... იქვე დააარსა და ხელმძღვანელობდა საურთიერთო ნდობის საზოგადოებას, იყო ქუთაისის თვითმმართველობის ხმოსნად, შეადგინა ახალი ქართული საბეჭდავი ანბანი და მისი სახელწოდების შრიფტი დღემდე იხმარება ჩვენს სტამბაში. ითვლებოდა ქართული ენის საუკეთესო მცოდნედ და სტილისტად.

ის ფარეანასავით თავს დასტრიალებდა მშობელ ერს და ჭერ კიდევ თავის სიცოცხლის დღეებში ქუთაისის საეთნოგრაფიო საზოგადოებას შესწირა თავის მეტად მდიდარი ბიბლიოთეკა და არქივი“.

მართლაც, 1914 წლის 14 იანვრის თარიღით კ. ლორთქიფანიძე თავისი ბიბლიოთეკის შესახებ ასეთი შინაარსის წერილს სწერს ქუთაისის საეთნოგრაფიო საზოგადოების თანამშრომელ ტრიფონ ჯაფარიძეს:

„ქარგალ მოგეხსენებათ, რომ ჩემი ბიბლიოთეკა დიდი ხანია დაგირავებულია იმ ბანკში, სადაც მე 25 წელიწადს ვმსახურობდი და ჭერ კიდევ ვერ შევიძელი მისი გამოსყიდვა, თუმცა ჩემი გულითადი სურვილი იყო ეს გირაო ჟთუოდ გამომესყიდა და ერთის როგელისავე კულტურის დაწესებულებისათვის შეძენა. ხსენებულის საქარედიტო საზოგადოების გამგეობა, როგორც წინანდელი; აგრეთვე ახლანდელი ვგონებ ჟუცმაყოფილოდ არიან იმის გამო, რომ მე აქამდის ბანკისთვის არ წარმიდგენია იმ ბიბლიოთეკის კატალოგი. ახლანდელმა გამგეობამ მოითხოვა წრეულს ეს კატალოგი და კიდევ წარუდგინე წარსულს აგვისტოში. ამ მოთხოვნილებამ ძალიან შემაშინა: ვიფიქრე, იქნება ეს წიგნების სია გამგეობას იმისთვის ეჭირვებოდეს, რომ მყიდველი ვინმე გამოჩნდა და უნდათ იმას მიყიდონ მეოქი. ეს ჩემთვის... არა თუ დიდი ზარალი, არამედ სიკვდილი იქნებოდა. ამის გამო უმორჩილესად გთხოვთ, მიიღოთ ყოველივე საშუალება, ჭეროვანი და სამართლიანი, რომ ეს ბიბლიოთეკა არ დამეკარგოს: გამოსყიდვა მე შემეძლება მხოლოდ იმიანობის გათავების შემდეგ...“

ვათავებ ამ წერილს შემდეგის ჩემი გადაწყვეტილებით: ამჟამად, როცა ქუთაისში ახალი კულტურული დაწესებულება დაარსდა, რომელსაც დიდი სამსახური შეუძლია ჩვენი საზოგადოების წინაშე, სახელად ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება. ამ საზოგადოებას მე ვუძღვნი ყველა ზემოდაღნიშნულ წიგნებსა და



ნიეტებს, იმედი მაქვს ამ საზოგადოებას ცოტათი მაინც გამოადგება. დაეშთები თქვენი ერთგული კირ. ლორთქიფანიძე.

14 იანვარი, 1916 წ.ა<sup>1</sup>.

და მართლაც, დღეს ქუთაისის მუზეუმის დიდ საგანძურს წარმოადგენს კ. ლორთქიფანიძისეული უნიკალური წიგნების ბიბლიოთეკა და მისი მდიდარი არქივი. კირილეს არქივში თავმოყრილია არა მარტო მისი ნაწერები, არამედ აქ ინახება ქართველ მწერალთა ათასობით ავტოგრაფი. ასე დიდია კირილე ლორთქიფანიძის დამსახურება ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის წინაშე.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბევრმა პოეტმა კ. ლორთქიფანიძეს უძღვნა მგზნებარე სტრიქონები, როგორც სპეტაკ ადამიანსა და საზოგადო მოღვაწეს. ამ მხრივ საყურადღებოა კ. ლორთქიფანიძისადმი მიძღვნილი აკაკი წერეთლის მიერ პეტერბურგში დაწერილი ლექსი „საბრალო გული“. აგრეთვე საყურადღებოა კირილესადმი მიძღვნილი ცნობილი მწერლისა და პოეტის ნიკო დადიანის აკროსტიხული ლექსი:

კრებულთა შორის რჩეულათ დგას შეუპოვრად მდგომელი,  
იბრძვის მამაცად, ერთგულად, დღისით და ღამით შწრომელი,  
რაც ვითხრას, ყველა გვეროდეს — სიშარულე არის მხდომელი,  
იტვირთავს უგლოვთ წყინებას მტრეველი, დაუშრომელი,  
ლიქნის მდევნელი პირდაპირ, მსაჭული, მიუდგომელი,  
ერის ტყივილით მოწყალული სდულს ღვაწებ-დაეცხრომელი<sup>2</sup>.

აქ ზუსტად არის გადმოცემული კ. ლორთქიფანიძის დიდი კეთილშობილება და სამშობლოსათვის თავგანწირულება.

ასევე სიზუსტით გადმოგვცემს პოეტი გრ. აბაშიძე ერთ თავის ლექსში კ. ლორთქიფანიძის მაღალადამიანურ ღირსებასა და დამსახურებას სამშობლოს წინაშე.

პოეტს სიზმარში საუბარი უხდება გარდაცვლილ პოეტ მამია გურიელთან, რომელიც თითქოს ავალებს გრ. აბაშიძეს:

ვინც ვინდა იყო, ჩემო ქართველო,  
მეფე, მდიდარი, ვინდ მათხოვარი,  
შენთან მაქვს ერთი შესახვეწელი,  
გთხოვ ამისრულო ეს სათხოვარი.  
რა რომ ქუთაისს კვლავ მიესალმო,  
იხილო იგი ძველებ მტკრიანი,  
ბალახოვანის ქუჩა მონახე —  
იქ ცხოვრობს წმინდა ადამიანი.

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 449.

<sup>2</sup> ნ. დადიანი, „ზნა-კიდურები ჩვენ მოღვაწეებზე“, 1897, გვ. 19.

კირილე ჰქვიან იმას სახელად,  
აწ უკვე არის ჰალარ თმინი,  
სამშობლო ქვეყნის სადიდებელად  
სძგერს მისი გული სხივ მაღლიანი...!

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობის შემდეგ, 80 წლის ასაკში, ღრმა მოხუცებული კ. ლორთქიფანიძე გარდაიცვალა ქუთაისში 1919 წლის მაისის თვეში. ამავე წლის 12 მაისს გაიმართა ქუთაისის ქალაქის საბჭოს სხდომა, სადაც სპეციალურად იდგა კ. ლორთქიფანიძის დაკრძალვის საკითხი. განსვენებულის პატივსაცემად არჩეულ იქნა დამკრძალავი კომიტეტი.

„ოქმი № 7 საბჭოს მორიგი სხდომისა 1919 წელი 12 მაისი. საბჭოს სხდომა გაიხსნა საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე... სხდომის გახსნისას ქალაქის მოურავის ამხანაგმა ს. რობაქიძემ მოახსენა საბჭოს დამსახურებული ძველი საზოგადო მოღვაწის კირილე ლორთქიფანიძის გარდაცვალება და წინადადება მისცა საბჭოს მისი ხსოვნისათვის ფეხზე ადგომით პატივი ეცათ... ქალაქში შესდგა განსვენებული კირილე ლორთქიფანიძის დაკრძალვის მომწეობი და ხელმძღვანელი კომიტეტი...“

ქუთაისში მომქმედმა ყველა კომერციულმა და კულტურულმა საზოგადო დაწესებულებებმა პატივცემული საზოგადო მოღვაწის დასაკრძალავი წვლილი გაიღეს...

საბჭომ ერთხმად დაადგინა: მიეცეს ქალაქის სალაროდან საზოგადო მოღვაწის კირილე ლორთქიფანიძის დამკრძალავ კომიტეტს დასაკრძალავი ხარჯების დასაფარავად ხუთასი (500) მანეთი“<sup>2</sup>.

მართლაც, ქუთაისის ინტელიგენციამ და საზოგადო დაწესებულებებმა დიდი პატივისცემით დაასაფლავეს ილიასა და აკაკის თანამებრძოლი მწერალი და საზოგადო მოღვაწე კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე. იგი დასაფლავებულ იქნა ბაგრატის ტაძრის ეზოში. ხოლო ამ რამდენიმე ხნის წინათ მისი ნეშტი სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად გადატანილია საზოგადო მოღვაწეთა ახალ პანთეონში — მწვანეყვავილახე. ასეთია ამ საინტერესო აღმშენებლისა და საზოგადო მოღვაწის, კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძის ცხოვრების გზა. ეს გზა მან განვლო სახელოვნად, მაგრამ უჩინრად და უხმაურად.

1 „შროშანი“, „ივერია“, 1895, № 161.

2 ქუთაისის არქივი, საქმი № 326.

რუსეთის სამოციანი წლების  
რევოლუციონერი პოეტები და კ. ლორთქიფანიძე

როგორც თვით კ. ლორთქიფანიძე საშართლიანად აღნიშნავს, 10 წლის განმავლობაში პეტერბურგში მის ყოფნას უშედგეოდ არ ჩაუვლია. იგი ამ წლების განმავლობაში უშუალოდ იყო დაკავშირებული ჩერნიშევსკისთან და მის თანამებრძოლებთან; მონაწილეობდა დედაქალაქის რევოლუციურ ცხოვრებაში და პრაქტიკულად მოღვაწეობდა ჩვენს ქვეყანაში რუსული მოწინავე იდეების დანერგვისათვის.

კ. ლორთქიფანიძის ყველაზე საყვარელი პიროვნება ნ. გ. ჩერნიშევსკი იყო. სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად იგი ხშირად დადიოდა ჩერნიშევსკის ბინაზე, იყო თათბირებისა და სხდომების მონაწილე.

ჩერნიშევსკის წიგნები, ბროშურები და პროკლამაციები არაღელვალურად ვრცელდებოდა ხალხში. კ. ლორთქიფანიძე გატაცებით კითხულობდა ჩერნიშევსკის ნაწერებს და ყველა მათგანს ინახავდა, როგორც სასწაულსა და საგანს. მას არ აბრკოლებდა არც გაჩხრეკის შიში და არც ამის გამო მოსალოდნელი პატიმრობა. იგი აგროვებდა არა მარტო „სოვრემენიკის“ ნომრებს, არამედ ჩერნიშევსკის ყველა წიგნსა და სტატიას.

კ. ლორთქიფანიძის არქივში ინახება „სოვრემენიკიდან“ ამოღებული ცალკე ტომებად შეკრული ჩერნიშევსკის ნაწერები. ნ. ნიკოლაძე, იცოდა რა კირილეს დამოკიდებულება ჩერნიშევსკის წიგნებისადმი, ასეთი თხოვნით მიმართავდა კირილეს: „გთხოვ... დიდი დავალება მიქნა ჩერნიშევსკის კოლექცია მათხოვო. გეფიცები ყველაფერს, რაც კი მწამს, რომ არც დაგიკარგავ, არც წაგიხდენ... ხშირად დამჭირდება მისი სიტყვების ხსენება და გახსენება უწიგნოთ არ შემეძლია“.

ამასთან ერთად კ. ლორთქიფანიძის არქივში შენახულია ჩერნიშევსკის ნაწერთა ბიბლიოგრაფია.

კ. ლორთქიფანიძე თავის კრიტიკულ სტატიებში და ეკონომიურ-პოლიტიკურ გამოკვლევებში ყოველთვის იყენებდა ჩერნიშევსკის

დებულეებს. ზოგჯერ იგი სხვა ქართველ მკვლევარებსაც ავალბდა ჩერნიშევსკის ესთეტიკის პრინციპის, როგორც ყველაზე სწორი ნეთოდის, გამოყენებას. მაგალითად, პროფ. ალ. ცაგარელს კირილე მიუთითებს ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხების კვლევის დროს დაშვებულ შეცდომებზე და ამას ტენისა და ლესინგის მოძველებული მეთოდის გამოყენებითა და ჩერნიშევსკისადმი გვერდის ავლით ხსნის.

კ. ლორთქიფანიძემ კარგად აცოლა, რომ ახალი აზრების პროპაგანდისტების მართო სტატიები და კრიტიკული წერილები არ კმაროდა. მას სწამდა მხატვრული სიტყვის უდიდესი ძალა და ამისათვის მებრძოლი პოეტების სტრიქონებსაც თარგმნიდა ქართულად. იგი აქაც თავისებურებას იჩენდა, თარგმნიდა მხოლოდ რევოლუციონერ პოეტებს, ისეთებს, რომლებიც მეფის მთავრობამ შეაჩვენა და სატუსალოებში ან კატორღებში იმყოფებოდნენ. მაგალითად, მის მიერ ნათარგმნი ლექსების ავტორს, პლეშჩეევს, 1849 წელს „პეტრაშეველების“ საქმის გამო სიკვდილი ჰქონდა მისჯილი. თარგმანის შერჩევისას მხოლოდ ლექსის რევოლუციური ან პატრიოტულ შინაარსს აქცევდა ყურადღებას... ამით აიხსნება, რომ მან გვერდი აუარა პუშკინს, ლერმონტოვს და თარგმნა ნეკრასოვის, დობროლუბოვის, ნიკიტინისა და პლეშჩეევის ლექსები. ამ ნაწარმოებების დაბეჭდვა ცენზურის მიერ თვით რუსეთში იყო აკრძალული. ასეთი ლექსების ქართულად თარგმნა და გამოქვეყნება მრავალგვარ დაბრკოლებებთან იყო დაკავშირებული. თანაც მთარგმნელი ყოველთვის საზიფათო მდგომარეობაში იმყოფებოდა, რადგან ადვილად შეიძლებოდა მესამე განყოფილების განრიცხებულ მოხელეებს კ. ლორთქიფანიძე, როგორც აკრძალული ლიტერატურის მთარგმნელი და ყოფილი „ბუნტოვშიკი“, სამუდამოდ გაესტუმრებინათ კატორღაში, მაგრამ იგი იმდენად გატაცებული იყო რევოლუციური პოეზიით და რევოლუციური აზროვნებით, რომ ასეთ მოსალოდნელ საფრთხეს ყურადღებას არ აქცევდა.

ყველაზე მეტად კ. ლორთქიფანიძე გატაცებული იყო ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ნეკრასოვის (1821—1877) რევოლუციური პოეზიით, მისი დემოკრატიზმით. 1864 წელს მან პეტერბურგში გამოსცა ქართველი პოეტების ლექსთა კრებული „ჩონგური“. მასში მხოლოდ ქართველი პოეტების ლექსები შეიტანა. მაგრამ გამოცემის წარმოადგენს ნეკრასოვის ორი ლექსი. წიგნი იწყება ნეკრასოვის ყველაზე პოპულარული და რევოლუციური შინაარსის ნაწარმოებით „პოეტი და მოქალაქე“ და მთავრდება მისივე ლექსით „გადის დრო“. და ამას აკეთებს კირილე მაშინ, როდეს-

საც ნეკრასოვის ლექსის დაბეჭდვა კი არა, მისი წაკითხვაც კი დანაშაულად ითვლებოდა.

სამოციან წლებში ნეკრასოვი რისხვად მოეგლინა მეფის მთავრობას და არისტოკრატიას. მისმა ლექსებმა უდიდესი ძალით დაიქუხა წყვედილით მოცულ მაშინდელ გარემოში. თვით მემამულემ და მრისხანე მებატონის შვილმა არა მარტო შეიძულა არისტოკრატული წრე, არამედ ბრძოლის სასტიკი ცეცხლი დაანთო და ბასრი მახვილი აღმართა კლასობრივი უსამართლობისა და ცარიზმის დესპოტიზმის წინააღმდეგ.

ნეკრასოვი ერთადერთი პოეტია მთელ მსოფლიოში, რომელმაც სამარცხვინო ბოძზე გააკრა არა მარტო თავისი კლასი, არამედ საკუთარი ოჯახი და მშობელი მამაც კი იმისათვის, რომ:

აქ ეწეოდნენ წინაპრები გარყენილ ცხოვრებას,  
ძალმობრეობას, აღვირახსნილ ლოთობას, ვნებას.  
გლეხებს, ქვეულებს ჩლუნგ მონებად და მათხოვრებად,  
ენატრებოდათ მებატონის ძალის ცხოვრებად.

მაშინ, როდესაც ყველა პოეტი სიყვარულითა და სიხარულით იგონებს საკუთარ ოჯახში გატარებულ ბავშვობის წლებს, ნეკრასოვი წყევლა-კრულვით იხსენიებს ყმაწვილობას, საკუთარ კერასა და ოჯახს:

ო, მოგონება სიკაბუჯის არის ცნობილი,  
როგორც შეენება სპეტაკი და კეთილშობილი.  
ჩემი ხსოვნა კი აღსავსეა კმუნვით, გოდებით,  
ვწყველი საზიზღარ კაბუკობას გაბორბტებით.

და ეს იმიტომ, რომ პოეტის ბავშვობა მოწამე იყო იმ საშინელი ბოროტებისა, რასაც ადგილი ჰქონდა მის ოჯახში ყმა გლეხთა მიმართ ქალათი მამის წყალობით:

გული მევესება ბოღმით, სისხლით, ცეცხლის ალებით,  
ჩემი ბავშვობა იყო საყვე მხოლოდ წვალებით.  
მე არ მქონია მოგონება ნათელი, კარგი,  
მაგრამ ბავშვობის საშინელი, წყვეული ბარგი  
სულს ამძიმებდა და აქამდე მომყვა ხუნდები.  
წარსული ჩემო, ნურასოდეს ნუ დაბრუნდები..

პოეტს ის აღაფრთოვანებს, რომ ახლა მისი სახლი და ოჯახი დაცარიელებული და გავყვრანებულია, რომ სამუდამოდ მოისპო იქ ქალათის—პოეტის მამის თარეში და არ ისმის ამ კარმიდამოდან ტანჯულთა კენესა და უდანაშაულო მსხვერპლთა გოდება:

დაკეტილია ნაცრისფერი ის ძველი სახლი,  
არ ჩანს ჯამბაზი, მსახურები, ქალები, ძაღლი.

წინად რა იყო? ყველას შიში ველური სდევდა,  
დიდს და პატარას აწუნებდა რაღაცა სევდა...  
სახლი პირქუში ცარიელი წაქცევაზეა.  
აქ გაისმოდა ტანჯულების კენესა-ვაება,  
მსხვერპლთა კივილი ორგიების ხმას გადაემა,  
და მხოლოდ ერთი, მხოლოდ ერთი სიამეს გრძნობდა,  
ჩაგრავედა ყველას, ბატონობდა და ზეიმობდა.

ასეთი იყო პოეტის მამა, უმკაცრესი მემამულე, ალექსი ნეკრასოვი. ასე სასტიკად შეიძულა პოეტმა საკუთარი წრე, საკუთარი ოჯახი, როგორც ბოროტებისა და უსამართლობის წყარო და სათავე. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კირილე ლორთქიფანიძემ სწორედ ასეთი რევოლუციონერ-დემოკრატი პოეტის ნაწარმოებები აირჩია სათარგმნად.

ნეკრასოვის ლექსების პირველი კრებული „ლექსები და პოემები ნ. ნეკრასოვისა“ დაიბეჭდა 1856 წელს პეტერბურგში. წიგნის დაბეჭდვის ისტორია ასეთია: პეტერბურგის ოლქის მზრუნველმა მუსინ-პუშკინმა წინადადება მისცა თავის ნათესავ ცენზორს, სამოქალაქო მრჩეველს ბეკეტოვს, ნეკრასოვისათვის პირველი ლექსების გამოცემის ნება დაერთო. ცენზორი დაეთანხმა ყოვლისშემძლე მზრუნველის წინადადებას და ნეკრასოვის წიგნიც დაიბეჭდა კონტროლის გარეშე. ლექსთა კრებულში შეტანილი იყო „პოეტი და მოქალაქე“, რომელშიც მთელი სიმძლავრით გამომჟღავნებულია ცარიზმის დესპოტიზმი და მშრომელი ხალხის უილაჯო ცხოვრება.

ნეკრასოვის წიგნი მოულოდნელად გამოჩნდა საზოგადოებაში. როგორც მოსალოდნელი იყო, დაიწყო ბრძოლა წიგნისა და ავტორის წინააღმდეგ. ახმაურდა მესამე განყოფილება, ამოქმედდა ყანდარმერია, აყაყანდა სუსტნერვებიანი არისტოკრატია. შიშის ზარმა აატანა ცენზურის მოხელეები. პირველი იერიში ცენზურაზე მიიტანეს. ბეკეტოვი გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან. სასწრაფოდ გასცეს განკარგულება ლექსთა კრებულის აკრძალვის შესახებ. საქმის ვითარებამ იმპერატორის ყურამდეც მიაღწია. განათლების მინისტრი იმპერატორს სთხოვდა: „ამასთანავე გულითადად გთხოვთ თქვენ, დადებულო ზელწიფევე, გასცეთ განკარგულება ს. პეტერბურგის საცენზურო კომიტეტის სახელზე, რათა შემდეგში არ იქნეს გააცემული ნებართვა ნეკრასოვის ლექსების ახლად გამოცემის შესახებ. არ დაიბეჭდოს არც ერთი ბტატია ლექსებზე და არ გამოქვეყნდეს ამონაწერი იმ წიგნიდან“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ლექსი „სამშობლო“, თარგმანი ვ. გაფრინდაშვილისა, იხ. „რუსული პოეზიის ანთოლოგია“.

<sup>2</sup> К. Чуковский, «Некрасов», гл. 52.

ნეკრასოვის წიგნი იმდენად შერისხული იყო, რომ მისგან ციტირება თვით ავტორის სალანძღავადაც კი არ შეიძლებოდა. ამ წიგნიდან ყველაზე მეტად დაგმობილ იქნა „პოეტი და მოქალაქე“. ბოლოს მთავრობა დათმობაზე წავიდა. ნეკრასოვის ლანძღვა-გინება პრესაში ნებადართულად გამოცხადდა, მაგრამ „პოეტი და მოქალაქის“ ხსენება მაინც აკრძალული დარჩა. 1856 წელს განსაკუთრებულ მინდობილობათა საქმის ჩინოვნიკი ვოლკოვი განათლების მინისტრს „პოეტი და მოქალაქის“ შესახებ ასეთ განმარტებას აძლევდა: „ამ ლექსში ლაპარაკია მოქალაქის მოვალეობაზე და სხვათა შორის იმაზე, რომ ჩვენ შორის არ არის არც ერთი ისეთი ქეშმარიტი მოქალაქე, რომელსაც შეიძლება გულწრფელად და მტკიცედ უყვარდეს ჩვენი სამშობლო! ამ აზრით ზოგიერთი გამოთქმა და აგრეთვე რამდენიმე სიტყვა არ ეთანხმება ჩვენს წამოწყებებს და სახელმწიფოებრივ წყობას“<sup>1</sup>.

როგორც დავინახეთ, „პოეტი და მოქალაქე“ განსაკუთრებული დევნის საგანს წარმოადგენდა, და ეს ყველასაგან შერისხული და შეჩვენებული ნაწარმოები კირილე ლორთქიფანიძემ 1864 წელს თვით დედაქალაქში, პეტერბურგში, „ჩონგურის“ პირველ გვერდზე დაბეჭდა.

კ. ლორთქიფანიძემ კარგად იცოდა, თუ რა სასჯელი მოელოდა ასეთი გაბედული ნაბიჯისათვის, მით უმეტეს, დიდი დრო არ იყო გასული მას შემდეგ, რაც ის პატიმრობიდან გაათავისუფლეს, მაგრამ მან რუსი მკითხველისათვის აკრძალული ნაწარმოები ქართველებისათვის ხელმისაწვდომი გახადა.

„პოეტი და მოქალაქე“ სამარცხვინო ბოძზე აკრავს ცარიზმის ზნედაცემულ მოხელეებს, უსულგულო მქერთამე ჩინოვნიკებს, რომლებიც ფეხქვეშ თელავდნენ მშრომელი ხალხის ინტერესებს. ამ ნაწარმოებში პოეტმა საქვეყნოდ დაამტკიცა, რომ მეფის მსახურთა შორის არ იპოვება არც ერთი ქეშმარიტი ადამიანი, რომელსაც გული შესტკიოდეს თავის ხალხზე:

...ახ, სამყოფია ჩვენში ვაჟრები,  
ჩინოვნიკები, კადეტებიცა,<sup>2</sup>  
ბევრია თავად-აზნაურები,  
გვეყოფა თითქმის პოეტებიცა.  
გვეპივრება კი მოქალაქენი!  
გვეპივრება კი, მაგრამ სად არის?

<sup>1</sup> К. Чуковский, «Некрасов», стр. 52.

<sup>2</sup> კადეტებში პოეტი გულისხმობდა იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც დამთავრებული ჰქონდათ კადეტთა კორპუსები, სამხედრო-სასწავლებლები.

აბა ვინ არ ხარ დღეს სენატორი,  
არ ხარ შწერალი და ან სარდალი.  
ან მამაცი და ან პლანტატორი.  
და მოქალაქე ხარ მშობელ მხარის?  
სად ხარ? ხმა გამეც! ხმა არსით არის...!

პოეტის აზრით ძნელია იპოვოთ ჭეშმარიტი მოქალაქე, მათ ნაცვლად მძარცველები და მკვლელები განდიდებულან ამ ქვეყნად, სასამართლოებში და დაწესებულებებში ბოროტმოქმედებსა და კაცის მკვლელებს შეუფარებიათ თავი და მასხარად იგდებენ ნამდვილი მოქალაქის ღირსებას. სატუსალოებისა და სასამართლოების ჭურღმულებში უმსგავსოდ იტანჯებიან უდანაშაულო ადამიანები:

მიეცი მე სატუსალოში,  
სვეტთან რომ კაცს კლავენ, მის  
საყურებლად,  
ლაზარეთში და სასამართლოში...  
არ გეტყვი, ძმაო, რაც აქა ვნახე!

მეფის ჩინოვნიკებს ასე ახასიათებს პოეტი:

ზოგი მითვანი ხალხს სცარცეავს, ქურდლობს.

და უსამართლობისაგან გულმოკლული ნეკრასოვი ხალხს შესძახებს:

გამოიღვიძე და გაბედვითა  
დაეც თავზარი უსამართლობას.

თუ „ჩონგურის“ პირველ ფურცელზე კ. ლორთქიფანიძემ ასეთი საბრძოლო სტრიქონები მოათავსა, კრებულის ბოლოც ბრწყინვალე მომავალზე მეოცნებე ნეკრასოვის სიტყვებით დაასრულა. მომავლადვი პოეტი სამშობლოს თავისუფლებაზე ოცნებობს, მისი ქვეყნის წყლულის გამართლებას და ცრემლის შეშრობას ნატრობს.

<sup>1</sup> პოეტ გრ. ცეცხლაძის თარგმანში ეს ადგილი ასე იკითხება:

კმარა ვაქრები და კადეტები,  
აზნაურნი და სხვა მოსაქმენი,  
საკმარისი გეყავს თვით პოეტებიც.  
მაგრამ ჩვენ გვინდა მოქალაქენი.

და სად არიან. დღეს ვინ არ მგონობს,  
არ წინამძღოლობს, არ სენატრობს,  
ვინ გნებავთ, რომ თავს გმირად არა სცნობს,  
არ შეურწმუნობს, არ პლანტატორობს.  
მოქალაქე კი სამშობლო მხარის,  
აბა, მაჩვენე ერთი, სად არის?

„რუსული პოეზიის ანთოლოგია“, გვ. 322.



...როდესაც ცრემლი შეგშრება  
და გაგიჭრება შენ ყველა წყლული,  
და წმინდა ნატურა მე ამიხდება,  
ყმაწვილობიდან გულს ჩამარბული.  
მაგრამ კი მინდა, რომ სიკვდილის ეამს  
შევიტყო, რომ შენ გზას ადგახარ სწორს,  
რომ შენი მუშა, რომელიც სთესავს,  
ელის კაი დროს, — მოსავლიან დროს,  
რომ მომაკვდავთან ნიავს მოჰქონდეს  
სამშობლო სოფლის ერთი მაინც ხმა,  
რომელშიადაც აღარ ისმოდეს  
კაციის სისხლისა და ცრემლების ღერა<sup>1</sup>.

იქნებ ვინმემ იფიქროს, რომ კ. ლორთქიფანიძემ შემთხვევით შეიტანა თავის წიგნში ნეკრასოვის ლექსები და შემთხვევით მოხვდა ისინი წიგნის დასაწყისა და დასასრულს. არა, ეს მწერალმა განზრახ — ნეკრასოვისა და დემოკრატიზმის პატივისცემით გააკეთა. ეს ჩანს თვით დოკუმენტებიდანაც. კირილეს არქივში დაცულია ერთი ვრცელი ბარათის შავი ნაწერი, რომელშიც აღწერილია „ჩონგურის“ გამოცემის ისტორია და სხვათა შორის ერთ ადგილზე ნათქვამია:

„ტყვილად არ დამიწყევია ლექსები გრუბებდ და ტყვილად არ დამიბეჭდავს ჩონგურის თავში „პოეტი და მოქალაქე“<sup>2</sup>.

ამავე ბარათში კ. ლორთქიფანიძე ლაპარაკობს თარგმანის ღირსება-ნაკლოვანებაზეც. მან კარგად იცოდა, რომ მისი თარგმანი მხატვრულად სუსტი იყო, მაგრამ მთავარ ყურადღებას შინაარსეულ მხარეს აქცევდა და ამით ამართლებდა ასეთი ხასიათის თარგმანის გამოქვეყნებას.

ზემოთ დასახელებულ ბარათში ვკითხულობთ: „ჩონგურში“ შევიდა... უხეიროდ, თუმცა ორიგინალთან სწორად გადათარგმნილი „პოეტი და მოქალაქე“.

ცხადია, ნეკრასოვის ლექსების თარგმნა და მისი გამოქვეყნება ქართულ ენაზე იმ დროისათვის დიდი პატრიოტული საქმე იყო.

— . . . —

ნ. ა. დობროლოზოვი ნ. გ. ჩერნიშევსკის თანამებრძოლი იყო. თავისი სტატიებით იგი მკაცრად ილაშქრებდა ცარიზმის დესპოტიზმისა და ფეოდალიზმის წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს დობროლოზოვი ჩერნიშევსკისთან ერთად მტკიცედ ნერგავდა რუსეთში მა-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 702.

<sup>2</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 467.

ღერიალისტური ესთეტიკის თეორიას. თავისი მოღვაწეობით დობროლოუბოვი მიეკუთვნება ჩერნიშევსკის, ნეკრასოვისა და სხვა რევოლუციონერ-დემოკრატთა უკვდავ პლეადას.

დობროლოუბოვი გარდა ღრმა მეცნიერული კვლევა-ძიებისა რევოლუციური იდეების პროპაგანდისათვის იყენებდა პოეტურ ჟანრსაც. მისი ლექსები ისეთივე ბასრა და დაუნდობელი იყო ცარიზმისა და ბატონყმობის სისტემის წინააღმდეგ, როგორც მისი პუბლიცისტური სტატიები. კ. ლორთქიფანიძის დამსახურება კი იმაში გამოიხატება, რომ მან დობროლოუბოვის ლექსები თარგმნა და გამოაქვეყნა ქართულ პრესაში.

1871 წლის „კრებულის“ მეოთხე ნომერში კ. ლორთქიფანიძემ თონა კარგარეთელის ფსევდონიმით დაბეჭდა დობროლოუბოვის ორი ლექსი: „შეხვედრა“ და „მზე ამობრწყინდა“. ხოლო 1873 წლის „კრებულის“ პირველსა და მეორე ნომრებში დაიბეჭდა ორი ლექსი: „გარდაცვალებაზე“ და „როცა ზამთარში გაკვირებული“.

„შეხვედრაში“ ავტორს მოცემული აქვს საცოდავ მღვდომარეობაში მყოფი ბავშვების გულსაკლავი სურათები. ეს უმწეო ადამიანები, რომლებიც შიმშილისგან ჩონჩხებად ქცეულან, დაძონძილნი დაეხეტებიან ქუჩებში ლუკმა-პურის საშოვნელად.

ერთელ ქუჩაზედ პირგამხდარი ყმაწვილი შემხვდა,  
იყო სნეული, ფერმიხდილი, თვალნამტირალი,  
ძონძი ტანს ეცვა, სიცივისგან ის კანკალებდა,  
ქრისტეს გულისთვის შეწევნასა მთხოვდა საწყალი.  
ხუთი და-ძმა ვართ, მამა ჩვენი გაგზავნეს ლაშქარს,  
და დედას ჩვენსა ლოგინზედა ებრძვის სიკედილი...  
სახლიდან გვეყრიან, საეჭიშო ფული არა გვაქვს  
და ჩვენცა თითქმის სულ ყოველდღე გვახრჩობს  
შიმშილი!..

დობროლოუბოვი კარგად ზედავს, რომ ცხოვრების მეორე ნაპირზე მუქთახორა ხალხი ფუფუნებასა და განცხრომაში ატარებს დროს, მას არც საქმელი აკლია და არც გართობა.

პოეტი აგრძელებს:

ჩვენს პირდაპირ კი მშვენიერი სახლი ბრწყინავდა,  
მდიდრულად იყო ის შორთული, გაჩაღებული...  
მწვანე სტოლები მის ზალაში აქა-იქ ჰსჩანდა,  
ბალის მუზიკა იქ გრგვინავდა გაცხარებული!.

ლექსში „როცა ზამთარში“... დობროლოუბოვი აღწერს ღონეშინდილი და მშვიერ-მწყურვალნი ადამიანის სავალალო მღვდომარეობას.

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 967, თარგმნილია სპბ, 1868 წ. 11 პარალს.

ზამთარში, სუსხიან ღამეს. ქალაქის ქუჩაში ძლივძლიევობით მიდის აჯანყდემოცი, მას გზაში დაეჯახება მდიდრის კარეტა და იწვედაც ულონოს, ცოცხალ-მკვდარს, ქუჩიის პირას მიაგდებს. ბოლოს უძლური უკანასკნელ ძალას მოიკრებს და წამოვდება რომელიღაც სახლის კიბეზე, მაგრამ აქ ქარიშხალი თოვლს აყრის სახეში, მისი დამხმარე და შემბრალე კი არაერნ ჩანს:

როცა წაქცევით სულ დამტრეული  
საღლაც წამოვკეკ ერთ კიბის ძირში  
და ქარი მცემდა განრისხებული  
და სულ მაყრიდა თოვლ-შხას ცხვირ-პირში,  
მაშინ, ოჰ ღმერთო! რამდენი წუველა,  
რა გაბრაზება გულს მაწვებოდა,  
ღარბთა მტერად შევრაცხე ყველა,  
ვინც უღარდელად იყვებებოდა...!

ოპტიმისტურია დობროლუბოვის ლექსი „მზე ამობრწყინდა“. მზეში პოეტი გულისხმობს ხალხთა თავისუფლების მოახლოებას — განთიადის დასაწყისს.

პოეტის აზრით, მზემ უკვე გაანათა მთის მწვერვალები და მალე მისი სხივები ბარსაც მიწწვდება:

მზე დააღვება პირდაპირ ბარსა.  
მძინარს არესა დღე გაულიმებს.

აწეთივე რევოლუციური შინაარსის მატარებელია დობროლუბოვის სხვა ლექსებიც — „გარდაცვალებაზე“, „მუშა“ და სხვა.

ამ ლექსების ყოველ სტრიქონში მშრომელთა ინტერესების დაცვის სმა ისმის. ასეთი ხასიათის ნაწარმოებების ქართულად გამოქვეყნებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ დროისათვის და ამ სასარგებლო საქმეს აკეთებდა ეს უჩინარი მოღვაწე კ. ლორთქიფანიძე, რომლის დამსახურების შესახებ მხოლოდ ძალზე ვიწრო წრემ იცოდა. პართალი იყო აკად. გ. ჯიბლაძე, როდესაც მას საუკვოდ მიაჩნდა კირილესაგან დობროლუბოვის ლექსების თარგმნა, რადგან ამისათვის დამარწმუნებელი ფაქტები მაშინ არ არსებობდა.

„თუ რამდენად ცნობილი იყო ქართულ ლიტერატურაში დობროლუბოვის პოეზია, — წერს აკად. გ. ჯიბლაძე, — მოწმობს შემდეგი ფაქტი: ვურნალ „კრებულის“ 1873 წლის მეორე წიგნში მოთავსებულია დობროლუბოვის ლექსის „Когда среди зимы холодно“ — თარგმანი. ჩვენთვის უცნობია ამ ლექსის მთარგმნელი. განსვენებული ს. ხუნდაძე თავისი მონოგრაფიის — „ნ. გ. ჩერნიშევსკი“ — ერთ-

1 კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 967, თარგმნილია, სპბ, 1868 წ. 10. პირილს.

ერთ სქოლიოში მიუთითებს, რომ 60-იანი და 70-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში არაერთხელ ვხვდებით დობროლუბოვის თარგმნილ ლექსებს“. „როგორც გადმოგვცემენ,—წერს ავტორი,—თარგმანი უნდა ეყუთვნოდეს კირილე ლორთქიფანიძეს“ (იხ. ს. ხუნდაძე, „ნ. გ. ჩერნიშევსკი“, გვ. 191). ჩვენ არ შეგვიძლია გადაჭრით მივაკუთვნოთ კ. ლორთქიფანიძეს ამ ლექსის თარგმანი. როცა მისი მთელი მასალაზე-ს მეცნიერული შესწავლა დაიწყება, ამ საკითხსაც ალბათ ნათელი მოეფინება“<sup>1</sup>.

პროფ. ს. ხუნდაძისა და აკად. გ. ჯიბლაძის ექვი სამართლიანი იყო, რადგან ყველა თარგმანი ფსევდონიმებით ან სრულიად ხელმოუწერლად იბეჭდებოდა და საკითხის სპეციალური შესწავლის გარეშე თარგმანების დაბეჭდვითი კირილესადმი მიკუთვნება უსაფუძვლო იქნებოდა. ამჟამად, კ. ლორთქიფანიძის არქივის შესწავლამ დაგვარწმუნა პროფ. ხუნდაძისა და აკად. გ. ჯიბლაძის მიერ საეჭვოდ, მაგრამ მაინც სწორად გამოთქმულ დებულებებში<sup>2</sup>. კირილეს არქივში დაცულია არა მარტო დობროლუბოვის ლექსების ავტოგრაფები, არაჟედ ამ ლექსების შესახებ რედაქტორებთან კირილეს მიერ მიწერილი ბარათების პირველი პირები, სადაც სხვათა შორის წერია: „თუნცა ეს ლექსები პროზულად არის დაწერილი, მაგრამ აზრი, რომელიც აქ არის გატარებული, მამედვინებს გთხოვთ, რომ თქვენის ყურნალის მომავალს ნომერში დაბეჭდინოთ, რასაკვირველია უსახელოდ. კირილე ლორთქიფანიძე, 22 მარტი, 1885 წელი“<sup>3</sup>.

კირილეს მთარგმნელობის შესახებ სხვა რაიმე საბუთი რომ არ გვეპოვდეს, მარტო ეს ბარათი გადაჭრიდა ამ სადავო საკითხს. სხვისი ნათარგმნის შესახებ ხომ არ მისწერდა რედაქტორს კირილე „თუ მცა ეს ლექსი პროზულად არის ნათარგმნი, მაგრამ აზრი, რომელიც აქ არის გატარებული, მამედვინებს გთხოვთ, რომ თქვენი ყურნალის მომავალ ნომერში დაბეჭდოთ და ისიც უსახელოდ, ხელმოუწერლად“.


და თუ სხვისი ნათარგმნი იქნებოდა ეს ლექსი, რა უფლება ჰქონდა კირილეს მოეთხოვა უსახელოდ დაბეჭდეთო, ჩვენ ხომ ვიცით,

<sup>1</sup> აკად. გ. ჯიბლაძე, „ხელოვნება და სინამდვილე“, გვ. 435—436, პირვ. გამოცემა.

<sup>2</sup> „ხელოვნება და სინამდვილის“ მეორე გამოცემაში, გვ. 599 აკად. გ. ჯიბლაძე წერს: „ეხლახან ეს საკითხი საბოლოოდ გააკრვია კ. მეძველიამ (იხ. მისი წერილი „რუსეთის 60-იანი წლების მწერლები და კ. ლორთქიფანიძე“, აღ. წულ. სახ. ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. XI, ქუთაისი, 1952—1953).

<sup>3</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 445.

რა დაუსრულებელი დავა ჰქონდა კ. ლორთქიფანიძეს რედაქტორებთან ფსევდონიმებისა და უსახელოდ დაბეჭდვის საკითხზე. ამასვე ადვსტურებს მეორე საბუთი, რომელიც ნეკრასოვის „პოეტი და მოქალაქის“ თარგმანს ეხება და სადაც აღნიშნულია: „უხარისხოდ, თუმცა ორიგინალთან სწორად არის გადათარგმნილი; მაგრამ აზრი... მამბედვინებს გთხოვოთ დაბეჭდოთ“. კ. ლორთქიფანიძეს, მხოლოდ თავის ნათარგმნზე შეეძლო ეთქვა „უხარისხოდ“ არის თარგმნილიო.



რევოლუციონერი პოეტების ნაწარმოებთა თარგმნა კ. ლორთქიფანიძეს შემდეგშიც არ შეუწყვეტია. მან ქართულ ენაზე გადმოთარგმნა: ალექსი ნიკოლოზის ძე პლეშჩევევის (1825—1893), ივანე საბას ძე ნიკიტინის (1824—1861), ნიკოლოზ პლატონის ძე ოგარიოვის (1813—1877) ლექსები.

როგორც ადრევე აღვნიშნეთ, პლეშჩევეს 1849 წელს „პეტრაშეველებს“ საქმის გამო სიკვდილი ჰქონდა მისჯილი. რაც კატორღით შეუცვალეს; სასჯელის მოხდის შემდეგ თანამშრომლობდა „სოვრემენიკში“, წერდა რევოლუციური შინაარსის ლექსებს. ზოგი მათგანი დიდი პოპულარობით სარგებლობდა რევოლუციონერთა შორის.

პლეშჩევეის ლექსები პოლიციის მიერ აკრძალული იყო. მისი ნაწარმოებები მხოლოდ არალეგალურად ვრცელდებოდა რევოლუციონერთა წრეებში. ალექსანდრე პლეშჩევეის ლექსებიდან კირილეს უთარგმნია სამი ლექსი: „გალობა“, „სიმღერა განდგომილთა“ და „კილოს მიმოქცევა“. ამათგან პოლიტიკური სიმახვილის მხრივ გამოირჩევა ლექსი „გალობა“. იგი ფაქტიურად საბრძოლო ჰიმნია. პოეტი მოუწოდებს მებრძოლებს, უშიშრად წავიდნენ წინ თავისუფლების მოსაპოვებლად და ბრძოლა იმედიანი იქნება იმიტომაც, რომ წინასწარ მოჩანს ცისკარი, როგორც განთიადის წინამორბედი. საინტერესოა ისიც, რომ ეს თავგანწირული მებრძოლები მეცნიერების დროშის ქვეშ არიან დაარსებული და ამ სახით ცდილობენ „სიცრუისა“ და „ცოდვის“ ქურუმებს სასიკვდილო ლახვარი ჩასცენ. ლექსში ნაკრად არის დაგმობილი კერპებისადმი თაყვანისცემა და ძლიერისადმი მონური მორჩილება. ლექსის ბოლოს პოეტი ერთხელ კიდევ მოუწოდებს ახალგაზრდობას. მედგრად იბრძოლოს საბოლოო გამარჯვებამდე. აი, კირილეს მიერ ნათარგმნი „გალობა“ მცირე შემოკლებით:

გაქანით უეპეოდ და უშიშრად,  
• მებო, მიემართოთ ღვაწლსა ქველურსა  
იქ. ცის-კიდეში, ვხედავ მე ცხადათ  
წმინდის გამოხსნის ცისკარს მკრთოლვარსა

აბა მხნედ ვიყოთ, ხელი-ხელს მივსცეთ,  
და ისე მწყობრად წავიღეთ წინა;  
მეცნიერების დროშის ქვეშ დავდგეთ,  
ვმრავლდეთ, გავმაგრდეთ აქ საქმისთვისა.

სიკრუისა და ცოდვის ქერუმებს /  
ქეშმარიტების დაეცეთ ლახვარი,  
ჯა მის საყვირით ჩავსქაზოთ მძინრებს  
და წავიყვანოთ ომში ლაშქარი.

არა ვქენათ კერპი თავისა თავის,  
არც ქვეყანაზე, არც ცათა შინა  
და მართლის ქვეყნის დიდებისათვის  
არა დავემხოთ პირქვე მის წინა!..

ნეტავი იმას, ვინც თავის დღესა  
წმინდის ბრძოლით და შრომით აღამებს,  
ვინც მონასავით ნიჭს ზეციერსა  
უსარგებლოდა მიწაში არ დებს.

მოდით, მივსდით ცხოვრების გზაში  
ქეშმარიტების წმინდა ვარსკვლავსა,  
და დამიჯერეთ, რომ ქვეყანაში  
ტუღს არ დავტოვებთ ცხოვრების კვლსა.

აბა ისმინეთ, მებო, მშისა ხმა,  
სანამ ჩვენში დგას უმაწვილი სული,  
გაესწიოთ წინა! ისე, რომ ბედმა  
ვერ შეგვიშინოს ვერაფრით გული.

ასეთი რევოლუციური ხასიათის ლექსის დაბეჭდვა, ცხადია, მაშინ-  
დელ ცენზურულ პირობებში ძნელი იქნებოდა და მართლაც „დრო-  
ების“ რედაქციას პირველად ვერ მოუხერხებია მისი გამოქვეყნება.  
ამ საკითხის თაობაზე კ. ლორთქიფანიძის არქივში ერთი საინტე-  
რესო ბარათი ინახება. „დროების“ რედაქტორი ს. მესხი პეტერბურ-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 1110. ლექსი თარგმნილია 1869 წლის 13 მაისს, სპბ-ს. აღსანიშნავია, რომ ეს ლექსი კირილეს შემდეგ რამდენიმე-  
ჯერ ითარგმნა ქართულ ენაზე. 1871 წელს სახელწოდებით „ჩემს მშებს“ (მიბაძვა)  
ვლად ი. წვერიშვილის ხელმოწერით დაიბეჭდა იანვრის „მნათობში“. 1896 წელს  
ბოეტმა გრ. აბაშიძემ გამოაქვეყნა „მოამბეში“ (№10), ხოლო 1948 წელს პოეტ  
ვასო გორგაძის თარგმანი მოთავსებულია „რუსული პოეზიის ანთოლოგიაში“, გვ.  
347.

გში მყოფ კ. ლორთქიფანიძეს სწერს: „მართლა ჩვენდა სამწუხაროდ შენი პლეშჩევის ლექსები (ესეც ზომ კირილეს მთარგმნელობას ადასტურებს. — კ. შ.) არ გაუშვა ცენზორმა — ეს „მარსელიოზაა“ ამბობს. შენ ვერ წარმოიდგენ, როგორ გვაეიწროებს ცენზურა. რაც რუსულად იბეჭდება, იმის მეოთხედსაც არ გვაბეჭდვინებენ, და ჩვენ, ჩვენდა საუბედუროდ, ისე წერა არ ვიცით. რომ მკითხველმა სტრიქონებს შუა გაიგოს ჩვენი აზრი“<sup>1</sup>.

მართალი იყო ცენზორი ამ ლექსის შეფასებაში. იგი მართლაც „მარსელიოზას“ ჰგავს. ამიტომაც გაძნელდა პერიოდულ პრესაში მისი გამოქვეყნება, ხოლო პლეშჩევის მეორე ლექსი „სიმღერა განდგომილისა“ გამოქვეყნდა 1873 წელს „კრებულში“. ეს ლექსი უფრო სატირული ხასიათისაა და მთარგმნელს (კ. ლორთქიფანიძეს) იგი გადაგვარებული ქართველი დიდკაცებისათვის მოუძღვნია, „უძღვნი ქართველ ბრძენებს“, ასეთი წარწერა აქვს ლექსს სათაურის ქვეშ.

ავტორს გამოყვანილი ჰყავს ისეთი პირები, რომელთა საქმიანობაა

ლაფში ძირს ბორდღვა. დიდკაცების ფეხებზედ ხვევან,  
მათგან მოგდებულ ლუქაშია გაცელა რწმუნების...

და ეს ვაჟბატონები უსინდისოდ ებრძვიან კეთილ ადამიანებს, იმათ, ვისაც სიმართლისა და სიკეთისათვის შეუწირავთ ყოველივე პირადული:

ვაი მათ, ვინც რომ აღტაცებით ყმაწვილ ოცნებებს  
საუნჯესავით გულში იცავს და ადრინდელად  
კაცთ სიკეთისთვის, სიმართლისთვის მუდამ ლაღადებს,  
გავხდით მათ სახელს ხალხის საფრთხობელად.  
ვაი მათ, ვინც ჩვენ პირში მართალ სიტყვას გვახლის,  
ვინც რომ არცხვენს ჩვენს სიტყვას, ჩვენს მოქმედებას,  
ჩვენ ხალხს ჩაესახებთ! ის ჩვენ გვარბევს, ქონებას გვაცლის,  
შევბოჰავთ ჭაკვით შავ ბოროტებას!

და ბოლოს გამარჯვებული ბოროტმოქმედნი ასე ამთავრებენ თავიანთ საგალობელს:

ეს არის დღეს ჩვენი საქმე  
და ემსახურებთ ერთგულად მას,  
ვაი აზრსა მოუსყიდველს,  
ვაი კჳას პატიოსანს.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე კირილეს თარგმნილი პლეშჩევის ლექსი „კილოს მიმოქცევა“. ლექსი საახალწლო მილოცვაა.

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, საქმე № 19, თბილისი, 1869, 17 მაისი.

ავტორი ცდილობს საერთო დიდებითა და პატივისცემით მოიხსენიოს ყველა ის,

...ვინც მტრობს უსამართლობას,  
ვინც აღუდგება, ჰსცემს ბოროტებას,  
და მორჩილებით თავსა არ უხრის  
ჩვეულებრივსა მათ საძაგლობას, —  
ყველას გიგზავნი ამავე სალამსა  
და ვის ურჩევებ (?) რომ წელს ახალსა  
მოეცეს თქვენთვის ძალა ბრძოლისა,  
ქირს და ლხინშიაც სიმხნე სულისა.

და ბოლოს პოეტი მოუწოდებს ახალგაზრდობას:

არ დაივიწყო, რომ ვალი გადევს  
მისი, ვინც ობლად, ღარიბად არი,  
ვის გაკვივრების უღელი აწევს,  
ვინც მწუხარეა, მკლე და ფერმკრთალი.  
არ დაივიწყოთ, რომ ზეცამ მსგავსი  
მოგცათ ორივეს წმინდა უფლება...  
არ დაივიწყოთ ის მოწამებინც,  
ეკლის გვირგვინი ვისაც დაადგეს...

კირილეს დამსახურებას უნდა მიეწეროს, რომ რუსი მკითხველი-სათვის აკრძალული პლეშჩეევის ეს რევოლუციური ლექსები ხელმისაწვდომი გახდა ქართველებისათვის.

„კრებულის“ 1873 წლის მეხუთე ნომერში მოთავსებულია რევოლუციონერი პოეტის ნიკიტინის ლექსი „მთესველი“. აქ ლაპარაკია ხალხში მებრძოლი იდეების შეტანაზე — თესვაზე. პოეტს სურს ასეთი სასარგებლო თესლი უხვად მოეფინოს ცხოვრების ნიადაგს, რადგან საამისოდ უკვე დიღინხანია მომზადებული პირობები:

მიწა მზად არის კარგად მოხნული.  
ვჰსთესოთ, სანამღის სდგას გაზაფხული;  
კეთილ სიტყვის და საქმის თესლები  
არ არს შემდგომისათვის დაკარგული...

პოეტმა კარგად იცის, რომ ქეშმარიტების თესლის მთესველებს ბევრი მტერი ეყოლება, მათ წინააღმდეგ აღსდგებიან მეფის ჯალათები, ჩინოვნიკები, მაგრამ ავტორი კიცხავს იმათ, ვისაც უსანართლობა ქედს მოახრევინებს და ბრძოლის უნარს დააკარგვინებს:

რცხვენოდეს იმას, ვინც ჰსწუხს უგნურად,  
ფოთლის შრიალზე ვინც კარგავს ენას!  
ნეტავი მას, ვინც თავგანწირულად  
ემსახურება ქეშმარიტებას!..



კ. ლორთქიფანიძეს აგრეთვე უთარგმნია რუსი დემოკრატი პოეტის ოგარიოვის მიერ უცხოურიდან თარგმნილი „პრომეთეოსი“. ლექსში ავტორს გამოყვანილი ჰყავს ხალხისათვის თავდადებულ ცეცხლის მომტაცებელი და ამისათვის სასტიკად დასჯილი პრომეთე. იგი რკინის პალოთი მიჯაჭვულია კლდეზე, იტანჯება, მაგრამ ტყივილს არარად აგდებს, რადგან იცის, რომ ხალხებს ამით ბედნიერება მოუტანა. ავტორის წარმოდგენით, ხალხისათვის თავგანწირულება ყველაზე საპატიო საქმეა. ლექსის ბოლოს პრომეთე ზევსს მიმართავს:

გამოგზავნიან ცისკენ კრულვასა  
შენსკენ მეშურნევ, ზევსო უწყალო,  
ხოლო მე შენგან კლდეზე მიკრული,  
რომ საუკუნოდ აგრე მავწალო.  
ვპოვებ ყოველგან ჩემსა საბრალოს,  
ვპოვებ სიყვარულს მთელს ქვეყანაზედ  
და კაცთ-შექმნაში ძლევით ამაყი  
ლაფს გადაგასხამ შერცხვენილ თავზე<sup>1</sup>.

კ. ლორთქიფანიძე უცხოელი მწერლების ნაწარმოებებსაც თარგმნიდა ქართულ ენაზე და ამ შემთხვევაშიც იმავე პრინციპს ემსახურებოდა, რასაც რუსი მწერლების თარგმნის დროს. მას მხოლოდ რევოლუციონერ-დემოკრატი მწერლების ნაწარმოებები აინტერესებდა და უცხოურიდანაც მხოლოდ ასეთებს თარგმნიდა. საზღვარგარეთელი მწერლებიდან კირილეს უთარგმნია: ვიქტორ ჰიუგო. მორიც ჰარტმანი, ჰაინრიხ ჰაინე, ბიჩერ სტოუ, ჯემს გრინვუდი და სხვები. თარგმნიდა რუსული ენიდან.

ვიქტორ ჰიუგო ლექსში „ვინც სიკრუის...“ გამოხსნა ქვეყნად გაშეფებულ ბოროტებას და უსამართლობას.

პოეტის აზრით, სიკეთისა და ქვეშეობისათვის მებრძოლი ადამიანები ხშირად ბოროტების მსხვერპლი ხდებიან, მაგრამ ამან არ უნდა შეაშინოს თავგანწირულები და ამის მაგალითად ავტორს მოაქვს გალილეის ცხოვრება:

მიწა ბრუნავსო, რომ სთქვა გალილეიმ,  
ჰკიცხეს ბოროტად, სტანჯეს ამისათვის,  
სჩანს, რომ ბუნების არის კანონი,  
რომ ჩვენ კაცების წარმატებისთვის  
უკეთესები უნდა ჯვარს ეცვან...

თავისებურად პატრიოტულია ავსტრიელი მწერლის მორიც ჰარტმანის ლექსი „ჩადრი“. ავტორი ამ ლექსში ნოგვიტხრობს საშობო-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 454.

ლოსათვის თავგანწირული ყმაწვილისა და მისი გმირი დედის თავგანდასავალს.

19 წლის ახალგაზრდას, სამშობლოს დამპყრობელთა წინააღმდეგ მებრძოლს, მტრები შეიპყრობენ. მას სიკვდილით დასჯას — ჩამოხრჩობას გადაუწყვეტენ. ყმაწვილი ვაჟაკურად ხვდება თავის ხვედრს. იცის, რომ სამშობლოსათვის სიკვდილი უკვდავებას ნიშნავს. ყმაწვილს დედა გმირი ქალია. იგი თავისი მტკიცე ხასიათით მეტ ძალასა და გამბედაობას მატებს შვილს. ჩამოხრჩობის წინაღუდს დედა უკანასკნელად ნახულობს შვილს. მისი ერთადერთი საზრუნავია სახრჩობელაზე ასელის დროს ყმაწვილს შიშის გრძნობა არ მოერიოს და დედა არ შეარცხვინოს. გამომშვიდობებისას დედა, ყოველ შემთხვევაში, აიძულებს შვილს, რომ იგი ხელისუფლების მესვეურს სთხოვს პატიებას და, თუ მისი თხოვნა შეიწყნარეს და სიკვდილით აღარ დასჯიან, მაშინ დედა ხვალ თეთრი ჩადრით მოხურული მაღალ მოაჯირზე იქნება გადმომდგარი, მას ჯალათები სახრჩობელასთან მაინც მიიყვანენ, მაგრამ ისე, ფორმალურად და, ოუ არ იქნა შეწყნარებული, მაშინ დედა იმავე მოაჯირზე გადმოვდება, მაგრამ არა თეთრი, არამედ შავი ჩადრით.

მეორე დღეს ჯალათებმა გამოიყვანეს ყმაწვილი ჩამოსახრჩობად. მას არ ეშინია სიკვდილის, მაგრამ ამ მომენტში სიცოცხლის წყურვილიც თავისას შერება, მღელვარებით ეძებს დედას მოაჯირზე გადმომდგარს. ბოლოს ყმაწვილმა დაინახა თეთრი ჩადრით თავდახურული დედა. ჩანს იგი შეწყნარებულია, სიკვდილით არ დასჯიან, სახეზე სიხარულს ღიმილმა გადაუარა, ჰგონია არ ჩამოსახრჩობენ. სიცოცხლე მაინც ძვირფასია... დიღია ძალა სიცოცხლისა... იმედით აღსა სახრჩობელაზე და უკვე ჩამოსახრჩობილს პირზე ღიმილი შერჩება. დედამ იგი მოატყუა, მაგრამ ამ ტყუილით გმირული სიკვდილი არგუნა შვილს. მას მაინც ხომ მოკლავდნენ და, ვინ იცის, იქნებ დაღუპულიყო უსახელოდ. დასასრულს ავტორი სვამს კითხვას და თვითვე უპასუხებს:

მაშ რად ისხამდა დედამისი ჩადრს?  
იყო ეს წმინდა, უმანკო ტყვილი..  
მაშ ეშინოდა, რომ ვაჟი-შვილი  
არ შეკრთობოდა ჩამოსახრჩობის ყმას!..

ამ ნაწარმოებში ძნელი გასარკვევია, რომელი უფრო დიდი პატრიოტია. დედა თუ შვილი. ყოველ შემთხვევაში ერთი ცხადია: ასეთი პატრიოტული ნაწარმოები დიდ გავლენას მოახდენდა ქართველ მკითხველზე, რადგან ამ სურათში ბევრი რამ მათთვის ნაცნობი და სისხლხორკვეული იყო.

საინტერესო შინაარსის შემცველია — ჰაინეს „ცხენი და ვირი“. მაშინდელი საზოგადოების დამცირების მიზნით, პოეტი ასეთ ალეგორიას მიმართავს: ბელაურები გაუღვევნიათ სამოქმედო ასპარეზიდან და ბურთი და მოედანი ვირებს დარჩენიათ.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ამერიკელი დემოკრატი მწერალი ქალის ბიჩერსტოუს (1811—1896) მოთხრობა „ბიძია თომას ქოხი“, რომელიც სამოციან წლებში ქართულად თარგმნა კ. ლორთქიფანიძემ. ეს მოთხრობა მეცხრამეტე საუკუნეში მოწინავე საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. ავტორმა ნაწარმოებში გვიჩვენა ამერიკელი პლანტატორების უმსგავსო დამოკიდებულება უმწეო ზანგებისადმი. «...roman «Хижина для Тома» проникнут страстным негодованием против безответственной сущности рабства».<sup>1</sup>

ეს მოთხრობა ღიდი პოპულარობით სარგებლობდა რუსეთის დემოკრატ-რევოლუციონერთა წრეში. 1858 წელს ჩერნიშევსკის „სოვრემენიკმა“ რუსულად თარგმნილი „ბიძია თომას ქოხი“ დამატების სახით დაურია ეურნალის ხელმომწერლებს.

1863 წელს კ. ლორთქიფანიძეს პეტერბურგში ქართულად უთარგმნია „ბიძია თომას ქოხი“, რომლის დაბეჭდვა განუზრახავს „საქართველოს მოამბეში“, მაგრამ ეურნალის დახურვის გამო თარგმანი ვამოუქვეყნებელი დარჩენილა.

ასევე დემოკრატიული იდეების შემცველია კირილეს მიერ თარგმნილი ჭემს გრინვუდის რომანი „უპატრონო და უსახლკარო ყმაწვილის ცხოვრება“.

არც ეს რომანი დაბეჭდილა თავის დროზე. ამის შესახებ კირილე ერთ თავის წათესავს, მიხეილს, სწერს: „ჩვენ ვაპირებდით ახალ ეურნალს მნათობსაც შეეწეოლით და ამ მიზნით დაეიწყეთ გრინვუდის რომანის თარგმნა. ამ თარგმანის მნათობის რედაქციაში გაგზავნა იმ პირობით გვინდოდა, რომ რედაქციას დაებეჭდა თავის ხარჯზე ჩვენდა სასარგებლოდ 200 ეგზემპლარი ამ რომანის თარგმანი, მაგრამ ნამდვილათ შეეიტყვეთ, რომ იმას ბევრი ნათარგმნი რომანები ჰქონდა, ასე რომ ჩვენი რომანი იმისათვის მეტი იქნებოდა, და ამას გარდა ხელის მომწერლები ისე ცოტა ჰყოლია. რომ არა თუ ჩვენი რომანის 200 ეგზემპლიარის დაბეჭდვა, თავისი ეურნალიმ პირველი ნომერიც ვერ დაუბეჭდია მესამე წელიწადი გადის და ვერ, მაშასადამე ჩვენი შრომა ამ შემთხვევაში გაფუჭდა“.<sup>2</sup>

დასასრულ, აღსანიშნავია ერთი ფაქტიც, რომ კ. ლორთქიფანი-

<sup>1</sup> БСЭ, т. 5, стр. 267.

<sup>2</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 166.

ძემ, წინააღმდეგ თავისი პრინციპისა, თარგმნა იტალიელი რომანტიკოსი პოეტის ჯაკომო ლეოპარდის ლექსი „იტალიისადმი“. საინტერესოა, რამ აიძულა რევოლუციონერი და დემოკრატი პოეტების მთარგმნელი კ. ლორთქიფანიძე, რომ პესიმისტი და რომანტიკოსი ლეოპარდი ეთარგმნა? ცხადია, კირილე დააინტერესა ლეოპარდის ლექსის პატრიოტულმა შინაარსმა და თავისი ქვეყნისა და იტალიის მსგავსმა ეროვნულმა ტყივილებმა.

ოდესღაც ძლიერი იტალია ლექსში წარმოდგენილია დაცემული და დამცირებული სახით. პატრიოტი პოეტი ღრმა გულსტკივილით ეკითხება სავალალო მდგომარეობაში მყოფ სამშობლოს:

ოჰ! იტალია! მითხარ, რათა ხარ  
უიარალო? აგრე რისთვის ხარ  
თავშიშველი და გულგაღვლილი?  
რად ხარ მკვდარივით შენ ფერმიხდილი?  
და ეგ წყლულები შენი რას ნიშნავს?  
ზეცას აეძახი, ჩაეძახი მიწას,  
მინდა შევიტყო ვინ დაგამცირა?  
ქუღმომხდილი და თმაგაწეწილი  
მიწაზე გდისხარ ფეხმოკეცილი.

მაგრამ ლექსის მეორე ნაწილში პოეტის სევდა და კაეშანი ოპტიმიზმით იცვლება, რადგან იგი ხედავს გამოღვიძებულ იტალიას, იარაღსხმულ მამულიშვილებს, ესმის ბუქისა და ნაღარის ხმა, ზარბაზნების ხმასთან შეერთებული. ყოველივე ამას აგვირგვინებს ეროვნული დროშის ამაყი ფრიალი.

ბუკი გაჰყვირის, — ეს უეჭველია,  
კეილ საქმისთვის იქ ომობაა...  
ეხედავ, ეხედავ მე, რომ ნელი ქარი,  
აი აქანებს ბაირალებსა.  
ფეხის ხმა გააქვს ტორით ცხენებსა;  
ზედიზედ გრგვინავს იქ ზარბაზანი,  
აი ელავენ შუბებს, ხმლები!

ამ ბრძოლის ყიყინაში, ხალხთა ამ დიდ მოძრაობაში კ. ლორთქიფანიძე ბუნებრივად თავისი ქვეყნის მომავალსაც ხედავდა. ამ ლექსის გამო კირილემ მცირე კრიტიკული მიმოხილვაც დაწერა იტალიის პატრიოტ პოეტებზე. ამ სტატიაში იგი ეხება საერთოდ იტალიელი მწერლების თემატიკას და კერძოდ ლეოპარდის შემოქმედების მოტივებს.

„მეთვრამეტე საუკუნის დასასრულიდამ დაწყებული. — წერს კ. ლორთქიფანიძე, — იტალიურმა პოეზიამ მიიღო სულ სხვაგვარი

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 457.

მიმართულება. პოეტები გრძნობდნენ, რომ წავიდა ის დრო, როდესაც ქება და გალობა იდეალურის სიყვარულისა და სიტუტრფისა ატკობდენ ხალხის გრძნობას. ცხადად ხედავდნენ თავისი სამშობლოს დამდაბლებასა და უბედურებას და ცდილობდნენ გაეღვიძებიათ თანამემამულეების გულში გრძნობა პატრიოტიზმისა<sup>1</sup>.

იტალიელი პატრიოტი პოეტებიდან კ. ლორთქიფანიძე ასახელებს ლეოპარდსა და მის პატრიოტულ ლექსს „იტალიისადმი“.

„ჩაკვმო ლეოპარდი იყო ერთი პოეტ-პატრიოტთაგანი... ბუნებას მიუნიჭებია მისთვის პოეტური ტალანტი და გატაცებულმა უცებ აღგზნებულის მამულის სიყვარულით დაიწყო წერა პატრიოტულ ლექსებისა... ორი თხზულება ლეოპარდისა „იტალიისადმი“ (დაწერილია 1833 წელს) და „ანჯელო...“ არიან ერთი პირველთაგანი იტალიურ ლიტერატურაში“<sup>2</sup>.

აი, ნამდვილი მიზეზი, რამაც წაუბიძგა კირილეს ეთარგმნა რომანტიკოსი პოეტის ლეოპარდის ლექსები.

სხვა უცხოელი მწერლების ლექსებიდან კირილემ თარგმნა იუვენალის „ძველი რომის ქალაქი“, რობერტ ნიკოლის „ყველანი ძმები ვართ“, რობერტ ბერნსის „ყველაზე უფრო“ და სხვა. ყველა ეს ლექსი, მცირე გამოჩაყლისის გარდა, თავის დროზე გამოქვეყნდა პერიოდულ პრესაში. გარდა ამისა, მას განუზრახავს თარგმნილი ლექსების ცალკე წიგნად გამოცემა.

კ. ლორთქიფანიძის არქივში შენახულია სუფთად გადაწერილი, წიგნის სახით შეკინძული ხელნაწერი.

<p>ლექსები თარგმანი რუსულიდან თომა კარგარეთელისა ..... კ. ს. პეტერბურგი 18 აპრილი 1888 წ.</p>
---

ამ კრებულში შეტანილია სულ 22 ლექსი, სახელდობრ:

1. პრომეტეოს (ოგარიოვისა)<sup>3</sup>;
2. ყველაზე უფრო (რობერტ ბერნსისა);
3. \* \* \* (ნეკრასოვიდამ)<sup>4</sup>;

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი №1166.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ლექსს ფანქრით მიწერილი აქვს „ეუძღენი ნ. გ. ჩ“, ე. ი. ნ. გ. ჩერნიშევსკის, ოგარიოვი ლექსის რუსულად მთარგმნელია.

<sup>4</sup> ფანქრით მიწერილი აქვს: „პოემა ნეკრასოვისა“.

4. პოეტი და მოქალაქე;
5. ყველანი ძმები ვართ (რობერტ ნიკოლისა)<sup>1</sup>;
6. ჩადრი (ძველებური ბალადა მორიყ პარტმანისა)<sup>2</sup>;
7. ცხენი და ვირი (ჰაინესი)<sup>3</sup>;
8. \* \* \* (ვიქტორ ჰიუგოსი)<sup>4</sup>;
9. სიმღერა განდგომილისა (პლეშჩევიცაში);
10. გარდაცვალებაზედ (დობროლუბოვიცაში);
11. \* \* \* (დობროლუბოვიცაში);
12. ყმაწვილის ტირილი (დობროლუბოვიცაში);
13. \* \* \* (დობროლუბოვიცაში);
14. შეხვედრა (დობროლუბოვიცაში);
15. მუშას (მიბაძვა დობროლუბოვისა);
16. მთესველი (ნიკიტინიცაში);
17. გალობა (პლეშჩევიცაში)<sup>5</sup>;
18. კილოს მიმოქცევა (პლეშჩევიცაში);
19. ავდარი (იტალიური ლექსი);
20. ძველი რომის ქალაქი (სატირა აუვენალისა);
21. ერთ-ორს მრავალთაგანს<sup>6</sup>;
22. ზოიარების სამხედრო გალობა.

კ. ლორთქიფანიძეს 1868 წელს გამზადებულ ლექსთა კრებულის გამოცემა 1905 წლამდე ვერ მოუხერხებია, ხოლო რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში მას ქუთაისში გამოუცია ლექსების ეს წიგნი. აღსანიშნავია ისიც, რომ ნეკრასოვის „პოეტი და მოქალაქე“ ამ კრებულში არ არის შეტანილი. ჩანს, მის მიმართ ცენზურის მკაცრი რეპრესიები კვლავაც გრძელდებოდა. წიგნს დასასრულს ასეთი შენიშვნა აქვს: „ამ ლექსთაგან: მეორე, მეცამეტე, მეთუთხმეტე და უკანასკნელი ოთხი პირველად იბეჭდება“. აქედან ჩანს, რომ ლექსები: „ყველაზე უფრო“, \* \* \* (დობროლუბოვიცაში), „მუშას“, „ავდარი“, „ძველი რომის ქალაქი“, „ერთ-ორს მრავალთაგანს“ და „ზოიარების სამხედრო გალობა“ პირველად იბეჭდა „სანთურში“.

ასეთია კ. ლორთქიფანიძის დამსახურება, როგორც რევოლუციონერი და დემოკრატი პოეტების მთარგმნელისა. იგი მხოლოდ რადიკალურად მოაზროვნე პოეტებს თარგმნიდა და ამით ხელს უწყობდა საქართველოში მოწინავე იდეების დამკვიდრებას.

<sup>1</sup> ლექსი საგრძნობლად გასწორებულია ფანქრით.

<sup>2</sup> ფანქრით მიწერილი აქვს „მ. მიხაილოვის“, ამ შემთხვევაში პოეტი მიხაილოვი იგულისხმება როგორც უცხოურიდან რუსულად მთარგმნელი.

<sup>3</sup> ფანქრით მიწერილი აქვს „ვეინბერგის“, ესეც რუსულად მთარგმნელია.

<sup>4</sup> ფანქრით მიწერილი აქვს „ს. დუროვის“ როგორც „მასსოვის“. ესეც რუსულად მთარგმნელია. — კ. შ.

<sup>5</sup> საგრძნობლად გასწორებულია ფანქრით.

<sup>6</sup> ფანქრით მიწერილი აქვს „რუსული, კავალეტისი“.

### 3. ლორთქიფანიძის ორიგინალური ლექსები

კ. ლორთქიფანიძეს აქვს ორიგინალური ლექსებიც. მის მრავალფეროვანსა და მდიდარ არქივში ბლომაღ მოიპოვება კირილეს ხელით დაწერილი ან გადაწერილი უავტორო ლექსები, რომელთაგან ალბათ საკმაო ნაწილი კირილეს ეკუთვნის, მაგრამ დამამტკიცებელი საბუთების უქონლობის გამო ჭერჭერობით არ მოხერხდა ყველა მათგანის გამოვლინება. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ლექსის ავტორობას მივაკუთვნებდით კირილეს. ამ ლექსების შესახებაც ასე თუ ისე არსებობს დამამტკიცებელი საბუთები, თუმცა შეცდომაზეც არ არის გამორიცხული.

ეს ლექსებია: 1. „ბედის ვარსკვლავისადმი“. ლექსი დაბეჭდილია „ცისკარში“ (1859 წ., № 7) ინიციალით თ. კ. ლ. „1859 წელს აპრილის 7 დღესა ქ. ქუთაისს“. ამ წელს კირილე ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლე იყო და ახალგაზრდას, მომავალ მწერალსა და ლიტერატორს თავისი ლექსი გაუგზავნია ქურნალში დასაბეჭდად.

ლექსი რომანტიკული ხასიათისაა.

პოეტი სიხარულით შეჰყურებდა მოკაშკაშე ბედის ვარსკვლავს, ბედნიერად თვლიდა თავს მისი მაცქერალი. ჩანს. მაშინ არ იცოდა, რა იყო სევდა და კაემანი.

ბედის ვარსკვლავო, ვით კაშკაშებდი შენ ამოსვლის დროს,  
და მით ჩემს გულსა ვით ახარებდი, ცით მომცინარე,  
ბედნიერ ვიყავი, როს მომიტხრობდი დროებს სახაროს,  
მუდამ ვიშვებდი. — ვის უნახავარ მაშინ მტირალი?

მაგრამ პოეტის ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. მისი მოკაშკაშე ვარსკვლავი შუა გზაზე დაბნელებულა და პოეტსაც მწუხარება დაპატრონებია.

მაგრამ შუა გზაზედ რა დაბნელდი, მაშინ საწყალი,  
ამოსვლიდამ მარად მღიმარე, სრბითა გზიერი.

როგორც ჩანს, ბედის ვარსკვლავი სავსებით არ გამქარა ციდან, იგი ღრუბლებს მიფარებია და კვლავ გამოსხივებულა პოეტის სანუგეშოდ. დაბოლოს, შეშინებული პოეტი ვარსკვლავს მიმართავს:

ხოლო აწ გვედრი, ბედის ვარსკვლავო, არა დაბნელდე...  
და საშველად, არ საწუხაროდ, მიკაშკაშებდე!

ლექსს აშკარად ეტყობა ახალგაზრდა მეოცნებე პოეტის მისწრაფება, ავტორი რომანტიკოსების სულიერ მღელვარებას შეუჰყრია. სახელდობრ, ნ. ბარათაშვილის ლექსის „ჩემს ვარსკვლავს“ საერთო გავლენა განუცდია.

განსაკუთრებით კარგად ემარჯვება კირილეს სატირული ხასიათის ლექსების წერა. მისი საპოლემიკო სტატია „ჩინ-მაჩინის გრდემლი და მასხრად აგდება“; სადაც ავტორი დავას აწარმოებს მოლაყბის ფსევდონიმს ამოფარებულ „ცისკარს“ რედაქტორ ივანე კერესელიძესთან, მთავრდება ორიგინალური ლექსებით. აქ წარმოდგენილია ოთხი სატირული ლექსი: 1. „ელეგია“, 2. „რისთვის მიყვარხარ“, 3. „სწავლულებისადმი“, 4. „ეო, მეო“.

კ. ლორთქიფანიძის ეს სატირული ლექსები არსებითად პოლემიკური ხასიათისაა. იგი გამოხატავს თერგდალეულების ბრძოლას „ცისკართან“ და მის უხეირო თანამშრომლებთან.

კირილე ლორთქიფანიძის საწინააღმდეგოდ მოლაყბე წერდა: „მე დიდად პატივისმცემელი ვარ თერგდალეულებისა... საზოგადოდ თერგდალეულების არა, თერგს ბაყაყებიცა სძენ, არა, არა, მომიტევეთ, იმ თერგდალეულებსა, რომლებსაც დიდის პეტრეს ქალაქიდგან გაუგრძელებიათ ნემსისყლაპიასავით კისერი, დაწაფებიან მდინარე თერგს და ერთი კაპლიც ვერ უგემებიანთ“<sup>1</sup>.

კ. ლორთქიფანიძის ლექსი „ელეგია“ მოლაყბის ამ სტრიქონების გამოხმაურებაა. მისი თქმით, თერგდალეული დარიალის ხეობაში დასწაფებია თერგის წყალს, მაგრამ ამ დროს ბუნება განრისხებულა, ამოვარდნილა ქარიშხალი და თერგდალეულს თავს დასტეხია უბედურება, და თურმე ყოველივე ამის მიზეზი მოლაყბის სტატია ყოფილა:

უდაბნოს უცხოს, მიუყარებელსა,  
სადაც თერგი ჰვით ჰვაზე ხტება,  
დგას ვილაც მგზავრი კისერ წაწვდილი,  
სდგას და მდინარის წყალს ეწაფება...  
ამ დროს მას გვერდით ჩამოურბინა  
მეხის ნატეხმა და თუმცა ღმერთი  
შეეწია იქ, მაგრამ საბრალოს  
დაუტრიალდა უკულმა ბედი!  
თურმე მოლაყბემ სტატია მისი  
განიხილა და ჩაქოლა იგი.

მეორე ლექსი „რისთვის მიყვარხარ“ ეძღვნება 1862 წლის „ცისკარის“ ოქტომბრის ნომერს. კირილე ოქტომბრის „ცისკარს“ იმიტომ ლანძღავს, რომ მოლაყბემ თავისი სალაყბო სტატია 1862 წლის ოქტომბრის „ცისკარში“ მოათავსა. ამ ლექსში კ. ლორთქიფანიძე ირონიულად მიმართავს „ცისკარს“:

რისთვის მიყვარხარ? მისთვის, რომ სიბრძნეს  
საქართველოში შენ განავრცელებ,

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1862, № 10.



და ვით მორწმუნე, მარხვით და ლოცვით  
ნაკადულეხსა მდულრად აცრემლები  
რისთვის მიყვარხარ? მისთვის, რომ შენ გსურს  
გადააქარბო ყველა ქურნალებს  
და ამ იმედით განუხარებ გულს  
და განამხნევებ ბედკრულ ქართველებს!

მარხვასა და ლოცვაში ავტორი გულისხმობს „ციცქარში“ მოთავსებულ ბარბარე ჯორჯაძის სტატიებს მარხვის შენახვის შესახებ.

მესამე ლექსი „სწავლულებისადმი“ მიძღვნილია პირადად მოლაყბისადმი. კ. ლორთქიფანიძე დასცინის მოლაყბებს და მის ქურნალს „ციცქარს“<sup>2</sup>.

ავტორი ასე მიმართავს სწავლულებს: „როდემდის არ სცემთ მოლაყბებსა ღირსსა თაყვანსა?“ „ძრწოდეთ სწავლულნო, ნუთუ მოლაყბებს არ ცნობთ“. და ამის შემდეგ ლექსში ლაპარაკია ქართული ენის წარმოშობისა და მოლაყბის სხვა „თეორიების“ და „აღმოჩენების“ შესახებ.

„ეო, მეოს“ ხმაზე კ. ლორთქიფანიძე უმღერის ახალგამოცემულ „ციცქარს“, რომელიც გასუქებულია, მაგრამ სიბრძნის ნატამალი არ გააჩნია.

„ეო, მეო, აქეთ მომხედო,  
მოდო, გვერდს მომიჭექი, „ციცქარს“ დახედო!  
ეო, მეო, ჰა გადაშალო!  
როგორ გასუქებულია, შიგ არის სიბრძნეო!

პასუხი:

ეო, მეო, აეხედ-დაეხედო,  
თავიდანა დაწყებული სულ გადავიკითხო,  
ეო, მეო, ტყვილად აქე შენო,  
ღურამე სისქით თვისებასა არ აფასებენო!<sup>3</sup>

ასევე საყურადღებოა კ. ლორთქიფანიძის უსახელო ლექსი „რაჲ იგრიალა, რისი ხმა ისმის“.

რამ იგრიალა, რისი ხმა ისმის,  
უ-უ-უ-უჰ!  
ამ მსხვერვეა-ტეხით რა დაეცა ძირს?  
უ-უ-უ-უჰ!  
მუხიდან კოლო ჩამოვარდაო!  
უ-უ-უ-უჰ!

ეს დიდი ხმაურა თურმე კოლოს ძირს ჩამოვარდნას აუტეხია. ბუზი დაუფრთხია და შეშინებულს ექიმის მოსაყვანად წასვლა განუზ-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 1166.

<sup>2</sup> კ. ლორთქიფანიძემ იცოდა, რომ მოლაყბე იგივე ივანე კერესელიძე იყო.

<sup>3</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 1166.

რახავს, მაგრამ კოლო წინააღმდეგი წასულა, რადგან ექიმის მოსვლამდე იგი მაინც მოკვდება. კოლო მხოლოდ იმას ითხოვს, რომ ბუზმა მას სამარე გაუთხაროს და ცხარე ცრემლით დაიტიროს იგი. ლექსი ალეგორიული ხასიათისაა. კოლოში ალბათ იგი ძველი თაობის მოღვაწეებს გულისხმობს, რომელთა ხსნა და გადარჩენა არავითარ მკურნალობას არ შეეძლო.

კ. ლორთქიფანიძის ნაწარმოებებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს დობროლუბოვის მიბაძვით დაწერილი ლექსი „მუშას“. აქ ლაპარაკია მუშის უმწეო მდგომარეობაზე, ეკონომიურ სივიწროვეზე და უუფლებობაზე, რომ მუშას ხელ-ფეხი შეკრული და შებოჭილი აქვს და მისი გულისტკივილი პოეტისათვის ნაცნობი და მახლობელია.

მე და შენ და ჩვენმა ძმებმა,  
ყველა ჩვენმა მეგობრებმა,  
ყველამ ვიცი, თუ შენ გული  
რამ მოგიკლა, რა დარდებმა.  
შენ მისთვის კენეს, რომ ბედისგან  
მშრომელს ხელი გაქვს შეკრული,  
დამიჭერე, რომ ამისგან.  
მეც გულშია ღრმად მაქვს წყლული...<sup>1</sup>

მღელვარე განცდები და სულიერი ტკივილები გამოხატა კირილე ლორთქიფანიძემ ილიას მკვლელობის გამო დაწერილ ლექსში.

ასევე დიდი სიყვარული და ღრმე პატივისცემა იგრძნობა აკაკისადმი მიძღვნილ პატარა ლექსში, რომელიც კ. ლორთქიფანიძემ მგოსნის იუბილესთან დაკავშირებით დაწერა.

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 454 და 478.

პ. ლორთქიფანიძე — კვბლიცისტი და მოაზროვნე

სამოციან წლებში საქართველოში ღრმა პუბლიცისტურ აზროვნებას ილია ჭავჭავაძემ ჩაუყარა საფუძველი. ილია ჭავჭავაძის საპოლემიკო სტატიებით დაიწყო ახალი ხანა ქართულ ლიტერატურაში. მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგეთა კამათის დონე ძალზე დაბალი და პრიმიტიული იყო, თერგდალეულების მეცნიერული მსჯელობა ყოველთვის გამოირჩეოდა საკითხის ღრმა ცოდნით, პრინციპულობითა და სიცხადით.

ქართულ პრესაში ილია ჭავჭავაძის სახელოვან ტრადიციებს იცავდნენ მისი თანამებრძოლები: ა. წერეთელი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, კ. ლორთქიფანიძე და სხვ.

თერგდალეული კ. ლორთქიფანიძე უდავოდ თვალსაჩინო ფიგურა იყო სამოციანი წლების მოღვაწეთა შორის. მისი მახვილგოიჯრულად დაწერილი სტატიები ნათლად არკვევდა თერგდალეულებისა და მათ მოწინააღმდეგეთა სადავო საკითხებს. კ. ლორთქიფანიძე, როგორც მოაზროვნე, მარჯვედ იყენებდა ბელინსკის, დობროლუბოვისა და ჩერნიშევსკის მატერიალისტურ თეორიებს, ამავე დროს კარგად ჰქონდა შესწავლილი მოწინავე მოაზროვნეების — ფოიერბახის, დარვინისა და სხვათა შრომები.

კ. ლორთქიფანიძე, ისე როგორც სამოციანი წლების სხვა მოღვაწეები, ძირითადად მატერიალიზმის პრინციპებს იყენებდა, მაგრამ მისი აზროვნება ზოგჯერ, კონკრეტული ჭეშმარიტების ძიების დროს, ვულგარული მატერიალიზმისა და იდეალიზმის ტყვეობაში ექცეოდა.

მართალია, თერგდალეულები, ისე როგორც მათი მასწავლებლებიც, ვერ ამალდნენ მარქსიზმის დონემდე, მაგრამ ამ იდეურმა მოძრაობამ ნიადაგი მოამზადა შემდგომი ჭეშმარიტი აზროვნებისათვის.

განსაკუთრებით დიდია თერგდალეულების დამსახურება „ცისკრის“ რეაქციული მიმართულებისა და ანტონ პირველის დრომოჭეული თეორიების განადგურების საქმეში. ამ იდეური ბრძოლის

დროს თერგდალეული კ. ლორთქიფანიძე ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იდგა.

კ. ლორთქიფანიძის პირველი საპოლემიკო სტატია „წიგნი მიწერილი რედაქტორთან“ ეფვთიმე წერეთლის დაიბეჭდა 1862 წლის „ცისკრის“ მეოთხე ნომერში. პეტერბურგელი სტუდენტები და მათ შორის კ. ლორთქიფანიძე ძალზე აღუშფოთებია გორისელის სტატიას და თერგდალეულებს (კ. ლორთქიფანიძეს, სამსონ აბაშიძეს და ა. წერეთელს) გამოუგზავნიათ „ცისკრის“ რედაქტორისათვის სამი საპასუხო სტატია. კ. ლორთქიფანიძემ მთავარი იერიში ექვთიმე წერეთელზე მიიტანა, თუმცა მას ილიას სხვა მოწინააღმდეგეებიც არ დაუტოვებია ყურადღების გარეშე.

იგი, პირველ ყოვლისა, აუგად იხსენიებს „ცისკარს“ და მის უხეირო თანამშრომლებს. დასცინის გორისელსა და მისგან ნაქებ მწერალ ბარბარე ჯორჯაძის ქალს, ეხება ორი უურნალის არსებობის სარგებლიანობის საკითხს, აქებს ილია ჭავჭავაძეს, ეკამათება გორისელს „ვეფხისტყაოსნის“ თაობაზე, არჩევს ანტონ პირველის პოეზიის ნიმუშებს და მკაცრი განაჩენი გამოაქვს მისი „აკროსტიხების“ მიმართ, უარყოფს საერთოდ ანტონის სქოლასტიკას და „ცისკრის“ რეაქციონერ მოღვაწეთა შეხედულებებს. ყოველივე ამას კირილე აკეთებს საკითხის ცოდნითა და პუბლიცისტური ოსტატობით. სტატიაში სერიოზული აკადემიური მსჯელობა ზომიერადაა შეზავებული მახვილგონივრულ იუმორთან. ყველა მისი დებულება დასაბუთებულია სათანადო მასალებითა და სარწმუნო წყაროებით.

სტატიის შინაარსიდან ირკვევა, რომ კირილეს ძლიერ აღელვებულს დაუწერია გორისელის საპასუხო წერილი. ამას მოწმობს „ცისკრის“ რედაქტორის სახელზე გაგზავნილი კერძო ბარათიც. საინტერესოა ამ ბარათის შინაარსი:

„მოწყალეო ხელმწიფევე ივანე ივანეს-ძევე!

მარტის უკანასკნელ რიცხვებში (29) მოვიდა პეტერბურგში ჩვენი დედისერთა უურნალი... დარწმუნდით ივანე ივანეს-ძევე! რომ ყოველი წარმატება ამ ჩვენი უურნალის დიდი სასიამოა ყველასათვის და ყოველი ნაკლოვანება სამწუხარო. ასე სისხლიანი ნაღველი გადაეველება ხოლმე ჩვენს ფულს, როცა იმისთანა უებრო ცუდ სტატიებს ვნახავთ, როგორც იყო ამ ნომერში უფ. წერეთლის, მაგრამ რა გაეწყობა, როგორც სტატიაში ვუბნობ, თქვენი ბრალი არ არის ეს, განვიმეორებ, ისე გავცეცხლდი ამ სტატიის დანახვაზედ, რომ არ შეგვეძლო, რომ არ დაგვეწერა რამე. ვინ სწერს? სწერს კაცი, რომელიც როგორც თვითონ უფ. წერეთელი უბნობს, სიკვდილში უდგია ფეხი და რომელიც აქამდის არ უნახავს ხორციელს კაცს მწერლის

ადგილზედ. ვიცნობ ამ კაცს, რა კაცია. როგორ გაბედა ამგვარი სტატიის დაწერა, მეორე ცხრა თვის გასვლის შემდეგ! მაგრამ ანდაზა იტყვის „კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირი ვარო“ — როგორც გაუნათლებლობით და ფარისევლობით გაყინული აქვს თავი უფ. გორისელს, ისეთი გაყინული აზრები უთქვამს. იპოვის ნეტავი კაცი მის სტატიაში რაიმე აზრს?! აი ასე შეწუხებულმა დავწერე თქვენი ჟურნალისათვის ორიოდ სიტყვა და ამ წიგნთან ერთად გიგზავნი, თუ წინააღმდეგი არ იქნეს თქვენი ჟურნალი, გთხოვთ, დააბეჭდინოთ ან აპრილის ან მაისის წიგნში, რასაკვირველია, პირველში ემაჯობინება. ჩემს სახელსა და გვარს ნუ გამოაცხადებთ ჩვეულებრივი ფსევდონიმი იყოს მათ შაგიერი, ის ფსევდონიმი, რომელიც მომიწერია სტატიის ქვემოთ „თერგდალეული“. ვფიქრობდი, ასოების ამწყობი ვერ გაიგებს მეთქი და კარგად გადაწერა 31 მარტისათვის, როცა ექსტრა ფოშტა მოდიოდა, ვერ მოვასწარო და მას აქეთ პირველი ექსტრა ფოშტა დღეს გახლავთ.

თუ ვინცობაა, წინააღმდეგი იქნეთ, უკანვე გამომიგზავნეთ. თქვენი ჟურნალის წარმატების მსურველი კირილე ლორთქიფანიძე. აპრილი, 1862 წელი“<sup>1</sup>.

ეს წერილი მრავალმხრივად საინტერესო. ჩანს, პირველი საბოლემიკო სტატია ახალგაზრდა, გამოუცდელ ყმაწვილს, მეორე კურსის სტუდენტს კ. ლორთქიფანიძეს, ქართულ წყაროებსა და მასალებს მოკლებულს, პეტერბურგში ძალიან მცირე დროის მანძილზე დაუწერია. თუ ამ წერილის დასაწყისში აღნიშნულ თარიღს დავუჯერებთ, სტატია ერთი დღე-ღამის განმავლობაშია დაწერილი.

ამავე წერილიდან ჩანს, რომ „ცისკრის“ თებერვლის ნომერი, რომელშიც ექვთიმე გორისელის სტატია იყო მოთავსებული, პეტერბურგში კირილეს 29 მარტს მიუღია, ხოლო 30 მარტისათვის სტატია მზად ყოფილა და მისი დაბეჭდვის თაობაზე ივანე კერესელიძის სახელზე ბარათიც დაუწერია. ამავე წერილიდან ირკვევა, რომ სიჩქარას გამო მას სტატიის გადათეთრება 31 მარტისათვის ვერ მოუსწრია და ამიტომ, რომ კერესელიძეს სწერს: „...ვფიქრობდი, ასოების ამწყობი ვერ გაიგებს მეთქი და კარგად გადაწერა 31 მარტისათვის, როცა ექსტრა-ფოშტა მოდიოდა, ვერ მოვასწარო“.

ყოველ შემთხვევაში, სტატია 31 მარტს, „ექსტრა ფოშტის“ წამოსვლის დღეს, შავად დაწერილი ყოფილა, ხოლო გამოგზავნილი უნდა იყოს მეორე „ექსტრა ფოშტაზე“, აპრილის დასაწყისში. ამას წერილის თარიღის გარდა, ისიც აღასტურებს, რომ უფრო გვიან გა-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 1165. წერილს ბოლოში მიწერილი აქვს სხვა თარიღი „30 მარტი, 1862 წ., კ. პეტერბურგი“.

მოგზავნილი მასალა აპრილის „ცისკარში“ ვერ მოხვდებოდა. ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ გორისელის საწინააღმდეგო სტატია, მხოლოდ ერთი ან ორი დღის განმავლობაში იწერებოდა, რაც კ. ლორთქიფანიძის ერულიციაზე და საერთო საქმისადმი გულშემატკივრობაზე ლაპარაკობს.

გორისელის სტატიასთან დაკავშირებით საინტერესოა შემდეგი ცნობაც. როგორც ირკვევა, ექვთიმე გორისელს თავისი სტატია იმ სახით არ დაუწერია, როგორც „ცისკარში“ იყო გამოქვეყნებული. პირველად გორისელის სტატიაში რაფიელ ერისთავის ლექსის გინება ყოფილა და არა ილია ჭავჭავაძისა, მაგრამ რედაქტორს. ივანე კერესელიძეს, თავად შეუსწორებია სტატია. რაფიელის მაგივრად ილიასა და ახალგაზრდების ლანძღვა ჩაურთავს და ამ სახით დაუბეჭდავს იგი „ცისკარში“.

ყრველივე ეს ექვთიმე წერეთელს ქუთაისში ნიკო ნიკოლაძისათვის უამბნია და ამის გამო ნიკოლაძე პეტერბურგში კ. ლორთქიფანიძეს სწერს:

„მხოლოდ კირილე! დღეისწორ პარასკევს მოვედი ქუთაისს. გზაზედ ვიყავი თვრამეტ აგვისტოდან ოცდა რვა სექტემბრამდე<sup>1</sup>. აქაური საზოგადოების ამბავი ხომ შენც გეცოდინება, ქალები და კაცები არიან სწორედ როგორც გინახავს უწინ. პატარა პროგრესი კი არის. ლაპარაკობენ ლიტერატურაზე. მართლა გორისელმა შემეხვეწა თქვენთან ბოდიშის მოხდა. რათ არ დაიგვრე, ნუ დაწერ სტატიას თქო ექვთიმეზე. ხომ მისი ბრალი არ ყოფილა. წარმოიღვინე გორისელს დაუწერია სტატია, რომელშიაც გაულანძღავს რაფიელ ერისთავი მისი ლექსისათვის, რომელშიაც წერია, რომ მე ხომ კატა არა ვარ და შენ თავიო, ერთი სიტყვით, პოლონსკის ლექსის გადათარგმნისათვის. მერე მოუყვანია ჭავჭავაძის ლექსი „აყვავებულა ველი“ მაგალითად და ანტონის და ჩახრუხაძის ლექსები. ვითომ, აი ამისთანა ლექსები უნდა სწერონო. ჩვენ ვირისთავს (ე. ი. მიხვდები ვის, ან, ესე იგი კერესელიძეს, ჩვენს პუშკინს და სხვა) კვლეაში მოსვლია: ამ წიგნს მე გამოვცვლიო, მაშინვე აუღია ხელში, რედაქტორის, ცენზორის და არ ვიცი კიდევ ვისი კალამი, გორისელის სტატიიდან რაფიელის ლანძღვა გამოუშვია, ჭავჭავაძის გინება კი თავისით ჩაუმატებია და ეს ყოველად უსახო, უგვარო სტატია შეგვხვდა ჩვენ წასაკითხავათ. გორისელმა ეხლა სტატია დაწერა, რომელშიაც სრულიად ბრალს ადებს კერესელიძეს. მე ვუთხარი: ჩვენ სრულიადაც არ მოგვივიდოდა ფიქრში თქვენი ლანძღვის დაწერა, რომ თქვენ ჭავჭავაძის ჟურნალი არ გეგინებიათქო. ჩვენ იმ ჟურნალის დიდი იმე-

<sup>1</sup> ე. ი. პეტერბურგიდან ქუთაისამდე მგზავრობას დასპირებია 42 დღე.

დი გვაქვს, თქვენ კი ჯერ უშრნალი არ ჩასახულათქო და კრედიტს უკარგავთქო. გორისელმა ფიცი, მტყიცო. აი ღმერთი, აი ხატი, არც კი მცოდნია თუ ჭავჭავაძე უშრნალის გამოცემას აპირებსო, მაგ სიტყვებით: „ვილაც ჭავჭავაძე უშრნალის გამოცემას აპირებსო“ და სხვანი კერესელიძის ჩამატებული არისო. გორისელმა მთხოვა დრო დამინიშნეო და იმ სტატიის შავს მოგიტანო, წაგაკითხებო, თუ იმ სტატიაში რამე წერია მაგისთანაო სულ მაგინეთო, მეც ვუთხარი, თუ თქვენ არ დაგიწერიათ, ჩვენ ბოღიშს მოვითხოვთქო. მაგრამ არც ჩვენა ვართო მაგაში დამნაშავენი... ჭავჭავაძის უშრნალმა აქ ფურორი მლახდინა, ჯერჯერობით გენაცვალე კირილე, რამე გაგზავნე დასაბეჭდათ, უსათუოდ გაგზავნე“<sup>1</sup>.

ცხადია, ნ. ნიკოლაძის სიტყვების სიმართლეში ექვის შეტანა შეუძლებელია და ჩვენთვის გასაგები ხდება ივანე კერესელიძის მოქმედება, რაც გამოწვეულია მეორე უშრნალის გამოცემის შიშით. ეს არსებითად „ცისკრის“ რედაქტორის შიშია ახალი უშრნალის გამო ხელისმომწერთა რიცხვის შემცირებით გამოწვეული, თორემ, აბა ექვთიმე წერეთელს რას დაუშავებდა ახალი უშრნალის გამოსვლა? ცხადია, კერესელიძის უხეირო მოქმედებამ დაუმსახურებლად გააღანძღვინა გორისელი კ. ლორთქიფანიძეს.

კ. ლორთქიფანიძის მეორე საპოლემიკო სტატია „ორიოდესიტყვა „ცისკარზედ“ და ახალის უშრნალის სარგებლობაზედ“, შედარებით პირველთან, უფრო ღრმა შინაარსისაა და მეტად საინტერესო პრობლემებს ეხება. ამასთანავე ავტორი აქ უფრო მოხერხებულად იყენებს სატირასა და იუმორს.

კ. ლორთქიფანიძის აზრით, დიდი ხნის ნატურის შემდეგ საქართველოს გაუჩნდა ერთადერთი შვილი „ცისკარი“, მაგრამ სიკვდილმა იგი მალე მოიტაცა (იგულისხმება ორი წლის შემდეგ „ცისკრის“ დახურვა). რამდენიმე წელი საიქიოს განისვენებდა „ცისკარი“ ლიტურგიულ ძილში და შემდეგ ყვითელ კაბაში გამოწყობილი, მკვდრეთით ამდგარი ისევ მოველინა საზოგადოებას (იგულისხმება 1857 წელს „ცისკრის“ გამოცემის განახლება.—კ. შ.), მაგრამ უბედურება ის არის, რომ ისეთივე უსიცოცხლო და უფერული მოგვევლინა „ცისკარი“, როგორც სიკვდილის წინ იყო.

შემდეგ ავტორი არჩევს ივ. კერესელიძის ლექსს „ავრორას“, რომელიც რედაქტორს სპეციალურად „ცისკრის“ ახალი ნომრისათვის დაუწერია. კირილე ეხება ლექსის პირველ ოთხ სტრიქონს, სადაც სწერია:

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 758.

ავრორამ განხვანა სიბნელის კარი,  
რომლით გამოხდა კვალად ცისკარი,  
და ბაძავს იგი რა გავსილ მთვარეს,  
ჭერ სხივთ სუსტად ფენს ჩვენს არე-მარეს.

„...პირველი ორი სტრიქონის მნიშვნელობა, — წერს კირილე, — არც ახლა ვიცი. ნიშნავს ის სიბნელის კარი საფლავის კარებს, რომელშიაც მწვანედ შესუდრული ჩამარხნეს ჩვენი „ცისკარი“, თუ იმ დროებას, რომელიც თითქოს მოაკლდა სინათლეს „ცისკარი“ ცოცხალ-მკვდრობაში? უკანასკნელი ორი სტრიქონის მნიშვნელობას კი ნულარა მკითხავთ! ნუ თუ მართლა მთვარე მაშინ ჰფენს სუსტად სხივებს, როცა გავსილია ნუ თუ „ცისკარი“ გავდა როდისმე, ან ეხლა გავს გავსილ მთვარეს? როცა ცხოველი ბადრი მთვარე ანათებს ჩვენს ქვეყანას, კაცს თვალი გახილული აქვს... ის გზას უჩვენებს კაცს... „ცისკარს“ გზა თვითონ არ ჰქონია, სხვას ვის უჩვენებდა? სხივებს თვითონ მოკლებული სხვას ვის მოჰფენდა?“. შემდეგ დასძენს თერგდალეული: „კერესელიძის ლექსი გზას კი არ ანათებს, აბნელებს ჩვენს არემარესო“.

კ. ლორთქიფანიძე ეკამათება ალ. სავანელს „ცისკარის“ შეფასების საკითხში. სავანელის აზრით, „ცისკარი“ ჭერ ახალგაზრდა და ცუდი არ უნდა დაიწეროს მასზე. კირილე უპასუხებს: „ექვსმა წელიწადმა ჩაირბინა მას აქეთ, რაც „ცისკარის“ გამოცემა დაიწყო, მაგრამ გაზრდით კი არ გაზრდილა არც ფიზიკურად, არც ზნეობრივად... ჩვენ არ ვეთანხმებით უფალ სავანელს და ვამბობთ: თუ ყმაწვილი არ გაწვრთნეს და არ გაუსწორეს ყმაწვილური აზრები, იმ აზრებითვე დაბერდება“.

შემდეგ კირილე ასწორებს „ცისკარში“ დაშვებულ შეცდომებს, ასახელებს უხეირო სტატიებს, მათ შორის „თევზების ჰაერიდან ცვენას“. და დასძენს: „რედაქციას... არ უნდა ებეჭდა სტატიები თავის ჟურნალში აურჩევლად...“ მას გარკვეული მიზანი უნდა ჰქონოდა და ამისათვის დაემორჩილებინა ყოველივე. აქედან გამომდინარე, სამართლიანად ასკენის: „ქე შ მ მ ა რ ი ტ ე ბ ა მ ა რ უ ნ დ ა დ ა უ თ მ ო ს ა დ გ ი ლ ი ა რ ც ს ა ზ ო გ ა დ ო ა ზ რ ს, რ ა მ დ ე ნ ა დ ა ც შ ე ს ა ძ ლ ო ა, და არც თვითეულს ჩვენთაგანის საკუთარ ინტერესს“ (ხაზი ჩვენია. — კ. მ.). ყველაზე მეტად კირილე დაინტერესებულია იმით, რომ „ცისკარის“ რედაქციას შეაგნებინოს მეორე ჟურნალის გამოცემის სარგებლიანობა. „ჟურნალების რიცხვის მომატებას, იმ სიკეთეებთან, რომელიც

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1862, № 9.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.



ზევით მოვიხსენე, შეუძლია მოგვიმატოს შკითხველების რიცხვი, რომელიც დამოკიდებულია ერთი ან მეორე ჟურნალის მოწონებაზედ“...

დასასრულ, კ. ლორთქიფანიძე, იმარჯვებს რა დიალექტიკის მეტოდს, დაასკვნის, რომ ყოველ მოვლენაში არის უარყოფითი და დადებითი ფაქტორები. არ არსებობს აბსოლუტურად უვარგისი საგანი. „ცისკარი“ ცუდი ჟურნალია, მაგრამ ამ ცუდ ორგანოსაც ჰყავს კარგი თანამშრომლები, აგრეთვე პროგრესული იდეების მქადაგებელი მწერლები, და ასეთად მას სამართლიანად მიაჩნია ნ. ბარათაშვილი, ლ. არდაზიანი, დ. ჭონქაძე, ი. ჰავჭავაძე, აკ. წერეთელი.

ისე, როგორც პირველი სტატიის გაგზავნის დროს, ამ შემთხვევაშიც კ. ლორთქიფანიძეს სტატიასთან ერთად პირადი ბარათი გაუგზავნია ივანე კერესელიძისათვის. ჩვენს მიერ დამოწმებული ბარათის ტექსტი შავია, და ამდენად სტრიქონები გაუმართავია. მოგვაქვს უცვლელად.

„მოწყალეო ხელმწიფევე ივანე ივანეს-ძევე!

ვგონებ თქვენც იმ აზრის იყოთ, რომ მეორე ჟურნალის ყოფნა სასარგებლო იქნება, როგორც საზოგადოებისათვის, აგრეთვე „ცისკრისათვისაც“ (სარგებლობა) ეს სტატია, (ორი-ოდე სიტყვა) რომელიც ადრე მქონდა დაწერილი, მაგრამ თითქოს ერთი თვეა მას აქეთ რაც დავწერე და აქამდის ვერ გადავწერე (ვერ მოვასწარი), უდროობის გამო (მიახლება, ამ სტატიაში მოკლედ ვუბნობ მეორე ჟურნალის სარგებლობაზე, როგორც „ცისკრისათვის“, აგრეთვე საზოგადოებისათვის) არის ჩემი აზრის გამოხატულება, თუმცა შემოკლებით, მრავალში გამტყუნებთ ივანე ივანეს-ძევე, მაგრამ ყველა საყვედური თქვენ არ გეკუთვნის, საზოგადოებაც დანაშაულია და ცისკრის ჰაიერიც მცველოლობაში (?) და სირბილიც (?), რომელსაც მიზნდებით თქვენის „ცისკრის“ განხილვის თავში. საზოგადოება (მაშიდ რომ) მისთვის, რომ ის არ შეგწვევიათ არც (ფულებით, რომელიც საჭირო იყო) არც მწერლებით...

ფულები, რომელიც ძლიერ საჭირო იყო და ამასაც ვიტყვი, რომ ჩვენი საზოგადოება არ იყო და არც არის ისე გაზრდილი, რომ კარგი ჟურნალი შეიშნოს (...) მიახლება ეს სტატია თქვენთვის და იმედი მაქვს, რომ იმ კეთილ განზრახულებას (...) (საზოგადოებისათვის და თქვენი ჟურნალისათვის), რომელმაც დამაწერია ეს სტატია, ადგილს მისცემთ თქვენს ჟურნალის ავვისტოს ნომერში, თუ ვინცობაა არ დაბეჭდოთ, მიზეზი გამოაცხადეთ, როგორც წინათ გთხოვეთ.

თქვენი ჟურნალის კეთილდღეობის მოსურნე

თ. კ. ლორთქიფანიძე.

P. S. ჩემი ვინაობის მოწერა ვგონებ საჭირო არ არის. თუ აღარ გახსოვთ და ან თუ ჩემი წინანდელი წიგნი დაგეჟარგათ, შეიძლება შეიტყოთ თერგდალეულებთან რომელიც მაქ გახლავან. — კიდევ გთხოვთ, რომ ჩემი სახელი და გვარი არ გამოაცხადოთ სტატიის ქვევით. 15 ივლისი, ქ. პავლოვსკი<sup>1</sup>.

აღსანიშნავია ისიც, რომ კერძო ბარათის ტონი უფრო დიპლომატიური და ლმობიერია. ვიდრე ოფიციალური კამათისა. ამ შემთხვევაში კირილე ყურნალის უეარგისობაში ივანე კერესელიძეს არც კი ღებს ბრალს. წერილები ყურადღებას იპყრობს იმითაც; რომ ქ. ლორთქიფანიძე თავიდანვე სტატიის ბოლოს თავისი გვარისა და სახელის გამოცხადების წინააღმდეგი ყოფილა. ორივე წერილში იგი დაბეჭდვით სთხოვს რედაქტორს, ჩემი გვარი და სახელი არ გამოაცხადოთ.

ივანე კერესელიძეს — „ცისკრის“ რედაქტორს, კირილეს თხოვნა აუსრულებია და იმავე 1862 წლის „ცისკრის“ მეცხრე ნომერში გამოუქვეყნებია ზემოთ დასახელებული სტატია. აღსანიშნავია ისიც, რომ „ცისკრის“ მომდევნო ნომერში თვით ივანე კერესელიძემ, მოლაყბის ფსევდონიმით, მკაცრად გააკრიტიკა ქ. ლორთქიფანიძის ეს წერილი. მოლაყბე თავის სტატიას თერგდალეულების დახასიათებით იწყებს და ირონიულად დასცინის კისერწაგარძელებულ, თერგის წყლის ყლაპია ახალგაზრდებს.

შემდეგ მოლაყბე საინტერესო მოსაზრებას ავითარებს ენის საკითხზე. მაშინ, როდესაც ქ. ლორთქიფანიძე და სხვა თერგდალეულები მუდამ ებრძოდნენ „ცისკრის“ რედაქციას და მის თანამშრომლებს ხალხისათვის გაუგებარი „მაღალი სტილისათვის“, ახლა, პირიქით, ივანე კერესელიძე ედავება ქ. ლორთქიფანიძეს და იწუნებს მის ენას, როგორც ხალხისათვის გაუგებარსა და გაზვიადებულს.

მოლაყბე წერს: „იტალიურ ენაზე რომ დაიწყო ლაპარაკი და ბევრს კარგს სასარგებლო რამეს რომ შეუბნებოდე, თუ ჩემთვის გაუგებარია, — უსარგებლო არის და იქნება“<sup>2</sup>. და ასეთი გაუგებარი მეტყველების ნიმუშად მას კირილეს ნაწერი მიაჩნია.

„არა თუ ღმერთი გწამს, რომელმა მღაბიომ უნდა გაიგონოს ეს თქვენი ძვირფასი აზროვანი სტრიქონები: „ვითარცა ცეცხლი აღძრული დედამიწისა შინა, ძარღვთა კლდისათა გამაპობელი დაგლიჯა ლუკმა-ლუკმად მისი ნორჩი და შეუმაგრებელი სხეული“. შემდეგ მოლაყბე დასძენს: „ჩვენ გვინდა ცოცხალი ენა, ცოცხალი, მკვდარის ენა მკვდრებსავე მიეცით. თუ სახალხოთა სწერთ, ხალხს გა-

<sup>1</sup> ქ. ლორთქიფანიძის არქივი, ზელნაწერი № 1163.

<sup>2</sup> „ცისკარი“, 1862, № 10.

აგონეთ, თუ თქვენთვისა სწერთ და დაიდევით, იკითხეთ რამდენი ც სურთ. რაღათ ბეჭდავთ...“<sup>1</sup>

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ „ციცკრის“ რედაქტორი თერგ-დალეულებისაგან ხალხისათვის გასაგები ენით წერას მოითხოვს. ისიც საინტერესოა, რომ მოლაყბებს კარგად შეუბრძნოვია კ. ლორთქი-ფანიძის სტატიიდან მაღალფარდოვანი წინადადებები, თუმცა ერთა მაინც ცხადია, მოლაყბებს თვით ეტყობა მსჯელობის დროს თერგდა-ლეულების იდეური გავლენა. ეს ჩანს თუნდაც მოლაყბის შემდეგი სიტყვებიდან: „სულ თერგის ბრალიაო, იტყვიან ზოგნი, გარწმუ-ნებთ, კარგი ყველგან კარგია, თუნდა თერგი დალიოს და თუნდა მტკვარი, ეს კი არ არის მიზეზი, ის არის, რომ ყოველი ჩვენგანი რაღასაც ჭკუას ჩემულბობს, მეცნიერობს, ყველგან გვინდა, რომ ჩვენი გავიყვანოთ, ჩვენი აზრები მოვაწონოთ და... უკაცრავად კი ვრჩებით, აი ბატონებო“<sup>2</sup>.

პირველად ილია ჭავჭავაძე და კ. ლორთქიფანიძე „ციცკრის“ რე-დაქტორის მიმართ გამოთქვამდნენ საყვედურს, რომ იგი ჟურნალში ყველაფერს ბეჭდავს, ყველა თეორეტიკოსად მიაჩნია, ვინც წერა-კითხვა იცის და ჟურნალს აკისრებს მათი უხეირო ნაყოფილარის გამოქვეყნებასო. ახლა. პირიქით, ასეთ უხეირო მჭლანელად მო-ლაყბებს თერგდალეულები მიუჩნევიან.

თვითონ მოლაყბე რომ რედაქტორია, ეს ხშირად ვლინდება სტა-ტიაში. ერთ ადგილზე იგი მოსწრებულად შენიშნავს, თუ ჟურნალი სუსტია: „ამაში რედაქტორმა რა ქნას, მწერლები ხომ სტამბის სა-ბეჭდავი ასოები არ არის, რომ ლონდონიდან დაიბაროს“. ხოლო შემდეგ დასძენს: „ხუთი ათასის მომწერთ ფულიდგან, რომელს კარგს მწერალსაც მინდა, ლეკურს ვათამაშებ“<sup>3</sup>.

მოლაყბის საპასუხოდ კ. ლორთქიფანიძეს დაუწერია ვრცელი სტატია „ჩინ-მამინის გრდემლი და მასხრად აგდე-ბა“. „სტატია 2. ჟურნალი ტლაპო“. წერილს ხელს აწერს მ. თავდგირიძე. პირველ ყოვლისა, გასარკვევია, ეს სტატია მართლა ეკუთვნის თუ არა კ. ლორთქიფანიძეს და მ. თავდგირიძე არის თუ არა კ. ლორთქიფანიძის ფსევდონიმი?

მ. თავდგირიძე რომ იგივე კ. ლორთქიფანიძეა, ამას ამტკიცებს შემდეგი ფაქტები:

1. სტატია კირილეს ხელითაა დაწერილი და მისივე ხელითაა ჩა-სწორებული.

<sup>1</sup> „ციცკარი“, 1862, № 10.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

2. წერილის დასაწყისში მ. თავდგირიძე აღნიშნავს: „ცისკარში“ 1862 წლის ოქტომბრის წიგნში იყო სალაყბოს ფურცელი, რომელშიაც ავტორს გაუჩრჩევია ჩემი სტატია „ორიოდესიტყვა ცისკარზედ და ახალი ჟურნალის სარგებლობაზედ“. ჩვენ კი ვიცით, რომ ხსენებული სტატია — „ორიოდესიტყვა ცისკარზედ და ახალი ჟურნალის სარგებლობაზედ“ კ. ლორთქიფანიძისაა. მაშასადამე, ამ სტატიის ავტორიც კ. ლორთქიფანიძეა.

ჩვენ ხელთა გვაქვს ამ სტატიის დედანი. ჯერჯერობით ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილ ვერ მივაკვლიეთ. შესაძლებელია არც გამოქვეყნებულა. საინტერესოა სათაურის ქვეშ მინაწერი — „სტატია 2. ჟურნალი ტლაპო“.

ამ მინაწერის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს სტატია მოლაყბის საპასუხოდ რიცხვით მეორე სტატია უნდა იყოს და პირველის გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ წერილის შინაარსი და განსაკუთრებით მისი დასაწყისი ამტკიცებს, რომ ეს სტატია პირველია და აქედან იწყება მსჯელობა მოლაყბის სტატიის შესახებ.

სტატია ხუთი მუხლისაგან შედგება. თითოეულ მუხლში ავტორი თანმიმდევრულად არჩევს სადავო საკითხებს:

1. საკითხი ეხება ახალგაზრდა „ცისკარს“ უარყოფით თვისებებზე მსჯელობის ნაადრეობას და ამით გამოწვეულ მოლაყბის საყვედურებს. ამის თაობაზე კირილე შენიშნავს: „მგონია, რომ სექტემბრის წიგნში ტყვილი არაფერი შემიწამებია „ცისკარისათვის“, კიდევაც ბევრი ვაპატივე, რადგანაც მის ფურცლებზე უნდა დაბეჭდილიყო, რადგანაც ვიცოდით, ვინ იყო ბატონი მოლაყბე და სინდისმა მეტის ნება არ მომცა და იქნება ამისათვის შემდუროდეს გამოჩენილი ქართველი მწერალი“<sup>1</sup>.

2. კ. ლორთქიფანიძე თავს იმართლებს მოლაყბის უსაფუძვლო ბრალდებისაგან, რაკი „ცისკარში“ კარგი მწერლები თანამშრომლობენ, როგორ შეიძლება „ცისკარი“ ცუდი იყოსო. ამაზე კირილე უპასუხებს: „ჩემი სიტყვები სხვანაირად აუხსნია მოლაყბეს და ამბობს, ვითომც ერთიმეორეს საწინააღმდეგო აზრებს ვლაპარაკობდე“. ბოლოს თერგდალეული დასძენს, რომ ერთი ალილუია მღვდელსაც შეეშლებათ, ერთი და ორი მწერალი შეიძლება კარგნი იყვნენ, მაგრამ ჟურნალი საერთოდ უვარჯისი იყოსო.

3. აქ ლაპარაკია მოლაყბის სტატიაში დაშვებულ ენობრივ შეცდომებზე. კ. ლორთქიფანიძე უსაყვედურებს მოლაყბეს არასწო-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 1166.

რად გამოთქმული ქართული სიტყვების შესახებ და, ი. ჭავჭავაძის მსგავსად, ამტიკებს ხალხური მეტყველების უპირატესობას ხელოვნურად დამძიმებულ ენასთან შედარებით. რედაქტორს ჟურნალის ყდაზე უნდა დაებეჭდვინებინა „ხელი მოეწერება“ და არა „ხელი მოსწერლები“, „ფეხოსნის“ მაგიერ უნდა დაეწერა „ქვეითი“, „მოსწერლებს და ფეხოსნებს“ ვერც ერთ გრამატიკაში იპოვნის კაცი და ვერც ხალხურში გაიგონებს და თქვენ როგორ ფიქრობთ უფ. მოლაყბე! გრამატიკა აღგენს ხალხის ენას, თუ ხალხის ენა გრამატიკას? <sup>1</sup>.

ასევე სწორად ესმის კ. ლორთქიფანიძეს უცხო სიტყვების ხმარების პრინციპი ქართულ ენაში. უცხო სიტყვის შემოტანა მას მაშინ მიაჩნია მიზანშეწონილად, თუ მისი შესატყვისი ქართულში არ პოიპოვება. ამიტომ უსაყვედურებს „ცისკარის“ მწერლებს: „თუ სხვა სტატიებსაც გადავხედავთ, კიდევაც იმდენს ევროპულს სიტყვებს ვიპოვნით, რომ მეტი არ შეიძლება, მაშინ, როდესაც ყველა ისინი გვაქვს ქართულს ენაზედ“.

კ. ლორთქიფანიძე იმასაც მიუთითებს მოლაყბეს, რადგან კარგი მწერლების საბეჭდ ასოებივით ლონდონიდან გამოწერა არ შეიძლება, აქ კი ჩვენ უკეთესი არა გვყავს, თუნდაც ხუთიათასი ხელისმომწერი გეყლოს, როგორ შეიძლება კარგი მწერლების შოვნას და მათს „ლეკურის თამაშობასო?“

შემდეგ კ. ლორთქიფანიძე ეხება მეორე ჟურნალის სარგებლიანობის საკითხს და მოლაყბის და სხვების უსაფუძვლო შიშთან დასაბუთებას ახალი ჟურნალის გაჩენის გამო.

5. მეხუთე თავში ლაპარაკია ქართული ენის წარმოშობის „ცისკარისებურ“ ლეგენდაზე, რომლის მიხედვით თითქოს ნოე ქართულ ენაზე ლაპარაკობდა. ამის თაობაზე კირილე ირონიულად შენიშნა: „გახარებთ, გერმანიის და აგრეთვე დასავლეთ ევროპის ფილოლოგებო და აგრეთვე ისტორიკოსებო, რომ უფალმა მოლაყბემ გამოაკვლია და აცხადებს, ნოე და მისი შვილები ქართულ ენაზედ ლაპარაკობდნო. მაშასადამე, ყველა ენების დედა და ძირი იქნება ქართული ენა... და თქვენ, ქართველებო, გესმით?.. იყვირეთ ურა, ჩვენს დიდებას... ახლა ჩვენ დაგვრჩა ბურთი და მოედანი...“ <sup>2</sup>

შემდეგ ამ „ისტორიული აღმოჩენის“ შესახებ კ. ლორთქიფანიძე სქოლიოში ვრცელ შენიშვნას აკეთებს და ამ საკითხთან დაკავშირებით მწერალ გრ. რჩეულიშვილსაც გაპკრავს კრიტიკის მწვევე სტრიქონებს.

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 1166.

<sup>2</sup> იქვე.

კ. ლორთქიფანიძემ კრიტიკულად გაარჩია გრ. რჩეულიშვილის რომანი „თამარ ბატონიშვილი“ და ავტორს ისტორიული ფაქტების აუცილებელ შეცდომებზე მიუთითა.

კ. ლორთქიფანიძე წერს: „ისტორიული რომანის („თამარ ბატონიშვილის“) ავტორისაგან ხომ არ უყიდნია უფ. მოლაყბეს ეს გამოკვლევა? იმ ავტორისაგან, რომელმაც გაამეფა გიორგი ლაშა მეთოთსმეტე საუკუნის დასაწყისში, გადაასახლა სულთანი კონსტანტინეპოლში მეცამეტე საუკუნის დასაწყისში, ააშენა ტფილისში გიყების სახლი ლაშას დროს და ნიშნად გამარჯვებისა ისტორიულ გამოკვლევაში ისროლა თოფი მეთორმეტე საუკუნის დასასრულში და რომელიც, როგორც ისტორიაში აგრე კარგად დახელოვნებული კაცი (ასე იტყვის ცისკრის რედაქცია) იმედია ძლიერ კარგად ააწერდა ქართველების ხასიათსა და ჩვეულებებს“<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, კ. ლორთქიფანიძეს, თუმცა სამართლიანად, მაგრამ შინც შემოელანძლა „ცისკრის“ ერთგული დამცველი გრ. რჩეულიშვილი. საინტერესოა იაიკ, რომ ამ სტატიის მიხედვით. ისტორიული რომანის „თამარ ბატონიშვილის“ პირველ და სამართლიან კრიტიკოსად კ. ლორთქიფანიძე გვევლინება და არა ანტონ ფურცელაძე. ანტონ ფურცელაძის კრატიკული გამოკვლევა ამ საკითხზე მხოლოდ 1863 წლის „ცისკრის“ პირველ ნომერში გამოქვეყნდა, კირილეს ზემოთ დასახელებული წერილი კი 1862 წელსაა დაწერილი.

„საქართველოს მოამბის“ მეოთხე ნომერში კირილემ გამოაქვეყნა წერილი „ბიძია თონიკეს სტატიის „ტფილისის ტროტუარზე მოგზაურობის გამო“. ეს სტატია წარმოადგენდა „ბიძია თონიკეს“ ფაევდონიმით გამოქვეყნებული წერილის „მოგზაურობა ტფილისის ტროტუარზედ“ პასუხს.

ამ ბრძოლის ისტორია ასეთია: 1862 წლის №7 „ცისკარში“ „ბიძია თონიკეს“ ფაევდონიმით ლ. არღაზიანმა დაბეჭდა ზემოთ დასახელებული სტატია — ნახევრად დრამატულ ფორმაში ჩამოყალიბებული მხატვრული ნაწარმოები უნივერსიტეტში გაზრდილი ახალგაზრდების საწინააღმდეგოდ. ამ ნაწარმოებში ავტორი ახალგაზრდებს ცუდად იხსენიებს, უსაქმურებსა და უნაყოფოებს უწოდებს, რადგან ისინი თბილისის ტროტუარზე ლაყბობითა და ლაზლანდარობით ირთობენ თავს. ნაწარმოები დიალოგის ფორმით ვითარდება. იგი შედგება ხუთი თავისაგან და მოქმედ პირებზე გამოყვანილი არაან ტროტუარზე მოსეირნე ფრანტი ახალგაზრდები, ქალაქელი ბიჭი, რუსი ქალი აქსინია, ქართველებიდან პეტრე ურ-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 1166.

ცხადს, დარბაისელოვი, მეგრელები, ქუჩაში მოსიარულე მოქალაქეები და სხვები. ნაწარმოების შესავალში ბიძია თონიკე უკმაყოფილებას გამოთქვამს ქართველი ახალგაზრდების მიმართ, რადგან არ მოსწონს მათი საქმიანობა: „მამ რისთვის გავზარდეთ უმალღეს სასწავლებელში, — წერს ავტორი, — რათ მოვითმინეთ მრავალი მწუხარება იმათი მოშორებით, ლაპარაკი დიდი აქვთ. საქმით კი ჩხრჩის გადაბრუნებაც არ შეუძლიან. მაგრამ რადგანაც უნაყოფოა იმათი სწავლა, ამიტომაც ხალხი ამბობს „ფრანტობის“ მეტი არა უსწავლია რაო“<sup>1</sup>.

კიდევ მეტი, ბიძია თონიკეს ჩვენი ახალგაზრდობა ცრუ მეცნიერებად და ტაკიმასხრებად ჰყავს გამოყვანილი:

„ახალ ამბებს შეიტყობთ ხოლმე სიტყვიერების გაზეთითა, ეს ამბები გამოიჩეკებიან ტფილისის ტროტუარზედ, გამომჩეკნიც გახლავან იაინი, ვინც უფრო ხშირად ბუღარობენ მუნ, ესე იგი: ცრუ მეცნიერები, სულელ მეცნიერები, გამოუწველნი და იმათი ტაკიმასხრები, ეს ხალხი სტეკენის და სვეითავს ტროტუარსა, ყურებს გაგიჟედს ყოველგვარ სიცრუითა, ყოველგვარ მკეცხარობითა. განკიცხვითა, სხვაზედ დაციხვითა, თუმცა თვითონ არიან საპაცილო და ამას ვერ ხედავენ“<sup>2</sup>.

ამ საერთო შესავლის შემდეგ ავტორი გვიჩვენებს თბილისის ტროტუარზე წარმოდგენილ ხუთ სხვადასხვა სურათს თავისი მოქმედი გმირებითა და დამახასიათებელი ატრიბუტებით. მოქმედება წარმოებს ტროტუარზე მდგარ სკამებზე. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ურცხვაძისა და დარბაისელოვის საუბარი. აი, როგორ ახასიათებს ურცხვაძე პეტერბურგელ სტუდენტებს: „ეხლანდელი ყმაწვილყაყები მიდიან პეტერბურგს, მიიხედვენ, მოიხედვენ, წვერს გამოუშვებენ და წამოვლენ, ეს არის, სასწავლებელი დაასრულეს. ყველა ისწავლეს, გოგრა სიბრძნით აივსეს, ჰა, ჰა, ჰა“<sup>3</sup>.

ნაწარმოების დიდი ნაწილი ავტორს მიუძღვნია თავხედი რუსი ჩინოვნიკებისადმი. აქ დახატულია უხამსი რუსი მოხელეები, რომელთა სიბრძნე იმ დონემდე აღწევს, რომ ისინი თავიანთ დამსახურებად თვლიან, მათივე სიტყვით რომ ვთქვათ, „ჩამორჩენილ — აზიური ქვეყნის“ — საქართველოს კულტურულ წინსვლას.

საინტერესოა დიალოგი ველიკოუშოვსა და ოსტროუშოვს შორის.

ველიკოუშოვი — ჩვენ რომ გადმოვვედით, რა ხალხი იყო და ეხლა, ხედავ, რანი არიან?

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1862, № 7.

<sup>2</sup> „ცისკარი“, 1862, № 7, გვ. 129.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 130.

ოსტროუმოვი — ...ჩვენ რომ გადმოვედით წერა-კითხვა არ იცოდნენ, ეხლა ფრანციცულადაც კი ლაპარაკობენ, ტანცაობენ, ტლინკაობენ, ცხოვრობენ, ჭამენ, წვერსაც კი უშეუბენ... ჩვენ რომ არ გადმოსაზღვებულყავით, განა ასე განათლებოდა აზია?... ბარბაროზად დარჩებოდა.

ველიკოუმოვი — იმათი ქალები უფრო განათლდნენ, სიტყვას არ იტყვიან ისე, რომ რუსული არ შეაჩხირონ, აღარც რცხვენიათ, სწორედ როგორც ჩვენი ქალები, ისე იქცევიან და ბედნიერად, განათლებულად ზდიან თავიანთ თავს, რომ ასე იქცევიან.

ოსტროუმოვი — სულიკო, ჩვენ ვართ ამათი განმანათლებლები.

ველიკოუმოვი — ჩემი მშობელი ქვეყანა დავტოვე და შევწირე ჩემი ცხოვრება აზიას, გამენათლებინა.

ოსტროუმოვი — ეხლაც იმითმ არ მივდივარ ჩვენ მშობელ ქვეყანაში, რომ შევამაგროთ აქ განათლება<sup>1</sup>.

მესამე სურათში ავტორს გამოყვანილი ჰყავს მოხეტიალე ლოთი რუსი დედაკაცი აქსინია, რომელიც პაპიროსს სწევს, მღერის და ხტუნავს ქუჩაში. იგი მიუახლოვდება ქალაქელ ბიქს და ასეთი სიტყვით მიმართავს: „ცავიდეთ დუკანში“.

ქალაქელი ბიჭი — რათა?

აქსინია — დავლიოთ, პული გაქვს?

ქალაქელი ბიჭი — გალუბუშკა!

აქსინია — ცუდია აზია!

ქალაქელი ბიჭი — შენ იცი, სად ბუდარობენ...<sup>2</sup>

ასეთი სურათებით ლ. არდაზიანმა სამართლიანად მიუზღო ბრიყვ ჩინოვნიკებს, ისე როგორც ამას მაღალმხატვრულ ფორმებში ახერხებდნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი.

ცხადია, სტატიის ამ ნაწილში თერგდალეულებს არაფერი ექნებოდათ სადავო ლ. არდაზიანთან, მაგრამ სტუდენტების ლანძღვას და „ტფილისის ტროტუარზე“ უსაქმოდ მოხეტიალედ წარმოდგენას, ბუნებრივია, ახალგაზრდები გულისწყრომით შეხვდებოდნენ. კ. ლორთქიფანიძემ მართლაც სამაგიერო პასუხი გასცა ბიძია თონიკეს — ლ. არდაზიანს. თერგდალეულთაგან მხოლოდ კ. ლორთქიფანიძე გამოენხმაურა, ისიც პეტერბურგიდან.

კ. ლორთქიფანიძის სტატია „ბიძია თონიკეს სტატიის „ტფილისის ტროტუარზე მოგზაურობის გამო“ გამოქვეყნდა „საქართველოს მოამბის“ მეოთხე ნომერში. ავტორი ცდილობს დაამტკიცოს თო-

<sup>1</sup> „ცისკარი, 1862, №7, გვ. 133—135.

<sup>2</sup> იქვე.



ნიკეს ბრალდების უსაფუძვლოა და დაიცვას ახალგაზრდობის ავტორიტეტი.

პირველად კ. ლორთქიფანიძე ეხება ი. ჭავჭავაძის მოწინააღმდეგეებს და განსაკუთრებით მწვავედ იხსენიებს ექვთ. წერეთელს, ამის შემდეგ იწყებს სტატიის განხილვას.

კ. ლორთქიფანიძე თონიკეს სტატიის შესახებ წერს: „მეოთხე თვეზედ ჩვენს სტატიას შემდეგ გამოვიდა სტატია ბიძია თონიკესი „მოგზაურობა ტფილისის ტროტუარზე“. ამ სტატიაში ცხადად გამოიხატება თითქმის ყველა უკმაყოფილებაები, რაც აქვთ საზოგადო საქმეზედ ჩვენს დედამეებს და თანამემამულეებს“<sup>1</sup>.

იგი სსმართლიანად უსაყვედურებს ბიძია თონიკეს სტუდენტებზე ტენდენციური თავდასხმისათვის. შესაძლებელია, ერთი რომელიმე უხეირო სტუდენტი მართლაც გამოერიოს ჯგუფში, მაგრამ ამის გამო ყველა ახალგაზრდის შეურაცხყოფა კირილეს აზრით უსამართლობაა.

„ყოველ ქვეყანაში და საზოგადოებაში, ყოველს გინაზიელებში და სტუდენტებში და ერთსა და იმავე ოჯახში კაცები ერთმანეთს არ გვანან ძლიერ ხშირად, ამისათვის არ შეიძლება, რომ ერთი და ორი რომ ცუდი გამოდგეს მათში, ყველა ცუდი იყოს, ერთი მაინც ივარგებს...“<sup>2</sup>

სტატიის დიდი ნაწილი ეხება ახალგაზრდობის საქმიანობას და სწავლა-აღზრდის პრობლემებს. ისე, როგორც საერთოდ სხვა საკითხებზე, ამ შემთხვევაშიც კ. ლორთქიფანიძე მეტად საინტერესოა და ჯანსაღ პედაგოგიურ აზრებს ავითარებს, რაზეც სხვა დროს გვექნება ლაპარაკი. სტატიის დასასრულს კირილე მოხდენილად მიმართავს ბიძია თონიკეს: „აბა ერთი შიჩვენე, ჩემო თონიკე, ვინ რა გააკეთა? თუ სხვას არ გაუკეთებია, ჩვენ რას გვეჩი, ერთი მიბრძანე? რას ჩაცვივებინარ ჩვენს წვერებს და უღვაშებს... ვითომ რა კარგია, რომ „შენ არც წვერი გაქვს და არც უღვაშები, საქურისს რომ დამგვანებინარ?... ან კი რა გინდა გააკეთოს კაცმა შენს ხელში. თუ ჩვენგანმა რჩევა შეიტანა რისიმე, იტყვიან, ჰაერში ციხე-ღარბაზეებს აშენებო. თუ გითბრეს რამე და გავამტყუნეს, როგორ გბედესო გუშინდელმა ბალებმაო. თუ მოგახსენეს, რომ მეზის ტენის დროს ელია ეტლით არ დახრიგინობო, შენ უხვთოებას დაუძახებ. ანტონ კათალიკოზი თუ პოეტად არ იცვენს, შენ გეგონება, ქართულ ლიტერატურას ავინებენო, არ გყვარებით სამშობლოო. თუ ვისმეს ჩვენთაგანს ნაკლოვანება შენიშნე, აი ბატონო, უნივერსი-

<sup>1</sup> „საქართველოს მოამბე“, № 4.

<sup>2</sup> იქვე.

ტეტში გამოხული, აი სულ ბრძენი, აი ფრანტიო, ყველა ამისთანებო არიან; უნივერსიტეტი ვინც გაათავაო. თითოთ საჩვენებელი შევიქენით, „შე უნივერსიტეტში ნამყოფო“ საგინებელ სიტყვად გახდა ჩვენში, შენ, ჩემო ბიძია, მაგრამ კიდევ განვიმეორებ, ვინ რა გააკეთა. ერთი მიბრძანე, თუმც ზოგიერთს არც სწავლა აკლია და არც განათლება...“<sup>1</sup>

ქ. ლორთქიფანიძის ამ სტრაქონებიდან აშკარად ჩანს ავტორის პოლემიკური ნიჭი და ნათელი აზროვნების უნარი. მარტივად, მაგრამ მოხდენილად არის ნაჩვენები ის დიდი ზღვარი, რომელიც არსებობდა პრიმიტიულად მოაზროვნე ძველ თაობასა და უნივერსიტეტში განსწავლულ, მეცნიერებით შეიარაღებულ ახალგაზრდობას შორის.

ქ. ლორთქიფანიძესა და ბიძია თონიკეს შორის დავა კვლავ გაგრძელდა. 1863 წლის №6 „ცისკარში“ გამოქვეყნდა ქ. ლორთქიფანიძის მიმართ ახალი საწინააღმდეგო წერილი: „ორიოდე სიტყვა შესახებ თერგდალეულის სტატიისა“. თუ პირველი სტატია ლ. არდაზიანმა ბიძია თონიკეს ფსევდონიმით დაბეჭდა, ამ ახალი სტატიის ავტორად ალექსი ელბაქიძე გამოაცხადა. ისე გამოდის, თითქოს ბიძია თონიკემ პასუხის ღირსად არც კი ჩათვალა თერგდალეული და ვიღაც ელბაქიძე გამოუჩნდა თავხედ თერგდალეულს მოპასუხედ. რომ ელბაქიძე თითქოს სხვაა და არა ბიძია თონიკე, ამის დასამტკიცებლად ლ. არდაზიანი ერთგვარ ხერხს მიმართავს. სტატიაში წერს: „იმედი მქონდა უფ: ბიძია თონიკე არ დაიდუმებდა ცილისწამებასა და პასუხს მისცემდა უფ. თერგდალეულსა, მაგრამ როგორც შევიტყვეთ, უფ. თონიკემ მხოლოდ გაიცინა უფ. თერგდალეულის სტატიაზე და თავი დაანება, ღირსად არ დაინახა პასუხი მიეცა. მე ღარწმუნებული ვარ, ამ თერგდალეულის სტატიაზედ არავინ ყურადღებას არ მიაქცევს, მაგრამ, რომ უფ. თერგდალეულს თვალი აუხილო, მე საჭიროდ ვცანი გამოვსთქო ჩემი აზრი“<sup>2</sup>.

თითქოს ვიღაც გარეშე პირი დაინტერესებულა, ჰკუა ასწავლოს და თვალეზი აუხილოს თერგდალეულს. რომ ამაში მკითხველი კიდევ უფრო დაარწმუნოს, ელბაქიძე ისე წარმოგვიდგენს თავს, რომ ვითომ პირველად გამოდის სამწერლო ასპარეზზე და მხოლოდ ჰეშმარიტების სიყვარულმა აიძულა კალმისათვის მოეკიდა ხელი.

„ვიცი, მკითხველს გაუკვირდება, რომ მეც, ჩემი კალმით გამოველ სამწერლო ასპარეზზედ, ესეც ვიცი, რომ იქნება გამოჩნდეს ვინმე, მაგალითად, ვიღაც თერგდალეული და ჩვენი მარტივი სიტყვა

<sup>1</sup> „საქართველოს მოამბე“, № 4.

<sup>2</sup> „ცისკარი“, 1863, № 6, გვ. 341.

მრუდეთ დაინახოს და მაგიერ მისა, რომ დამიმტყიცოს ჩემი შეცდომა, უმთ ისარკაზმოს, უთავბოლოთ, უგზო-უყვლოთ გამაროს საქმეში, მაგრამ ამ შემთხვევაში არ შემიძლიან ხმა არ ამოვიღო, დიდი მიზეზი მაქვს, მართალია, ჩემი კალამი არ არის გამოჭრილი მსწავლულის ხელისაგან, მაგრამ ამ საცოდაობით გამოჭრილის კალმით მსურს გამოვთქო ჭეშმარიტება, რომლითაც შევარცხვენ ცილისმწამებელსა. მე მაქვს დავა, როგორც ჩანს, ძლიერთან, რომელსაც ძლიერ კარგა უნდა ჰქონდეს გამოჭრილი კალამი, მაშასადამე, ბრძოლა არ იქნება თანასწორი. ვიცი მსწავლული ჩემი მოპირდაპირე მხოლოდ კალმის წვერით დამიწყებს ომსა, მაგრამ მე მაქვს სიმართლის ტყვია-წამალი“<sup>1</sup>.

ამის შემდეგ ელბაქიძე ეხება თერგდალეულების ბრძოლას ექვთ. გორისელის წინააღმდეგ. საინტერესოა ისიც, რომ ავტორი ამ შემთხვევაში თერგდალეულების პოზიციას იცავს, თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ ამისათვის საჭირო არ იყო ამდენი ღროისა და ენერგიის ხარჯვა.

„მაგრამ განა საკმაო არ იყო, რომ სამმა ქვით დაკრიბეს ერთი და ხმა არ ამოაღებინეს“—წერს ელბაქიძე. განსაკუთრებით უსაყვედურებს კ. ლორთქიფანიძეს, რომ იგი არ მოეშვა გორისელს, სანამ ბიძია თონიკე არ გამოუჩინდა საკბილოდ და ახლა არც თონიკეს მოეშვება მანამდე, სანამ ახალი მსხვერპლი გამოჩნდებაო.

„ერთი ამათგანი (იგულისხმება კ. ლორთქიფანიძე. — კ. შ.) ჭირივით ჩამოეკიდა უფ. წერეთელსა და შემდეგ „ცისკრის“ ნომრებშიაც დააყოლა და დააყოლა კიდევ ქვა. ბედი ექვთიმე წერეთლისა, რომ ამ მესამე თერგდალეულმა (უნდა იყოს პირველმა თერგდალეულმა. — კ. შ.) მოიგდო ხელში ბიძია თონიკე, თორემ წერეთელს სიკვდილამდე არ მოეხსნებოდა. ესლა დარწმუნებული ვარ, რომ უფ. თერგდალეული აღარ ჩამოეხსნება თონიკესა და მანამდე სდევნის ქვითა და კეტითა, სანამ სხვა გამოუჩნდება საცემარი“<sup>2</sup>.

ამის შემდეგ ელბაქიძე, იგივე ლ. არდაზიანი, ცდილობს დაამტკიცოს, რომ მას თერგდალეულები არ გაულანძღავს. კ. ლორთქიფანიძეს, მისი აზრით, ყურადღება უნდა მიექცია იმისთვის, რომ ახალგაზრდების შაგინებლად მან უარყოფითი პიროვნება ურცხვაძე გამოიყვანა და ურცხვაძის მოსაზრებებს ნაწარმოების დადებითი გმირი დარბაისელოვი დაუპირისპირა, რომელიც ამავე დროს ავტორის მისწრაფებებს გამოხატავდა.

„ნუ თუ იმდენი არ გაგეგებათ, რომ გაარჩიოთ ბაასი ურცხვაძისა

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1863, № 6, გვ. 41.

<sup>2</sup> იქვე.

და დარბაისელოვისა ნუ თუ ქალაქის ბიჭი არ არცხვენს ურცხვა-  
ქსა? მე გკითხავ თქვენ!.. როგორ ვერ ხედავთ, რომ უ. ბიძია თონი-  
კე თქვენსკენ არის და თქვენ ეშმაკებისაკენ<sup>1</sup>.

მართლაც, სტატიაში არსებითად ზოგად უარყოფით მოვლენებ-  
ზეა ლაპარაკი. უვიცი რუსი ჩინოვნიკებისა და ფრანტი ახალგაზრდე-  
ბის გარდა, ავტორს გამოყვანილი ჰყავს გადაგვარებული ქართველი  
ქალები და მამაკაცები. ცოლები ქმრებს ატყუებენ და ოჯახებს ანად-  
გურებენ მოდებითა და „ბალ-ვეჩერებზე“ სიარულით. აგრეთვე  
„ტროტუარზე“ გვხვდებიან ქართველები, რომლებიც დამტკრეული  
რუსულით ლაპარაკობენ და მშობლიურ ენას კი უკადრისობენ. მათ  
ქალაქელი ბიჭი სამართლიანად არცხვენს: „თქვენ მაგიერ მე მრცხვე-  
ნია, ჯერ რუსული უნდა ისწავლოთ და მერე ილაპარაკოთ, თუ არა  
იოტისოდენა არ იცით რუსული და ხმა-მადლა ტროტუარზე ღრი-  
ალებთ“.

ცხადია, ავტორმა ამ საერთო ნაკლოვანებათა შორის უნივერსი-  
ტეტში გაზრდილი ახალგაზრდებიც გალანძლა და ეს თერგდალეულე-  
ბმა თავის თავზე მიიღეს. ამ საკითხის გარკვევისათვის საინტერესოა  
აკაკი წერეთლის წერილი კ. ლორთქიფანიძისადმი, სადაც აკაკი კი-  
რილეს სწერს: „ბულვარდზედ მოგზაურობა (იგულისხმება ბიძია  
თონიკეს სტატია „ტფილისის ტროტუარზე მოგზაურობა“. — კ. შ.)  
დაბეჭდვამდის ჩემს ზელში იყო, მაგრამ იქ ჩვენზედ არაფერია, ვი-  
ზედაც არის, ვიცი ყოველი პირი, მაგრამ გამოსარჩლება არ გვარ-  
გებს, ღირსნი არიან. ტროტიჩეებით ეძებენ ტროტუარზე ჭეშმარი-  
ტების ნამსხვრევებს. არ იციან რათ, არც იმას ამბობენ, ქართული არ  
იციანო, თორემ ჩვენზე როგორ გაბედავდნენ რაიმეს დაწერას. ეს  
სტატია არღაზიანის არის. იმან დაწერა. კი დაეწერათ ჩვენზედაც  
პასუხი ვიდაცეებს, მაგრამ იქვე ეთქვათ, მოგდომებიათ ტყავის გაძ-  
რობა და ეს არისო, და შიშით უკან წაუღიათ“.

აკაკიც ადასტურებს, რომ ლ. არღაზიანს „ტროტუარზე“ მოსე-  
იჩნე უსაქმურ ყმაწვილებად თერგდალეულები კი არა, სხვები ჰყო-  
ლია გამოყვანილი, რომლებიც, მისივე თქმით, ღირსი არიან ასეთი  
გალანძღვისა. ეს ბარათი იმითაც არის საინტერესო, რომ ამ საბუთით  
არღაზიანის ავტორობის საკითხი გადაწყვეტილად ითვლება.

კ. ლორთქიფანიძის აზროვნების საფუძველს წარმოადგენდა სა-  
მოციანი წლების რუსეთის რევოლუციონერ მოღვაწეთა იდეოლოგია  
და ამასთან ერთად იგი იყენებდა მოწინავე უცხოელი მწერლების  
თეორიებსაც, რომელიც მას აგრეთვე რუსული წყაროებიდან ჰქონ-  
და შეთვისებული.

<sup>1</sup> „ციცკარი“, 1863, № 6, გვ. 247.

უცხოელ მოაზროვნეთაგან კ. ლორთქიფანიძე იცნობდა დარ-  
ვინიის, სპენსერის, მილის, ბოკლისა და სხვათა თეო-  
რიებს. კირილე განსაკუთრებით იყენებდა ჩარლზ დარვინის მოძღ-  
ვრებას. ერთ ვრცელ კერძო ბარათში კ. ლორთქიფანიძე პეტერბურ-  
გიდან საზღვარგარეთ მყოფ ნ. ნიკოლაძეს სწერს: „შენ გინდოდა,  
რომ დარვინის ტეორიით აგეხსნა ცივილიზაციის წინსვლა და ეს  
ძლიერ მომეწონა... მე ბევრი ბაასი მქონდა ამხანაგებთან ამაზე, ვამ-  
ბობდი, რომ დარვინის ტეორია ახალ სწივს ფენს არა თუ კაცობრი-  
ობის ისტორიას, უორგანო ბუნებაზედაც მეთქი. ჩემმა აბსტრაქციამ  
სხვა მაგალითებით უორგანო სამეფოდან (თუმცა ძლიერ ღარიბი  
იყო ეს მაგალითები და ვიცოდი, რომ ვერავის დავაჭერებდი) მიმიყ-  
ვანა იქამდის, რომ უორგანო ბუნებაშიაც ვეძებდი იმავე კანონს  
შემკვიდრეობაზე, როგორც ორგანიზან ბუნებაში“<sup>1</sup>.

კ. ლორთქიფანიძე დარვინის მოძღვრებით ისე ძლიერ დაინტერე-  
სებულა, რომ მას იყენებს, არა მარტო ცოცხალი სამყაროს შესას-  
წავლად, არამედ არაორგანულ ბუნებაშიაც კი დაუწყია დარვინის  
კანონების ძებნა. ამავე წერილში ისიც კი არის აღნიშნული, რომ  
კ. ლორთქიფანიძე ცდილობდა ეს მოძღვრება მტკიცედ დაენერგა  
ახალგაზრდობის წრეში. ამის თაობაზე, როგორც იგივე საბუთები  
ადასტურებს, კირილეს ხშირად ჰქონია ამხანაგებთან დავა და კამა-  
თი. იმავე წერილში კირილე ნ. ნიკოლაძეს სწერს: „ვხედავდი, რომ  
ზოგიერთი ჩვენი ყმაწვილები ვერ პოულობდენ დარვინის პრინციპს  
კაცობრიობის ცივილიზაციაში და ამისათვის მოგწერე, რომ მესხი იმ  
ხალხის კატეგორიას ეკუთვნის მეთქი, რომელთაც არ შეუძლიან, რომ  
ავტორისაგან მოყვანილ ფაქტებს გარდა გაავრცელონ საზოგადო  
პრინციპი სხვა ფაქტებზე მეთქი. ერთი სიტყვით ეს ნიშნავს ან პრინ-  
ციპის გაუგებრობას, ან ახალი ფაქტების უცოდინარობას, ე. ი. თუ  
იმას არ შეეძლო, რომ დარვინის ტეორია კაცობრიობის საზოგადო-  
ებისათვის გამოეყენებია, ეს ნიშნავს, ერთის მხრით, რომ იმან არ  
იცის ცივილიზაციის ისტორია, ცოტა უკითხავს საზოგადოებაზე და  
ცოტა უფიქრია. სხვათერ არ შემეძლო იმისი აზრის ახსნა, რომელიც  
იმან გამოთქვა... როგორც ის ამბობდა შემდეგ და რომელიც ვგონებ  
მოგწერე... მერე ლაპარაკი მქონდა მე და ხამაშურაძეს ანდრონიკაშ-  
ვილთან<sup>2</sup> „სარგებლობაზედ“ და... სერგეი მესხი, ერთის მხრით, და-  
ეთანხმა ნ. ანდრონიკაშვილს...

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი №595.

<sup>2</sup> ხამაშურაძე და ანდრონიკაშვილი იყვნენ პეტერბურგის უნივერსიტეტის  
კირილესდროინდელი სტუდენტები, კირილე მათ ხშირად იხსენიებს სხვა პირად  
ზარათებშიც.

ნ. ანდრონიკაშვილი არ ჩამირიცხავს მაშინ ამ ხალხების კატეგორიაში, რადგანაც ის ხშირად სხვადასხვა საზოგადო აზრებს წარმოთქვამდა და სხვათა შორის დარვინის ტეორია... გამოსაღვამადაც იცნო. მერე კი დავრწმუნდი, რომ მფარველი „სრული თავისუფლებისა საზოგადოებრივ ინტერესების ბრძოლაში“ და თანამებრძოლი „კაპიტალისა“ მთლიანად გამოიყენებდა დარვინის ტეორიასაც, რადგან გამოიყენა პოლიტიკური ეკონომია<sup>1</sup>.

როგორც ჩანს, კ. ლორთქიფანიძე აქტიური მებრძოლი ყოფილა დარვინიზმის მოძღვრების დანერგვისათვის საქართველოში. საინტერესოა ისიც, თუ რომელ „კაპიტალზე“ აქ ლაპარაკი, ეს ხომ არ არის მარქსის „კაპიტალი?“ კ. ლორთქიფანიძის ეს ბარათი დაწერილია 1866—1867 წლებში. ბარათი თავისი არაჩვეულებრივი სიდიდის გამო რამდენიმე თვის განმავლობაში იწერებოდა. მარქსის „კაპიტალი“ კი პირველად გამოვიდა გერმანულ ენაზე 1867 წელს, ხოლო რუსულ ენაზე — 1872 წელს, ასე რომ შესაძლებელია 1867 წელს გერმანულ ენაზე დაბეჭდილი მარქსის „კაპიტალი“ იმავე წელსვე ცნობილი ყოფილიყო ქართველი სტუდენტებისათვის. კ. ლორთქიფანიძის მიერ მოხსენებული „კაპიტალი“ მარქსის „კაპიტალი“ რომ უნდა იყოს, ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ ამავე წერილში ლაპარაკია პოლიტიკონომიის საკითხებზე და სიტყვა კაპიტალი ჩასმულია ბრჭყალებში როგორც წიგნის სახელწოდება. ამ სახელწოდებით, გარდა მარქსის „კაპიტალისა“, სხვა წიგნი არ ყოფილა ცნობილი. თუ ეს ნამდვილად მარქსის „კაპიტალია“, მაშინ საქართველოში მარქსისა და მის მოძღვრებაზე ცნობების შესახებ საკითხი ახლებურად დღისმგება.

ასევე საინტერესოა კ. ლორთქიფანიძის მსჯელობა აზროვნების ისეთი მნიშვნელოვანი კატეგორიების შესახებ, როგორცაა ინდუქციონა და დედუქციის მიმართების საკითხი.

თერჯდალეული მკაცრად აკრიტიკებს რუს დემოკრატ მოაზროვნეს მაქსიმ ანტონოვიჩს (1835—1918) ინდუქციონა და დედუქციონისადმი ფორმალური დამოკიდებულებისათვის. მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ ამ ბრძოლას იგი აწარმოებს ბურჟუაზიული მოაზროვნის, პოზიტივიზმის, ჰენრი ტომას ბოკლის (1821—1862) პოზიციებიდან.

„აქ გამაზნენდა, — აგრძელებს საუბარს კირილე იმავე წერილში, — ანტონოვიჩის აზრი ინდუქციონასა და დედუქციონაზე, რომელიც იმან გამოთქვა ბოკლის პატარა ბროშურის გამო. ბოკლის ისტორიის 8 თავი დიდის სიამოვნებით წავეკითხე. რომ მეორე ტომის გამოსვლის დროს მე უფრო ბევრის გაგება შემეძლო და რომ ბოკლის მეორე

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი. № 595.

ტომი უფრო ალტაცებით არ იყო დაწერილი. მაშინ შემოდლიან მიუხედავად, რომ მეორე ტომს ძლიერ დიდი მოქმედება ჰქონდა ჩემზე, სხვათა შორის ამ წიგნმა დამაჯერა, რომ ანტონოვიჩი ფორმალურ მნიშვნელობას აძლევს დედუქციას და ინდუქციას, ე. ი. ამბობს, ვითომ დედუქცია და ინდუქცია მართო ლოგიკურად დაწყობის ფორმა არისო, მაშინ, როდესაც ბოკლის დედუქცია ნიშნავს ტალანტინის ინდუქციას, რომლის ძალით კაცს ცოტა ფაქტებიდან გამოყავს საზოგადო კანონები ძლიერ ხშირად ჭეშმარიტი, რომელიც ან გაამართლებს ან დაარღვევს საზოგადო აზრს. მე რე ეძებს სხვა ფაქტებს, ამნაირი საზოგადო აზრებით უხელმძღვანელოს კაცს სწავლაში ასანსნელად და იმისი ინდუქცია ნიშნავს კაცის აზრით სიფხიზლით სჯას, რომლის გამო ისე არ გამოიყვანს კანონებს, თუ რომ ძლიერ ბევრი ფაქტები არ მოაგროვია...“<sup>1</sup>

კ. ლორთქიფანიძის აზრით, ანტონოვიჩი დედუქცია-ინდუქციის მხოლოდ ლოგიკურად დაწყობის ფორმას“ ხედავს, ხოლო ბოკლის უპირატესობა იმაშია, რომ მას, მართალია, ცოტა ფაქტებიდან გამოჰყავს საერთო კანონი, მაგრამ ფაქტის უბრალო დანახვით კი არ ემაყოფილება, არამედ მას შეისწავლის სხვა ფაქტებთან ურთიერთმიმართებაში და შემდეგ გამოიტანს საერთო დასკვნას.

ამ მსჯელობიდან შეიძლება ვიფიქროთ, რომ კ. ლორთქიფანიძეს სწორი წარმოდგენა აქვს დედუქციისა და ინდუქციის არსზე. მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ იგი ბოკლის დებულებებს ეყრდნობა, საეჭვოდ ხდის მისი კონცეფციის სისწორეს.

ვფიქრობთ, რომ კ. ლორთქიფანიძის შენიშვნა ანტონოვიჩის მიმართ სამართლიანი იყო. ანტონოვიჩის მტკიცება იმის შესახებ, რომ „დედუქცია და ინდუქცია მართო ლოგიკურად დაწყობის ფორმა არის“, სადავო უნდა იყოს. მართალია, დედუქცია-ინდუქციის დროს ლოგიკას მსჯელობის ფორმალური კანონები აინტერესებს და არა კონკრეტული ჭეშმარიტების საკითხი, მაგრამ, რადგან დედუქცია და ინდუქცია არსებითად შემეცნების პროცესის კანონია, არ შეიძლება „მართო“ მათ შორის ფორმალური მიმართებით დაჯამყოფილდეთ და საბოლოო ჯამში მაინც ჭეშმარიტებას არ გავუწიოთ ანგარიში.

საინტერესოა ისიც, რომ ბოკლის დებულების გარკვევის დროს კ. ლორთქიფანიძე ფაქტის ყოველმხრივ შესწავლას აქცევს მთავარ

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 595. ტექსტი შავად არის დაწერილი და ამის გამო ზოგჯერ აზრობრივი თანმიმდევრობა და სტილი გამართული არ არის.

<sup>2</sup> ხაზი ჩვენია. — კ. მ.

ყურადღებას. მართლაც, ქეშმარიტი შემეცნების პროცესი საგნის გარეგანი ნიშნების აღწერით კი არ კმაყოფილდება, არამედ არკვევს მის შინაგან თვისებებს და სხვა საგნებთან კანონზომიერ ურთიერთობას, მასში სწავლობს კონკრეტულსა და ზოგად ნიშნებს. როგორც ვ. ლენინი გვასწავლის: „ზოგადი მხოლოდ განცალკევებულში, მხოლოდ განცალკევებულის შემწეობით არსებობს. ყოველი განცალკევებული (ასე თუ ისე) ზოგადია. ყოველი მხოლოდ დაახლოებით მოიცავს ყველა განცალკევებულ საგანს, ყოველი განცალკევებული არასრულად შედის ზოგადში...“<sup>1</sup> საგნის ნამდვილი შესწავლა ამ თვისებების ქეშმარიტ გამოვლენას ნიშნავს.

კ. ლორთქიფანიძის აზროვნების დემოკრატიული ბუნება კარგად ჩანს შრომაში, რომელსაც ეწოდება „ს ა ზ რ დ ო და მ ის ი მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ბ ა ს ხ ე უ ლ ის ა და ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ის ო ბ ვ რ ე ბ ა შ ი“. ეს შრომა კ. ლორთქიფანიძემ გადმოაკეთა ვულგარული მატერიალიზმის წარმომადგენლის, ფიზიოლოგის იაკობ შოლუშოტის (1822—1893) ნარკვევიდან. შრომა გამოქვეყნდა 1871 წლის „კრებულის“ მესამე წიგნში. ჩვენ ესარგებლობთ ხელნაწერი ტექსტით, რომელიც უფრო ვრცელია, ვიდრე გამოქვეყნებული, რადგან ცენზურას შრომიდან მისთვის მიუღებელი ბევრი საინტერესო ადგილი ამოუშლია.

სათაურის მიხედვით გვეჩვენებათ, რომ შრომა მხოლოდ სპეციილურ საბუნებისმეტყველო საკითხებს ეხება, მაგრამ ფაქტიურად კ. ლორთქიფანიძე სოციალური ხასიათის მოვლენებს მეტ ყურადღებას აქცევს.

შრომის პირველ ნაწილში კ. ლორთქიფანიძე ეხება საკმლის მონელების დროს წარმოშობილ ქიმიურ და ფიზიოლოგიურ პროცესებს. აღნიშნავს იმასაც, რომ სათანადო საზრდოს მიუღებლობის გამო ორგანიზმი იფიტება და კვდება, არკვევს სიკვდილის პროცესს, როგორც ნიეთიერებათა დაშლის პროცესს და ამ დაშლილ ნიეთიერებათა მონაწილეობას ახალი სიცოცხლის წარმოშობაში; გვაცნობს ბუნებაში ნიეთიერებათა მუდმივი ცვალებადობის კანონს. შემდეგ ეხება საზრდოს მოპოვების საკითხებს, რომ ბუნება მუქთად არ იძლევა საზრდოს, და არც იქნებოდა ხელსაყრელი ადამიანისათვის საზრდოს უშრომლად მოპოვება.

ადამიანისათვის სასარგებლოა, რომ საზრდო მხოლოდ შრომით მოიპოვება, მაგრამ, კირილეს აზრით, საზოგადოებაში გაბატონებული

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, მატერიალიზმი და დემოკრატიულობა, 1927, გვ. 373.



ლია ულმობელი კანონი, რომლის მიხედვით: ვინც ბევრს შრომობს, მას საზრდო არა აქვს, ვინც არ შრომობს, მას ნორმაზე მეტი აქვს.

აი რას წერს ამის შესახებ ავტორი: „ჩვენი ზვედრი საზრდო უკუღმა ეფარდება შრომას, შედარებით უფროსი წილი ხვდება იმათ, ვინც ცოტაოდენ შრომას კადრულობს. მერე რამდენადაც შრომა მატულობს და ძნელდება, იმდენად იმის ზვედრი საზრდო თანდათან კლებულობს. ასე რომ ყველაზე უძნელესი და წელის მოსაწყვეტი შრომა ძლივს პოულობს გამხმარ ლუკმა პურს, რომელიც ხშირად არც კი კმარა საზრდოობითი კანონის დასაკმაყოფილებლად, და ეს კანონი, როგორც ვიცით, არის დაურღვეველი და შეუწყვეტლად სასტიკი, რომელიც თავის მოწინააღმდეგეს სჯის სიკვდილით“<sup>1</sup>.

შრომის ეს ადგილი დაბეჭდილი არ არის, ცენზორს ამოუშლია. ცხადია, ასეთ აშკარა მამბილებელ სტრიქონებს ცენზურა არ გაუშვებდა. რადიკალურად მიაზროვნე კ. ლორთქიფანიძე გაბატონებულ წრეებს გაბედულად ამხელდა და მათ ბოროტებას საჯაროდ კიცხავდა. ფაქტიურად აქ კ. ლორთქიფანიძე იმავე მოსაზრებას გამოხატავს მეცნიერული დებულებებით, რასაც ილია ჭავჭავაძე მხატვრულ სიტყვაში ამბობდა:

ვინა შრომობდა და ვინა ძღება,  
ღმერთო, სად არის აქ სამართალი...

ამის შემდეგ შრომაში მოტანილია მაგალითები ზემოთ წარმოდგენილი დებულების დასამტკიცებლად. აქ ის სანიმუშოდ განიხილავს გლენის შრომას. „ავიღოთ მაგალითად მიწის მუშაკი, ანუ მხენელ-მთესველი, შრომის კანონი ძალიან სასტიკად ეპყრობა იმას, ის ნამდვილად ოფლისა და სისხლის ღვრით შოულობს ლუკმა პურს: იმის შრომა ყველაზე უფრო დამლაღვია და ამასთან შეუწყვეტელი... თუმცა მიწის მუშაკი აგრე შრომობს, მაგრამ საზრდო ძლიერ ცოტა აქვს... ამისათვის იმას ხშირად პური აკლდება და იმშვევა“<sup>2</sup>.

შემდეგ ავტორი ეხება სხვა პროფესიების შრომას და პრაქტიკული მაგალითებით ამტკიცებს, რომ ვინც ცოტას ან სულ არ შრომობს, იგი უთვალავ სიმდიდრეშია ჩაფლული მაშინ, როდესაც ნამდვილი მშრომელი სიღატაკეში იხრჩობა და ზოგჯერ ფიზიკურადაც ნადგურდება საარსებო მინიმუმის უქონლობის გამო. აქედან გამომდინარე, იგი სამართლიანად ასკვნის, რომ ამ უკანონობის საფუძველზე მდიდრებსა და ღარიბებს შორის წარმოშობილია ანტაგონიზმი.

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 592, გვ. 22—23.

<sup>2</sup> „კრებული“, 1871, № 3, გვ. 152—153, ხელნ. №1592, გვ. 23—24.

„ამრიგად, გამართულია იმათ შორის ნიადაგ ომი საზრდოს გულისათვის, ომი პატრიციებსა და პლებეებს შორის, მდიდრებსა და საშუალო წოდებას შორის, საშუალო და უმდაბლეს წოდებას შორის“<sup>1</sup>.

აქ კ. ლორთქიფანიძე იყენებს დარვინის თეორიის ძირითად დებულებას და ასკვნის: „კაცობრიობის ცხოვრებაში გამართულია იმგვარივე ბრძოლა არსებობისათვის, როგორც ცხოველებისა და მცენარეების ცხოვრებაში“. ამევე შრომის სხვა ადგილზე ის აღნიშნავს: „შეიძლება ვსთქვათ, რომ მთელს ცოცხალს ბუნებაში გამართულია ამგვარივე ბრძოლა არსებობისათვის და რომ ყოველივე ცხოველი არსება ერთმანეთს ეჭიბრება“.

ავტორის აზრით, სანამ არსებობს ქვეყანაზე ცხოვრების ულმობელი კანონი, სხვისი შრომის მითვისება და ძალმომრეობა, მანამდე სამართლიანობის დამყარება ხალხთა შორის შეუძლებელია. მაგრამ კირილესათვის ისიც ცხადია, რომ ცხოვრების „მოწესრიგების საშუალებად“ რეაქციულ ბურჟუაზიას სხვა რეცეპტები გააჩნია, ვიდრე მუშათა კლასსა და მის ბელადებს. ამ შემთხვევაში კ. ლორთქიფანიძეს მხედველობაში ჰყავს ინგლისელი რეაქციონერი ეკონომისტი რობერტ ტომას მალთუსი (1766—1834), რომელიც სხვა „ხერხებითა“ და საშუალებებით ცდილობდა საზოგადოების „მოწესრიგებას“.

მალთუსის თეორიის მიხედვით, ხალხთა სიღარიბის მიზეზი ის არის, რომ ადამიანები ჭკილეებით უფრო სწრაფად მრავლდებიან, ვიდრე იზრდება მათთვის საჭირო საარსებო საშუალებათა წარმოება. საზოგადოებაში რომ ნორმალური ცხოვრება დამყარდეს, მალთუსი ქადაგებს ადამიანების ხელოვნურად ჟღერის აუცილებლობას ომებისა და ეპიდემიის მეშვეობით. მალთუსის რეაქციული თეორია კირილეს ასე აქვს განმარტებული: „ამისათვის საჭიროა ძალდატანებითი სიკვდილი, რომელსაც მოახდენს სიღარიბე და სიმშვილობა, რომ იმათი კაცების რიცხვი და იმათი საზრდოს რაოდენობა ერთმანეთს შეეფარდონ, ან არა და იმდენზე მაინც დაუახლოვდნენ, რომ იმათ შორის დიდი განსხვავება არ იყოს. აი, რა გვარია მათი ზნეობის კანონი. არავეისათვის არ არის საჭირო სიღარიბე და რისთვის უნდა იყოს ქვეყანაზედ“<sup>2</sup>.

ცენზორს ეს ადგილიც და ამის მომდევნო სტრიქონებიც ამოუშლია, რადგან აქ კარგად იყო დაკონკრეტებული მალთუსის თეორიის ბოროტი ზრახვები. „მალთუსის წარმოდგენით, — წერს კ. ლორთ-

<sup>1</sup> „კრებული“, 1871, № 3, გვ. 138—139, ხელნ. № 592, გვ. 13—14.

<sup>2</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 592, გვ. 30.

ქიფანიძე, — საზოგადოებაში ის ადამიანები ითვლებიან ზედმეტად, ვისაც საარსებო საშუალება არ გააჩნია, ვინც ლარიბი და ლატაკია, რადგან მათთვის ამ ცხოვრების დიდ მეჭლისში ბუნებას ადგილი არ შეუჩრჩევია“.

„მამასადამე, ყველას არ შეუძლია სიცოცხლე, ზოგი უთუოდ უნდა გამოეთხოვოს წუთისოფელს, და ეს უბედურება უნდა ეწიოს, რასაკვირველია, იმათ, ვისაც საზრდო არა აქვს, ვინც ლარიბია... ღმერთს დიდ ქვეყნიურ მეჭლისში იმათთვის არ დაუდგამს სუფრა. ბუნება უბრძანებს იმათ, რომ ქვეყნის მეჭლისადაც განშორდნენ. ისინი განშორდებიან და დედამიწა ჩანთქავს იმ თავის შვილებს, რომელთა რჩენა იმან ცერ შესძლო. ეს არის აუცილებლობის კანონი...“<sup>1</sup>

როგორც ამ სტრიქონებიდან ჩანს, კ. ლორთქიფანიძემ მეტად მუქი ფერებით დახატა მალთუსის თეორიის რეაქციული ბუნება და ამ თეორიის დამოკიდებულება საზოგადოების დაბალი ფენებისადმი.

ამის შემდეგ კ. ლორთქიფანიძე დამაჯერებელი ფაქტებითა და ღრმა რწმენით აწარმოებს ბრძოლას ამ რეაქციული თეორიის წინააღმდეგ. ის სამართლიანად არწმუნებს მკითხველს, რომ ბუნება აქ არაფერ შუაშია, თვით ადამიანები ქმნიან ასეთ წესსა და კანონებს საზოგადოებაში. სილატაკე და შიმშილი ბუნებას არ გაუჩენია, მისთვის ერთია ყველა ადამიანი, ეს დაყოფა, მდიდრებად და ღარიბებად დანაწილება თვით ცხოვრების მოგონილია.

„ბუნება გვიპასუხებს ამაზე, — წერს კ. ლორთქიფანიძე, — რომ ზემოხსენებული კანონი ჩემთვის ტყუილ-უბრალოდ შეგიწამებიათო, რომ ყველა უბედურება, რომელსაც კაცები ამ კანონის შედეგად რაცხვენ, თვითონ კაცების ბრალიაო“.

ცენზურის მიერ ამოღებულ სტრიქონებში კიდევ უფრო დასაბუთებულად ჩანს ავტორის ჭეშმარიტი დამოკიდებულება მალთუსის რეაქციული თეორიისადმი. კირილე წერს: „ამბობენ, რომ ჩვენ, როგორც გგონიათ, ისე ჩქარა არ ვმრავლდებითო, ისე მაინც არა, რომ დედამიწაზე იყვნენ წამეტნავი კაცები, რომელთათვის სახვედრო საზრდო არ იპოვებოდა. ყოველ დაბადებულს, თვითონ ამ დაბადების ძალით ეძლევა უფლება სიცოცხლეზე და, მამასადამე, მისთვის მიუცილებელ საზრდოზედაც. არავის არ შეუძლია, რომ დაბადებულს სიცოცხლე მოუსპოს, მაშ, იმას საზრდოც არ უნდა წაართვან. ბუნებას ყოველთვის შეუძლია, რომ იმას ლუკმა პური განუწესოს თავის უღვეველ სალაროდამ და ბუნებითი სიკვდილი საკმაოა კაცის გამრავლების შესაზომიერებლად და სრულიად საჭირო არ

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 592, გვ. 30.

არის, რომ იმისათვის მოუწოდოთ ძალდატანებითი მომავლინებელი სიღარიბე და სიმშვილი...<sup>1</sup>

ცენზურა კვლავ ცდილობს აარიდოს მკითხველს კ. ლორთქიფანიძის ქვეშაობით აღსაჯულ სტრიქონები საყოველთაო შრომის აუცილებლობის შესახებ. თუ საზოგადოების ყველა წევრი იზრუნებს და მოპოვებულ საზრდოს ყველა გაინაწილებს, მაშინ აღარ იქნებიან მშვიერი და ლატაკნი. ამის ნათელსაყოფად კირილე ასეთ კონკრეტულ მაგალითს გვიხატავს.

„ესტქვათ, საზოგადოებაში მხოლოდ ათი კაცია, ამათგან ხუთი საზრდოს მოპოებას ადგა და დანარჩენი ხუთი ამზადებს ყველაფერს, რაც საზრდოს მოსაპოებლად საჭიროა. ესტქვათ, რომ ამ ათმა კაცმა მოიყვანა იმდენი საზრდო, ყველას თითო ულუფა ზედა. მაგრამ თუ ამათგან ხუთმა შრომაზედ აიღო ხელი, მაშინ დანარჩენი ხუთი შეიმუშავებს მხოლოდ ხუთი კაცის სამყოფ საზრდოს და თითოეულს ერგება მხოლოდ ნახევარი ულუფა. თუ უსაქმოდ მყოფმა ნახევარ ულუფაზე მეტი წაიღო, მაგალითად, სამი მეოთხედი, მაშინ მშრომელს ერგება მეოთხედი ულუფა. და თუ ვინმე მშრომელების წილს კიდევ ნახევარ ულუფას მოაკლებს, მაშინ ზოგიერთ მშრომელს სულ არაფერი არ ხვდება და სიმშვილი მოკლავს. ამ შემთხვევაში სიღარიბე და სიმშვილობა... იმის შედეგი არიან, რომ ამ საზოგადოებაში ცხოვრობენ უქმად მყოფნი... ასეა უთუოდ დიდი საზოგადოების საქმეც“<sup>2</sup>.

რა თქმა უნდა, რთული სოციალური მოვლენების ასეთი მაგალითებით ახსნა ვერ დააკმაყოფილებს დღევანდელ მკითხველს. დღეს ჩვენთვის უკვე ცნობილია მარქსის კლასიკური ფორმულები ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების წარმოშობის შესახებ და კაპიტალისტურ ქვეყნებში დეტალურად არის შესწავლილი მუშათა კლასის ექსპლოატაციის პირობები, მაგრამ მაშინდელი მკითხველისათვის ასეთ მაგალითსაც, სადაც დაგმობილია მონური შრომა და თანაგრძნობით არის წარმოდგენილი ყველასაგან აბუჩად აგდებული მშრომელი ადამიანი, დიდი მნიშვნელობა ექნებოდა.

იხილეთ ცხადია, რომ ამ სტატიაში კ. ლორთქიფანიძეს გადაჭარბებულად აქვს წარმოდგენილი საზრდოს მნიშვნელობა. მართალია, მარქსიზმის კლასიკოსები ადამიანის საარსებო საშუალებას დიდ ყურადღებას აქცევენ, მაგრამ ყველაფრის ახსნა საზრდოს მოპოვებით ვულგარული მატერიალიზმის ერთ-ერთი სახეობაა. კ. ლორთქიფანიძე ამას გრძნობდა და ამის გამო აღნიშნავდა კიდევ: „რასაყ-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 592, გვ. 35.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 38—39.

ვირველია ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, ვითომ მარტო საზრდო იყოს კაცობრიობის ცხოვრების მომმართველი, არის სხვა მიზეზიც, რომელიც აღძვრენ და მომართავენ ისტორიულ ცხოვრების მსვლელობას, მაგრამ იმის უარყოფაც არ შეგვიძლიან, რომ საზრდო არის ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი<sup>1</sup>.

კირილე იქვე დასძენს: „კაცი მარტო პურით არ ცხოვრობს“, მაგრამ არ მიუთითებს ამ დიდი მნიშვნელობის მოვლენაზე და ამდენად, ამ შრომაში არსებითად საზრდოს, როგორც ერთადერთი ფაქტორის მნიშვნელობა, ძალაში რჩება. სამწუხაროდ, კირილე ამ საკითხში ვერ ასცდა ბოკლის მცდარ დებულებებს.

მიუხედავად ამ ნაკლოვანებისა, აქ, პირველ ყოვლისა, საგულისხმოა, რომ ავტორი გაბედულად გამოდის მშრომელი ხალხის ინტერესების დასაცავად, აშკარად ეწინააღმდეგება ადამიანის ექსპლოატაციას და ესეც საბუთია იმისა, რომ კირილე ლორთქიფანიძე იცნობდა მარქსის ნაწერებს.

მკითხველ საზოგადოებას ეს შრომა რომ კარგად მიუღია, ამას ადასტურებს კ. ლორთქიფანიძის ბარათი ს. მესხისადმი. ბარათში კ. ლორთქიფანიძე იმეორებს მესხის სიტყვებს და ამით ვეცნობით მის მოსაზრებებს ამ საკითხზე. „ამას წინათ შენ მწერდი, — სწერს კირილე ს. მესხს, — რომ სტატია საზრდოზე კარგი რამ არისო, მაგრამ ჩემი აზრით... ბევრი ახალი და ზოგჯერ გაუგებარი ქართული სიტყვებია ნახმარი...“<sup>2</sup>

წერილის შემდეგ ნაწილში კირილე თავს იმართლებს და საყურადღებო მოსაზრებებს გამოთქვამს ახალი და უცხო სიტყვების ხმარების შესახებ.

როგორც აღრევე აღვნიშნეთ. „საზრდოს“ დაბეჭდვას ცენზურა. მკაცრად შეხვედრია და ჯიღი ნაწილი (ორნახევარ თაბახამდე) ამოუშლია, მაგრამ როგორც ს. მესხი აღნიშნავს, სტატიის ძირითადი იდეა მკითხველისათვის მაინც გასაგები ყოფილა.

ამის შესახებ ს. მესხი კ. ლორთქიფანიძეს სწერს: „კრებულის“ ბეჭდვა დავიწყეთ, ამ თავით იბეჭდება შენგან გამოგზავნილი სტატია, რომელშიაც ორი თუ ორნახევარი თაბახი წაშალა ცენზორმა, მაგრამ ღვთის მადლით მაგის დამწერს ისეთი მანერა აქვს წერისა, რომ ერთსა და იგივე აზრს ორჯერ-სამჯერ დაღეჰავს და ისე მიართმევს მკითხველს. ცენზორს სრული დაღეჰვა არ მოეწონა. სტატიის აზრი არ გამოცვლილა, რაც უნდოდა ავტორს, ყველაფერი ნათქვამია ისევე, მაგრამ ნაკლები სიცხადით და განმარტებით. გულმოდგინე-

<sup>1</sup> „კრებული“, 1871, № 3, გვ. 139.

<sup>2</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 467, გვ. 22.

მკითხველი ყველაფერს ადვილად გაიგებს, რაც უნდოდა ეთქვა ავტორს<sup>1</sup>.

ცენზურას, მართლაც, მთელი გვერდები ამოუშლია შრომადან. ჩვენს მიერ ციტირებული ადგილები ყველა დაუბეჭდავია და შრომაში კიდევ ბევრია წითელი ფანქრით შემოხაზული სტრიქონები, მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც ს. მესხიცი აღნიშნავს, შრომის ძირითადი იდეა დაუზიანებელი დარჩენილა და მკითხველსაც სიყვარულით მიუღია მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვის იდეებით გაყდენილი კ. ლორთქიფანიძის ეს სტატია.

შრომა საყურადღებოა იმიტაც, რომ მალთუსის რეაქციული თეორიის წინააღმდეგ ბრძოლა დღესაც აქტუალური პრობლემაა. ამჟამად ამერიკისა და ინგლისის რეაქციულმა წრეებმა კვლავ გააცოცხლეს დიდი ხნის წინათ მეცნიერების მიერ დაუმოხილი ეს ანტიხალხური თეორია. იმპერიალიზმის ეს დაქირავებული მკვლავნელები დღესაც ამტკიცებენ, რომ მშრომელი ხალხის უმუშევრობა და შიმშილი მათი უსაზღვრო გამრავლებით არის გამოწვეული. ამისათვის ისინი ამზადებენ ახალ ომებს, ხალხთა ჟლეტასა და განადგურებას. მათი გაბოროტება განსაკუთრებით მიმართულია საბჭოთა ხალხებისა და დემოკრატიის ქვეყნებისადმი. ამერიკელი ნეომალთუსიანისტი ფოგტი თავის წიგნში „გზა ხსნისაკენ“ (1948) გულისტკივლით აღნიშნავს საბჭოთა კავშირისა და ჩინელი ხალხის რიცხოვრივ ზრდას და მოითხოვს ომებსა და ეპიდემიას, როგორც მასობრივი ჟლეტის საშუალებას. დღესაც კაპიტალისტური ქვეყნების რეაქციულ წრეებში ისევ ცოცხლობს მალთუსის რეაქციული თეორია.

თავის დროზე მალთუსის წინააღმდეგ დიდი ბრძოლა ჩაატარეს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა. დღესაც მათ სამარცხვინო ბოძზე აკრავს მსოფლიოს მოწინავე აზროვნება და საამაყო, რომ თითქმის საუკუნის წინ, ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე კ. ლორთქიფანიძე მაშინდელ ცენზურულ პირობებში ასე გაბედულად იბრძოდა მალთუსის ცნობილი რეაქციული თეორიის წინააღმდეგ.

### კ. ლორთქიფანიძე და ზანგაზის საპითხი

„საქართველოს მოამბის“ შეთერთმეტე-მეთორმეტე ნომრებში ორ ნაწილად დაიბეჭდა კ. ლორთქიფანიძის რუსულიდან გადმოკეთებული დიდი მოცულობის შრომა „ამერიკის შეერთებული შტატები და იაპური ტყვეობა“.

ამ შრომის ისტორია ასეთია: 1863 წელს კ. ლორთქიფანიძემ,

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის ორკვირი, ხელნაწერი № 633, 1870, 2 ივნისი, თბილისი,

როგორც აღრევე აღენიშნეთ, გადმოთარგმნა ამერიკელი დემოკრატი მწერალი ქალის ბიჩერ სტოუს „ბიძია თომას ქოხი“.

ამ ნაწარმოებს თავის დროზე მსოფლიოში დიდი გამოხმაურება გამოუწვევია. ამ წიგნით დიდად დაინტერესებულა რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციონერი ინტელიგენცია. გარდა იმისა, რომ „სოვრემენიკის“ რედაქციამ „ბიძია თომას ქოხი“ ცალკე წიგნად დაბეჭდილი დაურიგა მკითხველებს, 1861 წლის მარტის „სოვრემენიკში“ დაიბეჭდა ჩერნიშევსკის თანამებრძოლის, რევოლუციონერ-დემოკრატის, ვ. ა. ობრუჩევის სტატია: „Невольничество в Северной Америке“. სტატიაში აღწერილია ამერიკელ პლანტატორთა უმსგავსო ბოროტმოქმედების ფაქტები, დასახელებულია ტყვეებით ვაჭრობის სამარცხვინო მაგალითები და ზანგების მონური ყოფის სავალალო სურათები. მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ ვ. ა. ობრუჩევის სტატია ორიგინალური არ არის. მას იგი გადმოუღია ამერიკელი მოღვაწის ებოლტის წიგნიდან, სადაც ავტორს გადმოცემული აქვს კუბასა და ჩრდილოეთ ამერიკაში მოგზაურობის დროს საკუთარი თვალით ნახული-სამწუხარო შემთხვევები.

ვ. ა. ობრუჩევი სტატიაში მიზნად ისახავს ამ.სასარგებლო წიგნის შინაარსის გადმოცემას. „Мы и решили в этой статье положить главные мысли любопытной книги Мэнсолта“.

ავტორს ვრცლად აქვს აღწერილი ამერიკელი პლანტატორების დამოკიდებულება ნაყიდი ზანგებისადმი, რომლებიც სიკვდილისა და შიმშილის მუქარის ქვეშ ძალღერ პირობებში მუშაობენ.

«Безпредельная бедность, тяжелое физическое страдание, крайнее оскорбление всех человеческих чувств, отсутствие каких бы то ни было привязанностей, отсутствие всякой радости, отсутствие всякой надежды на улучшение участи и, наконец, при всем этом, кнут илантатора всегда, везде и за все, вот в каких обстоятельствах трудится невольник».<sup>1</sup>

ვ. ა. ობრუჩევის, გარდა მონა ზანგების ცხოვრების პირობებისა, მოცემული აქვს აღმინისტრაციისა და ცენზურის მკაცრი მოქმედების ფაქტები. მაგალითად, ავტორის გადმოცემით, საკმარისი იყო წიგნის მალაზიაში ენახათ ამერიკელი რევოლუციონერი მწერლის ფენიმორ კუპერის (1789—1851) რომელიმე ნაწარმოები, რომ გამოყიდველი სიკვდილით დაესაჯათ. ობრუჩევის კუპერის პოემიდან მოაქვს ერთი პროზად თარგმნილი ადგილი, რომელსაც კ. ლორთქიფანიძე ასე აქართულებს:

„მე არ მსურს, რომ ჩემმა ტყვემ მიხნას, მატაროს აქა-იქ, მინიავოს მარათი მძინარესა და შიშით კანკალებდეს ჩემ წინ როცა გა-

<sup>1</sup> «Современник», 1861, მარტი, გვ. 279.

მოვიღვიძებ, მე ეს არ მინდა, თუნდ მომცენ ყველაფერი, რაც რომ დაუმუშავებია დასაბამიდან ტყვეების ხელებსა. თავისუფლებას ყველაზე უფრო ძვირად ვაფასებ, მაგრამ რაც უნდა ძვირად მილირდეს მე ესა, ისევ ის მიჩრჩევნია, რომ ტყვედ გავხდე, ვინემ შეუყარო ბორკილი სხვას“.

სტატიის ავტორს გზადაგზა აღწერილი აქვს ზანგების ცხოვრების კონკრეტული მაგალითები, როცა ისინი ღია ცის ქვეშ ყრიან და იხოცებიან შიმშილითა და მძიმე შრომის შედეგად.

აღსანიშნავია ისიც, რომ „სოვრემენიკის“ ამავე ნომერში ვ. ა. ობრუჩევის სტატიის გვერდით დაბეჭდილია ამერიკელი დემოკრატი პოეტის ჰენრი ლონგფელოს (1807—1882) ლექსების ციკლი „სიმღერა ნეგრებზე (ლონგფელოდან)“. სულ წარმოდგენილია მ ლექსი. სახელდობრ: „ტყვეს სიზმარი“, „კეთილი სტუმარი“, „ზანგი კაობში“, „ზანგის სიმღერა შუალამეზე“, „მოწმეები“, „კვატრონკა“ და სხვ. ლექსების მთარგმნელია რუსი რევოლუციონერი პოეტი მიხაილოვი.

კ. ლორთქიფანიძემ „ბიძია თომას ქოხის“ თარგმნის გამო შესწავლა ამასთან დაკავშირებული ამერიკის პოლიტიკური და ეკონომიური საკითხები. მან კარგად იცოდა, რომ ქართველი მასობრივი მკითხველი არ იყო გაცნობილი რომანში წარმოდგენილ ცხოვრებას. მკითხველის წინასწარ მომზადების მიზნით მან ქართულად გადმოაქეთა ვ. ა. ობრუჩევის სტატია და დამატებით შეავსო სხვა ისტორიული წყაროებით. ასე რომ, კ. ლორთქიფანიძის შრომა მოცულობითაც და პოლიტიკური სიმახვილის თვალსაზრისითაც საგრძნობლად განსხვავდება მისი მასწავლებლის ობრუჩევის სტატიისაგან.

კირილეს სტატია იწყება ლონგფელოს სიტყვებით: „ჩვენშიაც არის დატყვევებული და დაბრმავებული სამსონი. მისთვის ღონე მიუხდიათ, ბორკილიც შეუყარიათ, მაგრამ ვაი, როცა ის ხელბს გაიქნევს, მწუხარებისაგან ფაცივებულ“<sup>1</sup>.

გარდა ამისა სტატიას წამძვარებულ აქვს ასეთი ხასიათის წინასიტყვაობა: „დროების“ დახედვით, საჭიროდ ვნახეთ, წავაკითხოთ „საქართველოს მოამბის“ მკითხველებს ბიჩერ-სტოუს რომანი „ბიძია ტომას ქოხი“, ანუ „ტყვეობა ჩრდილოეთის ამერდკაში“, მაგრამ ვიცი ამასთანავე, რომ რომელიმე ნაწილისათვის მკითხველებში

<sup>1</sup> სქოლიოში კ. ლორთქიფანიძე ამის შესახებ წერს: „ეს ლექსი ამერიკელი პოეტის ლონგფელოს დაწერილია, და რუსულ ენაზედ გადმოიღო ერთმა რუსეთელმა მწერალმა (მთარგმნელი მიხაილოვი ამ დროს დამატირებული იყო და ამიტომ მისი სახელის ხსენება არ შეიძლებოდა. — კ. მ.). აი რას ამბობს ლონგფელო თავის სამშობლოზე...“ ამის შემდეგ მოტანილია ლონგფელოს ზემოთ დასახელებული სტრიქონების ქართული თარგმანი.



საქიროა წინათვე გავაცნო რამდენადმე ჩრდილოეთის ამერიკის შტატები. მოვახსენოთ იმათი გარეგანი და შინაგანი ისტორია ძლიერ მოკლედ მაინც, ვაჩვენოთ მოკლედ აქაური პოლიტიკური დაწყობილება, ტყვეობის ისტორია, მნიშვნელობა, ეხლანდელი მდგომარეობა და ბოლოს, როგორც დამატება, მიზეზები ეხლანდელის ომისა ჩრდილოეთის ამერიკაში<sup>1</sup>. ამ საერთო შესავლის შემდეგ ავტორი დეტალურად არჩევს ამერიკის აღმოჩენიდან ინგლისის, საფრანგეთისა და ესპანეთის კოლონიზატორთა პოლიტიკას მკვიდრი ამერიკელების მიმართ, მმართველობის გამწვავებასა და ომებს, 1789 წლის ვერსალის ზავს და ინგლისის უფლებების აღკვეცას ამერიკაში. ამის შემდეგ იგი ეხება პურიტანელების წყობილებას და დემოკრატიზმს, მიწის სიუხვის გამო პრივილეგიური წოდების უნიადგობას, არჩევითი სისტემის შექმნას, საგრაფოებისა და შტატების წარმოშობას. ყურადღებას ამახვილებს მმართველობის სისტემაზე და ეგრეთ წოდებულ ამერიკელების დემოკრატიაზე წარსულში, და ამის შემდეგ გადადის ცივილიზებული კაცობრიობის დამამკირებელ მოქმედებაზე, ტყვეებით ვაჭრობის სამარცხვინო ფაქტებზე.

ამერიკაში გაბატონებულმა უცხოელმა კოლონიზატორებმა ოქროსა და ვერცხლის მაღაროებში შაქრის ლერწმის, ბამბისა და თამბაქოს პლანტაციებში სამუშაოდ გამოიყენეს ადგილობრივი მცხოვრებლები, მაგრამ მათი ფიზიკური სისუსტისა და მძიმე შრომის პირობების გამო მკვიდრი მოსახლეობა სრულიად განადგურდა და შემდეგ დაიწყეს აფრიკიდან ზანგების შემოყვანა. მეჩვიდმეტე საუკუნეში შედგა გვინეისა და სენეგალის სავაჭრო კომპანიები, რომლებიც ჯილდოს ლებულობდნენ მთავრობისაგან, თუ თითოეული მათგანი ათასზე მეტ ტყვეს გამოიყვანდა. 1712 წელს უტრეხტის ზავით ინგლისმა მოიპოვა ზანგებით ვაჭრობის მონოპოლია, რაც ყველაზე შემოსავლიან საქმედ ითვლებოდა, მაგრამ 1841 წლიდან ოფიციალურად აიკრძალა ზანგებით ვაჭრობა. ამან უფრო უარეს დღეში ჩააყენა ეს უმწეო აღამიანები. გზაში გემებს ამოწმებდნენ ამისათვის დანიშნული მოღარაჟე გემები და ზღვაზე მათი გამოჩენის შემთხვევაში ვაჭრები ზანგებს ზღვაში ყრიდნენ, ანდა კასრებსა და ხვრელებში მალავდნენ. მაგრამ ვინც ადგილზე მიიღწევდა, ისიც უბედური იყო. გზადაგზა კ.ლორთქიფანიძე აღწერს ზანგების შრომისა და ცხოვრების საშინელ პირობებს. ავტორი დამაჯერებლად გვისურათებს გამდიდრების მანიით შეპყრობილი პლანტატორების მხეცურ მოქმედებას, გვიჩვენებს აღამიანებით ვაჭრობის სამარცხვინო ფაქტებს — ცივილიზებული კაცობრიობის ამ წარუხოცელ ლა-

<sup>1</sup> „საქართველოს მოამბე“, №11.

ქას. საქონელივით ნაყიდ მონებს არც საზრდო აქვთ და არც თავშესაფარი. ბევრ მათგანს დაუქარგავს შრომის უნარი, მაგრამ პლანტატორების დაქირავებული მოხელეები მათრახის ცემით აიძულებენ და მთელი დღეები ამუშავენ. შიმშილისაგან დასიებული ბავშვები მკერდზე მიკვრიან ჩონჩხადქცეულ დედებს და ძნელი გამოსაცნობია, დედა უწინ მოკვდება თუ შვილი.

აეტორი მიგვითითებს ყმაწვილ ქალზე, რომელსაც სახეზე ქალობა არ ატყვია, „გეგონება საფლავიდამ ამოუღიათო, დედობა როგორ შეუძლია ამ გამქრალ არსებას?“<sup>1</sup>.

ახლა გავეცნოთ მათი ცხოვრების პირობებს: „აი ოთახი, საცა განურჩევლად ყრილ არიან მამა-კაცები, მოხუცებულები და ყმაწვილები და სძინავთ ატალახიანებულს, აყროლებულს მიწაზედ პოლის მაგიერ. გამოჭრილს კედლებში არც მინა აქვს დატანებულო, არც ქაღალდია გაკრული, ისე ასრულებს ფანჯრების მაგიერობას, სანთელს მის დღეში არ გაუნათებია ამ გადახურულის ქვეშ და ვერც გაანათებს. მუშაობისაგან დაქანცულები და მკვდარცოცხლები ბნელ ღამეში მოღრან შინისაკენ, სიბნელეში სკამენ პურსა და ამ აყროლებულ მიწაზედ ძილს ესწრაფიან, იქნებ რამდენიმე საათს მაინც დაივიწყონ რა გადახედნიან და რაც მოელით. ამ საღორეს მსგავსს სადგომში არ არის არც სკამი, არც სტოლი, არც სხვა რაჟე ოთახის მოსართავი“<sup>2</sup>.

ზანგებს ხშირად მუშა პირუტყვზე უფრო ცუდად ექცევიან. რიგიანი პლანტატორი მუშა ცხოველს და ადამიანს იმათ პირობებს უქმნის, რომ ამ უკანასკნელმა ფიზიკური ძალა შეინარჩუნოს და შრომის უნარი არ დაკარგოს, რათა მისი ექსპლოატაცია კვლავ გაადეს შესაძლებელი. მაგრამ ყველას როდი აქვს ეს შეგნებულო.

„ზოგი ამუშავენს მათ ბევრხანს და ძალას ატანს, ურტყამს, თუმცა იცის, ამითი ცხოველი წახთება და ამასთანავე კარგად არ ინახვენ. ზოგი იმდენს ამუშავენს, რამდენიც პირუტყვს შეუძლიან. უფროთხილდებიან მას, კარგად ინახვენ, კიდევაც სწამლობენ, ერთი სიტყვით სცდილობენ, რომ დიდხანს გასძლოს პირუტყვმა... პლანტატორებიც ორნაირად ეპყრობიან თავიანთ ტყვეებს, ზოგი ასე, ზოგი იმა“<sup>3</sup>.

ცხოვრების უმკაცრესი პირობები აიძულებდა ზანგებს, გაქცეოდნენ პლანტატორებს, მაგრამ კიდევ უფრო სავალალო იყო გაქცეულის ბედი. ისინი გზაში იხოცებოდნენ შიმშილისა და სიცივისაგან. კ. ლორთქიფანიძე დეტალურად აღწერს გაპარვის შემთხვევაში შე-

<sup>1</sup> „საქართველოს მოამბე“, № 12.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

ხვედრალ დაბრკოლებებსა და უბედურ შემთხვევებს: „თათქმის უძლეელი დაბრკოლება ხვედმა გზაზედ გაპარულს ნეგრსა. მიიპარვიან დედები ყმაწვილებით, მიიპარვიან საწყლები ტანჯვებაგან ღონემიხდილნი. არსად არ შეუძლიან იმათ თავი შეათარონ, არსად არ შეუძლიან დაისვენონ, მიდიან საწყლები ტყე-ტყე, ეზრებოან შიმშილსა, თუ ზამთარია, იყინებოან სიცივითა, ისე იტანჯებიან, რომ ბევრი გზაზედვე იღუპება“. ამის შემდეგ კირილე პლანტატორებს მიმართავს: „თქვენ უკან დაედევნებით გაპარულს ტყვესა, გაედევნებით ძაღლებითა, რომელნიც გაგიზრდიათ თავის თავის მსგავსად“.

გაღარჩენილ ტყვეებს გზაში იჭერენ პლანტატორები და სანიმუშოდ სჯიან, რათა სხვებმა არ ისურვონ გაქცევა. ცემისა და შიმშილისაგან სიკვდილის პირას მიყენებულ ტყვეებს საპყრობილეში ათავსებენ და შემდეგ კვლავ ყიდვიან ციხის ხარჯების ანაზღაურებლად. „გაპყიდვიან მას რასაკვირველია, ცოლშვილიანად, — წერს კირილე. — მაგრამ ისე, როგორც ჩვეულებრივ იყიდებიან ცოლშვილიანი ზანგები. მამას ერთი კაცი ყიდულობს, დედას მეორე, მათ ქალს მესამე და სხვა ამ გვარად, განათლებულისა და თავისუფლის ამერიკის უმეტესმა ნაწილმა მიიღო კანონი, რომლითაც სრულიად უდანაშაულო კაცებს ტანჯავენ ისე, რომ ამისთანა სატანჯველი უდიდესის დანაშაულისათვისაც არ უნდა დაენიშნათ“<sup>1</sup>.

შრომის დასაპარულს კ. ლორთქიფანიძე დაასკვნის: „აი რა არის ტყვეობა, აი მისი ნაწარმოებები, მისი მატერიალური და ფსიხოლოგიური შედეგები... ტყვეობა დარჩება საუკუნო, განუბანელ ჩირქად ყველაზედ, ვინც კი ამ საქმეში შეწევიან როგორმე პლანტატორებსა...“<sup>2</sup>

კ. ლორთქიფანიძის შრომა მთავარ საკითხში ობრუჩევის სტატეას ემთხვევა, მაგრამ, როგორც აღრევე აღვნიშნეთ. ბევრი რამ კირილეს თავისი დაუმატებია და სტატეები პოლიტიკურად უფრო მახვილი და საინტერესო გაუხდია. მაგალითად, ობრუჩევის შრომაში არაფერია ნათქვამი ისეთ საინტერესო საკითხებზე, როგორიცაა პარლამენტი, დემოკრატია და კომუნისმი! იმისათვის, რომ ეს უცხო სიტყვები მკითხველისათვის გასაგები ყოფილიყო, კ. ლორთქიფანიძე შრომის სქოლიოში ამათ შესახებ ვრცელ ახსნა-განმარტებას იძლევა, რაც უბრალო ლექსიკოლოგიის მუშაობის ფარგლებს სცილდება. არკვევს რა პარლამენტის რაობას, იგი სამართლიანად მიდის იმ დასკვნამდე, რომ ბურჟუაზიული პარლამენტი არ გამოხატავს ხალხის ნებას არც ფორმალურად და არც ფაქტიურად.

<sup>1</sup> „საქართველოს მოამბე“, № 12.

<sup>2</sup> იქვე.

„პარლამენტი ჰქვიან წარმომადგენლობით კრებას, რომელნიც გამოირჩია ხალხმა იმისათვის, რომ ისინი იყვნენ ხალხის სურვილის და აზრის წარმომადგენელი, რომ იმათ ისე განსაჯონ ყოველივე საზოგადო საქმე, როგორც ხალხს ჟნდა... ევროპიულს სახელმწიფოებში წარმომადგენლობას აღარა აქვს არც ის იდეალური გარეგანი ფორმა, არც შინაგანი არსება“<sup>1</sup>.

„დემოკრატიასაც“ კ. ლორთქიფანიძე განმარტავს, როგორც ხალხის მმართველობას, სადაც საზოგადოების ყველა წევრი ერთნაირი უფლებებით სარგებლობს. მაგრამ ასეთი დემოკრატიული სახელმწიფოს ნიმუშად, ბუნებრივია, ვერც ერთ წყობას ვერ ასახელებს, ხოლო როცა ლაპარაკობს „კომუნისტურ წყობილებაზე“, საილუსტრაციოდ საინტერესო მაგალითები მოაქვს.

„ეს თქვათ, რომ არის ერთი საზოგადოება, რომელშიაც კერძობითი საკუთრება არ არის, ე. ი. როცა მიწა საზიაროა, როცა საზოგადოების წევრები ყველაფერს ზიარად მუშაობენ და შრომის ნაყოფს ზიარად ხარჯავენ, როცა ყველა წევრი თანასწორი სიმართლით სარგებლობენ, ყმაწვილებს საზოგადო ხარჯზე ზრდიან და ასწავლიან, მმართველობა და მსაჯულება თვითონ ხალხს ეკუთვნის, აი ამისთანა საზოგადოებას უწოდებენ კომუნას“<sup>2</sup>. შემდეგ განაგრძობს ავტორი: „მუდამ ყოფილან და არიან კიდეც იმისთანა კაცები, რომელნიც სრულს კომუნურს დაწყობილებაში ხელავენ ზოგად წყობილების იდეალსა, და ამბობენ, რომ კაცობრიობა ამ იდეალისაკენ მიისწრაფისო, რომ კაცობრიობის ზოგადმოწყობილების პროგრესი. წინ მსვლელობა ის არისო, რომ ახლდებოდესო ძველებური კომუნური წყობილება, მაგრამ ამასთანავე უფრო იხსნებოდესო, უფრო სისრულეში მოდიოდესო. კაცობრიობას ჭერ ვერ მიულწევიაო ამ იდეალთან სხვადასხვა გარეგან გარემოებების გამო და ამისათვის ყოველი კაცი ჟნდა ცდილობდესო, რომ ეს გარემოებები ლობესავით გადაამტკრიოსო“<sup>3</sup>.

ნაშრომში ასეთი საკითხების შეტანა და მისი ასეთი სახით განსაზღვრა უდავოდ კ. ლორთქიფანიძის იდეურ თავისებურებაზე ლაპარაკობს. ამ მსჯელობიდან ისიც ჩანს, რომ იგი აშკარად თანაუგრძნობს იმ ადამიანებს, რომლებიც „კომუნურ დაწყობილებაში“ ხელავენ კაცობრიობის იდეალს. მართალია, ეს იდეალი ჭერ მიულწვეილია, მაგრამ თერგდალეულს სწამს, რომ სათანადო ბრძოლისა და წინააღმდეგობათა დაძლევის შედეგად იგი განხორციელდებულ

<sup>1</sup> „საქართველოს მოამბე“, № 11.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

აქნება. თუმცა დავას კომუნაზე მსჯელობის დასასრული იწვევს. კ. ლორთქიფანიძე, ახასიათებს რა კომუნიზმისათვის თავდადებული ადამიანების მისწრაფებებს, დაასკვნის: „მაგრამ იმათ ვინ აყვებოა“. ვფიქრობთ, ეს სიტყვები პუბლიცისტის მანევრი უნდა იყოს, ცენზურის თვალის ასახვევად მოგონილი. აბა, ამის გარეშე ვინ დართავდა ნებას კ. ლორთქიფანიძეს კომუნიზმის შესახებ ასეთი ვრცელი ახსნა-განმარტება დაეხეჭდა? საინტერესოა, რა წყაროებით სარგებლობდა ამ დროს კ. ლორთქიფანიძე. ვფიქრობთ, გარდა უტოპისტების ნაწერებისა, 1863 წელს მისთვის ხელმისაწვდომი იქნებოდა მარქსისა და ენგელსის „კომუნისტური მანიფესტი“.

შრომაში კ. ლორთქიფანიძე, ტყვეთა ცხოვრების გარდა, დიდ ყურადღებას უთმობს ცენზურისა და მთავრობის დესპოტიზმის საკითხებს. იგი საქვეყნოდ ააშკარავებს ამერიკელების ეგრეთ წოდებულ „დემოკრატიზმს“ და ფაქტიური მაგალითებით გვიჩვენებს პროგრესული აზროვნების დევნის შემთხვევებს.

„მთელს ხმელეთზე იმისთანა ქვეყანას ვერ აპოვის კაცი, — წერს კ. ლორთქიფანიძე, — რომ ცენზურა ისეთი სასტიკი იყოს იქა, როგორც სამხრეთ შტატებში. სისასტიკის გარდა თან დაჰყვებიან ცენზურას განსხვავებული და ძლიერ საკვირველი ფორმები. რევოლუციური და დანა პირველს პლანზე გახლავან ყველგან. რევოლუციური ხელში უჭირავს და ისე უდგებს ყურს პლანტატორი ღვდელის ქადაგებას საყდარში, რევოლუციურიანი ხსნის ის ფოსტის საპალნესა, რომ კონფისკაცია უყოს ფანტასტიკურ წიგნებსა და ჟურნალებს. ის კაცი, რომელიც პლანტატორებისაგან აკრძალულ ჟურნალს ან წიგნს კითხულობს, ძლიერ საშიშ მდგომარეობაშია, მუდამ იმის ფიქრშია, რომ აი დღეს თუ ხვალ სახრჩობელაზე დაედებ ჩემს სიცოცხლესო“<sup>1</sup>.

მონობაში მყოფი ხალხი სრულ პირუტყვეულ მდგომარეობაში იმყოფებოდა აზრის თავისუფლების თვალსაზრისითაც. მათ არ შეეძლოთ უბრალო საყვედურის თქმაც კი თავიანთი პირობების გამო. ამ შემთხვევასთან დაკავშირებით კ. ლორთქიფანიძე ასახელებს მუშის მკაცრად დასჯის მაგალითს. „ერთმა ირლანდიელმა, რომელიც იყო ქირაჯა მუშად ერთს სამხრეთის კოროლინის ქალაქში, იწება იმის თქმა, რომ ტყვეობა არ მომწონსო, ეს სიტყვები, რასაკვირველია, მაშინვე შეატყობინეს პოლიციას. საწყალი მუშა დაიჭირეს და წაიყვანეს სასამართლოში... სასამართლოში გაატიტვლეს, დაჰკრეს მას ოცდაცხრამეტი, ისე რომ თითო დაკერა გრძელ-გრძელ სისხლიან ზოლებსა სტოვებდა მის ზურგზედ“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> „საქართველოს მოამბე“, № 12.

<sup>2</sup> იქვე.

კირილეს სამარცხვინო მოვლენად მიაჩნია ისიც, რომ „დემოკრატიისა“ და „თავისუფლების“ ქვეყანაში კუპერის წიგნის გაყიდვისათვის ან თავისუფალი აზრის გამოთქმისათვის შესაძლებელია აღამიანები გაუსამართლებლად ჩამოახრჩონ. მისი აზრით, განა ამას არ ადასტურებს ვირჯინიელი ზანგების წინამძღოლის ბრაუნის ჩამოხრჩობა? სტატიის შემდეგ ნაწილში კირილე ცდილობს, კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადოს მკითხველისათვის პლანტატორებისა და მმართველების უმსგავსო საქმიანობა. აი, როგორ მიმართავს იგი პლანტატორებს: „ამ ბოლო დროს თქვენ მიიღეთ ახალი პრინციპი, რომელსაც დაარქვით „უმთავრესი მოსახლეობის სიმართლე“ და რომლის ძალითაც ახალს მიწაზედ დასახლებულებს ნება მიეცით დაიწესონ თავისუფალი ან ტყვეობითი სჯულისმდებლობა. თქვენ შეპყრობეთ მისსურვის ქუჩაში მოტანტალე უსაქმური კაცების ჯარი, დააიარაღეთ დანებით, თოფებით, კეტებითა და რევოლვერებით, პერე უთხარით გამამხნევებელი სიტყვა, რომ თქვენის შემწეობით უნდა დავარღვიოთ ყოველი კანონი და ძალა დავატანოთ კანონსელებს ტყვეობითი სჯულისმდებლობის მიღებაზედ, ერთი სიტყვით, მოვსპოთ იქ ყველაფერი, რაც არ ეთანხმება ტყვეთ-მეპატრონეების ინტერესებს, და, რასაკვირველია, კიდევაც აასრულოთ, რაც გსურდათ და საწყალი ვირჯინიელის ზანგების წინამძღოლი ბრაუნიც ჩამოაღრჩეთ, ამ გვარს მოქმედებას თქვენ კანონიერად რაცბთ, მაგრამ შეიძლება, რომ ეს მოქმედება კანონიერებას შევადაროთ?“<sup>1</sup>.

კ. ლორთქიფანიძეს ამ ორი სტატიის გარდა „ბიძია თომას ქონის“ წინასიტყვაობის სახით სხვა სტატიაც დაუწერია, რომელიც თარგმნილ რომანს უნდა წამძღვარებოდა დაბეჭდვის დროს. ამ სტატიაში ავტორი ცდილობს, უფრო კონკრეტულად გააცნოს მკითხველს მოთხრობაში წარმოდგენილი ისტორიული ფაქტები. ამ მიზნით იგი მოკლე მიმოხილვას აკეთებს ამერიკის პოლიტიკისა და ეკონომიკის შესახებ. სტატიას ეწოდა „მკითხველისადმი მთარგმნელისაგან“, რომელიც ასე იწყება: „წარმომიდგენია მკითხველი საზოგადოებისათვის ბიჩერ-სტოუს რომანი „ბიძია თომას ქონი“ ანუ „ტყვეობა ჩრდილოეთის ამერიკის შეერთებულს შტატებში“. ჯერ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ვინ არის ჩვენი მკითხველი საზოგადოება, ან ვინ წაიკითხავს რომანს“<sup>2</sup>.

ცხადია, კ. ლორთქიფანიძეს თავისი მკითხველი მდებრივ ფენებში ეგულებოდა. ეს რომანიც, მისი აზრით, ასეთი მკითხველისათვის იყო

<sup>1</sup> „საქართველოს მოამბე“, № 12.

<sup>2</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 581.

განუთენილი. ამიტომ, რომ იგი ამდენ შესავალ წერილებსა და წინასიტყვაობებს წერს ჯერ კიდევ რომანის გამოქვეყნებამდე. «იუ მკითხველ საზოგადოებად ჩავთვლით, — წერს კირილე, — მხოლოდ «საქართველოს მოამბის» ხელისმომწერთ, მაშინ არც თუ წინასიტყვაობა, ამ რომანის გადმოთარგმნაც არ არის საჭირო... მაგრამ მარტო ხელისმომწერლები არ არიან მკითხველები, მეტადრე ჩვენში, როცა შეუძლებლობის გამო ბევრი ვერ იწერს ჟურნალსა. არიან იმისთანა მკითხველები, რომელთაც არც კი იცინან, რა არის ამერიკა ანუ შეერთებული შტატები ჩრდილოეთ ამერიკაში და რა საზოგადოებითი დაწყობილებაა ამ შტატებში».

არსებითად ეს სტატია უკვე გამოქვეყნებული შრომის უფრო შემოკლებული ვარიანტია.

კ. ლორთქიფანიძის ამ შრომების შესახებ უნდა ითქვას, რომ მათ დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა. ზანგების ჩაგვრა დღევანდელ ამერიკაში იხეთივე საზარელი ხასიათისაა, როგორც მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში იყო. თანამედროვე ამერიკამ გააცოცხლა ყველა კანონი, რაც ადრევე არსებობდა ფერადკანიანების მიმართ და გააცოცხლა უფრო მახინჯ ფორმებში. რასობრივი დისკრიმინაციის საფუძველზე დღევანდელ ამერიკაში ფერადკანიანები კანონგარეშე არიან გამოცხადებული და მათზე მთელი ძალით მოქმედებს ლინჩის მხეცური კანონი, რომელიც წარსულ საუკუნეშიც მოქმედებდა ამერიკაში.

ახლა, როცა პროგრესული კაცობრიობა ხმას იმაღლებს რასობრივი დისკრიმინაციის, ფერადკანიანთა მასობრივი ელტვის წინააღმდეგ, არ შეიძლება პატივისცემით არ მოვიგონოთ ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე კ. ლორთქიფანიძე, რომელიც ჯერ კიდევ დაახლოებით ერთი საუკუნის წინ დღევანდელი ამერიკელი ჟენტლმენების პაპათა პაპებს სამარცხვინო ბოძზე აკრავდა ფერადკანიანებისადმი მხეცური დამოკიდებულებისათვის.

იხეთი ხასიათის სტატიების გადმოკეთებაც კი, როგორც არის „საზრდო...“ და „ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები და იქაური ტყვეობა“, არ შეიძლება უბრალო ლიტერატურულ-პუბლიცისტურ საქმიანობად ჩაითვალოს. განხილული შრომების თემატიკაც კი, თავი რომ დავანებოთ მათ პოლიტიკურ ხასიათს, გადაჭრით ადასტურებს, რომ კ. ლორთქიფანიძის სახით ჩვენს წინაშე დგას სამოციანი წლების დიდი რადიკალური და დემოკრატი მოღვაწე.

### კ. ლორთქიფანიძის ესთეტიკური შეხედულებაანი

რუსეთში ყველაზე დიდი მატერიალისტ-ესთეტიკოსები იყვნენ ბელინსკი და ჩერნიშევსკი, რომლებმაც ჰეგელის იდეალისტურ-ესთეტიკურ კატეგორიებს ფოიერბახის მატერიალიზმი დაუპირისპირეს და ამით მატერიალისტური ესთეტიკის მძლავრი მიმართულება შექმნეს.

თერგდალეულებმა ბელინსკისა და ჩერნიშევსკის ესთეტიკის მაღალი პრინციპები შეითვისეს და საერთო რევოლუციურ მსოფლმხედველობასთან ერთად ქართულ ნიადაგზე დანერგეს.

ილია ჭავჭავაძემ ჯერ კიდევ „ცისკრის“ ფურცლებიდან დაიწყო ბრძოლა უტილიტარული ხელოვნებისათვის და ხალხის სამსახურით სამოქმედო პროგრამად დაისახა. მან მკაცრად გაილაშქრა საქართველოში „წმინდა ხელოვნების“ თეორიის წინააღმდეგ და საფუძველი ჩაუყარა მატერიალისტური ესთეტიკისა და კრიტიკული რეალიზმის იდეებს.

„ხელოვნება არის განხორციელება სახეში იდეისა, აზრისა“ — წერდა ი. ჭავჭავაძე და ამით სასიკვდილო განაჩენი გამოჰქონდა „წმინდა ხელოვნების“ თეორიის დამცველთა წინააღმდეგ.

თერგდალეულებმა „ცისკარში“ დაწყებული იდეური ბრძოლა უფრო პრინციპულ სიმაღლემდე აიყვანეს „საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე.

„საქართველოს მოამბის“ გამოსვლამ დიდი როლი შეასრულა ჩვენი ხალხის სულიერი კულტურის ამადლების საქმეში. ჟურნალმა გზა გაუკაფა მატერიალისტურ მსოფლმხედველობას და ახლებურად გაარკვია მეცნიერებისა და ხელოვნების პრობლემატური საკითხები.

თერგდალეულების მკაცრი გალაშქრება რევავ ერისთვის კიზლოვის „შეშლილის“ თარგმანისა და „ცისკრის“ უცივი თეორეტიკოსების წინააღმდეგ ამის საუკეთესო მაგალითია.

„დაე... ზოგიერთმა უნაყოფო პოეტმა ხელოვნების სახელითა უკუარიდოს პირი თავისი ხალხის ცხოვრებას, — წერს ილია, — შეშვიდე ცას შეაჩეროს გაბეცებული თვალეზი და ბულბულსავით უაზრო შტვენა დაიწყოს და აღარ გაათაოს. ჩვენ მათთან საერთო გზა არა გვაქვს... ჩვენ მეცნიერებასა და ხელოვნებას მოვსთხოვთ არსებითსა პურსა ცხოვრებაში გამომცხვარსა და მშვიერთათვის მოსანმარსა და გამოსადეგსა“<sup>1</sup>.

ილია ჭავჭავაძემ ხელოვნებასა და მეცნიერებას კონკრეტული ამოცანები დაუსახა, მას მშრომელი ხალხის სამსახური დაავალა,

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. III, 1953, გვ. 68.



ცხოვრების გარდაქმნის საშუალებად და უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის იარაღად გამოიყენა.

ილიას გაგებით, მწერალი ვალდებულია „ჩაივლებს ცხოვრების მდინარის ძირშია. იქ მონახოს შიგ-მდებარე აზრი თავისი ცხოველი სურათებისათვის. იქ, ცხოვრების ძირში, ის იპოვის ბევრ მარგალიტსა და უფრო ბევრ ლექსა და ლაფსა, არც ერთის გამოხატვა არ უნდა ეშინოდეს ქურნალსა“<sup>1</sup>.

ილია ჭავჭავაძის ეს საბრძოლო მოწოდება ჭეჭა-ქუჩილის სიმძლავრით გაისმა მაშინდელი ჩვენი ცხოვრების ჩამოღამებულ პორიზონტზე. ამან გამოაღვიძა „წუმპეში“ ჩაფლული და ბურანში მთვლემარე უმოქმედო ქართველი ინტელიგენცია, რომლისთვისაც ხანგრძლივ სიბნელეში ყოფნას გონებრივი თვალთახედვის არე შევიწროებინა და ახალი ცხოვრების მოკაშკაშე სინათლისათვის თვალის გასწორება საძნელო გაეხადა.

ძველი თაობისათვის მოულოდნელი იყო ანაზღვეულად ატეხილი საბრძოლო ყიჟინა და, თუ პირველად მათ საქმის ვითარებაში გარკვევა გაუძნელდათ, მალე თავდაცვის იარაღი მოიმარჯვეს და ორი სხვადასხვა მსოფლმხეველობის ინტელიგენციის ჯგუფი სამკვდრო-საპიცოცხლოდ შეეჯახა ერთმანეთს.

ამ გადამწყვეტ ბრძოლაში ილია ჭავჭავაძეს მხარში ამოუდგნენ ახალი იდეებით შეიარაღებული პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტები. ეს ახალგაზრდები ილიას დროშის ქვეშ დაირაზმნენ და მისივე წინამძღოლობით ახალი მებრძოლი იდეოლოგიის დანერგვის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს.

თერგდალეულების წრის ერთი აქტიური წევრი იყო სამოციანი წლების თვალაჩინო მწერალი და საზოგადო მოღვაწე კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე. იგი პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო, როდესაც ახალი იდეებით შეიარაღებული გვერდში ამოუდგა ბრძოლის ველზე გასულ ი. ჭავჭავაძეს.

კ. ლორთქიფანიძე სხვა თერგდალეულებთან ერთად მკაცრად შეებრძოლა „ცისკარის“ დრომოკმული იდეების წარმომადგენლებს. მართალია, მისი პირველი სტატია „წიგნი მიწერილი რედაქტორთან“ ეფვთიმე წერეთლისა“ ე. წერეთლის წინააღმდეგ აყო მიმართული, მაგრამ მან მთელი ძველი თაობისა და მათი ორგანოს — „ცისკარის“ იდეური სიყალბე და უსუსურობა გამოამჟღავნა.

„ცისკარი“ არსებითად ძველი თაობის ორგანო იყო. იგი ფაქტიურად ანტონ პირველისა და მისი სქოლასტიკური აზროვნების მიმ-

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. III, 1953, ვვ. 69.

დევართა ინტერესებს იცავდა და მათ უხეირო ნაწერებს აქვეყნებდა. „ცისკარი“ განსაკუთრებით სუსტი იყო თეორიული ხასიათის სტატიები და კ. ლორთქიფანიძეს სწორედ ეს უხამსი ავტორები ჰყავდა მხედველობაში, როდესაც წერდა: „ჩვენი „ცისკარი“, როგორც მოგეხსენებათ, შეიქნა „ფოჩტის“ მაგიერი, ვისაც კი სადმე წიგნის გაგზავნა მოეპურებოდა, „ცისკარის“ რედაქტორს თხოვს თვითონ (სტატიის) „თქვენი მუხლის ჭირიმი, ეს წიგნი (ხანდიხან უსტარსაც უწოდებენ) თქვენს ჟურნალში დაბეჭდეთ, თუმცა ბევრი არ არის შივ რამე, მაგრამ ამ ჩემი სიტყვით მინდა ქართულს ენას შევეწიო (სასაცილოა). უფ. კერესელიძე, უქვეშევრდომილესი თხოვნის ერთგული აღმასრულებელი, იმ წიგნს ჩვენს „ცისკარს“ აკისრებს, საცოდავს ჟურნალს კისერი მოეხედა ნამეტანი სიმძიმის ზიღვით“<sup>1</sup>.

„ცისკარის“ რედაქციას კ. ლორთქიფანიძე იმასაც უსაყვედურებს, რომ ჟურნალს გარკვეული მიმართულება არ გააჩნია. „ყველაშვიცით, — წერს იგი, — რომ ჟურნალს უნდა ჰქონდეს ერთი მიმართულება, ან კარგი, ან ცუდი“<sup>2</sup>.

კ. ლორთქიფანიძის აზრით, „ცისკარის“ უპრინციპობით აიხსნება ისიც, რომ ჟურნალის ფურცლებზე ყოველგვარი ხასიათის მასალა იბეჭდება. რედაქცია ყურადღებას არ აქცევს არა მარტო ნაწარმოების ხარისხს, არამედ იღუერ მიმართულებასაც კი. იბეჭდება თვით მოწინააღმდეგეთა სტატიებიც.

„ჟურნალი არასოდეს არ ბეჭდავს თავის ფურცლებზედ მოპირდაპირე სტატიებს (საკუთარი სტატრიების კრიტიკას) და ისეთს, რომელიც არ ეთანხმება მის მიმართულებას. „ცისკარს“ არ ჰქონია ერთი მიმართულება და არც კარგი ყოფილა ყოველი მისგან გავრცელებული აზრები ცოტას გარდა, რომელიც თითქმის არ ჩანდა, როგორც ბევრჯერ ვსთქვი, სხვა სიტუდესთან“<sup>3</sup>.

მოწინააღმდეგეთა სტატიის კ. ლორთქიფანიძე გულისხმობს ი. ჭავჭავაძისა და სხვა თერგდალეულების წერილებს. მისი აზრით, თუ მხოლოდ ერთი ჟურნალის არსებობის გამო „ცისკარის“ რედაქცია იძულებული გახდა მოწინააღმდეგეების სტატიებიც დაებეჭდა, მაშინ კარგი იქნებოდა, რომ მოკამათეთა წერილები ჟურნალში ცალკე განყოფილების სახით ყოფილიყო წარმოდგენილი.

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1862, №4. იხ. აგრეთვე დოც. ს. ხუციშვილის მიერ შედგენილი ქრესტომათია „ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის“.

<sup>2</sup> „ორიოდე სიტყვა „ცისკარზედ“ და ახალის ჟურნალის სარგებლობაზედ“, „ცისკარი“, 1862, №9.

<sup>3</sup> იქვე

მართალია, კ. ლორთქიფანიძეს „ცისკრისა“ და მისი ძირითადი თანამშრომლების მიმართულება მიუღებლად მიაჩნდა და ამისათვის ებრძოდა კიდევ მათ, მაგრამ იგი ნიპილისტურად არ აფასებდა ყურნალის დამსახურებას და პოეზიის ამ ეკალ-ბარღში ვარდის ბუჩქებსაც ამჩნევდა.

კირილეს აზრით, „ცისკრის“ მდარე ხარისხისა და უიდეო ხასიათის ნაწარმოებთა შორის მოიპოვება ისეთებიც, რომლებშიც ახალი ეპოქის მაჯისცემა და ხალხის სულიერი ტკივილები იგრძნობა. ასეთ ნაწარმოებებად მას მიაჩნია: „... დ. ჭონქაძის „სურამის ციხე“, ... დიმ. ბაქრაძის ისტორიული სტატიები, „სოლომონ ისაკიჩ მეჭლანუაშვილი“ ლავ. არდაზიანისა, ... ი. ჭავჭავაძის სტატიები და მისი ლექსები, აგრეთვე ლექსები... ჩვენის ლერმონტოვის ნ. ბარათაშვილსა და გრ. ორბელიანიდან დაწყებული რაფიელ ერისთავამდის, რომელმაც დაგვიწერა „მთბოვნელი მსაჯულისადმი“<sup>1</sup>.

როგორც ამ სიტყვებიდან ჩანს. სახელოვანი ქართველი მწერლების: გ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ლ. არდაზიანის, დ. ჭონქაძისა და რაფ. ერისთავის შემოქმედების პირველი და სამართლიანი შემფასებელი კ. ლორთქიფანიძეა. მან ქართველი ხალხის უკვდავ პოეტს ნ. ბარათაშვილს „ჩვენი ლერმონტოვი“ უწოდა და ამით თავის დროზე გაბედული სიტყვა თქვა ქართული ლიტერატურული აზროვნების ისტორიაში. ვინ იცის, ეს ჭეშმარიტი დებულება რამდენჯერ გაუმეორებიათ ჩვენი ლიტერატურის ძეგლსა და ახალ მკვლევარებს. მაგრამ მისი პირველი ავტორი მათთვის არც კი ყოფილა ცნობილი. უარყოფილი უნდა იქნეს ის მოსაზრებაც, რომ თითქოს „სურამის ციხე“ პირველად ანტონ ფურცელაძემ გააჩნია. აქაც პირველობა კ. ლორთქიფანიძეს ეკუთვნის. იგი არ ცდებოდა ლიტერატურული ფაქტის შეფასებისას. მართლაც, შემდგომში ლიტერატურულმა ცხოვრებამ გაამართლა მისი პირვანდელი შეზედულებები ჩვენი მწერლების შესახებ. კ. ლორთქიფანიძე თანამიმდევრულად იყენებდა ბელინსკისა და ჩერნიშევსკის მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპებს და, როდესაც სწვის ყალბ დებულებებს ამქოლავნებდა, გაბედულად უსაფეველურებდა ავტორის უვარგისი მეთოდოლოგიის გამო. მაგალითად, პროფ. ალ. ცაგარელთან კამათის დროს კ. ლორთქიფანიძემ დაგმო ლესინგისა და ტენის დრომოქმული კვლევის მეთოდები და ალ. ცაგარელი გაკიცხა კიდევ ჩერნიშევსკის დებულებების უგულვებელყოფისათვის.

„მე... გამიგონია. — წერს კ. ლორთქიფანიძე, — ლესინგის და ტენის თეორია სრულიად არ ეთანხმებიან ერთმანეთსო. თუ ეს მართალია, ცაგარელმა როგორ შეარიგა შეურიგებელი თეორიები. მაგრამ ვსთქვათ, რომ ერთიმეორის წინააღმდეგი არ არიან, მაშინ მე უნდა ვსთქვა, რომ ცაგარელს ამისთანა ძველთე-

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1862, №9.

ორიაზე არ უნდა დაემყარებია თავისი კრიტიკა, იმას უნდა ჰქონოდა მხედველობაში ჩერნიშევსკი“ (ხაზი ჩვენია. — კ. მ.)<sup>1</sup>.

ასევე მკაცრად ილაშქრებს კ. ლორთქიფანიძე კლასიციზმის თეორიული დებულების დამცველის — ალ. სავანელის წინააღმდეგაც. მას ყველაზე მეტად ის აწუხებს, რომ ამ განახლებულ ეპოქაში ზოგიერთი ჩვენი ძველებურად მოაზროვნე კრიტიკოსი კვლავ დრომოქმული თეორიებით ცდილობდა ხელოვნების საკითხების გარკვევას. ალ. ცაგარლის მსგავსად იგი ედავება ალ. სავანელსაც, რადგან ამ უკანასკნელს კლასიციზმის დებულებები გამოუყენებია კვლევის დროს. კირილე წერს: „უფ. ალ. სავანელს ესმის კრიტიკა, როგორც ესმოდათ წარსულ საუკუნეში და არ აპირებს ამ აზრიდან გადადგომას. ამტკიცებს, რომ კრიტიკა წინ უნდა უდგინდეს თხზულების პლანს, როგორც სწავლას... ან კრიტიკას უნდა ჰქონდეს დადებული კანონები, რომელთაც არ უნდა გადაზღვდეს არც სწავლა და არც ხელოვნებაო. ამით უფალი სავანელი ცრუ-კლასიკური ლიტერატურის დროების განახლებას გვიპირებს“.

სამართლიანობა მოითხოვს ალ. სავანელის აქ წარმოდგენილი სტრიქონებიდან ნათლად არ ჩანს მისი კლასიციზტობა. თუმცა ერთი კი ცხადია, კ. ლორთქიფანიძე ედავებოდა ყველა იმათ, ვინც გვერდს უვლიდა ბელინსკისა და ჩერნიშევსკის დებულებებს და დრომოქმული თეორიებით ცდილობდა ლიტერატურული საკითხების გარკვევას, მაგრამ კ. ლორთქიფანიძე ყველაზე მკაცრი და დაუნდობელი მაინც „ვეფხისტყაოსნის“ მაგინებელთა მიმართ იყო.

„ვინც „ვეფხისტყაოსანს“ ვერ პოებს დიდი პოეტის დაწერილად, მე იმას პოეტად კი არა, ესტეტურად გახსნილ კაცადაც არ ჩავთვლი“ — წერდა კ. ლორთქიფანიძე და ეს მწარე მათრახი ხედებოდა თავის დროზე დიდად დაფასებულ პოეტსა და ქართულ ფილო-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 215. ამ შემთხვევაში კ. ლორთქიფანიძის მხედველობაში აქვს „დროებაში“ (1870, № 3, 4, 6, 7) პროფ. ალ. ცაგარლის მიერ გამოქვეყნებული სტატიები „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში“, სადაც ავტორი აცხადებს, რომ „ამ კრიტიკულ განხილვაში მე მაქვს სახეში უმეტესად ლესინგის და ტინის აზრები ლიტერატურულ-ესთეტიკურ თეორიაზედო...“

<sup>2</sup> ალ. სავანელი იყო „ცისკრის“ თანამშრომელი, აქვეყნებდა ორიგინალურსა და ნათარგმნ სტატიებს.

<sup>3</sup> „ცისკარი“. 1862, № 9. კ. ლორთქიფანიძის აქ მხედველობაში აქვს ალ. სავანელის სტატია „მკიობველისადმი“. (ცისკარი“, 1857, № 4.), სადაც აღნიშნავს: „კრიტიკა არის ბერძნული სიტყვა, რომელიც ნიშნავს ჰსჯას, განსჯასა. ამისათვის კრიტიკა რიტორიკის აზრით არის უკანასკნელი მოღვაწეობა ჰსწავლისა, რომელიც ყოველი წესი გამოცდილებისა, გონებისა და გემოვნებისა დაიდების ყოველსგვარს თხზულებისა ზედა“.

ლოგიაში გარკვეული ეპოქის შემქმნელს ანტონ ბაგრატიონს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ დროს ჯერ კიდევ შეულახავი იყო ანტონ კათალიკოსის ავტორიტეტი და ასეთი თავდასხმა, პოეტური რეპუტაციის შეღავა და საქვეყნოდ აღიარებული კაცის ესთეტიკის უცოდინარად მიჩნევა კირილეს მხრივ დიდ პრინციპულობასა და გამბედაობას ნიშნავდა. შეიძლება მკაცრი იყო კ. ლორთქიფანიძის კრიტიკა ანტონისადმი, როგორც ი. ჭავჭავაძისა — ჩახრუხადისადმი, მაგრამ ამით სამართლიანად მიეზლო ანტონ პირველს რუსთაველის აუგად ხსენებისათვის, იმისათვის, რომ მან რუსთაველის გაკიცხვით ჩახრუხადის ავტორიტეტის ამაღლება მოინდომა.

კ. ლორთქიფანიძე, ეხება რა ანტონ პირველის დამოკიდებულებას „ვეფხისტყაოსნისადმი“, დასძენს „ანტონ კათალიკოზი უზნობს ჩახრუხადეზე, რომ დიდი პოეტი ჩუო“ და რუსთაველზედ „ამათათვის დაშვარა“, მაგრამ ჩვენ ანტონს უნდა დაუჭიროთ, თუ თხზულებას, რომელშიაც ვპოულობთ პოეტიკურს ტალანტს, დიდს ჭკუაგამოცდილებას<sup>1</sup>.

ანტონ პირველის დამცველი ექვთიმე გორისელი „ცისკარში“ მოთავსებულ წერილში გულისტყვილით აღნიშნავდა: „როგორ მიადრწია ქართველის გონებამ და სასმენელმა იმდენზედ, რომ ანტონ კათალიკოზის მაღალ-ნიჭიერი თხზულება წყობილ-სიტყვაობა იამბიკობით და აკროსტიხლებით დაიწუნაო“.

ჩანს, კ. ლორთქიფანიძე ძლიერ აღაშფოთა გორისელის მიერ ანტონის იამბიკობისა და აკროსტიხების შექებამ და ამიტომ გაუმასპინძლდა იგი ასეთი მწარე სიტყვებით ამ არამკითხველ კრიტიკოსს:

„სასმენელი ძლიერ დაბეგვილი უნდა იყოს, რომ მათი სიმშვენიერე იგრძნოს, ყრუ უნდა იყოს კაცი, რომ მისმა იამბიკომ. აკროსტიხებით ერთ ყურში... შესულმა და მეორედან გამობრძანებულმა, არა ავნოს ყურსა. ჩვენ ვერც არა რა პოეზიას ვპოულობთ წყობილ სიტყვაობაში, ვერც არა ენის ცოდნასა...“<sup>2</sup>

სტატიის დასასრულს კ. ლორთქიფანიძეს მოაქვს ამონაწერები ანტონ პირველის წყობილსიტყვაობიდან და გორისელს მიმართავს: „უფალი გორისელი მეტყვის ამო ბრძენი, გნომი და დიდი იყო, ესრეთ, რომელ... ამაში პოეზია სრულიად არ იპოება, არც ნატამალია პოეზიისა... აი ასე ცოდვილობდა ანტონ კათალიკოზი, რომელიც თუმცა პოეტი არ ყოფილა, მაგრამ დიდი ჭკუის პატრონი კი იყო... ესეც მიბრძანე, უფ. გორისელო, ეს ამაო ბრძენ, გნომ, დიდ და

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1862, № 4.

<sup>2</sup> იქვე.

სხვა... რა ენაზედ არის დაწერილი? რა ენაა, ქართული თუ ნემე-  
ცური! რა ვიცი. სიტყვები კი ქართულს არ გვანან, კულ მოკვნიტლე-  
ბი არიან, და ამას გარდა ზმნები რა წყალმა წაილო? სად დაიკარგენ  
ზმნები? ვანა უზმნოდაც შეიძლება ლაპარაკი?!”<sup>1</sup>

კ. ლორთქიფანიძემ ასევე მკაცრად გაილაშქრა იოანე ბაგრატი-  
ონის „კალმასობისა“ და მისი რეცენზენტის ღიმიტრი ბაქრაძის წი-  
ნაღმდგ.

1862 წელს „ცისკარის“ რედაქციამ ღიმ. ბაქრაძის წინასიტყვა-  
ობით გამოცა „კალმასობა“. ეს ფაქტი მაშინდელი ქართული კულ-  
ტურისათვის უდავოდ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ამ თავიანთუ-  
რი სტილით დაწერილ ნაწარმოებს — „კალმასობას“ ჩვენი მკვლე-  
ვარნი ღღესაც საპატიო ადვილს უთმობენ ქართული ლიტერატურ-  
ის ისტორიაში. მაგრამ წინასიტყვაობის ავტორმა ღიმ. ბაქრაძემ  
ნაწარმოების ღირსება გააზვიადა, „კალმასობა“ უდიდეს მოვლენად  
გამოაცხადა, მისი ავტორი იოანე ბაგრატიონი პომეროსს, დანტესა  
და შექსპირს გაუტოლა, ყველა ქართველი მწერალი (მათ შორის  
იგულისხმება რუსთაველიც) „კალმასობის“ ავტორის ჩრდილში და-  
აყენა.

აი, როგორ გამოხატავს ამ დებულებას ღიმ. ბაქრაძე: „იოანე  
ბატონიშვილი არის მალაღის ნიჭით შემკული. ჰკითხულობთ რა  
„კალმასობას“, თქვენ არ შეიძლება არ მოხვიდეთ განცვიფრებაში  
ავტორის ქეშპირიების მსჯელობით, სწავლით, მეცნიერების სიერ-  
ციით, პოეტურისა და კომიკურის აღბეჭდილებითა, დაწერილებითის  
ცოდნითა საქართველოს ჩვეულებათა, პირთა და ისტორიათა.  
სხვათა საქართველოს ძველთა და ახალთა მწერ-  
ლობათა შორის ისე განსხვავდება „კალმასო-  
ბის“ ავტორი, როგორთაცა განსხვავდება მწე-  
პლანეტათა და ვარსკვლავთა შორის. იოანე არის  
ჩვენი პომერი, ჩვენი დანტე. ჩვენი შექსპირი...“<sup>2</sup>  
(ხაზი ჩვენია. — კ. მ.).

აი, რას წერს კ. ლორთქიფანიძე „კალმასობისა“ და მისი რეცენ-  
ზენტის მისამართით:

„ღალატცილს ღიმ. ბაქრაძეს წერის პროცესი ჰყვარებია, თორემ  
ვერც ამდენ ფრაზებს დაისწავლიდა და ვერც ასე გააჭრელებდა წი-  
ნასიტყვაობას საკუთრებით სახელებით და ვერც ამისთანა თავის

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1862, № 4.

<sup>2</sup> „კალმასობა“, 1862, გვ. 22.

შესავალს გაუკეთებდა... რომელშიაც ბევრი ცრუ აზრები წარმოუ-  
ქვამს<sup>1</sup>.

კიდევ მეტი სიმკაცრე გამოიჩინა კ. ლორთქიფანიძემ „კალმასო-  
ბის“ ავტორის იოანე ბატონიშვილის მიმართ. დ. ბაქრაძის მიერ  
დანტესთან და შექსპირთან შედარებული მწერლის ნაწარმოებში მან  
ვერც ერთი მნიშვნელოვანი აზრი და ხასიათი ვერ იპოვა. დასას-  
რულს კ. ლორთქიფანიძემ „კალმასობა“ უაზრო ნაწარმოებად გამო-  
აცხადა და მასზე ვაწეული შრომა უმიზნოდ დაკარგულად ჩათვალა.

„პატივი და დიდება იოანე ბატონიშვილის სიმამაცეს, მის მამუ-  
ლის სიყვარულს, მის მამულისათვის სამსახურს, მის ჭკუიანურს  
გამჭირაზობასა, მაგრამ ეს „კალმასობა“ კი ვერაფერი შრომა და-  
უტოვებია, თქვენმა მზემ... თუ სწავლის გაერცვლება სურდა, აზნა-  
ირი ფორმა რად მისცა შრომასა? თუ ქართველების ხასიათის და ჩვე-  
ულებების აღწერა უნდოდა, სწავლა რისთვის ჩაუჩხვრია შიგა? თუ  
ორივე ერთად სურდა, რისთვის კარგად ვერ აასრულა თავისი გან-  
ზრახვა? ჩვენ გვგონია, რომ აუსრულებლობა გვიმტკიცებს უმიზ-  
ნობას. ამისათვის ჩვენ სრულიად არ გვინდოდა, რომ ყურადღება  
მიგვექცია „კალმასობისათვის“, თუ რომ სახეში არ გვეოლოდა  
უფ. მოლაყბე და „ციცკრის“ რედაქცია, რომელნიც, როგორც ამ-  
ბობენ, დიმ. ბაქრაძის თანახმად, დიდს ღირსებას ჰპოულობენ „კალ-  
მასობაში“<sup>2</sup>.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ კ. ლორთქიფანიძე  
ისევე გადაჭარბებით აძაგებს „კალმასობას“, როგორც გადაჭარბე-  
ბით აქებდა დიმ. ბაქრაძე. კირილეს ტენდენციურობას, როგორც  
თვითონვე აღნიშნავს, ხელი შეუწყო „კალმასობის“ გაზვიადებულმა  
წინასიტყვაობამ და „ციცკრის“ რედაქციის გადაჭარბებულმა მზარუნ-  
ველობამ.

თერჯდალეული კირილე ლორთქიფანიძე, მსგავსად ილია ჭავჭავა-  
ძისა, ხელოვნებისაგან მოითხოვს ქირისა და ლხინის, კარგისა და  
ცუდის ასახვას. მისი აზრით, მწერალი გაბედულად უნდა ებრძოდეს  
სოციალურ უკუღმართობას. მას გული უნდა შესტკიოდეს საქვეყ-  
ნო საქმისათვის, უყვარდეს ხალხი და მთელი არსებით განიცდიდეს  
მის სიღუბეჭირეს.

კირილე სამართლიანად უსაყვედურებს ისეთ მწერლებს, რომ-  
ლებიც მხოლოდ ფორმალურად იხდიან ვალს ხალხის წინაშე, „მო-  
დას“ აყოლილი გლუხკაცს უმღერიან, ბატონყმობასაც გმობენ, მაგ-

<sup>1</sup> „ამო-ამოთა“, „საქართველოს მოამბე“, № 6, გვ. 35—48.

<sup>2</sup> იქვე.

რამ ამას სჩადიან მხოლოდ მოვალეობისათვის და არ განიცდიან ხულიერ მღელვარებას, არ არიან აღშფოთებული მშრომელი ხალხის უმწეო მდგომარეობით.

კირილეს აზრით, ზოგიერთი მწერალი, რომელსაც სიმები ძველი ცხოვრების სადიდებლად ჰქონდა მომართული, რეფორმის შემდეგ ბატონყმობის წინააღმდეგ იმავე სიმებს „მოდის“ შესაფერად ოდნავ ხმაშეცვლილად აქლერებს.

„სამწუხარო ან კი რად იქნებოდა იმათთვის ბატონყმობა, — წერს კ. ლორთქიფანიძე, — როდესაც იმათ ანგარების გრძნობის სიმები სულ სხვანაირად ჰქონდათ მოწყობილი. ეს იმათი გრძნობის სიმების მოწყობილობა წინანდელისაგან ეხლაც დიდად არ განსხვავდება, მაგრამ. რაკი საზოგადოდ, სატირალი საგანი მოისპო, სუტპოეტებმა დწინაურებულ კაცებად გამოჩენა მოინდომეს და საშაირე საგნების სიაში ისიც ჩაურთეს. ამგვარად ბატონ-ყმობის მოსპობის შემდეგ იმისი დევნა ჩვენს ცრუ-პოეტებს „მოღალ“ გადაეკეთა და არა „განმაცხოველებელ საგნად“<sup>1</sup>.

მოდას აყოლილ პოეტად კ. ლორთქიფანიძეს გიორგი ჭალადიღელი მიაჩნია.

„ხატზე და ჯვარზე დავიფიცებ, — წერს კ. ლორთქიფანიძე, — რომ ჩვენს ცრუ-პოეტებს არც ფაცხა უყვარღესთ, არც ფაცხაში მცხოვრები. თორემ იმათი გრძნობა აგრე მტკიცედ რად მიეყრდნობოდა „საიდუმლო ბარათებს“ და „თეთრ ყელებს“ და რად უმტყუნებდა იმათ შაშინ, როცა ისინი მონობის დევნაში მამაცობას ჩემულობენ“<sup>2</sup>.

მასშასადამე, კირილეს აზრით, შეიძლება პოეტმა ფაცხასაც უმღეროს, გლეხი კაციც ახსენოს ლექსში, მაგრამ სინამდვილეში გული არ შესტკიოღეს ჩაგრულ ადამიანზე, არც კი აინტერესებღეს მისი უმწეო ბეღი. ასეთ მოღბს აყოლილ პოეტად კირილემ პოპულარული ლექსის „ფაცხას“ ავტორი გიორგი ქოჩაკიძე წარმოგვიდგინა.

იშვიათად რგებია „ფაცხის“ მსგავსი ბეღი დიდი პოეტის ლექსებსაც კი. იგი თავიდანვე ხალხის სასიმღეროდ გადაიქცა და ხალხის საკუთრება გახდა. ვის არ უმღერია ან არ მოუღმენია ეს საამო სტრიქონები:

მიყვარს ფაცხა მე მეგრული  
მთა-კორტოხზე წამოღმგული,  
უფიცრო და უყვარო,  
წერილი წენელით ჩახლართული...

<sup>1</sup> მეგობართან მიწერილი წერილის ბოლო, კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 599. „ღრობაში“ (1870, № 36) დაბეჭდილია სათაურით: „წიგნო მიწერილი მეგობართან“, ცივისელის ხელმოწერით.  
იქვე.



ასეთი პოპულარული ლექსი დაგმო კირილემ იმიტომ, რომ, მისი აზრით, აქ უფრო მშრალი რიტორიკაა, ვიდრე გულწრფელი განცდა. ქ თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში კ. ლორთქიფანიძე უკიდურესობას იჩენს. გ. ჭალადიდელი, მართალია, დიდი პოეტი არ ყოფილა, მაგრამ მისმა ზოგიერთმა ლექსმა ხალხის დიდი სიყვარული დაიმსახურა<sup>1</sup>.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ კ. ლორთქიფანიძეს, რომელიც ყოველთვის დიდ მოთხოვნას უყენებდა პოეტებს, არ მოსწონდა გ. ჭალადიდელის ლექსები.

გ. ჭალადიდელის პოეზიის შეფასებაში იგი ნ. ნიკოლაძესაც ეღა-ვება. ნიკოლაძეს ერთ წერილში ჭალადიდელი შეუქია და იგი ნიჭი-ერთა რიგებში ჩაუყენებია, რაც კ. ლორთქიფანიძეს დაუჯერებლად მიუჩნევია. ამის თაობაზე კირილე ნიკოლაძეს სწერს: „...იმის ლექ-სებში (იგულისხმება ჭალადიდელი.—კ. მ.) ერთი აზრი არ არის, არც ნამდვილი გრძნობაა, არც ლოგიკაა, არც რითმაა, მაგრამ რაც უნდა იფრინოს თავის ლექსებით, აკაკი წერეთლის ცალ ფეხად არ ღირს. მაშ, რაღა უნდა იყოს შენი საქები პოეტი?“<sup>2</sup>.

კ. ლორთქიფანიძე გ. ჭალადიდელს აკაკის ცალი ფეხის ღირებუ-ლადაც არ თვლის, მაგრამ, როცა აკაკი წერეთელმა შეცდომა დაუშ-ვა, როგორც პოეტმა, კირილემ ისიც არ დაინდო და ჭალადიდელთან ერთად გაკიცხა. თუმცა მორიდების გამო აკაკის გვარი არ მოიხსენ-ნია, მაგრამ ლექსი „საიდუმლო ბარათი“ საჯარო მსჯელობის საგნად გახადა.

როდესაც კ. ლორთქიფანიძე „ფაცხას“ და მისი ავტორის საკითხს ეხება, იქვე აკაკის ლექსს „საიდუმლო ბარათსაც“ აუგად იხსენიებს. მისი აზრით, ეს ნაწარმოები ინტიმურ განცდაზეა აგებული და ამდე-ნად საზოგადოებრივ მნიშვნელობას მოკლებულია.

ჩვენს პოეტებს ხალხის ცხოვრება რომ აინტერესებდეთ, — დასძენს კ. ლორთქიფანიძე, — იმათი გრძნობა აგრე მტკიცედ რად მიეყრდნობოდა „საიდუმლო ბარათებს“ და „თეთრ ყულებს“<sup>3</sup>. და ლექსი „საიდუმლო ბარათი“ ხომ აკაკის ეკუთვნის.

„საიდუმლო ბარათში“ აკაკი მართლაც უიმედო სიყვარულს უმ-ღერის, შორეულ სატრფოს ელოლიაება, მასზე ცრემლებს ღვრის. სატრფოსთან გაგზავნილ ბარათს ასე მიმართავს პოეტი:

<sup>1</sup> ასევე პოპულარულია გ. ჭალადიდელის ლექსი „გამოსალმება“, რომელსაც ხშირად მღერიან, მაგრამ ავტორის ვინაობა ბევრმა არ იცის. ეს ლექსია: „მახსოვს პირველად სასწავლებელში წასაყვანადა რომ მომამზადეს...“

<sup>2</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 467.

<sup>3</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 559.

საიდუმლო ბარათო,  
გითხრეს: „ექმენ მარადო  
სიხარულის მომნიჭედ  
და სევდისა ფარადო“.  
მისთვის გიღებ უბეში,  
გალბობ ცრემლის გუბეში,  
ამისრულო, რაც გითხრეს,  
თუ ხარ ჩემი ნუგეში.  
ვერა მხედავ მდუმარეს,  
ცრემლებს რომ ვღვრი მდუმარეს,  
რად არ მეტყვი მის ამბავს,  
ნუგეშს არ მცემ მწუხარეს...

კრიტიკოსს უფრო ის აწუხებს, რომ აკაკი წერეთელი, ეს „გარემოების საყვირი“ კი ცდუნებას შეუპყრია, ფანტასტიკურ სამყაროში გადავარდნილა და არარსებულ სატრფოზე და ბარათზე დაუწყია ცრემლის ღვრა. კირილეს აზრით, სამწუხარო ის არის, რომ ფანტასტიკურობა<sup>1</sup> ჩვენი მწერლების საერთო სენი გამხდარა.

„ჩვენ პოეტებს ფანტაზია უფრო გახსნილი აქვთ, ვინემ სახედველი იარაღი, — წერს კირილე, — და ფანტაზია ყოველთვის იმას უფრო ადვილად და ცხადად წარმოიდგენს, რაც აღნიშნულ დროს თვალებისკენ სხივებს არ აგზავნის. (მაგალითად, პოეტი უფრო ადვილად და ცხადად წარმოიდგენს „საიდუმლო ბარათს“, ე. ი. იმისთანა ბარათს, რომელიც თავის დღეში არ უნახავს და ვერც ნახავს“).

ცხადია, ამ საერთო სენით დაავადებულთა შორის კირილეს აკაკიც ჩაუთვლია, და ფანტაზიორობის საილუსტრაციოდ მისი ლექსი „საიდუმლო ბარათი“ მოუტანია.

ჩანს, კ. ლორთქიფანიძე იმდენად პრინციპული და მკაცრი იყო, რომ აკაკი წერეთელიც არ დაზოგა ერთი მსუბუქი ლექსისათვის.

კ. ლორთქიფანიძე მაღალ მოთხოვნილებას უყენებდა ხელოვნებასა და ლიტერატურას. მწერლობა მას ინტელექტუალური სამყაროს ყველაზე რთულ მოვლენად მიაჩნდა. მისი აზრით, პოეტს უნდა ჰქონდეს დიდი კულტურა, ცხოვრების ღრმა ცოდნა, იდგეს ეპოქის მოწინავე აზროვნების დონეზე. იგი ამავე დროს საზოგადოების მსაჯულიც უნდა იყოს და შეეძლოს ცხოვრების ურთულესი მოვლენების შეფასება და არა მარტო ჰმნიღეს ხელოვნების ძეგლებს, არამედ ღრმად აზროვნებდეს, როგორც ესთეტიკურად განსწავლული პიროვნება.

„პოეტობისათვის კაცმა ყოველმხრივ და ღრმად უნდა იცოდეს კაცობრიობის წარსული და ახლანდელი ცხოვრება, რომ მისი კრი-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 599.

ტიკა და ახალი ცხოვრების დანახვა შეეძლოს. პოეტი მარტო თავის ინტიქტს კი არ უნდა მისდევდეს. იმან ღრმად უნდა შეისწავლოს კაცობრიობის პოეტური ნიჭის ნაწარმოებნი და ამასთან ნამდვილი ესთეტიკური თეორია<sup>1</sup>.

ამ პრინციპიდან გამომდინარე, კ. ლორთქიფანიძე მკაცრად ებრძოლა იმ „ვაი პოეტებს“, რომლებიც ორ წიგნს წაიკითხავდნენ და შესამეს თვითონ წერდნენ.

„სამწუხაროდ... იმათ ჰგონიათ, რომ ორიოდ ხეირიანი წიგნის წაიკითხვა სრულიად საკმაოა ხეირიანი რომანის ან პოეტური თხზულების დასაწერად“<sup>2</sup>.

მისი აზრით, ხელოვნება და კერძოდ პოეზია ურთულესი მოვლენაა და ყველას არ უნდა ჰქონდეს უფლება გონებისა და გრძნობის ამ უძვირფასეს საღაროში თავისი უხეში ხელები აფათუროს. ამ დიდ საქმეს მხოლოდ იმან უნდა მოჰკიდოს ხელი, ვისაც ამისათვის ნიჭი და უნარი აქვს მიმადლებული. ყველა, ვისაც ლექსი დაუწერია, პოეტი არ არის და არც ყოველი ლექსი, რომელშიაც შესაძლებელია რითმა, რიტმი და მარცვალთა რაოდენობაც თავის ადგილზე იყოს, მხატვრულ ნაწარმოებად არ ჩაითვლება.

„ამ დალოცვილ ჩვენს პოეტებს აინუნშიაც არ მოსდით, რომ ნამდვილი ლექსების წერა ალა-ალა არ არის, იმათ ჰგონიათ. თუ მარცვლები შეაწყვეს და კბილებჩამტვრეული რითმები მოსძებნეს, ლექსი მზად არისო“. კირილე განაგრძობს: „თუ ამასთან ლექსში ვარდის მაგიერ მოღად შემოღებული ან სხვა რამე „სამოქალაქო მოტივეზიც“ ჩააჩნირეს, მაშინ სომ ზეკას მიფრინავენ და ერთმანეთს პოეტებად აღიღებენ. მაგრამ პოეზია შეწყობილ მარცვლებსა, რითმებში და უხეიროდ და უგრძნობოდ სიზმრად ნანახ აზრების გამოთქმაში არ მდგომარეობს... ნუ ფიქრობენ, რომ პოეტობისათვის ნიჭს გარდა საჭირო არაა გონების და გრძნობის მრავალმხრივი და ნამდვილი გახსნა“<sup>3</sup>.

მასასადამე, კორილეს აზრით, სრულყოფილი ნაწარმოების შექმნა დიდ ნიჭსა და ცხოვრების ღრმა ცოდნას მოითხოვს. ლექსის ფორმალური გაწყობა არ ნიშნავს პოეტის მოვალეობის პირნათლად შესრულებას და არც ნაწარმოებში „სიზმრად ნანახი აზრის“ უხეირო „ჩაჩხერა“ შევლის საქმეს. აზრი აზრისათვის, -ე. ი. ვალდებულებისათვის კი არ უნდა გამოიყენოს მწერალმა, არამედ იგი თვით ცხოვრების სიღრმიდან უნდა მომდინარეობდეს და ნიჭიერებითა

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 599.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

და ცოდნით გასხივოსნებულმა პოეტის კალამმა ჯადოსნური ძალით უნდა გამოქერწოს მხატვრული სახე.

მაგრამ, მისი აზრით, ყველა პოეტი როდი გრძნობდა ამ პასუხისმგებლობას და ქართველი მწერლების მრავალრიცხოვანი არმიიდან მხოლოდ მცირე ნაწილი იდგა მოწოდების სიმალეზე. კიდევ მეტი: უბედურება ის იყო, რომ უნიჭო და უხამსი პოეტების რიცხვი ყოველწლიურად იზრდებოდა.

აი, როგორ ირონიულად შენიშნავს ამის შესახებ კ. ლორთქიფანიძე: „რამდენიც წელიწადი გადის, იმდენი ჩვენი ცრუ პოეტების რიცხვი მრავლდება. ნაპოლეონ მესამეს რომ შედარებით იმდენი ჯარი ჰყოლოდა, რამდენი პოეტიც ჩვენ გვყავს, მე მგონია, პრუსიის ჯარი ერთ ნაბიჯსაც ვერ იგადადგამდა გერმანიის საზღვარს იქით“<sup>1</sup>.

ცრუ პოეტების მაგალითად კ. ლორთქიფანიძე გ. წყალტუბელს ასახელებს<sup>2</sup>. იგი დეტალურად არჩევს ამ პოეტის ლექსებს და კონკრეტული მაგალითებით აჩვენებს უვარგისობის მიზეზებს.

კ. ლორთქიფანიძის აზრით, გიორგი წყალტუბელის ლექსები მხატვრულად სუსტია და აზრობრივად უხამსია. მასში არ ჩანს პოეტური ნაპერწკალიც კი. თითქოს მამულს უეგალობს, მაგრამ ეს სიმღერა კატის კნავილს უფრო ჰგავს, ვიდრე ბულბულის გალობას და ასეთ ლექსებს საზოგადოებისათვის არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია, თუმცა ზოგჯერ მასში „ნანათხოვრები აზრიცაა ჩაჩხერილი“.

„ეს არის „მნათობის“ აპრილის წიგნმა ჩემამდისაც მოატანა“, — წერს კირილე ლორთქიფანიძე, — მართალი უნდა გითხრა, რომ ქვეყანაზე ბევრი რამ მეგონა და, თუ უფ. წყალტუბელს ბულბუ-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 599.

<sup>2</sup> გიორგი წყალტუბელი — იოსელიანი (1847—1919) დაიბადა სოფელ წყალტუბოში. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1870 წელს დაამთავრა მოსკოვის სასულიერო აკადემია და ასწავლიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში ლოგიკისა და რუსული ლიტერატურის ისტორიას. 1873 წლიდან გადავიდა მასწავლებლად თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში, ხოლო ბოლო წლებში თბილისის სათავდაზნაურო გიმნაზიაში მასწავლებლობდა.

1916 წელს აღინიშნა მისი პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წლის იუბილე: წერდა ლექსებსა და პუბლიცისტურ სტატიებს „წყალტუბელის“ ფსევდონიმით; თანამშრომლობდა „მნათობში“, „ივერიაში“, „სასოფლო გაზეთში“, „ქვეცილში“, „ქველში“, „შობაშვინი“, „ნობათში“, „დროებასა“ და „განათლებაში“; ეყრნა „მნათობში“ სისტემატურად აქვეყნებდა ლექსებს.

<sup>3</sup> „მნათობი“ იყო ხალხოსანთა ორგანო. გამოდიოდა 1869—1872 წლებში. კ. ლორთქიფანიძე ამ დროს იმყოფებოდა პეტერბურგში და იქ მიუღია აპრილის ეყრნალი.

ლის ხმა ჰქონდა, ეს კი სწორედ არ მეგონა. უფ. წყალტუბელი ეუბნება ერთს, უთუოდ თავის მსგავსსვე პოეტს, რომ ჩვენ, „ვისაც ბულბულის ხმა გვაქვსო“, ვარდს ნულარ ვუმღერით, მამულს ვუგალობთო. თვითონ უფ. წყალტუბელი კი, როგორც იცი, დიდი ხანია მამულს უგალობს, მაგრამ ხმა ძალიან ცუდი ჰქონია და ამის გამო იმის გალობა, რუსები რომ იტყვიან, „კატური კონცერტიაო“, სწორედ იმასა ჰგავს“<sup>1</sup>.

კ. ლორთქიფანიძე შატერიალისტური ესთეტიკის — უტილიტარიზმის — პოზიციებიდან უტყვის გ. წყალტუბელს. მხატვრული ნაწარმოების ღირსებას იგი სარგებლიანობის თვალსაზრისით აფასებს: „რომ ყოველივე გალობას მხედველობაში სარგებლობა უნდა ჰქონდეს, — წერს კ. ლორთქიფანიძე, — უთუოდ მოეხსენება უფ. წყალტუბელს, იმის გამო, რომ ისიც ცოდვილი კაცია, თავისი ლექსები კარგი და სასარგებლო ჰგონია. მაგრამ მე გამოტეხით უნდა გითხრა, რომ წინასი ლექსები ერთ ნამცეც სარგებლობას ვერ მოგიტანენ. ამიტომ, რომ ისინი ვერაფრზედ ვერ იმოქმედებენ. მე ძალიან მგრძნობიარე კაცი ვარ, ასე რომ, თუ რომელსამე ლექსში ცოტაოდენი გრძნობით გაცხოველებული საფუძვლიანი აზრია, მაშინვე გული ამიღვლდება, მაგრამ არცერთს უფ. წყალტუბელის ლექსს არ ჰქონია ჩემზედ ამგვარი მოქმედება, თუმცა ის ძალიან ცდილობს, რომ ლექსებში რაიმე აზრი გაიყვანოს, მაგრამ ეს აზრი ისე არეულად და მომაკვდავსავით არის გამოთქმული, რომ მე ვერ ვიტყვი, რომ უფ. წყალტუბელს ბულბულის ხმა ჰქონდეს. ძალიან შესაძლებელი და დასაჯერებელიც არის, ვგონებ, რომ უფ. წყალტუბელი იმიტომ ვერა წერს გრძნობით გაცხოველებულ ლექსებს, რომ-მისი ხმა ბულბულისაა სრულიად არა ჰგავს. მაგრამ თვითონ ის მუზის შვილობას იჩემებს. „მნათობის“ რედაქციაც უთუოდ იმას ეთანხმება, ზადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში არც ერთს უფ. წყალტუბელის ლექსს ის არ დაბეჭდავდა. თუ ამ პრეტენზიაზედ ამათ უარი არ მსთქვეს, მე იძულებული ვიქნები, ვიფიქრო, რომ უფ. წყალტუბელს თავის ლექსებში ნათხოვარი, ძვლებში გამჭდარი აზრები ჩაუჩხირებია. მაგრამ, ზოგიერთი ჩენი სუტპოეტები ნათხოვარ აზრებს ცოტაოდენი გრძნობით, თუმცა ყალბით, მაინც ახერხებენ. უფ. წყალტუბელი ამასაც ვერ ახერხებს და ვგონებ, რომ ამგვარ ბულბულობას უბრალო კაცად ყოფნა მსჯობდეს“<sup>2</sup>.

ჩვენ კ. ლორთქიფანიძის სტატიიდან ვრცელი ამონაწერი იმისათვის კი არ მოგვიტანია, რომ წყალტუბელის პოეზიის უფარგისობა

<sup>1</sup> „დროება“, 1870, № 36.

<sup>2</sup> იქვე.

დაგვემტკიცებინა, რაც ისედაც არ იყო ძნელი. აქ ჩვენს ყურადღებას კ. ლორთქიფანიძის გაბედული და შინაარსიანი მსჯელობა იპყრობს, მისი მოხდენილი მაგალითები გვაინტერესებს. აქ თეორიული დებულებების პრაქტიკულად გამოყენების საუკეთესო მაგალითი ჩანს.

კრიტიკოსის აზრით, ყოველგვარი გალობა პოეზია არ არის და ყოველგვარი პოეზია ხალხს არ გამოადგება. მხატვრულ ნაწარმოებს მაშინ აქვს საზოგადოებრივი მნიშვნელობა, როდესაც მასში მოწინავე აზრებია გატარებული და პოეტური სრულყოფით არის დაგვირგვინებული.

ჩვენ შევამოწმეთ არა მარტო კირილეს სტატიაში დასახლებული აპრილის „მნათობში“ მოთავსებული გ. წყალტუბელის ლექსი, არამედ ჟურნალის ყველა ნომერში დაბეჭდილი მისი ლექსები და ვიგრძინეთ, თუ რა გულსტკივილი აწერინებდა ამ სტრიქონებს კ. ლორთქიფანიძეს.

მართლაც, წყალტუბელის ლექსები მოკლებულია ყოველგვარ პოეტურ ღირსებას. მათ არც ფორმა აქვთ ხეირიანი და არც შინაარსი. საკვირველია, რომ ამ ზერიოზული ჟურნალის ყოველ ნომერში ცნობილი ქართველი მწერლებს გვერდით უთუოდ წყალტუბელის უხეირო ლექსიც შეგხვდებათ. კ. ლორთქიფანიძის მიერ გარჩეული 1869 წ. აპრილის „მნათობში“ მოთავსებული ლექსი ხომ მართლაც სანიმუშოა ცუდის თვალსაზრისით.

ლექსში ავტორს გამოყვანილი ჰყავს ერთი გამოყვეჩებული ყმა-წვილი, რომელიც მთვარიან ღამეში დახეტილობა ველად და ეძებს თავის სატრფოს, მაგრამ ყმაწვილს მოლოდინი არ გაუმართლდება, სატრფო არ გამოჩნდება.

ლექსის სახელწოდებაა „ბედის ვარსკვლავი“. მოგვაქვს მთლიანად:

იღვა ქაბუკი საღამოს ჟამსა  
და შეცქეროდა მოწმენდილ ცასა,  
ყურს არ უგდებდა ქვეყნად ის არას,  
ცაში ეძებდა მხოლოდ რაღაცას.  
მის გარეშემო ყურდა ყოველი,  
რაიც კი არის სულისა მტკმელი;  
განაბულიყვნენ, ხმას არ იღებდნენ.  
თითქოს ქაბუკსა ყურსა უგდებდნენ.  
იღრი მთოვარე თავს დასცქეროდა  
და თითქოს იმას ეუბნებოდა:  
აქა მოძიე, რასაც ეძიებ,  
შე ჩემის მხრითა ცას გავინათებ.  
დას-დას ვარსკვლავნი ზეცით ქუოღენ

და ყველა თითქოს მისთვის ხარობდნენ,  
 მათ სხივ შთანთქმითა მზე რომ არ იყო,  
 დედა მიწასა ამოფარიყო.  
 დიდხანს უცქირა კაბუკმა იმათ,  
 თითქოს ის იყო მრიცხველი ვარსკვლავთ,  
 მაგრამ კაბუკსა სხვა რამ სტანჯავდა,  
 რომელსაც ახლა ველად დაჰყავდა.  
 იგი ეძებდა მხოლოდ ერთ მნათობს,  
 თუმცა აწ გამქრალს, მაგრამ ერთხელ მყოფს,  
 მის გამოჩენას ის მოელოდა  
 და სასოებით ცას შესცქეროდა.  
 მაგრამ საბრალომ რა ვერ იხილა,  
 სასომიხილმა ცასა შესჩივლა:  
 ახ! ღმერთო, ღმერთო, რა ვუავი აჲ,  
 რომ აღარ ბრწყინავს ჩემი ვარსკვლავი!<sup>1</sup>

მართლაც, რა გავლენა უნდა მოეხდინა ასეთ ლექსს მკითხველზე? ჯერ ერთი, თემატურად ეს ლექსი გრიგოლ რჩეულიშვილის „ახ მთვარევე, მთვარეს“ გადამღერებაა, მაგრამ ამას ვინდა ჩიოდა, ამოდენა ლექსში რომ ერთი მხატვრულად გამართული ადგილი და გრძნობის გამომხატველი სტრიქონი იყოს?<sup>2</sup>

„მნათობში“ მოთავსებული გ. წყალტუბელის ლექსებიდან აზრის სინათლითა და პატრიოტული განწყობილებით გამოირჩევა მხოლოდ ერთი ლექსი „უკანასკნელი ოხერა“, სადაც შედარებით ლამაზად არის გადმოცემული მომავლადევი ყმაწვილის პატრიოტული განცდა.

სულთმობრძავე ახალგაზრდა მხოლოდ იმას ნადვლობს, რომ ვერ მოესწრო მამულის თავისუფლებას და ბედმა არ არგუნა სამშობლოსათვის სახელოვანი სიკვდილი.

ჰოი მამულო! ეკედები უდროოდ,  
 და შთადეივარ საფლავს უსასოდ,  
 რომ ვერ მოვესწარ შენს აყვავებას  
 და შენთა შეილთა...

ეწუხ და ეიტანჯვი. უფრო იმისთვის,  
 ბრძოლისა ველზე რომ არა უკლები  
 და ძველებურად შენი ხსნისათვის,  
 შობილი მშობელს არ ემსხვერპლები.

და თუ ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანდა, ვერც ერთი

<sup>1</sup> „მნათობი“, 1869, აპრილი.

<sup>2</sup> „მნათობში“ დაბეჭდილია წყალტუბელის შემდეგი ლექსები: „ობლის ბედი“ („მნათობი“, 1869, მარტი), „ფიქრი წარსულზედ“ (1869, მაის-ივნისი), „მძინარ ღებს“ (1869, სექტემბერ-ოქტომბერი), „ახალი წლის მიგება“ (1870, იანვარი), „პასუხი ახალგაზრდა მოლექსეებს“ (1870, აპრილი), „უკანასკნელი ოხერა“ (1871, აპრილი), „136 ფსალმუნის გალობა“ (1869, ივლის-აგვისტო).

ხეირიანი ლექსი ვერ გახდიდა წყალტუბელის პოეტად. ჩვენ მართლაც, კ. ლორთქიფანიძისა არ იყოს, გვაკვირვებს „მნათობის“ ასეთი სტუმართმოყვარეობა გ. წყალტუბელის მიმართ.

კ. ლორთქიფანიძემ ესთეტიკის ბევრი საინტერესო თეორიული საკითხი გაარკვია. იუენებდა რა ბელინსკისა და ჩერნიშევსკის მატერიალისტური ესთეტიკის მოძღვრებას, მას სწორი დასკვნები გამოჰქონდა ხელოვნებისა და ლიტერატურის სადავო საკითხებზე. მან განსაკუთრებით საინტერესო მოსაზრება განაწილა ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის შესახებ. მისი აზრით, ფორმას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მხატვრული ნაწარმოებისათვის, მაგრამ მას არ შეუძლია შინაარსის, ადგილი დაიკავოს, შინაარსეული ნაკლოვანებანი გამოისყიდოს. კ. ლორთქიფანიძის მტკიცებით, ფორმისა და შინაარსის გარეშე არ შეიძლება ჰემარიტი ხელოვნება შეიქმნას, მაგრამ შინაგანადამწყვეტი მნიშვნელობა შინაარსს ეკუთვნის.

„მე ყოველთვის დარწმუნებული ვარ, — წერს კ. ლორთქიფანიძე, — და ახლა კიდევ ვრწმუნდები იმაში, რომ ფორმას დიდი მნიშვნელობა აქვს ლიტერატურაში, საზოგადოდ, ყოველთვის და თავის ახალგაზრდობის დროს განსაკუთრებით. ამბობენ, რომ იმ სასარგებლო აზრმა, რომელსაც ქადაგებდნენ რუსულ ლიტერატურაში 1855 წლიდან, მართო მაშინ მოიტანეს ნამდვილი სარგებლობა და მართო მაშინ ჰქონდათ მკითხველების მომეტებულ ნაწილზე გავლენა, როცა რომანებში და მოთხრობებში გაიყვანეს ისინი და როცა... ადვილად გასაგები და საკითხავი შეიქნა. მე სრულებით ვამბობ, რომ ფორმას შეუძლიან შინაარსის ნაკლოვანების გამოსყიდვა, მე მინდა მხოლოდ ვსთქვა, რომ... შინაარსთან რიგიანი, ფორმაც საქირაა“<sup>1</sup>.

შეიძლება ასეთი მსჯელობა დღეს ვინმეს ჰარადოქსად მოეჩვენოს, მაგრამ იმ დროისათვის შინაარსის უპირატესობის მტკიცება დიდ მოვლენად ითვლებოდა.

კ. ლორთქიფანიძე, როგორც ამ სტრიქონებიდან ჩანს, უპირატესობას შინაარსს აკუთვნებდა. მისი აზრით, შინაარსი ის ქვაკუთხედი, რომელზეც შენდება მხატვრული ნაწარმოები; ფორმა შინაარსის განუყრელი ნაწილია, მაგრამ შინაგანად შინაარსის ფორმაა.

ამ სწორ დებულებას იცავს კირილე ალ. ცაგარელთან კამათის დროსაც. ალ. ცაგარელი, როგორც კირილეს წერილიდან ჩანს, ნა-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის წერილი ნიკოლაძისადმი, საქართველოს სახ. საფ. ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის ხელნაწერთა ფონდი № 2, 11/26.



წარმოების ანალიზის ღრის ზოგჯერ ფორმას ანიჭებდა უპირატესობას და ასეთ დანაშაულს, ცხადია, კირილე არაეის აპატიებდა.

„სტატიიდან ჩანს, — წერს კ. ლორთქიფანიძე, — ა. ცაგარელი ფორმას შინაარსზე უპირატესობას აძლევს, განხილვის დროს უფრო ხშირად ფორმის დაფასებას ადგას და არა შინაარსისას. შინაარსი, იმის აზრით, კუდია, რომელიც თუ ტანს (ე. ი. ფორმას) აბია, ხომ კარგი, თორემ უკუდოდაც შეიძლება დაკმაყოფილდეთ“<sup>1</sup>.

როგორც აღრევე აღვნიშნეთ, კ. ლორთქიფანიძე მოწინააღმდეგეებთან ბრძოლის დროს ყოველთვის წელგამართული იყო რუსი მატერიალისტების თეორიული დებულებებით. აქაც, ფორმისა და შინაარსის საკითხის გარჩევისას, იგი ბელინსკის პოზიციებს ეყრდნობოდა. აი ბელინსკის სტრიქონები: „უშინაარსო ფორმა უხამსობაა, — წერს ბელინსკი, — ...უფორმო შინაარსი სიმახინჯე“. „ფორმა ყოველთვის მშვენიერია, როცა შეესაბამება იდეას“<sup>2</sup>.

კ. ლორთქიფანიძეს სამართლიანად სწამს, რომ ხელოვანი მხოლოდ მაშინ მიაღწევს მიზანს, თუ მაღალ იდეას სრულყოფილ ფორმაში ჩამოაყალიბებს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კ. ლორთქიფანიძის მტრული დამოკიდებულება რომანტიკოსების, საქართველოს წარსულისადმი მოწუწუნე და „მთვარის“ და „ვარდის“ ეშხით გატაცებული პოეტების მიმართ.

„ერთი დრო იყო, როცა ჩვენში ეგრედწოდებული პოეტების დაღონებული მღერისაგან, იმათი ტირილისაგან და კვენისაგან ყურთა სმენა აღარ იყო. ქვეყანაზე დასაბამიდანვე ძალიან ბევრი ზამ საძმწუხარო და სატირალი ყოფილა და არის, მაგრამ ეს ჩვენი პოეტები მთვარეს, ვარდსა და სხვა ამგვარებს დაკვენსიდნენ...“<sup>3</sup>

როგორც ცნობილია, ქართველი რომანტიკოსები მართლაც საქართველოს წარსულს მისტიროდნენ, გარდასულ დროთა აჩრდილებს შესტროფოდნენ, ციხე-კოშკების ნანგრევებს უმღეროდნენ და განსაკუთრებით ეს იგრძნობოდა „ცისკრის“ პოეტების შემოქმედებაში. ეს რომანტიკოსები მხოლოდ წარსულის ქებაში ხედავდნენ მამულის „მოყვარობას“.

კ. ლორთქიფანიძე სამართლიანად უსაყვედურებს ასეთი ყალბი პათოსის პატრიოტებს: „ჩვენს პოეტებს ძალიან ახიჩებულად ესმის მამულის მოყვარობა. იმათი სიყვარული მიქცეულია მთის წვე-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 467.

<sup>2</sup> Б. Белинский, извр. соч., 1947, стр. 646.

<sup>3</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 599. იხ. აგრეთვე „დროება“, 1870, № 36.

რებზედ დარჩენილი ძველი ნანგრევებისაკენ. ეს ძველი ნანგრევები რომ კაცმა შეაქეთოს და კირით შელესოს და ჩვენი პოეტები იმათ მიაკედლონ, მაშინ იმათ სწორედ უბედური დღე დაუდგებათ, მერე იმათი ქამანჩის მამულის მოყვარეობით გაბერვა შეუძლებელი იქნება“<sup>1</sup>.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ასე მოხდენილად და სამართლიანად იშვიათად გაუკრიტიკებია ვინმეს წარსული დროებით გატაცებული ქართველი პოეტები. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კ. ლორთქიფანიძე ნიჰილისტურ დამოკიდებულებას იჩენდეს წარსულის მიმართ, ხელს იღებდეს მდიდარ მემკვიდრეობაზე. პირიქით. იგი, როგორც ი. ჭუჭავაძე, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩვენი ხალხის წარსულის მხატვრულ ფერებში გასხივოსნებას, გარდასულ ვმირთა აჩრდილების გაცოცხლებას, „დიდების დროთა“ ამტყვევლებას. მაგრამ ყოველივე ეს, მისი აზრით, ახალთან უნდა იყოს დაკავშირებული, ახლის შენებაში უნდა იქნეს ჩართული, რომ მომავალმა თაობამ წინაპართა საგმირო საქმეები მაგალითად გამოიყენოს, ჩვენში წინსვლის ინტერესი დაბადოს, მომავლის სიყვარული გააღვივოს.

„ძველის ქებას ის მოქმედება აქვს, — წერს კ. ლორთქიფანიძე, — ახალს ცხოვრებაზე, რომ მოაგონებს ძველ დამოკიდებულებასთან პრინციპს და ამ პრინციპს აქვს მხოლოდ მომავლის მნიშვნელობა... თუ პატრიოტულ ლექსში პოეტი აზიზლებს „ახლანდელს“ „შემდგომი“ იდეალის წარმოდგენით, მაშინ, რასაკვირველია, უკეთესია და ასევე უნდა იქცეოდნენ განათლებული ტალანტები. ესეც უნდა გითხრა, რომ შემდგომი ძნელი დასანახია გაუნათლებელი კაცისათვის, ის გაჭიწრებით ენდობა უნახავს და შეუჩვევს იდეალებს“...<sup>2</sup>

კ. ლორთქიფანიძე რომანტიკოსებისაგან მოითხოვს, თვალთა ხედვის ისარი მომავლისაკენაც იქნეს გადატანილი, მომავალი გაიხადონ იდეალად და წარსულის კარგი გამოიყენონ მომავლის საქმეში. ამით კ. ლორთქიფანიძემ არა მარტო სწორად განსაზღვრა წარსულთან დამოკიდებულების საკითხი, არამედ ასევე სწორად გაარკვია მწერლის მოვალეობის რთული პრობლემები.

კ. ლორთქიფანიძე აქ დასახელებულ საკითხებს გარდა, ეხება მწერლის ნიჭისა და დრამატურგიის მნიშვნელოვან პრობლემებს. მისი აზრით, პოეტს თანდაყოლილი ნიჭი აუცილებლად უნდა ჰქონდეს, მაგრამ მარტო ნიჭის ამარა იგი შორს ვერ წავა. ნიჭი და მომ-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 595.

<sup>2</sup> იქვე.

ზადება, ცხოვრების ცოდნა აუცილებელია დიდი პოეტური შემოქმედებისათვის. კ. ლორთქიფანიძე სამართლიანად ებრძვის ორივე უციღურესობას. მისი აზრით, როგორც ჩვეულებრივი ადამიანისაგან ცოდნისა და სწავლის შედეგად დიდი პოეტი არ შეიქმნება, ასევე უშედეგოდ ჩაქრება, ან უკეთეს შემთხვევაში, მცირე შედეგს მოგვეცემს ბუნებრივი ტალანტი, თუ მას სათანადო ცოდნა და განათლება არ შეუწყობს ხელს. პოეტური ნიჭი ისეთი თანდაყოლილი თვისებაა, რომელსაც სათანადო წარმართვა ესაჭიროება.

„ფიქრობენ, რომ პოეტური ნიჭი ყველა კაცს ერთნაირი აქვსო, — წერს კ. ლორთქიფანიძე, — პოეტობისათვის საჭიროა ამ ნიჭის აღზრდაო, პოეტები იქმნებიან და არ იბადებიანო... თვით საქმე გვიმტკიცებს, რომ ამგვარ ნიჭდაბალ პოეტებს ხეირიანი რომანის დაწერა კი არა, უბრალო დაწყობილი ამბობაც არ შეუძლიან“<sup>1</sup>.

კირილე ასევე მკაცრად უარყოფს მეორე უკიდურესობას, რომ თითქოს პოეტები იბადებიან და მათ არავითარი სწავლა-განათლება არ სჭირდებათ. ასეთი არასწორი მოსაზრების წინააღმდეგ კირილე ამტკიცებს: „უეჭველია... ნიჭსაც, როგორც ყოველივე მიღრეკილებას და სხეულის თვისებას, აღზრდა უნდა, უამისოდ პოეტად გახდომას ნურავინ ნუ იფიქრებს. თუ ფიქრობენ, უსწავლელი პოეტი თავის ტალანტით იმისთანა რამეს დასწერს, მთელს ქვეყანას გააკვირვებს... სამწუხაროდ, იმათ ნაწარმოებებს თვითონ იმათ გარდა... ჭერ არავინ გაუკვირვებია და თუ ვინმე გააკვირვა, გააკვირვა თავისი უჩირობით“<sup>2</sup>.

ნიჭს რომ ხელისშემწყობი პირობები ესაჭიროება, ამ დებულების დასამტკიცებლად კ. ლორთქიფანიძე მშრომელი ხალხის მაგალითებს ასახელებს. მისი აზრით, თუ დაბალი წრიდან პოეტები და მოაზროვნეები არ გამოდიან, იმიტომ კი არა, რომ მათ ნიჭი აკლდეთ, არა, მათ ნიჭი აქვთ, მაგრამ განვითარება აკლიათ, ხელისშემწყობ პირობებს არიან მოკლებული და ამის გამო ნიჭი უშედეგოდ იღუპება.

„თუ პოეტობისათვის მარტო პოეტური ნიჭი იყო საკმაო, — წერს კირილე, — მაშინ დაბალი ჯალბიღამ, რომელიც ღრმა უმეცრობაშია, ძლიერ ბევრი პოეტები გამოვიდოდნენ, მაგრამ ამ ხალხში ძლიერ ბევრი იმისთანა ნიჭის პატრონია, რომ ჩვენი სუტპოეტები იმალ ფეხის მტვერადაც აღარ ღირან“<sup>3</sup>. ეს შესანიშნავი აზრი კ. ლორთქიფანიძემ შეიძლება ბელინსკიდან მოიტანა. ბელინსკიც ხომ ასევე

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 599.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

წერს: „... თუ საზოგადოების ფანჯიფარებულ კლასებიდან მეტი შესანიშნავი აღმინი გამოდის, ეს იმითმ ხდება, რომ იქ ფანჯიფარების მეტი საშუალებაა, და სულაც არა იმითმ, რომ ბუნება დაბალი კლასეღის აღმინისათვის თავისი ნაბოძარის გაცემაში უფრო ძუნწი იყოს“<sup>1</sup>.

კ. ლორთქიფანიძეს სახელმძღვანელო დებულებები აქვს გამოთქმული დრამატურგიისა და კერძოდ კომედიოგრაფიის საკითხებზეც. იგი ღრმა თეორიულ დებულებებს აყენებს კომედიის სპეციფიკური მოვლენების გასარკვევად, რომ კომედიაში კომიკურობას იწვევს როგორც შინაგანი წინააღმდეგობანი და სასაცილო სიტუაციები, ისე გმირის ფარეგანი სახე და ფორმალური ეფექტები. მაგრამ ნამდვილი სრულფასოვანი კომედია იქმნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაწარმოებებში კომიკური შინაგანი სიუჟეტური ქსოვილიდან მომდინარეობს და თვით მოქმედება სასაცილო სიტუაციაშია გაშლილი. გარეგანი ეფექტებით გატაცება კი იმას ნიშნავს, რომ მწერალს მიზნის მისაღწევად იოლი გზა აურჩევია, რაც ამავე დროს შისი ტალანტის სიმცირეზე და ნაწარმოების სისუსტეზე მეტყველებს. ამ ნაკლოვანებათა გამო არ მოსწონდა კ. ლორთქიფანიძეს ყალბ საფუძველზე აგებული ქართული კომედიები. მისი აზრით, ქართველი კომედიოგრაფები ცდილობენ, გმირთა გარეგანი მხარე დაბატონ სასაცილოდ, გამოიყენონ მეტყველება და ჩაცმულობა კომიკურობისათვის და არა მოქმედების შინაგანი დაძაბულობა და სასაცილო სიტუაციები. შემთხვევით არ აიხსნება ის ფაქტი, რომ ქართულ კომედიებში ყოველთვის გამოყვანილი არიან სომხები, იმერლები, რაჭველები, ქართლები და ებრაელები. ავტორები ცდილობენ, გმირის ჩაცმულობით და დამახინჯებული მეტყველებით გააცინონ მაყურებლები. ამ ნაკლოვანებას კირილე ასე გამოხატავს: „...კომედიებში იმათ გამოყავთ მრავალგვარი ხალხი, რომელთა შორის გარეგან განსხვავებაზე არის მიქცეული ჩვენი კომიკების ყურადღება. მარტო სომხების, იმერლებისა და ქართლების ქართულ ენაზედ... და არა მოქმედებაზედ, ამგვარად, ჩვენი კომედიები სასაცილოა მხოლოდ თავის გარეგანი თვისებით და არა შინაარსით... ამ კომედიებში გამოხატული არც ერთი მოქმედება, არც ერთი მოქმედი პირის მიმართება, ანუ განწყობილება არ მოგვრის კაცს მწარე ღიმილს“<sup>2</sup>.

კ. ლორთქიფანიძის სამართლიანი შენიშვნით, ასეთ კომედიებს სხვა ნაკლიც აქვს. ამ სახის კომედიებში კომიკური აქცენტის გა-

<sup>1</sup> ბ. ბელინსკი, რჩეული ნაწერები, წიგ. I, გვ. 449.

<sup>2</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 599.

რეგან და ეთნოგრაფიულ თუ კუთხურ თვისებებზე გადატანით იკარგება გმირის ზოგადი ხასიათი. ცალკე ზნე-ჩვეულების მატარებელი პერსონები უფრო კერძობითი ნიშნების მატარებელი არიან, ვიდრე განზოგადოებული ტიპისა.

„ჩვენს კომედიებში, — წერს კ. ლორთქიფანიძე, — არ არის არც ერთი მთელი და ნამდვილი ხასიათი, არც ერთი ტიპი... ერთი ვიკითხოთ, რა იქნებოდა, რომ შექსპირსაც ერთსა და იგივე თხზულებაში ერთი რომელიმე ხალხიდან არ მოეყვანა თავისი საზოგადოდ კაცობრიული მნიშვნელობის მქონე ტიპები და მაგიერად დრამაში მოქმედ პირებად აერჩია საქსონელი, სკანდინაველი, გერმანელი, ფრანგი, იტალიელი, რუსი, თათარი, ბერძენი, ქართველი, სპარსელი, ჩინელი, იაპონელი, ინდოელი და სხვა? რა იქნებოდა, რომ ოსტროვსკის ერთსა და იმავე კომედიაში ერთის წოდების ცხოვრების მაგიერ მოენდომებინა მთელი რუსეთელი ხალხების ცხოვრების გამოხატვა და ამსათვის მოქმედ პირებად მოეყვანა დიდი რუსეთელი, პატარა რუსეთელი, პოლშელი, ფინელი, ჩერქეზი, ლეკი, ქართველი, თათარი, კალმიკი, ყირგიზი, ჩუქჩი და სხვა? ეს მწერლები იმდენად გონიერი ყოფილან, რომ მაგრე არ მოქცეულან და რომ, საუბედუროდ, ნიჭიერება ცოტაოდენი კლებოდათ, უეჭველია, ამგვარად აია-სოფიის კენჭებსავეით დრამისა და კომედიის აშენებას მონდომებდნენ და მაშინ იმათი თხზულებები წარმოგვიდგენდა ნამდვილს ენათ-შერევას, რომელზედაც მიქცეული იქნებოდა როგორც მწერლების, ისე მკითხველების განსაკუთრებული ყურადღება. ჩვენს კომიკებს სწორედ ამნაირი საქმე ემართებათ, ისინი სწორედ ამნაირად ჰაწვრენ თავის კომედიებს, ყალბ ვერცხლად გვაძლევენ და გონებშია და გრძნობის ნამდვილად აღძვრის მაგიერ სწორედ ამნაირივე ენათ-შერევით გვატყუებენ“<sup>1</sup>. და ბოლოს გულისტკივილით დასძენს ავტორი: „ღმერთო, როდის იქნება, რომ ჩვენს კომედიებში მოქმედ პირებად ან მარტო ქართლები იყვნენ, ან მარტო იმერლები იყვნენ, ან მარტო სომხები... არ იფიქროთ მე სპეციალურ კომედიებს ენატრობდე. ჩვენში რომ ნამდვილად ნიჭიერი და ნამდვილად ნასწავლი და განათლებული კომიკები იყვნენ, მე, რასაკვირველია, არ ვიტყოდი, რომ კომედიებში მოქმედ პირებად მარტო ქართლები ყოფილიყვნენ, ან მარტო იმერლები“<sup>2</sup>.

კ. ლორთქიფანიძის მიერ კომედიის შესახებ აქ წამოჭრილი საკითხები დღესაც არ არის მნიშვნელობას მოკლებული. მართალია, დღევანდელ ქართულ კომედიებში ებრაელები, სომხები, იმერლები

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 509.

<sup>2</sup> იქვე.

და ქართულები არ არიან გამოყვანილი დაცინვის საგნად, მაგრამ ზოგიერთი ნაკლი, რაზეც ასე სამართლიანად მიუთითებდა კ. ლორთქიფანიძე, დღესაც მტკივნეულად იგრძნობა კომედიოგრაფიაში, სახელდობრ, ეს არის იაფფასიანი და მსუბუქი, გარეგან ეფექტებზე დაფუძნებული კომიკური სიტუაციები.

როგორც ბელინსკი უკრძალავდა „უხეში მაუდის ქსოვილის შინელში გამოწყობილ წვერგაუპარსავ მჭლანელ მწერლებს“ წერას, რადგან, მისი აზრით, „ეს მწერლები რყენდნენ საზოგადოების გემოვნებას, სახელს უტეხდნენ „ლიტერატურას“, ისე კ. ლორთქიფანიძეც უკრძალავს უნიკო ქართველ მწერლებს წერას. იგი მკაცრი ტონით მიმართავს ჩვენს წერილფეხა მწერლებს: „ძმანო, რომანების, დრამებისა თქვენ ისე არაფერი გაგეგებათ, როგორც ჩინური ენისა. ამნათვის ჰსჯობია, იმასზე ხელი აიღოთ. თუ ლექსებზედაც ხელს აიღებთ, ზომ კარგია და პატიოსანი, თუ არა და, რა გაეწყობა, ჰსწერეთ, ჰსწერეთ, მაგრამ იცოდეთ კი რომ თქვენო სამღერალი საგანი ვარდია, იმითომ რომ მღერა ვარდს შეჰფერის და თქვენთვისაც ღმერთს მარტო ბუღბუღივით მომღერალი ხმა მოუცია. არ შეეხოთ არც ერთს იმისთანა საგანს, რომელიც თქვენ სიზმარში გინახავთ და რომელიც არც კი იცით, სასმელია თუ საქმელი“<sup>1</sup>.

ჩანს, კ. ლორთქიფანიძე არა მარტო უნიკო მწერლების წინააღმდეგ ილაშქრებს, არამედ ასევე მკაცრი და დაუნდობელია ვარდის მომღერალი ბუღბუღების, უსაგნო და ცხოვრებისაგან მოწყვეტილი პოეტების მიმართ. კ. ლორთქიფანიძე, მსგავსად ი. ჭავჭავაძისა, გმობს მთვარეზე და ვარსკვლავებზე მიშტერებული პოეტების ფრინველსავით უაზრო სტვენას. იგი ამ სტატიაში ისევე მკაცრად ილაშქრებს „წმინდა ხელოვნების“ თეორიის წინააღმდეგ, როგორც ილიამ გაილაშქრა „პოეტში“.

როგორც აქ წარმოდგენილი საკითხების განხილვიდან ჩანს, თერვდალეულმა კ. ლორთქიფანიძემ პრაქტიკულად გამოიყენა მატერიალისტური ესთეტიკის საბრძოლო დებულებები და ხელოვნების საკითხებზე წამოაყენა ბევრი ისეთი საყურადღებო მოსაზრება. რომელთაც არა მარტო ისტორიული მნიშვნელობა აქვთ, არამედ დღესაც არ დაუქარგავთ მოქმედების ძალა.

#### ბ. ლორთქიფანიძის ეთიკური შეხედულებანი

ისე როგორც ესთეტიკის საკითხები, ეთიკაც ისტორიულ და კლასობრივ კატეგორიას მიეკუთვნება. სხვადასხვა ეპოქებზე და კლასებს სხვადასხვა სახის ეთიკა ჰქონდათ. სოციალურ-პოლიტიკურა

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 599.

შოვლენების ცვლილებებთან ერთად იცვლებოდა ეთიკური ნორმებიც. კიდევ მეტი, ერთსა და იმავე საზოგადოებაში სხვადასხვა ანტიგონისტურ კლასებს სხვადასხვაგვარი ეთიკა აქვთ. მაგალითად, დღეს რაც ამერიკელი კაპიტალისტისათვის ეთიკურია, იგი არ არის ეთიკური ამერიკელი მუშისათვის, და პირიქით. ამდენად, ეთიკური კატეგორიები ყოველთვის ცხოვრების კონკრეტულ არსს გამოხატავს.

ჩერ კიდევ ენველსი უსაყვედურებდა ფოიერბახს ეთიკის რალაც განყენებულ, ყველა დროისა და კლასებისათვის უცვლელ კატეგორიად წარმოდგენის გამო. „ფოიერბახის მორალის თეორიასაც იგივე მოუვიდა, რაც ყველა მის წინამორბედს. იგი ყველა დროის, ყველა ხალხის, ყველა მდგომარეობისთვისაა გამოჭრილი და სწორედ ამიტომ არსად და არასოდეს არ გამოდგება. ნამდვილ ქვეყანაში იგი ისევე უძლურია, როგორც კანტის კატეგორიული იმპერატივი. სინამდვილეში ყველა კლასს, თვით ყველა პროფესიას თავისი საკუთარი მორალი აქვს, რომელსაც იგი ყოველთვის არღვევს, როცა ამის გაკეთება დაუხჭელად შეიძლება. საჭირო იყო ადამიანის განხილვა ისტორიულ მოქმედებაში, რათა ფოიერბახის განყენებული ადამიანიდან ნამდვილ ხორცშესხმულ ადამიანზე გადავსულიყავით“<sup>1</sup>.

შართალია, თერგდალეულების აზროვნებაშიც იგრძნობა ეს ნაკლოვანება. ისინი ხშირად მსჯელობენ ეთიკის ზოგად საკითხებზე, კაცურ კაცობაზე, როგორც საერთო მორალურ მოვლენებზე, ისე რომ კონკრეტული კლასობრივი პირობები არც კია გათვალისწინებული. მაგრამ არსებითად თერგდალეულების ესთეტიკური შეხედულებანი მშრომელი ხალხის ინტერესებს ემსახურებოდა და ამით იმ ეპოქის კონკრეტულ მოთხოვნებს პასუხობდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოღვაწეები არისტოკრატიული წრიდან იყვნენ გამოსული, მათი ეთიკური თეორიები, ისე როგორც მათი მსოფლმხედველობა, მშრომელი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარეობდა.

ჩაგრულის მფარველობა, უძლურის დახმარება, მშრომელთა ინტერესების დაცვა. მუქთახორა ფეოდალური არისტოკრატიის გამასხარავება. — აი რას ისახავდა მიზნად თერგდალეულების მორალი. ილია ჭავჭავაძის მოწოდება „ბედისაგან დაჩაგრულთა“ სიყვარულის შესახებ —

რომ ბედში მყოფნი შენ ძმად მიგანდეს,  
ეგ ვერაფერი სიყვარულია,  
სიტყვა ის არის, კაცს ის უყვარდეს,  
ვინაც ბედისგან დაჩაგრულია —

<sup>1</sup> ე. ე. ე. ე. ე. „ლუდვიგ ფოიერბახი“, 1940, გვ. 35.

გახა თერგდალეულების ეთიკის დემოკრატიულ ბუნებას ან გამონათავს? თერგდალეულთა ეთიკის დემოკრატიული შინაარსი არსებითად სამოციანი წლების რუსი ჩეკოლუციონერული ინტელიგენციის მორალურ მოძღვრებას ემთხვევა. ჩერნიშევსკის თეორიულ დებულებებში და მხატვრულ ნაწარმოებებში („რა ვაკეთოთ?“) მოცემულია დემოკრატიული ეთიკის მთელი სისტემა. ეთიკა ყოველთვის სოციალურ-ეკონომიურ პირობებთან არის დაკავშირებული. ადამიანები ეთიკურ ნორმებს თუ არღვევენ, ეს მხოლოდ უკუღმართი ცხოვრების შედეგია. მაგალითად, ნასტია ზორისოვნას მძაობა, ჩერნიშევსკის აზრით, ცხოვრების პირობებით იყო გამოწვეული და არა პიროვნების თავისებური ხასიათით.

— კ. ლორთქიფანიძესაც ადამიანის ამორალური მოქმედების საფუძვლად ეკონომიური მდგომარეობა მიაჩნია. მაგალითად, ადამიანმა თუ ქურდობა ჩაიდინა იმისათვის, რომ მას ამის გარეშე ფიზიკური განადგურება ელოდა, ამ შემთხვევაში დანაშაული მომაკვდინებელი ცოდვა არ არის. კანონმა ასეთი ქურდი სიკვდილით არ უნდა დასაჯოს, მაგრამ ის, ვისაც საარსებო საშუალება ჰქონდა და მაინც მოიპარა, იგი სასტიკად უნდა დაისაჯოს. მაშასადამე, ერთი და იგივე ამორალური მოქმედება, ერთ შემთხვევაში, როცა იგი ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისთვის იყო ნაკარნახევი, შეიძლება სხვაგვარად შეფასდეს, ვიდრე სხვა პირობებში ჩადენილი იგივე ამორალური მოქმედება.

კანონი გვეუბნებაო, აღნიშნავს კ. ლორთქიფანიძე, რომ ქურდობა კანონის წინააღმდეგია და ამისათვის კაცს არ უნდა იპარავდესო. მაგრამ იქვე სვამს კითხვას, „რა უნდა უყოთ, თუ არა ქონდა ეს საზრდო და ისე მოიპარა? კანონი რასაკვირველია კანონად რჩება, ქურდობა დანაშაულობა იქნება, მაგრამ სამაგიეროდ კანონს დაეკარგება თავისი უსათუო ხასიათი“<sup>1</sup>.

კიდევ მეტი, კირილე — ეს უადრესად მორალური ადამიანი, ასეთ შემთხვევაში მომხდარი დანაშაულის შეწყნარებასაც კი მოითხოვს.

„იქნება ზოგიერთ შემთხვევაში კაცს იმიტომ მოეპაროს, რომ იმას მიუცილებლად საჭირო საზრდო არა ჰქონდა და შიმშილით სიკვდილისაგან თავის ხსნა სურვებია, ცხადად ჩანს, რომ ამგვარ შემთხვევაში კაცის დანაშაულობა ძლიერ დიდი არ უნდა იყოს და კიდევაც უნდა მიეტყუებოდეს მას, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენ ძალიან იშვიათად ვიცით კაცის შებრალება, რადგან ქურდობას

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 592, გვ. 6.



ზნეობითის მხრით ვუყურებთ და ამ მხრით მართლაც დანაშაულია<sup>1</sup>.

აქედან შეიძლება ისეთი დასკვნა გამოვიტანოთ, რომ, კირილეს აზრით, ყოველი ამორალური მოქმედება არ უნდა შეფასდეს ცალმხრეად, როგორც ზნეობრივი ნორმის დარღვევა, სათანადო პირობების გათვალისწინების გარეშე, თორემ ჩვენი დასკვნა არასოდეს არ იქნება ობიექტური.

„შიშრად ჩვენ რომელიმე მოქმედების მიზეზი გვგონია ზნეობითი ბოწიერება და ბოროტ განზრახულება და ამის გამო შეუბრალებელი სისასტიკით ვეპყრობით მოქმედ პირსა, მაგრამ ჩვენ რომ კარგად გამოგვეცვლია მოქმედი პირის ყოფა-ცხოვრება, ადვილად მივხვდებოდით, რომ ამ ბოროტმოქმედების ნამდვილი მიზეზი არის საზრდოს უქონლობა და მაშინ ჩვენი უსამართლო სისასტიკეც შეზომიერდებოდა“<sup>2</sup>. მაშასადამე, კირილეს სურს, ყოველი მორალური მოქმედება ყოფა-ცხოვრების პირობებით ახსნას. ჩანს, ამ საკითხში იგი ფიზიოლოგ იაკობ მოლემოტის გავლენას განიცდის.

კ. ლორთქიფანიძე, როგორც მაღალი ეთიკის ადამიანი, დიდ ყურადღებას აქცევდა ოჯახის საკითხს. ეს შემთხვევითი მოვლენა როდია. ოჯახი მას სამართლიანად მიაჩნდა ერის ზნეობრივი სიმტკიცის ქვაკუთხედად და ამაში არც ცდებოდა. გავიხსენოთ მარქსიზმის კლასიკოსების მკაცრი ბრძოლა იმათ წინააღმდეგ, ვინც კომუნისმის დროს ოჯახის ინსტიტუტის არსებობას დრომოქმულად თვლიდა. ოჯახის სიმტკიცისათვის იბრძვიან ჩერნიშევსკის რომანის გმირებიც, მაგრამ ნამდვილი ოჯახი, ჩერნიშევსკის აზრით, ცოლქმრულ სიყვარულზე და ურთიერთგაგებაზე უნდა იყოს აღმოცენებული. ამის საუკეთესო მაგალითია ვერა პავლოვნას, ლოპუხოვისა და კირსანოვის ურთიერთობა.

მართალია, პირადად კირილეს ოჯახი არ შეუქმნია და ეთიკის პრობლემებზე გამოკვლევები არ დაუწერია, მაგრამ სტატიებსა და კერძო ბარათებში ამის შესახებ მეტად საინტერესო მოსაზრებებია აქვს გამოთქმული და, რაც მთავარია, თვით კ. ლორთქიფანიძე მორალის თვალსაზრისით მეტად საინტერესო პიროვნებაა.

კ. ლორთქიფანიძის როგორც მორალისტიკის სახე ნათლად ჩანს ძმისადმი გაგზავნილ ერთ პირად ბარათში. წერილი არსებითად კირილეს დის გათხოვების შინაურ საქმეს ეხება და ამასთან დაკავშირებით იგი ოჯახის საერთო საკითხებზეც მსჯელობს.

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი; ხელნაწერი № 592, გვ. 6.

<sup>2</sup> იქვე.

ავტორის აზრით, ოჯახი ცოლქმარს შორის ურთიერთგაგებასა და სიყვარულის პრინციპებზე უნდა აიგოს და მას ორივე მხრიდან ზნეობრივი სიფაქიზე უნდა ასპეტაკებდეს. ანგარებაზე აგებული ოჯახი არ შეიძლება ბედნიერი იყოს. რაიმე მიზნით ძალდატანებითი ქორწინება საზოგადოების დამღუპველ სენად ითვლებოდა. აღაშინურ უფლებებს მოკლებულ ქალს საშუალება არ ჰქონდა, თავისი აზრი გამოეთქვა საქმროს შესახებ და, სიტყბოებისა და სიამოვნების ნაცვლად, ასეთი სახის ქორწინება ხშირად ოჯახის უბედურებით მთავრდებოდა. ბევრი ასეთი ფაქტი დაუხატავთ ქართველ მწერლებს. სამარისთა გავისხენოთ ჩვენი ხალხის წარსულიდან ამ თემაზე შექმნილი ეგ. ნინოშვილის მოთხრობები.

სამართლიან საყვედურს გამოთქვამს კ. ლორთქიფანიძე საზოგადოებაში არსებული ამ ბავნე სენის — იძულებული ქორწინების წინააღმდეგ.

„სამწუხაროდ ჩვენდა, — წერს კირილე, — მთელ დედამიწის ზურგზედ არის მართო ერთი სახელმწიფო (არ ასახელებს, რომელი სახელმწიფო აქვს მხედველობაში. — კ. 8.), საცა ხალხის უმეტესა ნაწილი ისე განათლებული და ზნეობიანია, საცა ოჯახურ ცხოვრებაში ისე გამქრალია ყოველივე თვითულის პირის თვითმნებლობა. რომ გასათხოვარს ქალს შეუძლია თვითონ აირჩიოს საქმრო კაცი და რომ ამ შემთხვევაში არც ერთი ოჯახის წევრი არ არის იმისა მბრძანებელი... ესა და ეს შეირთო; თუ ვინმე იმათგანმა რამე უთხრა გასათხოვარ ქალს, ეტყვის მხოლოდ იმას, შენ რომ საქმრო კაცი გყავს სახეში, ის კაცი არ ვარგაო, შენ ცდებიო...“ ამგვარი დარიგების შემდეგ, კირილეს აზრით, ქალი მართლაც უკვირდება საქმროს და თუ მას ასეთი ნაკლი აღმოაჩნდება, თავს ანებებს ისე, რომ გასათხოვარი ქალი თვითვე ასწორებს თავის შეცდომას. „ერთი სიტყვით, იქ ოჯახს უფროსი ან სხვა წევრები რჩევას აძლევენ გასათხოვარ ქალს და არა უბრძანებენ“. და დაასკვნის კირილე: „ასეთი თანხმობის საფუძველზე შექმნილი ოჯახი ცხადია ბედნიერი იქნება“.

„ეს თვისებები არიან იმის მიზეზი, რომ იქ ძლიერ იშვიათად მოხდება, რომ კაცისა და ქალის შეუღლებას მოჰყვეს ოჯახური უბედურება“<sup>2</sup>.

წერილის შემდეგ ნაწილში კირილე ახასიათებს ოჯახურ ყოფას და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ჩვენში, საქართველოში, ქალი უფრო

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 600, გვ. 2.

<sup>2</sup> იქვე.

თავისუფალია და უფლებრივ მდგომარეობაშია ქმრის მიმართ, ვიდრე რუსეთში.

„ჩვენში ოჯახის უფროსს ისე შევიწროებულად არ უქირავს ხელში ყველა ოჯახის წევრი, — წერს კირილე, — .... მაშინ როდესაც ქალი რუსეთში სრულიად გასრესილია“. ჩვენი ხალხის ამ თავისებურებას ავტორი საქართველოს ისტორიული წარსულით ხსნის. მართლაც, ოჯახის სიმტკიცეს მცირე როლი როდი შეუსრულებია ჩვენი ქვეყნის პოლიტიკაში.

ამის შემდეგ იგი ახდენს ძველი და ახალი ქართული ოჯახების შედარებას და ისეთი დასკვნა გამოაქვს, რომ დღევანდელი ქართული ოჯახი სხვა ქვეყნების ოჯახებზე მტკიცე და ზნეობრივად მაღალია, მაგრამ წარსულთან შედარებით მაინც დაქვეითებულად მიაჩნია. ამის მიზეზად კ. ლორთქიფანიძე ცუდად გაგებულ განათლებას თვლის.

„რაც შეეხება ზნეობის და ოჯახის თავისუფლების დაცემას, მე მგონია ამის მიზეზი განათლების ცუდად გაგებაა. ვსასოებ რამდენადაც განათლება იმატებს ჩვენში და რამდენად უფრო კარგად გაიგებენ განათლებას, ე. ი. რამდენადაც უფრო ღილ ყურადღებას მიაქცევენ და შეითვისებენ განათლების ნამდვილ თვისებებს და უფრო ცოტას გაედევნებიან, მოერიდებიან განათლებული ხალხების უღ თვისებებს, რომელიც სრულიად არ შეადგენს განათლების ხასიათს, იმდენად უფრო ხელახლად აიწევეს ჩვენში საზოგადო ზნეობა და ოჯახის თავისუფლება. მაგრამ სანამ ჩვენი ზნეობა და ოჯახური ცხოვრება თავდაღმა მიდის, კაცმა უნდა ეცადოს, რომ ისინი ჯურღმულებში არ ჩაცვიფდნენ, თვითუღმა ეცადოს, არა მარტო თავის თავზე, საზოგადოებაზეც რამდენადაც შეუძლიან“<sup>1</sup>.

კ. ლორთქიფანიძე აქ სამართლიანად იბრძვის განათლებისა და კულტურის კემშარიტი გაგებისათვის. ამით იგი, ერთი მხრივ, ეწინააღმდეგება რუსოს მსგავს ნიპილისტებს, რომლებიც საერთოდ ცივილიზაციას უარყოფდნენ, ხოლო, მეორე მხრივ, ააშკარავენს ბურჟუაზიული კლასის გარყვნილებას, რომელმაც განათლება და კულტურა დაკნინებამდე და დამახინჯებამდე მიიყვანა. სწორად შენიშნავს თერგდალუული, რომ „განათლებული ხალხის ცუდი თვისებები სრულიადაც არ შეადგენს განათლების ხასიათს“.

აღსანიშნავია ისიც, რომ კ. ლორთქიფანიძე ყოველგვარ ეთიკურ ფაქტს ეკონომიური პირობებით განსაზღვრავს, მაგრამ ოჯახის საქმეში ეკონომიკას მაინც არ ანიჭებს გადამწყვეტ როლს. მისი აზრით, მარტო რჩენისათვის არ უნდა გათხოვდეს ქალი.

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 600, გვ. 2.

ძმისადმი გაგზავნილ იმავე წერაღში ნათქვამია: „ჩვენ თუ იმის-  
თანა საქმრო გამოუნახეთ ეფროსინეს, რომ შეძლების მეტი სხვა  
არაფერი საოჯახო კაცის თვისება ექნება, მაშინ ეფროსინეს უფ-  
ლება აქვს, რომ იმის ქმრობაზე არ დაგვეთანხმოს. მ ა რ ტ ო რ ჩ ე-  
ნ ის ა თ ვ ის ა რ უ ნ და გ ა თ ხ ო ვ დ ე ს ქ ა ლ ი“<sup>1</sup>.

ყოველ შემთხვევაში კირილეს ოჯახური ბედნიერების წყაროდ  
სიმდიდრე და ჩინები არ მიაჩნია, მაგრამ არც სილატაკეა სასურვე-  
ლი, რადგან ამ შემთხვევაში მშობლებს გაუქირლებათ, სწავლა მი-  
აღებინონ შეილებს.

„და თუ მამა კარგია ყოველსფრით. მაგრამ ლატაკია, მაშინ ის  
თავის შვილს ვერ გამოზრდის სასწავლებელში, ამიტომ სასურვე-  
ლია, რომ საქმროს ცოტაოდენი შეძლება მაინც ქონდეს“<sup>2</sup>.

მაგრამ, კირილეს აზრით, მორალურ ნაკლოვანებას მაინც ეკო-  
ნომიური ნაკლოვანება სჯობია. თუ ადამიანი ღირსეული პიროვ-  
ნებაა, სიღარიბით არ დაიწუნება.

„მე მგონია, — წერს კირილე, — ღარიბ ცოლქმარსაც შეუძლიან  
ცხოვრება, ორი შვილიც გამოზარდონ, თუ ორივე მეთუღლებში არის  
ერთობა, ზნეობითი და გონებითი, მაგარი ხასიათი და მოხერხებუ-  
ლება“<sup>3</sup>.

ცხადია, კ. ლორთქიფანიძე არ იქნებოდა იმის წინააღმდეგი, რომ  
მისი დის საქმრო ყოველმხრივ დადებითი პიროვნება ყოფილიყო,  
მაგრამ, მისი აზრით, მაინც მთავარი ადამიანური ღირსებაა, რაც  
ქკუასა და ზნეობაში გამოიხატება. „უმთავრესი თვისებები არიან:  
ჩემი აზრით, პირველი ქკუა, მე არ მგონია, თუ ქკუიან ქალს ჩერ-  
ჩეტი ქმარი შეხვდა, რომ იმათ შუა სიყვარული იქნეს და უსიყვა-  
რულოდ ცოლქმრის ბედნიერება ოცნებაა. ამას გარდა საექვოა,  
ჩერჩეტი კაცი კარგი ზნეობის იყვეს, რადგან ზნეობა შეადგენს მე-  
ორე უმთავრეს თვისებას“<sup>4</sup>.

მაგრამ ქკვიანობა ყოველთვის არ ნიშნავს ზნეობრივ სრულყო-  
ფილებას. ზოგჯერ ქკუას ადამიანი ამორალური მიზნისთვისაც იყე-  
ნებს. „შეიძლება კაცი ქკუიანიც იყოს, — წერს კირილე, — და ამას-  
თან იმის ქკუა ცუდ გზაზედ იყოს დამდგარი, მაშინ იმას არ ექნება  
მეორე უმთავრესი თვისება — ზნეობა. შეიძლება ის იყოს გარყვნი-  
ლი, მღაბალი სულის, ყალბი, პირმოთნე, ქურდი, მექრთამე და  
სხვა“<sup>5</sup>.

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 600, გვ. 2.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 3.

<sup>3</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 568, გვ. 1.

<sup>4</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 600, გვ. 3.

<sup>5</sup> იქვე.

წერილის შემდეგ ნაწილში კირილე იწყებს დღს საქმროების დახასიათებას და ყველა მათგანს მიწასთან ასწორებს, რადგან ვერც ერთი ვერ აკმაყოფილებს კირილეს მაღალ ზნეობრივ მოთხოვნებს. ზოგი მათგანი „მდაბიო სულის პატრონი და მექრთამეა“, ზოგიც მლიქვნელი, ლოთი და გარყენილია. კონსტანტინე ერისთავის შესახებ ამბობს: „უნდა ვთქვა, რომ ის არ შეირთავს ეფროსინენ და არც საჭიროა მისი სიძეობა, რადგან ჩემი აზრით, რამდენადაც ვიცნობ იმას, გარყენილების გამო დასნეულებულია, უფროსებთან მდაბალი სულის კაცი უნდა იყოს (ამით წავიდა წინ საშაბურში), ამის გარდა, იმაში უნდა იყოს სიყალბე, პირმოთნეობა, მექრთამეობა და სხვა ამგვარი თვისებები“<sup>1</sup>.

ამის შემდეგ ასევე უარყოფითად ახასიათებს ვახტანგ გურიელს. ამ შემთხვევაში კირილე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს წრესა და გარემოს. გურიელს იმისთვის იწუხებს, რომ იგი ცულ გარემოშია მოქცეული. „თუმცა აქ კარგი ხასიათის იყო, — წერს კირილე, — მაგრამ თუ ჯერ არ წამხდარა, შემდგომში უთუოდ წაზღება, ჩემი აზრით, იმიტომ რომ იმისი უახლოესი ნათესავების წრე. რომელშიაც ის ცხოვრობს, წამხდარია“.

არც სიმდიდრეს აძლევს კირილე გადამწყვეტ მნიშვნელობას. ეტყობა, სამსონ აბაშიძეს, რომელიც ეფროსინენ საქმროდ ყოფილა შერჩეული, ეკონომიური შეძლება ჰქონია, მაგრამ ადამიანური ღირსებები ჰკლებია. „რომ სამსონ აბაშიძეს მისცენ ეფროსინა, ევლუკმა პურჩათვის კაცის ბედის გაყოფა იქნება, ჩემთვის ძლიერ სამწუხარო დარჩება, მაშინ უნდა გამოვიტიროთ ეფროსინა“<sup>2</sup>. ასეთ მაღალ მორალურ მოთხოვნებს აყენებდა კირილე ნამღვილი ოჯახის საფუძვლად. ამასთანავე, უდიდეს ამორალურ მოვლენად მიაჩნდა კირილეს ვაჭრობის ან გამდიდრების საგნად ქორწინების გადაქცევა და ვინც ამ გზით ცდილობდა ოჯახის შექმნას, ყოველთვის ზიზღითა და დაცინვით იგონებდა მას და ამისთვის ოდნავადაც არ ინდობდა ძალიან ახლო მეგობარსაც კი. როგორც თვითონვე აღნიშნავს, „ზოგიერთი პირები ქორწინებაში ეძებენ ძლიერ დიდ სიმდიდრეს“, და ამათ რიცხვში ერთი ახლო მეგობარიც ყავდა დასახელებული.

ერთ კერძო ბარათში კირილე ვიდაც თავის ნათესავს მიხაილს სწერს: „დაახლოებულ ამხანაგს შორეულ ამხანაგზე უფრო მეტად სჯიან, ვინემ ამხანაგს თანამემამულობით... ერთი სიტყვით, ამ შემთხვევაში ვინც უფრო დაახლოებულნი ყოფილან, უფრო სასტიკად

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 600, გვ. 4.

<sup>2</sup> იქვე.

ეპყრობიან ერთმანეთსა, აქედან ადვილად შეიძლება დამეთანხმოთ, რომ მე ისე ძლიერ დამღუბებული არ ვიქნებოდი შენზე... როგორც იმ კაცზე<sup>1</sup>.

კირილეს ხშირად მოსდიოდა უკმაყოფილება ამხანაგებთან, რადგან თავისიანებს მცირე ამორალურ გადახვევასაც კი არ აპატიებდა.

როგორც აღვნიშნეთ, კ. ლორთქიფანიძე იყო იშვიათი პიროვნება, ზნეობრივი აღამიანის იდეალი. იგი ყველას მიმართ განსაკუთრებულ თავაზიანობასა და მორიდებულობას იჩენდა; მორალურ დანაშაულს გრძნობდა ოჯახის წევრებისა და ნათესავების წინაშე, რომლებსაც პეტერბურგში ყოფნის დროს ფულის თხოვნით აწუხებდა. განსაკუთრებით ეხატებოდა გასათხოვარი დის, რომელსაც მატერიალურად უჭირდა და კირილეს, შორეულ ქალაქში გადახვეწილს, ხშირად ულუქმპუროდ დარჩენილს, დახმარების საშუალება არ ჰქონდა. ამის თაობაზე ძმას გრიგოლს სთხოვს, რომ მისი წილი მამულები ორი ათას მანეთად დააგირაოს და აღებული ფული დის გათხოვების საქმეს მოახმაროს იმ პირობით, რომ შემდეგ კირილეს, ამ მამულის გამოსყიდვის უფლება ექნეს.

მას განსაკუთრებით აწუხებდა ვალების გადახდის დაგვიანება. ერთ წერილში გრიგოლს სწერს, სხვა საშუალება თუ ვერ მოვახერხე, ლაქიად დავდგები და ვალს უთუოდ გადავიხდიო. ხოლო სხვა ბარათში გრიგოლს ატყობინებს: „სანამ მე არ გადავიხდი ყველა ვალს რაც დამაღვა ჩემმა ოჯახმა და სხვა ვინმემ, მანამდის მე ვერ ვიგრძნობ ცხოვრების სიტკბობას... ეს ზნეობითი ვალი რომ არ მქონოდა სახეში, მე უეგზამენოდაც ჩამოვიდოდი, რადგან მარტო მე ყოველთვის შემეძლო ლუქმა-პურის ჭამა ან მეცხოვრა მცენარესავით“<sup>2</sup>.

პეტერბურგში, ცუდ ეკონომიურ პირობებში მყოფ კ. ლორთქიფანიძეს გაზეთ „დროების“ რედაქტორი ს. მესხი სწერს: „კირილე, ერთი ამბავი უნდა მოგწერო, რომელიც მგონია ძალიან გაგაკვირვებს. ამ წლიდან „დროების“ რედაქციას აქვს შეძლება ღონორარი აძლიოს თავის თანამშრომლებს... ეს საქმე, იცოდე, საიდუმლოა, მე ჩემი მიზეზები მაქვს. აი რანაირი წინადადება უნდა მოგცე, კირილე. თუ დრო გაქვს და იკისრებ, მე შემიძლია ყოველთვე 20 მანეთი გიგზავნო იმ პირობით, რომ თვეში რვა „დროების“ კალონის ასავსები მასალა ჩამაბარო; დროების თითო კალონაში 80 სტრიქონია, ასე რომ სტრიქონზე თითქმის 3 კაპიკი მოგივა. მართალია, ცოტაა, უღმერთობაა, მაგრამ რას იქ. მეტი არ შეიძლება. თუ გინდ ისე უვადოთ

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 600. გვ. 5.

<sup>2</sup> იქვე.

მოვრიგდეთ, ე. ი. როდესაც და რამდენსაც გამომიგზავნი, იმის ფასს მოგცემ მაშინვე“<sup>1</sup>.

ეს კ. ლორთქიფანიძისათვის უდიდესი დახმარება იქნებოდა, რადგან ამით მისი ცხოვრების მინიმუმს უზრუნველყოფდა და აღარ დასჭირდებოდა ლუქმაპურისთვის ხვეწნა და „ლოლიალი“, როგორც ხშირად თვითონვე აღნიშნავს თავის წერილებში. სხვა ვინც არ უნდა ყოფილიყო მის ადგილზე, ასეთ წინადადებას აღფრთოვანებული შეხვდებოდა, მაგრამ როგორც საპასუხო წერილიდან ჩანს, კირილეს თავი შეუკავებია. მისი მაღალი მორალი არ აძლევდა უფლებას, რომ მხოლოდ მას, ამხანაგებისაგან ფარულად, მიეღო ჰონორარი და თანაც, წინასწარ სურდა გაეგო თუ რა წყაროდან იძენდა რედაქცია ფულს, რომელიც განკუთვნილი იყო კირილესათვის გასაგზავნად.

საპასუხო წერილში კ. ლორთქიფანიძე ს. მესხს სწერდა: „ფულებზედ ამას გეტყვი: მე არ შემიძლია მოვითხოვო შენგან, რომ თვეობით ან გამოგზავნილი სტატიების შესაფერისად ფულები მიძლიო, როგორც გინდა ისე მოიქეცი, მაგრამ ერთს კი გადაწყვეტით გეტყვი, რომ მე ან ნაპდვილად უნდა ვიცოდე ამ ფულების წყარო, ან პატიოსანი სიტყვა უნდა მომცე, რომ იმ წყაროსაგან მიღება არ არის სათაქილო, მხოლოდ უკანასკნელ შემთხვევაში შემიძლია ფულების აღება“<sup>2</sup>.

ფტიქრობთ, კირილეს მაღალი ზნეობის დასაბასიათებლად უკეთესი საბუთი არ შეიძლება არსებობდეს.

ერთი წერილის ნაწყვეტში, რომელიც მკითხველისადმი მიმართული, კ. ლორთქიფანიძე კვლავ წარმოგვიდგება, როგორც დიდი მორალის ადამიანი. ამ წერილში იგი გმობს ბოროტ ადამიანებს, რომლებიც მიზნად ისახევენ მხოლოდ სხვების ვნებასა და შეურაცხყოფას, სხვაში ეძებენ ნაკლს და სხვისი ნაკლით ხარობენ.

„მკითხველო, უთუოდ კარგად გეცოდინება, რომ დედამიწის ზურგზედ ბევრი იმისთანა ორფეხა სულიერია, რომელთაც ცხოვრებაში არავითარი ღირსეული მიზანი არ უღვევთ წინა, რომელნიც თავის ცხოვრებას მარტო იმაში ატარებენ, რომ ყველას, ვინც უნდა იყოს, რამე კილი მოუნახონ, რაიმე შეამჩნიონ და მერე ვისაც შეხვდებიან იმათ უამბონ. ეს კილის გამოხატვა იმათ ძალიან ახარებს. მაგრამ საბედნიეროდ ბევრი არ არის იმისთანა, რომ ამგვარი უსაფუძვლო და უმიზნო ტარტალი ესიამოვნებოდეს“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 644. წერილი დაწერილია 1870 წლის თებერვალში, ხელს აწერს ს. მესხი.

<sup>2</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 570.

<sup>3</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 480.

კ. ლორთქიფანიძე სამართლიანად დასძენს, რომ პატიოსან კაცს ამხანაგის ნაკლოვანება კი არ უნდა ახარებდეს, უნდა სწყინდეს, და შეიძლება გამოსწორების მიზნით ამის შესახებ პირში მიუთითოს.

„კაი კაცს სამწუხაროდ უნდა მიაჩნდეს ყოველივე ნაკლოვანება, რომელსაც ის თავის მოძმეში პოულობს, ის უნდა ცდილობდეს ამ ნაკლოვანების გამომჟღავნებას მარტო იმ მიზნით, რომ თავისი მოძმე გაოხრდეს... ღირსებას მოკლებულნი კი ცდილობენ სხვები დაამდაბლონ, რომ ამით თავისთავი მალა დააყენონ“<sup>1</sup>.

კ. ლორთქიფანიძეს მართლაც სასტიკად სძულდა ყოყოჩა და ბაქია ინტელიგენტები, რომლებიც სხვისი დამცივებით თავისთავის ამაღლებას ცდილობენ, და თვით კ. ლორთქიფანიძის ცხოვრებაც არსებითად ამ ამორალური მოქმედების წინააღმდეგ იყო მიმართული. ამ მხრივ თვითონ ყოველთვის უცნაურად იქცეოდა. თავის გამოჩენა, სახელის მოპოვება, საზოგადოების თვალსაჩინო აღვიწზე ყოფნა მას არასოდეს არ სდომებია. როგორც აღრევე აღწინაშეთ, ფსევდონიმით იმისათვის წერდა, რომ მისი სახელი საქვეყნოდ არ ყოფილიყო ცნობილი, სურათსაც იმიტომ არ იღებდა, რომ თავის გამოჩენა არ უყვარდა. ყოველთვის სხვის საქმეს აკეთებდა, სხვას ეხმარებოდა და საკუთარ თავზე ნაკლებად ზრუნავდა. მდიდარი მემამულის შვილი, რომელსაც მემკვიდრეობით დიდძალი ქონება დარჩა და დიდი ხელფასი ჰქონდა, 80 წლის ასაკში სხვის ოთახში გარდაიცვალა. მთელი მისი სიმდიდრე იყო ბიბლიოთეკა, რომელიც ქუთაისის მუზეუმს უსასყიდლოდ გადასცა. მას თანამედროვენი პატიოსნების და სიწმინდის განსაზიერებად სთვლიდნენ, სახის გამოჩეტყველებაც ასეთივე ჰქონდა: მაღალი შუბლი, თეთრი სპეტაკი წვერ-ულვაში, გაბრწყინებული სახე მართლაც დიდ სიმპათიას იწვევდა მნახველში.

ნ. ნიკოლაძე ერთ კერძო წერილში კირილეს სწერს: „სიაზოვნებით ვწერ ამ წიგნს, თითქოს ცოცხლად ვხედავდე შენს თეთრ მაღალს შუბლს, რომელზედაც გამოხატულია იოსებ ქრისტეს გულწრფელობა... ვხედავ შენს ცოცხალს დიდროვან თვალებს, ვხედავ და თან მახარებს მეგობრის ქრისტეს ნაირი სახე, და თან ზღვა მგრძობელობის გამომხატველი თვალები“<sup>2</sup>.

ასევე ახასიათებს კ. ლორთქიფანიძეს გ. წერეთელი ერთ პირად ბარათში: „ძმო კირილე! მგონია ერთი წელიწადი გადის, რაც შენგან წიგნი არ მიმიღია... ან კი რად იკადრებს ნათლის სხივებში მცუ-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 480.

<sup>2</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 902.



რავი კულდმოგლეჯილ და გახრეკილ ცხენზედ მხედართან ფსალმუნობას? მაგრამ შენი კაშკაში პატიოსნებაც კი ექვეში მაგდებს...<sup>1</sup>

„სპეტაკი სახე“, „თეთრი მაღალი შუბლი“, „გულწრფელობა“, „ნათლის სხივებში მცურავი“, „კაშკაში პატიოსნება“ და სხვა მრავალი ეპითეტია გამოყენებული კ. ლორთქიფანიძის მაღალი მორალური თვისებების გადმოსაცემად და ამაში არ ცდებოდნენ მისი უახლოესი მეგობრები. იგი მართლაც განსაკუთრებული ხასიათის ადამიანი იყო. ერთ კერძო ბარათში ს. მესხი კიდევაც უსაყვედურებდა კირილეს ზედმეტი სიფაქიზის, წესიერებისა და პუნქტუალობისათვის.

ს. მესხის წერილში ვკითხულობთ: „ძმარ კირილე! დარწმუნებული ვარ, რომ თუ შენთან ხშირი მიწერ-მოწერა გავმართე, პუნქტუალურად წერას მიმაჩვევ და ეს, შენც იცი ჩემი ხასიათი, ძალიან სასიამოვნო არ იქნება ჩემთვის. მე არც ცხოვრებაში და არც წერაში არ მიყვარს ნემეცური სიფაქიზე და წესიერება, მაშინასავით მომართული კაცის სიცოცხლე რა სიცოცხლეა. გარწმუნებთ, რომ ხანდინხან თავხედობასა და უწესობას თვით ბუნებაც მოითხოვს...“<sup>2</sup>

კ. ლორთქიფანიძე მართლაც ხშირად უკიდურეს მორალურ ჩარჩოებში იყო მოქცეული, რასაც სამართლიანად უსაყვედურებს ს. მესხი და რაც ჩვეულებრივი ადამიანური ცხოვრებისათვის ძნელი წარმოსადგენია.

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 903.

<sup>2</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 646.

### კ. ლორთქიფანიძე და ქართული პრესა

თერგდალეულები მებრძოლ პრესას ღად მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რადგან მებრძოლი მხატვრული სიტყვით და პუბლიცისტიკის სტრიქონებით ცდილობდნენ დემოკრატიზმისა და თავისუფლების იდეების შეტანას ხალხში.

მაგრამ ეს საბრძოლო იარაღი, წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, მაშინ ისეთი მცირე რაოდენობით მოიპოვებოდა, რომ მასებამდე ამ იდეების მიტანა ძნელი იყო. ასეთ პირობებში წიგნის ან ჟურნალის გამოცემა დიდ ეროვნულ საქმედ ითვლებოდა.

სამოციანი წლების საქართველოში წიგნის მოხმარების შეზღუდულობის შესახებ მიუთითებს ერთი საყურადღებო დოკუმენტი. მაგალითად, „საქართველოს მოამბე“ აღფრთოვანებულს გამოთქევამს იმის გამო, რომ მოსკოვის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, ვილაც ისააკ ტერ-მელიქიანს, თბილისში წიგნის სავაჭრო მაღაზია გაუხსნია! წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების სიმცირე იყო ერთი იმ მიზეზთაგანი, რომ საქართველოში დაბრუნებული ი. ჭავჭავაძე იმთავითვე ჟურნალის გამოცემის საქმეს ჩაუდგა სათავეში და 1863 წლის იანვარში „საქართველოს მოამბე“ დააარსა.

მართალია, „საქართველოს მოამბე“ მხოლოდ ერთ წელს გამოდიოდა, მაგრამ დიდი როლი შეასრულა ქართული მოწინავე აზროვნებისა და ლიტერატურის განვითარების საქმეში.

თერგდალეულებმა კარგად იცოდნენ პრესის დიდი მნიშვნელობა და ყველა მათგანი ცდილობდა ამ დიდ ეროვნულ საქმეში თავისი წვლილის შეტანას. ამით აიხსნება კ. ლორთქიფანიძის თავგანწირული შრომა პეტერბურგში ქართული წიგნების გამოსაცემად და სისტემატური თანამშრომლობა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში.

### კ. ლორთქიფანიძის „ჩონგური“

კ. ლორთქიფანიძემ ჯერ კიდევ უნივერსიტეტის სტუდენტმა, როგორც ზემოთ აღინიშნა, 1864 წელს პეტერბურგში გამოსცა ქართული პოეტების ლექსთა კრებული „ჩონგური“, რომელშიც წიგნის

1 „საქართველოს მოამბე“, № 3, გვ. 121—122.

პირველ გვერდზე განზრახ შეიტანა რევოლუციონერი პოეტის ნეკრასოვის აკრძალული „პოეტი და მოქალაქე“ და ბოლო გვერდზე — მისივე ლექსი „გადის დრო“.

„ჩონგურში“ კ. ლორთქიფანიძემ მოათავსა შემდეგი მასალა: პოეტი და მოქალაქე; პოეტი — XXX-ისა (ილია ჭავჭავაძის ფსევდონიმი); ფიქრნი მტკვრის პირას — ნ. ბარათაშვილისა; მოგონება — აკაკი წერეთლისა; კალამი — აბ. მაჩაბლისა; ქართველის დედას — XXX-ისა; არაგვი — ილია ჭავჭავაძისა; ამოო ძებნა — აკაკი წერეთლისა; ჩონგურს — ნ. ბარათაშვილისა; ხმა საბაროილამ — XXX-ისა; ზღაპარი — აკაკისა; ბედი ქართლისა — ნ. ბარათაშვილისა; ელეგია — ილია ჭავჭავაძისა; გაზაფხული — ილია ჭავჭავაძისა; ყადი ჯორი — რაფიელ ერისთავისა; ფუტკარი — აკაკი წერეთლისა; თვალედი — ნ. ბარათაშვილისა, ჩემს მერანს — მისივე, ფანტაზია — მისივე; გუთნის დედას — XXX-ისა, მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული — მისივე; მადლი შენს გამჩენს, ლამაზო ქალო შავთვალედიანო — ნ. ბარათაშვილისა; ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში — XXX-ისა; ნამბობი მოხუცისა — რაფ. ერისთავისა, წრეს გადასული წრეში შემოსულს — მისივე; მუშა — XXX-ისა; მთხოვნული მსაჯულისადმი — ი. მიქაბერიძისა; ლოთური მუხამბაზი — გრ. ორბელიანისა; მუშური — აკაკი წერეთლისა; საყვარული — რაფ. ერისთავისა; პეპელა — ნ. ბარათაშვილისა; სიმღერა მკის დროს — აკაკი წერეთლისა; ნანა — XXX-ისა; სალამური — აკაკი წერეთლისა; იანიჩარი — XXX-ისა; გლეხის აღსარება — აკაკი წერეთლისა; სულო ბოროტო — ნ. ბარათაშვილისა; იარალი-სადმი — გრ. ორბელიანისა; შიქსტა — აკაკი წერეთლისა; რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ, პოემა — XXX-ისა; ყველანი ძმები ვართ — რობერტ ნიკოლისა; საბრალო გული — აკაკი წერეთლისა, ანელაციის მცოდნე — მისივე, ფარისეველი — მისივე; სული ობოლი — ნ. ბარათაშვილისა, ჩილი — მისივე; ნეკრასოვიდამ<sup>2</sup>.

„ჩონგური“ საყვარელი წიგნი გახდა ქართველი მკითხველისათვის. კ. ლორთქიფანიძემ კარგად იცოდა, უცხო ქალაქში, უნივერსიტეტიდან გარიცხული ხელმოკლე სტუდენტისათვის, რაოდენ ძნელი იქნებოდა ასეთი წიგნის გამოცემა, მაგრამ ეროვნული საქმის

<sup>1</sup> ეს ლექსი პირველად გამოქვეყნდა 1861 წელს „ცისკარში“ ოსებ მიქაბერიძის ხელმოწერით და ასევე შეუტანია კირილეს „ჩონგურში“. როგორც ჩანს, სხვა გვარსა და სახელს შეფარებული რაფიელ ერისთავისათვის მაინც მიუკვლევია მთავრობის მოხელეებს და ამ ლექსის დაბეჭდვისათვის მას თანამდებობაც კი დაუკარგავს (იხ. აკ. წერეთელი, ტ. 6, გვ. 153).

<sup>2</sup> „პოეტი და მოქალაქე“, „ქართველის დედას“, „ყველანი ძმები ვართ“ და „ნეკრასოვიდამ“ აქამდის არ დაბეჭდილან, პირველად იბეჭდება „ჩონგურში“. შენიშნავს კრებულის შემდგენელი კ. ლორთქიფანიძე. — კ. 8.

სიყვარულმა და მტკიცე ნებისყოფამ ყოველგვარი წინააღმდეგობა დააძლევინა. წარმოვიდგინოთ ისიც, რომ „ჩონგურის“ გამოსაცემად კირილეს არც მასალა ჰქონდა და არც სასტამბო ტექნიკური ბაზა. ამას ემატებოდა ცენზურის ჩინოვნიკებთან დაუსრულებელი ბრძოლა, მით უმეტეს, რომ მას განზრახული ჰქონდა „ჩონგურში“ ნეკრასოვის „პოეტი და მოქალაქის“, ილიას „აკაკო ყაჩაღისა“ და აკაკის „გლეხის აღსარების“ დაბეჭდვა.

პირველ ყოვლისა, კირილეს დაუწყია „ჩონგურის“ მასალების შეგროვება „ცისკრის“ ნომრებიდან, მაგრამ ეს არ აღმოჩენილა საკმარისი და ახალი მასალისათვის მიწერ-მოწერა გაუმართავს ქართულ მწერლებთან. კ. ლორთქიფანიძე ამას შესახებ წერს: „შევუღძეპი ლექსების კრებას „ცისკრის“ ნომრებიდან, აკადემიის ბიბლიოთეკაში გადავწერე აკაკის ლექსები: „სიმღერა მკის დროს“, „მოგონებები“, „გლეხის აღსარება“, „ზღაპარი“; რ. ერისთავის „წრეს გადასული, წრეში შემოსულს“. უმეტესი ნაწილი ბარათაშვილისა, ილ. ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა და რ. ერისთავისა შევასწორე „ცისკარში“ დაბეჭდილთან და რაც საჭირო იყო მართლწერის ნიმუშები დაეუბნე, რაც „ცისკარში“ და „საქართველოს მოამბეში“ არ იყო, მაგრამ კარგი ლექსები ძლიერ ცოტა მოგროვდა...“

როგორც „ჩონგურის“ გამოცემის მასალებიდან ჩანს, კ. ლორთქიფანიძეს განზრახული ჰქონია, კრებულში მხოლოდ ქართველი პოეტების ლექსები შეეტანა. გამონაკლისი იქნებოდა ნეკრასოვის „პოეტი და მოქალაქე“ და „გაღის დრო“.

ისიც საინტერესოა, რომ კ. ლორთქიფანიძემ „პოეტი და მოქალაქე“ განზრახ მოათავსა „ჩონგურის“ პირველ ფურცლებზე. ამის თაობაზე კირილე წერს: „ამას გარდა მე ვცდილობდი ისე დამეწყო ეს ლექსები, რომ ამ რაგზე დაწყობაშიც აზრი ყოფილიყო. აგრე ტყვილად არ დამიწყევია ლექსები გრუბებად და ტყვილად არ დამიბეჭდავს „ჩონგურის“ თავში „პოეტი და მოქალაქე“<sup>1</sup>.

კ. ლორთქიფანიძეს ტაქტიკური მოსაზრებით „ჩონგურში“ დაუბეჭდავს გრ. ორბელიანის ლექსი „იარაღისადმი“. ამის შესახებ იგი წერს: „იარაღისადმი“ დაბეჭდვისათვის აბდუშელიშვილმა დიდი საყვედური შემომითვალა, მე თუმცა თანახმა ვარ მისი, მაგრამ ეს ლექსი „საფრად“ დავბეჭდე. ვინიცობაა პრაქტიკული ლექსების ქვანგი მომკიდონ, ხელში „იარაღისადმი“ მივეცემტყო“.

როგორც მასალებიდან ჩანს, კ. ლორთქიფანიძეს გამოსაცემად გამზადებული კრებული ნებართვისათვის საცენზურო კომიტეტში

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 467.

წარუდგენია, ხოლო საცენზურო კომიტეტს, თავის მხრივ, 1864 წლის 20 აგვისტოს თარიღით (საქმე № 602) ეს კრებული სათანადო მიმართვით გაუგზავნია პეტერბურგს უნივერსიტეტისათვის. მიმართვაში ნათქვამია: «Господишу Ректору Императорского С. Петербургского Университета.

В. С. Петербургский Цензурный Комитет поступил на рассмотрение составленный Кн. Кириллом Лорткипанидзе «Чопгури» сборник стихотворений..., имею честь..., не признаете ли Вы возможным поручить рассмотрение оной членам восточного факультета и сообщить... заключение о том, может ли она быть одобрена в цензурном отношении к печатанию...»<sup>1</sup>

როგორც მომდევნო დოკუმენტებიდან ჩანს, რექტორს ხელნაწერი შესამოწმებლად პროფ. დ. ჩუბინაშვილისათვის გადაუცია. ჩუბინაშვილს „ჩონგური“ მართლაც შეუმოწმებია და ზოგი რამ ცენზურას შიშით ამოუღია. გასწორებული ხელნაწერი დ. ჩუბინაშვილს იხევ უნივერსიტეტის რექტორისათვის გადაუცია, ხოლო ამ უკანასკნელს სათანადო მიმართვით საცენზურო კომიტეტისათვის წარუდგენია. რექტორის მიმართვაში მითითებულია ხელნაწერის შესახებ და დასკვნაში აღნიშნულია, რომ კრებული შეიძლება დაიბეჭდოს წითელი მელნით ამოშლილი ადგილების გამოკლებით.

«...сборник стихотворений... был передан профессору по кафедре грузинской словестности Чубинову, который донес, что означенная рукопись, как незакрывающаяся в себе протivного цензурному уставу, за исключением мест зачеркнутых красными черпилами, может быть дозволена к печати... исполняющий должность ректора А. Воскресенский».<sup>2</sup>

როგორც კ. ლორთქიფანიძის წერილიდან ირკვევა, ცენზორს ყველაზე მეტად ილიასა და აკაკის ნაწარმოებები დაუზიანებია. ეს ასედაც უნდა მომხდარიყო, რადგან ყველაზე მეტად მთავრობის საწინააღმდეგო აზრებს მათ ნაწერებში იპოვიდა იგი. სახელდობრ, აკაკის „გლეხის აღსარებიდან“ ამოუღია „მღვდელივით რომ სუქდები“ და ამის მაგიერ ცენზორს კირილესათვის შეუთავაზებია შეცვლილი სტრიქონები „ბატივით რომ სუქდები“, მაგრამ კირილეს მონაც თავისი გაუტანია.

ილიას „ქართველის დედიდან“ ცენზორს წითელი მელნით წაუშლია „სწორობას, თავისუფლებას“ და „რამდენიმე სურათიდან...“ — „გლეხკაცის და ყმის უბრალო ბედი ვერა, ვერ გასძლებს ბატონის ხელში“. ილიას „რამდენიმე სურათის...“ მიმართ ცენზურა ასეთი მსუბუქი ოპერაციით არ დაკმაყოფილებულა. როდესაც „ჩონგუ-

<sup>1</sup> ЦГИАЛ, Ф. 777, оп. 2, ед. хр. 726, 1864.

<sup>2</sup> იქვე.

რი“ მთლიანად აწყობილი ყოფილა და ცენზორს გასაეცელებელ ეგზემპლარზე უნდა საბოლოოდ მოეწერა ხელი, პროფ. დ. ჩუბინაშვილის სიფრთხილს გამო ცენზორისათვის გაუცენია „რამდენიმე სურათის...“ მოკლე შინაარსი. შეშინებულ ცენზორს უკვე დაბეჭდილი ილიას ეს პოემა წიგნიდან მთლიანად ამოუღია. მაგრამ კ. ლორთქიფანიძეს თავდადებული ბრძოლით პოემის ნაწილი მაინც გამოუგლეჯია ცენზორს ბრკყალეზიდან. ამიტომ დაიბეჭდა „ჩონგურში“ რამდენიმე სურათი“... შემოკლებით.

არ შეიძლება აქ არ გავიხსენოთ ილიას წინასწარი შიში „ჩონგურში“ რამდენიმე სურათის...“ დაბეჭდვის სიძნელეების შესახებ. ერთ კერძო ბარათში კ. ლორთქიფანიძე გ. წერეთელს „ჩონგურის“ გამოცემის შესახებ სწერდა: „როცა „ჩონგურის“ გამოცემის სისარულეში მოყვანა განვიზრახე, მე მიეწერე წიგნი ილია ჭავჭავაძეს, რომ ახალი ლექსები გამოეგზავნა და „რამდენიმე სურათის...“ გაგვრძელება გასწორებული. ამასთან მიეწერე, სხვისი ხელით, წიგნი აკაკი წერეთელსაც იმავე თხოვნით... ილიომ გამოიგზავნა ორი ლექსი „ნანა“ და „სტუდენტების სიმღერა“... მწერდა არ გიგზავნი რამდენიმე სურათის...“ რადგან ვიცი ცენზურა არ გაუშვებსო და რომ კიდევაც გაუშვან წიგნს აგიკრძალავენო“<sup>1</sup>.

კირილეს ეს წერილი მრავალმხრივია საყურადღებო. აქედან ირკვევა, რომ როდესაც კირილე „ჩონგურის“ მასალას აგროვებდა, აკაკი წერეთელთან წაჩხუბებული ყოფილა და ამიტომ სხვისი ხელით მიუწერია წერილი.

„რამდენიმე სურათის...“ დაბეჭდვის სიძნელეები ილიას წინასწარ ჰქონდა წარმოდგენილი, რადგან საქართველოში მძლი მთლიანი სახით გამოქვეყნება ვერ მოხერხდა და თუ ცენზურის მოტყუებით „ჩონგურში“ იგი დაიბეჭდებოდა, შესაძლებელი იყო თვით „ჩონგური“ აეკრძალა მთავრობას და ამას უფრო უფრთხილდებოდა ილია. აღბათ ასეთმა სიფრთხილემ აიძულა პროფ. დ. ჩუბინაშვილიც, რომ ცენზორს გაეცნო ილიას პოემის შინაარსი.

დაბეჭდილი „ჩონგურიდან“ რამდენიმე სურათის...“ დიდი ნაწილის ამოღებას კირილესათვის სულიერ ტკივილებთან ერთად ფიზიკური შრომაც გაუორკეცებია, რადგან საჭირო გამზდარა „ჩონგურის“ თავისუფალი მ გვერდის ახალი მასალით შევსება. ამ მიზნით კ. ლორთქიფანიძეს ცენზორისათვის უცხოელი და ქართველი პოეტების ლექსები წარუდგენია, მაგრამ ცენზორს ზოგი მათგანიც არ გაუშვია.

აი, რას წერს კირილე ამის შესახებ: „...რადგან ქალაღი ტყუ-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 495.

ილად რჩებოდა, ამისათვის მე ვთხოვე ცენზორს, რომ გამოშვებული ადგილის მაგიერ სხვა ლექსები მაინც დამაბეჭდვინეთო. მივიტანე 8 გვერდი დასაბეჭდი ლექსები. „ყველაზე უფრო“ გვარიანად გასწორებული. „ყველანი ძმები ვართ“... და „საბრალო გული“ (აკაკი წერეთლისა). ამათგან „ყველაზე უფრო“ არ გაუშვეს. „ყველანი ძმები ვართ“ ძლივს გადავარჩინე სოციალური აზრის შეწყაებისაგან. რამდენჯერ მე მივსულეარ უნივერსიტეტის კანცელარიაში, რამდენჯერ ცენზურის კომიტეტში, რამდენჯერ ცენზორთან“.

როგორც ამ წერილიდან ჩანს, კ. ლორთქიფანიძეს განუზრახავს შოტლანდიელი დემოკრატი პროეტს რობერტ ბერნსის მდიდრებისა და მუქთახორების წინააღმდეგ მიმართული ლექსი „ყველაზე უფრო“ მოეთავსებინა „ჩონგურში“, მაგრამ ბუნებრივია ასეთი ხასიათის ლექსს ცენზურა არ გაუშვებდა. მოგვაქვს მთლიანად კ. ლორთქიფანიძის მიერ თარგმნილი რობერტ ბერნსის ლექსი „ყველაზე უფრო“, რომელიც ცენზურამ აკრძალა:

იყავ, ღარიბო, პატიოსანი,  
შრომა გიყვარდეს ყველაზე უფრო,  
მონობით მცხოვრებს არიდე პირო,  
გეზიზღებოდეს ყველაზე უფრო.

კვლავ გევედრები ყველაზე უფრო  
არ შეგეშინოს დიდი კაცების,  
დიდკაცობა ხომ ფულის...(?)  
მსგავსია, ძმაო, ყველაზე უფრო.

ხმელი პურითა შენ იყვებები,  
იცვამ უბრალოს ყველაზე უფრო,  
სხვა მდიდრად ცხოვრობს, ფარჩა აცვია,  
მაგრამ ფლიდია ყველაზე უფრო.

ყველაზე უფრო, ყველაზე უფრო  
ფუჭად ჩვენ უნდა ვთვლიდეთ ხარისხსა,  
პატიოსნება თუ აქვს ღარიბსა,  
ის ხელმწიფეა ყველაზე უფრო.

აი, ის კაცი დიდი ვინმეა,  
ქვეყნის ურგები ყველაზე უფრო,  
სიმდიდრის გამო ცხვირს მალდა იჭერს  
და სულელია ყველაზე უფრო.

ჩვენთვის, ვინცა ვართ შრომის შვილები  
მისი ვარსკვლავი, ლენტი, ჩინები  
სასაცილოა ყველაზე უფრო,  
ყველაზე უფრო, ყველაზე უფრო.

სულმდაბლებისა გადიდაცება  
სულ ადვილია ყველაზე უფრო,  
პატიოსნად კი ვერაინ განდის  
მეფე ძლიერი ყველაზე უფრო.

ზეცას ვევედროთ, რომ ჰკუანობა  
ჩვენშიც მეფობდეს ყველაზე უფრო,  
პატიოსანი შრომა რომ გახდეს  
პატივცემული ყველაზე უფრო.

ყველაზე უფრო, ყველაზე უფრო,  
აწ და მარადის უკუნისამდე,  
რომ კაცი კაცსა კიდით კიდემდე  
მკვიდრ ძმად მიაჩნდეს ყველაზე უფრო.

რობერტ ბერნსი არის მშრომელთა ინტერესების დამცველი, მდიდრებისა და ფლიდების გამკიცხავი პოეტი და, ბუნებრივია, ცენზურა მის ლექსს არ გაუშვებდა.

კ. ლორთქიფანიძე მაინც უკან არ იხევს და „ყველაზე უფრო“-ს ნაცვლად ცენზორს ხელში აჩეჩებს მეორე დემოკრატი პოეტის რობერტ ნიკოლის ლექსს „ყველანი ძმები ვართ“.

ამის შემდეგ კ. ლორთქიფანიძე წერილში ვრცლად ჩერდება „ჩონგურის“ დაბეჭდვის ტექნიკურ დაბრკოლებებზე, იმ შრომასა და წვალებაზე, რაც „ჩონგურის“ გამოცემასთან იყო დაკავშირებული განსაკუთრებით დიდი დრო წაუღია წიგნის კორექტურას, რადგან ასოთამწყობი ქართული ენის უცოდინარი ყოფილა და „ჩონგურის“ თითოეულ გვერდს 7—8 კორექტურა დაჭირვებია.

„ამას გარდა უკანასკნელი კორექტურა ყოველთვის ჩუბინაშვილთან უნდა მიმეტანა, — წერს კირილე, — წაიკითხავდა და დააწერდა დაბეჭდვა შეიძლებაო, თორემ ისე არ ბეჭდავდნენ. კორექტურამ ისე შემადგულა ეს ლექსები, რომ მას აქეთ არც ერთი ლექსი არ წამიკითხავს სიამოვნებით“.

გარდა ასეთი მოწამებრივი შრომისა, კირილეს ბევრი სხვა უსიამოვნებაც შეხვედრია „ჩონგურის“ გამოცემის გამო. ჩანს, ამ უაღრესად სპეტაკი ადამიანის კეთილშობილურ მოქმედებაში ზოგიერთს ეჭვიც კი შეპარვია და „ჩონგურის“ გამოცემაში კირილეს მხრივ ფინანსური დაინტერესება დაუნახავს. სინამდვილეში პირიქით მომხდარა. როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, „ჩონგური“ კირილეს ნასესხები ფულით გამოუყია და წიგნის რეალიზაციის შედეგად შემოსული ფული ვალების სარგებელს ძლივს გაუსტუმრებდა.

კ. ლორთქიფანიძე „ჩონგურის“ ხარჯების შესახებ ერთ ვრცელ ბარათში ნ. ნიკოლაძეს სწერს: „... შენგან რომ ორმოცი მანეთი არ



მომავლოდა, ჩონგურისათვის ქალაქსაც ვერ ვიყიდდა, ამიტომ რომ სამოცი მანეთილა დაშრა. სხვა ხარჯი „ჩონგურის“ გამოცემაში მამასისხლად უნდა გამეწია. ამას დაუმატე, რომ აქამდის „ჩონგურის“ გაყიდვისაგან დიდი იქნება 100 მანეთი სარგებელი შემოვიდეს... 200 მანეთი... გაუფხვანე ერთი თვის წინ ნასესხებ ვალის გასასტუმრებლად... ასე, რომ შენგან გამოგზავნილ 40 მანეთზედ 60 მანეთის მეტი ვეღარ დაუფუძატე და ამით ვიყიდე მხოლოდ „ჩონგურის“ გამოცემაში ქალაქი. სხვა ხარჯი „ჩონგურის“ გამოცემაში ვალად აღებული ფულით უნდა გამეწია. ამისათვის ლომბარდიდან ავიღე 50 მანეთი, კერძობით პირიდან გირათი 40 მანეთი. 28 თვის განმავლობაში ამ ორმოცი მანეთისათვის გადავიხადე სარგებელი 50 მანეთი ვექსილით. ანდრონიკაშვილის სახლის პატრონიდან ავიღე 150 მანეთი ვექსილით. 8 თვის განმავლობაში მივეცი სარგებელი 50 მანეთი... ჩონგურიდან 200 ეგზემპლიარი წავიდა ისე, თუ საჩუქრად, თუ ცენზურაში, თუ წიგნების გამოცემის ფონდების შესავსებად, თუ ჩუბინოვს (10 ეგზემპლიარი), თუ დაიკარგა“.

ასეთ პირობებში რა მატერიალური დაინტერესება უნდა ჰქონოდა კ. ლორთქიფანიძეს და ამის შესაძლებლობა კიდევაც რომ ყოფილიყო, ისეთი უსაბუთო მორალის ადამიანი, როგორც კირილე იყო, ამ მიზნით არ გამოსცემდა „ჩონგურს“:

კიდევ უფრო მეტი გულისტკივილი გამოუხატავს ამის თაობაზე კ. ლორთქიფანიძეს გ. წერეთლისადმი გაგზავნილ ბარათში. გარდა იმისა, რომ ამ ბარათში უაღრესი სიზუსტითა და დოკუმენტალურად გაანგარიშებულია „ჩონგურის“ გამოცემათან დაკავშირებული ხარჯები, აქვეა ნაჩვენები ამ წიგნის გაყიდვით მიღებული შემოსავალიც. ამ დოკუმენტებიდან აშკარად ჩანს, რომ კ. ლორთქიფანიძეს საკუთარი ფულიც დაუხარჯავს „ჩონგურის“ გამოცემაზე. ამავე დროს აქ მოცემულია არა მარტო ისეთი მნიშვნელოვანი ხარჯების ანგარიშები და დოკუმენტები, როგორცაა ქალაქის შესაძენა, ასოთამწყობის, დაბეჭდვის, აკინძვისა და სხვათა, არამედ წარმოდგენილია ისეთი წვრილმანიც კი, როგორცაა შესაფუთი ქალაქის, წიგნების ჩასაწყობი ყუთების, შესაკრავი თოკისა და თვით მახათის საფასურიც კი<sup>2</sup>.

აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი საანგარიშო ხასიათის მიმოწერაში ზოგჯერ „ჩონგურში“ მოთავსებული მასალის საინტერესო შეფასებაა წარმოდგენილი. ზოგი ასეთი ხასიათის მასალა „ჩონგურის“

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 467.

<sup>2</sup> იქვე, ხელნაწერი № 495.

გამოცემის პერიოდშია დაწერილი, ხოლო ზოგი, როგორც ჩანს, უფრო მოგვიანებით.

მაგალითად, კ. ლორთქიფანიძე, ეხება რა „ჩონგურში“ მოთავსებული ლექსების ხარისხს, აღნიშნავს: „მოხუცის ნამბობში“ თუმცა აზრი არაფერია, მაგრამ კარგი მიბაძვა არის და კარგი ენითაა დაწერილი. „პეპელა“, „სიყვარული“, „წრეს გადასული...“, „თვალეზი“ და სხვა ამგვარებში გრძნობა არის გამოთქმული. „ყადი ჯორის“ ამბავი თუმცა არ მომწონს, მაგრამ ბოლოში ორიოდ სიტყვა კარგია<sup>1</sup>. ხოლო უფრო მოგვიანებით დაწერილ ბარათში კ. ლორთქიფანიძე საინტერესო ცნობას იძლევა „ჩონგურში“ მოთავსებულ აკაკის „ფარისეველის“ შესახებ.

მკვლევარს სერგი გორგაძეს კ. ლორთქიფანიძისათვის უთხოვია ახსნა-განმარტება აკაკის „ფარისეველის“ პერსონაჟის შესახებ. კ. ლორთქიფანიძე კი ასეთ პასუხს აძლევს გორგაძეს: „...ეს არის დაწერილი, როგორც ის ამბობდა (ე. ი. აკაკი. — კ. შ.), ექვთიმე წერეთელზე, გ. წერეთლის მამაზე, მაგრამ მე ძალიან ვეჭვობ ამას. იმ დროს დაარწმუნებული ვიყავი და ახლაც კიდევ უფრო მჯერა, რომ ეს ლექსი თვით აკაკის მამას შეეხება... ერთობ ჭაჭირვებულად ცხოვრობდა აკაკი პეტერბურლსა და მის ახლო-მახლო აგარებში და მამის სახელი რომ ეხსენებია, ცუდად ჩამოართმევდნენ. ამას უნდა დაფუძნოთ კიდევ, რომ აკაკისაგან ზშირად გამიგონია, მე თუ ვინმე ნიშანში ამოვიღე და მისი მხილება განვიზრახე, არასოდეს არ დავწერ ისე, რომ ერთმა კაცმა პირდაპირ თავის თავზე მიიღოსო. მას ასე ვათქმევინებ, ეს ჩემზე იყო დაწერილი. მაგრამ არ მგონია მე ვიყო, სხვა უნდა იყოსო, თორემ უამისოდ ჩემს მღევნელებს ვერ ვაღაფურჩებო. ექვთიმე წერეთლისა და აკაკის მამის გარდა, სხვას ბევრს ფარისეველს ნახავდა მამინ კაცი და ახლაც შეიძლება ვნახოთო“<sup>2</sup>.

მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესოა თვით აკაკის განმარტება ამ ლექსის შესახებ. აკაკი წერს: „როცა ეს ლექსი დავწერე, კერძოთ მხედველობაში არავინ მყოლია... საზოგადო ტიპი იყო და ყველამ კი ექვთიმე წერეთელს მიაწერა. მე ექვთიმეს ვიცნობდი და კაი მხრითაც, სხვებს იმას ვამჯობინებდი, მაგრამ იმ შემცდარმა აზრმა ისე მტკიცედ გაიდგა საზოგადოებაში ბიჯი, რომ თვით ექვთიმეც დაიჯერა და სამღურავი მოგვივიდა. ახლა, როდესაც ნახევარმა საუკუნემ გაიარა და ისიც განსვენებულია, ვაღიარებ, რომ ეს ლექსი ექვთიმეს არ შეეხება, საზოგადო იყო. იმ დროში, რაც უნდა დაწე-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 495.

<sup>2</sup> საქართველოს სახ. მუზეუმი, H ფ. 1466:

რილყო საზოგადო ტიპად, გამოჩნდებოდნენ მისთანები, რომ თან-თან-თან იღებდნენ, ატყდებოდა ერთი ვაიუშველებელი და ჩა-წოვარდებოდა ხოლმე სამარადისო მტრობა. ჩემი მტრებიც თანდა-თან მრავლდებოდნენ“<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, კ. ლორთქიფანიძის ცნობას, რომ „ფარისე-ველში“ აკაკის ექვთიმე გორისელი არ ჰყავდა გამოყვანილი, ადას-ტურებს თვით აკაკის განმარტება. თანაც აკაკი აშკარად ხომ ვერ იტყოდა, საკუთარ მამას დავცინოდო.

სხვათა შორის კ. ლორთქიფანიძის მოსაზრებას ფარისეველთა სახით საკუთარი მამის — როსტომ წერეთლის გამოყვანის შესახებ იზი-არებს პროფ. გ. აბზიანიძე. მისი აზრით, „ფარისეველი“ ნაწილია პო-ემისა, რომელსაც ერქვა „რუსეთში“ და ამ პოემაში აკაკის გამოყ-ვანილი ჰყოლია საკუთარი მამა, მაგრამ როდესაც მას პოემა ამხანა-გებისათვის წაუკითხავს, მათ არ მოუწონებიათ საკუთარი მამის ასე გამახსარავება და მათი გავლენით აკაკის ეს პოემა დაუხევეია, პოემიდან მხოლოდ გადაარჩენილა „ჩონგურში“ დაბეჭდილი ლექსი „ფარისეველი“.

ამ მოსაზრების დასაბუთებლად მკვლევარი გ. აბზიანიძე იმოწ-ნებს აკაკი წერეთლის კომენტარს 1912 წელს გამოცემული წიგნი-დან. „ეს ვრცელი პოემა იყო. აქ ახალთაობის ტიპად ჩემი თავი მყავდა გამოხატული და ძველი თაობის ტიპად ჩემივე ოჯახი. როცა დავასრულე ეს პოემა, აღტაცებით წავეუკითხე სხვებს, ყველამ და-მიწუნა: „ოთოთანთ ქორივით რაღა შინაურებს მიხტომიხარო“.

მართლაც, როგორც კირილეს მოსაზრება. ისე პოეტის ეს კო-მენტარი უდავოს ხდის, რომ აკაკის თითქოს ამ ლექსში ფარისეველის სახით საკუთარი მამა ჰყავს გამოყვანილი, მაგრამ თვით ლექსის ში-ნაარსი, მისი აზრობრივი მხარე, ჩვენი წარმოდგენით, ამას ეწი-ნააღმდეგება. მაგალითად, ნაწარმოების მიხედვით ფარისეველი ის კაცი გახლავთ, რომელიც პოეტს უღმერთობას სწამებს და ამის მი-ზეზად თერგის წყალს თვლის.

მე უღმერთო კაცს მეძახის  
და მიზეზს ადებს თერგის წყალს...

ანდა

ვიცი გაიძვერა მე.  
და მისთვის მიწყრება თურმე,  
უღმერთობას მისთვის მწამებს  
და მეძახის „რუსეთში“.

ყოველ შემთხვევაში აკაკის „ფარისეველის“ პერსონაჟი იდეური

<sup>1</sup> ა. წერეთელი, ტ. I, 1950, გვ. 415.

ბასიათის მოწინააღმდეგეა, როსტომ წერეთელი კი არასოდეს არ ყოფილა ახალთაობის იდეური მოწინააღმდეგე.

ამდენად, „ფარისეველში“ უფრო ექვეთიმე წერეთელი ან ზოგადი ტიპი უნდა ვიგულისხმოთ, ვიდრე აკაკის მამა.

ყურადღებას იპყრობს „ჩონგურის“ ეპიგრაფის საკითხიც. გარე-კანზე წიგნს ეპიგრაფის სახით მიწერილი აქვს:

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს  
განწირული სულისკვეთება.

ნ. ბარათაშვილი

მაგრამ, სანამ კირილე ასეთ მოზღვნილ ეპიგრაფს შეარჩევდა, მას ამ საკითხზე ბევრი უფიქრია და უმუშავნია. რამდენიმე ვარიანტი შეურჩევია და შემდეგ ყველაზე უკეთესად, სამართლიანად ბარათაშვილის სიტყვები მიუჩნევია. აღსანიშნავია ისიც, რომ მანამდე მას ბარათაშვილის სხვა სტრიქონებიც ჰქონია ეპიგრაფად განზრახული. სახელდობრ:

ჰოი, ჩონგურო, ნეტავი ოდეს  
ხმა მზიარული შენგან მსმენოდეს...

„ჩონგურს“ ნ. ბარათაშვილისა

ეპიგრაფის ძებნისას არც რუსი მწერლები დაუტოვებია მას უყურადღებოდ. ამ მიზნით კ. ლორთქიფანიძე ნიკიტინის ლექსითაც დაინტერესებულა და ერთ-ერთ ნიმუშად ესეც ჰქონია შერჩეული.

მიწა მზად არის კარგად მოხული,  
ვთესოთ, სანამდის დგას გაზაფხული,  
კეთილ სიტყვის და საქმის თესლები,  
არ არს შემდგომისათვის დაკარგული.

„მთესველი“ ივ. ნიკიტინისა

ამ სამი ნიმუშიდან კ. ლორთქიფანიძეს უკეთესად ნ. ბარათაშვილის „მერანიდან“ ამოღებული სტრიქონები მიუჩნევია.

მაგრამ უფრო საინტერესოა კ. ლორთქიფანიძის შენიშვნა ნ. ბარათაშვილის სურათის შესახებ. მას განზრახული ჰქონია, რომ „ჩონგურის“ ყდაზე ბარათაშვილის სტრიქონებთან ერთად პოეტის სურათიც მოეთავსებია. ამის გამო კ. ლორთქიფანიძე „ჩონგურის“ ხელნაწერზე ასეთი სახის შენიშვნას აკეთებს: „ფოტოგრაფიული პორტრეტი ბარათაშვილისა, რომელიც უნდა მოიჭრას ფოლადზე ან ლაიფციგში ან აქ. ამას გარდა ქვეშ იქნება სახელი და გვარი,

ფაქსიმილე ან ნამდვილი, ან ავტოგრაფიდან გაკეთებული, ქართულად თუ არა რუსულად მაინც“.

საკითხავია, გაუგზავნეს თუ არა კ. ლორთქიფანიძეს საქართველოდან ნ. ბარათაშვილის სურათი? ეს გაურკვეველია. თუკი ნამდვილად მიიღებდა კირილე ბარათაშვილის სურათს, მას აუცილებლად მოათავსებდა „ჩონგურის“ გარეკანზე და ამით დიდ საქმეს გაუქვებდა ქართველ საზოგადოებას. შესაძლებელია სურათი მიიღო, მაგრამ ტექნიკური მიზეზების გამო ვერ აასრულა ეს განზრახვა.

ყოველ შემთხვევაში 1864 წელს ნ. ბარათაშვილის ერთადერთი ჯაგეროტიზი, რომელიც მას დასთან, ნინო ბარათაშვილთან ინახებოდა, იმ დროისათვის დაკარგული არ უნდა ყოფილიყო.

საყურადღებოა ისიც, რომ კ. ლორთქიფანიძეს 1868 წელს პეტერბურგში „ჩონგურის“ განმეორებით გამოცემა განუზრახავს. ამ მიზნით საფუძვლიანად გადაუშუშავებია „ჩონგურის“ ძველი მასალა. ყველაზე მეტად გაუშალა შინებია მის მიერ თარგმნილი ლექსები, გაუსწორებია კორექტურული შეცდომები და გამოუცვლია ეპიგრაფიკა. მაგრამ „ჩონგურის“ მეორე გამოცემა ლორთქიფანიძემ ვერ განახორციელა.

საინტერესოა, როგორ მიიღო კირილეს „ჩონგური“ მაშინდელმა ქართველმა საზოგადოებამ? არსებობს უტყუარი დოკუმენტები, რომლებიც ერთხმად ადასტურებს ამ წიგნის მაღალ ღირსებას და საზოგადოების დაინტერესებას.

მოუხუდავად იმისა, რომ წიგნი ძვირი ღირდა (ერთი მანეთი), შაინც ყველა ეგზემპლარი შედარებით სწრაფად გაყიდულა. გარდა ამისა, კ. ლორთქიფანიძეს პეტერბურგში მისვლია მრავალი წერილი, რომელთა ავტორები ხშირად ლაპარაკობდნენ ამ წიგნის ღირსებაზე და მკითხველის დაინტერესებაზე. მაგალითად, ნ. ლოლობერიძე კ. ლორთქიფანიძეს სწერდა: „ქართულის წიგნის პირობაზედ შენი „ჩონგური“ კარგად მიღის, კიდევ ძალიან მოსწონთ და შეიყვარეს ეს წიგნი“<sup>1</sup>.

მეორე წერილში იგივე ლოლობერიძე სწერს: „შენი „ჩონგური“ თანდათან უფრო ჯა უფრო მოსწონთ და შეიყვარეს ეს წიგნი“<sup>2</sup>.

მაგრამ ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ამ წიგნს ოფიციალურად მაღალი შეფასება მისცა დიდი ავტორიტეტის მქონე აკაკი წერეთელმა.

„ძლივს ერთი ხეირიანი წიგნი გვეღირსა, — წერს აკაკი, — უფ. ლორთქიფანიძემ გამოსცა ლექსების კრება „ჩონგური“, რომელმაც

<sup>1</sup> ნ. ლოლობერიძე, კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 823.

<sup>2</sup> იქვე.

მოულოდნელად გაგვახარა და ისე გულწრფელობითაც არის ეს ჩვენი სიხარული, როგორც პირმშო შვილის ძეობაზე მისი მშობლებია და ახლო მონათესაეებისა... სიტყვა პირმშო აქ ჩვენ უმიზეზოდ არ გვიხმარია. ეს „ჩონგური“ არის პირველი წიგნი, რომელსაც ახხია ქართული ხორცი, უდგია ქართული სულა, სტირის და ჰვენესის ქართველების კენესით და მაშ რაღა საეჭვოა, რომ ყოველთა რიგიან ქართველთ ნათესავისათვის სასიხარულო იქნება“...<sup>1</sup>

აკაკი წერეთელი დიდი სიყვარულითა და ეროვნული შეგნებით ჩასწვდა „ჩონგურის“ სულეგრ სიმღიდრეს და ამით არა მარტო კ. ლორთქიფანიძე წაახალისა ასეთი საქმისათვის, არამედ სამოქმედოდ წაუბიძგა სხვებსაც. მაგრამ, რაც ყველაზე საინტერესოა, აკაკი იყო პირველი კრიტიკოსი, რომელმაც ილია ჭავჭავაძის შემოქმედება ნ. ბარათაშვილის უკვდავ პოეზიას დაუკავშირა. ამით მან სწორი მეცნიერული საფუძველი ჩაუყარა ნ. ბარათაშვილისა და ი. ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლას. აკაკიმ პირველმა აღიარა ი. ჭავჭავაძე ნ. ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობის ჭეშმარიტ გამგარძელებლად და ეს მართლაც ჭეშმარიტი დებულება საფუძვლად დაედო ილიას შემოქმედების შემდგომ გაშუქებას.

წერილის დასასრულს აკაკი დასძენს: „ჩონგურის“ გამოცემით ლორთქიფანიძემ დაიმსახურა საზოგადო მადლობა და არა ვკარგავ იმედს, რომ ამ ჩემს აზრს დაამტკიცებს საზოგადოებამ... ესეც შევიტყუეთ, რომ ლორთქიფანიძეს თავისი შრომა ტყვილათ, ე: ი. ინტერესით შეუწირავს ხალხისათვის და იმ ფასად ყიდის წიგნს, რამდენიც თვითონ დაჯდომია იმის გამოცემა, ღმერთმა ხელი მოუშარათოს სხვა ამგვარ საზოგადო საქმეებზედაც“<sup>2</sup>.

ამ ბოლო დროს გამოიჩვენა, რომ „ჩონგურის“ შესახებ რეცენზია ნ. ნიკოლაძესაც დაუწერია. 1865 წელს ნ. ნიკოლაძეს პეტერბურგში კ. ლორთქიფანიძისათვის „სოვრემენიკში“ დასაბეჭდად სტატია გამოუგზავნია. ნ. ნიკოლაძის წერილი კირილეს სათანადო ახსნა-განმარტებით „სოვრემენიკის“ რედაქციისათვის გადაუცია, მაგრამ სტატია არ დაბეჭდილა და არც მისი შავი შენახულა. მისი არსებობის შესახებ ვიცით მხოლოდ კ. ლორთქიფანიძის „სოვრემენიკის“ რედაქციისადმი გაგზავნილი ბარათიდან, რომლის შავი კ. ლორთქიფანიძის არქივშია დაცული.

სამწუხაროდ ეს ახსნა-განმარტება იმდენად მოკლეა, რომ ნ. ნიკოლაძის დაკარგული სტატიის შინაარსას გაგება ამით შეუძლებელი

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1865, № 9.

<sup>2</sup> იქვე.

შეიქნა. ამდენ ხანს მხოლოდ ის ვიცოდით, რომ წერილში ლაპარაკი იყო ქართული ლიტერატურის შესახებ — О грузинской литературе“, მაგრამ კონკრეტულად რა საკითხი იყო განხილული ამ სტატიაში, არ ჩანდა.

ნ. ნიკოლაძის ამ სტატიას შეეხო პროფ. დ. გამეზარდაშვილი წიგნში „ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, ტ. II“. მკვლევარი წერს: „აღნიშნული სტატია არ გამოქვეყნებულა. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ცენზურამ არ გაუშვა. მაგრამ ჩვენთვის საყურადღებოა ის გარემოება, რომ ნ. ნიკოლაძე სინამდვილეს და ქართულ ლიტერატურას არასოდეს არ მოწყვეტია“<sup>1</sup>.

ამავე დროს პროფ. დ. გამეზარდაშვილი ვარაუდობს, რომ ნ. ნიკოლაძის ეს სტატია შეიძლება კ. ლორთქიფანიძის „ჩონგურის“ გამო იყოს დაწერილი. სქოლიოში იგი შენიშნავს: „ადვილად შესაძლებელია, რომ ნ. ნიკოლაძის აღნიშნული სტატიის საბაზი გახდა კ. ლორთქიფანიძის მიერ პეტერბურგში გამოცემული ქართველ პოეტთა ლექსების კრებული — „ჩონგური“<sup>2</sup>.

მოხდა ისე, რომ ამ საკითხის შემდგომმა კვლევა-ძიებამ სავე-ბით დაადასტურა პროფ. დ. გამეზარდაშვილის ვარაუდი. კ. ლორთქიფანიძის არქივში მივაკვლიეთ კირილეს მიერ ნ. ნიკოლაძისადმი პარიზში გაგზავნილი ერთი ვრცელი წერილის შავს. ამ წერილში სხვა საკითხებთან ერთად მითითებულია ნ. ნიკოლაძის დაქარგული სტატიის შინაარსზე. მასში ნ. ნიკოლაძეს განხილული ჰქონია კ. ლორთქიფანიძის „ჩონგური“. წერილი ასე იწყება: „მე არ დამვიწყებია ერთი შენი ჩვეულება, ბარათების კითხვის შესახებ, შენ რომ შინიდან წიგნს მიიღებ, მეორე გვერდიდან იწყებ ხოლმე კითხვას... ჩემ წიგნსაც ეგრე არ მოექცე... შენ რომ ჩემს წიგნზე სტატია გამოაგზავნე „სოვრემენიკში“, მაშინ ეს უთუოდ არ დაგავიწყდებოდა. შენ ისე ძალიან მოგეწონა და მწერდი, რომ მაქ ვიყო, ამ წიგნისათვის გაკოცებდიო, მაგრამ თუ იფიქრებ, რომ მე ამ მოწონებით ცისკენ ავფრენილიყავი და იმიტომ დამეგვიანებოდა შენთვის წიგნის მოწერა, მიზეზი სულ სხვა იყო და თუ ამდენხანს ამაზე არაფერი მითქვამს შენთვის, ახლა მაინც გეტყვი, მაგრამ გიმეორებ, წაუკითხავი არ დატოვო ეს ადგილი...“<sup>3</sup>.

აქ რომ კ. ლორთქიფანიძის „ჩონგურზეა“ ლაპარაკი და რომ ნ. ნიკოლაძის დაქარგული სტატია „ჩონგურის“ განხილვას მიეძღვნა,

<sup>1</sup> პროფ. დ. გამეზარდაშვილი, ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, ტ. II, 1957, გვ. 412.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 595.

ამას წერილის სხვა ადგილებიც ამტკიცებს. წერილის მომღვეწო გვერდზე კირილე ნიკოლაძეს სწერს: „უთუოდ არ დაგვიწყებია შენი სტატია ჩემი „ჩონგურის“ გამოცემის გამო. ის სტატია, როგორც ერთხელ შემოგითვალე, ვავგზავნე რედაქციაში ქალაქის ფოტოტით, მაგრამ იმათგან არაფერი პასუხი არ შემეიტყვია და ამისათვის ძლიერ ვინტერესობ ვიციოდე რედაქციამ შემოგითვალა რამე იმ სტატიაზე თუ არა“<sup>1</sup>.

წერილის ეს ადგილი პირდაპირ მიუთითებს ნიკოლაძის სტატიის შინაარსზე „...შენი სტატია ჩემი „ჩონგურის“ გამოცემის გამო...“ ისიც ჩანს, რომ კირილეს ეს სტატია ახსნა-განმარტებასთან ერთად ფოტოტით გაუგზავნია „სოვრემენიკის“ რედაქციისათვის, მაგრამ რედაქციას კირილესათვის პასუხი არ მიუცია და ამიტომ დინტერესებულა, ნ. ნიკოლაძისაგან გაეფო „სოვრემენიკის“ რედაქციამ მას პარიზში გაუგზავნა თუ არა პასუხი.

საკითხის სიცხადეს წერილის სხვა ადგილებიც მოწმობს. წერილის მომღვეწო გვერდზე კ. ლორთქიფანიძე წერს: „1865 წლის დასასრულში აკაკი წერეთელს დაუბეჭდინებია „ცისკარში“ სტატია ჩემი წიგნის გამო, ამბობენ, რომ პოეტების სინჯვაში და დაფასებაში არისო და სხვათაშორის ჩემი წიგნიც უქია. ძალიან მინდა იმის წაკითხვა, რომ შევიტყო მისი აზრი პოეტის დანიშნულებაზე (იგულისხმება „ჩონგურში“ დაბეჭდილი ნეკრასოვის „პოეტი და მოქალაქე“. — კ. შ.) თუ „ცისკარის“ ნომერი ჩამოვარდა ხელში“.

აქ კ. ლორთქიფანიძეს მხედველობაში აქვს აკაკის ის რეცენზია. რომელზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. ჩანს, მაშინ კირილეს ჯერ კიდევ აკაკის რეცენზია „ჩონგურის“ შესახებ წაკითხული არ ჰქონია.

როგორც დავინახეთ, „ჩონგურის“ გამოცემით კ. ლორთქიფანიძემ დიდი ეროვნული საქმე გააკეთა და ამიტომ იყო, რომ ამ წიგნმა ასეთი გამოხმაურება და სიყვარული დაიმსახურა მაშინდელ ქართველ ინტელიგენციაში.

### ბ. ლორთქიფანიძე და პეტერბურგის მართული წიგნის გამომცემელი ამხანაგოვა

ხალხში მოწინავე იდეების პოპულარიზაციისათვის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თერჯდალეულები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გამოცემას. ამ მიზნით ილიამ დააარსა „საქართველოს მოამბე“ და ამავე მიზნით კირილემ პეტერბურგში გამოსცა ლექსთა კრებული „ჩონგური“. მოწინავე

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 595.



პრესისათვის იბრძოდნენ ა. წერეთელი, გ. წერეთელი, ლოლობერი-  
ძეები, ნ. ნიკოლაძე და სხვები.

კ. ლორთქიფანიძე მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მან-  
ძილზე დაუღალავად მოღვაწეობდა ქართული პრესის სარბიელზე,  
როგორც რედაქტორი და გამომცემელი. იგი ჯერ კიდევ სტუდენტო-  
ეყო, როდესაც სამოციან წლებში პეტერბურგში სტუდენტების  
მონაწილეობით ქართული წიგნის გამომცემელი ამხანაგობა შეად-  
გინა.

პირველად ამხანაგობის გეგმა მარტივი ყოფილა. მათ განზრახვა  
ჰქონიათ, საზოგადოებისაგან შემოწირული თანხის საშუალე-  
ბით ჰონორარი მიეცათ გაზეთსა და ჟურნალში მონაწილე ავ-  
ტორებისათვის. მაგრამ შემდეგ მოქმედების არე უფრო გაუფარ-  
თობიან და მიზნად დაუსახავთ მხატვრული ლიტერატურისა და  
საკვლავო სახელმძღვანელოების გამოცემა. სამუშაო გეგმა ასეთი  
ხასიათის ყოფილა: პირველად ამხანაგობა დაბეჭდავდა ი. ჭავჭავა-  
ძის „კაცია-ადამიანს“ და დ. ჭონჭაძის „სურამის ციხეს“. ხოლო შემ-  
დეგ ნავარაუდები იყო რაჩინსკის ლექციების კურსის, მერჩონსკის  
არითმეტიკის სახელმძღვანელოს, ბარონ-კორფის ანბანის წიგნის,  
სუდიაკოვის საბუნებისმეტყველო სახელმძღვანელოს, კომბიანა და  
გრინვუდის ნაწერთა თარგმანების გამოცემა და რუსთაველისა და  
ერეკლე მეორის სურათების დაბეჭდვა.

წიგნის გამომცემელ ამხანაგობაში შედიოდნენ კ. ლორთქიფანიძე  
(ხელმძღვანელი), მ. ბეთანიშვილი, ბ. წერეთელი, ვ. მაჩაბელი  
(ივანე მაჩაბლის ძმა), მებურჯი, ინაძე, ხამაშურიძე და სხვები.  
ამხანაგობას ამასთან ერთად განზრახული ჰქონია, სისტემატურად  
მიეწოდებინა მასალები „ღროების“, „კრებულის“ და „მნათობისათ-  
ვის“<sup>1</sup>.

ამხანაგობის მიზნისა და საქმიანობის შესახებ კ. ლორთქიფანიძე  
ასე წერს: „ამას წინათ პეტერბურგის უნივერსიტეტის რამდენიმე  
მოსწავლემ განიზრახეს სხვადასხვა სასარგებლო წიგნების გამოცემა.  
წიგნები იმისთანა უნდა ყოფილიყვნენ, რომ ხალხი კითხვაზედ და  
სწავლის შეძენაზედ წაეხალისებია და სწავლა გაეგრძელებია. გან-  
ზრახული საქმე დაიწყო ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის“ გამოცე-  
მით“.

კ. ლორთქიფანიძე 1869 წლის 21 მარტის თარიღით პეტერბურ-  
გიდან წერილს სწერს თავის ნათესავ მიხეილს და დეტალურად აც-  
ნობს ამხანაგობის საქმიანობას. წერილში აღნიშნულია: „თავდა-  
პირველად როცა ამხანაგობის შედგენას ვაპირებდით, ჩვენ სრული-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 446.

ად არ გვქონია აზრში დიდი საქმე. ჩვენ გვინდოდა, რომ გარეშე პირების თანაგრძნობით შეგვედგინა პატარა კაპიტალი, რომელიც საკმაო იქნებოდა გაზეთში დაბეჭდილი სტატიების ავტორების დასაჯილდოებლად... შემდეგ რამდენიმე მოლაპარაკებისა პირობა დაედევით საპარგებლო წიგნების შედგენაზე, გადათარგმნაზე და გამოცემაზე. ამ დროს შენ წამოგვეხმარე და რეზულტატი ამ წამოხმარებისა არის ჭერ „კაცია-ადამიანი?!“ და იმის გაყიდვის შემდეგ ამ ფულით სხვა წიგნები უნდა დავებეჭდოთ, რაზედაც შენ რასაკვირველია წინააღმდეგი არ იქნები“<sup>1</sup>.

ამავე წერილში ლაპარაკია ვასილ მაჩაბლისაგან კომბის უხეირო თარგმანზე და ამასთან დაკავშირებულ სხვა სადავო საკითხებზე როგორც ჩანს, მაჩაბლის თარგმანი ისეთი სუსტი ყოფილა, რომ ამხანაგობას მისი გამოცემა შეუძლებლად ჩაუთვლია.

წერილის შემდგომ ნაწილში კირილე აღნიშნავს: „ჭერ მარტო „კაცია-ადამიანი“ იბეჭდება, როცა ამის დაბეჭდვა გათავდება, მზად ვექნება არითმეტიკა უფ. მერჩონსკისა და ანბანის წიგნი ბარონ-კორფის მეთოდით შედგენილი... მერჩონსკის არითმეტიკა მე გადაეთარგმნე ნოემბერში... კორფის ანბანი არის დარიგება თუ როგორ უნდა ასწავლონ ყმაწვილებს წერა-კითხვა. ორი თვის განმავლობაში ეს ანბანიც ნათარგმნი იქნება, მაგრამ რუსული მაგალითების მაგიერ ქართული უნდა მოეძებნოთ. ამას გარდა იანვარში მე გადაეთარგმნე სულთაქოვის ერთი პატარა წიგნი... ამ წიგნში, თუ გასოვს, არის საზოგადო ცნობები ასტრონომიაზე, გეოლოგიაზე, მცენარეებზე, ცხოველებზე და კაცზე... ამას გარდა, თუ ფული ვიშოვეთ, რუსთაველის პორტრეტის გამოცემა გვინდა“<sup>2</sup>.

მართალია, ამხანაგობის სამოქმედო გეგმა ხელთ არ გვაქვს, მაგრამ ეს წერილი დეტალურად გვაცნობს მათი მუშაობის ხასიათს და საინტერესო ცნობასაც გვაწვდის ქ. ლორთქიფანიძის ლიტერატურული მუშაობის შესახებ.

მართლაც, 1869 წელს ამხანაგობამ პირველად გამოსცა ცალქ წიგნად ი. კავკაევიძის „კაცია-ადამიანი?!“. „ჩონგურის“ ჩათვლით ეს მეორე ქართული წიგნია სტუდენტების მიერ პეტერბურგში გამოცემული. მაგრამ „კაცია-ადამიანის“ გამოცემამ სერიოზული უთანხმოება გამოიწვია ამხანაგობაში. ამის მიზეზი ის იყო, რომ ამხანაგობის ერთმა წევრმა მიხეილ ბეთანიშვილმა ამხანაგობის შრომა მიითვისა და „კაცია-ადამიანის“ გამომცემლად ყდაზე თავისი გვარი და სახელი გამოაცხადა. მკითხველმა საზოგადოებამ, ცხადია.

<sup>1</sup> ქ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 446.

<sup>2</sup> იქვე.

ასეთი სასარგებლო წიგნის გამოცემა მიხეილ ბეთანიშვილის ღვაწლად ჩათვალა და ოფიციალურ პრესაში, „მნათობისა“ და „დროების“ ფურცლებზე, მას მაღლობა გამოუცხადა. ახლა უკვე ბეთანიშვილი უხერხულ მდგომარეობაში ჩაყარდნო და უხერხულო-ზიდან თავის დაღწევის მიზნით 1871 წლის „დროების“ 12 მარტის ნომერში მკითხველებისათვის განცხადებით მიუმართავს, სადაც იძულებული გამხდარა, ელიარებინა თავისი დანაშაული. იგი წერს: „ვალდებული ვარ და სამართალიც მოითხოვს გამოვაცხადო, რომ მაღლობა საკუთრივ მე არ მეკუთნის, ამიტომ რომ საკუთრივ მე არ მეკუთვნის „კაცია-ადამიანის“ გამოცემა“.

მ. ბეთანიშვილის ყალბ მოქმედებას კ. ლორთქიფანიძე ძლიერ აღუშფოთებია და ვრცელი წერილი გაუგზავნია ს. მესხისთვის „დროებში“ გამოსაქვეყნებლად. წერილის სათაურია: „უცნაურ რამ სამოქალაქო მამაცობა უფ. მ. ბეთანიშვილისა“. წერილის ტონი მწვავე პოლემიკური ხასიათისაა. ასეთი მკაცრი მოკამათის როლში კ. ლორთქიფანიძე პირველად გვხვდება. წერილში ლაპარაკია გამომცემელი ამხანაგობის კეთილშობილურ მიზნებზე და იმ უხეირო პირობებზე, რომელიც ცენზურის სისასტიკით და მატერიალური სახსრების უქონლობით იყო გამოწვეული და რომ მ. ბეთანიშვილმა ისარგებლა ამხანაგობის ნდობით და მათი შრომა მიითვისა.

დასასრულს კ. ლორთქიფანიძე დასძენს, რომ ამხანაგობის მიერ გამოცემულ წიგნზე კერძო პირის გვარი არ უნდა ეწეროს. წერილი ვრცელია, იგი დაწერილია ოდესაში, სადაც ავტორი სახელმწიფო გამოცდების ჩასაბარებლად იყო ჩასული. პირველი შემთხვევაა, რომ კ. ლორთქიფანიძე თავის ნაწერს გვარისა და სახელის მოწერით უგზავნის რედაქციას<sup>1</sup>.

კ. ლორთქიფანიძეს განუზრახავს წიგნის ყდის გამოცემა და ახლის დაბეჭდვა, სადაც ბეთანიშვილის გვარი არ იქნებოდა მოხსენებული, მაგრამ ფულის უქონლობის გამო ეს შეუძლებელი გამხდარა. ამის შესახებ კ. ლორთქიფანიძე ასეთ საჩარო განცხადებას აკეთებს: „კაცია-ადამიანის“ სახევეზე და პირველ თაბანზე შეცდომით არის ბეთანიშვილის გვარი წარწერილი და „საქრო იყო სახევეისა და პირველი თაბანის გამოცემა, რომ შეცდომა გამოსწორებულყო, მაგრამ ეს არ მოხერხდა უსახსრობის გამო“. შემდეგ კირილე ცდილობს, ყველა დაარწმუნოს, რომ „კაცია-ადამიანი?“ არ არის კერძო პირის გამოცემა, რომ ეს წიგნი დაიბეჭდა შემოწორული ფულით, და დასძენს: „მოსწავლე ყმაწვილების წრე

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 446.

განაგრძობს დაწყებულ საქმეს, რამდენად შეაძლებინებს მას გონებითი და ნივთიერებითი ღონისძიება“.

თვით ამ წერილიდან აშკარად ჩანს, რომ კ. ლორთქიფანიძეს არ უნდოდა. ერთი კაცის გეარო დასწეროდა ამხანაგობის მიერ გამოცემულ წიგნებს. მისი აზრით, თუ ასეთ წიგნებს „ქართული ბიბლიოთეკა“ ან „მთარგმნელობის გამოცემა“ ექნებოდა წარწერილი, მაშინ მეტი ავტორიტეტით ისარგებლებდა ამხანაგობა და მატერიალური დახმარების მოსურნეც უფრო მეტი აღმოჩნდებოდა.

როგორც მასალებიდან ჩანს, კ. ლორთქიფანიძეს ამხანაგობაში დიდი მუშაობა ჩაუტარებია. მას სხვადასხვა სახელმძღვანელო და ლიტერატურული წიგნები უთარგმნია, ზოგიც თვითონ შეუდგენია და გაუმზადებია გამოსაცემად. კირილეს არქივში დაცულია „კ ი თ ხ ვ ა-წ ე რ ი ს ს ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი წ ი გ ნ ი“... ბარონ-კორფის მეთოდით შედგენილი, სადაც მოცემულია როგორც მოსწავლეთა სასწავლო მასალა, ასევე მასწავლებელთათვის დარიგება ამ მასალის გადაცემის შესახებ<sup>1</sup>.

„ნ ა რ კ ვ ე ვ ი ბ უ ნ ე ბ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი დ ა ნ“<sup>2</sup>. ხელნაწერი შეიცავს 195 სუფთად გადაწერილ გვერდს. წიგნი გამზადებულია სტამბაში გასაგზავნად. ეს არის სუდიაკოვის საბუნებისმეტყველო წიგნი, რომლის თარგმანს კირილე მიხეილისადმი მიწერილ ბარათში გვპირდებოდა.

აქვეა კირილეს მიერ თარგმნილი „მათემატიკის სახელმძღვანელო“. ხელნაწერი შეიცავს 81 გვერდს და შედგება სამი თავისაგან<sup>3</sup>.

იმ დროისათვის ქართულ ენაზე სახელმძღვანელოს შედგენას უდიდესი პოლიტიკური და ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან რუსი რეაქციონერი ჩინოვნიკები ცდილობდნენ დაემტკიცებიათ ქართული ენის სიღარიბის გამო ამ ენაზე მეცნიერული აზრის გამოთქმისა და სახელმძღვანელოს შედგენის შეუძლებლობა. და თუ სახელმძღვანელოების შედგენის შეუძლებლობა დამტკიცდებოდა, მაშინ ქართულ ენაზე სწავლებაც შეუძლებლად ჩაითვლებოდა.

ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების შედგენით თუ თარგმნით კ. ლორთქიფანიძე რუს ჩინოვნიკებს უჩვენებდა ქართული ენის სიმდიდრეს და ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების არსებობისა და ამ ენაზე სწავლების შესაძლებლობას. ამავე დროს კ. ლორთქიფანიძე მკაცრად ებრძოდა სქოლასტიკურ პრინციპებზე შედგენილ სახელმძღვანელოების რუს ავტორებს და აკრიტიკებდა ზუევის „საზოგადო

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 461.

<sup>2</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 562.

<sup>3</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 466.

ისტორიას“, აბდოევსკის „გეოგრაფიას“ და ბაზოევსკის სახელმძღ-  
ვანელოებს.

როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, ამხანაგობას თანდათან გა-  
უფართოებია სამოქმედო პროგრამა და ზემოთ დასახელებული წიგ-  
ნების გარდა გეგმაში შეუტანია: გოგოლას, პისემსკის, ოსტროვსკის,  
მიხაილოვისა და უცხოელი მწერლების ნაწარმოებები. ხო-  
ლო გაყიდული წიგნების ფულით განუზრახავთ დახმარება უნივერ-  
სიტეტში მოსწავლე ლარიბი სტუდენტებისათვის. ამ მიზნით კირი-  
ლეს უთარგმნია ამერიკელი დემოკრატი მწერლების ბიჩერ-სტოუს  
„ბიძია თომას ჟონი“ და ჯემს გრინვუდის „უპატრონო და უსახლკა-  
რო ყმაწვილის ცხოვრება“. მაგრამ მალე ამხანაგობის წევრთა შორის  
უთანხმოება ჩამოეარდნო და წიგნების გამომცემელი კორპორა-  
ციაც დაშლილა. მ. ბეთანიშვილს „კაცია-ადამიანის“ გამოცემის შე-  
მდეგ ამხანაგობა დაუტოვებია. ბეჟან წერეთელი კლექთ დაავადე-  
ბულა და ლოგინად ჩავარდნილა. წრის ზოგიერთი წევრი სტუდენტ-  
თა არეულობის გამო საქართველოში დაბრუნებულა, მხოლოდ  
კ. ლორთქიფანიძე დარჩენილა პეტერბურგში და ისევ გაუგრძელე-  
ზია აღრევე დაწყებული საქმე. მაგრამ ეს მაინც კერძო პირის საქ-  
მიანობა იყო და არა ამხანაგობის.

ამხანაგობის მუშაობის შესახებ მომდევნო წერილში კ. ლორ-  
თქიფანიძე წერს: „რაც შეეხება ჩვენს ამხანაგობას, იმის საქმე  
ძლიერ ცუდად წავიდა. ეხლა ერთ იმათგანს სამარეში უღვას ფეხი.  
ერთა შინ წავიდა ავადმყოფობის გამო. ორიც სტუდენტთა ისტორი-  
ის გამო ჩამოგვშორდა<sup>1</sup>. მამ ვინა დარჩებოდა“.

ამხანაგობის დაშლას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ერთიანობა და  
კოლეგიულობა მათ შორის თავიდანვე არ ყოფილა. ეს ჩანს თვით  
კ. ლორთქიფანიძის წერილიდან: „საქმე ის არის, რომ ჩვენი ამხა-  
ნაგობის შემადგენელი პირები... რომელთა ერთად მოთავსება ძალი-  
ან ძნელი იყო არამც თუ წიგნების შედგენის საქმეში, თარგმანის  
არჩევაში და გამომცემაში, არამედ ისინი ვერ მოთავსდებოდნენ  
ძლიერ უბრალო საქმეშიაც“<sup>2</sup>.

ცხადია, ამხანაგობამ ვერ შესძლო გეგმით გათვალისწინებულა  
წიგნების გამომცემა, მაგრამ ისეთ პირობებში სტუდენტების მიერ  
„ჩონგურისა“ და „კაცია-ადამიანის“ ცალკე წიგნებად დაბეჭდვა  
და რამდენიმე სახელმძღვანელოს გამოსაცემად გამზადება მაინც დი-  
დი მნიშვნელობის საქმედ უნდა ჩაითვალოს. აღსანიშნავია ისიც, რომ

<sup>1</sup> სტუდენტთა ისტორიაში იგულისხმება სტუდენტთა აჯანყება და ამასთან  
დაკავშირებული რეპრესიები.

<sup>2</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 466.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ კ. ლორთქიფანიძეს პეტერბურგში დაწყებული მუშაობა არ შეუწყვეტია და ბევრი თარგმნილი და ორიგინალური ნაწარმოები შესძინა ქართველ საზოგადოებას.

### კ. ლორთქიფანიძე და „დროება“-„კრებული“

„საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ 1866 წლამდე საქართველოში მხოლოდ ერთადერთი პერიოდული ორგანო „ცისკარა“ არსებობდა. 1866 წლიდან გ. წერეთლის, ნ. დოლობერიძის, ნ. ნიკოლაძისა და სხვათა ინიციატივით გამოცემულ იქნა პირველი ევროპული ტიპის გაზეთი „დროება“. გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა 1866 წლის 4 მარტს და მისი გამოცემა არ შეწყვეტა თითქმის 20 წლის განმავლობაში. გაზეთის რედაქტორები იყვნენ: გ. წერეთელი (1866—1869 წწ.), ს. მესხი (1869—1873 წწ.), კ. ლორთქიფანიძე (1873—1874 წწ.), ს. მესხი (1874—1880 წწ.), ილია ჭავჭავაძე და ს. მესხი (1880—1881 წწ.), ს. მესხი (1881—1882 წწ.), ივ. მაჩაბელი (1883—1885 წწ.). გაზეთში თანამშრომლობდნენ: ი. ჭავჭავაძე, კ. ლორთქიფანიძე, დიმ. ბაქრაძე, ვ. პურადაშვილი, ალ. ცაგარელი, ან. ფურცელაძე, მ. ფაზელი, გრ. თარხანმოურავი, ი. გოგებაშვილი, ნ. დოლობერიძე, სტ. კრელაშვილი, ვ. თულაშვილი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი და სხვები.

კ. ლორთქიფანიძე ქართული ჟურნალ-გაზეთების წამყვანი ძალა იყო, მაგრამ ყველაზე მეტად იგი მაინც „დროებასთან“ იყო დაკავშირებული. ჯერ კიდევ „დროება“ არ გამოსულიყო, რომ ნ. დოლობერიძე პეტერბურგში კირილუს სწერდა: „ახლა ჩემი თხოვნა შენთან და საზოგადოდ სტუდენტებთან მდგომარეობს იმაში, რომ შემეწეობა აღმოუჩინოთ ამ გაზეთს, იქისროთ მისი თანამშრომლობა. ეჭვი არ გვაქვს, რომ ამ თხოვნას აგვისრულეობთ. რომ თქვენს თანამშრომლობაზე არ გვეკონოდა იმედი, ჩვენ კიდევაც ვერ გავებდავდით გაზეთის გამოცემას. ადვილად მიხვდებით, რა მიზეზისა გამო ვითხოვეთ გაზეთის ნება და არა ჟურნალისა, ჩვენის აზრით გაზეთი უფრო სასარგებლო იქნება ჩვენი ხალხისათვის, მინამ ჟურნალი. ჟურნალის დიდ სტატიებს ვერ ერეოდნენ ჩვენი მოუშაადებელი მიფხველები... [კირილე, შენ კარგად იცი, რა არის ჩვენი ხალხისათვის საჭირო და ამისათვის ამაზე მოწერა საჭირო არ არის. თუ რამე გაქვს დაწერილი, ძალიან მაღლობელი ვიქნებით, რომ გამოგიგზავნიდეთ. ამასთანავე, რასაკვირველია მეტის ხალხისთ მოკიდებთ კალამს ხელს... წერის დროს აქაური ცენზურა კი უნდა იქონიოთ სახეში“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 82.

5. ლოლობერიძის ეს ვრცელი ბარათი ძალზე საინტერესოა „დროების“ რედაქციის პოზიციის გასარკვევად. ჩანს, ნ. ლოლობერიძეს „საქართველოს მოამბის“ მასალა დაბალი ფენებისათვის მიუწევდომლად მიაჩნდა და ამის გამო გაზეთის გამოცემას ჟურნალთან შედარებით მეტ უპირატესობას ანიჭებდა.

კ. ლორთქიფანიძეს ნ. ლოლობერიძის თხოვნა ვერ შეესრულებია და „დროებისათვის“ მასალა ვერ გაუგზავნია. ეს ირკვევა ნ. ლოლობერიძის მომდევნო წერილიდან.

„მართლა და მოსვლას აღარ აპირებთ? როგორც გეტყობათ ძალიან გაგიტკბათ პეტერბურგი. მე კი სწორედ არ ვფიქრობდი, რომ ჩვენი სამშობლოს დალოცვილი წმინდა ცა და ნაზი ჰავა ჩრდილოეთის ბულნუდ და სიცივეზედ გაგეცვალათ. მაგრამ არ დავიჯერებთ მაინც, რომ სულ დაგვიწყებოდეთ. გელით მალე მოუთმენლად. სამრამში საქმე ბევრია ჩვენში, მაგრამ მშრომელი გვაკლია. /რა დასაშავა ამისთანა ჩვენმა „დროებამ“, რომ კიდევაც არ შემოხედეთ და ერთი ლუკმა საკმელიც არ აღირსეთ. ამას სწორედ არ მოველოდით“<sup>1</sup>.

როგორც ცნობილია, კ. ლორთქიფანიძე 1861 წლის სტუდენტთა მოძრაობაში მონაწილეობისათვის გაირიცხა უნივერსიტეტიდან, მაგრამ პეტერბურგი მთელი ათი წლის განმავლობაში არ დაუტოვებია და მისი მღელვარე ცხოვრების აქტიური მონაწილე იყო. ხოლო საქართველოში ჩამოსული თანამებრძოლები, რომლებიც ლიტერატურულ მოძრაობას ჩაუდგნენ სათავეში, კირილეს თხოვდნენ საქართველოში ჩამოსვლასა და დახმარებას. ამიტომ არის, რომ მას ნ. ლოლობერიძე ასეთი საყვედურით მიმართავს უყურადღებობისა და ჩამოუსვლელობის გამო.

6. ლოლობერიძე, თხოვს რა კ. ლორთქიფანიძეს გაზეთში თანამშრომლობას, თან აფრთხილებს, რომ თავი შეიკავოს პოლიტიკურ საკითხებზე მსჯელობისაგან, რადგან მკაცრი ცენზურული პირობების გამო აკრძალული იყო პოლიტიკურ საკითხებზე წერა.

ამის თაობაზე ნ. ლოლობერიძე კირილეს სწერას: „პოლიტიკური შინაარსიანი ფელეტონები კი აკრძალულია „დროებაში“, როგორც საზოგადოებრივი ყოველი სხვა სტატია პოლიტიკური შინაარსით.

პოლიტიკური ცნობების გადაღების ნება (პროგრამით) „დროებს“ შეუძლია მარტო „Кавказ“-იდან და „Правительство. Вестник“-იდან. ერთი სიტყვით, იმედი მაქვს, ამ საგანზე კიდევ მოიფიქრებ, კირილე, და მალე შემატყობინებ გადაწყვეტით პასუხს. სტატიებს არ ვუჩქარი, მაისისათვის თუ ივნება, საკმაოა“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 823.

<sup>2</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 33, 1868, 28 დეკემბერი.

ცენზურული პირობების გარდა „დროების“ გამოცემას აბრკოლებდა ხელისმომწერთა სიმცირე და მატერიალური ბაზის უქონლობა. რედაქტორის იდეალი იყო, „დროებას“ 400 ხელის მომწერი ჰყოლოდა. პირველ წელს (1866) „დროებას“ 400 ხელის მომწერი მართლაც ჰყოლია, მაგრამ შემდეგ ეს რაოდენობა თანდათან შემცირებულა: 1867 წელს 350-მდე დასულა, 1869 წელს 300 გამხდარა, 1870 წელს 243-მდე შემცირებულა. ამიტომ იყო, რომ ს. მესხს 400 ხელის მომწერი უკვე სანატრელად ჰქონდა გამხდარი.

კ. ლორთქიფანიძისადმი გაგზავნილ ბარათში ს. მესხი წერდა: „ნამდვილ რედაქტორად მე ჯერაც არ ვარ დამტკიცებული, ამასაც ხლაფორთი და დავიდარაბა ნდომები. იმედი მაქვს კი, რომ დამტკიცებენ, რადგან დამაბრკოლებელი მიზეზი არა არის რა. ახლა დეკემბრის დასასრული ხომ არის, დროებას ყავს 50-მდე ხელის მომწერი მომავალი წლისა, ამ გარემოებამ მე კინალამ სასოწარკვეთილებამდე მიმიყვანა, მაგრამ უწინდელმა გამოცემლებმა იმედი მომცეს მით, რომ შარშანდელი ეურნალი მიჩვენეს, აქიდან შევიტყვე, რომ შარშან ამ დროს „დროებას“ 50-ზე კიდევ ნაკლები ხელის მომწერი ყოლია და უმეტეს ნაწილს იანვარში და თებერვალში მოუწერია ხელი; ასეთი ჩვეულება აქვთ თურმე, წელს „დროებას“ 220 ხელის მომწერი ყავდა, ვნახთ 1871 წელიწადი რას იტყვის... 400 რომ მეყოლებოდეს, ოთხასჯერ გადავალ ყირამალაზე“<sup>1</sup>.

მართლაც „დროება“ საქართველოში მცირე რაოდენობით ვრცელდებოდა. გრ. თარხან-მოურავის გამოანგარიშებით აღმოსავლეთ საქართველოში 2269 მცხოვრებზე მხოლოდ ერთი გაზეთი იყო გამოწერილი<sup>2</sup>.

ყოველივე ამის შემდეგ ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ მძიმე პირობებში უხდებოდათ მუშაობა ჩვენს საზოგადო მოღვაწეებს.

კ. ლორთქიფანიძე, გარდა იმისა, რომ კარგი პუბლიცისტი და თეორეტიკოსი იყო, ამავე დროს გამომცემლობის საქმის გამოცდილ მუშაკად ითვლებოდა. ამიტომ იყო, „დროების“ პირველმა რედაქტორმა გ. წერეთელმა, როდესაც გადაწყვიტა საზღვარგარეთ წასვლა, რედაქტორის თანამდებობაზე კ. ლორთქიფანიძის კანდიდატურა წამოაყენა. ამის გამო გ. წერეთელი პეტერბურგში მყოფ კ. ლორთქიფანიძეს საქართველოში ჩამოსვლას და გაზეთის გამოცემის სათავეში ჩადგომას სთხოვდა.

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 33, 1869, 28 დეკემბერი.

<sup>2</sup> გ. წერეთელი, ტ. II, გვ. 411, ს. ხუნდაძის შენიშვნები.



„საყვარელო ძმაო კირილე. მე სექტემბრიდან საზღვარ გარეთ მივდივარ, — სწერს გ. წერეთელი, — დიდი ხნობით და შენ მიუცილებლად ჩემ მაგიერად იქნები საკირო და ამისათვის გთხოვ, თუ შენ ფაქულტეტზე არ დაგიჭერია ეგზამენი; ახლავე დაიჭირე ქართული ენის უჩიტლობაზე ეგზამენი ისე, რომ სექტემბრისათვის დიპლომი მზად გქონდეს. წამოსვლის ფულს როდესაც გინდა, მაშინ გამოგიგზავნით, გარდა უჩიტლობისა სტამბა გექნება ხელში, რადგან შენი ჩვეულებრივი თავაზიანობა თავადებთან გველაგება, რომ საქმეს აქაც კარგად წაიყვან. ეს საქმე ისე დიდია, რომ მე მგონია შენ უარი არ უნდა სთქვა ამაზე, რადგან უარის თქმით საქმე გაფუჭდება და პასუხისმგებელი ამ შემთხვევაში შენ იქნები. შენი ერთგული ძმა და მეგობარი გ. წერეთელი.

ველი საჩქაროდ პასუხს“<sup>1</sup>.

საბუთებიდან არ ჩანს, თუ რა უპასუხა კ. ლორთქიფანიძემ გ. წერეთელს, მაგრამ საერთოდ ცნობილია, რომ კირილე 1871 წლამდე საქართველოში არ ჩამოსულა და გ. წერეთელი, როგორც რედაქტორი, კირილეს მაგიერ ს. მესხმა შეცვალა.

„ღროების“ ახალი რედაქტორი ს. მესხიც ასევე დაინტერესებული იყო გაზეთში კირილეს მონაწილეობით. იგი კირილეს სწერს: „კირილე, ერთი შენებურად რომ მოიქაჩალებდეთ თავს, გაპარტყელებდეთ ორ სამ ფურცელს და გამოაგზავნიდეთ, სწორედ ძალიან კარგს საქმეს იზამ“. ჩანს, კ. ლორთქიფანიძეს ს. მესხისათვის მართლაც გაუგზავნია გაზეთის მასალა და დანარჩენსაც შეპირებია, მაგრამ ს. მესხი ამით არ დაკმაყოფილებულა და კვლავ დახმარება უთხოვია კირილესათვის. „დანარჩენ შენ სტატიებს, რომლებზედაც იწერები, მოუთმენლად მოველი. საზოგადოთ იმედი მაქვს შენი, რომ დამეხმარები მერმის გეზეთის გაუმჯობესებაში. თუ შენისთანა ცეცებისაგან რაიმე შემწეობა გვექნება, მაშინ აღარ ვიქნები იძულებული დაგბეჭდო ხანდახან უაზრო და უფერული კორესპონდენციები და სტატიები ზოგიერთი ჩვენი ფსევდო-მწერლებისად/ თავი ნუ მოგიკვდება, ნუ იფიქრებ, რომ ამას გწერ მე ვითარცა რედაქტორი მუქთ თანამშრომელს; შენც კარგად იცი, რომ გაზეთის გაუმჯობესება ჩემი კერძო საქმე არ არის; ამის (გაზეთის გაუმჯობესების) შედეგები როგორც ჩვენთვის, ისე ყოველი ჩვენი რჯულის კაცებისათვის ერთნაირად სასურველი და სანატრელია“<sup>2</sup>.

კ. ლორთქიფანიძე მართლაც ყოველთვის ზრუნავდა გაზეთისათ-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 892.

<sup>2</sup> ს. მესხი, კ. ლორთქიფანიძის არქივი № 33, 1869, 28 დეკემბერი.

ვის და თავის მხრივ შემწეობას არ აკლებდა როგორც ნათარგმნი ლექსებით, ისე სტატიებით, თუმცა თვითონ გაზეთში ლექსების ბეჭდვის წინააღმდეგი იყო. იგი ხშირად უსაყვედურებდა დროების რედაქტორს უხეირო ლექსების გამოქვეყნებისათვის. ხოლო თავისი ნათარგმნი ლექსების შესახებ წერდა: „იქნებ შენ მითხრა, თუ შენის აზრით ლექსები საგაზეთო არ არიან, რათ თარგმნიდი... ამის საპასუხოდ ერთი ეს უნდა მოგახსენო, რომ მე შარშან როგორც მახსოვს შემოგიტვალე, რომ თუ დროების დამატების გამოცემას არ აპირებთ, ეს ლექსები სჯობია „მნათობს“ გადასცე, რადგანაც გაზეთის ნომრებში ლექსები არაფერი მოხელეა მეთქი“<sup>1</sup>.

კ. ლორთქიფანიძეს სამართლიანად არ აკმაყოფილებდა „დროების“ მასალა და აწუხებდა ისიც, რომ მკითხველთა რაოდენობაც მარტო ინტელიგენციის ვიწრო წრით შემოიფარგლებოდა. მისი აზრით, გაზეთი სახალხო უნდა ყოფილიყო და საზოგადოების დაბალ ფენებს უნდა წაეკითხა. გაზეთის გამოცემა მარტო სტუდენტებისა და გიმნაზიელებისათვის მას საკმარისად არ მიაჩნდა. მაგრამ მწერალი იმედს არ კარგავდა, რომ მომავალი თაობა უკეთესად უხელმძღვანელებდა გაზეთს და პოპულარული ფელეტონებით და სახალხო-სამეცნიერო სტატიებით ხალხის შეგნებას კიდევ უფრო აამძღვლებდა. მან კარგად იცოდა, რომ ეს იოლი საქმე არ იყო, მაგრამ ამის მისაღწევად მაინც დაუღალავად შრომობდა.

„ტურა იკივლებს მანამდის, სანამ ნამდვილი გაზეთის და ჟურნალის ხასიათი და მნიშვნელობა მიეცემა ჩვენს ჟურნალებსა და გაზეთებს, — წერს კირილე, — მაგრამ მალე გაიზრდება ახალი თაობა, დაიბადება ნამდვილი მკითხველი საზოგადოება და მაშინ ჩვენ უფრო კარგი კაცებიც გვეყოლება გაზეთებისა და ჟურნალების ხელმძღვანელებად... ეხლა კი ჩვენში კი არა, რუსეთშიაც არ არის ესარწოდებული „საზოგადოებრივი აზრი“. მაშასადამე, ეხლანდელა „დროების“ ნომერი რაც უნდა კარგი იყოს, ნამდვილი გაზეთი მაინც არ იქნება... მარტო გიმნაზიელები და სტუდენტები ვერ დააკმაყოფილებენ გაზეთის ბიუჯეტს. გაზეთის გავრცელება უსწავლელ კაცებშიაც ძლიერ საჭიროა და შეიძლება ამგვარი გავრცელება ფელეტონებით, მოთხრობებით და პოპულარულ სახალხო-მეცნიერულ სტატიებით...“<sup>2</sup>.

1871 წლიდან კ. ლორთქიფანიძე საქართველოში ბრუნდება და ამ დროიდან უფრო ახლო კავშირს ამყარებს „დროებასთან“. ხო-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 467.

<sup>2</sup> იქვე.

ლო 1873—1874 წლებში, როდესაც ს. მესხიც საზღვარგარეთ მიემგზავრება, „დროების“ რედაქტორად კ. ლორთქიფანიძე ინიშნება.

1873 წლის 24 ივნისის თარიღით ს. მესხი ქუთაისში კ. ლორთქიფანიძეს სწერს: „ძმაო კირილე, მე იქნება ამ ხუთშაბათს მომიხდეს საზღვარგარეთ წასვლა და ამიტომ შენი აქ ყოფნა ეხლა აუცილებლად საჭიროა. თუ მიინდამაინც მანდ ისეთი საქმე არაფერი გაქვს, უნდა წამოხვიდე, როგორც ამ წიგნს მიიღებ. თუ ვინცობაა წამოსვლა არასგზით არ შეგიძლია, დასწერე ცენზურის კომიტეტში წარსადგენი ქალაქი და პირველივე ფორტით უთუოდ გამოავზავნე. ეს ქალაქი უბრალო ერთ ფურცელზე უნდა იყოს დაწერილი ამგვარად:

«В закавказский цензурн. комитет князя... Заявление. Честь имею заявить закавказскому Цензурному комитету, что я согласен принять на себя временное редактирование груз. газ. «Дроеба» за отсутствием настоящего редактора вышеупомянувший газет Сергея Симоновича Месхи и что по время редактирования я обещаю строго держать устав...»

შენი ქირიძე, კირილე, ეს თხოვნა პირველივე თხოვნად შემისრულე. შენი სერგეი მესხი<sup>1</sup>.

ჩანს, კირილეს ს. მესხის ეს თხოვნა მართლაც შეუსრულებია და „დროების“ დროებით რედაქტორად კირილე ინიშნება. მაგრამ ირკვევა, რომ კ. ლორთქიფანიძემ მთავრობისადმი დაპირება პირნათლად ვერ შეასრულა და ვერ მოთავსდა ცენზურის მიერ მითითებულ ფარგლებში. როგორც კავკასიის საცენზურო კომიტეტის მიმართვიდან ჩანს, „დროება“ არა მარტო ოფიციალური გაზეთებიდან ბეჭდავდა პოლიტიკურ ცნობებს, არამედ თვით დამოუკიდებლადც მსჯელობდა ასეთ საკითხებზე. ამის გამო კავკასიის საცენზურო კომიტეტი 1874 წლის 4 აპრილის თარიღით კ. ლორთქიფანიძეს, როგორც „დროების“ რედაქტორს, აფრთხილებს:

«Государь Великий князь наследник разрешил пздание редактируемой вашим сиятельством газеты «Дроеба», приказать изволил, чтобы обозрение текущих политических известий было перепечатываем только из официальных газет: «Русский швалид», «Северная почта», «Правительственный вестник» и «Кавказ», о чем сообщено бывшим редактором газеты «Дроеба», г. г. Меликову и Церетели отпощением цензурного комитета от 5 января 1866 года за № 5. Между тем, цензурою неоднократно замочено, что в политическом отделе газеты «Дроеба» допускаются не только известия, заимствуемые из других неофициальных

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 619.

пых газет, но и самостоятельные сообщения политического характера в форме корреспонденции и даже нередко суждения по поводу того или другого политического явления. Хотя подобное нарушение программы, однажды преподанной редакцией к руководству, не раз ставилось ей на вид, но вследствие продолжающегося и поныне такого нарушения Цензурный комитет считает необходимым подтвердить Вашему Снятельству о точном исполнении разрешенной редакция программы, на основании которой политический отдел газеты «Дроба» должен заключать в себе одно только фактическое изложение политических известий без всяких суждений со стороны редакции по поводу их известия, эти должны быть заимствованы только из официальных газет. Для удостоверения же цензуры в этом отношении комитет просит Ваше Снятельство в представляемых на цензуру корректурных листах под каждым сообщенным известием указывать № газеты, из которой таковые будут заимствованы».

ამ დოკუმენტიდან აშკარად ჩანს, თუ როგორ პირობებში იმყოფებოდა ცენზურის მხრივ ჩვენი პერიოდული პრესა. გაზეთს აზრის გამოთქმის საშუალება წართმეული ჰქონდა. მას მხოლოდ ოფიციალური გაზეთებიდან შეეძლო ცნობების ამოწერა და თანაც იქვე უნდა მიეთითებინა გაზეთის სახელწოდება და ნომერი. მიუხედავად ასეთი ცენზურული პირობებისა, როგორც ბევრჯერ დავინახეთ ქართველი პატრიოტები მაინც ახერხებდნენ აქტუალურ საკითხებზე მსჯელობას და მშრომელთა ინტერესების დაცვას.

[დიდ მუშაობას ეწევა კირილე, როგორც რედაქტორი. გარდა ცენზურისა, რედაქტორს სხვა დამბრკოლებაც ელოებოდა წინ: რადგან გაზეთს მტკიცე მატერიალური ბაზა არ გააჩნდა, რედაქტორს უხდებოდა ტექნიკური სამუშაოების შესრულებაც. ხშირად ხვიასრულებდა ასოთამწყობისა და კორექტორის მოვალეობასაც. კირილე იძულებული იყო საკუთარი ფული დაეხარჯა გაზეთის საჭიროებისათვის. ყოფილა შემთხვევა; როდესაც მას „დროების“ ქაღალდის ჯასყიდული და ხელის მომწერლებზე გასაგზავნი ფოსტის მარკის ფული არ ჰქონია.

კირილე ერთ ბარათში პეტრე უმიკაშვილს სწერს: „პეტრე, თუ შეიძლება ერთი ხუთმეტი მანეთი მასესხე რამოდენიმე დღის ვადით, ასე გასინჯეთ დღეს დროების ქაღალდის ფაჩი არა მაქვს და არც ფოსტაში გასაგზავნი. თუ ზაქარიამ, ამ წიგნის მომტანმა, შინ ვერ განახოს, ან შენი ბიჭის ხელით გამომიგზავნე, ან და სამ საათზე კიდევ გამოვაგზავნი შენთან კაცს. შენი კირილე“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> გ. წერეთელი, ტ. I, გვ. 412.

<sup>2</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 411.

გაზეთის საჭიროებისათვის ასევე ფულის შესახებ კირილე დათა ნიქარაძეს სწერს: „ძმაო დათა, შენის კრედიტით რომ რედაქციის ვალისათვის ვპარგებლობდი, ის ვექსილი გამოვისყიდე და რადგან ვექსილის მომცემი დავით ნიკოლაევიჩი იყო, იმას ეუბნავანი გამოსყიდულს ვექსილს და შენც გამოგეზავნის დასახვეად და თანაც გთხოვთ, რომ კიდევ მათხოვო ის კრედიტი დავითისავე ვექსილით.

შენი კირილე“<sup>1</sup>.

აღსანიშნავია ასაც, რომ კირილე ამავე დროს პარალელურად ჟურნალ „კრებულსაც“ რედაქტორობდა. 1873 წელს გ. წერეთელმა კავკასიის მთავარი სამმართველოს უფროსის სახელზე განცხადება შეიტანა მისი ავადმყოფობის გამო „კრებულის“ რედაქციის კ. ლორთქიფანიძეზე გადაცემის შესახებ. განცხადებაში აღნიშნულია:

«По случаю расстроенного здоровья, я принужден передать редакцию грузинского журнала «Сборник» кн. Кириллу Бекановичу Лорткипанидзе в качестве редактора-издателя вышепоименованного журнала... Дворянин Георгий Церетели...»<sup>2</sup>

ამავე დროს კ. ლორთქიფანიძეს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოში შეაქვს თხოვნა „კრებულის“ რედაქტორად მისი დამტკიცების შესახებ: «Принимая на себя труды по изданию и редакция грузинского журнала «Сборник», а также ответственность перед законом, покорнейше прошу Ваше высокопревосходительство соблагovolпть, утвердить меня редактором и издателем сего журнала.

При сем честь имею доложить, что мои документы представлены при прошении о признании меня временным редактором грузинской газеты «Время» кн. Кирилл Беканович Лорткипанидзе»<sup>3</sup>.

1871 წლის 17 ოქტომბრის თარიღით კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს კ. ლორთქიფანიძის თხოვნა დაუმტკიცებია და სამმართველო აცნობებს კავკასიის საცენზურო კომიტეტს, რომ ამის შესახებ სათანადო განკარგულება უკვე გაცემულია:

«По докладе... редактора грузинского журнала «Сборник» Георгия Церетели о дозволении ему передать редакцию этого журнала кн. Кириллу Лорткипанидзе, прошении сего последнего с заявлением согласия на принятие на себя редакторских обязанностей и отзыва цензурного комитета от 27-го сентября за № 508 о немении к тому со стороны комитета никаких препятствий Е. И. В. соизволил на передачу означенной редакции кн. Лорткипанидзе. Об этом сообщаю Кав-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 398.

<sup>2</sup> „საისტორიო მოამბე“, № 6, გვ. 209.

<sup>3</sup> „საისტორიო მოამბე“, № 6, გვ. 210.

კავსკომუ Цензурному комитету для надлежащего распоряжения. Подписал сенатор стар. секретарь Барон Николай, секретарь и управитель канцелярии Н. Прибыль».<sup>1</sup>

„ქრებული“ ყოველთვისური პატარა ფორმატის ყურნალი იყო, რომელიც გამოდიოდა 1871—1873 წლებში. თანამშრომლობდნენ: ნ. სკანდელი (ნ. ნიკოლაძე), კ. ლორთქიფანიძე, ს. მესხი. აკ. წერეთელი, ი. ჭავჭავაძე, რ. ერისთავი, დ. ყაზბეგი, ნ. ცხვედაძე. პ. ჭავჭავაძე და სხვები.

„ქრებული“, ისე როგორც „დროება“. მემარცხენე იდეებით შეიარაღებული დემოკრატიული ინტელიგენციის ორგანო იყო. აქ იბეჭდებოდა ზემოთ ხსენებულ ავტორთა მებრძოლი იდეების შემცველი სტატიები. განსაკუთრებით მწვავედ იღდა საკითხი რეფორმის შემდეგდროინდელ თავადაზნაურთა ნაშთებისა და ახალი კლასის — ეროვნული ბურჟუაზიის განვითარების შესახებ.

„ქრებულში“ გამოქვეყნდა ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“, გ. ორბელიანის „სადღეგრძელო“, გ. წერეთლის „ჩიბრი“, ჩვენნი ცხოვრების ყველაღი“ და „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“.

ყურნალ-გაზეთების გარდა კ. ლორთქიფანიძე დიდ ყურადღებას აქცევდა საქართველოში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას. რაც უმთავრესად სტამბების მოწყობასა და წიგნების გამოცემაში გამოიხატებოდა.

70-იან წლებში ქუთაისში კ. ლორთქიფანიძეს კიდევაც შეუდგენია ამ დარგში მოღვაწეთა წრე. წრის საქმიანობა მრავალფეროვანი ყოფილა.

პირველ რიგში წრეს განუზრახავს გაზ. „დროებისათვის“ დახმარების გაწევა. შემდეგში მათი მუშაობა უფრო გაფართოებულა და სტამბის მოწყობა, ახალი საბეჭდო შრიფტის შედგენა და წიგნების ბეჭდვა დაუწყიათ.

კირილეს განზრახული ჰქონია, ქუთათური ამხანაგობიდან მიემაგრებინა ერთი მუდმივი თანამშრომელი „დროებაზე“, რომელიც სისტემატურად მიაწოდებდა გაზეთს სტატიებსა და კორესპონდენციებს, და ამ თანამშრომელს გასამრჯელოს ამხანაგობა გადაუხდიდა. ამ მოვალეობის შესრულება კ. ლორთქიფანიძეს „დროების“ ყოფილი რედაქტორის გ. წერეთლისათვის დაუვალებია.

ერთ ბარათში კ. ლორთქიფანიძე ამის თაობაზე გ. წერეთელს სწერს: „ამ აზრით ჩვენ შევადგინეთ ქუთაისში პატარა წრე, რომელსაც სურს შეეწიოს „დროებას“ რითაც შეუძლია. ჩვენ გვსურს დავაყენოთ „დროების“ რედაქციის ამხანაგად და თანამშრომლად.

<sup>1</sup> „სახსტორიო მოამბე“, № 6, გვ. 210.

ერთი კაცი მაინც, რომელსაც უნდა მოცალეობა ჰქონდეს ლიტერატურული შრომისათვის და უფრო გამოსადეგი იყოს „დროებისათვის“... მაგრამ რადგანაც „დროების“ რედაქციას არ აქვს იმდენი ღონე, რომ ამგვარად დაეყენებულ თანამშრომელს რაიმე სასყიდელი მისცეს, ჩვენ თავის თავს ვალდებულად ვრაცხთ შეძლებისამებრ შრომის შესაფერი მატერიალური შემწეობა მივცეთ ამ კაცს. ამჟამად ამ საქმეში სასარგებლოდ გვანით შენ და გთხოვთ მიიღოთ თავისთავზედ ეს ჩვენი განზრახული მუღმივი თანამშრომლობა - „დროების“ გასაუმჯობესებლად და ჩვენ ვეცდებით, რომ ყოველის თვეობით მოგაწოდოთ თქვენ თბილისში საცხოვრებელი ზომიერი სახსარი. ვიცით, რომ შენი მიზანი და ჩვენი ერთი და იგივეა და იმედი-გვაქვს ამ ჩვენს თხოვნას აღასრულებ და არ ითაკილებ ჩვენის მხრით მატერიალურ შემწეობას, რომელიც სწორედ რომ ვსთქვამთ. გაზეთის შესაწირია და არა შენი პიროვნად.

ამასთანავე ჩვენ გთხოვთ, რომ, თუ ვინცობაა შენი რედაქციის ამხანაგად გახდომა არ მოხერხდა, ითხოვეთ ახალი გაზეთის გამოცემის ნება და ჩვენ აღთქმულ შემწეობას არ მოგიშლით. სანამ ამ გაზეთის ხელის მომწერლებიანაგან შემოსავალი ფული არ იქნება საკმაო გაზეთის გამოსაცემად და შენთვისაც, მანამ ახალი გაზეთი დაფუძნდებოდეს გთხოვთ შრომა არ მოაკლოთ „დროებას“, რომლის სიკეთე თქვენთვის ყოველ შემთხვევაში სასურველია.

ამას გარდა ჩვენ გავიგეთ, რომ თბილისში შემდგარა წრე, რომელსაც ამგვარივე მიზანი აქვს თურმე, გთხოვთ ამ წრეს განუცხადო ჩვენი მხრით, რომ ცუდი არ იქნებოდა შევერთებულებოდავით და ეგ ჩვენი საერთო აზრი ერთმანეთის დახმარებით აგვესრულებინა. ქ. ქუთაისი, 9 თებერვალი, 1899 წ.“<sup>1</sup>.

ეს ვრცელი ამონაწერი საინტერესო მასალაა როგორც კ. ლორთქიფანიძის პიროვნების დასახასიათებლად, ასევე ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის საკითხთა გასარკვევად. კ. ლორთქიფანიძეს „დროების“ გამოცემის საკითხი ისე სასიხლორკეულ საქმედ მიაჩნდა, რომ მის მიმართ ყურადღება და მზრუნველობა არასოდეს შეუწელებია. 80-იან წლებში იგი ისეთივე ენთუზიანით შრომობდა გაზეთის გაუმჯობესებისათვის, როგორც თავისი მოღვაწეობის დასაწყისში.<sup>1</sup>

ამ წერილიდან ისიც ჩანს, რომ გაზეთს 80-იან წლებშიც არ ჰქონია თანამშრომლებზე ჰონორარის გაცემის საშუალება. ირკვევა აგრეთვე, რომ კირილეს და მის თანამშრომლებს განზრახული ჰქონი-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 215.

ათ ახალი გაზეთის გამოცემა და ქუთაისის და თბილისის წიგნის გამომცემელი ამხანაგობის გაერთიანება.

კ. ლორთქიფანიძე, როგორც „დროებისა“ და „კრებულის“ რედაქტორი, დიდ საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდა. იგი აძულებდა ზოგერთ მოწინავე მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, მონაწილეობა მიეღო გაზეთისა და ჟურნალის მუშაობაში.

კ. ლორთქიფანიძის, როგორც რედაქტორის, სახელთან არის დაკავშირებული ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობის“ არაა მარტო დაბეჭდვა, არამედ მისი დაწერის ისტორიაც კი.

მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე კ. ლორთქიფანიძემ ქართული ლიტერატურისა და პრესის საქმეს შესწირა, ნახევარ საუკუნეზე მეტი უანგაროდ მუშაობდა, როგორც პუბლიცისტი, რედაქტორი და გამომცემელი და დიდად შეუწყო ხელი ქართული პრესისა და მწერლობის აღორძინებონ საქმეს.

### კ. ლორთქიფანიძის შრიფტი

კ. ლორთქიფანიძის მრავალფეროვან საგამომცემლო მუშაობას თუ ერთი მომენტიც არ დაუშვამტეთ, მისი ღვაწლი ქართველი ერის წინაშე სრულყოფილად ვერ წარმოგვიდგება. კირილე არა მარტო ქართული ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების გამომცემაზე ზრუნავდა, იგი ყურადღებას აქცევდა იმასაც, რომ ეს ჟურნალ-გაზეთები და წიგნები ლამაზი და ადვილი წასაკითხი ყოფილიყო. ამ მიზნით მან შეადგინა ახალი სასტამბო შრიფტი, რომელიც მალე დაინერგა საგამომცემლო პრაქტიკაში.

ახალი შრიფტის შედგენისას კირილე მიზნად ისახავდა, ქართული ასოები მარტივი, ლამაზი და მოცულობით ეკონომიური ყოფილიყო.

ჯერ კიდევ 1872 წელს „დროების“ რედაქტორი ს. მესხი თბილისიდან ქუთაისში კირილეს ასწერდა: „...იმას დაგვიმადლოებ ახალ ასოებს რომ დახატავდნე კარგად, შენებურად და გამომიგზავნიდნე ეს ასოები დიმიტრი ყიფიანმა დახატა. ჩვენ აქ უკეთესი ვერ მოვიგონეთ და ამასთან კიდევ გვეჩქარებოდა, თუ გამოგზავნი, ამომპრეღს აქაც კარგს ვიშოვნი“<sup>1</sup>.

მართლაც, 1874 წელს კირილეს შეუღდგენია ახალი ქართული შრიფტი, რომელიც პირველად ქუთაისში იხმარებოდა, ხოლო შემდეგ თბილისშიც გავრცელებულა. როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, ამ საკითხზე კირილეს ბევრი უმუშავნია. მას სანიმუშოდ რამდენიმე ვარიანტი წარმოუღდგენია, თითოეული ასო მრავალჯერ

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 27.



შეუცვლია, გადაუქეთებია და ამ საჩით დაუდგენია ახალი შრიფტი.

რამა გამოინახტება „კირილეს შრიფტის“ სიხალე? ცნობილია, რომ ქართული ანბანის მოხაზულობა, შედარებით ევროპულთან, თავისებურია. თუ ევროპულ დამწერლობაში ასოების უმეტესი ნაწილი შუა ხაზზე იწერება, ქართულ დამწერლობაში ასოთა აბსოლუტური უმრავლესობა ხაზზევით და ხაზქვევით იწერება. მაგალითად, 33 ქართული ასოდან ხაზზევით იწერება 13 და ხაზქვევით 16. ხაზზე იწერება მხოლოდ 4 ასო: ა, ი, ო და თ.

ასოებას ხაზზევით და ხაზქვევით განლაგებას თავისი უარყოფითი და დადებითი თვისებები აქვს. უარყოფითი ის არის, რომ თავისუფალი არე მგეტი რჩება და გარეგნულადაც სხვადასხვა სიტყვებში მაღალ-დაბალი ასოების განლაგება ხშირად არასიმეტრიულად ზდება. კირილეს განუზრახავს, ქართული ასოების ბუნება ძირითადში იგივე დაეტოვებია, ხოლო ევროპულთან მიმსგავსების თვალსაზრისით, ოდნავ შეეცვალა ასოთა მოხაზულობა. იმის გამო, რომ ქართულ დამწერლობას ხაზზე საწერი ასოები ცოტა აქვს, კირილე ცდილობს, ხაზზევითა და ხაზქვევითა ასოების ბოლოკიდურების შემცირებითა და შუა ნაწილის ოდნავ გადიდებით ეს ასოებიც დაამსგავსოს შუათანა ასოებს და ამით ქართული დამწერლობა მიუახლოვოს ევროპულ დამწერლობას. ამ მიზნით მას ყურადღება მიუქცევია კბილანა ასოებისათვის, როგორც არის ღ, ლ, რ და სხვა. ამ ასოთა კბილანების გადიდებაც ხელს შეუწყობდა შუათანა ასოების შთაბეჭდილებების გაზრდას. კირილეს შრიფტს, ძველთან შედარებით, ის უპირატესობა აქვს, რომ ბეჭდვის დროს თავისუფალი არე ცოტა რჩება და თვალისათვის სასიამოვნო და მსუბუქი წასაკითხია. ნ. ნიკოლაძისადმი მიწერილ პირად ბარათში კირილე დაწვრილებით აღწერს თავის მოსაზრებათა პრინციპებს და ნიმუშად უგზავნის დაბეჭდილი ასოების ფოტოსურათებს. „ძმაო ნიკო! ტყიბულის მეპატრონეებისაგან გარემოცულს იქნებ ახალი სტამბის არ გცხელოდეს, მაგრამ ვიცი შენი ამბავი, მაგითაც არ შეტბუები და ამიტომ გიგზავნი ახალ აღებულ ფოტოგრაფიულ ასოებს“.

<sup>1</sup> აქ კ. ლორთქიფანიძეს მხედველობაში აქვს ნ. ნიკოლაძის გატაცება ტყიბულის ქვანახშირის საქმეებით და თავისებურ საყვედურსაც გამოთქვამს ამ სიტყვებით იმის გამო, რომ ნიკოლაძემ ხელი აიღო ეურნალ-გაზეთებზე.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე ს. მესხის ბარათი კ. ლორთქიფანიძისადმი, სადაც ს. მესხი ასევე საყვედურს გამოთქვამს ნიკოლაძის მიმართ „კრებულის“ უყურადღებოდ მიტოვების გამო. „ჩემო კირილე, დიდად სამწუხაროა, რომ „კრებულმა“ თითქმის კიდევ გადააქარბა „მნათობს“ ფეხმძიმობაში, მაგრამ რა გაეწყობა. გაეწყობოდა ბარემ რამე, მაგრამ ღმერთმა ნიკოლაძეს და

რადგანაც წინად დაწერილი საკმაოდ გაშავებული არ იყო, ამიტომ ექვსპუნქტიანი ერთობ ძნელი გასარჩევი იყო, ასოები ერთობ წმინდა იყო და ერთმანეთთან შეჯგუფებული რჩებოდნენ. ახლა, როგორც ხედავ, ისევ ის ასოები უფრო გაშავებული ექვს პუნქტად ძლიერ კარგად გამოდინან. განსხვავება წინანდელსა და ეხლანდელ შრიფტს შუა მხოლოდ ეს არის, რომ ზ-ის ტანი იმ ზომის და ფორმის დაქვეყნდა, როგორც სანის და ხანის ტანია. უწინდელი ზ-ი უფრო ლამაზი იქნება, მაგრამ მაგიერად ხსენებული სამი ასოების ტანი ერთი და იგივე იქნება და როგორც მოგრძო სიმრგვალის მქონი იქნებ უფრო შეეთანხმოს სხვა ასოების ტანს, რომელნიც მოგრძო სიმრგვალისაგან შესდგებიან. ს ცალი ფეხი უფრო გაუშვავე, როგორც წერაში მოხდება ხოლმე. ჰ სულ სხვანაირია, ეხლა უფრო ლამაზია, უ დაქვეყნდა, მაგრამ ამათ არ მოსწონთ. უწინდელს უფრო ამჯობინებენ. შრიფტის სიმარტივისათვის როგორც შენ ამბობდი, იქნება ახალმა უ-მ აჯობოს, მაგრამ ხოლო ერთის მხრით — კბილის სიგრძით. ამიტომ, რომ ისევ ის კბილი ე, ვ, ო, რ, და ლ-ის კბილებზე უფრო დიდი იქნება, მაშასადამე ან ისევ ე-ნის კბილი უნდა შევამოკლოთ და ან სხვა ასოების კბილები გავავარძლოთ, მაგრამ უკანასკნელ შემთხვევაში ე, ო, რ და ლ საძაგელი იქნებიან და განსაკუთრებით ვ და ლ უფრო დიდ ადგილსაც დაიკვირენ. ახლა შენ აირჩიე და როგორც ემჯობინება ყ-ს ჩემი აზრით ისე დავეწერ...“<sup>1</sup> აქ წარმოდგენილი ასოების ნიმუშები სუფთად არის შესრულებული სხვადასხვა ქალაქებში.

კ. ლორთქიფანიძის შრიფტით პირველად ქუთაისში გაზეთი „შრომა“ იბეჭდებოდა, მაგრამ მალე სხვა გამოცემლებსაც მოუხდომებიათ ამ შრიფტის ხმარება. მაგალითად, „დროების“ 1882 წლის 163 ნომერში ასეთი განცხადებაა გამოქვეყნებული: „ჩვენ მივიღეთ ბ. ბ. არსენ კალანდაძისაგან და აღუქსანდრე დრევიჩისაგან, რომელთაც აქვთ ჩვენს ქალაქში სტამბა და უმეტეს ნაწილად ქართულ წიგნებსა სცემენ, თხოვნა ბ. ბ. კ. ბ. ლორთქიფანიძის და პ. წულუკიძის მიმართ, რომელთაც სთხოვენ ესენი მიეცეთ მათ

იმის ტყიბულას მოკითხოს. „კრებულის“ წაყვანა ნიკოლაძემ ითავა, მაგრამ, არ ვიცი საუბედუროდ თუ საბედნიეროდ ამავე ნიკოლაძემ ამავე დროსვე ტყიბულას ქვანახშირსაც მოჰკიდა ხელი და მილიონების იმედი აქვს... მითქვამს თვითონ იმისთვის, რომ ჩვენ რომელნიც მუდამ „მნათობს“ დავცინოდით ლოლიალზე, თვითონვე ამაშივე სასაცილო შევიქენით“ (კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 27).

<sup>1</sup> საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის არქივი, ხელნაწერი 14/231.

ემა, როგორც სტამბის მქონეთ და ქართული წიგნების გამომცემელთ შეიძინონ ახალი „კირილეს შრიფტი“<sup>1</sup>.

„დროების“ რედაქცია თავის მხრივ დაძინა: „თუ მიიღებთ მხედველობაში ჩვენ სილარიბეს შრიფტში, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბ. კ. ლორთქიფანიძე და პ. წულუკიძე დააკმაყოფილებენ ამ მცირე და სასარგებლო თხოვნას კალანდაძისა და დრევიჩისა“.

მართლაც, კირილეს შრიფტი მალე თბილისშიც ფეხს იკიდებს და წიგნების უმეტესი ნაწილი ამ შრიფტით იბეჭდება. მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ კირილეს შრიფტს მოწინააღმდეგეც გაჩენია პეტრე უმიკაშვილის სახით. იგი „დროებაში“ დეტალურად არჩევს „კირილეს შრიფტს“ და არ ურჩევს გამომცემლებს მის ხმარებას.

პ. უმიკაშვილი წერს: „ახლად ჩამოსხმული შრიფტი, როგორც ვიცით შედგენილია ბატონ კირილე ლორთქიფანიძისაგან, ეტყობა დიდი მეცადინეობა, შნო და სილამაზე; სურვილი ქონდა შემდგენელს, რომ ქართულ საბეჭდ ანბანს ევროპიულსავით ნაკლები ადგილი სჭეროდა და ამასთან ადვილი წასაკითხავი ყოფილიყო... ეს შრიფტი ჩამოსხმის წინათ ბევრს მოსწონდა და ძალიან გამოსაყენებელიც ეგონათ. ვგონებ რომ ეს გარემოება საკმაო იყო ასო ჩამოესხმევიანებინა ბატონ წულუკიძეს. სამწუხაროდ ბატონ ლორთქიფანიძისა და წულუკიძის მეცადინეობამ და ხარჯმა ცუდათ ჩაიარა. როგორც ვთქვით მკითხველები ვერ ეჩვენებოდათ მის კითხვას“<sup>2</sup>.

კ. ლორთქიფანიძის შრიფტის მთავარ ნაკლად პ. უმიკაშვილს ის მიაჩნია, რომ ქართული ანბანი, წინააღმდეგ მისი ბუნებრივი მდგომარეობისა, გადაყვანილია ევროპულის პრინციპზე. მას შეუძლებლად მიაჩნია ქართული გრძელი ასოების დამოკლება და ამ გზით ევროპულთან დაახლოება. აქედან გამომდინარე, პ. უმიკაშვილი დაასკვნის: „მამასაღამე ყველა ამ ნათქვამიდან ცხადად ვხედავთ, რომ ქართულის ანბანის შრიფტის შემუშავების დროს უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ასოს სიგრძესა და ტანს ისეთი ურთიერთობა ჰქონდეს, როგორც ქართულის ანბანის მოხაზულობის თვისება მოითხოვს და არა ევროპიულის ანბანისა“<sup>3</sup>.

მიუხედავად პ. უმიკაშვილის წინააღმდეგობისა, „კირილეს შრიფტი“ მაინც ფართოდ გავრცელებულა ქუთაისისა და თბილისის სტამბებში და საუკეთესო წიგნები ამ ასოებით იბეჭდებოდა არამარტო მეცხრამეტე საუკუნეში, არამედ კირილეს შრიფტს დღესაც ხმარობენ.

<sup>1</sup> „დროება“, 1882, № 163.

<sup>2</sup> „დროება“, 1883, № 7—8, გვ. 152.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 149.

კ. ლორთქიფანიძე და ახალი სალიტერატურო ენის საკითხი

ქართული ეროვნული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეს კ. ლორთქიფანიძეს სალიტერატურო ენის განვითარების საქმეშიც მიუძღვის მნიშვნელოვანი დაშვასურება. იგი ქართული ენის არა მარტო კარგი მცოდნე და სტილისტი იყო, არამედ თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში საინტერესო შრომასაც ეწეოდა, როგორც ენის თეორეტიკოსი, გრამატიკოსი და ლექსიკოგრაფი.

კ. ლორთქიფანიძე, ისე როგორც სამოციანი წლების ყველა მოაზროვნე, ახალი იდეების გამოსახატავად ახალი ენის დამკვიდრებას მოითხოვდა. იგი პირველ საზოგადოებრივ წერილშივე<sup>1</sup> მკაცრად ილაშქრებს საეკლესიო მეტყველების ნორმების წინააღმდეგ და ილია ჭავჭავაძესთან ერთად გაბედულად ებრძვის ძველი თაობის წარმომადგენლებს ახალი სალიტერატურო ენის დასაცავად. კირილემ პირველი იერიში ანტონ პირველის იამბიკობზე და აკროსტიხებზე მიიტანა და ამასთან ერთად „სასმენელ დაბეგვილად“ და „ყრუებად“ გამოაცხადა ყველა მათი უხეირო დამცველი. ამის შესახებ კ. ლორთქიფანიძე წერდა: „უფ. ჭავჭავაძის თანახმად ვიტყვი, რომ არ მოგეწონს, როგორადაც არ მოგეწონს ტრედიაკოვსკის ლექსები, ყმაწვილების დასასჯელად რომ ხმარობდენ“.

„სასმენელი ძლიერ დაბეგვილი უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ იმათი სიმშვენიერე იგრძნოს, ყრუ უნდა იყოს კაცი, რომ მისმა იამბიკომ აკროსტიხებით ერთ ყურში გრგვინით შესულმა და მეორედამ გამობრძანებულმან არ აენოს ყურსა“<sup>1</sup>.

კ. ლორთქიფანიძემ ანტონ ბაგრატიონის არქაულ მეტყველებასთან მიატანა მისი პოეტური მეგვიდრობაც, როგორც თანამედროვეთათვის გაუგებარი და მიუღებელი. მართლაც და რა აზრი უნდა გამოეტანა სამოციანი წლების მკითხველს „ამო, ბრძენ, ვნომ, დიდ“ და სხვა აშკვარი „პოეტური“ სტრიქონებიდან?

ისე როგორც ილია ჭავჭავაძეს, კ. ლორთქიფანიძესაც სალიტერატურო ენის საფუძვლად ხალხური მეტყველება მიაჩნდა. ამ საკითხზე იგი ეკამათებოდა მოლაყბეს, იგივე ივანე კერესელიძეს და ხალხური ენის უპირატესობას საქვეყნოდ ამტკიცებდა. კირილე

<sup>1</sup> „ცისკარ“, 1862, № 4.

ეკითხება მოლაყბეს: „უფ. მოლაყბე! გრამატიკა ადგენს ხალხის ენას, თუ ხალხის ენა გრამატიკას?...“<sup>1</sup>.

თერგდალეულების სამწერლო ასპარეზზე გამოსვლამდე ახალი სალიტერატურო ენა სამეცნიერო ტერმინებითა და სპეციფიკური გამოთქმებით ღარიბი იყო. ამის გამო ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე და სხვები ხშირად აღნიშნავდნენ სამეცნიერო ლიტერატურისა და მხატვრული ნაწარმოების თარგმნის სიძნელის შესახებ და მწვავედ აყენებდნენ საკითხს ქართული ენის ახალი და უცხო სიტყვებით გამდიდრებისათვის. ყოველივე ამას ილია ჭავჭავაძე დიდი სიფრთხილითა და დაკვირვებით აკეთებდა. ასევე კ. ლორთქიფანიძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ენის გამდიდრებას და იმარებაში შემოაქონდა ახალი და უცხო სიტყვები. პისი სამართლიანი აღნიშვნით, სამოციან წლებში ქართული ენა იმდენად ღარიბი იყო, რომ რაიმე მეცნიერული შრომის დაწერა ან თარგმნა სხვა ენიდან დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. ერთ კერძო ბარათში ამის შესახებ კ. ლორთქიფანიძე წერს: „მე დარწმუნებული ვიყავი და ვარ, რომ სანამ ჩვენს ენას არ მიუღია ლიტერატურულად დაწყობილი ფორმა. მანამდე მეცნიერული წიგნების თარგმნა იქნება ყოველთვის ტანჯვა...“<sup>2</sup>.

ენის გამდიდრებას კ. ლორთქიფანიძე დიდ ყურადღებას აქცევდა. მისი აზრით, საჭირო იყო ახალი და უცხო სიტყვების შემოტანა სალიტერატურო ენაში. მაგრამ ყოველთვის ეს დიდი სიფრთხილით უნდა გაკეთებულიყო ინტელიგენციის მონაწილეობითა და ჟურნალ-გაზეთების დახმარებით.

კ. ლორთქიფანიძე წერს: „მე დარწმუნებული ვიყავი და ვარ, რომ ერთ კაცს, რაც უნდა კარგად იცოდეს ქართული ენა და სხვა ენები, არ შეუძლიან შემოიტანოს ყველა იმისთანა სიტყვები, რომ ნამდვილად გამოხატავდეს აზრსა და ეთვისებოდეს ქართულ ენას. მე მეგონა და არც შეემცდარავარ, რომ ჟურნალები და გაზეთები ხშირად სხვადასხვა აზრებს ახალი სიტყვების ხმარებით უფრო ადვილად გვიჩვენებენ, თუ რომელი სიტყვა უფრო სწრაფად გამოხატავს აზრს და უფრო ეთვისება ჩვენს ენას. სანამ ბევრი ასეთი სიტყვები არ შემოვლენ ჩვენს ენაში, მანამდის ერთი კაცისაგან გადათარგმნილი ისტორიის კურსი ან სულ გაუგებელი დარჩება ან არა და მრუდე აზრებს ჩაუნერგავს მკითხველ საზოგადოებას...“<sup>3</sup>

მაგრამ, კირილეს აზრით, უცხო სიტყვები მხოლოდ მაშინ უნდა

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 495.

<sup>2</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 1166.

<sup>3</sup> იქვე.

იქნეს შემოტანილი ენაში, როდესაც მისი შესატყვისი ქართულში არ მოგვეპოვება.

კირილე მოლაყბებს სამართლიანად უსაყვედურებდა: „თუ სხვა სტატიებსაც გადავხედავთ, კიდევაც იმდენს ევროპიულს სიტყვებს ვიპოვნით, რომ მეტი არ შეიძლება. მაშინ როდესაც თითქმის ყველა იპინი გვაქვს ქართულს ენაზედ“<sup>1</sup>.

ამ სწორ პრინციპს იცავდა იგი ყოველთვის, როდესაც უცხო სიტყვები შემოჰქონდა ხმარებაში. მწერლობაში კირილემ პირველად შემოიტანა სიტყვები: ინტერესი, ლითურგიული ძილი, სოციალური, ფილოლოგიური, დიამეტრალური და სხვა. ამის საჭიროებას ქართულში შესატყვისი ტერმინების უქონლობით ასაბუთებდა და ამიტომაც შეითვისა ეს სიტყვები ქართულში ენამ და დღესაც ისინი ჩვენი ენის ლექსიკის შემადგენლობაში რჩებიან როგორც აუცილებელი სახმარი მასალა. მაგრამ იგივე კ. ლორთქიფანიძე წინააღმდეგი იყო იგივე უცხო სიტყვების შემოტანისა, რომლის შესატყვისი ქართულში გვექონდა და, მისი აზრით, არც ქართულს ბუნებას ეგუებოდა. ასეთები იყო: „ვოზღუშნი შარები, სტაქანი. შრიფტი, -სტროიტელნი კომისია, ბალკონი, პამიატნიკი, ტრუბა, პომესტიე...“<sup>2</sup>.

კ. ლორთქიფანიძე იმ აზრის არის, რომ ახალი სიტყვები და უცხო ტერმინები თანდათან მივაწოდოთ მკითხველ საზოგადოებას ახალ აზრთან ერთად და დაინტერესებული მკითხველი შეეცდება ახალი სიტყვის გაგებასაც. კირილე თავის სტატიებში პრაქტიკულად ახორციელებდა ამ მოსაზრებას.

ერთ პირად ბარათში იგი წერს: „მე გავბედე ამ ახალი სიტყვების ხმარება, რომელზედაც შენ ლაპარაკობ „გვერდის არებაზე“. იმისთანა მშვენიერად ნაწერ სტატიაში<sup>3</sup>, ჩემი აზრით, დიდი შეცდომა იქნებოდა და ან კი როდის უნდა შეითვისოს ჩვენმა ენამ და ჩვენმა მკითხველმა საზოგადოებამ ახალი სიტყვები და იმათგან გამოხატული აზრები (понятия), თუ ამისთანა სტატიებს და აზრებს ყოველთვის გვერდს აუართ. მე ყოველთვის ვცდილობდი, რომ თარგმანში ახალი სიტყვები სინონიმების ხმარებით ვანმემატებოდა... მე ძალიან დარწმუნებული ვარ, თუ მკითხველი გაზეთათ ინტერესობს, თუ იმას იმედი აქვს, რომ სტატიაში ნახავს აზრს, მაშინ

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 1166.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ლაპარაკია კირილეს სტატიის შესახებ „საზრდო და მისი მნიშვნელობა სხვებისა და საზოგადოების ცხოვრებაში“. კ. ლორთქიფანიძის არქივი, № 592, „ქრებულა“, № 9, 1871.

ის გულდაგულ ეცდება, რომ ახალ აზრებსა და სიტყვებს კარგად დააკვირდეს და გაიგოს; თუ არა და ის წაიკითხავს სტატიას მხოლოდ უსაქმობის და მოწყენის დროს და თუ სტატიამ ორიოდეჭერ გააცინა, ხომ კარგი, თორემ რალა გაეწყობა, საფიქრებლად და სალაპარაკოდ იმას ამ შემთხვევაში მხოლოდ ის დარჩება, რომ შეიტყოს კარგი ენით არის სტატია დაწერილი თუ ცუდი ენით...<sup>1</sup>.

ამის შემდეგ კ. ლორთქიფანიძე მსჯელობს „დროების“ მკითხველებზე და დასძინს, რომ „დროება“ დღემდე არ ჰქონდა სამუალება, საინტერესო აზრი მიეწოდებინა მკითხველისათვის, ახლა კი, აზრის სიახლით დაინტერესებული მკითხველი, კირილეს დებულებით, სიტყვებდს სიახლოთაც უნდა დაინტერესდეს. ამის თაობაზე იგი წერს: „ჩვენი მკითხველი როგორც უსწავლელი, ისე მაღალ სასწავლებელში მყოფი ან ნამყოფი აქამდის „დროებას“ მართო იმისათვის კითხულობდა, რომ შეეტყო სტატიების ენის ლირსება, მაგრამ თვითონ სტატიის საგანი ნებას არ აძლევდა მწერალს, რომ უფრო ადვილი ენით დაეწერა, მაშინაც კი, როცა მკითხველი მართო ენაზე სჯიდა, ამიტომ აქამდის „დროებას“ მკითხველის ყურადღება არ მოუქცევია თავისი შინაარსით. ახლა როგორც ჩანს მკითხველის ინტერესი აღძრულია, თუმცა სტუდენტები ესლაც ცხვირაწეულნი უყურებენ გაზეთს, ჰგონიათ, რომ ჩვენებურ გაზეთში ისინი ვერაფერს ნახავენ თავის სასარგებლოს და ვგონებ დროა, რომ კაცმა სტატიებში ცოტოცა შეაპაროს ახალი სიტყვები და ახალი ტერმინები. მკითხველი უთუოდ ეცდება შეითვისოს ისინი და რამდენადაც უფრო იმატებს ახლად შესათვისებელი სიტყვების რიცხვი, იმდენად თანდათან უფრო გავრცელება ლიტერატურაში განსასაჯელი საგნების წრე... შენგან დაშინებული ვარ ხანდისხან უხეირო выражение-ებით, და ამიტომ გთხოვ არ მითხრა, რომ ლიტერატურაში განსასაჯელი საგნების წრეს სიტყვების შეთვისება კი არ გაავრცელებს, აზრების შეთვისება და გავრცელება“<sup>2</sup>.

ეს ვრცელი ამონაწერი მრავალმხრივ არის საინტერესო. ამ სტრიქონებიდან, პირველ ყოვლისა, აშკარად ჩანს, თუ როგორი სიფრთხილით ეკიდებოდა კ. ლორთქიფანიძე ახალი და უცხო სიტყვების ხმაურებს და როგორ დიდ ყურადღებას აქცევდა მკითხველი საზოგადოების მომზადების დონეს. ხოლო, მეორე მხრივ, საინტერესოა კ. ლორთქიფანიძის თეორიული დებულება მეტყველებისა და აზროვნების ურთიერთობის შესახებ. მისი აზრით, ახალი სიტყვების შეთვისება ხელს შეუწყობს ახალი აზრის შეთვისებასაც,

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 467, გვ. 7.

<sup>2</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 1166, გვ. 4.

რადგან აზროვნება და მეტყველება მას წარმოდგენილი აქვს, როგორც ერთი მთლიანი განუყოფელი მოვლენა. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, მისი აზრით, არასებობს ენა აზროვნების გარეშე და აზროვნება ენის გარეშე. „თუ ენა ენებას არ გვაძლევს, მაშინ ძლიერ ძნელია მრავალ სხვადასხვა საგანზედ ლაპარაკი და მრავალი სხვადასხვა აზრის გაშოთქმა. კაცები თავის აზრს სიტყვებით გამოთქვამენ და არა მუნჯურით“<sup>1</sup> (ხაზი ჩენია — კ. მ.).

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ კ. ლორთქიფანიძე გასული საუკუნის სამოციან წლებში დასცინოდა ივანე კერესელიძის დებულებას ქართული ენის ლეგენდარული წარმოშობის შესახებ, რომ თითქოს ნოეს შვილები — სემი, ქამი და იაფეტი ქართულ ენაზე ლაპარაკობდნენ. კირილეს მოაქვს ივანე კერესელიძის ეს სტრიქონები და დაძინს: „ღმერთო ყოვლის შემძლებლო... ნუ ენებებ იმ შთამომავლობის გაწყვეტას, რომელნიც არსებობს ნოესაგან, რომლის ენაზე ლაპარაკობენ სიმ, ხამ და იაფეტი“<sup>2</sup>.

კ. ლორთქიფანიძეს სასაცილოდ არ ყოფნის ივანე კერესელიძის ასეთი უსაბუთო და პრიმიტიული მსჯელობა და ირონიულად შენიშნავს: „გახარებთ გერმანიისა და დასავლეთ ევროპის ფილოლოგებო და აგრეთვე ისტორიკოსებო, რომ უფალ მოლაყბემ გამოაკვლია და აცხადებს, ნოე და მისი შვილები ქართულ ენაზედ ლაპარაკობდნენ, მამსადამე, ყველა ენების დედა და ძირი იქნება ქართული ენა!.. და თქვენ ქართველებო! გესმით? იყვირეთ, ურა ჩვენს დიდებას!.. ახლა ჩვენ დაგვრჩა ბურთი და მოედანი. ურა!..“<sup>3</sup>.

არ შეიძლება ქართული ენათმეცნიერების ისტორიისათვის საყურადღებო არ იყოს კ. ლორთქიფანიძის თეორიული შრომები, განსაკუთრებით ქართული ზმნების შესახებ. ილია ჭავჭავაძე ქართულ ენაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას სამართლიანად ანიჭებდა ზმნებს. კ. ლორთქიფანიძეც ანტონ პირველთან კამათის დროს ზმნების უგულველყოფაზე მიუთითებდა: „ზმნები რა წყალმა წაილო? სად დაიკარგა ზმნები?“ — წერდა იგი.

კ. ლორთქიფანიძე რომ ქართული ენის დიდი მეცენატი იყო, ამას მოწმობს მისი ნაწერები ამ საკითხზე. სალიტერატურო ენისა და გრამატიკის შესახებ პირად არქივში ბევრი შრომა გვხვდება. ერთ ქართულ ხელნაწერში, რომელიც დასათაურებული არაა, კირილე არჩევს ზმნების სხვადასხვა სახეობას. აქ გარჩეულია მიმ-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 1166, გვ. 4.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.



დებოდა: წერილი, ნაწერი, წერებელი, დაწერილი და სხვა; გონუსაზღვრელი სქესი, საწადი სქესი, ბრძანებითი სქესი, საზღვრებითი სქესი და სხვ.

შრომას თან ახლავს სამი ტაბულა სახელწოდებით: „ზმნების კლასიფიკაცია და ცვლილება“. საინტერესოა, რას გულისხმობს კირილე ზმნების სქესში. ყურადღებას იპყრობს კ. ლორთქიფანიძის რუსულ ენაზე შესრულებული მეორე შრომა „о глаголах“. აქ ავტორი ქართულ ზმნებს სამ ნაწილად ჰყოფს. «Все глаголы в грузин. языке можно разделить на 3 главных отдела:

К первому отделу относятся: глаголы большая часть средних, переходящих страдательные и начинательные.

და აქვე მოაქვს ქართული მაგალითები „ინება არ ინებ-ნება, წერინება, წერინებინება... ილევინება და სხვა...“

К второму отделу принадлежат некоторые действительные и средние глаголы, означающие принадлежность приятное или неприятное ощущение, они отличаются от других действительных и средних глаголов спряжением, по об этом будет дальше.

Третий отдел составляют, так называемые неправильные глаголы, число которых на грузин. языке весьма ограничено, но которые весьма разнообразны по своим спряжениям...»<sup>1</sup>

ნაწერში ყველა პრაქტიკული მაგალითი წარმოდგენილია ქართულად. ხელნაწერი შეიცავს 82 გვერდს. აქვეა დაცული კ. ლორთქიფანიძის საინტერესო ნაწერი რუსულ ენაზე, სადაც განხილულია ზოგადი უნათმეცნიერების საკითხები<sup>2</sup>.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კ. ლორთქიფანიძის ლექსიკოგრაფიული მუშაობა. მის პირად არქივში ბლომად მოპოვება სხვადასხვა სახის რვეულები, სადაც ავტორს შეუტანია ქართული და უცხო სიტყვების ახსნა-განმარტებები, აგრეთვე შეუდგენია ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული მცირე და მოზრდილი მოცულობის ლექსიკონები. ერთ ხელნაწერში შეტანილია 173 ქართული სიტყვის განმარტება. იწყება აბურცება, აბჯარიდან და მთავრდება ჯავშანი, ჯუჯუმკალა, ჰარმონიით<sup>3</sup>.

აქვეა წარმოდგენილი ქართულ-რუსული ლექსიკონი, სადაც შეტანილია 1470 ქართული სიტყვის რუსული თარგმანი. ყველა ქარ-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 470, გვ. 1.

<sup>2</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 610.

<sup>3</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 473.

თულ სიტყვას არა აქვს მიწერილი შესატყვისი რუსული განმარტება. აქედან ჩანს, რომ ლექსიკონზე მუშაობა დამთავრებული არ უნდა იყოს<sup>1</sup>. ყურადღების ღირსია აგრეთვე მცირე მოცულობის ლექსიკონი მცენარეებისა და ცხოველების შესახებ<sup>2</sup>.

განსაკუთრებით საინტერესოა კ. ლორთქიფანიძის მიერ შედგენილი უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი. ამ ლექსიკონის შედგენის ისტორია ასეთია: როგორც აღრევე აღვნიშნეთ, 1863 წელს კ. ლორთქიფანიძემ „საქართველოს მოამბეში“ გამოაქვეყნა სტატიები „ამერიკის შეერთებული შტატები და იქაური ტყვეობა“. ამ წერილებში ხმარებული უცხო სიტყვებისათვის კირილეს ცალკე ლექსიკონი შეუდგენია, რომლის ნაწილი თან ერთვს სტატიებს. მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ამ შემთხვევაში კირილეს მუშარბა სცილდება ლექსიკოგრაფიის ფარგლებს და ღრმა პოლიტიკურ-იდეურ სფეროში იჭრება. იგი ზოგიერთი უცხო სიტყვის მხოლოდ ფორმალურ ახსნას კი არ იძლევა, არამედ მის შინაარსობლივი იდეურ მხარესაც აქცევს ყურადღებას. მაგალითად, მთელი გვერდები აქვს დათმობილი ისეთი სიტყვების ახსნას, როგორიცაა: დემოკრატია, კომუნისტური წყობილება, კონსტიტუცია, პარლამენტი, სენატი და სხვა. სიტყვა „დემოკრატის“ განმარტებისას კირილეს დახასიათებული აქვს ბურჟუაზიული დემოკრატის მატყუარა ბუნება. „კომუნისტური წყობილების“ განსაზღვრისას ავტორი ეხება კომუნისმის პრინციპებს და, მკაცრი ენზურული პირობების მიუხედავად, მაინც ახერხებს, ეს საზოგადოებრივი წყობა ხალხის იდეალად გამოაცხადოს. აგრეთვე საინტერესო ლექსიკონი აქვს დართული „ბიძია თომას ქოხის“ წინასიტყვაობასაც, სადაც განმარტებულია 65 უცხო და ქართული სიტყვა. ასეთებია, მაგალითად: დოლარი, ჯენტლმენი, ახალი ორლეანი, დესპოტი, ტირანი, პატრიოტი, ხენდრო, კერა და სხვა.

...

კ. ლორთქიფანიძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდეს. იგი ყველასგან მკაცრად მოითხოვდა მართლწერის ნორმების დაცვას. კირილე არავის აპატიებდა ენაში მცირე შეცდომასაც კი.

სადაც ხელი მიუწოდებოდა, ყველგან ასწორებდა უსწორო სიტყვებს, ხელნაწერი იქნებოდა ეს თუ დაბეჭდილი წიგნი. ამ მხრივ საინტერესო მასალას შეიცავს კირილეს ყოფილი პირადი ბიბლი-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 474.

<sup>2</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 554.

ოთქა. მის ბიბლიოთეკაში იშვიათად ნახავთ წიგნს, რომელიც კირილეს ხელით ჩასწორებული არ იყოს. ეს ჩასწორება იწყება სათაურიდან და გრძელდება თვით წიგნის ფურცლებზე. სანიმუშოდ მოვიტანთ ცნობილი ქართველი კრიტიკოსის კიტა აბაშიძის ეტიუდებს, რომლის თავფურცლის წარწერა კირილეს თავისებურად შეუსწორებია. წიგნს ასეთი სახელწოდება აქვს: „ეტიუდები მე-XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ. ტომი I-„კიტა აბაშიძისა“. კირილეს ფანქრით შეუწორებია: „ლიტერ. ეტიუდები XIX საუკ. ტ. I—II კ. აბაშიძე“. ცხადია, კირილესეული ტექსტი სწორი და მოსაწონია.

კირილეს არც „ციცკრის“ ყდაზე წარწერა მოსწონს, რისთვისაც სამართლიანად ედავება „ციცკრის“ რედაქტორს. ახვევ სამართლიანად უწუნებს იგი მოლაყბებს სიტყვას „ფეხოსანა“. მისი აზრით, ფეხოსანის მაგიერ უნდა დაეწერა „ქვეითი“. „ფეხოსანს“ ვერც გრამატიკაში იპოვის კაცი და ვერც ხალხში გაიგონებენ<sup>1</sup>. რაც მთავარია, „ფეხოსანი“ ფეხით მოსიარულეს არ ნიშნავს და სამართლიანად მიუთითებს მოლაყბებს, რომ „ცხენოსანის“ ანალოგიით „ფეხოსანის“ წარმოება არ შეიძლება.

ზოგჯერ იგი არც თავის მეგობრებს ინდობდა ენის საკითხში და უხვირო პატრიოტობაში. ამის თაობაზე კ. ლორთქიფანიძე წერს: „რათ გინდათ მხოლოდ მყავე პატრიოტობა, რომელიც გამოსქუვის იმათ სტატიებში და ქართველოფილობაც თითქმის რომელ პოლიტიკასაც გ. წერეთელი ადგას. გაზეთში ჩანს, რომ ძლიერ ცდილობენ ენის გაკეთებას, მაგრამ ხშირად ფეხი უტედათ, რადგან სიტყვებს იმისთანა მნიშვნელობას აძლევენ, რომელიც არა აქვს, ან არა და ერთის მნიშვნელობის მაგიერ მეორეს აძლევენ. და ამით აზრები ირევა... გ. წერეთელს ძლიერ დაუსადავდა ქართული ენა. ის არის ქართული ენის მასწავლებელი რეალურ გიმნაზიაში?<sup>2</sup>

ზოგჯერ კ. ლორთქიფანიძე იძულებული ხდება გაასწოროს ზოგიერთი ჩვენს მწერლის უხეში გამოთქმები ორიგინალურ და ნათარგმნ ტექსტებში. მაგალითად, „მწირის“ თარგმანის შესახებ კირილე შენიშნავს: „მწირი ნორჩი სრულიად არ არის და ამას გარდა პირველს სტრიქონში ერთგვარად ხმოვანი სიტყვები არ ვარგა... სულ ჩ... ჩ... ჩ... ჩ... როგორ იქნება“, მისი აზრით, სჯობს ასე იყოს: „ჩვენთან იყავ, ჩემო შვილო ანუ სულა“. სიტყვა „სულა“ კიდევ უფრო მგრძობობიარეა, ვინემ „ნორჩო“.

„რაც შეეხება „თევზის გროვას“, მე ვფიქრობ: თევზს არც

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 1166, გვ. 2

<sup>2</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 595, გვ. 15.

ფერხული შეუძლიან, არც სამღერა, ამისთვის ლექსში უნდა იყოს იმოსთანა სიტყვა, რომელიც კითხვის დროს ერთ წამს მაინც დაავიწყებს კაცს, რომ მოლაპარაკე, თუ მოფერხულე არ არის თეეზი...<sup>1</sup>

აქვე სამართლიანად ასწორებს კირილე ლორთქიფანიძე სხვა უხეიროდ ნახმარ ქართულ სიტყვებსაც. მაგალითად, მისი აზრით. არ შეიძლება „ქველი ზაჩქეფარი“. უნდა იყოს „მომჩქეფარი“ ან „მჩქეფარი“, ამ სიტყვას ამგვარი ფორმა არა აქვს. ასევე არ შეიძლება „ძვირად მიჩნევა“. უნდა იყოს „ძვირფასად მიჩნევა“. „აქე ძვირფასადაც მიმაჩნებარ, ვით სიციოცხლე და სხვა“. ან კიდევ: „ქვეშ საგები გაქვს. შენ ლბილი“ უნდა, და არა „შენ გაქვს...“ ამიტომ, რომ სიტყვა „შენ“ მხოლოდ ლექსის შეპავსები სიტყვაა აქ და სხვაებრ საჭირო სრულიად არ არის, ლექსში არც კი უნდა ისმოდეს. მახვილი საჭიროა სიტყვაზედ „გაქვს“ და არა „შენზედ“<sup>2</sup>.

კ. ლორთქიფანიძე ხშირად ეღაფება „ციცკარის“ რედაქციას ზოგიერთი შეუსაბამო სიტყვის ხმარებისათვის.

„პირველად ვამტყუნებ რედაქციას, — წერს კ. ლორთქიფანიძე, — ჩვენ არ შეგვიძლია სხვით რითმე ავხსნათ ის, თუ რა რიგად გამოჩნდნენ „ციცკარში“ ზღაპრები, ესთეტიკური საბუთნი (და არა სტატისტიკური, მთვარეშიდ და არა მთვარეზედ) მთები და ჭპანიერობა, როგორც „ციცკარი“ ვვიამბობს, გვაჩვენა ფოტოგრაფიამ და მრავალი სხვა“<sup>3</sup>.

ყოველივე ამას უნდა დაემატოს კ. ლორთქიფანიძის სარედაქციო მუშაობა. იგი განსაკუთრებულ შრომას ეწეოდა, როგორც სტილისტი და რედაქტორი. კ. ლორთქიფანიძე თითქმის ყველა ქართველი მწერლის ცალკე ნაწარმოებისა და ჯრებულის შემდგენელი და ენობრივად დამხვეწი იყო. კირილეს პირად არქივში არა მარტო მწერლების ბარათები ინახება, სადაც მას თხოვენ ამ მხრივ დახმარებას, არამედ, როგორც ადრევე აღვნიშნეთ, ბევრი კრებული და ცალკე ნაწარმოებია წარმოდგენილი, რომლებიც კირილეს მიერაა გამოსაცემად გამზადებული და გასწორებული.

ამრიგად, როგორც ამ მასალებიდან ჩანს, ახალი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისა და მისი თეორიული საკითხების გადაჭრაშიც გარკვეული წვლილი მიუძღვის თერგდალეულ კ. ლორთქიფანიძეს.

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 588.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> „ციცკარი“, 1862, № 9.

ბ. ლორთქიფანიძის პედაგოგიური შემადგენელი

კ. ლორთქიფანიძის ფაქიზი და კეთილშობილი ბუნება არ შეიძლება ახალგაზრდობის აღზრდის საკითხით არ დაინტერესებულაყო. კიდევ მეტი, კირილუს თავიდანვე პედაგოგის საპატიო პროფესია ჰქონდა არჩეული და ამისთვის შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ხოლო, როდესაც იგი 1861 წელს, სტუდენტთა არეულობაში მონაწილეობის გამო, დააპატიმრეს და უნივერსიტეტიდან გარიცხეს, ციხიდან განთავისუფლების შემდეგ ქუთაისის დირექციის სახელზე გამოგზავნა განცხადება მასწავლებლად დანიშნის შესახებ, მაგრამ, როგორც აღვჩინებთ ალენიშნეთ, კირილუსათვის ეს მისწრაფება განუხორციელებელი დარჩა. ამის შემდეგ კირილუს სამსახური დიდხანს არ უძებნია და, მიუხედავად ცუდი ეკონომიური პირობებისა, პეტერბურგში მხოლოდ საზოგადო-სასარგებლო შრომის ეწეოდა, ლიტერატურული საქმიანობით ერის კულტურას ემსახურებოდა.

სხვათა შორის, ცნობილ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს ნ. ლოლობერიძეს ყურადღება მიუქცევია კირილუს მიერ მასწავლებლის პროფესიის არჩევანზე და ერთ ბარათში იგი კ. ლორთქიფანიძეს აღფრთოვანებული სწერს: „არ შემძლიან აქვე არ გამოგიცხადო ჩემი სიხარული, რომ შენც ამოვირჩევია თანამდებობა მასწავლებლობის. არ შეგეძლო გექნა უკეთესი ამორჩევა. ეს თანამდებობა არის ჩვენს მდგომარეობაში ყველაზე უფრო სასარგებლო და კეთილშობილი“<sup>1</sup>.

მართლაც კ. ლორთქიფანიძე ცხოვრების პირობებმა ააცლინა პედაგოგის საპატიო პროფესიას, მაგრამ თავისი ხანგრძლივი სიციოცხლის განმავლობაში ბევრი რამ გააკეთა ახალგაზრდობის აღზრდის საქმიანთვის. იგი საინტერესოა ჩვენთვის, როგორც სახელმძღვანელოების ავტორი და მოწინავე პედაგოგიური აზრების დამამყიდრებელი საქართველოში.

ორიგინალური სახელმძღვანელოებიდან აღსანიშნავია მისი „კი-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 826.

თხვა-წერის სასწავლებელი წიგნი". წიგნში მოცემულია როგორც მოსწავლეთა სასწავლო მასალა, ასევე დარიგება მასწავლებელთათვის ამ მასალის გადაცემის შესახებ. სახელმძღვანელო შედგება შემდეგი საკითხებისაგან:

1. დარიგება სასოფლო შკოლებში და ოქახებში მასწავლებლებისათვის.

2. წინასიტყვაობა.

3. საკითხავი მასალა.

ნაწევტი მოთხრობილამ „გლახის ნაამბობი“.

ანღაზები.

ნაწევტი მოთხრობილამ „კაცია-ადამიანი?!".

ლექსები „რამდენიმე სურათი...“, რაც „საქ. მოამბეში“ იყო.

რამდენიმე ზღაპარი „სიბრძნე სიცრუის“ წიგნილამ<sup>1</sup>.

ყურადღებას იქცევს წიგნის წინასიტყვაობა და ბოლოსიტყვაობა. აქ ავტორი გამოხატავს სწავლების დრომოკმეული მეთოდების მიმართ თავის უარყოფით დამოკიდებულებას და გამოთქვამს საინტერესო პედაგოგიურ აზრებს.

წინასიტყვაობაში ავტორი მასწავლებლებს ავალბებს ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომელიც ახალგაზრდობას არ შეაძლებს სწავლას. ამ მიზნით, მისი აზრით, საჭიროა, პირველ ყოვლისა, დაიგმოს ძველი სქოლასტიკური მეთოდები, რომლითაც იტანჯებოდნენ ჩვენი მამა-პაპები.

„თქვენ, რასაკვირველია, ძალიან კარგად გეხსომებათ ის დრო, — წერს კ. ლორთქიფანიძე, — როდესაც წიგნს გასწავლიდნენ. თუ თქვენც ისე გასწავლიდნენ კითხვასა და წერას, როგორც ჩვენს მამა-პაპებს, ე. ი. თუ თქვენ გეუბნებოდნენ ეს — ანიაო, ეს — ბანი, ეს — განი, ბან და ან იქნებო ბა ანუ ბან, ან-ბან და სხვა, უთუოდ გაგიძნელებოდათ წიგნის სწავლა და ამის გამო ძალიანაც შეგძულდებოდათ კითხვა-წერა, რადგანაც ამგვარად სწავლება სატანჯველია ყმაწვილისათვის. თუ კარგად მოიგონებთ თქვენს ყმაწვილობასა და ამასთანავე მამა-პაპურ ჩვეულებას ბრმაღ არ დაემონებოთ, მაშინ უთუოდ მოინდომებთ, რომ ვისაც თქვენ აწავლით, ისიც თქვენსავით არ ეწვალოს და რაც შეიძლება გონივრულად და მაშასადამე ადვილად დაისწავლოს კითხვა და წერა“<sup>2</sup>.

ბევრს რამ არის საყურადღებო კ. ლორთქიფანიძის ამ სტრიქონებში. პირველ ყოვლისა, მთავარია ის, რომ ავტორი მასწავლებელს აძლევს საშუალებას თვით გამონახოს ისეთი ხერხები, რომელიც მოსწავლეს მისცემს შეგნებულ ცოდნას და გაუადვილებს საგ-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 461.

<sup>2</sup> იქვე.

ნის შეთვისებას. კ. ლორთქიფანიძემ ამ დებულებით ფაქტიურად უარყო სქოლასტიკა, რაც ასე გაბატონებული იყო მაშინდელ სკოლებში (წიგნი შედგენილია 1869 წელს, პეტერბურგში).

კიდევ უფრო საყურადღებოა წიგნის ბოლოსიტყვაობა. აქ ავტორი თვით იძლევა შეგნებული სწავლების მაგალითებს და ხერხებს. ამისათვის მას საშარტლიანად გამოუყენებია ინფუქციის მეთოდი, კერძოდან გადადის ზოგადზე, ნაცნობიდან უცნობზე, მარტივიდან რთულზე, ნაცნობ ასოსთან უცნობი ასოს შეერთებით ადგენს სიტყვებს და ამ გზით აცნობს მოსწავლეებს ყველა ასოს. ამის შესახებ კირილე ასეთ დარიგებას აძლევს მასწავლებელს: „ჭერ მასწავლებელი აჩვენებს ყმაწვილებს ერთ ასოს და გამოთქვამს უთუოდ ისე, როგორაც ზემოთ არის ნაჩვენები. მერე გამოთქვამენ ყმაწვილები ყველანი ცალ-ცალკე. შემდეგ მასწავლებელი დაწერს ამ ასოს და ყმაწვილებიც დაწერენ... მერმეთ მასწავლებელი შეაერთებს ახალ ასოს იმ ასოსთან, რომელნიც ყმაწვილებმა იციან და დაწერეს, ყმაწვილებიც დაწერენ. ბოლოს მასწავლებელი შეადგენს სიტყვებს და მოწაფეები სწერენ ამ სიტყვებს, როცა ყმაწვილები ცოტათი გაიწვრთნებიან, მაშინ ისინი თვითონ შეადგენენ სიტყვებს, ოღონდ მასწავლებელმა უთხრას ესა და ეს სიტყვა შემიდგინეო, მაგრამ ამ სიტყვაში უცნობი ასო არ უნდა ერიოს“<sup>1</sup>.

ამავე დროს კ. ლორთქიფანიძე მასწავლებელს ავალებს, გამოიყენოს თვალსაჩინოების მეთოდი და მოსწავლეები აქტიურად ჩაებას გაკვეთილის მიმდინარეობის პროცესში.

დავალებაში აღნიშნულია: „პირველ გაკვეთილიდანვე მასწავლებელმა უნდა მისცეს ყმაწვილებს ამ წიგნის მეორე ნაწილი და აძებნინოს ის ასო, რომელიც იმათ იციან. ყოველი გაკვეთილის შემდეგ უნდა გაიმეოროს ესა. ამით ყმაწვილები შეეჩვევიან სხვადასხვა სტამბით დაბეჭდილის ერთნაირად კითხვას. თუ მასწავლებელს უნდა, რომ ყმაწვილებმა ზელნაწერის კითხვა იცოდნენ, მაშინ იმან გაკვეთილის დროს ზოგიერთი სიტყვა გამოკრილი ასოების აგებან შეადგინოს და ზოგი დაწეროს“<sup>2</sup>.

ამის შემდეგ სახელმძღვანელოს ავტორი ყურადღებას ამახვილებს სწავლების საინტერესო საკითხებზე. პირველ ყოვლისა, კირილე ჰოითხოვს მოსწავლეთა შეგნებულ კითხვას, სასვენი ნიშნების გამოყენებას კითხვის დროს, არაბუნებრივი მიმღეობითი კითხვა მას დაუშვებლად მიაჩნია: ასეთ შემთხვევაში მასწავლებელმა მოსწავლე

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ზელნაწერი № 461, გვ. 11.

<sup>2</sup> იქვე.

მანამდე უნდა ავარჯიშოს, სანამ მისი წაკითხული ჩვეულებრივ სასუბრო მეტყველებას არ დაემსგავსება.

როდესაც კირილეს ამ სახელმძღვანელოს შედგენა დაუწყია, თავზინანსა და ფრთხილ მოღვაწეს, საქართველოს თითქმის 10 წლით მოწყვეტილს, მასალუბის შერჩევის მიზნით და სხვა სახის დანაშაუბისათვის პეტრე უმიკაშვილისა და გ. წერეთლისათვის მიუშართავს.

ერთ კერძო ბარათში კირილე ამის თაობაზე პეტრე უმიკაშვილს სწერს: „... ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ანბანის ენა შენ და გიორგი წერეთელს ცოტაოდნათ გაგეშალაშინებინათ, მაგრამ არ ვიცი როგორ მოვახერხო წიგნის გამოგზავნა, ფოსტით ძალიან ძვირად ჯდება და მაქვთ მომავალი თუ ვინმე ენახე, როცა მე წიგნს დავასრულებ... კარგი იქნებოდა, რომ ზოგიერთი დარჩეული გამოცანებიც გამოგეგზავნა ჩემთვის, ამდენხანს აქ ყოფნაში დამავიწყდა, თორემ მეც ბევრი ვიცოდი. იქნება შენთვის საინტერესო იყოს და მოგწერ რა და რა სტატიები, ლექსები და სხვა არის ჭერჭერობით ჩემს ანბანში (ლექსები მალე გამოვია იოსელიანმა მითხრა...)“.

საგნები იქნება გაყოფილი ორ ნაწილად. ერთი მასწავლებელთათვის და მეორე მოსწავლეთათვის. პირველში იქნება დარიგება: 1) დარიგება თუ როგორ უნდა ასწავლონ კითხვა-წერა ხმოვანი მეთოდით. 2) გასაკვეთები (ყოჩა-ი) მაგალითებითა და დარიგებებით. 3) დიდირონი მოჭრილი ასოები. საკითხავ წიგნში იქნება: 1) სიტყვები და ფრაზები, 2) 13 გამოცანა, 9 ასახსნელი (задача), 3) 18 ლექსი, 4) 9 ზღაპარი, 5) 18 ამბავი, 6) 2 მოთხრობის ნაწილი, 7) 22 გრუპა ანდაზა, 8) 10 ლოცვა და 9) საზმები(?)<sup>1</sup>. დაახლოებით ეს შეადგენს „კაცია-ადამიანის“ ოდენა წიგნს, „კაცია-ადამიანის“ სიფართო ქალაქზე დაიბეჭდება, „კაცია-ადამიანის“ ტანის 8 თაბახს, თუ რომ იმდენივე სტრიქონი იქნება და სტრიქონში იმდენივე ასო...“

ცხადია, აქ დასახელებული ანბანის წიგნი კირილეს „კითხვა-წერის“ სახელმძღვანელოა, რომელიც მოწინავე პედაგოგიურ მოსაზრებათა საფუძველზეა შედგენილი.

ასეთივე საინტერესო პედაგოგიური მოსაზრებები აქვს კ. ლორთქიფანიძეს იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელო „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“ რეცენზიაში<sup>1</sup>.

სარეცენზიო წიგნთან ერთად კირილე არჩევს ამავე წიგნზე დაწერილ ივ. ელიოზიშვილის რეცენზიასაც, რომელიც მას იმავე წლის „მნათობში“ გამოუქვეყნებია.

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძეს გარჩეული აქვს მესამე და მეოთხე გამოცემა, „ღროება“, 1869, № 51.



რეცეპტში კირილე განახლავს ანბანის სწავლის ოთხ მეთოდს. პირველ მეთოდს იგი მიაჯუთუნებს ძველად გაბატონებულ სქოლასტიკას, რომლის დროს „საქიროა მარტო ერთი და იმავე სიტყვების ზეპირად განმეორება და ცემა-ტყევა“.

„მეორე მეთოდა, — წერს კ. ლორთქიფანიძე, — უფრო აბალია, შემოიღეს ჩვენში რუსული ანბანის წაბადებით, ამ მეთოდით ანბანის შემდეგ ასწავლაძენ მარცვლებს და მერე ასოვლებს და აწყებინებდნენ. ეს მეთოდა ვითომც ერთი ბიჯით წინ არის პირველზე, მაგრამ ეს ისევ ის პირველი მეთოდაა, ამიტომ რომ ასოების ნამდვილ მნიშვნელობას ყმაწვილი ტყობილობს მარცვლების ზეპირობით, როგორც პირველ შემთხვევაში სიტყვების ზეპირობით“.

„მესამე მეთოდა შემოიღო ჩვენში ი. გოგებაშვილმა, ამ მეთოდით სწავლება იწყება სიტყვებიდან, ყმაწვილმა უნდა ისწავლოს (ქერ რამდენიმე ათიოდე) სიტყვის წაკითხვა, მერე უნდა სიტყვებას შემდგენელი მარცვლები და ბოლოს ის ნიშნები, რომელნიც გამოხატავენ მარცვლების შემადგენელ ხმებსა“.

„მეოთხე მეთოდით სწავლება იწყება ასოებიდან, შემდეგ გადადიან მარცვლებზე და ბოლოს სიტყვებზე. ეს მეთოდა იმით განსხვავდება პირველი ორისაგან, რომ ასოებს თავდაპირველადვე ისევე გამოათქმევიანებენ, როგორათაც ისინი სიტყვებში ხმაურობენ. ამგვარად, კითხვის დროს ყმაწვილის გონება აღარ იბნევა ასოებს ხმარებისა და იმათი სახელების უთანხმოებით. ამ მეთოდს გვიჩვენებს უფ. გოგებაშვილი თავის „ანბანის“ მესამე და მეოთხე გამოცემაში“<sup>1</sup>.

კ. ლორთქიფანიძე, სხვებთან შედარებით, მეოთხე მეთოდს ამჯობინებს, ხოლო დანარჩენი სამი მეთოდი მას მიუღებლად მიაჩნია და ამის დასამტკიცებლად სათანადო საბუთებიც მოაქვს. ამავე დროს იგი ედავება ივ. ელიოზიშვილს, რომელიც მესამე მეთოდის უპირატესობის დამტკიცებას ცდილობს.

ივ. ელიოზიშვილი მესამე მეთოდის უპირატესობას იმით ამტკიცებს, რომ სიტყვების შეისწავლის დროს მოსწავლე აზრს გებულობს და ასოებს კი აზრი არა აქვსო. ამაზე კირილე უპასუხებს: თუ ეს მეთოდი „მარტო იმიტომ არის კარგი, რომ ისინი (იგულისხმება სიტყვები. — კ. შ.) რაიმე აზრს ხატავენ, რაიმე საგანს აჩვენებენ, მაშინ ჩვენ უსათუოდ უნდა მოველოდეთ, რომ ადრე თუ გვიან უფ. ელიოზიშვილი გვიჩვენებს მიემართოთ ეგვიპტელების და ძველი ამერიკელების სიმბოლოურ წერა-კითხვას. მაშინ ყოველწვე...

<sup>1</sup> „დროება“, 1869, № 51.

ასოს ექნება ის თვისებები, რომელთა გამო ის, და იქნებ უ. გოგებაშვილიც, ამჟობინებს სიტყვებიდან სწავლების დაწყებას<sup>1</sup>.

კ. ლორთქიფანიძე ცდილობს დაამტკიცოს მეოთხე მეთოდის ლპირატესობა. მისი აზრით, მარტივიდან უნდა დავიწყოთ და თანდათანობით გადავიდეთ რთულზე, ამას თვით წერა-კითხვის კანონი მოითხოვს. არსებითად, ჩვენ წერის დროს ასოებიდან ვაღვდენტ სიტყვებს, ყოველი ენა მარტივი ხმებისაგან შედგება და ამის საშუალებით ვღებულობთ სიტყვებსა და ფრაზებს.

„განა ცხადი არ არის, — წერს კ. ლორთქიფანიძე, — რომ ცალკე ასოები უფრო მარტივნი არიან და უფრო ადვილი დასასწავლნი, ვინემ რთული ასოების მწკრივები, რომელნიც გამოხატავენ სიტყვებსა?“

მაშასადამე ჩვენ უნდა „დავადგეთ მტკიცეთ“ მეოთხე მეტოდს. რომლითაც სწავლება იწყება ასოებიდან. ეს მეტოდა წერა-კითხვის კანონსაც ეთანხმება. წერა-კითხვის დროს... ჩვენ ასოებიდან სიტყვებს ვაღვდენტ; წერა-კითხვა არის გამოხატვა და გამოთქმა ასოებისა ზედინზედ, ერთის მეორის შემდეგ<sup>2</sup>.

თვით ენის ბუნებრივი განვითარებაც, კირილეს აზრით, მეოთხე მეთოდს ემთხვევა. ენება მარტივი ხმებისაგან არის შემდგარი. ჭერ მარტივი ყოფილა და შემდეგ რთული. კირილე იმაშიც ელაძება ელიოზიშვილს, რომ მას სწორად ვერ გაუგია დისტერევეგის მოსაზრება<sup>3</sup>. რომ დისტერევეგი არასოდეს არ მოითხოვდა სწავლების დაწყებას სიტყვებიდან, კირილეს მოაქვს ამონაწერი დისტერევეგის შრომიდან, რომელიც არასწორად ჰქონდა ვაგებულნი ი. ელიოზიშვილს.

დასასრულს კ. ლორთქიფანიძე თვით გოგებაშვილის სახელმძღვანელოს შესახებ აცთებს რამდენიმე არსებითი ხასიათის შენიშვნას.

კირილე დაღებითად ახასიათებს „ანბანის“ სახელმძღვანელოს შესამე და მეოთხე გამოცემას, რადგან ამ გამოცემებში ი. გოგებაშვილს სწორედ ეს მეოთხე მეთოდი გამოუცხადებია სავალდებულოდ, მაგრამ ამჩნევს ზოგიერთ ნაკლსაც:

პირველი ნაკლი, კირილეს აზრით, ის არის, რომ ავტორი მასწავლებლებს არ ურჩევს, სწავლება მოსამზადებელი ვარჯიშით დაიწყონ მეექვსე წლიდან, რასაც დისტერევეგი მოითხოვდა.

მეორე ნაკლი ის არის, რომ ასოების გაცნობა ხდება ჩვე-

<sup>1</sup> „დროება“, 1869, № 51.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ადოლფ დისტერევეგი (1790—1866), გერმანელი პროგრესისტი პედაგოგი.

ულებრივი ანბანის რიგის მიხედვით. „მაშინ, როდესაც საჭირო იყო, რომ შემდგენელს მიეღო მხედველობაში ასოების გამოთქმისა და გამოხატულების სიმარტივე და სიადვილე“.

მესამე ნაკლად მიჩნეულია ის, რომ „ანბანი არ არის გაყოფილი იმდენ „გასაკვეთად“, რამდენიც საჭიროა. ცხადია, რომ ერთგაკვეთილზე ყმაწვილს არ შეუძლია დაიხსომოს, როგორც გამოთქმით, ისე გამოხატულებით ორზე ან სამ ასოზედ მეტი. ამ „ანბანში“ კი თითო „გასაკვეთი“ შესდგება ხუთი-ექვსი ასოსაგან“<sup>1</sup>.

ამის შემდეგ ყ. ლორთქიფანიძე მთავარ ყურადღებას მასწავლებელზე ამახვილებს. მას სკოლაში მთავარ ფიგურად მასწავლებელი მიაჩნია და არა სახელმძღვანელო.

„მაგრამ ანბანი რაც უნდა კარგი მეტოდით იყოს შედგენილი, — წერს ყ. ლორთქიფანიძე, — ვერ მოიტანს ჭეროვან სარგებლობას, თუ მასწავლებლები კარგები არ გვყვანან. ცუდი მასწავლებელი კარგი მეტოდითაც ცუდათ ასწავლის“.

ყ. ლორთქიფანიძემ ამ რეცენზიაში იგივე აზრი გაატარა ანბანის სწავლების შესახებ, რაც მას უკვე თავის „კითხვა-წერის“ სახელმძღვანელოში ჰქონდა. კირილე თავის სახელმძღვანელოში ხომ მარტივიდან რთულზე გადასვლის მეთოდს ემყარებოდა და ამას მოითხოვდა გოგებაშვილის სახელმძღვანელოდანაც. ასე რომ, გოგებაშვილის „ანბანზე“ დაწერილი რეცენზია იმავე 1869 წელს კირილეს მიერ პეტერბურგში შედგენილი „კითხვა-წერის“ სახელმძღვანელოს ძირითად დებულებას გამოხატავდა.

როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, კირილეს ეს რეცენზია ბევრს მოსწონებია და თვით გოგებაშვილსაც ზოგი რამ გაუთვალისწინებია ამ შენიშვნებიდან.

ამ სტატიის თაობაზე „დროების“ რედაქტორი ს. მესხი კირილეს პეტერბურგში სწერს: „შენი სტატია, ჩემს გარდა სხვებსაც ბევრს მოეწონა, გოგებაშვილმა მიიღო ცნობაში ზოგიერთი შენი შენიშვნები და დარიგებები; განსაკუთრებით მოსწონს იმას შენი „მანერა написания და ზედმეტი ფრაზების არყოფნა შენს სტატიაში“. მაგრამ ს. მესხი მაინც უსაყვედურებს კირილეს სტატიის შიმშრალის შესახებ. წერილის შემდეგ ნაწილში იგი წერს: „ჩემის მხრით შევნიშნავ მხოლოდ ერთს (ამას შენც მიმხვდარხარ) შენი ქირიმე, კირილე, უფრო მეტი სიცოცხლე, შუშხი და ნაკლები სიმშრალე, დარწმუნებული იყავი, რომ ამას იმითომ ვამბობ, რომ ვიცი „დროების“ მკითხველების და საზოგადოთ ჩვენი საზოგადოებას ხაიითა. ნუ მეტყვი, საგანი იმისთანა არისო, რომ იმაზე შუშხიანად

<sup>1</sup> „დროება“, 1869, № 51.

ლაპარაკი შეუძლებელი არისო. შენ კარგად იცი, ყოველ საგანზე შეიძლება ცხოველათაც და მშრალათაც სჯა. იქნება შენ მითხრა: უსულო საგნის გაცოცხლებას ნიკი უნდაო; მე მგონია მაგდენი არა: ვისაც საზოგადოთ წერა შეუძლია, იმას ცოცხალი, მკვანხე სიტყვეების ხმარება და გადაკვრით по поводу ლაპარაკიც არ გაუჭირდება მაგდენად“<sup>1</sup>.

კ. ლორთქიფანიძე საპასუხო წერილში ცდილობს თავის მართლებას და მიზეზებსაც ასახელებს. თუმცა ს. მესხი მას წინასწარ აფრთხილებდა, რომ ასეთ მიზეზებზე ლაპარაკი არ დაეწყო. „შენ იწერები, რომ შენი სტატია ცოცხალი არ არისო, — სწერს კ. ლორთქიფანიძე ს. მესხს, — მაგრამ მე პატივსაცემი საბუთები და მიზეზები მაქვს, რომ სტატია ასე მშრალი გამოვიდა“. და ამის შემდეგ ჩამოთვლის მუხლობრივად ამ მიზეზებს:

„1. საგანი. ანბანის მეთოდზე რა უნდა მეთქვა სხვა, რითი უნდა გამეცოცხლებინა, შენ ამბობ, რომ ყოველ რიგზე შეიძლება მკვანხე და გადაკრული სიტყვების ხმარებაო. მაგრამ უმიზეზოთ და უმიზნოთ მკვანხეთ გადაკრულ ლაპარაკს მე ვერ მოვახერხებ.“

2. მწერლის ხასიათი. მე არ შემიძლია მახვილობა და თუ ვიმახვილე, გამოვა გაუთლელი რამე, მაშ სჯობია მახვილობას თავი დავანებო.

3. გუნება. არ შევიძლიან წარმოიდგინოთ, რა გუნებაზედ ვიყავი, როცა ამ სტატიას ვწერდი.

4. ის ვიზედაც ვწერ. გ. წერეთელმა მითხრა, რომ გოგებაშვილი იმისთანა ჩასაიათის კაციაო, რომ თუ თავაზიანად არ ილაპარაკე, იმაზედ შენი ნათქვამი იმას ტყუილუბრალოდ გააცხარებს და შენი რჩევები უსარგებლოდ დარჩებიანო.

თუ გოგებაშვილმა მართლაც მიიღო მხედველობაში ზოგიერთი ჩემი შენიშვნა და ჩემი წერის მანერა მიიწონა, ეს უთუოდ იმის გამო, რომ ასე მშვიდად ვლაპარაკობ. აქ ერთი უნდა გკითხო: შენ ამბობ ზოგიერთი შენიშვნებო, მაგრამ ამდენი კია ეს ჩემი შენიშვნები, რომ ზოგის მიღების შემდეგ კიდევ რამე დარჩა?“<sup>2</sup>

კირილუს ამ სტრიქონებიდან ჩანს მისი თავაზიანობა და ისიც, რომ იგი კარგად ერკვეოდა პედაგოგიკის საკითხებში და არა მარტო თვითონ ადგენდა სახელმძღვანელოებს, არამედ სამართლიან შენიშვნას აძლევდა ისეთ დიდ პედაგოგსა და სახელმძღვანელოების გამოცდილ შემდგენელს, როგორიც იაკობ გოგებაშვილი იყო.

ისიც ირკვევა, რომ აქ დასახელებული „კითხვა-წერის“ სახელ-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 648.

<sup>2</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 570.

მძღვანელო კირილეს შეუდგენია ბარონ-კორფის მეთოდითა და გაე-  
ლენით. ამის თაობაზე კირილე თავის ნათესავს მიხეილს სწერს:  
„როცა ამის ბეჭდვა გათავდება (იგულისხმება ილიას „კაცია-აღამი-  
ანი? — კ. შ.), მზად გვექნება არითმეტიკა უფ. მერჩონსკისა და ან-  
ბანი ბარონ-კორფის მეთოდით შედგენილი...“<sup>1</sup>

საინტერესოა ისიც, რომ როგორც ამავე წერილშია მოხსენებუ-  
ლი, კირილეს შეუდგენია თუ უთარგმნია მათემატიკის სახელმძღ-  
ვანელო მერჩონსკის წიგნის მიხედვით.

მართლაც, კ. ლორთქიფანიძის არქივში დაცულია მეტად თავი-  
სებურად შედგენილი მათემატიკის სახელმძღვანელო. ხელნაწერი  
შეიცავს 81 გვერდს და შედგება სამი თავისაგან<sup>2</sup>.

სხვა წერილში კირილე ლაპარაკობს სულდაკოვის წიგნის თარ-  
გმანზე: „იანუარში მე გადაეთარგმნე სულდაკოვის ერთი პატარა  
წიგნი, რომელიც შენც წაგიკითხავს, ეს ნათარგმნი იქნება ჯერ და-  
ბეჭდილი ქართულ გაზეთში და მერე ცალკე წიგნათ ნაბატებიურთ.  
ამ წიგნში თუ გახსოვს არის საზოგადო ცნობები ასტრონომიაზე,  
გეოლოგიაზე, მცენარეებზე, ცხოველებზე და კაცზე და სხვა...“<sup>3</sup>

ეს ნათარგმნი წიგნი უნდა იყოს „ნარკვევი ბუნების  
ცხოვრებელნი“. ხელნაწერი შეიცავს 195 გვერდს, სუფთად გა-  
დაწერილს და შიგადაშიგ ჩასწორებულს. ეტყობა, წიგნი გამზადე-  
ბულია სტამბაში გასაგზავნად<sup>4</sup>. შრომა შედგება 12 თავისაგან, საკით-  
ხები თავების მიხედვით ასეა განლაგებული:

1. რა რიგად გავრცელდა ქვეყანაზე წერა-კითხვის ცოდნა.
2. მზე და ვარსკვლავები.
3. ბუნების ძალები.
4. ჰაიერი და წყალი.
5. ხმელეთი.
6. მცენარეები.
7. მცენარეები და ცხოველები.
8. ცხოველები.
9. ცხოველების ოჯახი და საზოგადოებრივი ცხოვრება.
10. ცხოველები და კაცი.
11. კაცი.
12. კაცის საზოგადოებრივი ისტორია<sup>5</sup>.

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი №466.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 476.

<sup>5</sup> კირილეს არქივში აგრეთვე დაცულია ამ წიგნის შავი, ხელნაწერი № 562.

წიგნი პოპულარულ-მეცნიერულ სერიას მიეკუთვნება და ისე საინტერესოდ არის დაწერილი, რომ დღევანდელი მკითხველიც სიამოვნებით წაიკითხავს. ეტყობა, ეს წიგნი დაბეჭდილი არ უნდა იყოს, შრომას არავითარი განმარტება არ ახლავს. ამდენად საეჭვოა, რომ ეს წიგნი სასკოლო სახელმძღვანელო იყოს. მაგრამ, ცხადია, ავტორს იგი ახალგაზრდა მკითხველებისათვის ჰქონდა განკუთვნილი.

კ. ლორთქიფანიძეს შედგენილი აქვს აგრეთვე ისტორიის სახელმძღვანელო, სადაც მოცემულია საგნის განსაზღვრა და წყაროები<sup>1</sup>. კ. ლორთქიფანიძისათვის სასკოლო სახელმძღვანელოების შედგენა ძნელი საქმე იყო, რადგან იგი არ იცნობდა სკოლას, და არც ის ვიცით, პრაქტიკულად რა როლი შეასრულა ამ სახელმძღვანელოებმა ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამით კირილეს სურდა დაემტკიცებინა ზოგიერთი უვიცი რუსი ჩინოვიკისათვის, რომ ქართულ ენაზეც შეიძლებოდა სახელმძღვანელო წიგნების შედგენა და მეცნიერული აზრის გამოთქმა.

ამავე დროს კ. ლორთქიფანიძე მკაცრად აკრიტიკებდა სკოლატიკურსა და ცხოვრებისაგან მოწყვეტილი სახელმძღვანელოების ავტორებს. მაგალითად, მისი აზრით, ისტორიის სახელმძღვანელოს ავტორი კმაყოფილებოდა იმით, რომ მოსწავლეს ესწავლა მაკედონელისა და ნაპოლეონის სახელები და გარდაცვალების წლები; გეოგრაფია მოსწავლეებს ზერეულად აწვდიდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში არსებული ქალაქების შესახებ ცნობებს და ბოტანიკის სახელმძღვანელოს სარგებლობა იმაში გამოინატებოდა, რომ ახალგაზრდებს შეასწავლიდა ზოგიერთი მცენარის სახელწოდებას.

კ. ლორთქიფანიძე ირონიულად ეკითხება სკოლების მესვეურებს: „განა არ იცით რას ასწავლიან ჩვენს გიმნაზიაში?“ და იქვე იძლევა ვრცელ და მოხდენილ პასუხს: „მოგახსენებთ: 1. საქებ რიტორიკას, რომელშიაც არ მოიპოვება არც თუ ერთი ქვეშარტების ნატეხთავანი და რომელიც სულ სხვა გზაზე აყენებს ჭკუასა და ცნებას.

2. საქებ ზუევის საზოგადო ისტორიას, რომელიც სავსეა სახელებით და წლებით, რომელშიაც ერთ ცხოველს აზრს ვერ იპოვის კაცი. „უკეთესი სახელმძღვანელო აბა რა საქიროა, ხომ ეცოდინებათ ყმაწვილებს ალექსანდრე მაკედონელისა და ნაპოლეონის სახელები, ეცოდინებათ როდის დაიბადნენ ისინი, სხვა რა საქიროა“. ასე ქადაგებდნენ ჩვენი სიბრძნით სავსე მასწავლებლები.

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 609.

3. დიდი მშვენიერის აბადოევსკის გეოგრაფიას, რომელიც გვეუბნება ამ ქვეყნის კუნძულში ესა და ეს ქალაქი და ამა და ამ ქალაქში ავტურხანააო.

4. უფალ ბაზოვსკის ბოტანიკას, რომელმაც აზრის გახსნის არა იცის რა, მართო ხეების სახელების მეტი... და ორი ათასს სხვა საგნებს. ამდენი საგნები მისთვის არის, რომ მრავალი ფაქტები დაისწავლონ ყმაწვილებმა, თავი გაიტენონ წლებით და კაცების და ადგილების სწეულების სახელებით და რიტორიკის შემწეობით ტვინი აირიონ. ეს არის სასარგებლო გვიქადაგებენ და მით გვაძაგებენ სწავლას ჩვენი მასწავლებლები<sup>1</sup>.

კ. ლორთქიფანიძე არა მართო უხეირო სახელმძღვანელოების წინააღმდეგ ილაშქრებს, არამედ მკაცრად გმობს მაშინდელ სასკოლო სისტემას და მახინჯ სააღმზრდელი მეთოდებს.

ცნობილია, რომ თერგდალეულებმა აკაკი და გ. წერეთლებმა ძლიერ მუქი ფერებით დახატეს ქუთაისის გიმნაზია და მასში გამეფებული სასწავლო რეჟიმი. კ. ლორთქიფანიძე, მართალია, კონკრეტულად ქუთაისის გიმნაზიაზე არ ლაპარაკობს, მაგრამ ასევე მკაცრად აქვს დაგმობილი გიმნაზიაში გაბატონებულ ცემა-ტყეპაზე და მონურ დისციპლინაზე დამყარებული სასწავლო სისტემა. კირილეს აზრით, იმის ნაცვლად, რომ გიმნაზიელებს წესიერ გზაზე აყენებდნენ და სწავლას სარგებლობა მოჰქონდეს, სინამდვილეში პირიქით ხდება, სკოლას სარგებლობაზე მეტი ვნება მოაქვს აბალგაზრდობისათვის.

„ვინ იტყვის, რომ გიმნაზიის სწავლა საზოგადოდ სასარგებლო არ იყო, მიუცილებელი საჭიროა კაცისათვის, მაგრამ... სარგებლობის ნაცვლად, ვნებას აძლევს ყმაწვილებს ზემოხსენებული გიმნაზიები, იმ მდგომარეობით, რომელშიაც ისინი არიან“<sup>2</sup>.

ამის მიზეზი, კირილეს აზრით, ის იყო, რომ ყმაწვილებს გაუგებარა ფრაზებს ასწავლიდნენ და ცემა-ტყეპით აშინებდნენ.

„წარმოიდგინეთ ყმაწვალის მდგომარეობა, — წერს კ. ლორთქიფანიძე, — რომელსაც სახაზავის თავში და ხელებზე ცემით ასწავლიან რუსულის კითხვას. წარმოიდგინეთ, რომ მას წანაკითხი არ ესმის, არა თუ კითხვის სწავლების დროს, საგნების სწავლების დროსაც. თითქმის მეხუთე კლასამდის არ ესმის კარგად რას სწავლობს... მისთვის კი არ სწავლობს ის, რომ ესმოდეს და დასტკბებოდეს გიმნაზიის სიბრძნის ხელმძღვანელობით, სწავლობს მხოლოდ

<sup>1</sup> „საქართველოს მოამბე“, № 4, აგრეთვე — იხ. კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 608, გვ. 5.

<sup>2</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 608.

იმისათვის, რომ ხვალ ან გალახავენ, ან უსადილობა მოეღოს... ამ მდგომარეობაში მყოფი, რასაკვირველია ცუდ აზრს მიიღებს სწავლაზედ, შესაძლებელია არა თუ ის სწავლა, რომელიც მას აქვს მამის და რომელიც ქვეყნისათვის შესაძლებელია, შესაძლებელია საერთოდ სწავლა... ერთი სიტყვით, გიმნაზია მათთვის არის სწავლების ბრძანება, რომელსაც ძნელად გადაურჩება ყმაწვილი კაცი და თუ გადაურჩა, სიცოცხლე მოკლებული გამოვა იქედამ<sup>1</sup>.

კირილუს აზრით, არც ჩვენს მამებს აქვთ დიდი მოთხოვნები აღზრდაზე. თუ მათმა შვილებმა არზის დაწერა ისწავლეს და სასამართლოს საქმეების წარმოება მოახერხეს, სხვას აღარ დაეძებენ.

„თუ ყმაწვილებმა თავი გაივსეს იმ ნაკლებით, რომელიც სუფევს ჩვენი გიმნაზიების სახელმძღვანელოებში, გაფილოფოსდებიანო, თუ არზის დაწერა ისწავლეს და კარგი ხელი აქვთ, მეტი რა საჭიროა... ამ წიარ სწავლას, როგორც ესაა არის ჩვენს გიმნაზიებში, არაფლის სარგებლის მოტანა არ შეუძლია ცხოვრებაში... მისი მოქმედება ეხლანდელ გიმნაზიის სისულელებთან მამინალური დაზიანებაა, აზრი მისი წამხდარია და სასწავლებლოდან გამოსვლის შემდეგ ის კაცი კი არ არის, როგორც უნდა იყოს, რაღაც სხვა არსებაა...“<sup>2</sup>.

ამის მიზეზს კირილუ თვით სასკოლო რეჟიმში ხედავს. ცემით აიძულებენ ბავშვს ისწავლოს, დასჯის შიშით აკითხებენ წიგნს და ამდენად სწავლა იქცევა სასჯელად და სატანჯველად. ცხადია, ბავშვი სამუდამოდ შეიძულებს წიგნსაც და სკოლასაც.

„სწავლა მათთვის, — წერს კირილუ, — სწავლა კი არ არის, აჯახელია. ხშირ-ხშირად ცხვლებ და ამისათვის ურტყამენ თავში, უთუოდ თავში, რა უნდა ისწავლოს ამისთანა მდგომარეობაში მყოფმა ყმაწვილმა, ერთი მიზრძანეთ? ჰირივით არ შეძლებს კითხვა?... მას დასასჯელად ორჯერ და სამჯერ მეტ ხანს აკითხებენ და ამას გარდა აფრთხილებენ, არ იეშმაკო... თორემ დილიდან საღამომდე გაკითხებთ წიგნსო. ცხადად ჩანს ამ ორი მავალითიდანაც, რომ კითხვა მათთვის სასჯელი არის. არა სჯობს, რომ ისე შეაგონონ ყმაწვილს, თუ რა არის კითხვა და რა სიამოვნებას მიიღებს შემდგომში ამბების შეტყობით და სარგებლობას მეცნიერებით? არა სჯობს, რომ კითხვა მათთვის სასიამო იყოს ისე, როგორც სათამაშოა?

<sup>1</sup> „საქართველოს მოამბე“, № 4, აგრეთვე კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 608.

<sup>2</sup> იქვე.



ძით შეუყვარდება ყმაწვილს კითხვა, თვითონ დაუწყებს დედან  
თხოვნას, რომ საკითხავე წიგნი მისცეს<sup>1</sup>.

კ. ლორთქიფანიძის აზრით, მოსწავლისათვის ყველაზე დიდი  
უბედურებაა, რომ სასწავლებელში შესვლისთანავე მისთვის გა-  
უგებარ ენაზე დააწყებინებენ სწავლას, ამ ენაზე უნდა შეისწავლოს  
სასწავლო საგნები. ჭერ ქართული ანბანიც არ იციან და უცხო ენა-  
ზე ელაპარაკებიან.

„ნახევარმა ყმაწვილებთაგანმა, — წერს კირილე, — გიმნაზიაში  
შესვლის დროს არ იციან არა თუ რუსული კითხვა, წერა და ენა  
(...) ქართული ანბანიც არ იციან“. ასეთ პირობებში ცემის შიშით  
იზებირებენ ფრაზების ნაწყვეტებს, რომლის შინაარსის არაფერი  
გაეგება მოსწავლეს. ცხრა წლის განმავლობაში მხოლოდ მშრალ  
ფაქტებს იზებირებს. „მაგრამ ვინ იტყვის, — წერს კირილე, — მშრალ-  
ლი ფაქტების სწავლით, ნამეტანი თავის ტეხით აზრი ესპომებოდეს  
ყმაწვილს? ზოგს აზრი უჩლუნვდება. უნივერსიტეტში შესვლამდია  
კაცები არა ვართ და თუ ვართ, რაღაც ჭირში და უბედურებაში, ისე  
რომ თავის თავს ვერა ვცნობთ, ვგავართ მეხანიკურ მაშინას, კაცობ-  
რივს, მაგრამ მკედარს მოქმედებაში, ვგავართ ლოკომოტივს, რო-  
მელიც ბრძანებისამებრ მიდის რახა-რუხით და ჩერდება“<sup>2</sup>.

კირილეს აზრით, ამას ისიც ემატება, რომ ზოგიერთი სასწავლე-  
ბელი მტარგალად და სულთამბუთავად ევლინება მოსწავლეს, მისი  
დანახვა შიშის ზარს სცემს ახალგაზრდობას და აბა აეთი მასწავლე-  
ბელი როგორ შეაყვარებს ახალგაზრდობას სწავლას? მაგრამ საინ-  
ტერესოა ისიც, რომ კ. ლორთქიფანიძე პედაგოგთა ასეთ უხე-  
ირო კორპორაციაში განსაკუთრებული პატივისცემით იხსენიება  
თავის ერთ მასწავლებელს, რომელმაც კეთილშობილებით, ღრმა  
პედაგოგიური სინდისით ახალგაზრდობა და მათ შორის კირილევ  
დალუპკისა და ზნეობრივი სიკვდილისაგან იხსნა.

„...მარტო ერთი მასწავლებლიდან ვარ ვალდებული, — წერს  
კირილე, — რომ სრულიად არ დავიღუპეთ მე და ჩემი ამხანაგები.  
იმ ერთს გარდა სხვები რომ ჩავქოლოთ, უმართლო არ ვიქნებით.  
ხოლო იმ ერთის სახელს კი ისე სიამოვნებით და იმისთანა გრძნო-  
ბით წარმოვთქვამთ ჩვენს სიცოცხლეში, როგორც სასარგებლოსა  
და კეთილის მასწავლებლის... მხოლოდ მისგან გვესმოდა ცხოველი  
სიტყვა. დიდად ეწუხვარ, რომ უგულითადესი უკანასკნელი მად-  
ლობა ვერ ვუთხარი მას. მაგრამ თუ ახალი შთამომავლობის გაზრ-

<sup>1</sup> „საქართველოს მოამბე“, № 4, აგრეთვე კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელ-  
ნაწერი № 608.

<sup>2</sup> იქვე.

დას დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის მყოზადისათვის, ჩვენი შვილები შენდობას. შეუთვლიან იმ კაცს, რომელსაც გალაურჩენივართ ზნეობითი სიკვდილისაგან“<sup>1</sup>.

სამწუხაროა, რომ კირილე ამ მასწავლებლის გვარს არ ასახელებს. შეპაძლებელია ეს მასწავლებელი აკაკი წერეთლის მიერ შექმნილი ტროფა. აკაკიც ხომ დიდი სიყვარულით იგონებს ტროეს, რომელმაც ერთხელ იგი გაროზგვას გადაარჩინა სკოლაში მჭადის მოტანის გამო. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ აკაკი და კირილე ლორთქიფანიძე ერთ კლასში სწავლობდნენ.

დიდია კ. ლორთქიფანიძის როლი რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. იგი აშკარად გამოდიოდა პრესაში და საზოგადო კრებებზე რუსი ჩინოვნიკების წინააღმდეგ, რომლებაც სკოლებში ქართული ენის სრულ გაუქმებას მოითხოვდნენ. ამ მხრივ საინტერესო მოვლენაა კ. ლორთქიფანიძის მოუხრიდებელი ბრძოლა შავრაზმელი სემეონოვის წინააღმდეგ.

სემეონოვი „ამტიციებდა“, რომ ქართველები კარგად სწავლობენ რუსულ ენას და სჯობია, რუსულად ისწავლონ და ქართულს თავი დაანებონ. ამ უხამსი დებულების დასამტკიცებლად მას მოჰქონდა ერთი ქართველი მღვდლის მაგალითი. მას უთქვამს: „...მე ვიცი ერთი კარგი ნასწავლი მღვდელი, რომელსაც თხოვეს დასაფლავების დროს ქართული სიტყვის თქმა. ქართულ ენაზე მან სიტყვა ვერ თქვა და რუსულად მშვენიერ სიტყვას იტყოდა. თუ კი ანუ გადავიღებთ ქართველებს რუსული ენა, ის არ სჯობია, რომ საგანიც ამაზე ისწავლოთ?“. თანაც იგი თავის მოსაზრებას იმით ამართლებდა, რომ ქართულ ენაზე სახელმძღვანელოები არ არისო, როგორ შევიძლიათ თქვენ საზოგადო ისტორია, გეომეტრია, გეოგრაფია და სხვა საგნები ქართულ ენაზე ისწავლოთ. მაგრამ კ. ლორთქიფანიძეს იქვე უპასუხნია: „თუ არა გვაქვს, მალე გვექნებაო“. და კორესპონდენტი განაგრძობს: „ამის შემდეგ (იგულისხმება სემეონოვის გამოსვლის შემდეგ. — კ. შ.) წარმოსთქვა ბ. კირილე ლორთქიფანიძემ მშვენიერი სიტყვა, რომლითაც ბატონ სემეონოვის სიტყვები ფაქტიურად და აშკარად გაამტყუნა. ეს სიტყვა მშვენიერად დაწყობილი, მოსაზრებულ და გასაგები იყო. იმან ყველა მსმენელები ისეთ აღტაცებაში მოიყვანა, რომ ერთად დაიძახეს: „ბრავო! ბრავო“<sup>2</sup>.

და ვინ მოთელის, რამდენჯერ ასე თავგამოდებით დაუცავს

<sup>1</sup> „საქართველოს მოამბე“, № 4, აგრეთვე კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 608.

<sup>2</sup> „დროება“, 1880, № 204.

კ. ლორთქიფანიძეს შავრაზმელი ჩინოვნიკებისაგან ქართული ენა და მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურა.

მას კარგად ესმოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართულ ენაზე სახელმძღვანელოს შედგენას, რომ ამით ქართველი პატრიოტები უმტკაცებდნენ სემეონოვებსა და იანოვსკებს, რომ ქართულ ენაზეც შეიძლებოდა მეცნიერების სწავლა და სახელმძღვანელოების შედგენა.

როგორც აქ მოტანილი დოკუმენტები მოწმობს, კ. ლორთქიფანიძე ღრმად ერკვეოდა პედაგოგიკის საჭირობოროტო საკითხებში და გაბედულად იბრძოდა რუსიფიკატორული პოლიტიკისა და სკოლასტიკის წინააღმდეგ.

### კ. ლორთქიფანიძე და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება

კ. ლორთქიფანიძე ქუთაისში და საერთოდ დასავლეთ საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დასაყრდენი ძალა იყო. წერა-კითხვის საზოგადოების სკოლების გახსნა, სკოლებისათვის მასწავლებლების შერჩევა, ამ ხაზით წიგნების გამოცემა და მისი რეალიზაცია, წევრების შემოკრება და მათთან მუშაობა, ანარიცხების აკრება და სხვა სახის სამუშაოები კ. ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით სრულდებოდა.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ხშირად აწარმოებდა ამ საკითხზე ოფიციალურ მიმოწერას კირილესთან და ჩამოდიოდა ქუთაისში საზოგადოების საკითხების მოსაგვარებლად. აქვე მოეიტანთ ერთ ასეთ დოკუმენტს: 1895 წლის 3 მკათათვის თარიღით (№ 136) ილაა ჭავჭავაძე თბილისიდან კირილეს ავალებს საწევრო ანარიცხების აკრებას და საორგანიზაციო საქმეებას მოგვარებას. „მოწყალეო ხელმწიფე! წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა გიგზავნის რა ამასთანავე საზოგადოების წევრთა ზიჯა, უმორჩილესად გთხოვთ არ დააკლოთ მეცადინეობა საწევრო ფულის შეგროვებისათვის იმ წევრთა შორის, რომელნიც თქვენმა მაზრაში არიან.

რადგან გამგეობა აპირებს ახალი სააგენტო დავთრების და წევრთა სიების დაბეჭდვას, ამიტომ იგი უმორჩილესად გთხოვთ გამოგზავნოთ ყოველი სააგენტო დავთრები, რომლებიც აქამდის მიგიღიად გამგეობისაგან და აგრეთვე გვაცნობოთ:

1. საიში მოხსენებულ წევრთა შორის ხომ არავეინ მოიპოება ისეთი, რომელსაც არ სურს საზოგადოების წევრობა.

2. სწორი აღრესი იმ წევრთა, რომელთაც თქვენ იცნობთ.

საზოგადოების თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე.

მდივანი დ. კარიჭაშვილი<sup>1</sup>.

ეტყობა, კირალეს, როგორც საზოგადოების რწმუნებულს. ორგანიზაციული საკითხების მოგვარება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობიდან ილიას ზემოთ მოტანილი ბარათის მიღებამდეც ჰქონია დავალებული.

1887 წლის 3 თებერვლის თარიღით კ. ლორთქიფანიძე ვინმე ზორის გრიგორის ძეს სწერს: „...უმორჩილესად გთხოვთ მიბძოთ ამ 1887 წლას შემოსატანი საწევრო ფული ექვსი მანეთი და ამათანავე წინა წლების შესაგებად ოთხი მანეთი, სულ 10 მანეთი, რომლის მიღებისთანავე თქვენ მოგერთმევთ ჩემგან კეროვანი კვიტანცია. წევრი დამზმარებელი კ. ლორთქიფანიძე“<sup>2</sup>.

კ. ლორთქიფანიძის ავტორიტეტისა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობაში მისი მონაწილეობის შესახებ საინტერესო დოკუმენტია კირილეკადმი გამოგზავნილი იაკობ ჯოგებაშვილის ერთი ბარათი.

ბარათიდან ჩანს, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ძველი სენაკის სკოლაში დირექტორს მოუთხოვია ქართული ენის გაუქმება. ეს ამბავი რომ გაუგიათ თბილისში, სასწრაფოდ მოუწვევიათ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კრება საზოგადოების თავმჯდომარის ილია ჭავჭავაძის გარეშე (ილია ამ დროს ქუთაისში ყოფილა). კრებას შეუდგენია სენაკის სკოლის დირექტორისადმი საპროტესტო წერილი და რუსულ პრესაში გამოსაქვეყნებელი სტატია. მაგრამ სანამ ეს დოკუმენტები დანიშნულებისამებრ გაიგზავნებოდა, ი. ჯოგებაშვილი კრების დავალებით ტექსტის შევებს უგზავნის კირილეს და თან სთხოვს, წაიკითხოს და აგრეთვე წააკითხოს იქაურ განვითარებულ მეგობრებს და თუ რაიმე ცვლილების შეტანა იქნება საჭირო, აცნობონ სასწრაფოდ საზოგადოებას. აი წერილიც:

„უპატივეცემუღესო კირილე ბეჟანის-ძე!

გუშინ საღამოზე მოხდა ერთი (კერძო) კრება, რომელმაც დამავალა გამომეგზავნა თქვენთვის დაუყოვნებლივ:

1. შავი ქალაღისა, რომელიც არის შედგენილი ბაჟუხად დირექტორის მოთხოვნისა, რომ ძველის სენაკის სააზნაურო სკოლაში ქართულს ენაზედ სწავლება მოსპობილ იქნას და

2. პირი ერთი რუსული წერილისა, რომელსაც საგნად აქვს სა-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 1049.

<sup>2</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 1151.

მეგრელოს სკოლების ახლანდელი სამოსწავლო გეგმა და რომელიც უკვე მოსამენილი გაქვთ (შემოკლებით) წარსულს შემოღდგომაზე უჩემს ყოფნის დროს ქუთაისში. საერთოდ აქაურები გთხოვენ მანდაურებაა ერთი ქალაქი და მეორეც გულდადებით გადაიკითხოთ განვითარებულ მეგობრებთან ერთად და შეგვატყობინოთ: ამგვარი ქალაქის გაგზავნა დირექტორის პასუხად თქვენი აზრით ხერხიანი იქნება თუ არა? ამ წერილის დაბეჭდვა რომელსამე რუსულს გაზეთში ხომ სასარგებლო იქნება? თუ რაიმე ცვლილებანი საჭირონი არიან ან ერთში ან მეორეში, რაში უნდა მდგომარეობდეს ეს ცვლილებანი?

გარდა ამისა, რადგანაც სამეგრელოს თავად-აზნაურობის სურვილს შესახებ სწავლის მოწყობილობისა ძველს სენაკის სკოლაში უპირველესი, საქმის გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ მიუხედავად საჭიროა, რომ მან თავისი საერთო სურვილი, უკვე ყველგან ცნობილი და ძველი სენაკის სკოლის დაარსების დროს გამოცხადებული, ერთხელ კიდევ საქვეყნოდ გამოაცხადოს წლევეანდელ საბანკო კრების დროს. და აღიაროს, რომ ჩვენი სკოლისათვის ვდებთ ფულს იმ პირობით, რომ იქაც სწავლა მიდიოდეს ქართულს ენაზედ, როგორც ქუთაისის და თბილისის სააზნაურო სკოლებში მიდისთქო. ამისათვის საჭიროა სმეტის დამტკიცების დროს დამატოს ერთი ვრცელი წინადადება. ქალაქების გამოგზავნა დაგვიანდა იმის გამო, რომ ჩვენ სრული იმედი გექონდა ი. ჭავჭავაძისა, რომელიც ახლა ქუთაისშია, მაგრამ გუშინდელს კრებაზე შიში აღიძრა, ვაი თუ ჭავჭავაძემ, რომელიც სრულიად სხვა საქმეზეა წასული ქუთაისში, ეს საგანი დაივიწყოს და მარჯვე შემთხვევა ხელიდან გაგვოსლტესო. მაინც და მაინც ამათი გამოგზავნით არა დაშედეგა.

გთხოვთ ქალაქები დაგვიბრუნოთ ერთი კვირის განმავლობაში. თუნდაც ი. ჭავჭავაძის ხელითა. კარგი იქნება, ვგონებ, რომ კოპიოები გადააწერინოთ (ეს ერთი დღის საქმეა) და დაიტოვოთ მანდაც და სამეგრელოშიაც ორიოდე ეგზემპლარი გააცნოთ. თქვენი მარად პატივისმცემელი იაკობ გოგებაშვილი, 13 მაისი, 1887 წ. <sup>1</sup>.

როგორც ვიცით, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და სათავადაზნაურო ბანკი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში თავის ხარჯზე ხსნიდა სკოლებს იმ მიზნით, რომ ამ სკოლებში მაინც ყოფილიყო სწავლება ქართულ ენაზე. მაგრამ, როგორც ჩანს, ძველი სენაკის სკოლის აღმინისტრაციას ქართული ენის უარყოფა განუზრახავს და ამან გამოიწვია ქართველი ინტელიგენციის ასე ერთ-

<sup>1</sup> ქ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 890.

სულოვანი დარაზმვა თავგასული დირექტორის წინააღმდეგ, და ამ საქმეში გარკვეული როლის შესრულება კირილესაც დაევალა. რუსიფიკატორული პოლიტიკის გამტარებელნი ამ მხრივ განსაკუთრებით სამეგრელოს მხარეს აწვებოდნენ, რადგან ამტკიცებდნენ, რომ მეგრელები ქართველები არ არიან და სამეგრელოს სკოლებში ქართული ენა არ უნდა ისწავლებოდესო.

ჯერ კიდევ 1867 წელს სამეგრელოს საკითხზე გ. წერეთელი კ. ლორთქიფანიძეს პეტერბურგში სწერდა: „...ნევეროვმა, რომელსაც ჩვენ აქ „ციკლოპს“ ვეძახით, ნამესტნიკის ხელქვეით პირებმა შეადგინეს ერთი პროექტი, რომელსაც აზრში აქვს აღმოფხვრას ჩვენი სახსენებელი საქართველოს არეზედ... არავითარი ხეირანი აზრის გამოთქმის საშუალებას არ გვაძლევენ... ქართულ ენას სდევნიან; ამტკიცებენ სტატიებით, რომ მეგრელები სულ სხვა ტომისანი არაიო და უნდა სხვაგვარი ანბანი შეუდგინოთო...“<sup>1</sup>

ძნელი წარმოსადგენია, თუ რა პირობებში უხდებოდათ ქართველ მოღვაწეებს ბრძოლა ეროვნული კულტურისა და თვითმყობადობის შენარჩუნებისათვის, რა რთულ წინააღმდეგობებსა და დაბრკოლებებს აწყდებოდნენ, და როგორც საბუთებიდან ჩანს, ამ დიდ ეროვნულ საქმეში კ. ლორთქიფანიძე გარკვეულ მონაწილეობას ღებულობდა. იგი ქართული პედაგოგიური აზროვნების, ქართული სახელმძღვანელოს შედგენისა და ენის დაცვის კეთილშობილურ საქმეში ყოველთვის გვერდში უდგა მოწინავე ქართველ ინტელიგენციას.

აქ განხილული საკითხებიდან ნათლად ჩანს, რომ კ. ლორთქიფანიძე მტკიცედ იდგა თავისი დროის მოწინავე აზროვნების სიმადლებზე და ამ აზრებს არა მარტო თვით ითვისებდა; არამედ იბრძოდა კიდევ მასებში მისი დანერგვისათვის. იგი იცნობდა მსოფლიოს პროგრესულ იდეებს, ღრმად ჰქონდა შეთვისებული რუსეთის სამოციანელთა რევოლუციური მოძღვრება და, ამ უახლოესი საბრძოლო იდეებით შეიარაღებული, ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე შეუპოვრად იბრძოდა ჩვენი ქვეყნის აზროვნების აღმავლობისათვის.

მართალია, კ. ლორთქიფანიძე ყოველთვის ვერ იცავდა მატერიალისმის პრინციპებს, მაგრამ თუ ასეთი შეცდომა მის მასწავლებლებს მაშინდელი რუსეთის ჩამორჩენილობის გამო ეპატიებათ, ამავე მოტივით უფლება არა გვაქვს, დავამციროთ კ. ლორთქიფანიძის დამსახურება.

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 890, აგრეთვე გ. წერეთელი, ტ. 1, გვ. 414.

კ. ლორთქიფანიძე და ქართველი მწერლები

კ. ლორთქიფანიძე და რუსთველოლოგიის საპიტხვები

კ. ლორთქიფანიძე, ილია ჭავჭავაძის შემდეგ, ერთი პირველთაგანია, რომელმაც შოთა რუსთაველის ავტორიტეტის დასაცავად მკაცრად გაილაშქრა ანტონ პირველის წინააღმდეგ. გავიხსენოთ მისი სიტყვები ამ არქაისტის მიმართ: „ვინც ვეფხის-ტყაოსანს ვერ ჰპოებს დიდი პოეტისაგან დაწერილად, მე იმას პოეტად კი არა, ესთეტიკურად გახსნილს კაცადაც არ ჩავთვლი“. და რაც მთავარია, კირილე ანტონ პირველს ბრალად დებდა „ვეფხისტყაოსნის“ დაწვას. „ისტორია მოგვითხრობს, — წერს კირილე, — რომ ვეფხის-ტყაოსნის ამოღების დასამტკიცებლად შეაკრებინა ჩვენმა ანტონმა ყველა ეგზემპლარი, რაც კი იშოვა და დაწვა“<sup>1</sup>.

ასევე, ექვთიმე წერეთელზე კ. ლორთქიფანიძის მკაცრი თავდასხმის უმთავრესი მიზეზი ექვთიმესაგან ანტონის შექება იყო და კირილემ ექვთიმე წერეთელთან ერთად ანტონიც ჩაქოლა და ამით რუსთაველი ერთხელ კიდევ დაიკვა ვიგინდარა კრიტიკოსებისაგან.

მართალია, კ. ლორთქიფანიძე „ვეფხისტყაოსნის“ თეორიულ საკითხებზე არ წერდა, რადგან თავისთავს არ თვლიდა ღირსად, შეხებოდა ქართველების ამ უკვდავ გენიას, მაგრამ სხვა შავი სამუშაოების შესრულებით და მცირე სამწერლო მუშაობით ხელს უწყობდა ამ დიდი ძეგლის პოპულარიზაციას.

კ. ლორთქიფანიძე ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, როდესაც განიზრახა პეტერბურგში რუსთაველის სურათის მასობრივი ტირაჟით გამოცემა. მას განზრახული ჰქონდა სურათი დაეხატვინებინა და შემდეგ გაეგზავნა საზღვარგარეთ ცინკოგრაფიაში ლითონზე მოსაჭრელად. ამისათვის შეადგინა ხარჯთაღრიცხვა და სამოქმედო გეგმა; დაუკავშირდა იმ დროს მიუნხენში მყოფ ალ. ცაგარელს და დაწვრილებით შეისწავლა საქმის პრაქტიკული მხარე.

ერთ პირად ბარათში კირილე ამის თაობაზე მიხეილს სწერს: „რაც შეეხება რუსთაველის სურათს, უნდა გითხრა, რომ ხუთასი ეგ-

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1862, № 4.

ზემპლიარის გამოცემა დაჯდება 150 მანეთი. ჯერ სურათი უნდა და-  
ინატოს კარანდაშით ძალიან კარგად... უნდა გაიგზავნოს საზღვარ-  
გარეთ თითბერზე მოსაქრელად... და მერე აქ უნდა დაებეჭდოს  
ბრისტოლის ქალღმერთი...<sup>1</sup>.

ამ წერილში აგრეთვე ლაპარაკია სხვა წერილმან ხარკებზე და  
ბოლოს დაასკვნის, რომ ხარკების ანაზღაურების მიზნით სურათის  
გასაყიდი ფასი ორ აბაზზე ნაკლები არ უნდა იყოსო.

ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, ეს სურათი დანამდვილებით და-  
იბეჭდა თუ არა. უფრო საფიქრებელია, პეტერბურგის საგამომცემ-  
ლო ამხანაგობაში მომხდარი უთანხმოების გამო ალბათ ეს განზრახ-  
ვაც განუხორციელებელი დარჩა.

საინტერესოა ისიც, რომ კ. ლორთქიფანიძეს გარკვეული წვლი-  
ლი მიუძღვის „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის საქმეში. დღემდე რუს-  
თველოლოგებისთვისაც არ იყო ცნობილი, რომ 1883 წელს ქუთა-  
ისში დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ მეშვიდე გამოცემა კირილეს  
მიერ იყო რედაქტირებული.

მართალია, წიგნის თავფურცელზე წარწერის მიხედვით თუ ვიმ-  
სჯელებთ, გამომცემლად პეტრე წულუკიძეა დასახელებული, მაგრამ  
ნამდვილი გამომცემელი და რედაქტორი კ. ლორთქიფანიძე იყო.  
პეტრე წულუკიძე აგრონომი და სტამბის მეპატრონე იყო და მას  
არ შეეძლო „ვეფხისტყაოსნის“ გამოსაცემად მომზადება.

ასეთი შემთხვევა კირილეს ცხოვრებაში პირველი არ არის. ილიას  
„კაცია-ადამიანიც“ ხომ მან გამოსცა პეტერბურგში, მაგრამ წიგნს  
წარწერილი აქვს: „გამომცემელი მ. ბეთანიშვილისაგან“. როგორც  
ვიცით, ამის თაობაზე დავაც კი გაიმართა ბეთანიშვილთან.

„ვეფხისტყაოსნის“ მეშვიდე გამოცემა რომ კირილეს ეკუთვნის.  
ამას აღასტურებს იმავე 1883 წელს ივერიის მე-7 და მე-8 ნომრებ-  
ში (ამ გამოცემის შესახებ) მოთავსებული პეტრე უმიკაშვილის რე-  
ცენზია.

რეცენზენტი, ეხება რა ქუთაისში გამომცემელი წიგნების ხა-  
რისხს და ახასიათებს წულუკიძის სტამბაში ხმარებულ კირილეს  
შრიფტს, დასძინს: „გარეგანის სილამაზით და სიფაქიზით აქამომდე  
წულუკიძის სტამბაში გამომცემულ წიგნებს ეტყობა სასურველი მე-  
ცადინეობა. „ვეფხისტყაოსანიც“ ამ იშვიათის სიფაქიზით და სილა-  
მაზით არის დაბეჭდილი... თვით „ვეფხისტყაოსნის“ რედაქციაზე  
მოკლედ შეგვიძლიან ვსთქვათ, ეს მეშვიდე გამოცემა მეექვსედამ  
არის გადმობეჭდილი ცოტაოდენი შეცვლით“. ავტორი აქვე, სქო-  
ლიოში ასახელებს „ვეფხისტყაოსნის“ ყველა გამოცემას, გამომცემ-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 466.



ლებს და მათ შორის კ. ლორთქიფანიძესაც. წინა ექვსი გამოცემის დაბადებაზეა შემდეგ დაასკვნის: „ეს გამოცემა კირილე ლორთქიფანიძის რედაქტორობით გამოვიდა. იგი შეთანხმებულია, როგორც ნათქვამია გამოცემელთაგან, ვახტანგის დაბეჭდილთან“<sup>1</sup>.

პეტრე უმიკაშვილის ეს ცნობა, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ამ გამოცემის წელსვე (1883) დაიბეჭდა, უდავოს ხდის, რომ მეშვიდე გამოცემის შემდგენელი და რედაქტორი კ. ლორთქიფანიძეა. ამ ენციკლოპედისტმა მოღვაწემ „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემაშიც შერიტანა თავისი წვლილი.

სარედაქციო მუშაობის გარდა, როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, კირილეს განუზრახავს „ვეფხისტყაოსნის“ გასცენიურება — დრამატული ხასიათის ნაწარმოებად გადაკეთება. ამისათვის კიდევაც შეუდგენია გეგმა და პოემის სიუჟეტი სურათებად დაუყვია. სულ წარმოღვენილია ექვსი სურათი.

პირველი სურათი: როსტევეან მეფისაგან ტარაელის ნახვა (86—89).

მეორე სურათი: ავთანდილისაგან ტარიელის ძებნა (182—184), (192—209).

მესამე სურათი: ტარიელისა და ასმათის ნახვა ავთანდილისაგან (218—222).

შუოთხე სურათი: ტარიელის ნესტანდარეჯანისაგან მიწვევა (518).

მეხუთე სურათი: ავთანდილი ჩაჩნაგირის სახლში (1094—1096).

მეექვსე სურათი: ძეგლი თამარისა და რუსთაველისა კლდის ნამტვრევ მაღალ მოედანზედ. შორს მოსჩანს სახლები და მხედრები. კლდის ნამტვრევებზედ მეფურად ჩაცმული სამეფო ტახტზე ზის თამარი. რუსთაველი (ქულაჯიანი და ბუხრული ქუდით შავწვერულვამა) ჯოხზე დახვეულ წიგნს აძლევს ხელში თამარს“<sup>2</sup>.

ამ გეგმაში საინტერესოაა გახსნილი მოქმედ გმირთა სახეები, ჩაცმულობა და სამოქმედო გარემო. მაგალითად, კირილეს წარმოდგენით, ნესტანდარეჯანი 17 წლის ქალია, „დიდრონი შავთვალეზიანი“ და შავთვიანი, აცვია ალმისფერი კაბა; „მწვანე ხავერდის ქათიბი“, „ქართული თავხურვა“ და ოქროსფერი პირბადე აქვს. ფატმანი ტანოვანი 25 წლის შავგვრემანი ქალია. პირმსუქანია და ყვითელი კაბა და შავი ხავერდის ქათიბი აცვია. ტარიელი 20 წლის ახალ-აწვერ-ულვაშებული ვაჟკაცია. აცვია მწვანე ახალუხი წითელი ხავერდის ქულაჯით, გარშემო ფართო ვეფხის ბეწვით შემოქობილი, ან ახალუხის მაგიერ გრძელი ქართული კაბა და ზევით ვეფ-

<sup>1</sup> „ივერია“, 1883, № 7 და 8.

<sup>2</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 104.

ხის ტყავი; ვეფხის ტყავის ქუდი, მუქი ყვითელი შარვალი და წითელი წალბები, წელზე ხმალი და სატევარი არტყია.

ასევე დეტალურად არის წარმოდგენილი სხვა მოქმედი გმირების მორთულობა და ჩაცმულობა. მდიდარ მხატვრულ ფერებში მოცემული მათი სამოქმედო ტერიტორია, ნაჩვენებია მთები, მდინარეები, ტყეები და ბორცვები. მაგალითად, ტარიელთან შეხვედრის ცნობილი ადგილი „ნახევს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალა წყლისა პირსა“ კირილეს ასე აქვს გააზრებული: „დიდი მინდორი, აქა-იქ ხეები და ბუჩქები. მინდვრის გვერდით მდინარე, ბოლოს ტყე-იქით ნაპირას ტყით დაფარული კლდოვანი მალღობი“.

ნათლად იგრძნობა, რომ კ. ლორთქიფანიძე ცდილობდა, გმირთა გარეგანი სახის დახატვისას, ტანისამოსისა და თვით გეოგრაფიული გარემოს წარმოდგენის დროს, ქართული ეროვნული თვისებები და ნიშნები ეჩვენებინა, ქართველი ხალხის ტრადიციული ჩვევებზე გამოემყვანებინა და ამით პოემის ორიგინალობის საკითხსაც შეხებოდა.

გეგმაში წარმოდგენილი 6 სურათი „ვეფხისტყაოსნის“ მთლიან შინაარსს არ მოიცავს, პოემიდან გამოტოვებულია ადგილები. ავტორის პირველი ჩანაფიქრიც რომ ასეთი უნდა ყოფილიყო, ამას ადასტურებს შექვეს სურათის შინაარსი. აქ შოთა რუსთაველი მუხლბეზე დაჩოქილი მოკრძალებით თავაზობს თავის მაცოცხლებელ თამარს გრაგნილად დახვეულ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს. ეს ამ ჩანაფიქრის აბოგეგმია და ამის შემდეგ არ შეიძლებოდა შინაარსულად სხვა რაიმე ამბავი ყოფილიყო გაგრძელებული.

კ. ლორთქიფანიძის ეს დაუმთავრებელი ჩანაფიქრი (სქემა) დღესაც საინტერესო მასალას წარმოადგენს „ვეფხისტყაოსნის“ გასცენოურებასა და შესწავლისათვის.

კირილეს სახელთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი პატარა ცნობაც. როგორც ვიცით, გასული საუკუნის 80-იან წლებში გერმანელმა მწერალმა არტურ ლაისტმა თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, რის გასამრჯელოდაც მან მიიღო 700 მანეთი, ხოლო გამოცემის ხარჯებისათვის განზრახული იყო დამატებით 200 მანეთის მიცემა. ამ სამუშაოს ანაზღაურება ხდებოდა ქართველი ინტელიგენციისაგან გაღებული თანხით. ჩანს, 400 მანეთი უკვე წინასწარ იყო გადახდილი, ხოლო დანარჩენი ფულიც უნდა შეეკრიბათ კერძო პირთაგან. ამის თაობაზე ამხანაგების დავალებით იაკობ გოგებაშვილი ქუთაისში კ. ლორთქიფანიძეს სწერს:

„დიდად პატივცემულო კირილე ბეჟანის-ძეე!

გაწუხებთ ერთი საზოგადო საქმის გამო... ეს მეორე წელიწადია,

რაც ტფილისში შევუდექით „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას ნემე-  
ცურს ენაზე, ლექსადღე. თარგმანი იკისრა ლაისტმა... ამ ფამად  
თარგმნა მთელი წიგნისა უკვე გათავებულა და წაკითხულიც არის  
ნემეცურის ენის მცოდნე პირების მიერ... ჩვენმა წრემ მე დამავალა  
შომემართა თქვენთვის თხოვნით... რომ თქვენი თაოსნობით ქუთა-  
თურებმა ქართველებმაკ მიიღონ მონაწილეობა ხარჯში და შეგვიშ-  
სუბუქონ ტვირთი. თუ ეს შესაძლებელი გახდეს, გთხოვთ დააჩქა-  
როთ ფულის მოგროება, რადგან 500 მანეთი ამ თვის გასულს უნდა  
ჩავაბაროთ ლაისტსა. თქვენი მარად პატივისმცემელი იაკობ გოგე-  
ბაშვილი<sup>1</sup>.

კირილეს ეს დავალება შეუსრულებია და ქუთაისელ ინტელი-  
გენტთა შორის შეუფროვებით ლაინტისათვის მისაცენი ფულის  
ნაწილი. ამას ადასტურებს კ. ლორთქიფანიძის არქივში არსებული  
შემოწიროლებათა სია<sup>2</sup>.

ამ დოკუმენტებიდანაც მტკიცდება ის ფაქტი, რომ კ. ლორთ-  
ქიფანიძე დასავლეთ საქართველოში მოწინავე ქართველი ინტელი-  
გენტის წინამძღოლი იყო. ყოველივე ამის შემდეგ არ შეიძლება არ  
აღინიშნოს კ. ლორთქიფანიძის იმ დამსახურების შესახებ, რომლი-  
თაც ამ მოღვაწემ თავისი მცირე წვლილი შეიტანა „ვეფხისტყაოს-  
ნის“ გამოცემისა და პოპულარიზაციის საქმეში.

### კ. ლორთქიფანიძე და ი. შავჭავჭავაძე

კ. ლორთქიფანიძე ილია ჭავჭავაძესთან ერთად სწავლობდა პე-  
ტერბურგის უნივერსიტეტში და მათი ნაცნობობაც აქედან იწყება.  
მართალია, კირილეს პეტერბურგში ჩავლის ერთი წლის შემდეგ  
ილია ჭავჭავაძე საქართველოში გამოემგზავრა, მაგრამ ეს დროც  
საკმარისი იყო, რომ მათ შორის მკვიდრო მეგობრული ურთიერთო-  
ბა დამყარებულიყო.

ილიას საქართველოში გამომგზავრების შემდეგ ისინი ერთმა-  
ნეთს პირადად 1871 წლამდე არ შეხვედრიან, ე. ი. სანამ კირილე  
საქართველოში არ ჩამოვიდა, მაგრამ მათ შორის საქმიანი ურთიერ-  
ობა მაინც იყო და მიწერა-მოწერის საშუალებით ერთმანეთთან  
მკვიდრო კავშირი ჰქონდათ დამყარებულნი.

1861 წელს, როდესაც ილია ჭავჭავაძე თავს დაესხა რევუზ ერის-  
თავს კოზლოვის ნაწარმოების „შეშლილს“ უხეიროდ თარგმნისათ-  
ვის, ამან გაანაწყენა „ცისკრის“ ვაი თეორეტკოსები ბარბარე ჯორ-  
ჯაძისა, რევუზ ერისთავი, სარდიონ მესხიშვილი, გიორგი ბარათაშ-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 56.

<sup>2</sup> იქვე, № 489.

ვილა, ექვთიმე წერეთელი. მათ ყოყინა დასცეს და ლანძღვადაუწყეს ილია ჭავჭავაძეს. ამ დროს ილიას პეტერბურგიდან პირველი გამოცემობა კ. ლორთქიფანიძე. მისი პირველი საპოლემიკო სტატია „წიგნი მიწერილი რედაქტორთან“... ილიას დასაცავად იყო გამიზნული.

კირილე ამ სტატიაში 14-ჯერ ახსენებს ილია ჭავჭავაძეს და ყოველთვის ცდილობს, დაიცვას ჭავჭავაძის ავტორიტეტი და გორისელის მწელობის უაზრობა დაამტკიცოს.

„სიცოცხლე მაშინ აქვს ამ ჩვენს ყურნალს, — წერს კირილე, — როცა სალაყბოს ფურცელი იბეჭდება და იმისთანა სტატიები, როგორც იყო ილია ჭავჭავაძისა...“

„ყვირას გორისელი: „ჭავჭავაძე! რისთვის ხარ მაგრე გაუზრდელი და მაგრე უშვერ სიტყვებს ეუბნები კნ. ბარ. ჯორჯაძისას!“ თქვენი ჭირიშე, თვითონ მას კითხვით, როგორ წერს: „ვილაღ ჭავჭავაძეო...“

„უფალი ჭავჭავაძის სტატია ახლა წავიკითხეო — კარგ დრო უამს გაუვლია წაკითხვამდის! აქამდის სად იყო, თქვენი ჭირიშე? ეს კიდევ არაფერი, მაგრამ როგორ უნდა დაიჯეროს კაცმა, რომ ენის წარმატებისათვის გოლიათმა უფ. ჭავჭავაძის სტატიის წაკითხვას სამი დღე მოანდომა?...“

„...ეს კაცი ჩასციებია უფ. ჭავჭავაძეს, რაისთვის არ დაარღვიე კნ. ბარ. ჯორჯაძის ნათქვამიო. ეს სხვა კითხვაა, დაარღვია თუ არა? მხოლოდ ეს მათქმევიანეთ: ილია ჭავჭავაძემ რომ „შეშლილს“ კრიტიკა... დაწერა, მაშინ ხომ უფ. ერისთავი უნდა გაემართლებიათ, ე. ი. უფ. ჭავჭავაძის კრიტიკა გაეჩხრიკათ. მაგრამ კრიტიკოსებმა უფ. ჭავჭავაძის ლექსებს სტაცეს ხელი და არა მის კრიტიკას. გაღმა შევეცილებით, გამოღმა დაგვჩრებო... მაგრამ რაღაც გაქვზებულნი ყოფილა ილ. ჭავჭავაძეზელ“.

„უფ. გორისელი... უფ. ჭავჭავაძეს ეუბნება ხელის მომწერი არაეინ გუყოლებო, მეტადრე მაშინ, თუ იმისთანა ქართულით გამობრძანდა თქვენი ყურნალი, როგორადაც თქვენ გამობრძანებულხართ შარშან სალიტერატურო სარბიელზედო. რა ეშველებათ უფ. ჭავჭავაძეს?...“

„თქვენ უბნობთ „უფ. ჭავჭავაძე კნიაზია, ეს სადაურია?...“

„ჩვენ უფ. ჭავჭავაძის თანახმად ვიტყვით, რომ არ მოგვწონს, როგორც არ მოგვწონს ტრედიაკოვსკის ლექსები, ყმაწვილენის დასასჯელად რომ ხმარობენ“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1862, № 4.

აქ მოტანილი ადგილები ამოღებულია კ. ლორთქიფანიძის პირველი წერილიდან. როგორც ამ სტრუქონებს პოლემიკური ტონიდან ჩანს, ავტორი მიზნად ისახავს ილია ჭავჭავაძის დაცვასა და მისი ავტორიტეტის ამაღლებას მოწინააღმდეგეთა წინაშე. კირილე სამართლიანად დასცინის გორისელს, რომ ეს „სახელგანთქმული“ თეორეტიკოსი სამ დღეს მოუნდა ილიას სტატიის წაკითხვას, მოწინააღმდეგეებს ნაცვლად იმისა, რომ ილიას სტატია გაერჩიათ და საწინააღმდეგო დებულებები წამოეყენებიათ, პოეტის ლექსების კრიტიკას მიჰყევს ხელი და თუ გორისელო და მისი ძმანი დაიწუნებენ ილიას ენასა და ჟურნალს არ გამოიწერენ, ამით ილიას არაფერი დააკლდება, რადგან ამისთანა მკითხველებისათვის იგი არც კი ფიქრობს ჟურნალის გამოცემას.

ძველი თაობის წინააღმდეგ ბრძოლა კ. ლორთქიფანიძეს შემდეგშიც არ შეუწყვეტია. მართალია, იგი მთელი ათი წლის განმავლობაში (1860—1870) პეტერბურგში ცხოვრობდა, მაგრამ თავისი საქმიანობით და სამწერლო მოღვაწეობით ყოველთვის ჩვენი ცხოვრების ცენტრში ტრიალებდა.

როდესაც 1863 წელს ილია ჭავჭავაძემ გორასელისაგან წინასწარ გაიციხული ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ გამოაცა, სხვებთან ერთად კ. ლორთქიფანიძემ მოიწვია თანამშრომლად. 1862 წლის 7 ოქტომბრის თარიღით ილიას დავალებით პოლტორაცკის კირილესათვის პეტერბურგელი სტუდენტების გასაცნობად ჟურნალის გამოცემის შესახებ განცხადება გაუგზავნია და თან ახალგაზრდობისათვის და პირველ რიგში კირილესათვის ჟურნალში თანამშრომლობა უთხოვია. წერილი ასე იწყება: „საყვარელო კირილე! Спешу послать вам 4 экземпляра отъявленных Ильи Чавчавадзе на новый журнал „საქართველოს მოამბე“. წერილში შემდეგ ლაპარაკია ახალგაზრდობის დახმარებაზე და ჟურნალში მონაწილეობაზე. ილია სთხოვს პეტერბურგელ ამხანაგებს, აქტიურად ითანამშრომლონ „საქართველოს მოამბეში“.

კ. ლორთქიფანიძე მართლაც აქტიურად ჩაება ჟურნალის საქმიანობაში. „საქართველოს მოამბის“ სულ 12 ნომერი გამოვიდა, აქედან 4 ნომერში კირილეს სტატიებია დაბეჭდილი. ესენია: „ბიძია თონიკეზედ...“ (№ 4); „ამაო ამათა...“ (№ 6); „ჩრდილოეთ აჭიკის შეერთებული შტატები და იქაური ტყვეობა“ (№№ 11—12).

განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს ორი უკანასკნელი სტატია, სადაც სამარცხვინო ბოძზეა გაკრული ამერიკელი პლანტატორები, რომლებიც გამდიდრებისათვის ყოველგვარ სამარცხვინო

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 805.

საქმიანობას ეწეოდნენ. ამ სტატიებით კ. ლორთქიფანიძემ ქართულ პრესაში პირველად წამოაყენა ფერადკანიანი ადამიანების დაცვის საკითხი.

შემდეგ წლებში კ. ლორთქიფანიძესა და ი. ჭავჭავაძეს შორის კიდევ უფრო საქმიანი კავშირი დაიწარდა.

1864 წელს კ. ლორთქიფანიძემ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველ პოეტთა ლექსების კრებულში „ჩონგური“ გამოსცა. ამ კრებულში მან სხვა ქართველ პოეტებთან შედარებით ყველაზე მეტი ადგილი ილია ჭავჭავაძეს დაუთმო. „ჩონგურში“ დაიბეჭდა ილიას „პოეტი“, „ქართვლის დედა“, „ხმა სამარადამ“, „არაგვი“, „ელეგია“, „გაზაფხული“, „გუთნის დედა“, „მას აქეთ, რაკი შენდამო, ვცან მე საყვარული“, „ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში“, „შეშა“, „იანიჩარი“ და „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოლი უაჩალს ცხოვრებიდამ“.

როდესაც კარილეს „ჩონგურის“ მასალების შეგროვება დაუწყია, პეტერბურგიდან თხოვნით მიუმართავს ილია ჭავჭავაძისათვის, რათა სათანადო მასალა მიეწოდებინა კრებულისათვის. ილია დიდი აღფრთოვანებით შეხვედრია ამ ეროვნულ საქმეს და თანაც თავის მხრივ აქტიური მონაწილეობის მიღება და დახმარება აღუთქვამს. ამის თაობაზე ილია ჭავჭავაძე საპასუხო ბარათში კ. ლორთქიფანიძეს სწერს:

„დიდი ს-ხარულით წავიკითხე შენი წიგნი ჩემთან მოწერილი, ღმერთმა ქნას, ხელი მოგიმართოს ყველას მაგისტანა საქმეში, რომელიც ყველასათვის ერთნაირად სასიამოვნოა. მეც ჩემის მხრივ მადლობას გეუბნები, რომ მაგისტანა კეთილ საქმეში ჩემი ხელიც გაუჩიე. საკვალოდაც თუ ჩემი დახმარება რაშიმე ივარგებს და დაეჭირდება. გთხოვთ ყოველთვის და ყოველგან მიგულვეთ სულით და გულით მომზადებულნი.“

რაც გითხოვია, აგისრულე, ე. ი. ლექსებს, თუ ივარგებს, ოცდაცხრას ამ თვეს მოგართმევ. ძალიან ვწუხვარ, რომ ადრე არ შემატყობინე, იქნებ ახალი რამ მომემზადებინა. მაქვს კი იმისთანა ძველი ლექსები, რომელიც ჯერ არ დაბეჭდილა. მათგანს ყველას გამოგიგზავნი. ამას კი გთხოვ არც ერთ ლექსს ჩემი სახელი არ მოაწერო... მაგ შენგან დაპირებულის ლექსების წიგნის სახელი არ ნომწონს; ჰსჯობს, „ქართული ლექსების კონა“ დაარქვა. „კრება“ სხვა რიგად ესმის ქართველსა და რუსულად თარგმნილსა ჰგავს. სხვათრევე მსურს ბედნიერად შესრულება მაგ საქმისა“<sup>1</sup>.

ილია ჭავჭავაძის ამ წერილიდან ბევრი რამ არის საინტერესო.

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, წერილები, 1949, გვ. 28—29. ი. ბოციორის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით.

ჯერ ერთი, აქედან ჩანს, რომ კირილეს ლექსთა კრებულისათვის პირველად სხვა სახელწოდება ჰქონია „შერჩეული. „ჩონგური“ ილიას მითათებრს შემდეგ დაუბეჭდეს. საინტერესოა ისიც, რომ ილია თავისი სახელითა და გვარის გამოქვეყნების წინააღმდეგია, თუმცა კირილეს მისი თხოვნა ნაწილობრივ შეუსრულებია და სამი ლექსი: „არაგვი“, „ელეგია“ და „გაზაფხული“ მაინც ილიას გვარისა და სახელის მოწერით დაუბეჭდავს, დანარჩენებს ფსევდონიმად სამი ვარსკვლავი აქვს დასმული.

ყურადღებას იპყრობს ისიც, რომ, როგორც კირილეს შენიშვნოდან ჩანს, „რამდენიმე სურათის“ ზოგი ნაწილი პირველად გამოქვეყნდა „ჩონგურში“, თუმცა მისი დაბეჭდვა ილიას არ სურვებია ცენზურის მიზეზის გამო.

კ. ლორთქიფანიძისადმი გაგზავნილ მეორე წერილში ილია ასე მსჯელობს „ქართვლის დედისა“ და „რამდენიმე სურათის“... შესახებ:

„აი რის გამოგზავნა ესლა შევიძელი. „ქართვლის დედას“ არ გიგზავნი იმიტომ, რომ ვერას გზით ვერ გავასწორე, გაუსწორებლად კი ვერ გამოგიგზავნი იმიტომ, რომ შიგა და შიგ უფრო ღიბორი-კაა, ვიდრე სხვა რამე. „რამდენიმე სურათი“ ანუ „ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ მე თუმცა დასრულებული მაქვს, მაგრამ არ გიგზავნი, რადგანაც ვიცი, რომ არ დაბეჭდავენ. თუნდ მანდ როგორმე მოახერხო და ნების დართვა აილო, აქ მთელ წიგნს ამიკრძალავენ, ეს მე ნამდვილად ვიცი, შეც ბევრი ვეცადე აქაურ ცენზურის კომიტეტში, მაგრამ ძალიან ამიკრძალეს... სხვა ახალი ლექსები, პატიოსან სიტყვას გაძლევ, არა მაქვს, მაქვს უწინდელი ზოგიერთი სატრფიალო ლექსები ჯერ დაუბეჭდავბ, ვიცი შენ არ გამოგადგება და ამიტომ არ გიგზავნი“!

როგორც ამ ბარათიდან ჩანს, დაპირება ილიას პირნათლად შეუსრულებია და „ჩონგურისათვის“ მასალა გაუგზავნია. ამავე წერილიდან ვგებულობთ იმასაც, რომ „ქართვლის დედა“ ილიას რიტორიკულ ნაწარმოებად მიუჩნევიდა და საკუთარი თავისადმი მკაცრ მომთხოვნას ამ სახით მისი დაბეჭდვა უხერხულად ჩაუთვლია. ეს სტრიქონები ნათლად ახაიათებს ილიას ბუნებას, იგი, პირველ ყოვლისა, თვითონ იყო საჭუთარი თავის მკაცრი მსაჯული.

მიუხედავად ილიასა და, რაც მთავარია, ცენზურის წინააღმდეგობისა. კ. ლორთქიფანიძემ მაინც მოახერხა „ჩონგურში“ „რამდენიმე სურათის...“ ნაწილის დაბეჭდვა, მაგრამ ამისათვის, როგორც აღრევე აღვნიშნეთ, კირილეს დიდი ბრძოლა და წინააღმდეგობის დაძლევა დასჭირდა.

<sup>1</sup> ი. ვ ა ვ კ ა ვ ა ძ ე, წერილები, 1949, გვ. 29. ი. ბოცვაძის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით.

1868 წელს კირილემ განიზრახა „კაცია-ადამიანის“ პეტერბურგში გამოცემა და ნებართვა სთხოვა ილია ჭავჭავაძეს. ილია აღფრთოვანებული შეხვდა ასეთ სასარგებლო საქმის წამოწყებას და დიდი თანაგრძნობა და დახმარება აღუთქვა კირილეს.

საპასუხო წერილში ილია სწერს: „ძმაო კირილე! მოგეწერა, რომ „კაცია-ადამიანის“ დაბეჭდვა მოვიწადინეო და ნების დართვა მთხოვე. მაგას რაღა თხოვნა უნდოდა: მომიცია სრული ნება დაბეჭდვისა და თუ ძალიან გსურთ, ჩემი სახელიც ჩაურთეთ ჭიმშერიძის მაგივრად<sup>1</sup>. წინასიტყვაობისა უნდა მოგახსენო, რომ მე იგი ცალკე არ დამიწერია. მართალია, როცა ეგ მოთხრობა გავათავე, მინდოდა ცალკე წინასიტყვაობა დამეჭლაბნა, მაგრამ როცა გადავიკითხე, აღმოჩნდა, რომ რაც წინასიტყვაობაში მინდოდა მეთქვა, სულ ყოველისფერი შიგ მოთხრობას (აჩნდა) ჩემდა უნებურად. მგონი ყურადღებით წაკითხვა ამას შენც დაგარწმუნებს“<sup>2</sup>.

1869 წელს კირილემ მართლაც გამოცა პეტერბურგში „კაცია-ადამიანი?“, რაც იმ დროისათვის დიდი მოვლენა იყო. მაგრამ საინტერესო ის არის, რომ კ. ლორთქიფანიძე დაეთანხმა ილიას წინასიტყვაობის შეფასებაში და „კაცია-ადამიანი?“ წინასიტყვაობის გარეშე დაბეჭდა. ამის შემდეგ ეს მოთხრობა ყოველთვის წინასიტყვაობის გარეშე იბეჭდება და მასობრივი მკითხველი მოკლებულია საშუალებას, გაეცნოს ამ ძვირფას მხატვრულ დოკუმენტს. ყველაშათვის ნათელია, რომ „კაცია-ადამიანის!“ წინასიტყვაობას არა მარტო თვით მოთხრობის გაგებისათვის აქვს დიდი მნიშვნელობა, არამედ იგი ილია ჭავჭავაძის რეალიზმისა და ტიპიურობის საკითხის გარკვევისათვის ყველაზე ძვირფასი მასალაა, და მკვლევარებიც, სამართლიანად, ამ დოკუმენტს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

ილია ჭავჭავაძე წინასიტყვაობის შეფასებაში, რაც კირილესადმი მიწერილი წერილიდან ჩანს, უდავოდ ცდება. ამ დოკუმენტის დაუფასებლობა მას თავმდაბლობით მოუვიდა.

კ. ლორთქიფანიძის სახელთან დაკავშირებულია ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობის“ არა მარტო გამოცემა, არამედ მისი დაწერის ისტორიაც. „გლახის ნაამბობის“ ექვსი თავი პირველად „საქართველოს მოამბის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა. როგორც ირკვევა, მოთხრობის დანარჩენი ნაწილი ილიას მაშინ დაწერილი არ ჰქონია და ამიტომაც ჟურნალის შემდეგ ნომერებში არ გამოქვეყნებულა.

<sup>1</sup> „საქართველოს მოამბეში“ „კაცია-ადამიანი?“ დაიბეჭდა ჭიმშერიძის ფსევდონიმით.

<sup>2</sup> კ ა ე კ ა ვ ა ძ ე, წერილები, 1949, გვ. 27.



როდესაც უტურნალი დაახურა, მოთხრობა დაუმთავრებელი დარჩა და პრაქტიკული საქმიანობის გამო ნაწარმოების გაგრძელების საკითხიც დიდი ხნით გადაიდო.

ძართალია, ილიას მტრები ხმას ავრცელებდნენ მისი სიმღერისა და დიდკაცური ცხოვრების შესახებ, მაგრამ საქმის ნამდვილი ვითარება საწინააღმდეგოს ამტკიცებს. ცხოვრების პირობების გამო ილია ჰავჭავაძე იძულებული იყო მისთვის შეუფერებელი საქმისათვის მოეციდა ხელი, სასამართლო დაწესებულებებში „ემსახურა“.

70-იან წლებში ილიას ეკონომიური სივიწროვისა და სამსახურში იძულებითი ყოფნის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის შ. გოზალიშვილის მიერ გამოქვეყნებული ილიას პირადი ბარათები. ცოლისადმი გაგზავნილ წერილებში ილია ხშირად უჩივის უსახსრობას და ამის გამო სამსახურში იძულებით ყოფნას.

როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, 70-იან წლებში ილიას მამული ძალიან მცირე შემოსავალს იძლეოდა. ამის თაობაზე იგი მეუღლეს სწერს: „გუშინ ჩემი მოურავი მობრძანდა და ანგარიშები მომიტანა. გამოვიდა, რომ ოთხმოცდახუთი თუმნის პური მოგვესვლია, მაგრამ დახლი სამთუმანნახევარი მომიტანა, რომელიც უკანვე სახარჯოდ წაიღო“<sup>1</sup>. აქ ალბათ ყვარლის მამულის შემოსავალი იგულისხმება, რადგან საგურამოს მამული 70-იან წლებში ჯერ კიდევ სამამრს ეკუთვნოდა.

ჩინოვნიკური სამსახურისაგან თავმობეზრებული ილია ჰავჭავაძე ხშირად ფიქრობს დღეშეთის დატოვებაზე, მაგრამ საარსებო საშუალების უქონლობა უშლის ხელს. მეუღლეს ილია სწერს: „საქმე ეხლა ისე მოეწყო, რომ მე ბანკის საქმეს აღარ უნდა მოუცადო და რაც შეიძლება მალე დავაღწიო თავი სამსახურსა და მოვშორდე სულის ნაწილის სიღამპლეა და სიმყარაღესა, იქნებ ამ თვის ბოლოს ასტავკა მიეცე და შენ წამოსაყვანად წამოვიდე. ქვეყანა დიდია, იქნება უსამსახუროდაც თავი როგორმე დავიჩინოთ“<sup>2</sup>.

მაგრამ, როგორც იმავე წერილიდან ჩანს, ბანკის გახსნას და უგვიანებია და ისე კი ილიას სამსახურისათვის თავი ვერ გაუნებებია.

„ძალიან ვნანობ, რომ ჩემი საქმე, უფულობის გამო, ისე მიდის, ეხლა ვერ გამოვედი სამსახურიდან...“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1957, № 5.

<sup>2</sup> იქვე. ბანკის საქმე ნიშნავს თბილისში სათავადაზნაურო ბანკის გახსნას, რომლის ხელმძღვანელადაც აპირებდა იგი თბილისში გადმოსვლას და გადმოვიდა კიდეც.

<sup>3</sup> „ცისკარი“, 1957, № 5.

აი, ასეთ პირობებში ეწეოდა იგი დღეში ლიტერატურულ მუშაობას და აქ მოუხდა მას „გლახის ნაამბობის“ დასრულება.

როდესაც (1871) კ. ლორთქიფანიძე „კრებულის“ დროებითი რედაქტორი გამხდარა, მას სასწრაფოდ მიუძღარათავს ილიასათვის დღეშითადან ყურნალში თანამშრომლობის შესახებ. კირილეს განსაკუთრებით მოუთხოვია „გლახის ნაამბობის“ გაგრძელების დაწერა და ნაწარმოების მთლიანი სახით დაბეჭდვა. ამას აუძულეზია ილია, ათი წლის წინათ შეწყვეტილ ნაწარმოებზე მუშაობა გაეგრძელებია და „გლახის ნაამბობი“ დაეარულებია. ეს კარგად ჩანს კირილესადმი გამოგზავნილ ილიას საპასუხო ბარათიდან:

„ძმო კირილე!.. დღეს მიეყვევი ხელი „გლახის ნაამბობის“ გაგრძელებას. დვითთ, რომელიც შენ არ გწამს, დასარულდება. „გლახის ნაამბობის“ კორექტურა უკანასკნელი მე ჟუნდა გავსინჯო. ყმაწვილებს მოკითხვა უთხარი“<sup>1</sup>.

ხოლო ნ. ნიკოლაძისადმი მიწერილ ბარათში ილია აღნიშნავს: „გლახის ნაამბობის“ გაწორება ფიქრად აღარა მაქვს, როგორც დაბეჭდილია, ისე გადაბეჭდეთ (იგულისხმება „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნებული 6 თავი. — კ. შ.). დეე მაგ პირმშო ძემან ჩემმან ისე იაროს ქვეყანაზედ, როგორც თავდაპირველად შობილა. ვისაც არ მოეწონება, გზა აუქციოს. გაგრძელება მზადდება ოთხი თავი, რომელიც უდრის 35 გვერდს საქართველოს მოამბისას. მზად არის კიდევ „კრებულის“ სამსახურისათვის. მე მგონია, რომ შესრულებისათვის ერთი ამოდენა კიდევ დამჭირდეს. ასე, რომ თებერვლისა და მარტის „კრებულსა“ თავსაყრელად ეყოფა. ვწერ კი, მაგრამ არ ვიცი, როგორ მოსაწონი გამოვა. ცუდი საქმე მიყავით, რომ ეგრე ცოტა დრო მომეცით ნაამბობის შესასარულებლად. რაც ახალი დამიწერია, მიხდოდა შენთვის გამომეგზავნა, რომ შენ და კირილეს თვალი გადაგვევლოთ და მის შემდგე თქვენი პირუთვნელი აზრი ჩემთვის გეცნობებიათ. ამ განზრახვასაც თავი დავანებე. რაც იქნება, ის მოხდეს... რაც მიხდოდა, იმას კი ვიტყვი ჩემს გლახის ნაამბობში და კარგად ვიტყვი თუ ცუდად — ამის დარდი ბეგრი არა მაქვს, დღეს ველი რევიზორს, აბა იფიქრე, რა რიგად მოუხდება რევიზორი ჩემს გლახის ნაამბობს“<sup>2</sup>.

ილიას ამ წერილიდან კარგად ჩანს არა მარტო „გლახის ნაამბობის“ დაწერის პირობები და ავტორის მასთან დამოკიდებულება, არამედ ასევე ნათლად ჩანს კირილეს დაუინებელი მოთხოვნაც ნაამბობის დაჩქარებით დასარულების შესახებ.

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, წერილები, ოსებ ბოცვაძის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, 1949, გვ. 31.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 34—35.

თუ არა ასეთი იძულება, შესაძლებელია ისეთ ცუდ პირობებში მყოფ ილიას სულაც არ მოეცილა ხელი ამ ნაწარმოების გაგრძელებისათვის და, ვინ იცის, როდის მიიღებდა მკითხველი დასრულებულ „გლახის ნაამბობს“.

მომდევნო წერილიდან ჩანს, რომ ილიას „გლახის ნაამბობი“ დაუსრულებია და ამასთან ერთად ხალხური ლექსებიც გაუგზავნია კირილესათვის ეურნალში გამოსაქვეყნებლად.

„მშაო კირილე! გიგზავნი გლენტურ სიმღერებს. ოცდა ათზე მეტია, გამოიზოგე. სხვა ლექსებს ველარ გიგზავნი მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა. ჭერ ეს იმყოფე, კაი სიმღერებია.“

გლახის ნაამბობი დავაარულე და თებერვლის ათამდი გამოგიგზავნი, რაც დაბეჭდილია, იმაზე თუ არა მეტი, ნაკლები არ გამოვა. დიდი ხანია ეს ნაამბობი გულში მედო და ძლივს მოვიშორე. არ ვიცი, როგორ მოგეწონებათ. ზოგიერთი ადგილები მაინც, მე მგონი, კარგი უნდა იყოს, მაგრამ რაც არის, ღმერთმა მშვიდობა მიძსკეს, მე ხომ თავიდან მოვიშორე და...“<sup>1</sup>

ამ წერილიდან, „გლახის ნაამბობის“ დასრულების გარდა, ისიც ჩანს, რომ კირილე „კრებულში“ სისტემატურად აქვეყნებდა ილიას მიერ შეკრებილ ხალხურ ლექსებს.

ილია ჭავჭავაძემ შეპირების თანახმად დღეშეტიდან კირილეს გაუგზავნა „გლახის ნაამბობის“ ნახალი თავი და თან ასეთი ბარათი მისწერა: „მშაო კირილე, გიგზავნი ჩემს გლახის ნაამბობს, ჭერ ვიდრე დაჰბეჭდავდე, შენებურად გადაიკითხე და შენი პირმოუფერებელი აზრი მაცნობე. რაკი არ მომეშვი, აი „ტრფიალები“ ლექსს ჩემსას გიგზავნი და ერთს ბარათშვილისას, თუ ჭკვაში მოგივიდეს დაბეჭდე, ხანდოხან ამისთანა ლექსებიც მსდომებია ამ უღარდელს და ცუდ-მოტრფიალეს ქვეყანას... თუ ეს ლექსები არ მოგეწონოს, უმიკოვს ჩემი „აჩრდილი“ აქვს, ახლად გადაკეთებული, იქედან 7,8 და 9 მუხლი დაბეჭდე იმ სათაურით, როგორიც ადრე იყო დაბეჭდილი „კრებულში“... ჩემს გლახის ნაამბობზე შენი აზრი მალე მაცნობე, შენი ილია ჭავჭავაძე“<sup>2</sup>. (ხაზი ჩვენია. — კ. მ.). ეს წერილი მრავალმხრივ არის საინტერესო. ჭერ ერთი, როგორც აქედან ჩანს, კ. ლორთქიფანიძე ილიას ნაწერების არა მარტო ტექნიკური გამომცემელი ყოფილა, არამედ მისი შემფასებელიც. ზოგჯერ ილია კირილეს ეკითხებოდა ნაწარმოების ღირსების შესახებ და თუ ლექსი ან მოთხრობა კირილეს მოეწონებოდა, ილია უყოყმანოდ ბეჭდავდა.

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, წერილები, იოსებ ბოცუაძის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, 1949, გვ 32.

<sup>2</sup> იქვე.

კირილეს და ილიას ურთიერთობისათვის საინტერესოა წერილინის აღგილიც, სადაც ილია სწერს კირილეს: „რა კი არ მომეშვი, „ტრფიალების“ ლექსს ჩემსას გიგზავნი“. აქედან აშკარად ჩანს, კირილეს კეთილშობილური მოქმედება, რომ ზოგჯერ იგი აიძულებდა ილიას ახალი ნაწარმოები დაეწერა, ანდა დაუმთავრებელი უაქსრულებინა.

კ. ლორთქიფანიძე — ქართული კულტურის დიდი მეცენატი — ქართველი მწერლების ნაწარმოებების მამობილად ითვლებოდა, ილია ჭავჭავაძისა და სხვათა ნაწარმოებები კირილეს მზრუნველობით ვაუკაცლებოდნენ და მისი დახმარებით პოულობდნენ მზის სინათლეს.

კ. ლორთქიფანიძის არქივში ბლომად მოიპოვება უმთავრესად კირილეს ხელით გადაწერილი და გამოსაცემად გამზადებული ილიას ნაწარმოებთა ხელნაწერები. აქ არის დაცული „გლახის ნაამბობის“ ვაგრძელება (6 თავი), რომლის შესახებ ასე ვრცელი მიწერ-მოწერა ჰქონდა ილიას კირილესთან. მკვლევართა ინტერესს იწვევს კირილეს არქივში დაცული „აჩრდილის“ ვარიანტი. აგრეთვე ლექსების „ჩემო მკვლელო“, „ნანა“, „ქართველი სტუდენტების სიმღერა“ და სხვა ხელნაწერები<sup>1</sup>. კირილეს არქივში შენახულია ილია ჭავჭავაძის მდიდარი ეპისტოლარული მემკვიდრეობა.

ჩანს, კ. ლორთქიფანიძე ილია ჭავჭავაძის შემოქმედებით ლაბორატორიაში შინაურ კაცად იღვლებოდა.

მათი ურთიერთობიდან საინტერესოა ასეთი წერილმანიც. ილიას დუშეთში ყოფნის დროს გაუფრცელებია კირილეს „ჩონგურის“ 20 ეგზემპლარი. ნ. დოლობერიძე პეტერბურგში კირილეს სწერს იმის შესახებ, თუ როგორ დაენმარნენ მას ამხანაგები მის მიერ პეტერბურგში გამოცემული წიგნის რეალიზაციის საქმეში და ჩამოთვლის თითოეულ მათგანს: „ესტატე მაღალაშვილმა გაასალა გორში 39 ეგზემპლიარი, ილია ჭავჭავაძემ დუშეთში 20 ეგზემპლიარი, ჩიქოვანმა თელავში 16 ეგზემპლიარი... გოგებაშვილმა აქ 20 ეგზემპლიარი“<sup>2</sup>.

თბილისში ყოფნის დროს კ. ლორთქიფანიძე აქტიურად იყო ჩაბმული ლიტერატურული საღამოების მოწყობის საქმეში. ასეთ საღამოებზე მონაწილეობდნენ გამოჩენილი ქართველი მწერლები და მათ შორის ილია ჭავჭავაძეც.

ერთხელ, როდესაც ქართველი მწერლების ლიტერატურული საღამო უნდა ჩატარებულიყო, იმავე დღეს მუსიკალურ საზოგა-

<sup>1</sup> აღნიშნული მასალა პროფ. მ. ზანდუკელმა გამოაქვეყნა 1937 წელს ილიას საიუბილეო კრებულში. — კ 8.

<sup>2</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 821.

დობას კონცერტი დაუნიშნავს და „კრუჟოკში“ ყმაწვილების ბალის მოწყობა ყოფილა განზრახული. კირილე ასეთ შემთხვევას ძალზე შეუშინებია და რჩევა უთხოვია ილიასათვის.

„ილია! რადგანაც მუზიკალურ საზოგადოებაში კონცერტია და კრუჟოკში „ყმაწვილების ბალია“, ამიტომ ჩვენი საღამო შაბათს უნდა მოხდეს უთუოდ, თორემ ხალხი ცოტა იქნება. კვირას არ შეიძლება, რადგან სომხებს აქვს დაქერილი თეატრი... ესლა შემომითვალე გადავდვა შაბათს და სხვა ახალი აფიშა დავბეჭდო... თუ არა“<sup>1</sup>.

ილია ქავეკავაძეს პასუხი ამავე წერილის თავისუფალ გვერდზე დაუწერია და ისე დაუბრუნებია კირილესათვის. ილიას პასუხში აღნიშნულია: „ჩემი ფიქრით, რომ გადაიღოს საშაბათოდ, კარგი იქნება, მაგრამ ცუდი არ იქნება, რომ სხვებსაც დაეკითხო. შე „ქართლს ბედსა“ (I კარი) ვკითხულობ, მხოლოდ „გამოსალმების“ მაგიერ „იარალისადმი“ წავიკითხავ. წიგნებს „ჩონგურის“ გარდა ყველას გამოგიგზავნი.

შენი ილია ქავეკავაძე. 14. 4. 75 წ.“<sup>2</sup>.

როგორც სხვა დოკუმენტებიდან ჩანს, ეს ლიტერატურული საღამო შაბათის ნაცვლად სამშაბათს შემდგარა და ილიასაც მიუღია მონაწილეობა. მაგრამ ეს დოკუმენტები სხვა მხრივაც არის საყურადღებო. დღევანდელი მკითხველი ალბათ გაოცების გარეშე ვერ წაიკითხავს ამ სტრიქონებს, რადგან საღამო, რომელშიც ილია და აკაკი მონაწილეობდნენ, ხალხის გამოუცხადებლობის შიშით გადაიღო. საინტერესოა ისიც, რომ ლიტერატურულ საღამოებზე ილია ნ. ბარათაშვილისა და გრ. ორბელიანის ლექსებს კითხულობდა.

კირილესა და ილიას ურთიერთობის საკითხის გასარკვევად და მათი საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესასწავლად საინტერესოა კიდევ ერთი დოკუმენტი. კირილეს ვრცელი პირადი ბარათიდან ჩანს, რომ ქუთაისის ინტელიგენციას კირილეს მეთაურობით განუზრახავს „დაეფუძნებინათ წიგნების გამომცემელი წრე, რომ სხვადასხვა სახალხო საკითხავი და შკოლებსათვის საჭირო წიგნები ებეჭდათ და ამით ცოტაოდენი სარგებლობა მოეტანათ ჩვენი ღარიბი მამულისათვის“<sup>3</sup>.

ქუთაისლებს საამისო პრაქტიკული ნაბიჯიც გადაუდგამთ და წესდებაც შეუდგენიათ, მაგრამ იმის შიშით, რომ მთავრობა ამას არ დაამტკიცებდა და შემდეგ შესაძლებელი იყო უფრო გამძნელებუ-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 420.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 487.

ლიყო ამ მიმართულებით მუშაობა, წრეს თავი შეუკავებია დამოუკიდებელი საზოგადოების დაარსებაზე და განუზრახავს თბილისის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შეერთებოდა. ამ საკითხზე კირილე იმავე წერილში ილიას სწერს: „ზემოხსენებულის წრის დაარსების მსურველებმა გადაწყვიტეთ აღარ მივიქცეთ მთავრობასთან ახალის წესდების დამტკიცებისათვის და მით აღარ ვავადიდოთ შორი ეკვები და ჩვენც საზოგადოებათა სიმრავლით არ მოვიხიბლოთ ჩვენი თავი, ჩვენ ვარჩევთ შეძლებისამებრ მხარი მივსცეთ იმ საზოგადოებას, რომელიც ამ ქაშად ჩვენში მოქმედებს და რომელიც უეჭველია არაფერს დაჰკარგავს; თუ მას სხვა და სხვა ქალაქებში თანამშრომლები აღმოუჩნდა... რომ ჩვენ გვსურს მოვიკიდოთ (ხელი) ქართველთა შორის ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებას. მისი წესდების და გამგეობის საფარველს ქვეშ ვიშრომთ და შეძლებისამებრ დავენმაროთ სხვა და სხვა ცოდნის გავრცელებას“<sup>1</sup>.

ქუთაისის ამხანაგობა, კირილეს ცნობით, ვალად ლეზულობს თბილისის საზოგადოების წიგნების გამოცემას, მაგრამ ამასთან ერთად მოითხოვს დამოუკიდებლად გამოცემის უფლებასაც. წერილის დასასრულს კირილე ილიას აცნობს წრის ხელმძღვანელებს:

„საჭიროდ ვრაცხ შეგატყობინო, რომ აქაურმა წრემ საქმეების მწარმოებლად და ფულების ამკრეფად აირჩია ოთხი კაცი: ალ. ბეს. ჰუკინაძე. ვსტ. მჭედლიძე, სილოვან ხუნდაძე და კირილე ლორთქიფანიძე და ამათ შორის კასირად უკანასკნელი, რომელნიც მოვილიან საზოგადოებისაგან ცნობებსა და კურთხევას. შენი კირილე ლორთქიფანიძე“<sup>2</sup>.

როგორც აღრევე იყო აღნიშნული, ქუთაისში მართლაც არსებობდა წიგნების გამოცემის ამხანაგობა და ამ მიზნით დაარსდა პეტრე წულუკიძის სტამბა. ამხანაგობამ გამოსცა სხვადასხვა წიგნები და სახელმძღვანელოები. ამ საქმის მეთაურად თბილისში ილია ჰავჭავაძე იყო, ქუთაისში — კირილე ლორთქიფანიძე. ჩანს, ქუთაისელი ინტელექტუალის განზრახვამ კარგი ნაყოფი გამოიღო.

კ. ლორთქიფანიძისა და ილია ჰავჭავაძის პირადი ურთიერთობისათვის საინტერესოა კირილეს პატარა ლექსი, რომელიც ილიას მკვლევლობის დღეებშია დაწერილი. ლექსში ღრმა გულისტკივილი და მწუხარებაა გამოხატული საქვეყნოდ დამსახურებული კაცის მკვლევლობის გამო.

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 487.

<sup>2</sup> იქვე.

## აი ლექსი:

ვთი რა კარგი საჩინო, რა ავად მივიჩნიესა,  
ბოროტისაგან კეთილი შურით ვერ განაჩივისა,  
ერის მოღვაწე დიდება, ქვეყნის მტრად მივიჩნიესა,  
ურიგო სიტყვა შეგადრეს, გაგლანძლეს. გაგათრიესა,  
მოგკლეს მხცოვანი, უბრალო, ქვეყანა შეარყიესა,  
ბრალობის სისხლი თავზედა შეილითურთ დაგვანთხიესა.  
ამას მოვსტყვამთ. დღეს ქართველი ყმანი, ჰაბუკნი, მხცოვანი,  
ნუ შეგვაშრიან ცრემლნი თვალთაგან და გულთა  
შენი ხსოვნანი!

ლექსს თარიღი და ხელწერა არა აქვს, მაგრამ შინაარსიდან იჩვენება, რომ იგი დაწერილია ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით და რომ მისი ავტორი კ. ლორთქიფანიძეა, ამას ადასტურებს მისი ავტოგრაფი.

ასეთია ილია ჭავჭავაძისა და კირილე ლორთქიფანიძის საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს გრძელდებოდა ჩვენი ერის საკეთილდღეოდ.

### კ. ლორთქიფანიძე და ა. წარამეთელი

კ. ლორთქიფანიძე ყველაზე მეგობრულ და შინაურ დამოკიდებულებაში<sup>1</sup> აკაკი წერეთელთან იყო. მათი მეგობრობა ჯერ კიდევ ქუთაისის გიმნაზიის მერხიდან დაიწყო და უფრო განმტკიცდა პეტერბურგის უნივერსიტეტში. როდესაც სტუდენტობის წლებში ქართველი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი აკაკისგან განზე იდგა და სხვადასხვა სახის ქორებას კი უვრცელდებდნენ, კ. ლორთქიფანიძე ყოველთვის მასთან იყო და მისი ავტორიტეტის ამაღლებისათვის იბრძოდა. გავიხსენოთ აკაკის სიტყვები: „იმ დროს... ძვირად ნახვდით მისთანა ახალგაზრდას, რომ ჩემზე ძვირი არ ეთქვა...“ ხოლო ამათგან აკაკი გამოჰყოფს, როგორც მისთვის ყოველთვის ახლობელსა და საყვარელ მეგობრებს, ნ. ნიკოლაძესა და კ. ლორთქიფანიძეს.

აკაკი კირილეს შესახებ სწერს: „რაც შეეხება მეორეს, კირილე ლორთქიფანიძეს, ის ყველას საყვარელი იყო და კარგი... აი, ამ ორ ახალგაზრდასთან მოვიბრუნებდი ხოლმე სულს სტუდენტობის დროს და სხვებს კი ყველას ჩამოვშორდი“<sup>2</sup>.

აკაკისა და კ. ლორთქიფანიძის ურთიერთობა გაპირობებული იყო როგორც ლიტერატურული და საზოგადოებრივი საკითხებით, ასევე პირადი ინტერესებით. ისინი ყოველთვის გვერდში ედგნენ ერთმანეთს. ჰირსა და ლხინში. განსაკუთრებით აკაკი წერეთელს

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 27.

<sup>2</sup> აკაკი წერეთელი, ტ. I, 1930, გვ. 74.

ხშირად სჭირდებოდა კირილეს ხელი ლიტერატურულ საქმიანობაში. მაგრამ ყოფილა შემთხვევებიც, როდესაც მათ შორის უთანხმოებაც ჩამოვარდნილა, მაგრამ ეს უთანხმოება პრინციპულ წინააღმდეგობად არასოდეს ქცეულა.

სიმართლე უნდა ითქვას, რომ კირილესა და აკაკის მეგობრობა თითქოს შეუძლებელიც უნდა ყოფილიყო, რადგან ისინი თავიანთი ბუნებით რადიკალურად ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს. ერთი ჩრდილოეთის ყინულოვანი, ხოლო მეორე სამხრეთის ცეცხლოვანი პოლუსები იყვნენ. მაგრამ საერთო ჰაქმის სიყვარული, მიზნის ერთიანობა და სამშობლოს კეთილდღეობისათვის ზრუნვა ფარავდა პირად წვრილმანებს.

### პირილესა და აკაკის ლიტერატურული ურთიერთობა

ჯერ კიდევ 1861 წელს აკაკი წერეთელმა თავისი სულიერი ტკივილების გამომხატველი ლექსი „საბრალო გული“ კირილე ლორთქიფანიძეს მიუძღვნა. ლექსს სათაურქვეშ წარწერილი აქვს: „უუძღვნი თ. კ. ლორთქიფანიძეს“.

ლექსი ლირიული ხასიათისაა. მასში ავტორს წარმოდგენილი აქვს 20 წლის ჰაბუკის განცდები. აკაკი ამ ლექსში, რომანტიკოსების მსგავსად, სევდიანი ფულის მესაიდუმლოდ „წყნარ დამეს“, „მთვარეს და მოთამაშე ვარსკვლავებს“ წარმოდგენს. ცხოვრებისაგან დატანჯული პოეტი ცდილობს, „დაფარული ტანჯვა უსულო საგნებს გაუზიაროს“, პირადი სევდა ბუნების მოვლენებს გაანდოს და თავი ობლად წარმოიდგინოს. მაგრამ ამ პესიმისტურ ლექსს პოეტი ოპტიმისტური განწყობილებით ამთავრებს და მიზნად შეუღრეკელობასა და ბოროტთა წინაშე შეუპოვრობას ისახავს.

შემთხვევით არ უნდა იყოს გამოწვეული ის ფაქტი, რომ აკაკიმ თავისი ყმაწვილური გულის წმინდა განცდების თანამოზიარედ კ. ლორთქიფანიძე გაიხალა და ეს სულიერი კრძალვისა და პირველი ტკივილების გამომხატველი ლექსი თავისი სიყრმის მეგობარს კ. ლორთქიფანიძეს უძღვნა. მაგრამ ბაინტერესოა ისიც, რომ კ. ლორთქიფანიძეს რატომღაც საეჭვოდ მიაჩნია, რომ ასეთი ლექსი მასზე დაეწერა აკაკის. ამის თაობაზე კ. ლორთქიფანიძე ასეთ განმარტებას იძლევა: „...ეს ლექსი ჩემთვის ეძღვნა აკაკის და დაებეჭდა „კისკარში“, მე კი სრულიად ჩემს თავზე ვერ მივიღე და დარწმუნებული ვარ, რომ ამგვარ ლექსს მხოლოდ თავის თავზე თუ დაწერდა, რადგან სტუდენტებს, ვინც უხნესები იყვნენ, არ მოსწონდათ აკაკი და ხშირად უგონებდნენ მას რაღაც რამეებს. ერთხელ გამოდიებასავით გამოკითხვისათვის ჩვენებური სტუდენტების კრებაც და-



ენიშნათ და ამ კრებაზე გავრცელებული ხმები თვით გამვრცელებულბმა ტყუილ ამბათ გამოიყვანეს და ვინც მისი მღვენელი არ იყო, მათში აკაკიმ მე ამირჩია თავისი გულის მღელვარების გასამქლავნებლად<sup>1</sup>.

ვფიქრობთ, კირილეს ექვიანობა ამ ლექსის თაობაზე უსაფუძვლო უნდა იყოს. ცხადია, აკაკიმ ყველაზე უფრო სათუთი გრძნობის გამომხატველი ლექსი უახლოეს მეგობარს კირილეს მიუძღვნა.

საყურადღებოა ისიც, რომ კ. ლორთქიფანიძემ „ჩონგურში“ ილია ჭავჭავაძესთან ერთად აკაკი წერეთელს საპატიო ადგილი დაუთმო, მისი 12 ლექსი შეიტანა, ეს ლექსებია: „მოგონება“, „ამაო ძებნა“, „ზღაპარი“, „ფუტყარი“, „ფარისეველი“, „აქელაციის მცოდნე“, „მუშური“, „სიმღერა მკის დროს“, „სალამური“, „გლენის აღსარება“, „შიქასტა“, „საბრალო გული“.

სამაგიეროდ აკაკიმაც კ. ლორთქიფანიძის „ჩონგურს“ მაღალი შეფასება მისცა. აკაკიმ „ჩონგურის“ შესახებ სპეციალური რეცენზია დაბეჭდა „ცისკარში“ სახელწოდებით „რამოდენიმე სიტყვა ჩონგურის შესახებ“. რეცენზენტი პირველი სტრიქონიდანვე ქება-დიდებას უძღვნის კ. ლორთქიფანიძეს ასეთი სასარგებლო საქმისათვის. აკაკის აზრით, ეს პირველი ქართული წიგნია, რომელსაც „ასხია ქართული ხორცი და უდგია ქართული სული“.

„ძლივს ერთი ხეირიანი წიგნი გვეღირსა, — წერს აკაკი წერეთელი, — უფ. ლორთქიფანიძემ გამოსცა ლექსების კრება „ჩონგური“, რომელმაც მოულოდნელად გაგვახარა და ისე გულწრფელობითაც არის ეს ჩვენი სიხარული, როგორც პირმშო შვილის ძეობაზედ მისი მშობლებისა და ახლო მონათესავეებისა... სიტყვა „პირმშო“ აქ ჩვენ უმიზეზოდ არ გვიხმარია. ეს „ჩონგური“ არის პირველი წიგნი, რომელსაც ასხია ქართული ხორცი, უდგია ქართული სული, სტირის და ჰვენესის ქართველებს კვნესით და მაშ რაღა საეჭვოა, რომ ყოველ რიგიან ქართველთ ნათესავისათვის სასიხარულო იქნება?.. მიზეზიც ამის არიან ორი პირველნი მწერალთაგანი, როგორც ღირსებით, ისე რიცხვითაც: თ. ნ. ბარათაშვილი და თ. ი. ჭავჭავაძე<sup>2</sup>.

აკაკის ეს სტატია საყურადღებოა არა მარტო იმით, რომ მას კ. ლორთქიფანიძის შრომა დადებითად შეაფასა და „ჩონგური“ ქართველი ხალხის სულიერი ტკივილებს შემცველ პირველ წიგნად გამოაცხადა, არამედ იმითაც, რომ აკაკი წერეთელმა პირველმა დაინახა იდეური ნათესაობა ნ. ბარათაშვილსა და ი. ჭავჭავაძეს შორის.

<sup>1</sup> აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, H ფ. № 1466.

<sup>2</sup> „ცისკარი“, 1865, № 9.

სხვათა შორის კ. ლორთქიფანიძეს პეტერბურგში წინასწარ გა-  
ეგო, რომ აკაკის მის წიგნზე რეცენზია დაებეჭდა და ამის თაობაზე  
პეტერბურგიდან ნ. ნიკოლაძეს სწერდა: „1865 წლის დასასრულში-  
აკაკი წერეთელს დაუბეჭდვინებია „ცისკარში“ სტატია ჩემი წიგნის  
გაშო. ამბობენ, რომ პოეტების სინჯვაში და დაფასებაში არისო და-  
სხვათაშორის ჩემი წიგნიც უქია. ძალიან მინდა იმისი წაკითხვა...“<sup>1</sup>.

ცხადია, კირილე აქ გულისხმობს „ცისკარში“. დაბეჭდულ აკაკის  
ზემოთ დასახელებულ რეცენზიას.

რომ „ჩონგური“ თვით ნ. ნიკოლაძესაც მოსწონებია, ეს კირი-  
ლეს ამავე წერილიდან ჩანს. აი ეს სტრიქონებიც: „შენ რომ ჩემს  
წიგნზე სტატია გამოგზავნე სოვერემენიკში... მაშინ ეს უთუოდ არ  
დაგავიწყდებოდა. შენ ეს ძალიან მოგეწონა და მწერალი, რომ მაქ  
ვიყო, ამ წიგნისათვის გაკოცებდიო...“<sup>2</sup>.

ცხადია, ამ სტრიქონიდან ჩანს, ნ. ნიკოლაძეს „ჩონგური“ ისე  
მოსწონებია, რომ მადლობის ნიშნად კირილეს გადაკოცნის სურვი-  
ლიც კი ღაბაღებია. კირილეს ამ წერილიდან ირკვევა ნ. ნიკოლა-  
ძის წერილის შინაარსიც.

კ. ლორთქიფანიძისა და ა. წერეთლის მეგობრობისა და ლიტერა-  
ტურული ურთიერთობის ნათელსაყოფად შეიძლება აგრეთვე დავა-  
სახელოთ კირილეს მიერ აკაკის ლექსთა კრებულის „სალამურის“  
გამოსაცემად გამზადების ფაქტი.

როგორც მასალებიდან ჩანს, 1892 წელს კ. ლორთქიფანიძეს  
განუზრახავს აკაკის ლექსების ცალკე წიგნად გამოცემა. ეტყობა,  
წიგნის სახელწოდება კირილეს აკაკის იმავე სახელწოდების ლექსი-  
დან აუღია. გამოსაცემად გამზადებულ ხელნაწერს ასეთი წარ-  
წერა აქვს: „სალამური“ სასიმღერო და მესტირული ლექსები აკა-  
კის“<sup>3</sup>.

კრებულში მოთავსებულია აკაკის 27 ლექსი, სახელდობრ:  
„გულის პასუხი“ („ცრემლში მიღესავს ნალველი...“), „საიდუმლო  
ბარათი“, „სალამური“, „ძველ სამეფოს“ („სამეფო ძველთა ძვე-  
ლო...“). ლექსიდან „ძველ სამეფოს“ ცენზორს ამოუღია 8 სტრი-  
ქონი:

მაგრამ თუ დრო შეიცვალა,  
გაცოცხლდები, საქართველო.

...სხვა კილოზე დავამღეროთ,

<sup>1</sup> ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 595.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 975.

თუ რომ ბედმა გაგვიცინა!  
„ბერო ქართლის, გულს ნუ იტეხ,  
კმარა, ცრემლი რაც გდენია!

მოგვასწარ, რომ ვიძახოდეთ  
ვაშა ვაშა საქართველო!..

„შიქასტა“. ცენზორის მიერ ამ ლექსიდან ამოღებულია:

ყოველს წვეთში ნიშანს ნახავს  
ქართლის ტანჯვის გამოშხატველს.  
და მწარესა ნაკადულში  
გრძელს მოთხრობას გულის დამწველს.

„უდარდო კაცი“ („ყველასათვის კარგი მსურს...“), „მუხამბაზი“  
(„ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე...“), „აეადმყოფი“ (ცენზორის  
მიერ ამოღებულია მთლიანად), „ამირანიდან“, წითელი მეღვინით  
ამოშლილია:

კავკასიის მაღალ ქედზე  
მიჯაჭვული ამირანი  
არის მთელი საქართველო  
დი მტრები კი ყვეა-ყორანი.  
მოვა დრო და თავს აიშვებს,  
იმ ჭაქვს გაწყვეტს გმირთა-გმირი,  
სიხარულად შეეცელება  
ამდენი ხნის გასაჰირი.

„სიმღერა ძველთა“ („ქართველმა ხელი ხმაღს ვიკარა..“), „ოც-  
ნება თარზე“ („მიყვარს თარი გულსაკლავად მკენესარი“), ამ ლექსი-  
დან ცენზორს ამოუღია:

ალარც ვარდი, არც ბულბული, არც მთვარე,  
სხვის მოედნად გადაიქცა ეს მხარე!..  
ვარდის ნაცვლად ეკალს თვისვინებენი..  
ბულბულის წილ ბაყაყნი ყოყინებენი..  
ეს კი მგონი ალარ იყო სიზმარი!..  
მამ რაღათ მღერს, სჯობს დარუმდეს აწ თარი!..

„ახლანდელ ქალებს“, საიდანაც ამოღებულია:

პაქალუსტა მიტომ გეადვილება!..  
არ შეგშენის მშობლიური არა რა..

წერა-კითხვა გეზარება ქართული,  
შენი ღმერთი დაგვიწყდა ალარ გწამს,  
კერპადა გყავს თვით დათვი ამართული

„კინტოური“, „სატრფოს“, „ხალხური“, „აღმართ-აღმართ“, „სურვილი („მინდა რომ ჩემსა სატრფოსა...“), „მთვარე“, „ჩემო თავო...“, „იავ-ნანა“, „ადვოკატებს“, „იდეალი“, „ვარდის ხმაზე“, „ჯარის კაცი“ („პატარა კაცი ვიყავი...“), „სწვანური სიმღერა“ („მთვარე ერთია, ერთია მზე...“), „ხალხური“ („ალვის ზე აყვავებულა...“), „განთიადი“.

„სალამურის“ ხელნაწერის პირველ გვერდს ცენზორი რაფიელ ერისთავი ასეთ წარწერას უკეთებს: «Дозволено цензурою на пятидесяти восьми страницах с исключениями на страницах 7, 8, 9, 13, 15, 18, 19, 45 и 53.

12 декабря 1892 года, Тифлис. Цензор князь Р. Эрстов».

ამვე გვერდზე ქართულად წარწერილია: „ამ რვეულში მოთავსებული ოცდაექვსი ლექსის (გარდა ლექსისა „ხოლერა“) დაბეჭდვის ნებჲს აძლევს წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობა. ამხანაგობის გამგე ალ. ჯაბადარი, 13 დეკემბერი, 1892 წ. ქ. თბილისი“<sup>1</sup>.

ალ. ჯაბადარის წარწერის მიხედვით კრებულიდან ამოღებული უნდა ყოფილიყო აკაკის ლექსი „ხოლერა“, მაგრამ ასეთი ლექსი სულ არ ყოფილა შეტანილი წიგნში, მას უნდა დაეწერა „გარდა ლექსისა „ავადჰყოფი“, რადგან კრებულიდან ცენზორის მიერ ეს ლექსია ამოღებული.

ცხადია, სანამ ქ. ლორთქიფანიძე კრებულის შედგენას შეუდგებოდა, მანამდე მოლაპარაკებას აწარმოებდა აკაკისთან და მისგან დაბეჭდვის ნებართვას ითხოვდა. როგორც ჩანს, აკაკი სიხარულით შეხვედრია კირილეს ასეთ ნაბიჯს და თავის მხრივ დახმირება აღუთქვამს კირილესათვის. ერთ ბარათში აკაკი ამის თაობაზე კირილეს სწერს: „შენი შემოთვლილი გადმომცა ანდრია ერისთავმან და დიდი სიამოვნებით ვეცდები ასრულებას, ჩემის მხრივ დაბრკოლება არ იქნება“.

მართალია, შეპირებული ლექსები აკაკის გაუგზავნია კირილესათვის, მაგრამ აკაკის „სალამურში“ მოთავსებული ზოგიერთი ლექსი კრებულის გამოსვლამდე „ჭეჭილსა“ და „კვალში“ გამოუქვეყნებია, რასაც კირილეს სამართლიანი უკმაყოფილება გამოუწვევია. ერთ კერძო ბარათში კირილე ამის თაობაზე საყვედურს უთვლის აკაკის და თან წიგნის გამოცემასთან დაკავშირებულ მატერიალურ სიძნელეებზეც მიუთითებს.

„ძმავ აკაკი!

დღეს დილით მივიღე ჭეჭილისა და კვალის ნომრები, რომელ-

<sup>1</sup> საქართველოს სახ. ლიტ. მუზ., ხელნაწერი № 11692.

თავან ერთმა ძალიან მასიამოვნა და მეორემ გამამწარა და ამ სიმწრის დაფარვა არ შემიძლია... სამწუხარო კი შეიქნა ჩემთვის კვალის ნომერი, რომელშიც კიდევ არის ერთი შენი ახალი ლექსი... ვაჟო, თუ ისე გინდოდა, რომ სალამურში მოძღვანებული ყველა დაუბეჭდელი ლექსები ჯერ კვალში და ჯეჩილში ყოფილიყო დაბეჭდილი, გეტქვა წინდაწინ და მამინ სულ სხვა ანგარიშს დაეიქერდი და ისეთ ფასს დავაწერდი სალამურს, რომ მალე გასაღებელიყო და ხარჯი ნისიობით აღებული მალე დაეფარა. ახლა, როდესაც შენი თხზულების პირველი ტომი ასე მრავალი იყიდება, რომელშიაც სალამურის ნახევარი არ არის და მეორე ნახევარს სალამურისას მეორე ტომში მოელიან და წინდაწინ ჯეჩილში ან კვალში წაიკითხონ, მე არ მგონია ასე მალე გაიყიდოს სალამური და რაზედ შევედით ამ შეცდომაში, მე სწორედ არ შემიძლიან ამის გაგება. ამის მეტი სხვა რაღა მეთქმის მე. შენი კირილე<sup>1</sup>.

ამ წერილიდან ისიც ჩანს, რომ აკაკის ლექსთა კრებული „სალამური“ სტამბაში აწყობილი ყოფილა და მალე უნდა გამოასულიყო წიგნის ბაზარზე და გამომცემელს მხოლოდ ის აწუხებდა, რომ შიგ მოთავსებული აკაკის ლექსები უკვე მანამდე დაებეჭდა ავტორს და ამიტომ „სალამური“ ნაკლებად გაიყიდებოდა. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ „სალამური“ სინამდვილეში წიგნის ბაზარზე არ გამოასულა. ჩვენ ვეძებთ წიგნის მატრიანეში და კირილეს ზიბლიოთეკაში, მაგრამ ასეთ კრებულს ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ. მართალია, ამ სახელწოდებით ზაქარია ჭიჭინაძემ ორჯერ გამოსცა (1877, 1882) ქართული პოეტების ლექსთა კრებული, მაგრამ ეს არ არის აკაკის „სალამური“.

კირილეს საყვედურის წერილზე აკაკის პასუხი გაუცია. საკითხის უფრო გარკვევისათვის საჭიროა გავეცნოთ აკაკის წერილსაც. აკაკი საპასუხო წერილში ცდილობს თავი გაიმართლოს კირილეს წინაშე და თანაც საინტერესო ცნობებს გვაწვდის ცენზურული პირობების გამო წიგნის გამოცემის დაბრკოლების შესახებ.

„ძმაო კირილე! — სწერს აკაკი, — ამხანაგებმა მოდად შემოიღეს, რაც უნდათ, უჩემოდ ბეჭდავენ, რაც არა, მე მაბრალევენ, აკაკიმ არ გაუშეაო და თავმოყვარე ავტორებისაგან მოსვენება არ არის. დღეში ათობით და ოცობით მოგვდის საყვედურისა და ლანძღვის წერილები, ამათ ლანძღვას გაუძლებ, მაგრამ ზედ რომ შენი საყვედური დაერთო, ის კი არ მეამა, მით უფრო, რომ ტყვილი შეგპარვია.

<sup>1</sup> აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, H ფ. 1496 (7).

ჩემს შესახებ<sup>1</sup>. მე ღიდად მსურდა, რომ „სალამური“ ყველაზე აღრე ყოფილიყო გამოცემული, მაგრამ არ მოხერხდა, არა და რა ჩემი ბრალია. კომიტეტში ორჯერ ვიყავი, რაფიელთან სამჯერ და მითხრეს გავგზავნეთო. როდის, რა ნომრით, რა დღეს, რომ ვკითხე, ეს სულ ერთია, დაგვიჭერე გავგზავნილიაო. რაღა მეთქვა, ჩხუბს ხომ ვერ დავეუწყებდი. შენ კი სულ სხევასა ფიქრობ... განა მე ჩემი თავის მტერი ვარ? რაც შეეხება ლექსების დაბეჭდვას, ეგ ჩემის აზრით, არას უშლის, მაინც გაიყიდება... ვინ გითხრა, რომ შენზე ცუდ რამესა ვფიქრობ...

შენი აკაკი<sup>2</sup>.

როგორც წერილიდან ჩანს, ცენზურაში თავიდანვე დაბრკოლება ყოფილა და ამდენად ამ წიგნის დაბეჭდვა შეუძლებელი გამხდარა.

როგორც აღრევე აღვნიშნეთ, 1905 წლის ქარიშხლიან დღეებში კ. ლორთქიფანიძემ ქუთაისში გამოსცა რუსი რევოლუციონერი პოეტების ლექსების თარგმანი „სანთურის“ სახელწოდებით. კირილეს ეს წიგნი ასეთი წარწერით მიუცია აკაკისათვის:

„ძნაო აკაკი! გიძღვნი ამ წიგნაკს უგულთადღესი სიყვარულის ნიშნად. მითვალე იგი ორმოცი წლის წინად შენგან მოძღვნილა ლექსის საშავიეროდაც და რა სახელიც უნებადღეს ის დაარქვი, ვინღ ლექსები პროზად გარდაქმნილი. არ დაივიწყო კი ანდაზა, რომ ჯორჯობა ძალღმა კურდღელი გამოაბრუნოს, დაქერად ჩაეთვლებაო. შენი კირილე.

ქუთაისი, 19 მარტი, 1905 წელი“<sup>3</sup>

ორმოცი წლის წინათ მოძღვნილ ლექსში იგულისხმება ზემოთ

<sup>1</sup> აკაკის ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვს ვაჟა-ფშაველასთან მომხდარი კონფლიქტი. როგორც ცნობილია „კვალის“ რედაქციამ ვაჟა-ფშაველას ზოგერთი ლექსი სუსტად ჩათვალა და არ დაბეჭდა. რედაქტორმა ანასტასია წერეთლისამ ეს აკაკის დააბრალა. იგი ვაჟა-ფშაველას სწერდა: „ახლად დაბრუნებულმა რედაქციის წევრმა აკაკი წერეთელმა არ გუშავაო“. ამას მოჰყვა ვაჟას პასუხი, სადაც იგი საყვედურს გამოთქვამდა როგორც აკაკი წერეთლის, ისე რედაქტორის მიმართ, რადგან, ვაჟას აზრით, თუ რედაქციის წევრმა აკაკიმ დამწუნა, რედაქტორს ხომ შეეძლო თავისი პასუხისმგებლობით დაებეჭდაო.

ვაჟა-ფშაველა „კვალის“ რედაქტორს სწერს: „თქვენ ხომ მიიღეთ ის და კიდევაც უნდა დაგებუქდათ, თუ საკუთარ თავს და საკუთარ აზრს რაიმე ფასსა სდებთ. ერთი ვნახოთ, ხვალ აკაკიმ ამ რედაქციის წევრობას თავი დაანებოს, მეოე მე და თქვენ რაღა გვეშველება, ხომ უნდა ვირბინოთ კარი-კარ და სხვა დამფასებლები ვეძებოთ...“, ხოლო აკაკის შესახებ ვაჟა წერს: „მე ღიდად პატივისცევამ აკაკის ნიჭსა და მოღვაწეობას, მაგრამ ისე კი არა, არც აკაკის და არც სხვას, რომ საკუთარის თავის პატივისცემაზე ხელი ავიღო...“ (ს. ყუბანეიშვილი, ვაჟა-ფშაველა, დოკუმენტები და მასალები, გვ. 296).

<sup>2</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 920.

<sup>3</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 567.

ღასანელბოტული აკაკის „საბრალო გული“. რომლის განსხვებამ ახალგაზრდობის შარავანდედის დღეები მოაგონა აკაკის. ანეთო გულწრფელი საჩუქრით აღფრთოვანებული აკაკი წერეთელი კირილეს სწერს საპაუზო ბარათში: „ძმაო კირილე! შენმა წიგნაკმა, უფრო კი ზედ წარწერამ ახალგაზრდობის შარავანდედი გამიანბლეს!.. ნგოსანს ვერ გადავიყვან პირველ კლასში: ის არა ჰკრებს ციდან ვარსკვლავებს, მაგრამ სხვებს კი, რომლებსაც თავი პოეტად მოაქვთ, უმტკიცებს, რომ ქართულად ლექსის წერა ადვილია. ყოველ შემთხვევაში დიდათ და დიდათ მასიამოვნა გამტკეცილმა ენამ და ლექსთა წყობამ. შენი ზიკვილიამდე მოყვარული აკაკი. ვაი თუ ვერ გაარჩიო ბრმის ნაწერი.

25 მაისი, 1905 წელი<sup>1</sup>.

როგორც ამ პასუხიდან ჩანს, აკაკის კირილე, ცხადია, არ მიაჩნია პირველი კლასის პოეტად, მაგრამ მას „გამტკეცილი ენით“ და „ლექსთა წყობით“ აკაკი მალლა აყენებს ზოგიერთ მყვირალა პოეტზე.

1908 წელს დიდი ზეიმით იქნა გადახდილი აკაკი წერეთლის იუბილე. გარდა იმისა, რომ კირილე ქუთათისში ამ იუბილეს ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო, ასეთი გულწრფელი სტრიქონები მიუძღვნია აკაკისათვის.

გრძნობა, გული და  
ჩემი გონება  
შენს ტყვედ ჰყო ჩემმა  
ყმაწვილკაცობამ  
და დღეს დამატკობ,  
კიდევ მომიბღა  
საყოველთაოდ  
შენმა დღეობამ.  
კირილე

აკაკის, 14 დეკ. 1908-<sup>2</sup>.

ეს თბილი სტრიქონებიც მათი ურთიერთობის თვალსაჩინო მაგალითია.

აგრეთვე ყურადღების ღირსია კ. ლორთქიფანიძის შენიშვნები აკაკი წერეთლის დრამის „მედეას“ შესახებ. ამ შეფასებას კირილე ერთ პირად ბარათში გამოთქვამს. ჩანს, მას ეს ნაწარმოები მოეწონა, მაგრამ მისი სტენაზე წარმოადგენა შეუძლებლად მიიჩნია. და რამდენადაც ვიცით, აკაკის „მედეა“ მართლაც არ დადგმულა სტენაზე.

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 42.

<sup>2</sup> იქვე.

აბ კირილეს წერილიც: „ძმარ აკაკი! გუშინ საღამოს ვიყავი შენს სანახავად, მაგრამ დაგბინებოდა და ველარ გაღმოგეცი შენი „მელეა“ და ვერც დავტოვე, დაკარგვის მეშინოდა და ამასთანავე ზოგიერთი წერილმანი შენიშვნები მინდოდა მეტქვა იმისთანა რამეებზე, რომელიც ზოგი უნდა იყოს გადამწერის ბრალი და ზოგი შენი თვითონ. თხზულება მომეწონა, უწინ რომ წავიკითხე იმაზე მეტად, მაგრამ ჩემი აზრით მისი წარმოდგენა სცენაზე ჩვენის მსახიობებისა და სცენის მოუწყობლობის შემწეობით ერთობ ძნელი იქნება და თითქმის შეუძლებელი.

ახლა მინდა შენი პოემა მათხოვო წასაკითხად და რაც შეეხება იმ შენიშვნებს, თუ ხვალ ნასადილევს ვნახავთ ერთმანეთს აბაშიძის სასტუმროში, მაშინ გეტყვი. შენი კირილე, 29 იანვარი 1897 წ. ქუთაისი“<sup>1</sup>.

როგორც ამ წერილიდანაც ჩანს, კირილე ხშირად კითხულობდა აკაკისა და სხვა ქართველი მწერლების ხელნაწერებს და თავის აზრს შენიშვნების სახით უზიარებდა ავტორებს, კირილეს აკაკის თხზულებაზე ასეთივე შენიშვნები გაუკეთებია და ამიტომ ცდილობს მასთან შეხვედრას აზრის გაზიარების მიზნით.

აკაკი წერეთელი პეტერბურგიდან კირილეს უგზავნის საინტერესო ბარათს, სადაც აღწერილი აქვს თავისი ლექსებისა და დრამატული პოემის „თამარ ცბიერის“ წარმატება რუს მკითხველებში.

წერილში ნათქვამია „...ასე ოცდაათამდი ჩემი ლექსები და „თამარ ცბიერი“ გადავთარგმნე პროზად... და ისეთი ამბავი მოახდინა, რომ გასაკვირველი. რუსის ლიტერატორებს ძალიან მოეწონათ, როგორც მოსკოვში, ისე აქ. გადადის და გაღმოდის ხელნაწერები სხვადასხვა კრუჟოკებში და კითხულობენ. ქართულიდან რომ არის, მე მგონია ის უკვირთ, თორემ სხვა მაინცდამაინც არა არის რა!.. ყველა ეურნალს უნდოდა, რომ დაებეჭდა და „სევერნი ვესტნიკს“ დარჩა. სცენაზე აპირებენ თამაშს... სხვა რაღა მოგწერო, თუ რამე გინდა (ფულს გარდა) შემომითვალე და ვეცლები აფისრულო. შენი აკაკი. Невский № 63“<sup>2</sup>.

კ. ლორთქიფანიძის მზრუნველობა აკაკის ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი იმითაც ჩანს, რომ კირილეს არქივში ბლომად მოიპოვება აკაკის ნაწერთა დედნები, კირილეს ხელით გადაწერილი ვარიანტები და შესწორებული ეგზემპლარები. ლექსებიდან შეიძლება დავასახელოთ შემდეგი: „მომავალი“, „დამარხვა“, „გაზაფხული“, „დათვი და მელა“, „საახალწლო ნატვრა“, „გორის ციხე“.

<sup>1</sup> აკად. ს. ჭანაშვიის სახ. საქართველოს სახ. მუზ., II ფ. 14961.

<sup>2</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 907.



„მამა და შვილი“, „განთიადი“, „გამოსალმება“, „აღსარება“, „ძმური სიტყვა“, „სულიკო“, „შიქასტა“, „სიმაართლე“, „ტყვილ მგოსანსა“, „ბედნიერი მოხუცი“, „ხოლერა“.

აკრეთვე კ. ლორთქიფანიძის არქივში ინახება აკაკის ლექსთა კრეფე ერთი კრებული, სადაც მოთავსებულია 12 ნაწარმოები. აქვე არის პოემა „თორნიკე ერისთავის“<sup>1</sup> ორი ხელნაწერი და სტატიები: „ვიანს გავეყარე, უის შევეყარე“, „მეველეობასაც ცოდნა უნდა“. ეს უკანასკნელი ეხება მწერალ ღათა მიქელაძეს, რომელიც „მეველეს“ ფსევდონიმით წერდა.

აკაკის ამ ნაწარმოებების საბოლოო რედაქცია და დაბეჭდვაზე ზრუნვა კ. ლორთქიფანიძის სახელთან არის დაკავშირებული. მიუხედავად ასეთი ანლო მეგობრობისა, როგორც აღვნიშნეთ, კირილესა და აკაკის შორის ყოფილა უსიამოვნებისა და გაბუტვის შემთხვევებიც, მაგრამ მათი ასეთი დამოკიდებულება დიდხანს არ გრძელდებოდა, განსაკუთრებით აკაკის არ შეეძლო კირილესთან დიდხანს დამდურება და ისინი ისევ მალე პოულობდნენ საერთო ენას. მათ შორის ასეთი შემთხვევითი და უსაფუძვლო წაჩხუბების რამდენიმე შემთხვევას აღვნიშნავთ: როდესაც საზღვარგარეთ ს. მესხის წასვლის გამო, „ღროების“ რედაქტორობა კირილეს დაეკისრა. გაზეთის 38-ე ნომერი მას გამზადებული დაუტოვებია კირილესათვის და ამ ნომერზე, როგორც რედაქტორს, კირილეს უნდა მოეწერა ხელი, მაგრამ რადგან გაზეთში აკაკის წერილი ყოფილა მოთავსებული, კირილეს უარი განუცხადებია ხელის მოწერაზე. ეს ჩანს კირილეს მიერ ნ. ნიკოლაძის სახელზე გაგზავნილი ერთი პატარა ბარათიდან. ბარათში ამის შესახებ აღნიშნულია: „რადგან უმთავრესი სამმართველოს გადაწყვეტილებაზე ჩემი ღროებითი რედაქტორად დამტკიცების შესახებ მე ხელი არ მომიწერია, ამიტომ „ღროების“ 38 ნომერზე ისევ ს. მესხის სახელი და გვარი იყოს. რომ ჩემს გვარს ვერ მოვაწერ იმ ნომერზედ, რომელშიაც აკაკის სტატია იქნება“<sup>2</sup>.

ხოლო თავის მხრივ აკაკი წერეთელსაც არ მოუსურვებია ისეთ გაზეთსა და ჟურნალში თანამშრომლობა, რომლის რედაქტორი კ. ლორთქიფანიძე იქნებოდა. როდესაც „ღროების“ რედაქციას მკითხველებისათვის უცნობებია, რომ გაზეთში მომავალ წელსაც ძველი თანამშრომლები მიიღებენ მონაწილეობასო, აკაკის რედაქციისათვის პროტესტი გაუცხადებია და მკითხველებისათვის ასეთი ახსნა-განმარტებით მიუმართავს: „გულისათვის მწუხარებით უნდა გადმოგვცეთ, მკითხველებო: „ღროების“ რედაქციამ გამოაცხა-

<sup>1</sup> „თორნიკე ერისთავის“ ხელნაწერი დეტალურად შეინწავლა და გამოცა პროფ. პროკლე კეკელიძემ.

<sup>2</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 392.

და, რომ მომავლის წლისათვის წელს რომ იყო, ის თანამშრომლებივე იქნებიანო, ამ თანამშრომელთა რიცხვში შეიძლება მეც ვეგონო მკითხველებს და ჩემი ნაწერი რომ ვეღარ ნახონ რა „დროებაში“ ვაი თუ ჩემის მხრით მოტყუებათ მიიღონ და ამისათვის, მსოლოდ ამ მიზეზით, ვალდებულს ვხდი ჩემს თავს ვაცნობო მათ, რომ დღეის იქეთ არაერთარ მონაწილეობას აღარ ვღებულობ „დროებაში“ და არც „კრებულში“<sup>1</sup>.

აკაკის ეს განცხადება უშუალოდ კირილეს წინააღმდეგ იყო მიმართული, რადგან იმაჟამად „დროებისა“ და „კრებულის“ რედაქტორად კირილე ითვლებოდა, მაგრამ აკაკიმ კირილეს სახელი საჯაროდ მაინც არ გამოიტანა.

როგორც ამ დოკუმენტებიდან ჩანს, სერიოზული წინააღმდეგობა კირილესა და აკაკის შორის არასოდეს ყოფილა. პირიქით, კირილე ყოველთვის აკაკის პოეზიისა და მისი პიროვნების დამცველი და თავყანისმცემელი იყო. ხშირად მატერიალურ სივიწროვეში ჩავარდნილი პოეტისათვის კირილეს ხელი გაუშართავს. როდესაც საკუთარი სახსრები არ ჰქონია, ამ მიზნისათვის მას ბანკის თანხებიც გამოუყენებია.

ბევრჯერ ვალში დაგირავებული აკაკის მამული ბანკიდან კირილეს გამოუხსნია და ფულადი დახმარებაც მიუცია. ამაზე მიუთითებს ის დიდძალი ეპისტოლარული მემკვიდრეობა, რომელიც კირილეს არქივშია დაცული.

კ. ლორთქიფანიძისა და აკაკი წერეთლის ახლო ურთიერთობის კიდევ უფრო ნათელსაყოფად მოვიტანთ რამდენიმე დოკუმენტს მათი შიშოწერიდან. უკვე ღვაწლმოსილი პოეტი პეტერბურგიდან კირილეს თავისი ავადმყოფობისა და ფულის საჭიროების შესახებ სწერს და სთხოვს ბანკიდან პენსიის წინასწარ აღებასა და გაგზავნას.

„ძმაო კირილე! ჩემი საქმეები საბოლოოთ კარგად იქნება, მაგრამ რათ მინდა, რომ მე თურმე ვეღარ მოვესწრები, გუშინ კონსილოში იყო, დოქტორებმა პირდაპირ მითხრეს: გული გქონია გაფუჭებული და თუ ახლავე მარიენ-ბადენში არ წახვედი, უსაშველოა შენი საქმეო. ესევე მითხრა ბოტკინის მოადგილემ ჩუდნოვსკიმაც და წიგნი მიწიწერა დოქტორ კიშთან. ჭერ სანამდე მე შეძლებული გავხდებოდე, ვინ იცის რამდენი ხანი გაივლოს და მანამდე მე გული აღარ დამაცლის. ერთის სიტყვით უსაშველი ვარ. გეთაყვაწე, ნახე ნაზაროვი და ბაქრაძე, დათა ლორთქიფანიძე და სხვა ჩვენები და იმათაც დაეკითხე... ეგებ ამ მისს კრებაზე საზოგადოებამ ისურ-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 911.

ვოს და წლის წყალობა, ე. ი. პენნია წინააწარ მოაკემინოს. თუ არ მოგვედი აუნაზღაურებ და თუ მოგვედი, განკარგულებას დავეუგლებ შეიღს და ის გადაიხდის... თუ დაატყოთ ვინმემ საწყინოდ მიიღოს ჩემი თხოვნა, თავი დაანებე, აღარ ღირს... თუ მოიკალაო, მანდაურა ამბები ზომწურე. ჩემი ნაწერები რაც აქ არის შენ სახელზე დაბეჭდე და აგრეთვე ერთი იაშვიცი ტფელისშია, ჩემი ცოლის დათან. ხოლო არ ვწვევარ, მაგრამ ცუდად ვარ. ჩუდნოვსკი მაიმედებს, წადი წყლებზე და თუ სულ არა, დიდხანს მაინც მოგაბრუნებაო. შენი აკაკი“<sup>1</sup>.

როგორც აკაკის მომდევნო წერილიდან ჩანს, ბანკს მიაი თხოვნა არ შეუწყნარებია და საზღვარგარეთ წყლებზე წაავლის მაგიერ პეტერბურგში დაუწყია მკურნალობა. წერილიდან იხიცი ჩანს, რომ სხვა სამკურნალო წამლებთან ერთად თურმე ვერცხლს პრეპარატსაც ხმარობდნენ ექიმები. ამიტომ ირონიულად წერს აკაკი, ექიმები ვერცხლს მაყლაპებენო.

„ძნაო კირილე! ამ უამად, როგორც მოგეხსენება, პეტერბურგში ვარ შეპყრობილი ორის სნეულებისაგან: გული მებერება და ჯიბე მეჩუტება. ორრვეს აჭირობას შეუდექი და იმედიარ რომ მფორესაგან, ე. ი. დაჩუტვისაგან სრულიად განვიკურნო ერთხელაც არის, მაგრამ გაბერვის სრულიად გაქარწყლება არ მოხერხდება და შეღავათი კი შეიძლებაო, რა გაეწყობა, ესეც კარგი ღეთის წყალობაა. საკვირველია ჩემი ბედის საქმე, როცა არა მტკიოდა რა, პურიც არ მქონდა საყლაპავად და ახლა ამ სნეულებაში ვერცხლს მაყლაპებენ ექიმები! დაცილება არ არის ბედისაგან აბა რა ჯანდაბა? აფთექებმა და ექიმებმა ისე გამიჭირეს საქმე, რომ გაძლება ძნელი შეიქნა. ბანკიდან ვითხოვე, იმ ბანკიდან, სადაც ჩვეულებათა აქვთ სხვებს თავსაი წილი ჯამავირის წინდაწინ გატანა და მე რაც მერგებოდა, იმაზეც უარი შემომითვალეს... ჩემი დის წიგნი მომივიდა, კონვერტზე შენი ხელი ვიციანი... ვაი თუ გაწუხებს! თუ ნახო, უთხარი. კარგად იცის, რომ მაგისტვის არას დავიშურებ. მაგრამ ჯერ სანამ საქმე დაბოლავდებოდეს, მე ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვარ. თუ მონხერხებს და წავა საჩხერეში, ხომ კარგი. თორემ ერთ თვე მოითმინოს და მივაწვდინ ფულებს...“<sup>2</sup>.

1892—1893 წლებში საქართველოში ხოლერით დაავადების შემ-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 906.

<sup>2</sup> ამ შემთხვევაშიაც აკაკი უნდა გულისხმობდეს სასამართლო პროცესს ცოლის მზითვის შესახებ, თუმცა დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ეს პროცესი პირველად მიმდინარეობდა სასამართლოში.

<sup>3</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 907.

თხვევები ყოფილა. რამდენიმე შემთხვევა ქუთაისშიც გამოჩენილა. აქაი ამ დროს საჩხერეში შეხიზნულა და კირილესაც ეპატოება შედარებით ამ უშიშარ ადგილზე.

„ძმაო კირილე! დავემწყვერი ამ ცუდ დროს საჩხერეში, არაფერი ვიცი, რა არის ქვეყნიურებაზე. დროს კარგად ვატარებ, ე. ი. მარტო ვარ ჩემთვის, ვწერ და ვკითხულობ... ერთა შემთხვევა იყო აქ ხოლერის, ჭერ მეტი არ ყოფილა და კიდევ თუ იქნა, ოსეთში წავალ. ანუ ვივლი სულ იალბუზამდი. ქუთაისში რა ამბავია. მე შენი ფიქრი უფრო მაქვს. თუ მანდ ძალიან გაშშირდეს, წამოდი ჩემთან და დრომდე თავი მოაშორე... თუ მიიცალო, წიგნი მომწერე. შენი აქაი“!

ეს მასალა ერთხელ კიდევ ადასტურებს. რომ ეს ორი დიდი პატრიოტი, აქაი და კირილე, როგორი ხელითელჩაქედებულნი იბრძოდნენ ეროვნული კულტურის ამღლებინათვის, აქაი როგორც მხატვრული სიტყვით ბუმბერაზი ოსტატი და კირილე, როგორც მწერალი და პრაქტიკული მოღვაწე.

### კ. ლორთქიფანიძე და გ. წერეთელი

კ. ლორთქიფანიძესა და გ. წერეთელს შორის ჭერ კიდევ ქუთაისის გიმნაზიიდან დაიწყო მეგობრული ურთიერთობა, რაც კიდევ უფრო განმტკიცდა პეტერბურგის უნივერსიტეტსა და პეტრე-პავლეს ციხეში.

როდესაც გ. წერეთელმა გაზეთი „დროება“ გამოსცა, კირილეს სთხოვა საქართველოში ჩამოსვლა და გაზეთში თანამშრომლობა. მაგრამ „დროების“ დაარსებამდე გ. წერეთელს სურდა, ილიას „საქართველოს მოამბე“ კ. ლორთქიფანიძის ხელში გადასულიყო და ამის გამო სთხოვდა კირილეს საქართველოში ჩამოსვლას და „საქართველოს მოამბის“ რედაქტორად მუშაობას<sup>1</sup>.

როდესაც გ. წერეთელი საზღვარგარეთ აპირებდა წასვლას, იგი ცდილობდა „დროებას“ ასევე კირილე ჩადგომოდა სათავეში. გავიხსენოთ ამის თაობაზე კ. ლორთქიფანიძისადმი მიწერილი ბარათი:

„...მე სექტემბრიდან საზღვარგარეთ მივდივარ დიდი ხნობით და შენ მიუცილებლად ჩემ მაგიერ იქნები საჭირო“...

როგორც ჩანს, კ. ლორთქიფანიძე გ. წერეთლის სურვილის მიხედვით პეტერბურგიდან იმჟამად არ დაბრუნებულა და ამდენად

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 912.

<sup>2</sup> ამის შესახებ დაწერილებით იხილეთ ჩვენი შრომა „დასების საკითხისათვის მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში“, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. XV, 1956.

გაზეთის რედაქტორობა კირილეს ნაცვლად ს. მესხს დაეკისრა, მაგრამ კირილე ყოველთვის „დროების“ აქტიური თანამშრომელი იყო და შემდეგ მისი რედაქტორიც. ათეული წლების განმავლობაში ორივე მათგანი ერთად მოღვაწეობდა „დროება“-„კრებულში“ და წამყვან ძალად ითვლებოდა ახალ დასში.

ისინი ყოველთვის პრინციპულ ბრძოლას აწარმოებდნენ იდეურ მოწინააღმდეგეთა მიმართ, მაგრამ საქმის ინტერესებისათვის ხშირად ერთმანეთსაც ეღაცებოდნენ. ანლო მეგობრობა და მსოფლმხედველობის ერთიანობა მათ ხელს არ უშლიდა; ამა თუ იმ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა გამოეჩინათ და დავაც გაემართათ. ამას ადასტურებს მათ შორის საქმიანი მამოწერა, რომელაც ზოგჯერ პირად უქმყოფილებსაც კი იწვევდა.

მაგალითად, 1865 წელს გაგზავნილ ბარათში გ. წერეთელი ეკრილეს ბევრ რამეში უსაყვედურება. სახელდობრ:

1. რომ „ჩინგურა“ დიდი ფასის გამო არ იყიდება; რაც სპეკულაციური მიზნით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი.

2. რომ შულგინის ისტორიის კურსი არ თარგმნა კირილემ დროულად. რისთვისაც მას აფხაზისაჯან 600 მანეთი ჰქონია მიღებული.

3. გ. წერეთელს უსაფუძვლოდ მიაჩნია ეკრილეს თავის მართლება ისტორიის თარგმანის ნაცვლად „ჩონგურის“ გამოცემის შესახებ.

4. გ. წერეთელი ეკრილეს უსაყვედურება საქართველოში ჩამოუსვლელობას, თავისი ქვეყნისაგან შორს განდგომას, დედა სამშობლოსაღმი გულგრილობას. წერილის დასასრულს გ. წერეთელი წინასწარ ითხოვს ბოდიშს ასეთი ხასიათის ბარათისათვის: „იქნებ ამ წიგნმა ცოტა გაგაჯაუროს; მაგრამ იმედი მაქვს არ დამემდღურებიო“!

როგორც ამ საინტერესო წერილიდან ჩანს, ე. ლორთქიფანიძეს მართლაც დავალებული აქონია შულგინის ისტორიის თარგმნა, მაგრამ ეს დავალება ვერ შეუძრულებია და ამის მაგივრად „ჩონგურა“ გამოუცია. ხოლო „ჩონგურის“ ფასის შესახებ გ. წერეთელი ეკრილეს სწერს: „ეს ლექსები ძლიერ კარგი გამოვიცია. მაგრამ ასეთი ფასი დაგიდგია, რომ ლორწვიც რომ მოგდიოდეს სურვილით. ბევრი მაინც ვერ ყიდულობს და რჩება მაგაზინაში და ტაბოგრაფიაში სააღმობად“.

ამავე წერილში საინტერესო ცნობაა 1865 წელს თბილისში მომხდარ ხელოსანთა აჯანყების შესახებ: „გოლოვას მთავრობის ამორჩეულს სახლი დაუნგრეს და გაუცარცვეს. მისი პომოშნიკი ჩამო-

1. ე. ლორთქიფანიძის არქივი. ხელნაწერი N: 303.

ახრჩვეს... მთელი საქართველო დაიძრა, ეს საქმე, როგორც გომონდა, ამით არ გათავდება...“<sup>1</sup>

როგორც მოსალოდნელი იყო, კ. ლორთქიფანიძე მართლაც აღუშფოთებია გ. წერეთლის ასეთ წერილს. ყველაზე მეტად სმწუხარო კარილესათვის ის იყო, რომ გ. წერეთელი მის ზნეობრივ მხარეს ეხებოდა, ვინაიდან „ჩონგურის“ გამოცემაში კირილეს სპეკულაციური ბუნება დაინახა. საპასუხო სტატიაში კირილემ სწორედ ამ ზნეობრივი ბრალდებისაგან იწყებს თავის მართლებას.

„ზოგიერთი ზნეობითი თვისება და იმათ შორის პატიოსნებაც; — წერდა კირილემ, — სწავლის პრინციპებით არ შემოიძენია, სწავლამ გამივრცელა და უფრო გამიგანოიერა ის, რაც შინაური აღზრდისაგან იქონდა მიღებული. მე არა მაქვს პრეტენზია დიდ ჭკუაზე, დიდ სწავლაზე, დიდ ენერჯიაზე... მაგრამ პატიოსნების ცოტაოდენი შელანძვაც არ შემოიძლიან“<sup>2</sup>.

კ. ლორთქიფანიძე არ უარყოფს იმავეს, რომ მან შულგინის ისტორიის თარგმნა ვერ შეასრულა, მაგრამ ამას ხსნის არა უპატიოსნობით, არამედ სხვადასხვა საპატიო მიზეზით.

სახელდობრ: 1. რომ ჯერ კიდევ საქართველოს ისტორია და გეოგრაფია დაწერილი არ იყო და საამისო ტერმინები ქართულ ენაზე არ მოაპოვებოდა.

2. თვით აფხაზისაგან სათანადო პასუხი ვერ მიუღია და ისე კი შეშინებია, ვაი თუ შრომა ტყვილა დაეკარგოს, როგორც ეს მოხდა „ბიძია თომას ქობის“ თარგმნის დროს.

ამის შესახებ კირილემ წერს:

„მაშინ გამახსენდა უხეირო დაბოლაეება „ბიძია თომას ქობის“ თარგმნისა, მეორე საქმისა კიდევ და ამის გარდა ისტორიის თარგმნის საქმეზედაც ვერაფერი შევიტყვევ, ვიდრე ესეც უთუოდ ცუდად დაბოლაეებას ნიშნავსთქო, მომივიღა გული და ერთ საღამოს, რაც ნათარგმნი მქონდა, დავხიე...“<sup>3</sup>.

ამ ვრცელ და საინტერესო საპასუხო ბარათში კ. ლორთქიფანიძე განსაკუთრებით მაინც თავისი ზნეობრივი რეპუტაციის დაცვას ცდილობს და რომ მას „ჩონგურის“ გამოცემაში სპეკულაციური გიზნები არ ჰქონია, ამის დასამტკიცებლად მოაქვს „ჩონგურის“ გამოცემისათვის გაწეული ხარჯების დეტალური ანგარიში.

კ. ლორთქიფანიძეს ამ შემთხვევაში ძლიერ დაეხმარა მისი უკიდურესი პუნქტუალობა. მას „ჩონგურის“ გამოცემის ხარჯები დე-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 903.

<sup>2</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 495.

<sup>3</sup> იქვე.

ტალურად ჰქონდა აღრიცხული და სათანადო საბუთებით გაფორმებული. ამ ვრცელი წერილის უმეტესი ნაწილი ეხება „ჩონგურის“ გამოცემის ფულად გასაფასს. ანგარიში წარმოდგენილია არა მარტო საბუქუდი ქალაქის, აწყობის, ბეჭდვის, აკინძვის და სხვათა შესახებ, არამედ აქვე ნაჩვენებია ისეთი წერილმანი ხარჯებიც, როგორცაა ცენზურაში გასაგზავნი 10 ეგზემპლარის ასაკინძი ფასი, ორი შეცდომის გასწორება და მისი მიწებება წიგნზე, წიგნებს გაგზავნა თბილისსა და ქუთაისში (თბილისში გაუგზავნია 351 ეგზემპლარი 4 ფუთისა და 16 გირვანქის წონით, გირვანქის გაგზავნა 11 კაპიკი დამქდარა), ფუთების გაკეთება, შესახვევი მუშაობის, ტილოს, ლურსმნის, საწებავის და თვით შესაკერი მანათის ფასიც არ ღარჩენია გაუფორმებელი.

ამავე წერილში ლაპარაკია კვლავ „ჩონგურის“ მასალის შეგროვებაზე და აკაკისთან კირილეს დამოკიდებულებაზე. აკაკის შესახებ იგი წერს: „აკაკიზედაც მე იმედი მქონდა, მე მეგონა, რომ ლექსების გამოცემაში არ გაიხსენებდა იმას, რომ ჩვენ არ ვიყავით კარგად ერთმანეთთან 1863 წლიდან...“<sup>1</sup>.

სხვათა შორის, კირილე იმასაც საყვედურობს, რომ „ჩონგურის“ ეგზემპლარების გაყიდვით შემოსული ფული არ გაუგზავნიათ პეტერბურგში და მეველები აწუხებენ.

გ. წერეთლის საყვედურზე სამშობლოს დავიწყებისა და გაზეთისათვის სტატოების გამოუგზავნელობის შესახებ კირილე პასუხობს:

„მართლა თუ სიკვდილის ჟამს დედა წყალს ითხოვს, უნდა ასევეა შეიღმა, სინდისითა და მიუდგომლად უნდა განსაჯოს შეუძლია იმას გაარჩიოს ძლიერ კარგად წმინდა წყალი მღვრიე წყალისაგან თუ არა! მართალია, ბუნება არ ბაღებს დესტილარულ წყალს, მაგრამ შეიღმა უნდა ეცადოს, რომ რაც შეუძლიან წმინდა წყალი ასევე... რაც შეეხება სამშობლოს ჰაერის გაცეკვას აქაურ ჰაერზედ, ამბუდ არაფერს ვიტყვი, რადგან ეს თქვენი სიტყვებით არიან უფრო დღეკატურად და პათეტურად გამოთქმული საყვედური მოუსვლელობაზე...“<sup>2</sup>.

ცხადია, დიდი პატრიოტი კ. ლორთქიფანიძე ვერ მოითმენდა ბრალდებას, თითქოს იგი განზე ედგა ავბედლიან სამშობლოს, მაგრამ მან კარგად იცოდა, რომ ყოველივე ეს გ. წერეთლის ერთგვარი ხერხი იყო, რითაც მას კირილეს სამშობლოში დაბრუნების დაჩქარება უნდოდა.

საზღვარგარეთ მყოფი გ. წერეთელი ვრცელსა და პაინტერესო

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 495.

<sup>2</sup> იქვე.

წერილებს სწერს კირილეს. ამ მიმოწერიდან კარგად ჩანს მათი მეგობრული ურთიერთობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია გ. წერეთლის წერილი, რომელიც მიუხეხნიდან გამოუგზავნია კირილესათვის. ამ წერილში გ. წერეთელი ცდილობს გამოისყიდოს ჩადენილი დანაშაული და გაუქმარწყლოს ის გულისტკენა, რაც უმართებულო ბრალდებებით სავსე ბარათით მიაყენა კირილეს.

წერილი ასე იწყება: „საყვარელო ძმაო კირილე! ეს ორი თვეა მე და შენ ერთმანეთისათვის ხმა არ გაგვიცია, მაშ იმედი მაქვს შენი პოეტური ღრმა გრძნობელობისაგან ყოველსავე უკმაყოფილებას შემამწევი და რაც უწინ ჩემგან გახელება და უწყესო ქცევა გულზე ეკლად გქონდა დასობილი, ახლა ის ეკლები სულ განქრებოდნენ... თუმცა ერთხელ კი მითხარი, შენი მაგნაირი მოქცევა თავის დღეში არ დამავიწყდებოდ, გთხოვ თუ აქამდის ის ერთი უკმაყოფილების ნაშთი დაგრჩენია, ამოიღო გულიდან, სცე პატივი ჩემს გულწრფელობას, რომელსაც არავითარი ცუდი განზრახვა არა ქონდა რა და მაპატიოთ, მაპატიოთ, როგორც გულითად ძმასა და თანამოაზრეს...“<sup>1</sup>.

ამავე წერილში გ. წერეთელი ცდილობს თვითვე დაახასიათოს კ. ლორთქიფანიძე, როგორც კეთილშობილების განსახიერება: „ჰო. რა სიამოვნებით ვწერ ამ წიგნს, თითქოს ცხადად ვხედავდე შენს თეთრ მაღალ შუბლს, რომელზედაც გამოხატულია იოსე ქრისტეს გულწრფელობა... ვხედავ შენს ცოცხალს დიდროვან თვალებს, ვხედავ და თან მახარებს მეგობრის ქრისტესნაირი სახე და თან ზღვა მგრძნობელობის გამომხატველი თვალები“.

გ. წერეთელი, იხდის რა ამით კირილეს წინაშე ზნეობრივ ვალს. შემდეგ გადადის ეურნალ-გაზეთების დახასიათებაზე და ამხანაგების საქმიანობაზე. იგი კითხულობს: „რასა იქნა ძმებო? როგორ მიდის თქვენი საქმეები, „ერებული“, „სასოფლო გაზეთი“, „ღროება“, ან დათა მიქელაძე თუ ჩამოვიდა და „ღროებას“ ჩაუჯდა. პეტრე უმიკაშვილი, ჩემი პეტრე, ეგ ჩემი ლუი-ბლანი, ეგ ჩვენი მართლაც ბოძი ქართული ლიტერატურისა, ეგ ჩვენი მუყაითი, რომელიც ჯორჯავით პაწაწა ნაბიჯებს აღგამს... ეგ ჩემი საუკეთესო მეგობარი მომიკითხე და „სასოფლო გაზეთის“ დედაბოძობა თხოვე...“<sup>2</sup>.

ეს წერილი იმითაც არის საყურადღებო, რომ გ. წერეთელი აქ ვრცლად აღწერს ციურინში მოქმედი ქართველი ახალგაზრდობის საზოგადოების „უღლს“ საქმიანობას. ამასთანავე მწერალი გულისტკივილით აღნიშნავს იმასაც, რომ ამ ახალგაზრდობას საერთო ენა

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 902.

<sup>2</sup> იქვე.



ვერ გამოუნახავს ურთიერთშორის და დავაა და განსეთქილებას ეს საერთო საქმე დაშლის კარამდე მიიყვანია. ჩანს, რომ გ. წერეთელს განუზრახავს არა მარტო ამ საზოგადოებას გაცლოდა, არამედ დეტოვებია ციურისი და ლაიფციგს გადასულიყო სწავლის გასაგრძელებლად.

„მე თუ ფული მექნა, — წერს გ. წერეთელი. — წავალ ლიბციგს, ციურიხელი უღლის წევრებს კი ვეტყვი, ისე როგორც ტყავდაგლეჯილმა მელამ უთხრა ძაღლს და მამალს: „მე ხომ ჩემი დამემართა, მაგრამ თუ თქვენ მაგისთანა მოქმედებით სოფელი გააშენეთ, თქვენ დააქადეთ მეოქი. ველი შენს წიგნს მოუთმენლად“.

საზღვარგარეთ მატერიალურ სივიწროვეში მყოფი გ. წერეთელი ხშირად თხოვდა კირილეს ფულად დახმარებას ან სესხებას, და ასეთი მთხოვნელი მას ხომ ბევრი ჰყავდა თვით საქართველოშიც და შეძლებისდაგვარად ისიც ხელს უმართავდა. ამის თაობაზე გ. წერეთელი კირილეს სწერს:

„საყვარელო ძმაო კირილე! მე ძალიან კარგად ვიცი, რომ შენ ახლა მეტის მეტად გაჭირვებული ხარ საშუალებით, მაგრამ რაც უნდა იყოს ამ ჩემ მომეტებულს შევიწროებულს საქმეში შენს გარდა და უმიკაშვილის გარდა არაფერს მეგულება, რომლებს მოვთხოვო ძმური ხელის გამართვა?... თუ ძმა ხარ, როგორც იქნენ შენ და პეტრე უმიკაშვილმა დამიფაცურდით, იქნებ როგორმე ასი მანეთი მომიხერხოთ. ეს ფული ორ თვეს მაინც გამიტანს და მერე იმედი მაქვს ჩემი საქმე გასწორდება და მალე დაგიბრუნებ. ეს წიგნი როგორც მოგივა ბევრი-ბევრი ერთი კვირის განმავლობაში თუ დამიყოვნე ფულს შოვნა, მეტს ნულარ დამიგვიანებ. გეთაყვანე, ჩემო კირილე!.. მე პოლიტექნიკაში შევედი, რადგან ჩემი პროგრამა საშუალების უქონლობით დაირღვა...“<sup>1</sup>.

არ ვიცი, კ. ლორთქიფანიძემ მართლა გაუგზავნა თუ არა ეს ფული გ. წერეთელს, მაგრამ ის კი ცხადია. რომ გ. წერეთელი ასეთ დახმარებას ყველაზე მეტად კირილესაგან მოელოდა.

კ. ლორთქიფანიძე და გ. წერეთელი ერთად იბრძოდნენ მოწინააღმდეგე დაჯგუფებების მიმართ, ერთნაირი ფრონტი გაშორდნენ პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებზე პოლემიკის დროს.

ისიც ცნობილია, რომ გაზეთ „დროების“ დახურვის შემდეგ რადიკალურად მოაზროვნე ინტელიგენციის ამ ჯგუფს საკლთარი ორგანო არ ჰქონდა. გ. წერეთელი ხშირად გამოთქვამდა სურვილს ასეთი პერიოდული გამოცემების დაარსების შესახებ და, მართლაც,

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 25.

1893 წლიდან გამოვიდა „კვალი“, რომლის ფორმალური რედაქტორი იყო გ. წერეთლის მეუღლე ანასტასია წერეთელი.

გ. წერეთელმა „კვალის“ გარშემო შემოიკრიბა რადიკალურად მოაზროვნე ინტელიგენცია და მათ შორის კ. ლორთქიფანიძე. თვით გ. წერეთელი „კვალში“ განაგრძობდა დაგას ილიას გაზეთის „ივერიის“ წინააღმდეგ. თუმცა კ. ლორთქიფანიძე აქაც გ. წერეთლის პოზიციებზე იდგა, მაგრამ მას არც „კვალში“ და არც რომელიმე ორგანოში ილიას საწინააღმდეგოდ სტატია არასოდეს დაუბეჭდავს.

გ. წერეთელი კი კ. ლორთქიფანიძეს ყოველთვის თანამებრძოლად და თანამოკალმედ თვლიდა. ამიტომაც, ბრძოლის ველზე გამოსულ კირილეს გამარჯვებას რომ უსურვებს იგი.

„ძნელ კირილე, ყოჩაღ! ბრძოლის ველზე გამოსულხარ, ღმერთს ვთხოვ გაგემარჯვოს. ხომ იცი, შენი გამარჯვება რა არის შენი აზრის კაცისა და შენიანებისათვის, თორემ დაჩქმუნებული ვარ, შენ ტანჯვის მეტი და ქვეყნის ყბაში ჩავარდნის მეტი არა მოგელის რა...“<sup>1</sup>.

ამ შემთხვევაში ალბათ გ. წერეთელი გულისხმობს კირილეს ბრძოლას შავრაზმელი სემეონოვის წინააღმდეგ ქართული ენის დასაცავად.

ამ წერილიდან ისიც ჩანს, რომ გ. წერეთელს განუზრახავს, გაზეთის ავტორიტეტის ამაღლების მიზნით, ახალგამოცემულ „კვალში“ კ. ლორთქიფანიძის ფოტოსურათი და ბიოგრაფიული ცნობები მოეთავსებია. ამისათვის გ. წერეთელი კირილეს სურათის გადაღებას სთხოვს და ამავე დროს აცნობებს ცენზურულ პირობებს, რომ ცენზურა, მონოგრაფიებს გარდა, არაფერს ბეჭდავს, და გ. წერეთელი კირილესაგან ასეთი მასალის გამოგზავნას ითხოვს.

„ჩვენ აქ ცენზორმა ძალიან მოგვიჭირა ხელი, — აგრძელებს წერილს გ. წერეთელი, — მონოგრაფიების მეტად ნებას არაფერს გვაძლევს. ამისათვის. თუ შენი პორტრეტი, ფოტოგრაფიული კარტოჩკა არ გვექნა, რომ შენი ნახატი გამოვიდეს, ისე ნებას არ გვაძლევს ცენზორი, რომ შენზე რამე ვსტყვათ. ამისათვის, თუ ძნელ ხარ, შენი კარტოჩკა გამოგვიგზავნე, რომ კიდევ დავხატოთ და შენზე რამდენიმე სიტყვა ვსტყვათ, ამას მოითხოვს გაზეთის ინტერესებიც. შენი ჩოტობის ამბავი რომ ვიცი, იქნებ ამან გაგაბედდინოს ფოტოგრაფიის გადაღება. თორემ კი ვიცი შენ ფოტოგრაფიით სახის გადაღება არაფრად გეპიტნავენა. შენი კირიმე, ნუ დააყოვნებ შენ სურათს, ძალიან გვჭირდება... შენი ერთგული ძმე გ. წერეთელი. ტასომ ღრმა-პატივისცემით მოგიკითხა“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 886.

<sup>2</sup> იქვე.

ცხადია, კ. ლორთქიფანიძე ამ თხოვნას ვერ შეასრულებდა და ფოტოსურათს არ გადაიღებდა, მით უმეტეს გაზეთში გამოქვეყნების მიზნით. კაცი, რომელსაც ნახევარი საუკუნის განმავლობაში თავისი გვარი და სახელი გაზეთში დაბეჭდილი არ უნახავს და არასოდეს სურათი არ გადაუღია, ახლა გაზეთში გამოსაქვეყნებლად სურათს არ გადაიღებდა. ეს გ. წერეთელმა წინასწარ იცოდა, მაგრამ მას იმედი ჰქონდა, რომ იქნებ „კვალა“ კეთილდღეობისათვის ასეთი მსხვერპლი გაეღო კირილეს, მაგრამ მისი ვარაუდი არ გამართლდა.

ასეთი ენათუზიანით და თავდადებით იბრძოდა ეს ორი ქართველი პატრიოტი მთელი სიცოცხლის მანძილზე ჩაგრული ხალხისა და ცარიზმისაგან ფეხქვეშ გათელილი მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურისა და კულტურის აყვავებისათვის, და ორივენი სამშობლოსათვის უანგარო ბრძოლაში დაიფრთხლნენ.

### კ. ლორთქიფანიძე და ნ. ნიკოლაძე

კ. ლორთქიფანიძე პეტერბურგიდან ვიღაც მათე იოსების ძეს სწერდა: „აქ ჩამოვიდა ნ. ნიკოლაძე, რომელიც ჩვენს ყმაწვილებში ყველას სჯობია როგორც ნიჭიერებით, ისე ცოდნით...“

ქეშმარიტად არ შემცდარა კირილე ნ. ნიკოლაძის შეფასებაში. იგი მართლაც მამოძრავებელი ახალგაზრდებში, ილიას გარდა, ყველას სჯობდა, როგორც პუბლიცისტი და მოაზროვნე.

ნ. ნიკოლაძე ჯერ კიდევ 22—23 წლის ყმაწვილი იყო, როდესაც რუსეთისა და საზღვარგარეთის პრესაში მისი სტატიები დიდი ინტერესით იკითხებოდა.

ბევრი ცნობილი ჟურნალის გამომცემელი და რედაქტორი ცდილობდა, ნ. ნიკოლაძე მათი თანამშრომელი გამხდარიყო.

ქართული პრესის სულისჩამდგმელი ნ. ნიკოლაძე იყო. „დროების“ და „ქრებულის“ ფურცლებს ყოველთვის ამშვენებდა მისი ცეცხლოვანი სტრიქონები, იგი, საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ, სისტემატურად თანამშრომლობდა ქართულ პრესაში.

ნ. ნიკოლაძე მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური ძვრების მოწამე და თანამონაწილე იყო. იგი „სოვრემენიკის“ დახურვის შემდეგ ემიგრაციაში მყოფი საზღვარგარეთ სცემდა „სოვრემენიკის“ მებრძოლი ტრადიციების გამგრძელებელ გაზეთ „სოვრემენოსტს“.

ნ. ნიკოლაძე ქართულ პრესაში აქვეყნებდა საინტერესო სტატიებს ხელოვნების თეორიის, ქართველი და საზღვარგარეთელი მწერლების შემოქმედების შესახებ. იგი მწვავედ აკრიტიკებდა ქართველ

შწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს და ამით საინტერესოს ხელ-  
და ქართულ ჟურნალ-გაზეთებს.

კ. ლორთქიფანიძე ძლიერ გატაცებული იყო ნიკოლაძის პუბლი-  
ცისტური ნიჭით და ზოგჯერ ერთად კისრულობდნენ ამა თუ იმ სა-  
კითხზე სტატიების დაწერას. ერთი კერძო ბარათიდან ჩანს, რომ მათ  
განუზრახავეთ „დროება“-„კრებულში“ გამოექვეყნებიათ მსოფლი-  
ოს ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური მიმოხილვა. ამ მიზ-  
ნით ყიდევაც გაუნაწილებიათ საკითხები.

კირილე ნიკოლაძეს სწერს: „...ეხლა ეს მითხარი, ნიკო, შენ წერ  
ავსტრიის და გერმანიის მდგომარეობაზე თუ 'ვინ? უთუოდ ჩემზე  
იმედი დაგეკარგათ, რომ მე აღდენ ხანს... ვერ გამოვგზავნე ისტო-  
რიული სტატიები, რომელზედაც აქ გვქონდა ლაპარაკი. მე ვფიქ-  
რობდი აშნაირი სათაური მიმეცა სტატიებისათვის: მოკლე, საზოგ-  
დოებრივი ისტორია სახელმწიფოებისა მეცხრამეტე საუკუნეში.  
1. ავსტრია, 2. გერმანია, 3. ფრანცია, 4. იტალია, 5. ანგლია, 6. პო-  
ლანდია, 7. შვეიცარია, 8. ამერიკა. აქედან მე მინდოდა დამეწერა:  
1, 3, 5, 8 და 2, 4, 6, 7, შენ უნდა დაგეწერა“<sup>1</sup>.

როგორც ამავე სტატიიდან ჩანს, კირილეს ეს დავალება ამ დრო-  
ისათვის შესრულებული არ ჰქონია და ამის შესახებ წერს: „თუმცა  
ჩემი საქმე პატარა იყო, თუმცა პატარა ღონისძიებების მოპოება  
მინდოდა, მაგრამ ვერც ეს პატარა ღონე მოვიპოვე და ვერც საქმე  
აეასრულე“<sup>2</sup>.

საქმის აუსრულებლობაში კირილე გულმხმობის დიპლომზე გა-  
მოცდებებს ჩაუბარებლობას.

კირილეს ხელს უშლიდა ისიც, რომ 10 წლის განმავლობაში სა-  
ქართველოს მოწყვეტილი იყო და ჩვენი ქვეყნის ცხოვრებას მხო-  
ლოდ ჟურნალ-გაზეთების საშუალებით იცნობდა. ამის გამო მისთ-  
ვის იოლი არ იყო ყოველდღიურ საჭირობორტო საკითხებზე ფელე-  
ტონების წერა, ხოლო პეტერბურგისა და უცხოეთის ამბების შეს-  
წავლისათვის მას მეტი დრო სჭირდებოდა.

„მე არა ვარ ტფილისში, — სწერს კირილე ნიკოს, — ცხელცხელ  
ამბებზედ მნათობთან ამ სიმორედან სტატიების გაგზავნას ვერ მო-  
ვახერხებ და აქაურ ცხოვრებაზე ჩვენი გაზეთისათვის დიდი ცოდნა  
უნდა, ისე რომ წერის დროს *справки* არ გვჭირდებოდეს... აქედან  
ჩვენი სტუდენტების გაგზავნილ სტატიებს ისეთი გაზეთური ხასი-  
ათი არ ექნება, როგორც მანდ დაწერილს“.

როგორც ამავე წერილიდან ჩანს, სტატიების გაუგზავნელობის

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი. ხელნაწერი № 467, გვ. 3.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 4.

გამო, ნ. ნიკოლაძეს უსაყვედურებია კირილესათვის, ხოლო კირილეს ამის საპასუხოდ სწერს: „შენ, ნიკო, ძალიან არ უნდა მიაყვედრიდე სტატიების გამოუგზავნელობას, რადგან აქ და ქუთაისში ყოფნის დროს ერთი სტატია არ გაგიგზავნია „დროებაში“, იმიტომ რომ სხვადასხვა საქმეები გიშლიდნენ...“

ქ. ლორთქიფანიძისა და ნ. ნიკოლაძის საქმიანი ურთიერთობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს 1863 წლის მაისის თარიღით კირილესადმი გაგზავნილ ნ. ნიკოლაძის წერილს. ეს ის წერილია, სადაც ლაპარაკია „საქართველოს მოამბის“ წახდენაზე, ხოლო ქუთაისში ახალი ჯგუფის შექმნის აუცილებლობაზე. მართალია, წერილი ვრცელია, მაგრამ ძალზე საინტერესო შინაარსის შემცველი და თანაც ჭერ გამოუქვეყნებელია. ყოველივე ამის გამო წერილს მთლიანად მოვიტანთ.

ნ. ნიკოლაძე ამ ვრცელ ბარათში ჭერ ლაპარაკობს კირილესა და მას შორის პირად ურთიერთობაზე, მეგობრობაზე და ზოგჯერ ჩხუბზეც.

„საყვარელო ძმად კირილე. ამდენი ხანია შენგან წიგნი არ მიმიღია და ამდენი ხანია შენთვის წიგნი არ მომიწერია, რომ შენთვისაც და ჩემთვისაც სირცხვილია. თუმცა ჩვენ დიდი მეგობრებმა თავის დღეში არ ვყოფილეთ, მაგრამ ის გრძნობა მაინც გექონია, რომელსაც რუსები და სხვა ხალხები სიმპატიას უძახიან. ის გრძნობა რომ არ გექონოდა, ისე ხშირად ლაპარაკი არ მოგვივიდოდა. ხომ გახსოვს, როგორ ხშირად ვჩხუბობდით და ყოველი ჩხუბის შემდგომ უწინდელზე უკეთესად ვუახლოვდებოდით ერთმანეთს? სიმპატია რომ არ ყოფილიყო, ეს შეუძლებელი იქნებოდა. მე შენ არ მიაყვარდი, როგორც მეგობარი, იმიტომ რომ ჩემ დღეში მე არა კაცი მყვარებია. თუ კი ვინმე შემყვარებია ჩემს დღეში, შენა ხარ... ვიხსენებ ჩვენს უწინდელს ლაპარაკს, ჩვენს მოქმედებებს და ხანსიცილი გამიბრბენს პირზე და ხან ჭავრი... როგორ ავიხსნა ეს? ან რითი ავიხსნა?.. გახსოვს, ძმად კირილე, სამარინზე რომ ლაპარაკი მოგვედიოდა?.. ამ საქმეში, ღმერთმა ხომ იცის, მართალი ვიყავი და გახსენების დროს შენზე და ჩემზედაც ვიცი დიდხანს... რამდენჯერ ამიღია ხელში კალამი, რამდენჯერ დამიწყია შენთან წაგნის წერა ბოლიშის მოხდინათვის! მაგრამ წარსული საქმეა! დავივიწყეთ, ძმად, ჩვენი უკმაყოფილებები, გაჯავრება და სხვადასხვა, გამომიწიე ხელი წმინდა გულით, შევიქნეთ მეგობრები. მოვეხმარეთ ერთმანეთს მსურვალე გულით და წიგნებით ნულარ ვავიხსენებთ ცოტა ხნით სარკაზმებს და ირონიას, რომლითაც სავესე იყვნენ შენი წიგნები, ნუ ვავიხსენებთ იუმორს, ფალშიურს ან ნამდვილს, რომლითაც

სავე იყო ჩემი წიგნები. ხახდახახ მე გავიხსენებ ჩემს მოქმედებაებს, ვკითხავ ჩემს თავს: რა მიქნია, რა გამოკეთებია? და მაშინვე პასუხს ვაძლევ ჩემს თავს: „არაფერი“... მე ჯერ არ დავცემულვარ სულით, კიდევ მაქვს იმედი რაიმეს გაკეთებისა და როდესაც დავრწმუნდები, რომ არაფრის გაკეთება არ შემეძლება, მაშინ მივბაძევ პიოტროვსკის!... ვინ იცის, ძმაო კირილე, ვნახავთ ჩვენ ერთმანეთს თუ არა? ვინ იცის, მივიღებ მე შენს წერილს თუ არა? მე ნამდვილს ჯერ კიდევ ვერაფერს მოვწერ...“<sup>2</sup>.

როგორც წერილის შინაარსიდან ჩანს, ნიკოლაძე ცდილობს, უფრო მტკიცე მეგობრული კავშირი დაამყაროს ქ. ლორთქიფანიძესთან, რომ ერთსულოვნად იმოქმედონ ერის სამსახურში და სხვა ამხანაგებიც ამოიყურონ გვერდში საერთო მიზნის მოსაღწევად.

„ახლა ავიხსენი, თუ რა აზრი მაქვს ჩვენი ამ შეკრების შემდგომ, — სწერს ნ. ნიკოლაძე, — თუ ბედმა მოგვიყვანა ქუთაისს ჩვენ, ესე იგი შენ, ზოგიერთი ჩვენი სტუდენტები ბაქრაძე, აბდულშელი. მე მინდა აქ გავხსნათ ერთი ტიპოგრაფია და დავბეჭდოთ შიგ ხალხისათვის აზბუკები, არითმეტიკები, სახალხო წიგნები, ერთი სიტყვით და პატარა პოლიტიკური-ლიტერატურული და სატირული გაზეთი, ფულები მე მაქვს: მამაჩემმა ეხლაც მეხვეწა, კარგი წიგნის მალაზიას და ბიბლიოთეკას გაგიხსნის, ტიპოგრაფიის ფულებს მოგცემო თუ აქ დარჩებიო. თუ არა და მერე რომ მოხვალო, რასაც გინდა იმას მოკიდდე ხელიო, გარდა სამსახურისაო. მაშასადამე, ჩვენ საშუალება კი გვექნება, ოღონდ ვიშოვოთ მწერლები... უცადე, ძმაო კირილე, თუ მე არ ვიქნები, შენ გაქვს მამული, შეძლება, განა ორი ათას მანეთს ვერ იშოვნი? ეს სასარგებლო იქნება ხალხისათვის“.

ეს ჭგუფი, რომელიც ქუთაისში უნდა შეკრებილიყო, ცხადია, „საქართველოს მოამბის“ გარშემო, ახალი პროგრამით იმოქმედებდა. ამას ისიც აღასტურებს, რომ აქ ნ. ნიკოლაძე ხაზგასმით აღნიშნავს „საქართველოს მოამბის“ წახდენასა და უეარგოსობაზე.

„საქართველოს მოამბე“ ხომ მოგეხსენებათ წახდა, მეორე ნუმერი საძაგელია, არც ერთი სტატია არ ვარგა; მესამე ჯერ... არ გამოსულა, ღმერთმა იცის, როგორ ფათავდება მისი ბედი...“.

და წერილის შემდგომ ნაწილში ნ. ნიკოლაძე ოცნებობს ქუთაისში ამ ჭგუფის ახალგაზრდობას შეკრებაზე და საქმიან დაწყებაზე.

„როდის იქნება ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენი ახალგაზრდობა, ჩვენი ამხანაგები შევიკრიბოთ ქუთაისს ჩვენი საქმის ასასრულებ-

<sup>1</sup> პიოტროვსკიმ თავი მოიკლა. — კ. შ.

<sup>2</sup> ქ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 790.

ლად, ჩვენი ძმობის დამცველად! როდის მოვა ის ბედნიერი დრო?... ნეტავი ვიცოდე, თუ არის ჩვენს საზოგადოებაში იმისთანა ემაწვილები, როგორიც იყვნენ უწინ, ჩემსობას, რომელთა ღმერთი რაუზერია<sup>2</sup>, რომელთა არ წამთ ღმერთი ძმობის და ერთობისა. ღმერთო, როდის იქნება ჩვენი „Молодое поколение“ გაკეთდეს. წიგნებს ხელი მაპყონ, ტანისამოსის საქმეს თავი დაანებონ. ერთი სიტყვით ძეგრო-ბას აღარ მისდევდენ“.

ამ სტრიქონებიდან ისიც ჩანს, რომ ნ. ნიკოლაძეს თავიდანვე საწინააღმდეგო აზრი ჰქონია სამოციანი წლების ახალგაზრდობაზე. რაც შემდეგ საჯაროდ გამოამქლავნა „კრებულის“ ფურცლებზე სტატიაში „ახალი ახალგაზრდობა“.

ამ საერთო საკითხების შემდეგ ნ. ნიკოლაძე ზემოთ დასახელებულ წერილში ლაპარაკობს პირად საქმეებზე — საზღვარგარეთ წასვლისა და „ისკრისათვის“ გასაგზავნი წერილის დაკარგვის თაობაზე.

„შენ იცი (როგორც მე მოგწერე), რომ მე მიხდოდა ამეწერა აქაური ცხოვრება некра-სათვის, აეწერე. ძმაო კირილე, და გადასაწერად რომ მიხდოდა მიმეცა, ნახევარზე მეტი ქარმა წამართვა. ნახევარი დამჩჩა და რა ეშმაკად მიხდა. კარგი სტატია იყო, ამიტომ რომ მე თვითონ ძლიერ მომწონდა... ეხლა კი საქმეზე მოგწერ რაჟიჟს. ესე იგი ჩემს თავზე... თუ კი მიხახავს მე ოდესმე წინასწარმეტყველი, ეს წინასწარმეტყველი შენა ხარ. სწორედ შენი წიგნის მიღების წინა დღეს გადავწყვიტე ლონდონში წასვლა და ძლიერ გამიკვირდა, შენ რომ მწერდი: მაგრამ დობროვოლსკისათვის ტურიში არ წახვიდე!!!

ეხლა, ძმაო, გუშინ წინ პასპორტისათვის მივედი ლუბერსკის პრავლენიაში და ბრანწი დამახალეს. მე ვაპირებ წასვლას იანვ ოდესას და სადმე სხვაგან, მაგრამ მე ვამბობ პეტერბურგში მივდივართქო. ფულებს ამ პარასკევს უსათუოდ გამოგიგზავნი თუ არ მოვკვდი. შენი მარად მახსოვარი ძმა ნ. ნიკოლაძე. 6 მაისი 1863 წ.“<sup>1</sup>

ეს წერილი არა მარტო კირილესა და ნიკოლაძის ურთიერთობას არკვევს. იგი საინტერესო ცნობებს იძლევა სამოციანი წლების ქართულ მოღვაწეთა შესახებ და, რაც მთავარია, აქ ჩანს ჩანასახი იმ პოლიტიკურ-ლიტერატურული მიმართულებისა, რომელმაც პრაქ-

<sup>1</sup> დაწერილებით იხ. ჩვენი შრომა „დასვლის საკითხისათვის XIX ს. ქართულ ლიტერატურაში“, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. XV, 1956.

<sup>2</sup> ტანისამოსის სამკერვალოს პატრონი, რომელიც იაფად და ნისიად უკრავდა ზტუდენტებს.

<sup>3</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 790.

ტიკული საქმიანობა 1866 წლიდან დააწყო „დროების“ ფურცლებზე და რომლის აქტიური წევრები იყვნენ კ. ლორთქიფანიძე, გ. წერეთელი, პ. უმიკაშვილი, ნ. ლოლობერიძე, ნ. ნიკოლაძე და სხვები<sup>1</sup>.

1869 წელს ნ. ნიკოლაძემ „დროების“ 33—34 ნომრებში გამოაქვეყნა წერილები სახელწოდებით: „ქვეითად და რკინის გზით“ (მოგზაურის შენიშვნები).

სტატიაში აღწერილია ნ. ნიკოლაძის გერმანიაში მოგზაურობის შთაბეჭდილებები. ავტორი მგზავრობდა მატარებლით და ფეხით. მატარებლით მგზავრობს ფრანკფურტიდან მაინისა და მერე რეინის ნაპირებზე გავლით, ხოლო შემდეგ ფეხით მიდის კურორტ ზოლენში, აქედან კრონბერგში. ნ. ნიკოლაძე პეიზაჟებსა და საზოგადოებრივ მოვლენებთან ერთად გზადაგზა აღწერს ქალებთან შეხვედრას, განსაკუთრებით მას აინტერესებს კათოლიკე-რეპრობანებში გამყიდველი ქალების ბედი და საერთოდ გერმანელი ქალების საყოფაცხოვრებო საკითხები, სახელდობრ, ქორწინების წესები, დღესასწაულებზე გართობა, ცოლ-ქმრული კავშირი და ა. შ.

კ. ლორთქიფანიძეს ნ. ნიკოლაძის ეს ფელეტონები ძალიან მოსწონებია და ამასთან დაკავშირებით იმავე 1869 წლის „დროების“ 36-ე ნომერში გამოუქვეყნებია მეტად საყურადღებო შენიშვნები სახელწოდებით „წერილი რედაქტორთან“.

კ. ლორთქიფანიძე, არჩევს რა ნ. ნიკოლაძის ფელეტონებს, ამასთან დაკავშირებით ეხება ხელოვნების საინტერესო საკითხებს, განსაკუთრებით ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის პრობლემას.

სტატია ასე იწყება: „უფალო რედაქტორო! თქვენი გაზეთის მე-33 და 34 ნომრებში იყო დაბეჭდილი უფალ სკანდელის შენიშვნები „ქვეითად და რკინის გზით“. ამ შენიშვნების კითხვამ აღძრა ჩემში ზოგიერთი აზრები, რომელზედაც მე მსურს მოლაპარაკება. იმედი მაქვს უფალ სკანდელის „შენიშვნებზე“ ჩემს შენიშვნებს მისცემთ ადგილს თქვენი პატივცემული გაზეთის მომავალ №-ში“.

ამის შემდეგ კ. ლორთქიფანიძე ეხება ნ. ნიკოლაძის სტატიებს და დაასკვნის, რომ განსაკუთრებით წერს გარეგანმა მხარემ მოხიბლა. „თავიდანვე უნდა მოგახსენოთ, რომ უფ. სკანდელის „შენიშვნებში“ გარეგანმა ფორმამ უფრო მიიქცია ჩემი ყურადღება, ვიდრე შინაარსმა“<sup>2</sup>.

შემდეგ კირილე არჩევს ფორმისა და შინაარსის საკითხებს და არ-

<sup>1</sup> ამის შესახებ დავრილებით იხილეთ ჩვენი შრომა: „დასების საკითხისათვის XIX საუკ. ქართულ ლიტერატურაში“, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. XV, 1956.

<sup>2</sup> „დროება“, 1864, № 36.



სებიტად სწორ პოზიციაზე დგას. მართალია, ფორმას იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, მაგრამ მას არასოდეს არ ავიწყლება შინა-არსის მნიშვნელობაც. ამდენად, კ. ლორთქიფანიძის ამ საინტერესო სტატიის დაწერის მიზეზი ნ. ნიკოლაძის ფელეტონები გახდა.

მართალია, კ. ლორთქიფანიძე ამ მეტად საინტერესო სტატიამში ნ. ნიკოლაძის ფელეტონების ენის უარყოფით მხარეზე არ ლაპარაკობს, მაგრამ კერძო ბარათში ავტორს სხვა ღრის უბაყვედურებს იმერაზმების უხვად გამოყენებოს გამო.

„მე დავაფუძნე ჩემი სჯა, — სწერს კ. ლორთქიფანიძე ნ. ნიკოლაძეს, — შენგან მოწერილ ურიცხვ წიგნებზე და შენს „ქვეითად და რკინის გზით“, რომელიც სულ სავსეა იმერაზმებით“<sup>1</sup>.

კ. ლორთქიფანიძე ძნელი მაღალი პრინციპის აღაშინა იყო, რომ არ შეიძლებოდა მას შემჩნეული ნაკლი ვინმესთვის ეპატიებია, თუნდაც ეს პაროვნება მისთვის ძალიან ახლობელი ყოფილიყო. ამის მაგალითია მისი დამოკიდებულება ნ. ნიკოლაძისადმი.

მიუხედავად იმისა, რომ კირილე ყველა მაშინდელ ახალგაზრდაზე მაღლა ნ. ნიკოლაძეს აყენებდა და მისი ნიჭის თაყვანისმცემელი იყო, მის ნაკლს, პირადი იქნებოდა თუ საზოგადო ხასიათის, მოურიდებლად გამოთქვამდა. კირილეს არ მოსწონდა ნიკოლაძის ცვალებადი ხასიათი და თავის თავზე დიდი წარმოდგენა.

„იმისი პლანები და შეპირებები იცვლებიან პეტერბურგის ტაროსიკით. მაგრამ პირველად ეს კი უნდა ვსთქვა, რომ იმისგან დაპირებულის აუსრულებლობას მე არ შევრაცხ ზნობით დანაშაულებათ. მე მგონია, რომ ნიკო დღევანდელი მოსაზრებების შემდეგ გუშინდელს საქმეს სტოვებს ან საზოგადოდ იქცევა უწესოდ, იმიტომ რომ თავის თავს იმისთანა კაცად რაცხავს, რომელსაც ყველაფერი საქმე მიეტოვება, ყოველგვარ მოქმედებაზე ნება აქვს, все пошло-плетельно. ერთი სიტყვით, ლეო გეტმანად მიაჩნია თავი. იმას უნდა, რომ თავის ფანტაზიაში შედგენილი ფაბრიკებისათვის, ანუ საქმეებისათვის კაცები მოიხმაროს დაკბილულ გოგრებდავით ან პაიკებივით. ის იმისთანა ფრინველია, რომელიც სულ ცისკენ მიისწრაფის, მაგრამ ცას ვერ მისწვდენია და ქანდარაზე ჯდომას არ კადრულობს, რადგან იმას ვითომც არ შეფერის. თავის დღეში არ დამავიწყდება 1864-ში იმისაგან ნათქვამი, რომ ყველა რუსეთელ მწერალს მე ვკობივარო. სამწუხაროდ ეს სიტყვები კიდევ უფრო ჩაიკედენ ჩემს ხსოვნაში ამ ბოლო დროს, მაგის აქ ყოფნაში“<sup>2</sup>.

კ. ლორთქიფანიძე არსებითად იმისთვის იყო გაჯავრებული

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 467.

<sup>2</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 570.

ნ. ნიკოლაძეზე, რომ ნიკოლაძე, გარდა ლიტერატურული მოღვაწეობისა, სხვა პრაქტიკული საქმიანობითაც იყო გატაცებული. ამან ბუნებრივად გამოიწვია ქართული ეურნალ-გაზეთების საქმის შეფერხება, დაქვეითება და კირილუც ამისთვის საყვედურობდა მას.

„...მე პირობა დავდევნი, რომ ნიკოს აღარ ველაპარაკო იმისთანა „პატარა საქმეზედ“, როგორც „დროება“ ან „ქართული წიგნები“, თუმცა ღმერთო შეგცოდნე, ორიოდეჭერ შეგცდი. დროებაზე მაგან ლაპარაკი მაშინ დაიწყო, როდესაც თავისი პრეტენზიების აღსრულების იმედი შეუდრკა. ამ იმედის დაუქარგველობაც რომ არ იყოს, პლანების ხშირი ცვლილებაც კმარა, რომ მაგის შემწეობაზე, მატერიალური იყოს გინდ ზნეობითი, დიდი იმედი არ გქონდეს. დღეს ის შემწეობას აღგითქვამს, მაგრამ ხეალ შეიძლება სხვა, „დროებაზე“ მაღალი საქმე გამოიხატოს და გამოეკიდოს იმას და თუ ვერ მიწვდა, ხელახლა „დროებისაკენ“ დაბლა დაეშვას, სანამდე... არ დაინახავს ახალ მეტეორს, რომელსაც უნდა გამოედევნოს ეგ „უზენაესი“ არსება...“<sup>1</sup>.

ასეთ საყვედურს (რომ ნ. ნიკოლაძემ ეურნალ-გაზეთებზე ხელი აიღო) „დროების“ რედაქტორი ს. მესხიცი გამოთქვამდა კირილუცადმი გაგზავნილ წერილში. მესხი ამის მიზეზად ტყიბულის ქვანახშირის საქმეს ასახელებდა. „ტყიბულს“ გაეწყობოდა ბარემ რამე, მაგრამ ღმერთმა ნიკოლაძეს და იმის ტყიბულას მოჰკითხოს. „ტყიბულის“ წაყვანა ნიკოლაძემ ითავა, მაგრამ არ ვიცი საუბედუროდ თუ საბედნიეროდ ამავე ნიკოლაძემ ამავე დროსვე ტყიბულას ქვანახშირისაც მოკიდა ხელი და მილიონების იმედი აქვს...“<sup>2</sup>

ტყიბულის ქვანახშირის გარდა ნ. ნიკოლაძეს ახლა სხვა პრაქტიკული საქმე გამოუჩნდა. მან ოცი წელი ფოთის ქალაქის თავის თანამდებობაზე გაატარა. ფოთის პირველი ხარისხის ნავსადგურად გადაკეთება ნ. ნიკოლაძის სახელთან არის დაკავშირებული. ამ პრაქტიკული საქმიანობით მან, როგორც აღრევე აღვნიშნეთ, დიდად შეუწყო ხელი საქართველოში ვაჭრობის განვითარების საქმეს, მაგრამ, ცხადია, ამან ხელი შეუშალა ნიკოლაძეს, როგორც მწერალსა და მოაზროვნეს.

პრაქტიკული საქმეებით გატაცებულ ნ. ნიკოლაძეს დიდ დახმარებას უწევდა კ. ლორთქიფანიძე. მისი ნაწერების დაბეჭდვას უშუალოდ კ. ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობდა.

უკვე ძალზე მოხუცებული, მრავალჭირნახული, 70 წელს გადაცილებული კირილე კვლავ ახალგაზრდული გატაცებით ტრიალებ-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 570.

<sup>2</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 642.

და საბეჭდო დაზგებთან და ძველებური ხალისით ბეჭდავდა ნ. ნიკოლაძის შრომებს. ჩვენ შევეცდებით ვაჩვენოთ მკითხველს კ. ლორთქიფანიძის მოღვაწეობის უკანასკნელი წლები ნ. ნიკოლაძის სტატიებისა და წიგნების გამოცემასთან დაკავშირებით.

ნ. ნიკოლაძე ყოველთვის მწვავე პოლემიკას აწარმოებდა ქართველ მწერლებთან და ამიტომ მისი სტატიების დაბეჭდვას ხშირად ერიდებოდნენ ლიბერალი რედაქტორები. ამის გამო შეუძლებელი შეიქნა ქუთაისის გაზეთებში გამოქვეყნებულიყო ნიკოლაძის სტატია „უროზე“, სადაც ავტორი თავს ესხმოდა ვასილ წერეთელს, რომელიც „უროს“ ფსევდონიმით წერდა.

ერთ წერილში ნ. ნიკოლაძე სთხოვს კირილეს, რომ სტატია „უროზე“ დაბეჭდოს ქუთაისის გაზეთებში — „იმერეთში“ ან „მერცხალში“, მაგრამ კირილეს არ ჰქონდა იმედი, რომ ეს გაზეთები ნიკოლაძის დასახელებულ სტატიას გამოაქვეყნებდნენ. ამის საპასუხოდ კირილე ნიკოლაძეს სწერს: „შეეჭარულებ მინდობილობას თუ რედაქციამ არ დამიშალა, ამას იმიტომ ვამბობ, რომ ნამდვილი რედაქცია არ არის იმერეთის რედაქცია. მისივე მსგავსია მერცხლის რედაქციაც. გავიხილა ოთხმოცი კაცი რედაქტორად იმისთანა პატარა გამოცემისათვის, როგორც იმერეთია, ის ხომ ტანისი არ არის, რომ იმდენი რედაქტორი იყოლიოს, რამდენიც გაზეთში განყოფილება არის...“<sup>1</sup>

წერილის შემდეგი ნაწილიდან ჩანს, რომ „იმერეთის“ რედაქციას „უროზე“ დაბეჭდვის თანხმობა იმ პირობით მიუცია, თუ მას დარჩებოდა სტატიის თავის სურველის მიხედვით შეცვლის განუსაზღვრელი უფლებები, მაგრამ კირილე ამაზე არ დათანხმებულა და ნიკოლაძის შრომა უკანვე წამოუღია. რედაქციის თავშეკავება და სიფრთხილე იმითაც აიხსნება, რომ ნიკოლაძის სტატიაში გალანძლული იყო გაზეთ „იმერეთის“ თანამშრომელი ვინმე ესაქია.

ამის შემდეგ ეს წერილი კირილეს „მერცხლის“ რედაქციაში მიუტანია. აქაც იგივე პირობები მოუთხოვიათ, რაც თავაზიან უარს ნიშნავდა. მაგრამ, როგორც კირილეს ამავე წერილიდან ჩანს, მალე ორივე გაზეთი დაუხურავთ და რედაქტორებიც დაუპატიმრებიათ.

მოუხერხებელ ასეთი დაბრკოლებისა, კირილე მაინც არ ჰყრის ფარხმალს და ნიკოლაძეს ურჩევს, გაზეთ „თემში“ გამოაქვეყნოს

<sup>1</sup> „იმერეთი“ გამოდიოდა ქუთაისში 1912—1915 წლებში, იყო ნაციონალურ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთი.

<sup>2</sup> „მერცხალი“ გამოდიოდა 1912—1913 წლებში, იყო სოციალ-დემოკრატიების ყოველდღიური საპოლიტიკო და ლიტერატურული გაზეთი.

<sup>3</sup> კ. მარქსის სახელობის. საქართველოს აჯარო მიბღოთეჯა. ნ. ნიკოლაძის არქივი, ხელნაწერი № 40/754.

სხვებისგან დაწუნებული სტატია. ამის თაობაზე კირილე ნიკოლაძეს სწერს: „ყველა ამ გარემოებათა გამო მე ვფიქრობ: თუ შენ არ გე-  
ხოთარება ძალიან სხვა გაზეთში დაბეჭდვა, „თემში“ დაბეჭდვით!“. ამ გაზეთს შეგვიძლია დავავალოთ ორ ნომერში დაბეჭდოს მთელი შენი ნაწერი „უროზზე“. თუ ეს შენ არ გეკავშირება, სხვა ნაირად მოვიქცეთ. შემძლია, რომელიმე აქაურ სტამბას დავაბეჭდინო ნაწერი ისე, რომ წინასწარ არაფერი მივსცე ხელფასად, თითქმის ქალაქი არ მოვცე და ისე გამოსცეს წიგნი...“

ნ. ნიკოლაძის ეს შრომა არც „თემს“ დაუბეჭდავს და ახლა კირილეს „კოლხიდის“<sup>2</sup> და „დილა“<sup>3</sup> რედაქციაში მიუტანია, მაგრამ იმა-  
თგანაც გაწბილებული წამოსულა. ამის თაობაზე კირილე ნიკოლა-  
ძეს სწერს: „ზოგორც „კოლხიდამ“, ისე „დილამ“ უარი მითხრა შე-  
ნი წიგნის დაბეჭდვაზე“. მაგრამ კირილეს არც ამის შემდეგ აუღია  
ბელი განზრახვლის შესრულებაზე დაახალი ვარიანტი წარუდგენია  
ნ. ნიკოლაძისათვის. ასეთი ვარიანტი იყო შრომის ცალკე წიგნად  
გამოცემა.

„...ახლა ჩვენ დაგვრჩენაა ცალკე დაბეჭდვით ეს ნაწერი, თუ  
მათა აგენტებმა... არ დააფეთენ სტამბის მეკატრონეები და შენი  
წიგნის დაბეჭდვა არ დაუშალოს“.

ამვე დროს კირილე ნ. ნიკოლაძეს უჩივებდა, რომ სტატიაში ზო-  
გიერთ ადგილებზე შეეცვალა და ზოგიერთების მიმართ კრიტიკა შე-  
ერბილებია. წერილის ბოლოს დასძენს: „ახლა მხოლოდ ეს შემატ-  
ყობინე საჩქაროდ, თანაზმა იქნები შენ, რომ ჩემმა აჩენილმა კაცმა  
პარტო ეს, ჯერ დაუბეჭდელი შენი ნაწერები და აგრეთვე „მამულის  
სიყვარული“ ცალ-ცალკე დაბეჭდოს. თუ შენ გინდა „მეუნარგის  
გამო“, რომ დაბეჭდილია იგიც „უროზე“ ნაწერის თავში დაერთოს.  
ძნელა იქნება სანივეს ერთად დაბეჭდვა... ჯერ ასე ჩქარა ხელმეორედ  
გამოცემა არ ივარგებს იმ კაცისათვის, რომელიც მპირდება „უროს“  
და „მამულის სიყვარულის“ დაბეჭდვას. შემომითვალე შენი აზრი,  
რამდენი ეგზემპლარი დაიბეჭდოს...“<sup>4</sup>

კირილეს დაერბებულმა შრომამ ნაყოფი გამოიღო. ნ. ნიკოლაძის  
ეს შრომა, რომლის დაბეჭდვა ვერც ერთმა გაზეთმა ვერ გაბედა, გა-

<sup>1</sup> „თემი“—საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი; გამოდიოდა 1911—1912 წლებში, თბილისში, ორშაბათობით, გრ. დიასამიძის რედაქტორობით.

<sup>2</sup> „კოლხიდა“—ყოველდღიური პოლიტიკურ-ეკონომიური და სალიტერატურო გაზეთი, გამოდიოდა 1911—1913 წლებში.

<sup>3</sup> „დილა“—ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი, გამოდიოდა 1912—1913 წლებში.

<sup>4</sup> კ. მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის არქივი, ხელნაწერი № 40/754.

მოქვეყნდა ცალკე წიგნად. „შენი წიგნის დაბეჭდვა კინკალაზე არის და მალე უნდა გათავდეს. შენც მოხვდებოდა, რასაკვირველია, აქამდეცა უნდა გათავებულყო, მაგრამ არ მოხერხდა, გუშინ მეოთხე ფორმა გამოვავაზენე, კიდევ ორშაბათს ერთ ფორმას გამოვიგზავნი და ღარჩება მხოლოდ ორიოდე გვერდი — არჩეული ფორმატის დაუბეჭდავი. მაშ საჭიროა წინასიტყვაობის გამოვავანა. რომ დიდ ხუთშაბათამდე გათავდეს სათაურიც...“<sup>1</sup>

ეს წიგნი, მართლაც, ანდენი წვლების შემდეგ გამოიცა ქუთაისში 1913 წელს ანეთი სახელწოდებით: „ჩემს პოლიტიკაზე“ (გახეთ „იმერეთის“ საპასუხოდ). ნ. ნიკოლაძის ნაწერი. ქუთაისი, ავტორის გამოცემა“.

კ. ლორთქიფანიძეს ამის შემდეგაც არ შეუწყვეტია ბრძოლა ნ. ნიკოლაძის წიგნების გამოცემისათვის. ახლა ნიკოლაძეს ახალი წიგნი გაუგზავნია კირილესათვის დასაბეჭდად. სახელდობრ — „მამულის სიყვარული და მსახურება“. ეს შრომა მოცულობით მეტი ყოფილა პირველზე, მაგრამ გამოსაცემად უფრო ადვილი, რადგან არ შეიცავდა ისეთ მწვავე პოლემიკას. როგორცა — პირველი წიგნი.

ახალი წიგნის თაობაზე კირილე ნ. ნიკოლაძეს სწერს: „ძმაო ნიკო! შენი წიგნი გუშინ მიკრულე. — ბროშურა „მამულის სიყვარული და მსახურება“, რასაკვირველია გამოვა. და არავინ. ვინც იმის დაბეჭდვა შემპირდა, უარი არ უთქვამს“.

ეს ახალი წიგნი კირილეს მალე აუწყვია. კორექტორის ვასასწორებლად ნ. ნიკოლაძისათვის ფოთში გაუგზავნია და თან ანეთი ბარათიც გაუყოლებია: „უფთოდ წაითხული გაქვს შენი ბროშურის 8 ფორმა, რომელთაც შენ აქამდე მიიღებდი და ამიტომ გთხოვ გამოვიგზავნო შენიშვნები. თუ სად რომელი შეცდომა აღმოჩნდა, რომ უკანასკნელ ფურცელს მიებეჭდოს. სია შენი თხზულებისა იქნება, როგორც ტექსტის ბოლოში, ისე გარეთ სახვევ ქალაღზე. ამ კვირაში სულ მზად იქნება. ფატყობინებ, რომ შენგან შედგენილ თხზულებების სიას დაეუმატე ფრანგულად დაბეჭდილი o razory-  
жение“<sup>2</sup>.

ამ წერილს თარიღი არა აქვს, მაგრამ ფოსტის მარკაზე დაკრული ბეჭდის მიხედვით ჩანს, რომ იგი გაგზავნილია 1914 წლის 18 თებერვალს. მართლაც, 1914 წელს უკვე გამოვიდა ნ. ნიკოლაძის ზემოთ დასახელებული წიგნი „მამულის სიყვარული და მსახურება“ 136 გვერდის რაოდენობით.

<sup>1</sup> კ. შარქისის სახელობის საქარო ბიბლიოთეკა. ნ. ნიკოლაძის არქივი. ხელნაწერი № 40/757.

<sup>2</sup> იქვე, ხელნაწერი № 40/761.

არცერთ ამ წიგნზე კირილეს შესახებ არაფერია აღნიშნული, მაშინ როდესაც კირილე მარტო ტექნიკური გამოცემელი კი არ იყო, არამედ ყოველთვის თავისებურად ამუშავებდა ტექსტს გამოსაცემად. მაგალითად, ამ წიგნის შესახებ კირილე ნ. ნიკოლაძეს სწერს: „ხომ არ გეწყინება, რომ ნაწერში, ზოგიერთ ადგილს თუ ძალიან საჭირო დარჩა, წინადადებაში სიტყვები გადავს-გადმოვსვა ადვილად წასაკითხი რომ გახდეს (აზრის შეუცვლელად რასაკვირველია)“<sup>1</sup>.

საოცარია ისიც, რომ კ. ლორთქიფანიძე ამ დიდი შრომის შემდეგაც კვლავ ფიქრობს ნ. ნიკოლაძის ახალი წიგნის გამოცემაზე. ეს ჩანს კირილეს მომდევნო ბარათიდან. „შენ ხომ ამას წინაღ მითხარი ერთი ტომი დასაბეჭდად გამზადებული მაქვსო, იმაში რა სტატიაა, დროებაში იბეჭდებოდა თუ კრებულში, ან მოამბეში? თუ ის ტომი რუსული წერილებისაგან შესდგება? ამის ცოდნა საჭიროა ჩემთვის, რომ გამომცემლობას შევატყობინო. თუ შენც თანახმა იქნები, მესამე წიგნი გამოცემული იყოს, ისინი სურათის გაკეთებასაც აპირებენ“<sup>2</sup>.

აღსანიშნავია ისიც, რომ კირილე ამით არ ამთავრებს ნიკოლაძის შრომებს გამოცემაზე ზრუნვას. კვლავ ვრცელ წერილს უგზავნის მას, რომ ნიკოლაძემ გამოუგზავნოს სტატიები, რომლის გამოქვეყნებას იგი ფიქრობს გაზეთებში ფელეტონების სახით. „საამდროვოს“ შესახებ ამას გეტყვი, — სწერს კირილე ნ. ნიკოლაძეს, — იმის გაგრძელებას რომ გამოგზავნიდე მალე, კარგი იქნება, რადგან კვირის გაზეთის ნომერში დაიბეჭდა მეორე ნაწილი და მესამეს შაბათს დავებეჭდავთ. ადრე გამოგზავნას იმისთვის ვწერთ, რომ თუ ერთი დღით მაინც წინასწარ არ ააწყვეს სტამბაში, გაზეთის ნომრებს ერთ კორექტურაზე მეტს არ უკეთებენ და მეორეთ რომ გაასწოროს ვინმემ, მესტამბე მაინც არ გაასწორებს და ბევრი შეცდომები იქნება სტატიაში. „იმერეთის“ მაგიერ ახლა გამოდის „ახალი ივერია“, „იმერეთი“ შეჩერებულია მანამდის, სანამ ცენზურის მოთხოვნილებით პროკურორისაგან აღძრულ საქმეს სამსაჯულო არ გაარჩევს და არ გაამართლებს რედაქციას...“

მართლაც, ნ. ნიკოლაძის ფელეტონები „საამდროვოს“ სახელწოდებით დაიბეჭდა „ახალი ივერიის“ ფურცლებზე, სადაც ლაპარაკია ჩვენი ხალხის საჭირობოროტო საკითხებზე, მაგალითად, სოფლისათვის შაბიამნის საჭიროებაზე და ისტორიულ საკითხზე — ქართველებისა და ყიზილბაშების ურთიერთობაზე შაჰ-აბასის დროს და სხვ.

<sup>1</sup> კ. მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის არქივი, ხელნაწერი № 40/156.

<sup>2</sup> იქვე, ხელნაწერი № 40/958.

1916 წელს უკვე 77 წლის მოხუცი კირილე კვლავ ნიკოლაძის წიგნების გამოცემით არსს დაინტერესებული და ერთ კერძო ბარათში სწერას:

„...ამდვილი ჩემი სურვილი წიგნის მოწერისა ის არის, რომ მე-თხოვა შენთვის გამოგეგზავნა დასაბეჭდად ცალკე ბროშურად შენი „Мечты и жизнь“, თუ რომ ის გათავებული გაქვს და რაც -полукоп. сноп“-შია, მხოლოდ მისი ნაწილია. ვთქვარბ ეს ბროშურა სასარგებლო იქნება გამოიცეს ამ უამარ ცოტადნათ შერყეული პარტიების კაცების დასაქუიანებლად. შენი კირილე, ქუთაისი, 10 ივლისი 1916 წ.“<sup>1</sup>.

კირილეს მომდებნო სტატიიდან არა ჩანს, ნ. ნიკოლაძემ მას „Мечты и жизнь“-ი გაუგზავნა თუ არა დასაბეჭდად, მაგრამ ჩანს, რომ ნიკოლაძეს ვაზ. „მეგობრის“ რედაქციის საწინააღმდეგოდ დაუბეჭდავს საპოლემიკო სტატია, რომელზეც პასუხი გაუცია რედაქციას ანონიმური წერილით და ამ წერილის ავტორი კიტა აბაშიძე ან გიორგი ზდანოვიჩი ჰვანებიათ, მაგრამ კირილე ასეთ აზრს არ იზიარებს.

„ძმარ ნიკო! გიგზავნი „მეგობრისა“ და „კვალის“ ნომრებიდან ამოკრილ პასუხებს შენის ღია პასუხისაგან გამოწვეულს და ამას გარდა შეცდომის გაწორებას, რომელიც ამწყობმა მოახდინა. „მეგობრის“ პასუხი ამბობ კიტას ნაწერიარო. მე სრულიად არ მჯერა ეს ამბავი, მაგრამ არც ის მგონია ვითომ ზდანოვიჩის იყოს. იგი, ჩემის აზრით, შეიძლება მიეწეროს „მეგობრის“ რედაქციის რომელსამე წევრს. ვინტერესობ შემატყობინო რედაქციამ მოგწერა შენ რამე შენის პასუხის შესახებ ან წერილი ან დეპეშა, გვადროვე ამდენი ხანი მის დაბეჭდვამდისო? აპირებ რაიმე დაწერო მეგობრის უსახელო სტატიანზე, თუ არა. რამდენხანს დარჩები ფოთში, ან ჯიხაიშში. მითხრეს პეტერბურგში წასულას აპირებსო, ეს თუ მართალია? შენი კირილე.“

27 ივნისი, 1916 წ.“<sup>2</sup>.

არ მგონია ამაზე უკეთესი საბუთი მოინახოს ეროვნული კულტურისათვის მოხუცი კ. ლორთქიფანიძის ინტენსიური მუშაობის დასახასიათებლად და კ. ლორთქიფანიძისა და ნ. ნიკოლაძის მეგობრობისა და საქმიანი ურთიერთობის ნათელსაყოფად.

<sup>1</sup> კ. მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის არქივი, ხელნაწერი № 40/765.

<sup>2</sup> უ. მარქსის სახელობის საჯ. ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის არქივი, ხელნაწერი № 40/763.

ჩანს, მამაცი მოზუცი ყოველდღიურად სტამბებსა და რედაქცი-  
ებში ტრიალებდა და ქართული წიგნებისა და გაზეთების გამოცე-  
მის, დიდ ეროვნულ საქმეს თავს ევლებოდა.

### კირილე ლორთქიფანიძე და სერგეი მენსხი

„ძნათ კირილე, დარწმუნებული ვარ, თუ შენთან ხშირი მიწერ-  
მოწერა ვაგმართე, პუნქტუალურად წერას მიმაჩვევ და ეს... ძა-  
ლიან სასიამოვნო არ იქნება ჩემთვის. მე არც ცხოვრებაში და არც  
წერაში არ მიყვარს ნემეცური სიფაქიზე და წესიერება; მაშინასა-  
ვით მომართული კაცის სიცოცხლე რა სიცოცხლეა. გარწმუნებ,  
რომ ხანდისხან თავზელობაა და უწესობას თვით ბუნებაც მო-  
ითხოვს... ესეც შენთვის წინასიტყვაობაა, რომელიც უსათუოდ გა-  
მოგადგება თუ ყურადღებას მიაქცევ...“<sup>1</sup>

ასე იწყება ს. მესხის ერთი ბარათი კ. ლორთქიფანიძისადმი და  
ეს სტრიქონებიც ხომ კვლავ კირილეს თავიანთებურებაზე მეტყვე-  
ლებს? ვერც ს. მესხის ბუნება და ხასიათი ეთანხმება კ. ლორთქი-  
ფანიძის „მაშინასავით მომართულ“ ცხოვრებას.

მოუხედავად ამისა, მაინც ბევრი რამ არის საერთო ამ ორი  
მოღვაწის პიროვნებაში: ორივე მათგანი თავიანთი ცხოვრების მან-  
ძილზე უნგაროდ ემსახურებოდა ეროვნული კულტურის საქმეს;  
მათი საზრუნავი გაზეთი „დროება“ იყო და უმთავრესად ამ სა-  
კითხზე მყარდებოდა მათ შორის საქმიანი ურთიერთობა.

როდესაც 1869 წლიდან „დროების“ რედაქტორობა გ. წერეთ-  
ლის მაგიერ ს. მესხს დაეკისრა, მათი მიმოწერა უფრო საქმი-  
ანი გახდა. ახალდანიშნულ რედაქტორს, ს. მესხს, სურდა გაზეთი  
„დროება“ უწინდელზე უკეთესი ყოფილიყო, მაგრამ სხვადასხვა  
მიზეზების გამო, რომელთაც თვითონ ს. მესხი ასახელებს ბარათში,  
გაზეთის ახალი ნომერი მკრთალი გამოვიდა, ამიტომ საქმის გამოს-  
წორების მიზნით კირილეს სთხოვეს „დროების“ თანამშრომლობას.

„ჩემდა სამწუხაროდ „დროების“ უკანასკნელი სამი თუ ოთხი  
ნომერი, — სწერს ს. მესხი კირილე ლორთქიფანიძეს, — ჩემი ავად-  
მყოფობის გამო (მაციებდა) ძალიან შესუსტდა... თუ არავინ მომეხ-  
მარა... მომავალი ნომრებიც ასეთები იქნებიან ზემოხსენებული მი-  
ზეზების გამო... კირილე! ერთი შენებურად რომ მოიქაჩალებდე  
თავს, გააბრტყელებდე ორ-სამ ფურცელს და გამომიგზავნიდე, სწო-  
რედ ძალიან კარგ საქმეს იზამ, მასალების ნაკლოვანება ვგონებ არ  
მექნება. შენს სტატიებზე „სას. გაზეთისათვის“ არაფერს არ გწერ,

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 30.



რადგან გადაგიღვია იმათი წერა...<sup>1</sup> ამ ბარათიდან ისიც ირკვევა, რომ კ. ლორთქიფანიძეს განზრახული ჰქონდა „საზოგადოლო გავრცელება“ თანამშრომლობა.

როგორც მომდევნო წერილებიდან ჩანს, კირილე ყოველთვის ვერ ახერხებდა გავრცელებას თანამშრომლობას. გარდა ცხოვრების მძიმე პირობებისა, ეს იმიტაც აიხსნებოდა, რომ იგი დიდ მოთხოვნას უყენებდა თავისათვის, როგორც მწერალს, და ყოველგვარ ყურმოკრულ ამბავს არ გახდიდა საფელეტონო საგნად; თუ საკითხი საფუძვლიანად არ ჰქონდა შესწავლილი, კალამს ხელს არ მოჰყიდებდა.

პირველ ხანებში კირილე ასეთავე სიძუნწეს იჩენდა „კრებულის“ მიმართაც. ამის გამო ს. მესხი მწერალი ტონით ახასიათებს კ. ლორთქიფანიძის სამწერლო მოღვაწეობას: „ამას ასეთი ხასიათი არა აქვს (იგულისხმება კ. ლორთქიფანიძე. — კ. შ.). რომ ყოველთვის და ყოველს საგანზე შეეძლოს წერა. ჯერ იმას ვრთავ სტრიქონიც არ დაუწერია „კრებულისათვის“. ... ამბობს, მართალია, ამ საგანზე ჟურნალში უნდა ითქვას რამეო, მაგრამ კარგად არ ვიცი ეს საგანიო! ესა და ეს წიგნები უნდა წაკითხული ჰქონდეს ჯერაო და მერე შემდეგმა წერაო! განა ჩვენ არ ვგრძნობთ. რომ ყველა ის საგნები, რომელზედაც ვწერთ, ჩვენ გარკვევით ცნობილი არ გვაქვს, მაგრამ ყველა საგნების საფუძვლიანად გაცნობას თუ ვცუდეთ, ჩვენ დღეში ვერაფერი ვერ დავგვიწერია... საზოგადოდ ჩვენა კირილე საშინლად ზანტია, მძიმეა წერაში...“<sup>2</sup>

ს. მესხი მართალია იმაში. რომ კ. ლორთქიფანიძე „მძიმე იყო წერაში“. იგი დიდი სიფრთხილით წერდა და ჟურნალისა და გავრცელების საჭიროება მას ვერ ააჩქარებდა და საბუნდავსო სტატუტებს ვერ დააწერინებდა. ეს კი რედაქტორებს არ მოსწონდათ.

ს. მესხმა კარგად იცოდა კ. ლორთქიფანიძის პეტერბურგში ცხოვრების პირობები და მისი სტატიების მნიშვნელობა ჟურნალ-გავრცელებისათვის. ამის გამო იყო, რომ იგი ცდილობდა მხოლოდ კ. ლორთქიფანიძისათვის მიეცა გაწეული შრომის ჰონორარი.

„აი რანაირი წინადადება უნდა მოგცე კირილე! თუ დრო გაქვს და იქნარებ, შე შემოძლია ყოველთვის 20 მანეთი გიგზავნო იმ პირობით, რომ თვეში „დროების“ რვა კალონის ანაგები მასალა ჩამაბარო; „დროების“ თითო კალონში 80 სტრიქონია, ასე რომ სტრიქონზე თითქმის 3 კაპ. მოგვია“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 31.

<sup>2</sup> ლიტერატურული მემკვიდრეობა, 1935, გვ. 462

<sup>3</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 29.

და ამას მაშინ აკეთებს ს. მესხი კირილესათვის, როდესაც ჰონორარზე ლაპარაკი არამც თუ 70-იან წლებში, 80-იან წლებშიც კი შეუძლებელი იყო.

ამავე ბარათში ს. მესხი კირილეს ედავება ფსევდონიმი საკითხზე და ცდილობს, დაარწმუნოს გვარისა და სახელის მოწერის უპირატესობაში. ეს წერილი (ოფიციალურ საკითხებთან ერთად) ძალიან შინაურული ხასიათისაა და მათ ახლო დამოკიდებულებაზე მეტყველებს.

„კირილე, შენი კეთილი გულის ამბავი ვიცი და ამიტომ იმედი მაქვს არ მოწყრები, რომ ამდენი ხანია შენს წიგნზე პასუხი ვერ მოგწერე. შენი სტატია და წიგნი ეს ორი კვირა იქნება, რაც მივიღე, მაგრამ, დახე ჩემს ცუდლულტობას, ჭერაც არ წამიკითხავს (რასაკვირველია სტატია) და ამის გამო იმაზე ვერაფერს ვერ გწერა“<sup>1</sup>.

ს. მესხს კირილეს სტატიის დაბეჭდვა „დროების“ დამატების სახით გამოსაცემ წიგნში განუზრახავს, მაგრამ იგი ამავე წიგნისათვის, მართალია, არაპირდაპირი გზით, კირილეს მოთხოვნის ან რომანის დაწერასაც სთხოვს.

„ამ ორ თვეში გამოცემთ ერთს დამატებას წიგნად, რომელიც „დროების“ ხელისმომწერლებსაც დაურიგდება და ცალკე გაიყიდება. იმაში დავბეჭდ შენს სტატიას; ამას გარდა მე მაქვს კიდევ საზბორნიკო სტატიები და ლექსებიც, რა კარგი იქნება, რომ ამ სბორნიკისათვის ერთ კარგ პატარა მოთხოვნას ან რომანს (რასაკვირველია ჩვენი ცხოვრებიდან) დაწერდეს ვინმე! ოთხ კაპიტიკს მივცემ სტრიქონში, თავი ნუ მომიკვდება; კირილე, ეს ამბავი ლონორარზე საეჭვოდ არ მიგაჩნდეს! იცოდე, რომ აქ ერთი სიტყვა არ არის მომეტებული და წინდაუხედავად ნათქვამი; რაზედაც გწერ, ყველაფრის ასრულებას შენ თვითონ ნახავ და, თუ დამეთანხმები ზემოთქმულზე, შენ თავზედაც იგრძნობ“<sup>2</sup>.

ს. მესხის სიტყვები „თუ დამეთანხმები... შენ თავზედაც იგრძნობ“ იმას ნიშნავს, რომ იგი კირილეს სთხოვს რომანის ან მოთხოვნის დაწერას. საფიქრებელია, კ. ლორთქიფანიძე ხომ არ იყო ს. მესხისათვის ცნობილი, როგორც მოთხოვნების ან რომანების ავტორი? ან ამ თხოვნის თანახმად კირილეს ხომ არ დაუწე-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 29, აქ ლაპარაკია კირილეს სტატიაზე „საზრდო და მისი მოქმედება ადამიანის ორგანიზმზე“.

<sup>2</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 29.

რია ასეთი ნაწარმოებები? ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით ჯერჯერობით ამის დადგენა შეუძლებელი შეიქნა<sup>1</sup>.

როგორც ვიცით, ს. მესხი 1873 წელს სწავლის გასაგრძელებლად მიემგზავრება საზღვარგარეთ. იგი სორბონის უნივერსიტეტში ისმენს ლექციებს ეკონომიკისა და ლიტერატურის საკითხებზე. უცხოეთიდან გამოგზავნილ ერთ ბარათში ამის შესახებ კირილეს სწერს: „ჩემს ამბავს თუ იკითხავთ, ღვთისა და თქვენი წყალობით, კარგად გახლავართ, სორბონში დავიარები პოლიტიკური ეკონომიკის, ლიტერატურის და „საფრანგეთის მჭერმეტყველების“ ლექციებზე, გაზეთებსა და წიგნებს ვკითხულობთ... მე და იზმაილოვი სტენოგრაფიის სწავლასაც ვაპირებთ“<sup>2</sup>.

ს. მესხი უკმაყოფილოა იმით, რომ პარიზი, რევოლუციის ეს ბოქარი ქალაქი, იმ დროს ჩაფლული ყოფილა მყუდროებაში.

„პარიჟში სამინდელი მყუდროებაა; ეს ოხერი ქალაქი, მე რომ აქ ვარ, ეხლა დაყუჩდა, რა მინდოდა, რომ ერთი პატარა რევოლუცია მენახა! მაგრამ ჯერ კიდევ თითქმის ათი თვე მაქვს წინ და საფრანგეთში ამ ათ თვეში, ვინ იცის რამდენ რამეს ნახავს კაცი“<sup>3</sup>.

მართლაც, გაუმართლდა ს. მესხს წინათგარძნობა; მალე ისევ დაიწყო პარიზში ბოხოქარი ცხოვრება. კეკესადმი გაგზავნილ მომდევნო წერილში ს. მესხი წერს: „ამისთანა აღლევებული, როგორც ამ კვირაში იყო, პარიზი ჩემს აქ ყოფნაში არ მინახავს“...<sup>4</sup>

სანამ ს. მესხი საზღვარგარეთ გაემგზავრებოდა, 1873 წლის 24 ივლისის თარიღით კ. ლორთქიფანიძეს სწერს: „ძმოა კირილე, მე იტენბა ამ ხუთშაბათს მომინდეს საზღვარგარეთ წასვლა და ამიტომ შენი აქ ყოფნა აუცილებლად საჭიროა... შენი ჰირიმე, კირილე. ეს თხოვნა პირველ თხოვნად შემისრულე...“<sup>5</sup>

კირილემ, მართლაც, შეაპრულა ს. მესხის თხოვნა და თვითონ იქისრა გაზეთის რედაქტორობა. ს. მესხი დარწმუნებული იყო, რომ

<sup>1</sup> ამ შემთხვევაში არ შეიძლება არ გაიხსენოთ კირილე წუთისოფლისშვილის საკითხი. პროფ. ს. ხუნდაძე ამის შესახებ წერდა: „მას ეკუთვნის (ივლისსმება კ. ლორთქიფანიძე. — კ. მ.) მოთხრობა „მოქალაქე“, 1914 წელს დაბეჭდილი „სახალხო გაზეთის დამატებაში კ. წუთისოფლისშვილის ფსევდონიმით“ (ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 378). კირილეს ფსევდონიმის წუთისოფლისშვილობას ადასტურებდა ტ. ჭაფარიძე და აწ განსვენებული პოეტი შალვა ჩარკვიანი, მაგრამ შემდგომმა კვლევა-ძიებამ ეს ვარაუდი არ დაადასტურა. კ. ლორთქიფანიძეს ასევე არ ეკუთვნის იგავ-არაქი „უვაე-ჩხიკე-ბუნი“, რომელსაც ილიას ტომების გამოცემლები კ. ლორთქიფანიძეს მიაწერენ (იხ. ი. ჰაქუვაძე, ტ. 4, გვ. 439).

<sup>2</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 649, პარიზი, 8 დეკემბერი, 1873 წ.

<sup>3</sup> ლიტერატურული მემკვიდრეობა, გვ. 507.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 508.

<sup>5</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 619.

კირილეს უკეთეს შემცველს ამ საქმეში ვერავის იშოვიდა. პირველი დღეებიდანვე მუსხი სწერდა კირილეს პარიზიდან: „ჩემი თხოვნა საჭირო არ არის, კირილე, რადგან ვიცი, რომ ჩვენს საქმეებს და განსაკუთრებით „დროებს“ იმედია ეცდები, რაც შეიძლება კარგად წაიყვანოს“<sup>1</sup>. და კ. ლორთქიფანიძეც მთელი ენერჯით და სიყვარულით მოეკადა „დროების“ გამოცემის საქმეს. მან თავისი ნიჭი და მატერიალური შესაძლებლობა მოახმარა ამ კეთილშობილურ საქმეს და გაზეთიც რიგობრივად გამოდიოდა. მაგრამ ს. მუსხის საზღვარგარეთ მისი ყოფნის დროს გამოცემული გაზეთის ნომრები არ მოსწონდა და კირილეს მიმართ საყვედურს გამოთქვამდა.

თავის საცოლვე კეკელიძეში გაგზავნილ ბარათში „დროების“ შესახებ ს. მუსხი წერდა: „რა ღმერთი გაუწყრა კირილეს და ნიკოს? რას გავს უკანასკნელი „დროების“ ნომერი? მე ტრაბახა არა ვარ, უფრო ხშირად ჩემს თავს ვამბავლებ, მაგრამ ღმერთმანი, ეხლა კი არ შემიძლია არა ვსაქვა, რომ ეს ნომრები, თითქმის ყველა ჩემ ნომრებზე სულტები და ცუდები არიან მეთქი. პირველ ნომრებს სრულებით გაზეთის ხაზით არ ჰქონდათ; რაღაც უაზრო პოლემიკით იყო სავსე; ეს უკანასკნელი ნომერი, თუმცა უფრო მრავალგვაროვანია, მაგრამ სტატიები ღმერთმა შეინახოს, რას გავს მოწინავე სტატია? რას გვანან კორესპონდენციები და რუსეთის წერილი ამბები?.. პოლიტიკაში შემცდარი აზრები, ნიკოლაძის სტატიაში რომ უფრო ტყუილები და სხვა. ერთი მხრივ ჩემთვის ეს ამბავი სასარგებლოა, რადგან ჩემს ღირსებას ამაღლებს და ცოტა არ იყოს მარწმუნებს, რომ გაზეთის წაყვანაში მე დავხელოვნებულვარ და აუცილებლად საჭირო ვყოფილვარ, მაგრამ მეორე მხრივ ასე ცუდად წაყვანა გაზეთისა მაშინებს და მაწუხებს, ვაი თუ მკითხველები დამიფრთხონ“<sup>2</sup>.

ჩვენ არ შეგვიძლია მსჯავრი დავდოთ ს. მუსხს თუ რამდენად სამართლიანი იყო იგი კ. ლორთქიფანიძისა და ახალი რედაქციის მიმართ, როდესაც ამ სტრიქონებს წერდა, მაგრამ ერთი კი ფაქტია: ს. მუსხი შემდეგ წერილებშიც ისევ განაგრძობდა „დროების“ აუგად ხსენებას.

იმავე კეკეს სწერს: „მართალი ვითბრა, არც ერთი ჩემს მერვ გამოსული ნომერი მაგდენათ არ მომწონს, წინანდელი ორი ნომერა ნ. ლოლობერიძისთან უსარგებლო ყბედობით იყო სავსე და დანარჩენი ნაწილები გაზეთისა სრულებით არ იყო. ეს უკანასკნელი ნომერი კიდევ პო. არა უშავს რა, მაგრამ დაუკვეხნელად შემიძლია

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 25.

<sup>2</sup> ლიტერატურული მემკვიდრეობა, გვ. 491.

ვთქვა, რომ მაგაზე ნაკლები არც ერთი ჩემი № არ ყოფილა. ნიკო-  
ლაძის ფელეტონი... ძალიან სუსტი რამ არის. წარმოიდგინე კეკე,  
მაგ საგანზედ აკაკის რომ დაეწერა, როგორი მშვენიერი ალეგორიკ  
იქნებოდა და როგორ მახვილად დასცინებდა მმართველებს<sup>1</sup>.

ხოლო მომდევნო წერილიდან ჩანს, რომ კირილეს „დროების“  
ნომრები გაუუქმობესება და ს. მესხიც ამით კმაყოფილი გამზღარა.  
„დროების“ საზოგადოდ ძალიან კმაყოფილი ვარ, მხოლოდ  
წვრილ ამბებს მეტი ყურადღება და ფილოსოფიურ ფელეტონებს  
ნაკლები ადგილი“<sup>2</sup>.

პარიზში მყოფი ს. მესხი „დროების“ არა მარტო შემმოწმებელი  
და შორეული მკითხველია, არამედ გაზეთის აქტიური თანამშრომე-  
ლიცაა. ახლა უკვე შეიცვალა ს. მესხსა და კირილეს შორის რო-  
ლები. თუ აქამდე კ. ლორთქიფანიძე სთხოვდა მესხს, როგორც  
რედაქტორს, სტატიები დამიბეჭდო, ახლა ს. მესხი სთხოვს კირი-  
ლეს ამის შესახებ.

ს. მესხი პარიზიდან სისტემატურად თანამშრომლობდა „დრო-  
ებაში“, აქვეყნებდა სტატიებს ევროპის პოლიტიკური და საზოგა-  
დოებრივი პრობლემების შესახებ, ბეჭდავდა მოწინავე საზოგადო  
მოღვაწეებისა და მწერლების ბიოგრაფიებს..

1873 წლის 8 დეკემბრის თარიღით ს. მესხი პარიზიდან კ. ლორ-  
თქიფანიძეს სწერდა: „პირველი ჩემი თხოვნა, როგორც ამ წერილე-  
ბის, იმე შემდეგი წერილების შესახებ ის არის, რომ ფელეტონები  
დაბეჭდოთ, როდესაც კი ეს შესაძლებელი იქნება. მეორე, ყველა  
ჩემს წერილს ზევით ერთი და იგივე საზოგადო სათაური უნდა ექ-  
ნეს „ქართველი ევროპაში“ და მერე პატარა სათაური. ქვემოთ  
ჩემი სახელი და გვარი (ს. მესხი) და რიცხვი. რაც მეტს გამოვლევ  
ცენზორის კლანჭებს, რასაკვირველია, ის ემჯობინება; მაგრამ თუ  
ყოველთვის ეს ვერ მოხერხდეს და რომელიმე წერილი საკრძობ-  
ლად დაამახინჯოს, რასაკვირველია, სულ დაუბეჭდებლობა ემჯო-  
ბინება“<sup>3</sup>.

კ. ლორთქიფანიძეს ცენზორის სიმკაცრის გამო ს. მესხის თხოვნა  
მართლაც ვერ შეუსრულებია და მისი სტატია „მიუწხენი“ „დროება-  
ში“ დამახინჯებულად დაბეჭდილა. ამის გამო ს. მესხი საყვედურს  
გამოთქვამს კირილეს მიმართ.

„ღმერთმა რედაქტორობის რისხვა ნუ მოგაკლავთ, — სწერს  
ს. მესხი კირილეს, — ასე უთავბოლოდ ჩემი წერილის დაბეჭდვი-

<sup>1</sup> ლიტერატურული მემკვიდრეობა, გვ. 487.

<sup>2</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 28.

<sup>3</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 649.

სათვის. „მოუნხენი“ ან როგორც იყო ისე უნდა დაბეჭდილიყო, ან სულ უნდა გამოგვევათ, თორემ ეხლა სულ უაზრო და უფერულია“.

ეს მრავალმხრივ საყურადღებო ბარათია. ს. მესხი, ისე როგორც სხვა მოღვაწეები, კ. ლორთქიფანიძის პიროვნებაში დიდ ავტორიტეტს ხედავს. მისთვის საინტერესოა კირილეს აზრი სტატიების ღირსების შესახებ: „მომწერე, თუ ძმა ხარ, კირილე, შენი აზრი საზოგადოთ ჩემს წერილებზე, შემატყობინე აგრეთვე რამდენ დღეზე მოგდით თქვენ ჩემი კორესპონდენციები“<sup>1</sup>, და კირილეს ხომ ასეთივე თხოვნით მიმართავდა თვით ილია ჭავჭავაძეც? ჩანს, კირილეს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა ამხანაგებს შორის, როგორც მცოდნესა და ამავე დროს ყველაზე ობიექტურ ადამიანს.

ეს წერილი შინაურული ხასიათისაა, ს. მესხი კ. ლორთქიფანიძეს, როგორც უახლოეს მეგობარს, დეტალურად ესაუბრება საზღვარგარეთ სწავლასა და ცხოვრების პირობებზე. თვით ეკონომიურ სივიწროვეში მყოფს არ ავიწყდება საქართველოში დატოვებული ძმების ბედი<sup>2</sup>. კირილეს აცნობებს უფულობის შესახებ და ამით დახმარებას სთხოვს მას, როგორც უახლოეს ადამიანს.

„თუ ძმა ხარ კირილე! შემატყობინე, გთხოვ, ჩემი ძმების ამბავი... სწორედ გამიჭირდა კი საქმე უფულობისაგან; კარგი კიდეც, რომ კეთილი სახლის პატრონი ამომიჩნდა და სადგომს და სადილებს ნისიად მაძლევს, თორემ მგონი სიმშლით არა ერთხელ ამეწვებოდა კუჭი. ერთი სიტყვით, თუ ამ ორ კვირაში ფულები არ გამიჩნდა საიდანმე, ჩემი საქმე ძალიან ცუდათ იქნება“.

ჩვენ არ ვიცით, კირილემ ს. მესხს მართლა გაუგზავნა თუ არა „ფულები“ ამ წერილის პასუხად, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ კ. ლორთქიფანიძე ს. მესხსა და მის ძმებს ხშირად ეხმარებოდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ როდესაც 1866 წელს გ. წერეთლისა და ნ. ნიკოლაძის მეთაურობით ახალი, მეორე დასი ჩამოყალიბდა, მასში კ. ლორთქიფანიძე და ს. მესხიც გაერთიანდნენ და ამ დასის პროგრამის დასაცავად ერთად იბრძოდნენ ქართულ პრესაში.

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 618.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ს. მესხის მამას — სიმონ მესხს 13 შვილი ჰყავდა, ესენი იყვნენ: გიორგი, პეღავია, სერგი, ივანე, ანა, მიხეილი, ნესტორი, კოტე, დავითი, ეფემია, მარიაში, კონსტანტინე და ნინო. ამათგან 9 საზოგადო მოღვაწე იყო. მწერლობას ეწეოდნენ: სერგეი, ივანე, ანა და დავითი, მსახიობები იყვნენ: კოტე და ეფემია, ხოლო გიორგი, ნესტორი და ნინო მასწავლებლობით ემსახურებოდნენ ახალთაობის აღზრდის საქმეს.

<sup>4</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 28.

ბ. ლორთქიფანიძე და ქუთაისის ბანკი

ბანკი მეცხრამეტე საუკუნის ქართველი ინტელიგენციისათვის უბრალო საკრედიტო დაწესებულება კი არ იყო, არამედ იგი სხვადასხვა მსოფლმხედველობის მოღვაწეთა იდეური ბრძოლის ასპარეზს წარმოადგენდა. ხშირად ყოფილა შემთხვევა, რომ ქურნალ-გაზეთების ფურცლებზე დაწყებული პოლიტიკურ-იდეური ბრძოლა ბანკის საჯარო სხდომაზე გაგრძელებულა; ხოლო ეს საზოგადო დაწესებულება ამა თუ იმ დასს თავისი მიზნების განახორციელებლად გამოუყენებია.

ბატონყმობის გადაყარდნის შემდეგ, როდესაც თავადაზნაურობა ეკონომიური გაღარიბების საფრთხის წინაშე დადგა, დიმიტრი ყიფიანმა წამოაყენა იდეა სათავადაზნაურო ბანკის დაარსების შესახებ. ასეთი ბანკების დაარსების მიზანი იყო არისტოკრატიული წოდების ეკონომიური მოღონიერება.

70-იანი წლებიდან ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი ილია ჭავჭავაძის მეთაურობით სათავეში ჩაუდგა ბანკის საკითხს და თბილისსა და ქუთაისში გაიხსნა ასეთი ბანკები.

მართალია, ბანკების დანიშნულება მაღალი წოდების ინტერესების დაცვა და მათი მამულების შენარჩუნება იყო, მაგრამ ილია ჭავჭავაძემ და სხვა ქართველმა მოღვაწეებმა ბანკები ფაქტიურად ეროვნული კულტურის აღორძინებისათვის გამოაყენეს. ბანკის შემოსავალი ხმარდებოდა ქართული თეატრის, სკოლების, წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, უმაღლეს სასწავლებელში ახალგაზრდობის აღზრდისა და სხვა საქველმოქმედო საქმიანობას.

სამწუხაროდ, ბანკების დაარსებას თავიდანვე მწვევე ოპოზიცია დაჰყვა, რამაც ჩვენი საუკეთესო ინტელიგენციის დიდი ენერჯია და დრო შეიწირა. თითქოს შეგენანებათ, როდესაც წარმოიდგენთ, რომ ბუმბერაზი მწერალი და მოაზროვნე ილია ჭავჭავაძე 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ანეთ წერილმან საქმიეებზე კარგავდა დროს, მაგრამ, როდესაც იმასაც გავითვალისწინებთ, თუ რა დიდი ეროვნული საქმე გააკეთა მან ბანკის დირექტორობით, ყოველივე ამას იოლად ვურიგდებით.

ბანკის საკითხებზე ერთმანეთს შეეჯახნენ ილია ჭავჭავაძე და „დროება“-„კრებულის“ რადიკალურ-ბურჟუაზიული დასის წევრები ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. შესხი, კ. ლორთქიფანიძე და სხვები. განსაკუთრებით მწვავე პოლემიკა გაიშალა „დროების“ ფურცლებზე ილია ჭავჭავაძესა და ნ. ნიკოლაძეს შორის.

1876 წლის „დროებაში“ (№ 35) ნ. ნიკოლაძემ გაზეთის ოთხივე გვერდზე მოათავსა ვრცელი სტატია ქუთაისის ბანკის წინააღმდეგ. ნ. ნიკოლაძე აკრიტიკებდა ქუთაისის ბანკის წესდებას, რომელიც შეადგინა ბესარიონ ლოლობერიძემ, და ფაქტიურად გადმოწერილი იყო „ხერსონის ერობის ბანკის“, „ხარკოვისა“ და „თბილისის ბანკების“ წესდებებიდან. ამის ნათელსაყოფად ნ. ნიკოლაძეს მოჰქონდა ადგილები ზემოთ დასახელებული დებულებებიდან და ადარებდა ქუთაისის ბანკის წესდებას.

მართალია, ნ. ნიკოლაძეს თბილისის ბანკისა და მისი დირექტორის ილია ჭავჭავაძის შესახებ სტატიაში არაფერი უთქვამს, მაგრამ ფაქტიურად ქუთაისის ბანკის წესდების წინააღმდეგ გალაშქრება თბილისის ბანკის წინააღმდეგ გალაშქრებასაც ნიშნავდა. ამის გამო „დროების“ ფურცლებზე ილია ჭავჭავაძე მკაცრად გამოეხმაურა ნიკოლაძეს და მოტყუად ის მოიტანა, რომ ნიკოლაძის სტატიას „საქმის წახდენა შეუძლიან არამცთუ ქუთაისში, არამედ ტფილისის გუბერნიისაშიც, ამის გამო, — წერს ილია ჭავჭავაძე, — მე ჩემს უწმიდეს ვალად ვრაცხ, პირდაპირ აღუდგე ამ სტატიას“<sup>1</sup>.

ილია ჭავჭავაძე შეეცადა დაემტკიცებინა ნ. ნიკოლაძის დებულების უსწორობა და თან ეჩვენებინა „ალემ-მიცემობის თავისუფლების“ იდეის უპირატესობა, ხოლო „დროების“ იმავე წლის 47-ე ნომერში ნ. ნიკოლაძემ მოურიდებელი პასუხი გასცა ილია ჭავჭავაძეს. ნ. ნიკოლაძის აზრით, ჭავჭავაძე იმიტომ იცავს ბ. ლოლობერიძის წესდებას, რომ მისა ბანკის წესდებაც იმავე კალაპოტზეა გამოქრილი.

„უფ. ჭავჭავაძე უფ. ბ. ლოლობერიძეს ესარჩლებოდა თავისი საკუთარი თავის დასაცავად. საქმე იმაშია, რომ უფ. ჭავჭავაძე არის თბილისის ბანკის წესდების შემდგენელი და ამავე ბანკის მმართველიც. მისი წესდება იმავე კალაპოტზეა გაყეთებული, ესე იგი გადმოწერილი, როგორც უფ. ლოლობერიძისა“<sup>2</sup>.

ნ. ნიკოლაძე არაობიექტურ აზრს ავითარებდა ილიასთან კამათის

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, „უფ. ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე“, „დროება“, 1876, № 39.

<sup>2</sup> „დროება“, 1876, № 47.



დროს და ისეთი დასკვნა გამოაქვს, თითქოს ილია ქვეყნადე ბანკს იყენებდეს პირადი გამდიდრებისათვის.

„ჩვენში ბევრია ისეთი პირები, — წერს ნიკოლაძე, — რომლებიც სარგებლობენ საზოგადოების უმეცრებით და რომელნიც ცხოვრობენ და მდიდრდებიან საზოგადოების ხარჯით, იმით, რომ თავიანთ საქმეს და შრომას საზოგადოებას მოაჩვენებენ მეტის მეტად გრძელ და მეცნიერ რამედ“<sup>1</sup>.

ამის შემდეგ ნ. ნიკოლაძე ილია ქვეყნადეს ეკამათება „აღებ-მიცემობის“ საკითხებზეც. ნ. ნიკოლაძეს მოაქვს ამონაწერი ილიას სტატიიდან, სადაც ილია ამბობს: „მე ვასესხებ ფულს და მანეთში ორ მანეთს ვიღებ სარგებელს, ეს ჩემი და მესესხებლის საქმეა, თუ ძვირად მიიჩნია, ნუ ისესხებსო“ და ნ. ნიკოლაძე ამაზე უპასუხებს: „მე ქარხანა მაქვს, მუშას ვამუშავებ, ქირა არ ყოფნით მათ, სიმშლით კვდებიან, თუ არ ყოფნით წაბრძანდნენ, სადაც მეტს მისცემენ, იქ იმუშაონო“. ეს გახლავთ ბურჟუაზიული მმართველობის აზრი, ასე ითარგმნება „აღებ-მიცემობის თავისუფლების ფანტაზია“ — დასძენს ნიკოლაძე<sup>2</sup>.

მართალია, ნ. ნიკოლაძე ილია ქვეყნადეს უსაყვედურებს ბურჟუაზიის ინტერესების დაცვას, მაგრამ არც ნ. ნიკოლაძე ყოფილა პროლეტარიატის ინტერესების გამომხატველი. ორივენი დემოკრატიის ინტერესებს ემსახურებოდნენ, მაგრამ სხვადასხვა გზით. ნ. ნიკოლაძეს უნდოდა ბანკი სამრეწველო ბურჟუაზიის სასარგებლოდ გამოეყენებია, საქართველოში ვაჭრობა-მრეწველობა განვითარებულიყო და ფაბრიკა-ქარხნების გახსნით მსხვილი სამრეწველო კაპიტალიზმი აღორძინებულყო. ილია ქვეყნადე კი უფრო სოფლის ბურჟუაზიის ინტერესებს იცავდა.

აი, როგორ გამოხატავდა ნ. ნიკოლაძე ამ აზრს: „უპირველესი საგანი საადგილ-მამულო ბანკის ზემოქმედებისა მეურნეობაზე და წარმოებაზე ის გახლავთ, გონიერს მეურნეს გაუადვილოს და გაუიაფოს მეურნეობის გაუმჯობესება... მეორე მხარე საქმისა მასში მდგომარეობს, რომ ბანკს უფლება და საშუალება ჰქონდეს ხანგრძლივი კრედიტი გაუხსნას იმ ამხანაგობებს თუ სინდიკატებს, რომლებიც უქსდგებიან სხვადასხვა წარმოების წასაყვანად, ანდა წარმოების საერთო გასაძლოლად“<sup>3</sup>.

სხვა სტატიაში ნ. ნიკოლაძე პირდაპირ აღნიშნავს, რომ ბანკის

<sup>1</sup> „დროება“, 1876, № 47.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ნ. ნიკოლაძე, „მოამბე“, 1894, № 6, გვ. 171—172.

ფული „კონხარდება მხოლოდ ქარხნების გამართვაში, მამულების გაუმჯობესებაში, ნამუშევრის ვასასაღებლად გადატან-გადმოტანაში“.

ცხადია, ილია ჭავჭავაძე ფაბრიკა-ქარხნებისათვის ბანკის ფულს ვერ გაიღებდა.

ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ნიკოლაძის მსოფლმხედველობრივი განსხვავება იყო არა მარტო თერგდალეულებისა და „ღროება“-„კრებულის“ დასთა შორის წინააღმდეგობის მიზეზი, არამედ ბანკის დანიშნულების საკითხში ღაცის მიზეზიც.

ნ. ნიკოლაძეს მხარში ამოუდგა გ. წერეთელი. ისიც საქართველოს საკრედიტო დაწესებულებებიდან მოითხოვდა სამრეწველო ბურჟუაზიისათვის ხელის შეწყობას და მათი ინტერესების დაცვას. გ. წერეთელი, როდესაც დასების საკითხს ეხებოდა და თერგდალეულებსა და „ახალ ახალგაზრდობას“ შორის იდეურ სხვაობას არკვევდა, ბანკების შესახებ წერდა: „საკრედიტო დაწესებულებათა შორის ის (ე. ი. „ღროება“-„კრებულის“ ჩგუფი. — გ. შ.) ეწინააღმდეგებოდა თავდაზნაურობის საადგილმამულო ბანკების დაარსებას. ამის მაგივრად ის ურჩევდა მოკლე ვადიანი სამრეწველო ბანკების წეს-წყობილებას. ამასთან ამ დასმა წამოაყენა წინ სასოფლო და სამრეწველო კრედიტი და ერთი ამგვარი წერილმანი ბანკი კიდევ დააარსა იმ დროს თბილისში წერილმან ვაჭრებისათვის“<sup>1</sup>.

ერთ პირად ბარათში გ. წერეთელი ქუთაისის ბანკის საკითხზე ნ. ნიკოლაძეს სწერდა: „...ახლა საშინელი ბანკის ცხლებაა, იფიქრე, რაიცი წინ მიდის ეს ჩვენი ხალხი, უფრო ირყვენება ბანკის არჩევნების წყალობით. ახლა დაეტყვენ ერთმანეთს დიმიტრი დადიანი და ფალავა. რასაც ღოღობერიძე ჩაღიოდა, დიმიტრი დადიანის და ფალავას მომხრეები ერთი ორად უფრო საძაგლობას ჩაღიან. კაცი არ არის, რომ რაიმე თქვას, ბატონი მაჩაბელი ილია ჭავჭავაძის ბრძანებით არ ბეჭდავს სამხილებელ სტატიას<sup>2</sup>. სად არის ახლა ერთი ორგანო, რომ ქორივით დავეცეთ ამდენ საძაგლობას. სწორედ რაც უნდა გაგვიჭირდეს, ერთი ორგანო უნდა მოვიპოვოთ, თორემ როგორც ლიტერატურა, ისე საზოგადო საქმეების ასპარეზი საძაგლად გარყვნეს ამ ზნეობით დამახინჯებულმა თაობამ...<sup>3</sup> (ხაზი ჩვენია. — გ. შ.).

ეს ბარათი განსაკუთრებით საინტერესოა იმიტაც, რომ ნ. ნიკო-

<sup>1</sup> გ. წერეთელი, „კვალი“, 1897, № 46.

<sup>2</sup> იე. მაჩაბელი იყო „ღროების“ რედაქტორი.

<sup>3</sup> საქართველოს საქარო ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის არქივი № 40/1419.

ლაძე — გ. წერეთელსა და ჭავჭავაძეს შორის კიდევ უფრო მწვავე-  
დება იდეური წინააღმდეგობა და რადგან „ღროება“ 80-იან წლებ-  
ში ფაქტიურად დაკარგეს მეორე დასელებმა, ამისათვის ახალ საბრ-  
ძოლო ორგანოს დაარსებაზე ოცნებობენ. „საძავლობის ჩაღენა-  
ში“ იგულისხმება ბანკის არჩევნების დროს ქრთამების გამოყენება.  
როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, ბანკის ხელმძღვანელობით და-  
ინტერესებული პირები ცდილობდნენ ამომრჩევლების ფულით  
მოსყიდვას. მაგალითად, გაზეთ „ღროების“ 1882 წლის 101 ნო-  
მერში დაბეჭდილია გ. წერეთლის სტატია „ჩვენება“, სადაც ავტო-  
რი საჯაროდ აცხადებს, რომ ქუთაისის ბანკის არჩევნების დროს  
პრისტიჟმა ბაქრაძემ 500 მანეთი გადასცა მელიქსედექ, ბახვა და  
დიმიტრი ფაღვებს დიმიტრი ერისთავის კანდიდატურის მხარის  
დასაპერად. ხოლო 1879 წლის „ღროებაში“ აღნიშნულია, რომ  
ბანკის არჩევნების დროს დავით ბაქრაძის თავმჯდომარედ გაყვანი-  
სათვის გაღებული იყო ქრთამიო.

იმვე წლის „ღროების“ 163-ე ნომერში დაბეჭდილია კ. ლორ-  
თქიფანიძის სტენოგრაფიული ანგარიში საარჩევნო სხდომისა, სადაც  
ის ვერ უარყოფს ქრთამის გაცემის ფაქტს და თავის მხრივ დასძენს:  
„ხმა ვითომც თ. ბახვა ფაღვეს ბაქრაძისაგან გაგზავნილი 500 მანე-  
თი მიეღოს ისმოდა აქა იქ ოთხი-ხუთი დღის წინ კენჭის ყრამდგო“.

კ. ლორთქიფანიძე ბანკის საკითხებშიც ნ. ნიკოლაძისა და გ. წე-  
რეთლის პოზიციებზე იდგა, მაგრამ არც ბანკის საჯარო სხდომებზე  
და არც ჟურნალ-გაზეთებში მას, ნ. ნიკოლაძესა და გ. წერეთლის  
მსგავსად, მკაცრი ტონით არ გაულაშქრია მოწინააღმდეგეების  
მიმართ. ალბათ ეს იმიტომ მოხდა, რომ საკითხი ილია ჭავჭავაძეს  
ეხებოდა.

კიდევ მეტი, კ. ლორთქიფანიძეს დიდი ხნის განმავლობაში მო-  
წინააღმდეგობა არ მიუღია ბანკის საკითხზე გამართულ კამათში. ხოლო  
როცა აიძულეს, თავისი აზრი გამოეთქვა პაექრობის შესახებ, რო-  
გორც ობიექტურსა და საქმის მცოდნე პიროვნებას, მან ლიბერა-  
ლური პოზიცია აირჩია ბ. დოლობერიძესა და ნ. ნიკოლაძეს შორის.  
იგი შემარიგებლობის გზას დაადგა იმ მოტივით, რომ პიროვნებები-  
საღმი მიმართული მკაცრი კრიტიკა კიდევ უფრო შეამცირებდა  
ოსედაც მცირე რაოდენობის ქართველ მოღვაწეთა ჯგუფს. წერილია  
შესავალში კირილე მიუთითებს კამათში მონაწილეობის დაგვიანე-  
ბის მიზეზზეც.

<sup>1</sup> „ღროება“, 1882, № 163.

„ღღეს „ღროებამ“ რამდენიმე ალაგი, — წერს კირილე, — იქნებ სხვა უფრო სასარგებლო ამბავის მაგიერ, ჩემს ნაწლებს უნდა დაუთმოს. მსურს ორიოდ სიტყვა მოვახსენო მკითხველს იმ ბაასის გამო, რომელიც უფ. ბ. ლოლობერიძისაგან წარდგენილის პროექტის მიღებამ აძლია და თვენახევარია, რაც ქუთათურებს მოსვენებას არ აძლევს. ექვი არ არის, რომ ჩემი აქამდის სიჩუმე და ეხლა ხმის ამოღება ბევრს ძალიან გაუკვირდება, მაგრამ იყო სამი იმისთანა მიზეზი, რომელიც აქამდის ბაასში მოწინააღმდეგეობის ნებას არ მაძლევდა“.

ეს მიზეზები, კირილეს აზრით, ასეთია: „პირველად მე ვფიქრობდი და ეხლაც ამ აზრისა ვარ, რომ როგორც ბანკის წარმატებისათვის, ისე ჩვენს საზოგადოებრივ ასპარეზზე მომქმედი პირების ჭკულის სასწავლებლად უკეთესი იქნებოდა ბანკის პროექტის ნაშთი დაფასებას შესდგომოდნენ და მომქმედ პირებს უფრო მკაცრად, მაგრამ თავაზიანად მოპყრობოდნენ. ჩვენში საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლის მოსურნე (...) ისე ცოტა არის, რომ პირების გამაუბატიურებელი ბაასით არ უნდა ვანახევრებდეთ იმათ რიცხვს და არ უნდა ვაკლებდეთ იმათ ძალას...“

მეორედ ჩემი სიტყვა საჭირო უნდა ყოფილიყო მხოლოდ ერთს კითხვანზე: შეპირდა თუ არა უფ. ბ. ლოლობერიძე, რომ ასე და ასე ემოქმედებო ბანკის დაფუძნების საქმეში. ჩემის აზრით, ყოველს მკითხველს უნდა გაეგო ნ. ნიკოლაძის და ბ. ლოლობერიძის სტატუტისაგან, იყო მათ შორის ამნაირი პირობა თუ არა, მაშ ჩემი მოწმობა რაღა საჭირო უნდა ყოფილიყო?

მესამედ ხმის ამოღება მეტადრე მისთვის არ შემეძლო, რომ მე აქამდის არავის გამოუთხოვივარ სამოწმოდ და მე რო თავისთავად რამე შეთქვა, ვაი თუ საზოგადოება არამკითხველ მოამბესავით მომეპყრობოდა... მაგრამ ქუთაისიდან ჩემამდის ერთმა უხეირო ხმამ მოაღწია, ვითომც ჩვენება უფ. ბეს. ლოლობერიძის განსამართლებლად გამოსადეგი იყოს და ნ. ნიკოლაძის მეგობრობით ამ ჩვენებას ვფარავდე. ეს ხმა კიდევ ვერ გამომიწვევდა საბაასო ასპარეზზე, თუ რომ უფ. ბეს. ლოლობერიძეს რამდენჯერმე პირადად არ ეთხოვნა, რომ ჩემი აზრი საბაასო საგანზე საზოგადოებისათვის შემეტყობინებინა“<sup>1</sup>.

ყოველივე ამის შემდეგ კ. ლორთქიფანიძე გადადის საკითხის განხილვაზე, იგი აღნიშნავს, რომ ბ. ლოლობერიძე არ იყო ვალდე-

<sup>1</sup> „ღროება“, 1879, № 36.

ბული ნ. ნიკოლაძისათვის შეეთანხმებია წესდების ჰაკითხი, მაგრამ მათ შორის იყო მოლაპარაკება „როგორც ყოველთვის თანახმად მოქმედების მოსურნე კაცებს შუა მოხდება ხოლმე“.

ბ. ლოლობერიძე ცდილობდა საზოგადო კრებაზე დაემტკიცებია მუხლი „საზოგადო თავდებობაზედ“ და „დაგირავებული მამულის თავდებობაზედ“, ხოლო დანარჩენი ადგილის დაზუსტება პროექტში თვით კომისიას შეეძლო. ამავე დროს, კირილეს აზრით, ბ. ლოლობერიძე არ ფიქრობდა, რომ მისი პროექტი უნაკლო იქნებოდა და ამისათვის მოითხოვდა კომისიის გამოყოფას, მაგრამ კომისიის შედგენაში ვერ შეთანხმდნენ მოწინააღმდეგენი.

კ. ლორთქიფანიძე წერილის დასასრულს აღნიშნავს: „იყო უფ. ბეს. ლოლობერიძე სხვებთან შეპირებული, რომ ასე და ასე წავიყვანო ბანკის საქმეს, თუ არა, აასრულა მან ეს პირობა, წავიდა იმ გზით თუ არა, ბეს. ლოლობერიძის ზნეობას და მის მოქმედებას შეეხება. მართალია ამაში უფ. ბეს. ლოლობერიძე თუ არა, ამის დამტკიცება არც არა რას შემატებს ქუთაისის ბანკს და არც არა რას დააკლებს... მაშ განიხილოს უფ. ნ. ნიკოლაძემ ეს ბანკის პროექტი და თუ ნამდვილს რასმე ნაკლოვანებას დაანახვებს იმ შემდგენელს და ბანკის კომისიას, იმედია იმათაც იცნონ ეს შეცდომა და რისიკ შეცვლა შესაძლებელი იქნება, შესცვალონ“<sup>1</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ კირილე ცდილობს საქმის შერბილებას, რაობიცამ მიახვ სერაიოზული ზასიათი მიიღო თბილისსა და ქუთაისში, რამაც დიდი განხეთქილება ჩამოაგდო ჩვენს ინტელიგენციაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ორივე ბანკი არსებითად ეროვნული კულტურის აღორძინებას ემსახურებოდა და ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის თბილისისა და ქუთაისის ბანკების დირექტორებს ილია ჭავჭავაძესა და კირილე ლორთქიფანიძეს.

კ. ლორთქიფანიძე ილია ჭავჭავაძის მსგავსად 30 წლის განმავლობაში ქუთაისის ურთიერთნდობის საკრედიტო ბანკს ხელმძღვანელობდა. იგი იყო გამგეობის წევრი და ბანკის დირექტორი, მაგრამ, როგორც მისი ერთი განცხადებიდან ჩანს, კირილე თავისთავს ამ საქმისათვის ღირსად არ თვლიდა. ჩვენთვის უკვე გასაგებია მიზეზების გამო, კირილეს ბანკის დირექტორობაზე დათანხმება გაუძნელდებოდა, მაგრამ, როგორც თვითონვე აღნიშნავს, საზოგადოების თხოვნასა და ბანკის სავალალო მდგომარეობას იძულებული გაუხდია, ასეთი მძიმე და სავალალო მდგომარეობაში მიეღო თავზე. ერთ კერძო ბარათში ამის თაობაზე კირილე წერს: „თუ ქუთა-

<sup>1</sup> „დროება“, 1879, № 36.

ისის სათავად-აზნაურო ბანკის საქმეების არევ-დარევამ და მეტადრე იმ ჩირქმა, რომელსაც ჩვენ თავად-აზნაურობას და თითქმის მრთელს ჩვენს ქვეყანას ამ არევ-დარევით აცხებენ, მაიძულა და საზოგადოების კეთილის მოსურნეთა მოთხოვნილებას დავემორჩილე, რომ მათ დავესახელებინე კანდიდატად საპატიო თანამდებობაზედ. ეს ჩემი გადაწყვეტილება აი რა გარემოებით აიხსნება: კანდიდატობაზე თანხმობა განვაცხადე იმიტომ, რომ ვისაც საზოგადოება ღირსეულად სცნობს, მათგან არც ერთმა არ იტყვია ამ თანამდებობაზედ გამოსვლა. დიდი ფიქრისა და ქოქმანობის შემდეგ თავისთავს მივაწერე სახალხო ანდაზა: „უცხო ქვეყანას ვიყავ, ხუცად დამაყენესო“. აგრე დავთანხმდი ხუცობაზედ, მაგრამ იმ პირობით, რომ თუ ვინცობაა მაკუროთხეს, ჩემი როლი, საზოგადო სამსახურისათვის არჩეული, არსებითად სრულიად არ შევცვალო, ე. ი. ვწარო ისე, რომ ყოველივე უმთავრესი და უძნელესი ნაწილი მღვდელ-მოქმედებისა ისე არ ავასრულო, თუ კრებულს გარდა სხვა უფრო მკოდნე ქაცებისაგან ლოცვა-კუროთხევა არ მივიღე. ეს არის ჩემი აღსარება“<sup>1</sup>.

მართლაც იშვიათად მოიძებნებოდა დასავლეთ საქართველოში ისეთი სპეტაკი და საქმისათვის თავდადებული მოღვაწე, როგორც კ. ლორთქიფანიძე იყო. ქუთაისის ბანკში ყველაფერი მისი ინიციატივით გაკეთდა, თვით ბანკის შენობა კირილემ თავისი გემოვნებით ააშენა. ინჟინრების წინააღმდეგ საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი თიხის ფილებით გაამაგრა ბანკის იატაკი. როგორც მისი თანამედროვენი გადმოგვცემენ, მისთვის სამუშაო საათები არ არსებობდა. დილიდან გვიან ღამემდე ბანკში ტრიალებდა და ყველაფერი წესრიგში მოჰყავდა.

საინტერესო დოკუმენტში, რომელსაც „Помятлая записка“ ეწოდება, ვრცლად არის ლაპარაკი კირალეს დამსახურებასა და გულკეთილობაზე.

„არასოდეს არ ზრუნავდა თავის პირად ცხოვრებაზე, მთელს თავის შრომას ახმარდა სამსახურს. ბუნებრივად დაჯილდოებული იყო ორატორული ნიჭითაც. ის თანასწორად პატივცემული იყო როგორც ადგილობრივი მოსახლეობისაგან, ისე რუსებისაგანაც...“<sup>2</sup>

ბანკის ყოფილი თანამშრომელი და საზოგადო მოღვაწე ივ. პურადაშვილი აღნიშნავს თავის მოგონებაში კირილეს შესახებ: „სამსახურში კირილე იყო თავდადებული, თათქმის დღე და ღამეს იქ ატარებდა. მოვიდოდა სამსახურში დაახლოებით 10 საათზე, წავი-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 499.

<sup>2</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 510.

დოდა 4—5 საათზე და საღამოს ისევ დაბრუნდებოდა და დარჩებოდა 12 საათამდის და ხშირად უფრო გვიანაც.

ყოველივე საქმეს, ყოველივე ოპერაციას უნდა გაეგლო მის ხელში... თუმანიშვილი, როგორც თავმჯდომარე ეწეოდა საერთო ხელმძღვანელობას, ქუთათელაძეს კი ქონდა მინდობილი თამასუქებ-ქვეშ სესხის ფაცემა ან თამასუქების დახურდავება, დანარჩენი ოპერაციები და ადმინისტრაციული გამგებლობა კირილეს ხელში იყო, როგორც ზემოთ ვთქვით, ყოველივე თვითონ უნდა გაეკეთებინა და არც ვასაკვირია, რომ დღე და ღამე უხდებოდა მუშაობა, გამგეობას არ ყავდა არც მდივანი და არც საქმეთა მმართველი, ამათ მოვალეობასაც კირილე ასრულებდა. ერთი სიტყვით, კირილე იყო ბანკის თვალყური<sup>1</sup>.

მიუხედავად ასეთი თავდადებული მუშაობისა და სისპეტაკისა, კირილეს ბანკის საქმეების გამო ბევრი უსიამოვნება შეხვდა და უსიამოვნების გარდა ბანკის ვალების დასაფარავად იძულებული გახდა თავისი და-ძმათა მამული გაეყიდა. ამასთანავე სასამართლოს მიერ ბანკის გამგეობის თავმჯდომარეს დავით ბაქრაძესა და დირექტორს კირილე ლორთქიფანიძეს შინაპატიმრობა ჰქონდათ მისჯილთ. კირილეს, როგორც მსჯავრდადებულს, სახლიდან გამოსვლის უფლება არ ჰქონდა და თუ გამოვიდოდა, პოლიციელები აიძულებდნენ ისევ შინ დაბრუნებულიყო.

კ. ლორთქიფანიძისადმი პოლიციელების ასეთი დამოკიდებულების შესახებ ვგებულობთ კირილესადმი გაგზავნილ დავით ბაქრაძის წერილიდან:

„მამო კირილე! შენი წიგნი რომ წავიკითხე, რომ გოროდოვოის ტროტუარზე არ გაუტარებინარ და მისგან თოფის სროლისაც შეგშინებია, როგორც საკატორლო ტუსას, შიშმა და მწუხარებამ შემიპყრო და შჩეგლოვიტოვის და გეგიმის<sup>2</sup> სიცოცხლეს ვფიცავ წუხელი არ დამძინებოდეს, ისე ბორგვით გავათენე. შემატყობინე თუ ნახე პოლიცმეისტერი და თუ სთხოვე, რომ გოროდოვებმა გზაზე ყოველთვის კუღზე ხელი არ წავაგლოს, შუა ქუჩაში სიარული არ გაიძულონ და ხანდახან მაინც ტროტუარზედაც მოგკენ გავლის ნება, როცა მოსეირნე აღარავინ იქნება.

შენი ვიზავი და შენსავით ტანჯული დ. რ. ბაქრაძე<sup>3</sup>.

რადგან კირილე მარტოხელა იყო, არასოდეს შინ არ სადილობ-

<sup>1</sup> ივ. პურადაშვილის მოგონება.

<sup>2</sup> შჩეგლოვიტოვი და გეგიმი რეწენ ქუთაისის პოლიციის თანამშრომლები.

<sup>3</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 46.

და, მაგრამ ქალაქის სასაბუღალტრო წესებს, როგორც შინაპატიმარს, პოლიციელები უშლიდნენ. ამის გამო დ. ბაქრაძე კირილეს სწერს: „ძმომ კირილე! ეგებ მცირე საღილზე მეწვიო დღეს, შორს წასვლას და გოროდოვოის ჩხუბს მაინც ემჯობინება. 3-საათზე. მ. დ. ბ“<sup>1</sup>.

ამასთან ერთად, როგორც აღვნიშნეთ, ბანკის ვალების გამო კ. ლორთქიფანიძისა და მისი ოჯახის წევრების მამული საჯაროდ გაიყიდა.

გაზ. „კვალში“ ვკითხულობთ, „ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე-18 § ძალით ბანკის გამგეობის სადგომში ქვემოთ აღნიშნულ რიცხვებში. საზოგადო ვაჭრობით გაყიდულ იქნება ხსენებულ ბანკში დაგირავებული ქვემოთ მოყვანილი უძრავი მამულები შესახვედრ გადასახადთა შემოუტანლობის გამო. გაყიდვა ამავე მამულის მოიხსობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შემოტანილი იქნება ამ მამულზე თანახმად 19 § ბანკის წესდებისა ბანკის გადასახადი და თან განცხადების ხარჯი. ლორთქიფანიძეების: გრიგოლ და კირილე ბეჟანის-ძეთა, მიქელაძისა ანასტასია ბეჟანის ასულის; ერისთავისა ელისაბედ ბეჟანის ასულისა და წულუკიძისა ეფროსინე ბეჟანის ასულა: ქუთაისის მაზრის სოფელ ბზვანს, გადიდს, ონჯოხეთს; საპაიჭაოს, ციხისუბანს და ვანს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 180 დესეტინა 1855 კვ. საყ. თავნი ვალი 13553 მ. 33 კ. კ. შეს. გად. 599 მან. 15 კაბ. სულ 14152 მ. 48 კაბ.“<sup>2</sup>.

„სამახსოვრო ჩანაწერი“ მამულების შესახებ აღნიშნულია, რომ „თავადმა ლორთქიფანიძემ, რომელმაც 30 წლის განმავლობაში მთელი თავისი დრო 1000 მანეთად მოახმარა საზოგადოებას (იგულისხმება წლიური ხელფასი 1000 მანეთი. — კ. მ.), დაუთმო ბანკს დარჩენილი ვალების დასაფარავად მთელი თავისი მამული, რომელიც რეალიზაციამდე აანაზღაურებს ვალებს“<sup>3</sup>.

ბანკის ვალების გამო დაგირავდა აგრეთვე კ. ლორთქიფანიძის მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც მისი ერთადერთი პირადი ქონება იყო. როგორც აღრევე აღვნიშნეთ, კირილე ბიბლიოთეკის თაობაზე ერთ პირად ბარათში წერდა: „ქარვად მოგეხსენებათ, რომ ჩემი ბიბლიოთეკა დიდხანია დაგირავებულია იმ ბანკში, სადაც მე 25 წელიწადს ვმსახურობდი...“<sup>4</sup>

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 46.

<sup>2</sup> „კვალი“, 1898, № 58, იხ. აგრ. კ. ლორთქიფანიძის არქივი, № 1173.

<sup>3</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 510.

<sup>4</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 449.



ბუნებრივია კითხვა: რამ გამოიწვია ე. ლორთქიფანიძის ბანკის დავალიანება? როგორ დაედო ბანკის ვალი ასეთ სპექტაკლს და ფრთხილ აღამიანს?

როგორც ვიცით, კირილე ძალზე შეზღუდულ ცხოვრებას ეწეოდა. მას ბალახენის ქუჩაზე ნაჭირავეები ჰქონდა სრულიად უბრალოდ მოწყობილი ერთი პატარა ოთახი, ზამთარ-ზაფხულ ერთი და იგივე თხელი პალტოთი დადიოდა; სადილობდა ყოველთვის იაფფასიან სასადილოში; დირექტორობის ხელფასის მხოლოდ ნახევარს ლებულობდა, დანარჩენს ბანკს უტოვებდა თავის სარგებლობაში. ამ პირობებში მას ნახევარ მილიონამდე ბანკის ვალი დაედო. საქვირველია, მაგრამ ფაქტია.

ამის არსებითი მიზეზი ის იყო, რომ ხშირად ე. ლორთქიფანიძე კლიენტების მორიდებით ვადაგადაცილებულ ვექსილებს არ აპროტესტებდა, რაც ბანკს მძიმე ტვირთად აწევებოდა.

ამის თაობაზე ბანკის მთავარი ბუღალტერი ივ. პურადაშვილი თავის მოგონებაში წერს: „მიუხედავად იმისა, რომ იგი ზედმეტი იყო, იმას ჰქონდა ერთგვარი ნაკლი, ვერ იჩენდა სისასტიკეს კლიენტების მიმართ და ხშირი იყო შემთხვევა მის შიერ კლიენტების შეღავათების და დათმობისა. ეს მოდიოდა, რა თქმა უნდა, გულკეთილობით. იყო შემთხვევა, როდესაც ვინმეს არ ჰქონდა ვადაზე ვექსილის დახანის ან სესხის დახურვის საშუალება, თუმცა მისი ქონება ბევრად აღემატებოდა მის დავალიანებას. ამ დროებითი კრიზისის დროს იგი ცდილობდა, რომ ვექსილები პროტესტისათვის ნოტარიუსში არ გაგზავნილიყო, რადგან პროტესტის ქნა ვაჭარს კრედიტის კარებს უხურავდა. ვადას კანონის გარეშე რამოდენიმე დღით გადაუდებდა, პროტესტში არ გაგზავნიდა...“<sup>1</sup>

ამით ბანკს დანაკლისი ემატებოდა და ყოველივე ეს კირილეს, როგორც დირექტორს და გამგეობის თავმჯდომარეს დ. ბაქრაძეს ეწერებოდა. მაგრამ ყველაზე დიდი ზარალი ბანკს შავიქვის საქმემ მიაყენა. შავიქვის წარმოება ამ დროს ახალ საქმედ ითვლებოდა და ფულიანი და უფულო ყველა აქეთკენ მიისწრაფოდა.

„დაიწყო პრიმიტიულად მისი ამოღება, უკეთ რომ ვსთქვათ, ზემო პირის მოთხრა და გამოზიდვა ქიათურაში, ამას აწარმოებდა ყოველი იქაური მკვადრი, ვის მამულშიაც შავი ქვა კი იყო. მას პირდებოდა მხოლოდ რკინის ნიჩაფი და წერაქვი... მთებიდან ქიათურაში ჩამოქონდათ სახედრებით, ერთგვარ სანახაობას წარმოადგენ-

<sup>1</sup> ივ. პურადაშვილის მოგონება.

და უამრავი სახედრები გადაკიდებული გოდრებით, რომ ეშვებოდნენ მთებიდან დაბლობისაკენ“.

ბანკის ინტერესები მოითხოვდა, რომ თანხა უმოძრაოდ არ ყოფილიყო და ამანაც ხელი შეუწყო შავი ქვის მწარმოებლებისათვის ქუთაისის ბანკიდან კრედიტის გახსნას. ყველაზე დიდი კრედიტი 200 000 მანეთის რაოდენობით ბანკმა გაუხსნა ქუთაისელ მრეწველს პეტრე გიორგის-ძე წულუკიძეს<sup>1</sup>. ბანკმა გირაოდ აიღო პეტრე წულუკიძის ხელშეკრულება საზღვარგარეთის ფირმასთან. ფირმას უნდა წაეღო ექვსი მილიონი ფუთი მარგანეცი, ფუთი 21 კაპიკად, ხოლო ბანკს შესყიდული ჰქონდა 19 კაპიკად.

უცხოელებმა მარგანეცის გატანა შეაჩერეს ცუდი ხარისხის გამო. მეპატრონეები მიწასა და ქვიშას ურევდნენ მადანში. წულუკიძეს ამის გამო ხელშეკრულებაში გათვალისწინებული თანხა არ გადაუხადეს. წარმოება შეჩერდა. დიდძალი მარგანეცი დარჩა სხვადასხვა ადგილზე თავმოყრილი. ბანკის დავალიანებაც გაიზარდა. კრიზისი განსაკუთრებით საგრძნობი შეიქნა 1901 წლიდან. მარგანეცის კრიზისმა გავლენა მოახდინა ბანკის სხვა ოპერაციებზე.

ბანკის თაობაზე „სამახსოვრო ჩანაწერში“ აღნიშნულია, რომ ბანკმა მოგების მიზნით შეისყიდა ჭიათურის შავიქვი, მაგრამ მისი საზღვარგარეთ გატანის შეფერხების გამო, მარგანეცის ფასი საგრძნობლად დაეცა და ამ საბით გამოწვეული ზარალი ნახევარ მილიონამდე გაიზარდა“. ამჟამად ბანკის ვალები ირიცხებოდა მწერლებზე და კულტურულ დაწესებულებებზე.

ამ საერთო მდგომარეობით ისარგებლეს ბანკის ოპოზიციონერებმა, კირილეს პირადმა მტრებმა და ხალხში ხმა გაავრცელეს ბანკის გაკოტრების შესახებ. მოსახლეობამ დაიწყო ბანკიდან ფულის გატანა. ფული მხოლოდ გადიოდა და არ შემოდებოდა. ბანკის მთავარი ბუღალტერი ივ. პურადამვილი ერთ საინტერესო შემთხვევას იგონებს ბანკის კრიზისის დასაბასიათებლად. ასეთი პანიკური მდგომარეობის დროს ვიღაცას ერთ დღეს 10.000 მანეთი შემოუტანია ბანკში. პურადამვილი იმ წუთშივე მივარდნილა მოლარესთან და უთქვამს: ეს ფული არ გახარჯო, შეინახე, ეტყოდა ეს კაცი აქაური არ არის და ჩვენი ამბავი არ იცის, ხვალ რომ გაიგებს ამბავს, ისევ მოგვადგება ფულის უკანვე წასაღებადო, და მართლაც ასე

<sup>1</sup> პეტრე წულუკიძემ უმაღლესი განათლება მიიღო საფრანგეთში. მან სოფელ კვანჩირში შექმნა მერქვეობის ფერმა, სადაც მოშენებული ჰყავდა საზღვარგარეთელი ჯიშის ძროხები. პეტრე წულუკიძე ჩამბული იყო ქუთაისის კულტურულ საქმიანობაში. მისი ინიციატივით ქუთაისში დაარსდა სასოფლო-სამეურნეო სკოლა. მან შექმნა სტამბა და ბეჭდვდა ქართულ წიგნებსა და გაზეთებს. ბოლოს ხელი მიჰყო შავი ქვის მრეწველობას. პეტრე წულუკიძე იყო აკადემიკოსი. გ. წულუკიძის მამა.

მომხდარა, მოტყუებულ კლიენტს მეორე დღესვე თავისი ფულა, ბანკის გაკოტრების შიშით, უკანვე წაუღია. ამავე დროს, ქუთაისში გაიხსნა აზოვ-შავი ზღვის ბანკის განყოფილება, რომელმაც თავის გარშემო შემოიკრიბა ფულოანი მოსახლეობა და ამან კიდევ მეტად შეუწყო ხელი საკრედიტო საზოგადოების დაქვეითებას.

ბანკის ოპოზიციამ საჩივარი გაგზავნა ფინანსთა სამინისტროში. სამინისტრომ ბანკის რევიზიის საკითხი ხელმწიფესთან შეათანხმა, რადგან მეფის დასტურის გარეშე მათ არ ჰქონდათ ბანკის რევიზიის უფლება. 1902 წელს ქუთაისში ჩამოვიდა სპეციალური კომისია, რომელმაც თვენახევარი იმუშავა, და საქმე მშვიდობიანად დამთავრდა. დასჯით არავინ დასჯილა, ხოლო ბანკის ღირებულება მიეცა სათანადო მითითება ნაკლის გამოსასწორებლად.

ასეთმა შედეგმა ოპოზიცია არ დააკმაყოფილა. განმეორებით გაიგზავნა განცხადება ფინანსთა სამინისტროში. ახალი რევიზია დაიწყო 1904 წელს. ამ დროს ბანკი უარეს მდგომარეობაში იყო მარჯანეცის ფასის დაცემისა და ვადაზე გადაცილებული ვექსილების გაუნაღლებლობის გამო. რევიზიამ დააზუსტა ზარალი და საქმე სასამართლოს გადასცა. სასამართლომ გამგეობის თავმჯდომარეს დავა ბაქრაძეს და ბანკის ღირებუტორს კ. ლორთქიფანიძეს დაავალა ზარალის ანაზღაურება და მიუსაჯა შინაპატიმრობა. ამავე დროს არჩეულ იქნა ბანკის ახალი გამგეობა. ამ ვალებისათვის საჯაროდ გაიყიდ: კირილეს და მის დაძმთა მამულები და სწორედ ამდროინდელ შინაპატიმრობას შეეხებოდა დავა ბაქრაძის წერილი გოროდოვოებთან ჩხუბისა და სადილზე მიწვევის შესახებ.

სხვა დოკუმენტებიდან ისიც ირკვევა, რომ კირილეს ბანკის ვალების გადასახდელად თავისი მამულის ნაწილი ქუთაისის საზნაურთა ბანკში ჰქონია დაგირავებული. აღნიშნული ბანკის გამგეობა კირილეს ატყობინებს:

„უმორჩილესად გთხოვთ თქვენ მობრძანდეთ 29 ივლისს 1902 წლისა ბანკის სადგომში მოსალაპარაკებლად შესახებ თქვენის მამულსა... და უკეთუ ხსენებულს ვადაზედ არ გამოცხადდებით და არ დაიხსნით თქვენს მამულს, იმ შემთხვევაში დაუყოვნებლივ იქნება მიღებული ყოველივე კანონიერი ზომები მამულის ჩამოსართმევად.

თავმჯდომარე გამგეობისა“.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება კირილესა და ბაქრაძის მიმართ თბილისის სასამართლო პალატამ დაადასტურა და

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 1232.

ამის გამოკირილე იძულებული გახდა საკასაციო საჩივარი უშუალოდ სენატში გადაეტანა. კირილე სენატის სახელზე წერს განცხადებას და მოითხოვს თბილისის სასამართლო პალატის დადგენილებების გაუქმებას და საქმის ხელახლად გამოძიებას:

«В правительствующий Сенат  
(по уголовному Касацонному Департаменту)

Кирилла Бежановича  
Лортквипанидзе жалоба.

Приговор Тифлисской Судебной Палаты от 14 декабря прошлого года по обвинению меня в преступлении, предусмотренном 1155 ст. улож. о. наказ., нахожу неправильным и подлежащим отмене за допущение следующих существенных нарушений»:

ამის შემდეგ ჩამოთვლილია სასამართლოს გადაწყვეტილებაში დაშვებული შეცდომები. კირილე განსაკუთრებით იმაზე ამბავილებს ყურადღებას, რომ წაყენებული სასჯელი 1155 მუხლის სახით მის დანაშაულს არ შეეფარდება და დასძენს:

«...а потому я в моем деянии Судебная Палата не имела законных оснований усматривать признаки преступления, предусмотренного 1155 ст. улож. ...» და სენატს სთხოვს: «Прошу правительствующий сенат обжалуемый приговор отменить и дело вернуть для нового рассмотрения».<sup>1</sup>

ჩვენ არ შეგვხვედრია სენატის სახელზე გაგზავნილი საჩივრის საპასუხო დოკუმენტები და ამდენად არ ვიცით მისი თხოვნა შეიწყნარეს თუ არა, მაგრამ ერთი კი ფაქტია, რომ ბანკის საფინანსო მდგომარეობის გამოსწორებისა და კ. ლორთქიფანიძის და დ. ბაქრაძის ავადმჯავობისა და მოხუცებულობის გამო ორივენი განთავისუფლდნენ სასჯელისაგან, მაგრამ ამას ბევრი დრო და საჩივრების წერა დასჭირდა. როგორც საბუთებიდან ჩანს, 1904 წელს ჩატარებულ რევიზიის შედეგად კირილუსა და დავით ბაქრაძის მიმართ გამოტანილი სასჯელი 1914 წლამდე ძალაში ყოფილა.

1911 წლის 23 იანვრის თარიღით კ. ლორთქიფანიძე ბანკის ახალი გამგეობიდან იღებს მოწმობას, სადაც დეტალურადაა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიში რევიზიის მოხდენიდან საბუთის გაცემის დღემდე. რადგან ამ დოკუმენტში ასახულია ბანკის საფინანსო მდგომარეობის მთელი სურათი, ამისათვის იგი მთლიანად მოგვაქვს:

«Дана сие кн. Кириллу Бежановичу Лортквипанидзе согласно его просьбы, в том что:

1. Ко дню правительственной ревизии 27 июля 1904 года по вексельному портфелю просроченных и протестованных вексе-

<sup>1</sup> საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის არქივი, № 40/766.

лей было в круглых тысячах на 172 000 рублей, также по счету «разные дебиторы» таковых же векселей было на 35 000 рублей, а всего на 207 000 рублей. Из этой суммы со дня ревизии до чрезвычайного собрания членов общества 19 декабря 1904 г. оплачено было по 1-му счету на 58 000 руб. и по 2-му счету шесть тысяч рублей и всего 64 000 рублей, и за то же время вновь было протестовано на 48 000 рублей, таким образом по счету за 1904 год было отнесено на счет убытков общества по объему счетам просроченных и протестованных векселей на руб. 191 000.

2. По списанным же в убыток векселям поступило в 1905 г. 43 619 руб. 6 к. в 1906 г. 12 439 руб. 71 к., в 1907 г. 11 355 руб. 96 к. и в 1908 г. 8 935 р. 35 к., а всего руб. 76 350, 8 коп. и вновь списано в убыток за этих же 1905/1908 годы протестованных векселей на руб. 39 315, из коих оплачено до 1909 года руб. 2 983—85 коп.

Таким образом, на 1-го января 1909 г. списанных в убыток векселей оставалось на руб. 151 000 тысяч и

3. От продажи марганца поступило в 1904 г. до чрезвычайного общего собрания руб. 10 312—65 к., в 1905 г. руб. 77 514—81, в 1906 г. руб. 75 816—64, в 1907 г. руб. 76 610—70, в 1908 г. руб. 88 186—20, всего руб. 328 441—00 к. К 1 января 1909 г. остатка заложенного марганца не было и что по марганцевой операции, за вышеуказанными поступлениями в счет капитала и % недополучено к 1-му января 1909 года всего руб. 256 022—52 к., каковая сумма отнесена на убытки общества. Но размеры убытков, подлежащих распределению между членами общества, помещаются в ежемесячных балансах и годовых отчетах общества, как учреждения, обязанного публично отчетностью. Сумма убытков, подлежащих покрытию членами общества к 1-му января 1905 г. равнялась руб. 390 901, из коих к 1 января 1909 года оставалась руб. 188 864 и коп. 37».<sup>1</sup>

როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, ბანკის ვალეზი თანდათან შემცირდა მარგანცის ფასის აწევითა და ვადაგადაცილებული ვექსილების გაპროტესტებით. მაგრამ, ჩანს, სასჯელი მაინც დიდხანს არ მოუხსნიათ დ. ბაქრაძისა და კ. ლორთქიფანიძისათვის.

1914 წელს კ. ლორთქიფანიძე და დ. ბაქრაძე იძულებული ხდებიან სპეციალურად საექიმო შემოწმება გაიარონ და კომისიის დასკვნა შერყეული ჯანმრთელობისა და მოხუცებულობის გამო ფიზიკური დაუძლეობის შესახებ წარადგინონ სასჯელის მოსახსნელად. ეს მოწმობა ასე იწყება.

„1914 წლის მაისის 30 დღესა ქუთაისის გუბერნატორის განკარგულებით ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს სამკურნალო გან-

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი №1142.

ყოფილების ნარკვევი დამოწმებულია კნაზ კირილე ბეჟანის-ძე ლორთქიფანიძის ჟანმრთელობაზე მისი პატიმრობიდან განთავისუფლების შესახებ<sup>1</sup>.

სხვებთან ერთად მოწმობას ხელს აწერს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი დიმიტრი ნაზაროვი. და მხოლოდ 1914 წელს, უკვე ღრმად მოხუცებულ და დაავადებულ კ. ლორთქიფანიძეს მოეხსნა სასჯელი.

დასასრულ, აღვნიშნავთ იმასაც, რომ კირილეს მიერ გაცემულ ბანკის ვალების დიდი ნაწილი ირიცხებოდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებზე და საზოგადო მოღვაწეებზე. არსებითად ეს თანხები ხმარდებოდა ეროვნული კულტურის აღორძინების საქმეს, სტამბების გამართვას და წიგნების ფაბრიკების, უურნალ-გაზეთების რედაქციებს, სკოლებსა და თეატრებს. კირილე მათ მიწართ როგორც ბანკის დირექტორი, დიდ ხელგაშლილობას იჩენდა და ბოლოს ამის გამო პასუხისგებაშიც მისცეს.

ასე შეალაა კ. ლორთქიფანიძემ ქუთაისის ბანკის საქმეს არა მარტო თავისი ნიჭი და უნარი, არამედ საკუთარი ქონებაც, შაგრაძ მადლობის ნაცვლად დამცირება და პატიმრობა ხვდა წილად.

• • •

ჩვენი მიზანი იყო სათანადოდ შეგვეფასებინა ჯერ კიდევ შეუსწავლელი თერგდალეულის კირილე ლორთქიფანიძის ცხოვრება და შემოქმედება.

მართალია, იგი პირველხარისხოვანი მწერალი არ ყოფილა, მაგრამ მას ისეთ დროს მოუხდა მოღვაწეობა და ბუდმა ისეთი ლიტერატურული დაჯგუფების წევრობა არგუნა, რომ მისი ცხოვრების და შემოქმედების ყოველი დეტალი დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ამ ეპოქის ინტელექტუალური სამყაროს შესასწავლად.

ისიც ცხადია, რომ ლიტერატურულ ეპოქებს მარტო ბუმბერაზები არ ქმნიან. მათთან ერთად მეორეხარისხოვანი მოღვაწეებიც აუცილებელ საქიროებას წარმოადგენენ, და კ. ლორთქიფანიძეც ასეთ მოღვაწეთა პლეადას მიეკუთვნება.

როგორც დავინახეთ, კ. ლორთქიფანიძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ლიტერატურისა და აზროვნების განვითარების საქმეში და, სამართლიანობა მოითხოვს, თერგდალეულთა შორის დაეთმოს გარკვეული ადგილი, რომელიც ნახევარ-საუკუნოვანი თავდადებული შრომის შედეგად მას დამსახურებულად ეკუთვნის.

<sup>1</sup> კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 519.

## სარჩევი

წინასიტყვაობა . . . . .	3
თავი პირველი	
ა. ლორთქიფანიძე (ბიოგრაფია) . . . . .	5
თავი მეორე	
რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციონერი პოეტები და ა. ლორთქიფანიძე . . . . .	43
ბ. ლორთქიფანიძის ორიგინალური ლექსები . . . . .	63
თავი მესამე	
ა. ლორთქიფანიძე — პუბლიცისტი და მოაზროვნე . . . . .	67
ა. ლორთქიფანიძე და ზანგების საკითხი . . . . .	94
ა. ლორთქიფანიძის ესთეტიკური შეხედულებანი . . . . .	104
ა. ლორთქიფანიძის ეთიკური შეხედულებანი . . . . .	126
თავი მეოთხე	
ა. ლორთქიფანიძე და ქართული პრესა . . . . .	138
ა. ლორთქიფანიძის „ჩონგური“ . . . . .	139
ა. ლორთქიფანიძე და პეტერბურგის ქართული წიგნის გამომცემელი ამხანაგობა . . . . .	152
ა. ლორთქიფანიძე და „დროება“-„კრებული“ . . . . .	158
ა. ლორთქიფანიძის შრიფტი . . . . .	168
თავი მეხუთე	
ა. ლორთქიფანიძე და ახალი სალიბერატურო ენის საკითხი . . . . .	172
თავი მუშვი	
ა. ლორთქიფანიძის პედაგოგიური შეხედულებანი . . . . .	181
ა. ლორთქიფანიძე და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება . . . . .	195
თავი მეშვიდე	
ა. ლორთქიფანიძე და ქართული მწერლები . . . . .	199
ა. ლორთქიფანიძე და ჭუსთელოლოგიის საკითხები . . . . .	199
ა. ლორთქიფანიძე და ი. კავკაძე . . . . .	207
ა. ლორთქიფანიძე და ი. წერეთელი . . . . .	215
ა. ლორთქიფანიძე და გ. წერეთელი . . . . .	223
ა. ლორთქიფანიძე და ნ. ნიკოლაძე . . . . .	235
ა. ლორთქიფანიძე და სერგეი მესხი . . . . .	248
თავი მერვე	
ა. ლორთქიფანიძე და ქუთაისის ბანკი . . . . .	255

Медзвелня Константин Несторович  
Кирилл Лорткипанидзе  
(на грузинском языке)

Издательство «Ганатлеба»  
Тбилиси — 1965

რედაქტორი ა. ბ ა ჩ ი ძ ე  
მხატვრული რედაქტორი შ. ნ ი ო რ ა ძ ე  
ტექნიკური რედაქტორი ა. დ ო გ რ ა შ ვ ი ლ ი  
კორექტორი ქ. დ ვ ი ნ ჭ ი ლ ი ა  
გარეკანი ზ. გ ო გ ლ ა ძ ი ს ა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/VII-65. ქალაქის ზომა 60X90<sup>1</sup>/<sub>16</sub>.  
თაბახი 17. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 15,43.

ტირაჟი 1000 უე 00346 შეკვეთა № 3588.  
ფასი 57 კაპ.

გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, კაშის ქ., 18.  
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Камо, 18.

---

№ 5 სტამბა, გ. ტაბიძის სახელობისა  
ქ. ქუთაისი, სობუშის ქ., 11  
Типография № 5 им. Г. Табидзе,  
г. Кутаиси, ул. Сухумская, 11.